

ნიკო მარი

შავშეთსა და კლარჯეთში  
მოგზაურობის დღიურები

ბათუმი - 2012

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ქართველოლოგიის ინსტიტუტი

Н. Я. Марр

ნიკო მარტი

შაკუქეთსა და კლარჯეთში  
მოგზაურობის დღიურები

Дневник Поездки в Шавшетию  
и Кларджетию



გამომცემლობა  
„ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“  
ბათუმი – 2015

Багуми 2015

**ისტორიული სამხრეთ საქართველოს ყოფა და კულტურა – 1**

**საგამომცემლო საბჭო:** პროფესორი მამია ფაღავა (თავმჯდომარე)  
ასოც. პროფესორი ზაზა შაშიკაძე  
ასოც. პროფესორი მალხაზ ჩოხარაძე  
პროფესორი თინა შიოშვილი  
პროფესორი ნუგზარ მგელაძე  
პროფესორი შოთა მამულაძე  
პროფესორი რამაზ ხალვაში  
ასოც. პროფესორი თამაზ ფუტყარაძე  
პროფესორი მერი ცინცაძე  
ასოც. პროფესორი მაია ბარამიძე

წიგნში 6. მარი მოგვიტოვებს 1904 წელს შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობის შთაბეჭდილებებს. ავტორი მოგვატარებს შავშეთსა და კლარჯეთს სოფლებს, გაგვაცნობს აქაური მატერიალური კულტურის ძეგლებს, მოსახლეობას, მათ ყოველდღიურ ყოფას, მეტყველებას, ფოლკლორს... „დღიურები“ თითქმის 80 წლის განმავლობაში იყო ერთადერთი სანდო წყარო ე.წ. იმერხეული დიალექტისა და შავშეთსა და კლარჯეთს ფოლკლორისა და ყოფის შესასწავლად. წიგნს დღესაც არ დაუკარგავს მეცნიერული და ისტორიული ღირებულება. იგი კარგ სამსახურს გაუწევს შავშეთითა და კლარჯეთით დაინტერესებულ მკითხველს.

**რუსულიდან თარგმნა:** ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა რევაზ დიასამიძემ

**გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო პროფესორმა მამია ფაღავამ**

**სარედაქციო ჯგუფი:** პროფ. მამია ფაღავა  
ასოც. პროფესორი ზაზა შაშიკაძე  
პროფესორი მალხაზ ჩოხარაძე  
პროფესორი ნუგზარ მგელაძე  
პროფესორი თინა შიოშვილი  
პროფესორი რამაზ ხალვაში

პროფესორ მამია ფაღავას საერთო რედაქციით

ტომის რედაქტორი – პროფესორი მალხაზ ჩოხარაძე

**რეცენზენტები:** პროფესორი მურმან გორგოლაძე  
ასოც. პროფესორი მაია ბარამიძე

ISBN 978-9941-434-11-2  
© „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ – 2015

## წინასიტყვაობა

100 წელზე მეტი გავიდა ნიკო მარის „შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობის დღიურების“ გამოსვლიდან (სანკტ-პეტერბურგი, 1911. ქვემოთ „დღიურები“). გამოცემიდან თითქმის 80 წელი წიგნი იყო ერთ-ერთი (თუ ერთადერთი არა) სანდო წყარო ისტორიული შავშეთისა და კლარჯეთის ეთნოგრაფიის, ფოლკლორისა და მეტყველების შესასწავლად. დღეს, როდესაც ინტენსიურად მიმდინარეობს ჭოროხის „ქვეყნების“ კვლევა, დიდია „დღიურების“ მეცნიერული, ისტორიული და, გნებავთ, პრაქტიკული, მნიშვნელობა. თუნდაც იმიტომ, რომ XX საუკუნის დასაწყისიდან, 1904 წლიდან, როდესაც ნ. მარმა მოაწყო ცნობილი ექსპედიცია, ბევრი რამ შეიცვალა შავშეთსა და კლარჯეთში: დავიწყებთ მიეცა მრავალი ფოლკლორული ნიმუში, ეთნოგრაფიული ყოფის ელემენტები, პირისაგან მიწისა აღიგავა ქართული მატერიალური კულტურის ბევრი ძეგლი, ზოგადად შორს წავიდა მხარის ასიმილაციის საქმე... სხვაგვარად, რაც ნახა ნ. მარმა, ვერ პოულობს თანამედროვე მკვლევარი. ასე რომ, გამოცემიდან დღემდე ფასი მოიმატა, თორემ არაფერი დაკლებია „დღიურებს“.

დროში გამოცდილი წიგნი ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა. უმრავლეს შემთხვევაში, დაინტერესებული მკითხველისათვის მიუწვდომელია ნ. მარის შრომა. არადა, მის საჭიროებას ყოველდღიურად გრძნობს ქართული ყოფისა და კულტურის მკვლევარი, განსაკუთრებით ის, ვინც თანამედროვე თურქეთის რესპუბლიკის ქართულ პროვინციებს იკვლევს.

დიდი ხანია ჩვენში მომწიფდა იდეა ნ. მარის „დღიურების“ ქართულად თარგმნისა და გამოცემისა. ჩვენს სინამდვილეში იყო კიდევ ამის რამდენიმე ცდა, მაგრამ საქმე ბო-

ლომდე ვერ იქნა მიყვანილი. მთარგმნელსა და რედაქტორს მრავალი სიძნელე ეღობება წინ, უპირველესად, ესაა სათარგმნი ტექსტის სირთულე, ავტორის თხრობის ორიგინალური მანერა... აღვნიშნავთ, რომ მთარგმნელმა, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა, რევაზ დიასამიძემ წარმატებით გაართვა თავი წიგნის თარგმნას, შეძლო ქართულად გადმოეცა მისი შინაარსი ისე, რომ უმეტესად შეენარჩუნებინა ავტორის სტილი, რაც საკმაოდ რთული და ძნელადმისაღწევი იყო.

„დღიურების“ ქართული თარგმანის გამართვისა და სასცამბოდ გამზადებისათვის ჩვენთან ერთად იღვაწეს და საკმაოდ გაისარჯნენ: ასოცირებული პროფესორი ზაზა შაშიკაძე, ასოცირებული პროფესორი მალხაზ ჩოხარაძე, პროფ. ნუგზარ მგელაძე, პროფ. თინა შიოშვილი, ლილითი მელიანი-ფუტკარაძე. ყველას მადლობას მოვახსენებთ გაწეული შრომისათვის.

მადლობას მოვახსენებთ საქართველოს პარლამენტის წევრს, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატ ელგუჯა მაკარაძეს, რომელმაც მოგვიპოვა და გადმოგვცა „დღიურების“ ორიგინალის (1911 წლის რუსული გამოცემის) ფოტოკოპიები, რაც არცთუ იოლი იყო.

დაბოლოს, აღვნიშნავთ, რომ წიგნის ქართული გამოცემა ვერ იქნება დაზღვეული ნაკლისაგან. საგამომცემლო ჯგუფი მადლიერებით მიიღებს დაინტერესებული მკითხველის საქმიან შენიშვნებს და გაითვალისწინებს მომდევნო გამოცემის დროს.

28 მარამობისა, 2012 წელი.

## ნიკო მარი და მისი მოგზაურობა შავშეთსა და კლარჯეთში

იერუსალიმში, ჯვრის მონასტერში, ნ. მარმა 1902 წელს მიაკვლია გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას“. თხზულება მან თარგმნა რუსულად და „გამოსცა ჩინებულად“<sup>1</sup>. ჩანს, ტექსტის გაცნობამ მრავალი კითხვა გაუჩინა ახალგაზრდა მეკლევარს, რომელთა პასუხის ძიებამ გადააწყვეტინა, მოენახულებინა გრიგოლ ხანძთელის მიერ დაარსებული ეკლესია-მონასტრები, ზოგადად „ათორმეტ სავანეთა“ ქვეყანა. იმდროისათვის ძალიან ცოტა იცოდნენ საქართველოს ისტორიული კუთხეების, შავშეთის, კლარჯეთისა და, ზოგადად, ჭოროხის „ქვეყნების“ შესახებ. ხელმისაწვდომი იყო გ. ყაზბეგისა<sup>2</sup> და დ. ბაქრაძის<sup>3</sup> შრომები (ზოგიერთი სხვა პუბლიკაციაც), მაგრამ არსებული ცოდნა ვერ აკმაყოფილებდა მრავალმხრივი ინტერესების მეკლევარს. ამიტომაც 1904 წლის ზაფხულში ნ. მარმა იმოგზაურა შავშეთსა და კლარჯეთში, დღიურებად აღწერა ნახული და დაურთო მის მიერვე თარგმნილ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას“<sup>4</sup>. „დღიურების“ გაცნობით მკითხველი რწმუნდება, რომ მოგზაურს გადაულახავს ბევრი დაბრკოლება, ზოგჯერ საფრთხეშიც ჩაუგდია საკუთარი სიცოცხლე, ხან ფეხით, ხან ცხენით მოუვლია შავშეთი და კლარჯეთი, უნახავს ძალიან ბევრი და ნახული აღუწერია სიზუსტითა და სიყვარულით. ცნობისმოყვარე მეკლევარი მოგვატარებს შავშეთისა და

<sup>1</sup> ა. შანიძე, ნიკო მარი. კრ. ნიკო მარი 120. თბ. 1988, გვ. 15.

<sup>2</sup> იხ. . . . , 1875.

<sup>3</sup> იხ. Д. Бакрадзе, Археологическое Путешествие по Грузии и Адчарь с Атласом, СПб 1878.

<sup>4</sup> იხ. . . . ( . . . ) . . . , VII, СПб. 1911.

კლარჯეთის სოფლებს, გაგვაცნობს აქაურ მკვიდრ მოსახლეობას, მათ ტრადიციებს, მეტყველებას, ფოლკლორს, აქ გაბნეულ მატერიალური კულტურის ძეგლებს... ნ. მარი ყველაფერს აღწერს იმდენად ცოცხლად, რომ ზოგჯერ მკითხველი ავტორის თანამგზავრი ხდება, მასთან ერთად განიცდის შავშეთა და კლარჯეთა გაჭირვებასა და სიხარულს, მათ ყოველდღიურობას, ამ კუთხეში გაბნეულ ეკლესია-მონასტრების სიდიადეს... და, რაც მთავარია, „დღიურები“ მკითხველს აღუძრავს სურვილს, თავადაც იმოგზაუროს „ათორმეტ სავანეთა“ მხარეში, თავადაც ინახულოს აქაურები და მონახულოს სიძველეები. ეს კი წიგნისა და მისი ავტორის გამარჯვებაა. ბარემ აღენიშნავთ, რომ დასახელებულ შრომას მკითხველი და მაქებარი არ მოკლებია, მაგრამ ჭოროხის ქვეყნებში მოგზაურობა ცნობილი მიზეზების გამო თაობათა აუხდენელ ოცნებად იქცა...

მოდით, ჩვენც თანამგზავრი გავუხდეთ ნ. მარის საუკუნისწინანდელ ექსპედიციას და მასთან ერთად მოვიხილოთ შავშეთი და კლარჯეთი.

### §1. ნიკო მარის შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობის გეოგრაფია

1904 წლის 18 ივლისს საღამოს 9 საათზე ნ. მარი ყარსიდან არდაგანში ჩავიდა. აქ მან გაიცნო ბატონი კობიევი, რომელთან საუბრითაც დაიწყო მისი ექსპედიცია. კერძოდ, მოგზაურმა თანამოსაუბრისაგან გაიგო, რომ: „1. ჰამამლიში, სარიკამიშის მახლობლად, არის ეკლესია ქართული წარწერით; 2. ხას-ქოისთან გზის სამუშაოებისას ამოთხარეს ქვა ქართული წარწერით. მისი ნაწილი სადღაც წაიღეს, ნაწილი კი ადგილზე დაამტვრიეს“ (გვ. 99). აი პირველი ცნობები, რომელიც მოგზაურს „დღიურებში“ ჩაუწერია.

19 ივლისს, ორშაბათს, ნ. მარი ათვალიერებს არდაგანს, მაგრამ დიდხანს არ ჩერდება, ჩამოთვლის მხოლოდ აქაურ სიძველეებს და ავრძელებს გზას. შუადღის 2 საათზე, ჩაფარ შაქრო (ზაქარია) ჯაფარიძისა და ქურთ ომარის (ცხენების

მეპატრონე) თანხლებით, მეცნიერი დაადგა შავშეთის გზას, თუმცა მან უარი თქვა პირდაპირ სათლელისაკენ გამგზავრებაზე. ნ. მარი „დლიურში“ ჩაწერს: „შევხედე რა რუკას, გადავწყვიტე, შემეცვალა მარშრუტი და გავმგზავრებულიყავი არა სათლელში, არამედ სულისისაკენ და იქიდან ტბეთში, რომ სათლელიდან არ დაგეჭირებოდა კვლავ აღმოსავლეთისაკენ მობრუნება“ (გვ.102). თუმცა მას ჩაფარი უმტკიცებდა, რომ „შეუძლებელია სულისში მგზავრობა“ ცუდი გზების გამო და უმჯობესია ტბეთში გამგზავრება შავქეთის, ბალვანის, ოქრობაგეთისა და ველის გავლით. მკითხველის ყურადღებას მიიქცევს მოგზაურის პირველი შთაბეჭდილებები, რომელიც ბოლომდე გაყვება მას. ტბეთისკენ მიმავალი მკვლევარი წერს: „გზა მიდიოდა ყვაილებით მოფენილ მაღალბალახიან ზეგანზე. ჩვენ თითქოს ხალიჩაზე მივდიოდით. გრილა, თითქმის ცივა, მაგრამ ჯანმრთელი ჰაერია. მარცხნივ დაგტოვებ სქელი ნისლით დაფარული შავქეთი და ბალვანი... ჩვენ მივდიოდით მთის ყვაილების არმატით გაბრუნებულნი. მაღალი, წვნიანი ხშირი ბალახი აცოუნებდა გამაძლარ ცხენსაც, რომელსაც ეს ესაა კარგად აჭამეს... ნისლი ჩვენკენ მოიწევდა. გამცილებელმა თქვა, რომ შეიძლებოდა გზა დაგეკარგოდა. ჩვენ გადავედით მდინარეზე და აღმოჩნდა, რომ გამცილებელს მაინც შეეშალა გზა. ნისლმა დაგვფარა. ირგვლივ არაფერი ჩანს. ფეხქვეშ შევნიშნეთ დიდი გზა. გაირკვა, რომ მოშორებით ისმოდა ხმები. გამცილებელი წავიდა და დაუძახა. მწყემსები იყვნენ. თქვეს, რომ ახლოს, ქვემოთ არის საგუშაგო. 1 საათში ჩვენ მივედით საგუშაგოზე...“ (გვ. 102-103).

ნაცნობი სურათია მისთვის, ვისაც ამ მხარეში ერთხელ მაინც უმგზავრია.

გზადაგზა მოგზაური და მკვლევარი ამოწმებს ხუთვერსიან რუკას (1898 წლის შესწორებით) და მასზე აღმოაჩენს ცდომილებებს, კერძოდ, რუკაზე არ აღმოჩნდა:

ა. აგარა – ქვედა სულისიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით;

ბ. ეკლესიის ნანგრევები აგარის იქით ტყეში: სინდობა ან ცინობა;

გ. ორი დასახლება, მათ შორის კოლაზდილარი (გვ. 103).

ჩვენი მხრივ დავუმატებდით, რომ კაკასიის ხუთვერსიან რუკაზე მართლაც ბევრი ცდომილებაა, გამოტოვებულია ან არასწორადაა დატანილი ზოგიერთი პუნქტი, რაც ბუნებრივია, თუ გავითვალისწინებთ სამუშაოს მოცულობას, რომელიც რუკის შემდგენლებს შეუსრულებიათ. შემთხვევითი არც ის იყო, რომ ხსენებული რუკა სისტემატურად სწორდებოდა და ზუსტდებოდა<sup>1</sup>.

მოგზაური ყურადღების მიღმა არ ტოვებს არაფერს, ზოგჯერ თითქოს უბრალო წერილმანსაც კი. უპირველესად, მას აინტერესებს კუთხის სიძველეები, მატერიალური კულტურის ძეგლები, ხელნაწერები, წარწერები... აქაურთა მეტყველება, ფოლკლორი, ტრადიციები, ყოფის ელემენტები.

ჩაფარ ეზმი-ეფენდის, რომელიც თან ახლდა ნ. მარს, აღმოაჩნდა ორი ათეული თურქული დოკუმენტი, მათ შორის შვიდი შედარებით ძველია; ისინი კონსტანტინეპოლიდანაა და შავშეთს შეეხებიან (გვ. 104), აღნიშნავს მკვლევარი, მაგრამ არაფერს ამბობს, თუ რა დოკუმენტებია.

იგივე ეზმი-ეფენდის ეზოში, სახლისგან მარჯვნივ, აღმოჩნდა კამაროვანი ნახევრადამოვსებული მიწისქვეშა გასავლელი. მასპინძლის თქმით, გვირაბი 10 საუენის მანძილზე შეინიშნება. მასში შესვლას ვერავინ ბედავს. ადგილობრივებმა უარი თქვეს შიგ შესვლაზე. ამტკიცებენ, რომ გვირაბში ჯინები არიან და მათ მოკლავენ. ჩაფარი შაქრო ჩავიდა ლამპით, მაგრამ სინათლე ქრებოდა მის ყოველ მოძრაობაზე. შემდეგ არდაგნელი ქურთი ომარი ჩავიდა და შეეცადა, სინათლის გარეშე შეეღწია გვირაბში, მაგრამ ჰაერის უკმარისობის გამო ვერც მან შეძლო გადაადგილება. ბალვანელები ნ. მარს უმტკიცებდნენ, რომ სათავსოები ორ რიგადაა გან-

<sup>1</sup> იხ. . . . , 1913.

ლაგებულები; ზედა რიგში მღვიმური სათავსოა, რომელშიც არავის შეუღწევია და ვერც შეაღწევს, მღვიმური სათავსოების ქვედა რიგი კი ეკლესიითაა. იქ არანაირი წარწერა არაა, მაგრამ არის ქვაზე ადამიანის გამოსახულება ჩაქუჩით ხელში (გვ. 104-105). მოტანილ ცნობას დაუმატებდით, რომ ე.წ. მღვდლები (ასე უწოდებენ შავშელები მღვიმურ სათავსოებს) შავშეთში რამდენიმე სოფელში შეგვხვდა. ადგილობრივები სხვადასხვა გადმოცემას ყვებიან მათ სილიადეზე. უმეტეს შემთხვევაში მღვდლებს, ისევე როგორც ბევრ სხვა სიძველეს, ისინი უკავშირებენ თამარის სახელს. თუმცა ეს მღვდლები გაცილებით ძველია, ვიდრე თამარის ეპოქა. ვფიქრობთ, ისინი სერიოზულ არქეოლოგიურ შესწავლას მოითხოვს. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება მისი თავდაპირველი ფუნქციის განსაზღვრა. ამ მღვიმეების არქეოლოგიურ კვლევამდე კი ჯერ შორია, ამიტომაც ამჯერად ადგილობრივთა მონათხრობით უნდა დავეყრდნობოდეთ: „დედედ იტყოდა“ და მათაც სჯერათ. ჩვენც დავიჯეროთ, სხვა რა გზა გვაქვს!<sup>1</sup>...

20 ივლისს, სამშაბათს, ექსპედიცია დაბაწვრილში ამთავრებს.

21 ივლისს ნ. მარი დაბაწვრილელ ბეირუს ხელაძესთან (გამცილებელი) ერთად მიემგზავრება აგარის საძოვრებზე მიმავალი გზიდან მარჯვნივ მდებარე ეკლესიის სანახავად, აგარიდან – ვანში (თაუხეთის ჯვარი)<sup>2</sup>... აღწერა იქაური ეკლესიები და 1 საათის შემდეგ ოქრობაგეთში წავიდა, სადაც მან ნახა და შეისწავლა სომხური ეკლესია, რომელიც ქართული ეკლესიიდან გადაუკეთებიათ 1847 წელს. ოქრობაგეთა ცნობით, ადგილობრივ თავადს, ისაბეგ ათაბეგ-ოღლის მიწები მიუყიდა სომხებისათვის. გაყიდულ მიწებზე მდგარა სწორედ ის ეკლესია, რომელიც გადაუკეთებიათ სომხურად.

<sup>1</sup> იხ. მ. ფაღავა, შავშური ჩანაწერები, თბ. 2011, გვ. 89-90...

<sup>2</sup> შენიშნავთ: ნ. მარი ტოპონიმს იწერს, როგორც **ტაუხეთი**, ჩვენ 2011 წლის ექსპედიციის დროს ჩავიწერეთ ფორმა თაუხეთი. ასე გამოთქვა იგი ადგილობრივმა ინფორმატორმა. ვფიქრობთ, ამოსავალი უნდა იყოს ჩვენი ჩაწერილი ფორმა.

ეკლესია რომ ქართული იყო, ამას მოწმობს ჯვრიანი ქვა ქართული წარწერით, რომელიც გვამცნობს, რომ ტაძარი აუცილებლად „მამადადსქეთა“ (გვ. 110-111).

ნ. მარი აღნიშნავს, რომ ამჟამად ოქრობაგეთის მოსახლეობა სომხებია, მაგრამ მათ სომხურ მეტყველებაში იგი რამდენიმე ქართულ სიტყვას შენიშნავს: **გოგო, სარწყავი, ჩიტი, ძერა, მორიელი...** ჩანს, ისინი ადგილობრივთა ქართულიდან შევიდა სომხურში.

22 ივლისს, ხუთშაბათს, 11 საათსა და 15 წუთზე, ექსპედიცია ოქრობაგეთიდან ველის გავლით ტბეთში გაემგზავრა. გზად მათ ინახულეს ერთკამარიანი, საკმაოდ ფართე თალიანი ხიდი, რომელზეც ცხენოსნებმა გავლა ვერ გაბედეს და შემოვლითი გზა არჩიეს. მოგზაურის ყურადღებას იქცევს ს. ველში მკის პროცესი. მკიან ქალები... იქვე შეხვდა მუსიკოსი „ჭიბოთი“, რომლის გვერდით ჭაბუკი „ცეკვავდა მუცლით...“ მე საჩქაროდ მიხდოდა გადამეღო, მაგრამ სწორედ ექსპოზიციის მომენტში მუსიკოსმა ამოიღო პირიდან ჭიბოს საღამური და მთელი ინსტრუმენტი დაუშვა“ (გვ. 114-115). მალე ექსპედიცია ტბეთში მივიდა. ნ. მარი დიდი გულმოდგინებით აღწერს ტბეთის ტაძარს, რომელიც იმდროისათვის ჯერ კიდევ არ იყო დანგრეული. სამი დღე (22-23-24 ივლისი) იმუშავა მკვლევარმა ტბეთში... „დღიურებმა“ შემოგვინახა ტბეთის ტაძრის დეტალური აღწერა...

24 ივლისს ნ. მარი დაბაკეთილში გაემგზავრა. სოფლის მახლობლად დაათვალიერეს ეკლესიის ნანგრევები. დაბაკეთილში ექსპედიცია აღარ გაჩერებულა, სათლელ-რაბათისაკენ წამოვიდა, სადაც ნახეს ქართული დროების უზარმაზარი ქვის საწნახელი (გვ.141). ჩანს, ამ კუთხეში უწინ მევენახეობა დაწინაურებული დარგი იყო.

25 ივლისს ექსპედიციამ სათლელ-რაბათში სომხური, გრიგორიანური ეკლესია შეისწავლა; მღვდელმა მკვლევარს აჩვენა ორი ხელნაწერი – 1 ქაღალდზე და 1 პერგამენტზე. ქაღალდის ხელნაწერი სომხური ქორონიკონის 92 (1477) წელსაა შესრულებული. იგი მეცნიერისათვის საინტერესო

არ აღმოჩნდა. სათლელ-რაბათიდან ნ. მარი გურნათელში ავიდა, სადაც ნახა კოკოშაურის ეკლესია.

26 ივლისს ექსპედიცია იყო ციხისძირში. სოფლის მამასახლისის (მუხტრის) ახმედ-ალა ჯინშარ-ოღლის აივნიდან ნ. მარმა დაათვალიერა გარემო, საიდანაც კარგად ჩანდა: **კიასინ-ტაში, სახარა, ბერი-კლდე, იდილი...** მთის მიღმა ქურდევანი. შემდეგ გაემგზავრა სურევანში ჭუარების გავლით. ამ მხარეში მკვლევარი ეძებდა მერეს მონასტერს, მაგრამ ამაოდ. გამოირკვა მხოლოდ, რომ იმერხევში ორი ადგილია, რომელსაც მერე ეწოდება – წყალსიმერთან და სურევანთან (დიდმერე). იქვე მეცნიერი შენიშნავს: „... საქმეში ყველაზე ჩართულმა პირებმა იციან მხოლოდ თავისი უბანი, უკეთეს შემთხვევაში – თავისი მხარე. ასე, იმერხეველმა – იმერხევი, შავშელმა – შავშეთი, მაგრამ ესეც იშვიათად. უფრო ხშირად მათ იციან თავიანთი სოფელი და არემარე. მაგალითად, იმერხევის ჩაფარმა, წვრილხევის მცხოვრებმა, ნაცადმა კაცმა, არ იცის სულესის ახლოს აგარის არსებობა, თანაც სულესში არასოდეს ყოფილა” (გვ. 149). ასეთ პირობებში მკვლევარს უჭირდა მიზნის მიღწევა, მოეპოვებინა სანდო მასალები და შეესწავლა კუთხე.

27 ივლისს ექსპედიცია გადავიდა ყვირალას ხეობაში, გზად მოინახულა კუტალეთი (კოტალაძე, კუტალაძე), სადაც დაუსახელეს სამი გვარი: **ელაზად, ლაზარად, ოსეფად** (გვ. 149). ხეობაში ნ. მარმა დაათვალიერა აქაური სიძველეები: საწნახელი (ჰინძანი), გამოქვაბული და სვირევანის ეკლესია.

28 ივლისს მოგზაური დასამობში გაემგზავრა. მას თან ახლდნენ: ჩაფარი გასპარი და მილიციელი მამუდი საპალნე ცხენით. 20 წუთის შემდეგ ისინი გაუსწორდნენ სიმაგრეს **ბარო**, იმერხევის მარცხენა ნაპირზე<sup>1</sup>. გზად ექსპედიციამ გაიარა ფხიკიური (საიდანაც თვალი შეავლო **დავლაურსა** და **სანადირო ხევს**), შემდეგ გოგაძის-წყალი და მიაღვინ დასამო-

<sup>1</sup> ჩაქველთას ციხე, ახლა მას **ბარა ციხესაც** უწოდებენ, **მეთაბრა**’საც (იხ. მ. ფაღავა, შავშური ჩანაწერები, თბ. 2011, გვ. 151; შ. მამულაძე, შავშეთის მატერიალური კულტურის ძეგლები. შავშეთი, გვ. 61-63).

ბის ეკლესიის ნანგრევებს. ადგილობრივი მცხოვრები, მამუდ ახმედის ძე ჯარბიძე, ქართველი მუსულმანი, ეტყვის მკვლევარს, რომ მისი პაპა იყო მღვდელი, თუმცა ეკლესია უკვე რამდენიმე თაობაა, დანგრეულია (გვ. 155). ცნობა საინტერესოა, იმ თვალსაზრისით, რომ ოსმალთა ბატონობის პერიოდში ხეობაში ქრისტიანობა განაგრძობდა არსებობას; იყო მღვდელი, თავისთავად გულისხმობს, რომ მას ჰყავდა მიმდევრებიც, გარკვეული რაოდენობა მაინც...

ეკლესიის ნანგრევებს ადგილობრივები სასწაულმოქმედად თვლიან. მას ერთნაირად სცემენ პატივს როგორც ქრისტიანები (სომხები), ისე მუსულმანები (ქართველები). აქ სალოცავად მოდიან სხვადასხვა დროს, ხშირად, ადღვომაზეც (გვ. 155).

ფხიკიურიდან ექსპედიცია სვირევანში გადავიდა. აქ საინტერესოა მკვლევრის შენიშვნა: „იმერხევში სოფლები დაყოფილია სახლების ჯგუფებად (სოფლები ან დასახლებები). ხდება, რომ გამოიყოფა ერთი სახლი და ცალკე დგება. ხშირად მთელი სოფელი ხუთი სახლისაგან შედგება, სოფლის უბანი კი – ორი ან სამისაგან. სახლების ყოველ ჯგუფს (სოფელს) ეწოდება „Mehle” (უბანი – რედ.). ჩვეულებრივ, მეჭლეს უჭირავს ოდიოვან დასახლებული ადგილი ძველი სახელწოდებით...” სურევანი მთელი სოფელია, ის ექვს უბნად იყოფა, რომელთა შორის არის თვით **სურევანი** ცენტრში იმერხევის მმართველობით. სოფელი სურევანი თხუთმეტ სახლს ითვლის. სხვა უბნებია: 2. **დავითეთი**, 3 **ფარნუხი** (ორივე დასავლეთით, უფრო მაღლა მთებშია). დაბლა გზაზე არის 4. **კუტალეთი**, 5. **ჯვარისხევი** (ქვემოთ), 6. **ჩაქველთა** (ზემოთ მთაზე), ბარა კი არის ჩაქველთას გამოსაზამთრებელი ადგილი (გვ. 157). ჩვენის მხრივ დავუმატებთ: იმერხევის სოფელი დღესაც იყოფა უბნებად, მეჭლევებად/მაჰალეებად. მაგრამ ზოგჯერ ერთ მმართველობაში გაერთიანებულ დასახლებებსაც იმ სოფლის მაჰალედ მიიჩნევენ, სადაც მმართველობაა. ასეა ზემომოყვანილ შემთხვევაშიც. სურევანი/-სვირევანი, დავითეთი/დავითეთი, ფარნუხი, კუტალეთი/კუტა-



ლიტერატურაში, ჯვარისხევი/ჯვარისკევი, ჩაქველთა დამოუკიდებელი სოფლებია, სურევანზე, როგორც სამხსტროს (სამამასახლოს) ადმინისტრაციულ ცენტრზე „მიბმული“.

29 ივლისს ექსპედიცია წყალსიმერისაკენ წავიდა. გზა მდ. იმერხევის მარცხენა სანაპიროს მიუყვებოდა. მარჯვნივ დარჩა წეთილეთი და მერე. 11 საათზე უკვე დანიშნულების ადგილზე იყვნენ.

წყალსიმერი სამი მეპელესაგან შედგება: წყალსიმერი, შოლტისხევი, ბზათა (სინამდვილეში სამი დამოუკიდებელი სოფელია წყალსიმერის სამამასახლისოზე „მიბმული“). სოფელში იმ დროს სულ 112 სახლი იყო. გასული საუკუნის დასაწყისში წყალსიმერი გამოირჩეოდა სასულიერო პირთა სიმრავლით, შესაბამისად, მათი ძლიერი გავლენით. თქმულის საილუსტრაციოდ საინტერესოა ნ. მარის ასეთი ინფორმაცია: „მხიარულება და სიმღერები გამორიცხულია იმერხეველთა ცხოვრებიდან. მომღერლებს ხოჯების ემინიათ. ერთმა შეძლებულმა თურქმა საიდუმლოდ მითხრა, რომ ხოჯებიდან მათ ცხოვრება არ აქვთ, თამაშები, სიმღერა, მუსიკა გაქრა წყალსიმერში...“ (გვ. 167).

წყალსიმერიდან ექსპედიცია დიობანში წავიდა. გზად დაათვალიერა იფხრეულის<sup>1</sup>ციხე. იფხრეულში დამე გაათია ალი-ჩაუშ ნაიბ-ოღლი მოსიძის სახლში. იმ დღეს, 29 ივლისს სოფელი 3 დღით დაილაზე მიდიოდა საჯუმბუშოდ (აწინდელი მარიობის ფესტივალი, რომელიც ივლისის ბოლო კვირას იმართება – მ.ფ.). ხოჯები ეწინააღმდეგებიან ამ ტრადიციას, როგორც ძველს. ეწინააღმდეგებიან ასევე „ზიარეთში“ წასვლას, მაგრამ ხალხი ჯიუტობს, ამბობს, რომ ასეთია მათი უძველესი წესი. იფხრეულის უბნებია: იმნაძე, იფხრეული, ივიეთი (ამჟამად ხმარობენ ფორმას ივეთი – მ. ფ.). სადამოს

<sup>1</sup> ასეთი ფორმით ხმარობს ნ. მარი აღნიშნულ ტოპონიმს. დღეს ჩვეულებრივ იყენებენ ფორმას იფხრეული. იფხლი (>იფხრი) კიდევ ქართულში ცნობილი ფუძეა, ნიშნავს გვიმრას (იხ. მ. ფალავა, დასახ. ნაშრ. გვ. 90).

მკვლევარმა ადგილობრივი „დელიყანები“ (ახალგაზრდები) დაპატიჟა და მათგან ჩაიწერა ფოლკლორული ნიმუშები.

30 ივლისს ექსპედიციის წევრები დიობანში ასულან („დლიურებში“ არ ჩანს დიობნური შთაბეჭდილებები), იქიდან უბეში გადასულან.

უბეში მიმავალი ნ. მარი უბურ ხანძთაში შეივლის (ჩანს, მაშინ გზა მთებზე გადიოდა – მ.ფ.). ირგვლივ ნაგებობის კვალი არ არის, აღნიშნავს გულნაკლული მოგზაური (გვ. 210-211). წარმოვიდგინოთ გრიგოლ ხანძთელის მიერ დაარსებული მონასტრების საძიებლად გზას დამდგარი კაცის განცდა ხანძთის ხსენებაზე. ამ დღიდან 100 წლის შემდეგ, 2005 წელს (შემდეგაც კიდევ ერთხელ 2011 წელს) ჩვენ ვიმუშავეთ უბეში და ვინახულეთ უბური ხანძთა. ვერაფერი ვნახეთ. ადგილობრივი გამცილებელი გვიმტკიცებდა, აქ არისო ეკლესიის ნანგრევები, თუმცა მან ვერ გვიჩვენა იგი. შავშეთის ამ სექტორში ხანძთის მონასტრის არსებობას მხარს არ უჭერს არც გიორგი მერჩულეს თხზულება<sup>1</sup>. აქ უბრალოდ გეოგრაფიული სახელის დამთხვევასთან გვაქვს საქმე. ჩანს, უბური ხანძთა გვიანდელი ტოპონიმია და მას არაფერი აქვს საერთო „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ მოხსენებულ ხანძთასთან.

უბეში, დევაძეების|დევაძევი|დევაძეები უბანში ნ. მარმა აღწერა შავშეთ-იმერხევის ტიპის ეკლესია. საინტერესოა მკვლევრის მიერ დაფიქსირებული ფორმა **დევაძევი**<sup>2</sup>. ექსპე-

<sup>1</sup> იხ. მ. ფალავა, შავშური ჩანაწერები, თბ. 2011, გვ. 51-53; მისივე: კვლავ ხანძთის ლოკალიზაციის საკითხისათვის. კრ. ჩვენი სულიერების ბალავარი, II, ბათუმი, 2010, გვ. 44-49; მისივე: ხანძთისა და შატბერდის ლოკალიზაციისათვის. ჟ. მნათობი, I, 2007, გვ. 143-149. შდრ. შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993, გვ. 189; მ. ჩოსარაძე, იმერხევის ხანძთა. ჩვენი სულიერების ბალავარი, IV, თბ. 2012, გვ. 38-43.

<sup>2</sup> ერთგან აკ. შანიძე საუბრობს -ევ კილოს კვალზე ქართულ გეოგრაფიულ სახელებში და აღნიშნავს, რომ -ევ მრავლობითობის საწარმოებლად შემოუნახავს თერთმეტ სიტყვას... და „-ევ სუფიქსის გავრცელების არეალ შეგვიძლია ჩავთვალოთ ტერიტორია არაგვიდან რიონის

დიცია უბიდან დაბაში გადავიდა, იქიდან – ზაქიეთსა და ვაკეთში, ზაქიეთის ყიშლებში. შემდეგ ნ. მარი ბახვირეთის სამხრეთ-დასავლეთით საზღვირელზე ავიდა. ადგილობრივები მიანიშნებდნენ, რომ აქ ეკლესიის ნანგრევებიაო, მაგრამ წარწერები არც მოხუცებს ახსოვთ, არც ახლა არის. ადგილს „კაპანთი თას“ უწოდებენ, მისი სიახლოვის გამო იმ ქვიან წვერთან, ბახვირეთისკენ რომაა მიმართული<sup>1</sup>. საზღვირელიდან ექსპედიცია თეთრაკეთისკენ (ასე უწოდებს ნ. მარი თეთრაქედს. თეთრაკეთია დატანილი ხუთვერსიან რუკაზე<sup>2</sup>) წავიდა, იქედან ჩიხორში, რომლის დასახლებებიც: ანდრიაწმინდა (წითელ-ოღლეებით დასახლებული), ლიბანი, დასამობი, გიგეეთი, ბრილი, აგარა, ნიოლეთი (ნიოლისძე), მერქეზი, ჭედრიული (რუკაზე ჩედლეური).

2 აგვისტოს, ორშაბათს, ექსპედიცია ჭედრულში წავიდა ლიბანის გავლით. იქ ეკლესიის ნანგრევები ეგულებოდათ. ადგილზე მისულებს იმედი გაუცრუვდათ, საძირკვლის ქვე-

---

შუა წელამდე” (იხ. აკ. შანიძე, ევ კილოს კვალი საქართველოს გეოგრაფიულ სახელებში. თხზ. თორმეტ ტომად, ტ. II, თბ. 1981, გვ. 443. **დევაძევი, ხოსლევი** (სოფ. იმერხევში) ფორმების დადასტურება აღნიშნული რეგიონიდან ესოდენ დაშორებულ კუთხეში მნიშვნელოვანი ფაქტია: ერთის მხრივ გაიზარდა ევსუფიქსიან გეოგრაფიულ სახელთარიცხვი, მეორეს მხრივ, განივრცო -ევ სუფიქსის გავრცელების არეალი.

<sup>1</sup> შავშეთში 2005 წლის ექსპედიციის დროს საზღვირელზე ბახვირლებმა გვიამბეს: „ძველი ქილისას ნანგრევებიაო აქ, წარწერებიანი ქვებიც ვნახეთო... კუთხოვანი ასოებით რაღაც ეწერაო ზედ. „სივარეტის კოლოფზე გადავწერე და ბორჩხას ქართულის წერა-კითხვის მცოდნე ადვოკატთან წვედე, მინდოდა მისთვის მეჩვენებია, წიკითხა და გემეგორა ეწერა, მაგრამ რათ გინდა, ადვოკატი სტამბოლ დამხთა წესული, შემდეგ ნაწერიც დაკარქე. წარწერა ფიქალზე (რბილ ქვაზეო, – გაგვიმარტა) იყო და იშლებოდა, ბოლოს კი თლათ დეიკარქაო” – გვიამბო ნეჯათ სუმბაქემ” (მ. ფაღავა, შავშური ჩანაწერები, გვ. 22). ძნელია ამტკიცო, საზღვირელზე იყო თუ არა წარწერიანი ქვა, მაგრამ შავშური ტიპის მონრდილი ეკლესიის ნანგრევები სასაფლაოებით დღესაც არის (იხ. შ. მამულაძე, შავშეთის მატერიალური კულტურის ძეგლები. შავშეთი, გვ. 85-86). ზოგიერთის მტკიცებით აქ „თამარის სასვენია” (მ. ფაღავა, იქვე).

<sup>2</sup> იხ. . . , დასახ. ნაშრ. გვ. 243.

ბიც არ არის დარჩენილი. ლიბანიდან ჩიხორში ავიდნენ ძნელად სავალი აღმართ-დაღმართებით, იქიდან – ჭედრულში, სადაც ტაძარი მოინახულეს თავისი კიმიტერით. 4 საათზე სინკოთში წავიდნენ, სადამოს უკვე დანიშნულების ადგილზე იყვნენ<sup>1</sup>.

3 აგვისტოს ნ. მარმა აღწერა სინკოთის მაჰალეებს – გოგლიძესა და ფოლოციელს შორის მდებარე შავშეთის ერთ-ერთი დიდი ეკლესიის ნანგრევები.

სინკოთიდან ხოზაბირში (რუკაზე – ხოზაბარტი) წავიდა მოგზაური. სამი საათის შემდეგ ავიდა კიდეც იქ. ხოზაბირელებთან შეხვედრისას მკვლევრის ყურადღება მიიქცია ქართულმა ლექსიკამ ადგილობრივთა თურქულ მეტყველებაში: „ჭიშკა” (სხვები გამოთქვამენ „შიშკარ”) – **ჭიშკარი...** ხოზაბირში ნ. მარი მიდიოდა იმ იმედით, რომ შატბერდს ნახავდა, მაგრამ დახვდა შავშეთ-იმერხეული ტიპის ეკლესია.

სადამოს ექსპედიცია ხოზაბირიდან ნორგიელისაკენ წამოვიდა. მზე ჩადიოდა. მეცნიერი ცდილობდა ჩამავალი მზის ფონზე გადაეღო წყფთის ციხე, მაგრამ ვიდრე აპარატს გამართავდა, მზე გამოემშვიდობა სიმაგრეს. „ციხის კონტურები შეერწყა მთების ხაზებს და მოწყენილმა უარი ვთქვი ფოტოგრაფირებაზე,” – წერს ნ. მარი (გვ. 241). დამე ნორგიელში გაათიეს.

4 აგვისტო ექსპედიციისათვის მუკნიკეთის თავზე არსებული ძველი ნაგებობის მონახულებით დაიწყო. 9 საათზე ექსპედიცია სამწყაროში წავიდა. იქ ნახა და აღწერა ეკლესიის ნანგრევები. შემდეგ ანაკერტის გავლით ანჩაში გადავიდნენ. მკვლევარი საგულდაგულოდ აღწერს ტაძრის ნან-

---

<sup>1</sup> შევნიშნავთ, რომ ნ. მარი შავშეთსა და იმერხევს სხვადასხვა რეგიონად მიიჩნევს, რის მიზეზიც უნდა ვეძიოთ შემდეგში: ე.წ. შავშეთი – მეთურქულეა, იმერხევი – მექართულე. ქართული ენის არცოდნის გამო შავშეთს „დაუპირისპირდა” იმერხევი, როგორც განსხვავებული ქვეყანა. სინამდვილეში შავშეთი ერთი ქვეყანაა, ვრცელი, იმერხევი კი მისი ნაწილია მხოლოდ (იხ. მ. ფაღავა, რედაქტორისაგან. შავშეთი, გვ. 6).

გრეგებს. იმავე დღეს არტანუჯში ჩავიდნენ. ნახეს არტანუჯის მეჩეთი, რომლის კედელშიც ჩატანებულია ქვა ქართული წარწერით...

5 აგვისტოს არტანუჯის ტაძარი მონინახულეს და აღწერეს. ნ. მარი ასევე აღწერს არტანუჯის სხვა სიძველეებს: ზემო და ქვემო ქალაქს. საინტერესოდ გვეჩვენა მკვლევრის ასეთი ჩანაწერი: „მკრტი კიურკჩიანთან აღმოჩნდა საკმაოდ ძველი ხელნაწერი პერგამენტი გასანთლულ სქელ ქაღალდზე. როცა მე ის მომიტანეს **რისტიკიანცის** სახელში, ქალბატონმა **რისტიკიანცმა** სომხურად თქვა, ეს მათი ბაბუის მემკვიდრეობიდან არის, რომ ეს ჩავარდა მათი ნათესავის ხელში. ნათესავის აღსანიშნავად მან გამოიყენა ქართული სიტყვა „განაყოფი“, მასთან ასო „ქ“ ბრწყინვალედ იყო წარმოთქმული“ (გვ.255). როგორც ვხედავთ, მეცნიერის მახვილთვალს არაფერი რჩება შეუნიშნავი. ქართული სიტყვა არტანუჯულ სომხურში, ყს „ბრწყინვალე“ წარმოთქმა დაგვაფიქრებს ქალბატონი ტოსტიკიანცის ვინაობაზეც... ყველაფერი კი ერთხელ კიდევ გვარწმუნებს, რომ სიღრმისეულ კვლევას მოითხოვს ქართული ელემენტი ჭოროხის ხეობის თურქულში (ასევე სომხურში). საკვლეგია აქაური სომხების წარმომავლობის საკითხიც.

6 აგვისტოს, დილით, ნ. მარის ექსპედიცია ენი-რაბათში გაემგზავრა. არტანუჯიდან ენი-რაბათისაკენ მიმავლებმა მარცხნივ დატოვეს სოფ. სსუ და უნუს-ხევი, გაიარეს ხარაული (გამოჩნდა მთა, სადაც ზიარეთია, შემდეგ მარცხნივ ხავთი, ხევს იქით – ვიწროთი, ქვემოთ, არტანუჯისაკენ – ანკლია), აქედან მარჯვნივ უხევევენ, რადგანაც გზას უჭრის შუათის ხევი... ამ ხევის მარჯვენა მხარის სოფლებია: შუათი (ქვემოთ) და შავგულარი (ზემოთ). მარცხენა მხარეს – ახალში, უფრო მაღლა ხერთვისი (ხერთუსი – წარმოთქვამენ ზოგიერთნი), გაიარეს მეწაგილიც... და მიადწიეს ენი-რაბათს. ტაძარი ახლა სომეხი გრიგორიანელების ხელშია: „შენობა ხელუხლებელია, არავითარი გადაკეთება ან მინაშენი, შენარჩუნებულია საკმაოდ კარგად, სრულიად მრთელი გუმბათით.

ახალი მხოლოდ სომხური წარწერებია” (გვ. 257) – წერს ნ. მარი. მოყვანილი ამონარიდიდან ჩანს, რომ მე-20 საუკუნის დასაწყისში ტაძარი საკმაოდ კარგად არის მოღწეული. ასი წლის შემდეგ, 2005 წელს ეკლესია მძიმე მდგომარეობაში დაგვხვდა. მაშინ დღიურში ჩავიწერე: „... ჩანს, აქ დიდი სამონასტრო კომპლექსი იყო ოდესღაც. გადარჩენილია მხოლოდ საკმაოდ დიდი ჯვარ-გუმბათოვანი ეკლესია, დღეისათვის სანახევროდ დაზარეული და მოუვლელი”<sup>1</sup>.

6. მარი ჩვეული გულმოდგინებით აღწერს ენი-რაბათს (გვ. 257-263)...

3 საათზე ექსპედიცია ლონგოთხევის გავლით ტანძოთში გადავიდა. გზად გაიარეს სოფ. ლონგოთხევი, არნაული და უღელტეხილის გადაღახვის შემდეგ ჩავიდნენ დანიშნულების ადგილზე. ტანძოთში მკვლევარმა ნახა ერთი სომხური ხელნაწერი (XV-XVII სს), შესრულებული პერგამენტზე... დამე ტანძოთში გაათიეს.

7 აგვისტოს, შაბათს ნ. მარი აგრძელებს ტანძოთში დაცული სიძველეების შესწავლას. 13 საათზე წამოვიდნენ არტანუჯისაკენ. გზად დაათვალიერეს შავშეთ-იმერხეული ტიპის ეკლესიის ნანგრევები, სიმაგრე სოფ. კლარჯეთის დასავლეთით, ეკლესიის ნანგრევები (სიმაგრიდან სამხრეთ-დასავლეთით). 10 საათზე ექსპედიცია ჩავიდა არტანუჯში.

8 აგვისტოს, კვირას, ექსპედიციამ შეისწავლა არტანუჯის ზემო ქალაქი: ქალაქის კარი, ეკლესია, წყალსატევი...

9 აგვისტოს, ორშაბათს, არტანუჯიდან ჭედილში წავიდნენ ანჩისა და ნორგიელის გავლით. პირველად მივიდნენ ანჩაში, პინტიგლის მეჭვლეში, ნახეს ქვის ბოძი ეზიზ საისოლლის ეზოში, შემდეგ საწნახელი – თავადგილში, საღამოთი ნორგიელში ჩავიდნენ.

10 აგვისტო, სამშაბათი. დილით ექსპედიცია სამწყარის საზღვარზე ქოლიტაშში წავიდა, სადაც ქვის ჯვარი ინახულა, იქიდან წავიდნენ მთაზე მაღლის-უკანი. იქ აღწერეს შავ-

<sup>1</sup> მ. ფალავა, შავშური ჩანაწერები, გვ. 120.

შეთ-იმერხეული ტიპის ეკლესია. მაღლის-უკანიდან ჭიდილში გადავიდნენ. გიმნაზისტ იოსებ რისტიკიანცის ბიძამ 3 აგვისტოს ნ. მარს აცნობა, რომ ჭედილას ხევში არის ნანგრევებიანი მაღლობი – „შატბერდი“ (ზოგი გამოთქვამდა – „შაბერდი“). შატბერდის გაგონებაზე მკვლევარმა წინასწარ დაგეგმილი მარშრუტი უარყო და ჭედილას ხევში წავიდა. ადგილზე შატბერდის შესახებ არაფერი იციან, არც შაბერდზე. სამაგიეროდ იციან წყაროსთავი, ბარათეი (ჩანს, ბარეთელთა), ნუკა-საყდარი, ანძა (მთის სახელი ჯოგოს ზემოთ)...

11 აგვისტოს, ოთხშაბათს, მკვლევარი გადაწყვეტს წყაროს-თავში ასვლას. გზად ნახა და აღწერა ბარეთელთა (ბარეთელთა – მ.ფ.). აქედან აღმართებით წყაროს-თავში ავიდნენ. ნ. მარმა ჩვეული გულმოდგინებით შეისწავლა მონასტერი და მისი მიმდებარე ძველი ნაგებობები. აქედან ექსპედიცია კარჩხალას ხეობაში გადავიდა.

12 აგვისტოს, ხუთშაბათს ექსპედიცია ახალთადან ნუკას-საყდარში წავიდა. თუ წარმოვიდგენთ უფსკრულის პირზე გამავალ ბილიკებს, ტალახს, გასაგები გახდება, რა დაბრკოლება დაძლიეს მგზავრებმა, ვიდრე საყდარს მიაღწევდნენ. სახელდახელოდ გაკეთებული კიბით ნ. მარმა შეძლო მონასტერში შეღწევა და დეტალური აღწერა... შუაღდე გადასული იყო, ექსპედიცია ნუკას საყდრიდან რომ წამოვიდა. ადგილზე მოხილვისა და აღწერის შემდეგ მკვლევარი დარწმუნდა, რომ ნუკას საყდარი (ნუკა ქილისა) ძველი ხანძთაა, ნუკის წყარო კი – ხანძთის წყარო<sup>1</sup>.

13 აგვისტო, პარასკევი – ხანძთამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მკვლევარზე. ნუკას საყდარს ნ. მარი უწოდებს „უკიდურესი ასკეტიზმის“ ადგილს. მეცნიერი გადავიდა კარ-

<sup>1</sup> ნუკა/ნუკი ადამიანის საკუთარი სახელი ჩანს. შესაძლებელია, მივიწვებულ საყდარში/ქილისაში ბერმა ნუკამ დაიღო ბინა. მისი სახელიდან გამომდინარე შეარქვეს შემდგომ საყდარს ნუკას-ქილისა. ყოფილი ხანძთა იქცა ნუკას-საყდრად. ყველაფერი ეს გვიან უნდა მომხდარიყო. ყოველ შემთხვევაში, საყდრის ახალი სახელდებისას მოსახლეობას მისი ძველი სახელი არ ახსოვდა.

ჩხალას მარცხენა ნაპირზე, ვერანა ბაღებში და იქედან გადაიღო ნუკას ბაზილიკა. მოგზაურის გაცნობას იწვევს წყაროთა სიუხვე ამ კუთხეში... შემდეგ მიძნადორი მოინახულა მკვლევარმა. ჩანს, კარგა ხანს იხეტიალეს მიძნადორის ეზოში ექსპედიციის წევრებმა, გულმოდგინედ დაათვალიერეს ტაძრის ჯერ კიდევ გადარჩენილი ნარჩენები, აზომეს, ჩაინიშნეს... (გვ. 318). შემდეგ ნ. მარი მდინარის გაღმა გასულა, მარჯვენა ნაპირზე და იქედან გადაუღია მიძნადორი, მაგრამ ფირფიტა გამჟღავნებამდე დამსხვრევია გზაში, ამიტომაც მიძნადორის ძველი ფოტო ჩვენამდე არ მოღწეულა, ახლა კიდევ ბევრი აღარაფერია გადასაღები.

14 აგვისტო, შაბათი. ექსპედიცია ახალთადან პორტაში გაემგზავრა კარჩხალასა და მისი შენაკადის, ცხუმურის ხეობით. ძალიან მძიმე პირობებში უხდებოდათ მუშაობა. მოვიტანთ ამონარიდს „დღიურიდან“: „...უკვე გახევამოსწრებულ ჩექმებზე მეცვა ადგილობრივი ქალამნები, სპეციალურად ფერდობისათვის რომ ამზადებენ. მე ვიყენებდი ჯოხსაც. ფეხები მეკვეთებოდა შიმშილისგანაც. დილით მე ჩვეულებრივ ორი ჭიქა ჩაით ვკმაყოფილდებოდი. პურიც ცოტა იყო და მე მას ვიზოგავდი. გაცხინჯე ბისკვიტები (ოდესის რომელიღაც ფირმისა), არტანუჯში შეძენილი, მაგრამ მათ საპნის გემო და პირის ღებინების მოქმედება ჰქონდა. დილით მე ადრე გავიღვიძე. სანამ გზისთვის ვემზადებოდი (ზოზინში აქაურები ძალიან ჰგვანან ბედუინებს), საკმაოდ დრო გავიდა. ჯანმრთელი, სუფთა, მთის ჰაერი აუტანლად ზრდიდა მადას. შედეგის იყო, რომ მე ხარბად შევექვეცი ხუთი დღე-ღამის, მოგზაურობით საკმაოდ გაქვავებულ არტანუჯულ პურს. მარაგში მქონდა სარდინების ყუთიც, მაგრამ ენა მოტყდა. ხელთ მქონდა კონსერვების გასახსნელი ხელსაწყო, მაგრამ დამსწრეთაგან ვერავინ შეძლო მისი გამოყენება. მე კი ახლა ძალიან არ მეყო. პირველად ვიგრძენი დაღლა...“ (გვ. 319-230). მგზავრები ჯერ ზემო ფორთაში ავიდნენ, აქედან დაემშენებ დაბლა, ფორთის ხევში, სადაც მონასტერია. ფორთას ხილ-

ვისას პირველი განცდა, რაც მკვლევარს გაუჩნდა იყო, რომ იმყოფებოდა შატბერდში.

15 აგვისტო, კვირა. ნ. მარი განაგრძობს ქვემო ფორტის მონასტრისა და მისი შემოგარენის შესწავლას. შესასწავლი კი ძალზე ბევრია: სამონასტრო ნაგებობები, ეკლესია, წარწერები... ქვემო ფორტაში აგრძელებენ მუშაობას 16 აგვისტოსაც, შუადღე კარგა ხნის გადასული იყო, როცა ექსპედიცია ოპიზისაკენ გაემართა. გზად გაიარეს: **ყოლთი-ხევის დარტაფი, ქუსლა** (ფერდობი, სადაც შავშეთ-იმერხეული ტიპის ეკლესია აღწერეს).

17 აგვისტო, სამშაბათი. ექსპედიცია მუშაობს ოპიზაში, აღწერს ტაძარს და ტოპონიმებს... საყურადღებოა, რომ ნ. მარის ძიებამ გავლენა მოახდინა მხლებელზე, ჩაფარ ამბარცუმზე. ერთხელაც ასეთი დიალოგი გაიმართა ამბარცუმსა და ექსპედიციის ხელმძღვანელს შორის:

„– მითხარით, გეთაყვა, ძველად იყვნენ ადამიანები ჭკვიანი თუ ახლა? – მოულოდნელად მკითხა ერთხელ ამბარცუმი. მას განსაკუთრებით აოცებდა წინაპრების უნარი, ნაგებობისათვის შეერჩიათ საუკეთესო ადგილები არა მარტო მოხერხებულობით, არამედ სილამაზითაც.

– აქ რა კარგია?! – იძახდა ამბარცუმი, როგორც კი ვეცნობოდით ახალი მონასტრის მდებარეობას. მას აოცებდა სასარგებლო ნაგებობების, საწნახელების, სარდაფების, ხიდების სიმტკიცე. შენობის, მონასტრის სათავსოებისა და დარბაზების გრანდიოზულობა.

– ნუთუ ამას ქართველები აკეთებდნენ? – მკითხა ამბარცუმი მერამდენედ უკვე ოპიზაში.

– დიახ, ქართველები!...”

იმდენად ნაცნობი სიტუაციაა, რომ გადავწყვიტე მომეტანა ეს დიალოგი მთლიანად. საინტერესოა მისი გაგრძელება, სადაც ჩანს ნ. მარის დამოკიდებულებაც მტკიცეული პრობლემის მიმართ:

„– შეიძლება კათოლიკე ქართველები?

სომხებში, დაბალ წოდებაში, რელიგია გაიგივებულია ეროვნებასთან და მე ვშიშობდი, შევძლებდი თუ არა მისთვის ამეხსნა, რომ კათოლიკე ქართველი, თუ ასეთი მართლაც არსებობს, ისეთივე ქართველია, როგორც ქართველი ქალკედონელი.

ამბარცუმ ტაისუჯიანი არტანუჯელია, კათოლიკე სომეხი. მისი ბაბუა ახლციხიდანაა.

– არა, – ვუპასუხე ამბარცუმს, – ისინი მართლმადიდებელი ქართველები, ქალკედონელები იყვნენ, „პრომეები“ (რომეები)! მაგრამ მითხარით, რომელი ქართველი კათოლიკეები გყავთ მხედველობაში?

– ჩემი წინაპრები კათოლიკე ქართველებია! მე ქართული არ ვიცი. მამაჩემმა ქართული იცოდა. ბაბუაჩემმა სომხური კი არა, ქართული იცოდა...

ეს შენიშვნა ამბარცუმის შესახებ შემაქვს, როგორც მასალა კათოლიკე ქართველებზე საკამათო საკითხისათვის” – წერს მკვლევარი (გვ. 366-367).

ამბარცუმ ტაისუჯიანის შესახებ ნ. მარის მონათხრობი მრავალ კითხვას აჩენს, უპირველესად ადგილობრივი მცხოვრებლების მსოფლმხედველობისა და ეროვნული იდენტობის, ეროვნული კუთვნილების შესახებ. პრობლემა უაღრესად სათუთია და ფაქტების გამოწველილვით ანალიზს მოითხოვს დასკვნების გაკეთებამდე.

18 აგვისტო, ოთხშაბათი. ნ. მარი დილით ავსებს ტაძრების შესახებ ინფორმაციას და ბერთაში მიემგზავრება: გაიარა **კაპარია** (აქ შეაგროვეს ცნობები **პარეხის** (**//ფარეხის**) შესახებ) და ავიდა ბერთაში. მონასტერი მდებარეობს იქ, სადაც ტალტოშისწყალი ერთვის კარჩხალას.

19 აგვისტო, ხუთშაბათი, დილით ექსპედიცია პაპაურადან (ბერთას უბანია) პარეხთასაკენ დაიძრა კარჩხალას ხეობით, გაიარეს სილაურთ-წყალი, კობკური, გადავიდნენ დუგნალის ხეობაში და ავიდნენ დანიშნულების ადგილას (ნ. მარმა ვერ შეძლო პარეხთას ქვაბებში ასვლა ძნელადმისადგომობის გამო). მკვლევარმა დაათვალიერა გარემო და 9 სთ.

და 50 წუთზე დატოვა პარესთა. გზად აღწერა რამდენიმე გა-  
მოქვაბული და ეკლესია.

20 აგვისტო, პარასკევი, ნ. მარმა ბარგი ართვინში გაგ-  
ზაგნა, თავად კი გადაწყვიტა, დაეთვალიერებინა დაბა,  
ჯმერკი და დოლისყანა. 12 საათზე გამოვიდნენ პაპაურადან.  
კარნახალას ხიდამდე ფეხით მიდიოდნენ: „გადავედით ტოლ-  
ტოშა და გაისმა მუეზინის (sic) ძახილი ოდესღაც მონას-  
ტრადყოფილი სიმაღლიდან. დღე სადღესასწაულო, პარასკე-  
ვი იყო. სევდას გვგვრიდა ოდესღაც ქრისტიანობის ბურჯზე  
ისლამის მოხეიმე ხმის გაგონება... იმათი მკვიდრი შვილები,  
ვინც ააგო ქრისტიანობის ეს ძეგლები, მიისწრაფოდნენ ზე-  
მთო ტაძარში, რომ თავიანთი ლოცვით იმ ფორმებში გადმო-  
ეცათ თავიანთი განწყობა, რაც უცხო იყო ბერთას მშენებ-  
ლებისათვის. სევდას გვგვრიდა შეხედვა, სევდას გვგვრიდა  
მოსმენა...” (გვ. 392). დადარდიანებული ტოვებდა მოგზაური  
აქაურობას, გზად ჯერ დაბაში შეიარა, შემდეგ – ჯმერკში.  
ღამე ჯმერკ-ჭალას ბაღებში, ოსმან ასლან-ოღლისა და მისი  
ძმების ოჯახში გაათია.

21 აგვისტო, შაბათი. ექსპედიცია ჯმერკიდან დოლისყა-  
ნაში გაემგზავრა. ნ. მარმა დაწვრილებით აღწერა დოლისყა-  
ნა და ართვინისაკენ წავიდა. შუადღისას უკვე ართვინში იყ-  
ვნენ.

22-23 აგვისტო (კვირა-ორშაბათი) ნ. მარმა ართვინში გა-  
ატარა. დაათვალიერა და აღწერა აქაური სიძველეები, მათ  
შორის, ღვთისმშობლის გრიგორიანული ეკლესიის ოთხთა-  
ვი...

24 აგვისტოს ნ. მარი ართვინიდან ნავით ბათუმში გაემ-  
გზავრა.

ამით დასრულდა ნიკო მარის ისტორიული ექსპედიცია  
შავშეთსა და კლარჯეთში. მოგზაურობა გაგრძელდა 1904  
წლის 18 ივლისიდან 24 აგვისტომდე (37 დღე). ექსპედიციამ  
მოიარა ისტორიული შავშეთი და კლარჯეთის ის ნაწილი,  
სადაც გრიგოლ ხანძთელისა და მისი მოწაფეების დაარსე-  
ბული წმინდა სავანეებია გაშენებული. ჩანაწერებიდან ჩანს

ავტორის მეცნიერული ინტერესების მრავალფეროვნება და  
ღრმა ერუდიცია, მიზანწრაფულობა და გამძლეობა... „დღი-  
ურებში” მკვლევარი განიხილავს პრობლემათა წყებას, რო-  
მელთა შესახებაც მომდევნო პარაგრაფებში ვისაუბრებთ.

## §2. ქართული ენა შავშეთსა და კლარჯეთში

შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობისას, ნ. მარი აკ-  
ვირდებოდა ენობრივ სიტუაციას ისტორიულ ქართულ პრო-  
ვინციებში. გაგიმეორებთ და აღვნიშნავთ: ა. ისტორიულად  
შავშეთი გაიყო ორ „რეგიონად”, საკუთრივ შავშეთად და  
იმერხევად. მეთურქულე მხარე შავშეთია, მექართულე –  
იმერხევი. ჩანს, ამ დაყოფას საფუძველად უპირველესად ქარ-  
თული ენის შენახვა-დავიწყება უდევს. ეროვნული მეობის  
უპირველესი ნიშანი სწორედ მშობლიური ენის ცოდნაა. გან-  
საკუთრებით ეს ითქმის უცხო გარემოზე. პრინციპი ასეთია:  
იცი ქართული ენა, ხარ ქართველი, არ იცი – არ ხარ ქარ-  
თველი. სწორედ აღნიშნულ საფუძველზე ორად – **იმერხევად**  
და **შავშეთად** გაიყო ისტორიულად ერთი ქართული ქვეყანა.  
ქართველოლოგიაში დამკვიდრდა ტერმინი **შავშეთ-იმერხევი**,  
თურქეთის რესპუბლიკის ქართული პროვინციების (შავშეთი,  
კლარჯეთი) ქართული მეტყველებისათვის – **იმერხეული კი-  
ლო** (ტერმინები ეკუთვნის ნ. მარს). მიუხედავად იმისა, რომ  
აღნიშნულ ტერმინებს გარკვეული საფუძველი აქვს, ვფიქ-  
რობთ, ვერ ასახავენ რეალობას: შავშეთ-იმერხევი ერთი რე-  
გიონია და მის აღსანიშნავად უნდა გამოვიყენოთ ტერმინი  
**შავშეთი**, იმერხევი მხოლოდ მისი ნაწილია, იგი ისტორიუ-  
ლად არაა ცალკე ქვეყანა<sup>1</sup>. არც ლინგვისტურ ქართველო-

<sup>1</sup> ტერმინის **შავშეთ-იმერხევი** შექმნას, შესაძლოა, იმანაც შეუწყო  
ხელი, რომ ოსმალთა ბატონობის ხანაში „შავშეთი, იმერხევი და მაჭა-  
ხელი ოსმალეთის იმპერიაში ცალ-ცალკე სანჯაყებს (სადროშოებს)  
წარმოადგენდნენ” (იხ. ზ. შაშიკაძე, შავშეთი ოსმალეთის იმპერიაში.  
შავშეთი გვ. 17 და შემდეგ). შეიძლება ეს მომენტი დაედო საფუძველად  
ისტორიული შავშეთის ორ (სამ) ქვეყნად გააზრებას.

ლოგიაში დამკვიდრებული იმერხეული კილო რეალობის ამსახველი ტერმინი: ჯერ ერთი, როგორც ვთქვით, იმერხევი შავშეთის ნაწილია მხოლოდ, იმერხეველთა მეტყველება კი – ისტორიული შავშური კილოს. ამიტომაც, იმერხეული კილოს ნაცვლად უნდა ვიხმაროთ: შავშური კილო (მოდწეულია იმერხეული და მაჭახლური მეტყველების სახით) და კლარჯული კილო (მოდწეულია მურღულის, დევსქელისა და ლივანას ხეობათა მეტყველების სახით)<sup>1</sup>. ბარემ აქვე აღვნიშნავთ, კლარჯეთიც შეიძლება გავყოთ ორად: მეთურქულე კლარჯეთი (არტანუჯის მხარე, აღმოსავლეთი კლარჯეთი) და მექართულე კლარჯეთი (მურღულის, დევსქელისა და ლივანას ხეობები, დასავლეთი კლარჯეთი). სიზუსტისათვის: ლივანას ხეობაში იგულისხმება ჭოროხის ქვემო წელზე გაშენებული ერგეს ზემოთა (მირვეთი, მარადიდი, კირნათი, ხება...) და ბორჩხის მიმდებარე სოფლები.

ჭოროხის ხეობაში კიდევ ერთ ქართულ პროვინციაში, ტაოშიცაა გადარჩენილი ქართული ენა. ისტორიულად ტაოს ვრცელი ქვეყნიდან ქართულად საუბრობენ ელიასხევის რამდენიმე პატარა სოფელსა და ჭილათში. მათ მეტყველებას ტაოურ კილოს ვუწოდებთ.

დაბოლოს, შავშური, კლარჯული, ტაოური და აჭარული (მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებითურთ) სტრუქტურული მახასიათებლებით ერთმანეთთან ახლოს დგანან და შესაძლებელია, მათ ქართული ენის სამხრული კილოები ვუწოდოთ.

<sup>1</sup> სამხრული მეტყველების დიალექტური შედგენილობის შესახებ იხ. მ. ფაღავა, სამხრული კილოების ფონემატური სტრუქტურა, სადოქტორო დისერტაცია (სელნაწერი), ბათუმი, 2003, გვ.8-28; მ. ცინცაძე, მ. ფაღავა, შავშური კილო. შავშეთი, გვ. 219; მ. ფაღავა, ენობრივი სიტუაცია სამხრეთ საქართველოში და სამხრული მეტყველების დიალექტური შედგენილობის საკითხი. ბსუ შრომები (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სერია), ტ. III, ბათუმი 2003, გვ. 10-11; შდრ. შ. ფუტკარაძე, ქართული ენის სამხრულ-დასავლური დიალექტების თავისებურებანი ისტორიული ტაო-კლარჯეთისა და მუჰაჯირი ქართველების მეტყველების მიხედვით. სა-დისერტაციო მაცნე, თბ. 1995.

ასეთია ჭოროხის ქვეყნების ქართული მეტყველების ზოგადი სურათი.

დავუბრუნდეთ მთავარ სათქმელს: რა მდგომარეობაა ქართული ენის მოღწეულობის თვალსაზრისით შავშეთში?

წინასწარვე აღვნიშნავთ: შავშეთი, ისევე როგორც ისტორიული სამხრეთ საქართველოს სხვა პროვინციები (აჭარის, ქვემო მაჭახლისა და კლარჯეთის რამდენიმე სოფლის გარდა, რომლებიც დღეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შემადგენლობაშია) რამდენიმე საუკუნეა სხვადასხვა კულტურათა შეხვედრისა და დიალოგის ასპარეზადაა ქცეული, რაც ზოგჯერ იმით დასრულდა, რომ ქართული თურქულმა შეცვალა (ისტორიული ტაოს დიდი ნაწილი, მეთურქულე კლარჯეთი და შავშეთი, სპერი, მტკვრის ხეობის თურქული ნაწილი...), ხოლო იქ, სადაც ჯერ კიდევ შენარჩუნებულია ქართული ენა, მოსახლეობა ორი ენის, – ქართულისა (მშობლიური) და თურქულის (სახელმწიფო, „დიალოგში“ გამარჯვებული) მატარებელია. შესაბამისად, რეგიონში გვხვდება განსხვავებულ კულტურათა შერევის შემთხვევები.

ქართული ენა შენარჩუნებულია მექართულე შავშეთის სოფლებში: ბაზირეთი, გამეშეთი, ზიოსი, ხევწრული (წვეწვრილი), ზაქიეთი, დაბა, უბე, სურეგანი (წვირეგანი), უსტამისი, ივეთი, იფხრეული, ჩაქველთა, მანატბა, მანხატეთი, ნიოლეთი, ბრილი, აგარა, ზენაგარა, წეთილეთი, პალეხლი (\*პარეხლი – მ.ფ.), დავლათი, ჩიხისხევი (ჩიხისცევი), დასამობი, ოთხკილდე, ჯვარისხევი, ბზათა, ხოხლევი, შოლტისხევი, კოკბერეთი, ბოჯანეთი, ქოქლიეთი.

**შეგნიშნავთ:** მექართულე შავშეთის ყველა სოფელში ქართული ენა თანაბრად არაა შენახული. ქართული უფრო იციან უფროსი და საშუალო ასაკის შავშელებმა, ახალგაზრდებმა უმეტესად – არა. ამის მიზეზი მრავალია, მაგრამ მთავარი მაინც რეგიონში შექმნილი ისტორიული ვითარებაა...

ქართული ენა დაუვიწყიათ შავშეთის შემდეგ სოფლებში: დიობანი, წყალსიმერი, ყვირალა, ზენდაბა, ჯინალი, მიქე-

ლეთი, ჩიხეთა, ჯუარები (ჭუარები), კარავეთი, თურმანეთი, კოთხევი, ახალდაბა, ციხისძირი, დაბაკეთილი, ველი, ტბეთი, გარყლობი, შავთა, წიწვეთი, სამჯელი, სოფორო, ქოთეთრისი, ხანთუშეთი, ვერხნალი, მოროხოზი, ცეცხლაური, გურნათელი, ვანთა, მამანელისი, ოქრობაგეთი, კუჭენი, შავქეთი, სულისი, ბაღვანა, ჩართულეთი, ანკლია, ჯარათი, მოქთა, სინკოთი, ჭიდილა, მუხობანი<sup>1</sup>.

ასეთია მდგომარეობა ქართული ენის მოღწეულობის თვალსაზრისით თანამედროვე შავშეთში. თუ რა სიტუაცია იყო გასული საუკუნის დასაწყისში სანდო ცნობებს ვხვდებით ნ. მარის „დღიურებში“. აღვნიშნავთ, რომ მას სპეციალურად არ უკვლევია შავშური და კლარჯული (მისი ტერმინით – იმერხეული) დიალექტები. მკვლევარს უფრო სხვა პრობლემები აინტერესებდა, თუმცა გზადაგზა ყურადღებას მიაქცევდა ადგილობრივთა მეტყველებასაც.

– ოქრობაგელი სომხების საუბარში მკვლევარმა შენიშნა რამდენიმე ქართული სიტყვა: გოგო, სარწყავი, ჩიტი, ძერა, მორიელი (გვ. 113);

– ქართულად არ ლაპარაკობენ ტბეთში, მაგრამ მეცნიერი შენიშნავს, რომ მუსიკალური ინსტრუმენტის, ჭიბოლს (თულუმი) სხვადასხვა ნაწილის სახელი ქართულია: ღირღიტოღერღეტი (სატუჩე), ქარახსი (ნ. მარი დაძებნის პარალელურებს ლექსიკონებში: ქარახსი (საბა), ქარახსა, resp. ქარახსა (ჩუბ.), შეინარჩუნა მნიშვნელობა „ყანწი ღვინისათვის“ (სქ. გვ. 139), ნაუ – ხის შუალედი ტიკსა და ბოლოს შორის (ნავი – აქ ღარის მნიშვნელობით), დუდუკი, ტიკი (გვ. 139).

– მოგზაური ესაუბრება გარყლობელ მოხუცს შავ-მთაზე არსებული ეკლესიის შესახებ და მოულოდნელად აღნიშნავს: „სიტყვამ მოიტანა და მოხუცი ძლივს, მაგრამ მაინც ლაპარაკობს ქართულად“ (გვ. 146). ეს ცნობა გვაძლევს სა-

<sup>1</sup> იხ. მ. ფაღავა, სამხრული კილოების ფონემატური სტრუქტურა, სადოქტორო დისერტაცია (ხელნაწერი), ბათუმი, 2003, გვ. 8-28; მისივე: შავშური ჩანაწერები, გვ. 343; მ. ჩოხარაძე, შავშეთის სოფლები. შავშეთი... გვ. 24-40.

ფუძველს ვთქვათ, რომ გარყლობში XX საუკუნის დასაწყისში ჯერ კიდევ ისმოდა ქართული.

„– სვირევანში „ქართული ენა ... საოჯახოა, მაგრამ ურევან თურქულ სიტყვებს, ასე: ბელქი – შეიძლება, რაჰათი – თავისუფალი, იშტა – მადა...“ (გვ. 149).

– ჭედილში კვლავ ისმის ქართული ენა (გვ. 279). ქვემოთ კიდევ აზუსტებს ამ ცნობას მკვლევარი: „ქართული ენა ჭედილში ძალზე სუსტად გავრცელებული აღმოჩნდა. ბავშვებმა და ახალგაზრდებმა თითქმის არ იციან ის. მხოლოდ მოხუცი ქალები საუბრობენ. როგორც მაცნობა მე „სამოცი წლის მოხუცმა“, რომელიც ქართულის ყველაზე კარგ მცოდნედ ითვლება, თუმცა ის ყოველ ნაბიჯზე თურქულზე გადადის“ (გვ. 280-181). ნაცნობი სიტუაციაა, როდესაც ინფორმატორი გესაუბრება ქართულად და ისე რომ ვერც ამჩნევს, თურქულზე გადადის. თუმცა ერთხელ საპირისპირო შემთხვევაც დავაფიქსირეთ, კერძოდ: მიძნაძორის მონასტრის ნანგრევების დათვალიერების შემდეგ ვესაუბრეთ იქვე მცხოვრებ მოხუც ქალბატონს, რომელმაც განაცხადა, რომ თურქია და ქართული არ იცის. გვესაუბრებოდა თურქულად, გვიყვებოდა მონასტრის შესახებ... მოულოდნელად იგი ქართულზე გადავიდა და განაგრძობდა თხრობას. ჩვენს გაოცებას მოჰყვა გამეშეთელი მუსტაფა გამეშიძის კომენტარი: „ახლა ამა გონია, თურქულად ლაპარაკობს“.

– „ქართული ენა ასე თუ ისე ესმით ახალთაშიც, რომლის მცხოვრებლები არიან ჭიდილიდან გადმოსულები, მუდმივად აქ მყოფნი, ან ზაფხულობით მომსვლენი. თუმცა ჩემთან მოსაუბრე მოხუცი ფორთელია. ვერც ერთ ფრაზას ისე ვერ ამთავრებენ, რომ თურქულზე არ გადაუხვიონ. არაფერს ვამბობ თურქული სიტყვების მინარევზე ადგილობრივ ქართულ მეტყველებაში“ (გვ. 310).

– ქვემო ფორთაში ქართული ენა აღარ ისმის (გვ. 322).

– ოპიზაში „ქართული ენა დავიწყებულია“. მათ თურქულ საუბარში გვაოცებს წარმოთქმის სისწრაფე. განსაკუთრებით გამაოცა ჩემმა მასპინძელმა, კედემ ლომან-ოღლიმ,



რომელიც ბერთელად წარმოგვიდგა. იგი ისევე სწრაფად მოძრაობს, როგორც ლაპარაკობს, რომ ერთი მარცვლის წარმოთქმის დრო ჰყოფნის სამი და უფრო მეტმარცვლიანი მთელი სიტყვის წარმოსათქმელად. მაგრამ ის სხვებივით კვეცავს, ან საერთოდ ყლაპავს ხმოვნებს. **ფუნდარაია** (წყაროსკენ) მის წარმოთქმაში ისმის **ფუნდარაია**. ამავე დროს ერთმარცვლიან სიტყვებს იგი ასამმაგებს – ჰეჰეჰე „ჰე“-ს მაგიერ”(გვ. 354).

**შენიშნავთ:** შავშელები და მათი მეზობელი კლარჯებიც ჩვეულებრივ სწრაფად საუბრობენ, მაგრამ სიტყვაში **ფუნდარაია** (**აფუნდარაია**) ხმოვანი არ იკვეცება, ისმის ირაციონალური – გ ხმოვანი: **ფუნდარაია**. ამის თქმის უფლებას გვაძლევს ჩვენ მიერ შავშური კილოს ჩაწერილი მასალები და შავშელთა მეტყველებაზე უშუალო დაკვირვება: ჩხისხევი (ჩიხისხევი), კვლდე (<კილდე), ცვხისძირი (<ციხისძირი). გ-ხმოვნის გაჩენის მიზეზი შავშელთა წარმოთქმაში სხვადასხვაა.<sup>1</sup>

– ყვირალას (ადგილობრივები უწოდებენ ყურიალასაც, შენიშნავს ნ. მარი) ხეობელები („თურქები“, უფრო სწორედ ქართველი მუსლიმანები) სათავეს „ჰინძანს“ (სომხ.) უწოდებენ. ფხიკიურელ ყაზარ ნერსეციანს „უნდოდა აეხსნა, რომ ეს არის სარდაფი ღვინისათვის, „მარანი“ და არა ჰინძანი“, მაგრამ ქართველი მუსლიმანი ამტკიცებდა, რომ ისინი აქ სათავეს უწოდებენ „ჰინძანს“ და მეტი არაფერი იცის. კითხვაზე, ხომ არ იციან მათ „საწნახელი“, ქართველმა მუსლიმანებმა უპასუხეს: რომ ეს არის კიდეც საწნახელი, რომ ისინი მას უწოდებენ „ჰინძანსაც“ და „საწნახელსაც“ (გვ. 150). იქვე ავტორი ასახელებს ლექსემებს: **დარყევა**, წისქვილის ნაწილებს: **ქვა**, **ქუშირი** (ჭურჭელი სიმინდისათვის), **ჩახჩახი**, **ხიდე**, **თოკი** ან **საბელი**, **ფქვილი**, **ნიჩაბი**, **ფეხი...** (გვ. 150).

<sup>1</sup> მ. ფაღავა, გ სამხრულ კილოებში. რსუ შრომები, VI, ბათუმი, 2004, გვ. 3-8.

– ფხიკიურელმა ქართველმა ვირთხაზე თქვა – **თაგუ**, „სომეხი ირწმუნებოდა, რომ მას ყველა იცნობს ქართული სახელით „მეშივ“ (გვ. 154). სქოლიოში ნ. მარი შენიშნავს: ფხიკიურში შევნიშნე, რომ კაკლის ხეზე აძვრა კატის მსგავსი მუქი წაბლისფერი ცხოველი, ფხიკიურელმა გაზარმა მას უწოდა **სასქუქი სასითი** – **კაკლის კატა**, სხვა ფხიკიურელმა დაადასტურა, რომ ეს არის სწორედ **მეშივი**, ქართველმა მუსულმანმა მას უწოდა **თათარზენა** (გვ.154, სქ.)<sup>1</sup>. აქვე მკვლევარი ადასტურებს ტერმინს **ხორა**, – კანის დაავადება.

საყურადღებოა ზაქიეთელთა მეტყველების ნიმუშების ნ. მარისეული ჩანაწერები:

– „ეს ერთი ცალერია, დავსილი: ბევრს არ ძლებს სიცივეში“.

„ეს თვე რომ დაილევს, მარიობაჲ, ართუხ სიცივე მოვა. იქნება რომ ოცდაოთხ საათ არ გამოვალთ. ბაზი ყირხ სექიხ საათ იქროლებს ქარი“ (გვ.163). სქოლიოში შენიშნავს: „მარიობა“ – ასე უწოდებენ ქართველები, ქრისტიანები ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულს აგვისტოში. იმერხევში კი აგვისტოსაც მარიობა ქვია“. შევნიშნავთ, რომ აგვისტოს **მარიობა** ქვია აჭარაშიც, კლარჯეთშიც, იციან ტაოშიც. მოყვანილი ამონარიდი საინტერესოა, რომ ნ. მარი „ქართველსა“ და „ქრისტიანს“ სინონიმებად მიიჩნევს, როგორც **„თურქსა“** და **„ქართველ მუსლიმანს“** (გვ. 150).

მკვლევარი ფოლკლორული მასალების ჩაწერისას იყენებს გრაფემას ფ (ირალი), თუმცა იმავე სიტყვას „მთხრობელი საიდუ წარმოთქვამდა **ფირალი**// **ბირალ**“ის გვერდით (გვ.175). საინტერესოდ გვეჩვენება: **დალატობა**//**დელეუტობა**; **გულის-და** (შდრ. ქვ. აჭარ., გურ. **გულიზა**), ასევე ზმნისწინთა მონაცვლეობა: მიფუშტეს – „დამატყვილეს“ შდრ. „მომატყვილეს“(გვ. 180). ნ. მარი მკითხველის ყურადღებას მიაქცევს,

<sup>1</sup> შავშეთში ციყვს ახლაც **თათარზენას** უწოდებენ. შდრ. ტაოურ **კაკლი** მყვარს.

რომ მოხრობელმა „ქართული „დამატკვილა“ ... ამიხსნა ქართულადვე: „მან შემატრა“ (იქვე).

შავშური დიალექტის შესასწავლად მნიშვნელოვანია მეცნიერის მიერ ჩაწერილი შავშური ფოლკლორის ნიმუშები, რომლის შესახებაც ქვემოთ ვისაუბრებთ.

ბოლოს ნ. მარი შეაჯამებს თავის დაკვირვებებს „იმერხეულ კილოზე“:

ა. იმერხეულში შეინიშნება ხმოვნების მიმსგავსება, როგორც იმერულ და გურულ კილოებშია: მაგ. დეიჭირვენ, გაღმიელები, დეებმიან, დოუხედვებია. „ეს ვულგარიზმებია, როგორც წავდა(?), მოვლა ნაცვლად: წავიდა, მოვიდა. ვულგარიზმია ქომო ქვემოს ნაცვლად, ქუემო არის ო“ში შერწყმა ორი ხმოვნისა, მაგრამ არა ვე, resp. უე, არამედ ვა, resp. უა (\*ქვამო resp. ქუამო).

ბ. თანხმოვანთა დამთხვევისას შეინიშნება გადასმა. იმერხეული კილოსათვის დამახასიათებელია ლესკი resp. ლესგი დექსის მაგიერ... მკვლევარს შესადარებლად მოჰყავს თურქ. ექსი (<\*ეკსი) ესკი“ს ნაცვლად.

გ. ს“ს დაკარგვა მომდევნო თანხმოვნებთან ასევე ახალი მოვლენაა. მაგ. თველზე, ნაცვლად სთველზე, აწავლის, ნაცვლად – ასწავლის. ასეთ პირობებში იკარგება მ: თა, და არა მთა... მთლიანად მარცვლის ამოვარდნის შემთხვევა გვაქვს ჭოუ ან ჭო“ში, თუ ეს არის შეკვეცილი ფორმა სიტყვისა ბიჭოუ, resp. ბიჭო.

დ. არქაული მრ კომპლექსი ნაცვლად რმ“სი: მემრე (შემდეგ). სხვათა შორის, იმერხეულში ისმის თხუთმეტი და არა თუთხმეტი;

არქაიზმი შეიძლება იყოს მ’ ვ“ს ნაცვლად სიტყვაში ვიწრო: მიწრო გზა არი. ვ შენარჩუნებულია „არ იშოვნება“ში“ (გვ. 225).

ე. იმერხეველებმა შეინარჩუნეს ნახევარხმოვანი ზ, რომელიც ძველ ქართულ დამწერლობაში გამოიხატებოდა უ ასოთი. ზ ნ. მარის ტექსტებში იხმარება იმავე ნახევარხმოვნის

გადმოსაცემად. ასე მაგ. წვმა=წუმა და არა წვიმა, ან წუმა, დეკეული=დეკუელი.

სქოლიოში ნ. მარი გვთავაზობს დეკეულის ასეთ ახსნას: ბულა – დაუყვერავი, დაყვერილი – ჯარი, სულ პატრობაში მოხვერი, ფური – ზროხა, **პაწა ზროხა** – დეკეული, სულ პაწა – ხბო.

ვ. იმერხეულში ზოგან ვ შესამჩნევად განსხვავდება ხ“საგან. მაგ. ზაქიეთში მე მომიხდა აღმენიშნა ამ ბგერის სრულიად ნათელი განსხვავება, ვ ყრუ ბგერაა, ხ – მჟღერი(?). როდესაც მე ზაქიეთში ამას მივაქციე ყურადღება, იქუხა და ზაქიეთელმა ჩემს კითხვას: „რა არის ეს?“ უპასუხა: ახლა ქუხს, დაქუხა. იმისათვის, რომ მქონოდა ვ“ს მაგალითი, მე ვკითხე მთის ნაკადულზე, თუ რა ქვია მას: ამას ჰვეი ქვია... პატარა რომ იქნება, ღელეს ვეტყვით, დიდი – ჰვეია. ასევე ვ და არა ხ წარმოთქვა მან სიტყვებში: ფევი, ჯარი, ჰვლი, ჰმელი. ე.ი. სრულიად ისე, როგორც ძველ ქართულში, თუნდაც ორი ხ“ს განსხვავების თვალსაზრისით.

ზ. ნათესაობითში ს“ს ჩავარდნის შემთხვევაა: **იმითანა** იმისთანა“ს ნაცვლად.

– მიცემითში –ს ასევე ჩავარდება: ბევრ ინადირებენ, დათვ-მათვ ბევრ მოკლენ, სოფლებ ნახავთ...

თ. ნაცვალსახელებში თვალში საცემია არა იმდენად რავად, ჩვეულებრივი გურულისათვის, რამდენადაც იმათი, მათი, ნაცვლად გურული იგენი“სა, განსაკუთრებით იშვიათი არქაული ფორმა **რომენ** რომე“ ნაცვლად, resp. ძვ. ქართული **რომელ**<sup>1</sup>.

<sup>1</sup> მოგვიანებით ნ. მარმა გამოთქვა მოსაზრება, რომ **რომელ**, **რომენ**, **ვითარმელ**, **არამელ** სიტყვებში გამოიყოფა **მელ//მენ//მედ** ელემენტები, რომელთაც უკავშირდება მე ნაწილაკი (იხ. . . . , 1925, . 126). თუმცა საენათმეცნიერო ლიტერატურაში არის განსხვავებული მოსაზრებებიც (იხ. ე. ბაბუნაშვილი, ნაწილაკები ძველ ქართულში (საკანდიდატო დისერტაცია), თბ. 1953, გვ. 148-149; თ. უთურგაიძე, კითხვითი ა და მე ნაწილა-

ი. თავისებურად გამოიყენება ზმნისწინი ზმნებში, მაგ. დაგწონდა (მოგწონდა'ს ნაცვლად) ეგ ადგილები, ბატონო?

კ. დაშტვენა (გურული დაფშტვენა<sup>1</sup>), ე.ი. ფორმა ფ ფორმანტის გარეშე. შესაძლებელია არქაული მოვლენაც. თავისებურია დათვ-მათვი, ბალან-ბუღანა წარმოება (გვ. 226).

შემდეგ მკვლევარი გვთავაზობს იმერხეულ გლოსარს (ლექსიკონს) (გვ. 226-230). განმარტებულია 50-მდე სიტყვა.

ასეთია ნ. მარის დაკვირვებები იმერხეულ (შავშურ-კლარჯულ – მ.ფ.) კილოზე. ლაკონურად ეხება მკვლევარი იმერხეულის ძირითად მახასიათებლებს. მისი განმარტებები მკაფიო და სანდოა. ამის თქმა დღეს შეგვიძლია, რამდენადაც უკვე ვიცნობთ შავშურის ძირითად თავისებურებებს, მხედველობაში გვაქვს მ. ცინცაძისა და მ. ფალავას და შ. ფუტყარაძის შრომები<sup>2</sup>.

ზემომოტანილი დაკვირვებების წაკითხვის შემდეგ გვინდება ზოგიერთი კითხვა თუ შენიშვნა, კერძოდ:

**ეწარი** (sic) ეწერი, იყენებენ თურქულ იფხვრი'საც. გვხვდება საბასთან: „იფხლი – გვიმრა“<sup>3</sup>, დ. ჩუბინაშვილთან<sup>4</sup>; იგივე ფუძე, ოღონდ განსხვავებული მნიშვნელობით ჩანს მთიულულურსა და რაჭულში: იფხლა „მთის ჩადუნა, ჩადუნა“<sup>5</sup>. **იფხ** გვიმრის მნიშვნელობით გვხვდება სვანურ-

კები ქართულში. იკე, XV, თბ., 1966, გვ. 224; მ. ფალავა, ნაწილაკი ახალ ქართულში. თბ. 2009, გვ. 41-42.

<sup>1</sup>თვალში საცემია, რომ ნ. მარი, როდესაც საუბრობს იმერხეულთა მეტყველების შესახებ, შესაძარბლად უმეტეს შემთხვევაში მოჰყავს გურულის (იშვიათად იმერულის) მასალა. ეს იმიტომ, რომ დასახელებული კილოები მისთვის ახლობელია, სხვა, იმერხეულთან ახლოს მდგომი კილოები (განსაკუთრებით აჭარული) კი - უცნობი.

<sup>2</sup>მ. ცინცაძე, მ. ფალავა, შავშური კილო. იხ. შავშეთი. გვ. 219-280; 366-471; 569-614; შ. ფუტყარაძე, ჩვენებურების ქართული, გვ.182-295.

<sup>3</sup> ს.ს. ორბელიანი, სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი, თბ. 1949.

<sup>4</sup> დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ. 1984.

<sup>5</sup> ალ. დლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ. 1984.

შიც<sup>1</sup>. იფხრ ფუძე გამოიყოფა ტოპონიმში იფხრეული (სოფელი შავშეთში). ეჭვს იწვევს მისი თურქულობა.

**ბარე-სამი** განმარტებულია, როგორც **ძალიან**, მაგ. გონჯი ბარე-სამი, ძალიან ავადმყოფი (გვ. 226). განმარტება ზუსტი არაა, არც მაგალითია მარჯვედ შერჩეული. **ბარესამი/-ბარსამი** იხმარება აჭარულშიც და ნიშნავს: „ბევრი, მრავალი...“<sup>2</sup>.

**ლურსი** სხვენი. ნ. მარი შენიშნავს, რომ სათლელ-რებათში, სომხებთან ამ მნიშვნელობით შეენიშნე ძვ. ქართული **ქორი**. შდრ. მერევი (გვ. 227). **ქორი** სხვენის მნიშვნელობით საყურადღებო ფაქტია შავშური მეტყველებისათვის. ჩვენი მასალების მიხედვით, **ქორი** მერეგია, საბძელი, საკარმიდამოში ცალკე მდგომი დამხმარე ნაგებობა, სათლელი სომხების მეტყველებაში კი იგი სახლის ნაწილია. ჩანს, თავდაპირველად შავშეთში **ქორი** სახლის ნაწილი იყო, შემდგომ კი გადინაცვლა საკარმიდამოში.

24 აგვისტოს, სამშაბათს, ართვინიდან ბათუმში ნ. მარი ჭოროხზე მგზავრობდა ნავით, რომელსაც გამაჰმადიანებული ქართველები მართავდნენ. მგზავრი მათ მეტყველებას აკვირდებოდა. მისმა მახვილმა სმენამ აღიქვა მათი გამოთქმა: **ცუტა**, ნაცვლად **ცოტა'სი**. „აქ, დიალექტურ საფუძველში ხომ არ უნდა ვეძებოთ წყარო, საიდანაც წარმოიშვა ძველი ქართული ტექსტები სისტემატური „შ“ დაწერილობით იქ, სადაც ჩვენ მოველოდით „ლ“-ს, და, ასევე, პირიქით: „ლ“-ს დაწერილობით „შ“-ს ნაცვლად?“ – სვამს კითხვას მკვლევარი და ასრულებს თხრობას (გვ. 422).

ასეთია შავშური (იმერხეული) კილოს ნ. მარისეული პირველადი პორტრეტი.

<sup>1</sup> ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბ. 2000.

<sup>2</sup> შ. ნიჟარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა, ბათუმი, 1971.

### §3. გვარსახელები შავშეთსა და კლარჯეთში

ნ. მარი „დღიურებში“ აღწერს შავშეთსა და კლარჯეთში გავრცელებულ გვარებს, რაოდენობრივად არცთუ ბევრს. წარმოვადგენთ გვარსახელებს სოფლების მიხედვით

დაბაწვრილი: \*გოპაძე, ხალაძე, ქეში-შოღლი (სომეხი) (გვ.105).

ჭუარები: \*ფანჩიძე;

გარყელოფი: ქადაგიძე;

სუნობანი: ფუტკარიძე, ბერიძე, თულაძე, გათამიძე (ამ უკანასკნელის შესახებ მკვლევარი სქოლიოში აკეთებს განმარტებას: ქათამიძე);

სხია: ჩორკიძე, \*პეტვაძე;

მერია: \*ფირპიძე, \*ირემიძე;

დაბაწვრილი: კობაძე, ხალაძე;

დაბაკეთილი: ლერწამიძე, \*მორთულიძე;

იფხრეული: მოსიძე, \*აღანიძე, ჯორკაძე, სუბუქიძე, შარაძე, ბუტიძე, \*საღრიძე;

ბაზგირეთი: კეფაძე.

ამ გვარის შესახებ ნ. მარს ჩაუწერია: „ხეობა ტყით იყო დაფარული. მოვიდა ვინმე კეფაძე, გაკაფა ტყე, გაწმინდა ადგილი და ააგო სახლი. სწორედ ის იყო ბაზგირეთის პირველი და დიდი ხნით ერთადერთი მცხოვრები“ (გვ. 219). მკვლევარი შენიშნავს, რომ: „ხომ არ არის ეტიმოლოგიური ლეგენდა?“ (გვ. 219). ვფიქრობთ, ასეა.

დაბა: დევაძე;

კუტალეთი: ნ. მარს ჩაუწერია სამი, ვიტყვით, უცნაური გვარი: ელაზად, ლაზარად, ოსეფად (გვ. 149). სწორედ შენიშნავს ი. სიხარულიძე: „ჩვენი აზრით, ესენი უფრო მამათა სახელებია, ვიდრე გვარები“.<sup>1</sup>

ფხიკიური: ირილ-ოღლი, წმახ-ოღლი, ჯირ-ოღლი.<sup>2</sup>

ყურადღებას იქცევს ნ. მარის შემდეგი დაკვირვება: „ტბეთში გვარები ჩვეულებრივ ძეზუა, მაგრამ მუსლიმანები, ქართულად რომ არ საუბრობენ, წარმოთქვამენ როგორც „ზე“ (გვ. 140). მომდევნო გვერდზე კი ასეთი მსჯელობაა: „მუსლიმანი არა მარტო არბილებს ძს ზდ, არამედ სახეს უცვლის მის წინამდებარე ხმოვანს: იზ ან აზ და აქცევს ედ, ასე რომ „იძე“, „აძე“ ისმის როგორც „ეზე“. თანხმოვანი ელემენტი (ს) ნათესაობითი ბრუნვისა იშვიათად ისმის, როგორც, მაგალითად, აბრამისძეში, მაგრამ ასეთი შემთხვევებიც მოწმობს, რომ, ჩანს, მოქმელი იცნობს ამგვარ მოვლენებს ქართულ გვარებში“ (გვ. 140).

შვენიშნავთ, რომ **ყარმუსძე, აბრამისძე** ჩამოყალიბებული გვარსახელის შთაბეჭდილებას არ ტოვებს, ძველი ფორმებია, ისეთივე „ტბეთის სულთა მატიანის“ ადრინდელ ფენაში რომ გვხვდება: „ს(უ)ლსა **მართულასძისა** იოანესა შეუნდენ დ(მერთმა)ნ (XIr); „ს(უ)ლსა **გორასძისა** ბას<ი>ლის<ა>ს<ა> შე<უ>ნდენ დ(მერთმა)ნ (XIr).<sup>1</sup> აღვნიშნავთ, რომ „მატიანე“ შედგენილია იმავე რეგიონში, სადაც ნ. მარი მუშაობდა. საყურადღებოა ისიც, რომ მკვლევრის მიერ ჩაწერილი ზოგიერთი გვარი შავშეთსა და კლარჯეთში დღეს აღარ გვხვდება: **მასკულიძე, თულაძე, ბუტიძე, სუბუქიძე...** სავარაუდებელია, რომ ან გვარმა იცვალა თავდაპირველი ფორმა, ანდაც მათმა შთამომავლებმა დაივიწყეს. შავშეთში დღეს ბევრს ძველი გვარი არ ახსოვს.

იფხრეულში ნ. მარი ადასტურებს გვარებს: **მოსიძე, აღანიძე, ჯორკაძე, სუბუქიძე, შარაძე, ბუტიძე, საღრიძე** და შენიშნავს: „აი ის შვიდი სახლი იმფხრეულის მცხოვრებლებსა“ (გვ. 171). აქ ვფიქრობთ, საინტერესო შემთხვევასთან გვაქვს საქმე. **გვარი** და **სახლი** სინონიმურ ცნებებად არის გაგებული. ანალოგიური მოვლენის გადმონაშთი უნდა იყოს

<sup>1</sup> ი. სიხარულიძე, შავშეთ-იმერხევი, ბათუმი, 1988, გვ. 61.

<sup>2</sup> \*გოპაძე<კობაძე; \*ფანჩიძე<ფენჩიძე, სახლობენ აჭარაში; \*პეტვაძე<ფეტვაძე; \*ფირპიძე<პირპიძე? (შდრ. პირპილაძე); \*ირემიძე<ირემაძე;

\*მორთულიძე<მორთულაძე; \*აღანიძე<აღანიძე; \*აბრამისძე<აბრამიძე (სახლობენ იმერეთში); \*საღრიძე(\*<საღარიძე>საღარაძე.

<sup>1</sup> „ტბეთის სულთა მატიანე“. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ენუქიძემ, თბ. 1997.

ქობულეთში გავრცელებული გამოთქმა: „შაქარიშვილის სახლის შვილი“, „რომანაძის სახლის შვილი“ – იტყვიან ქალზე.

აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება: ნ. მარის მიერ ჩაწერილი გვარები მხოლოდ **ძეზე** ბოლოვდება, არ ჩანს **შვილზე** დაბოლოებული გვარები.

მკითხველისათვის ინტერესმოკლებული არ იქნება ასეთი ცნობაც: შავშეთში, ბაზგირეთში, საველე ექსპედიციების დროს ჩავიწერეთ გვარები: **ბეზგიენთი** (ბეზინგაროლდი), **კეფოძე/კეფონთი** (კეფოლდი), **თეთრაძე/თეთრიენთი** (თეთროლდი), **ბისონიენთი** (ბისონოლდი), **ჯივანიენთი** (ჯივანოლდი), **ყასმიენთი** (ყასიმოლდი), **ცვარიძე/ცვარიენთი** (თამოლდი, თანთოლდი), **ბოლქვაძე** (აღიოლდი), **გამეშიძე** (სარიანოლდი), **ბოიანიშვილი** (ბოიანიოლდი), **სარვანიძე** (თურანოლდი)<sup>1</sup>. გვხვდება ზედწოდებები, რომელსაც დღეს გვარად ასახელებენ: ფაღაზები, ფუქშები, ყავაზი, ფუტები...

აქ ყურადღებას იქცევს **-ენტ** დაბოლოება, რომელსაც არ აფიქსირებს ნ. მარი. იგივე დაბოლოებით ნაწარმოები გვარსახელები გვხვდება ზემოაჭარაშიც. –ენტ დაბოლოება, ვფირობთ, ჩამომავლობაზე, ან კუთვნილებაზე მიუთითებს<sup>2</sup>.

ცალკე უნდა აღინიშნოს ნ. მარის მიერ ართვინში, ღვთისმშობლის სომხურ ეკლესიაში ნაპოვნი პერგამენტზე შესრულებული XI-XII საუკუნეების ნუსხური ანბნით შესრულებული ქართული „სასწაულმოქმედი“ სახარება. ყურადღებას იქცევს ხელნაწერის მინაწერები, „სულთა მატიანე“. ისინი საინტერესოა უპირველესად პალეოგრაფიული თვალსაზრისით, რაც ცალკე კვლევას მოითხოვს. მინაწერებში რამდენიმე გვარსახელია:

**\*დუკისძე** (I. რე. VIII ფურცლის უკან), **\*\*ლასაუარაძისა** (X რეუელის VII ფურცლის წინა მხარე), მალრაძე (XXII რეუ-

<sup>1</sup> იხ. თ. ფუტყარაძე, შავშეთის ეთნოგრაფია. შავშეთი, გვ. 92-96.  
<sup>2</sup> ბ. ჯორბენაძე, მ. კობაძე, მ. ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოღალური ელემენტების ლექსიკონი, თბ. 1988, გვ. 149. შდრ. გვ. 150.

ულის II ფურცლის წინა მხარეს, ქვემოთ), **\*\*\*დევაბიძე** (XXIV რეუელის პირველი ფურცლის წინა მხარეს, ქვემოთ), **\*\*\*\*ბუთიძე** (XXIV რეუელის VIII ფურცლის წინა მხარეს, ზემოთ).

**\*დუკისძე** მეორეჯერაცაა ნახსენები X რეუელის VII ფურცლის უკანა მხარეს: „† დ ძეო და ს ლო წო შე თ ს ლი დუკისძისა სხდლოანისა... ჩანს, დუკისძე სხლოანიდან (სხლობანიდან) იყო.

**\*\*ლასაუარაძისა** – აშეტობითაა ჩაწერილი – ლასურიძისა. გვარსახელი გვხვდება შავშეთშიც.<sup>1</sup>

**\*\*\*დევაბიძე** მოგვაგონებს შავშეთში, დაბაში გავრცელებულ გვარსახელს დევაძე/დებაძე.

**\*\*\*\* ბუთიძე** გვხვდება აჭარაში. შავშეთში ჩვენ აღნიშნული გვარსახელი არ შეგვხვედრია.

„დღიურებში“ ნახსენები შავშეთში და კლარჯეთში გავრცელებული გვარსახელები საინტერესოა გვართა ჩამოყალიბებისა და გავრცელების გეოგრაფიის თვალსაზრისით.

#### §4. შავშეთ-კლარჯეთის ტოპონიმია

გზადაგზა მოგზაური აღწერს შავშეთისა და კლარჯეთის ტოპონიმისა და იძლევა ზოგიერთი გეოგრაფიული სახელის ახსნას. აღვნიშნავთ, რომ შავშეთის ტოპონიმია საკმაოდ კარგადაა აღწერილი და შესწავლილი,<sup>2</sup> კლარჯეთისა კი

<sup>1</sup> ასომეტობა დამახასიათებელია „ტბეთის სულთა მატიანისათვის“, საშუალო ქართულის სხვა ძეგლებისთვისაც. ზედმეტი ხმოვანი სიტყვაში ჩნდება მხოლოდ თანხმოვანთა შორის, მაგრამ ნ. მარის მიერ მოტანილი მასალა ამ წესს არ მისდევს, აქ ზედმეტი ასო ჩნდება C-V და V-C პოზიციაში. იხ. ივ. ქავთარაძე, ქართული ენის ისტორიისათვის (XII-XVIII სს), თბ. 1964, გვ.66; თ. ენუქიძე, ხელნაწერის ქრონოლოგიური ფენები და ტაბულები. ტბეთის სულთა მატიანე. გვ.13; მ. ფაღავა, სამხრული კილოების ფონემატური სტრუქტურა, სადოქტორო დისერტაცია, გვ. 92-93.

<sup>2</sup> იხ. ნ. ცეცხლაძე, შავშეთ-იმერხევის ტოპონიმია, ბათუმი, 2000; მისივე: ძიებანი ჭოროხის აუზის ტოპონიმიდან, ბათუმი, 2004; მისივე:

– მოითხოვს კვლევას. ნ. მარის ჩანაწერები და შენიშვნები მნიშვნელოვანი წყაროა შავშეთისა და კლარჯეთის გეოგრაფიული სახელების შესასწავლად. მკვლევარი იწერს მასალებს და უდარებს ხუთვერსიან რუკაზე დატანილ ფორმებს, ასწორებს და ზოგჯერ ავსებს კიდევ არსებულ მონაცემებს: გომთა, რუკაზე კომტა, შენიშნავს ნ. მარი.

ჭედრიული – რუკაზე ჩედლიური (ჩანს, რუკის შემდგენელმა სწორად ვერ აღიქვა ნაკარნახევი ფორმა და შეცდომით ჩაიწერა).

წყფთიბარი – რუკაზე **ხოზაბარტი**. აქ აშკარა შეცდომაა. შავშეთის მხარეში მართლაც არის **ხოზაბირი//ხოზაბავრი**, მაგრამ **წყფთიბარი** ცალკე ტოპონიმი. სხვათა შორის, დ. პაგირევს „ცნობარში“ შეუტანია ხოზაბართი<sup>1</sup>. აღვნიშნავთ იმასაც, რომ დასახელებულ წიგნში შეტანილია **წყფთა** და **წყფთიბარიც**,<sup>2</sup> ჩანს, შრომის გამოცემისას (1913 წელი) ხუთვერსიან რუკაზე უკვე დატანილი იყო შესწორება.

**შატოლდა** – დატანილია ხუთვერსიან რუკაზე, „ცნობარში“ შეუტანია დ. პაგირევსაც. საყურადღებოა, და მოულოდნელიც, ნ. მარის შენიშვნა: „ამბობენ, ეს (შატოლდა – მ.ფ.) არის **სარძალოთის** დამახინჯება, ის კი რუკაზე არ არის” (გვ. 257). ძნელია, წარმოიდგინო, როგორაა **შატოლდა სარძალოთის** დამახინჯება.

**საბორი** – 321-ე გვერდზე, სქოლიოში მკვლევარი აკეთებს განმარტებას: „ხუთვერსიან რუკაზე” **საბადურა**. ეს, როგორც ჩანს, ტოპოგრაფის დამახინჯებული თურქისაგან გაგონილი „საბორ დურ” ან „სობორი არის”. ეჭვს იწვევს ფორტას მიდამოებში **სობორის** (რუს. ეკლესია) არსებობა. უფრო ბუნებრივი ჩანს **საბადურა**.

ნ. მარს ჩაუწერია რამდენიმე ტოპონიმის შესახებ თქმულება, ვფიქრობ, საინტერესო:

შავშეთის ტოპონიმი. შავშეთი, 2011, გვ. 301-340; ი. სიხარულიძე, შავშეთ-იმერხევი, ბათუმი 1988.

<sup>1</sup> Д.Д. Пагиревъ, დასახ. ნაშრ. გვ. 266.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 273.

დასამობი: „ყვებიან, რომ ჩრდილოეთით მდებარე მაღალ მთაზე ცხოვრობდა და-ძმა. და გარბოდა სათამაშოდ, ძმა გაეკიდა. დაინახა, რომ და სამობს. აქედანაა სწორედ დასამობის სახელწოდებაო” (გვ. 155). გონებამახვილური დაკვირვებაა. ჩვენი აზრით, **დასამობი<დასაბამი>საგან მბ** მეტათეზისით და ნიშნავს: „პირველთქმული, გინა პირველქმნილი” (საბა).

შავშეთსა და კლარჯეთში ნ. მარის მოგზაურობის უპირველესი მიზანი იყო ამ კუთხეებში გაბნეული ადრეფეოდალური ხანის ეკლესია-მონასტრების მონახულება. „დღიურები” რომ წავიკითხე, შთაბეჭდილება დამრჩა, რომ მკვლევარი თავდაპირველად თითქოს შორიდან უგლიდა „ათორმეტ საგანეს” და ბოლოს ერთბაშად მონახულა ყველა. კარგა ხანს ემზადებოდა მოგზაური-მეცნიერი მათთან შესახვედრად. შავშეთსა და კლარჯეთში ნ. მარი ეძებდა ხანძთას, შატბერდს, ჯმერკს, წყაროსთავს, ბერთას, ბარეთელთას, მერეს, მიძნაძორს, ანჩას, ოპიზას, ფორთას, დოლისყანას, გურნათელს... ეძებდა ყველა იმ ადგილს, რომელიც გრიგოლ ხანძთელის სახელს უკავშირდებოდა.

სურევანში ავიდა ნ. მარი. აქ ეძებდა იგი „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში” ნახსენებ **მერეს** დედათა მონასტერს. მკვლევარმა დაადგინა, რომ იმერხევიში ორი ადგილია, რომელსაც მერე ეწოდება: 1. წყალსიმერთან, უბრალოდ მერე; 2. სურევანთან, ქვემოთ, მდინარესთან სახნავი ადგილი – დიდმერე (გვ.149)... ჩვენი აზრით, მერეს დედათა მონასტერი მდებარეობდა კარჩხალას ხეობაში, მიძნაძორს ზემოთ. ადგილს დღესაც მერე ქვია, თუმცა მონასტრის ნარჩენები იქ არ ჩანს. წყალდიდობას წაუღეკავს ყველაფერი.

„დღიურებში” დადასტურებული შავშეთ-კლარჯეთის ტოპონიმი საინტერესოა სტრუქტურული თვალსაზრისით. ყურადღებას მივაქცევთ ზოგიერთს:

სუფიქსებით ნაწარმოები ფუძეები:

-**ებ**: ჭუარები (<\*ჯუარები?);

-**ობან//-უბან**: წინობა (<\*წინობანი), სუნობანი;

**-ეთ//ათ:** ოქრობაგეთი, ტბეთი, ბელეშეთი, ბაზგირეთი, გოგიეთი, ნიოლეთი, შაშუბეთი(<\*საშუბეთი), გოროშეთი, ჯაღლიეთი, კოკობერეთი (კოკნბერეთი, ახლა კოკბერეთი), საქუნეთი, კიელეთი, ხარეთი, სამაჭრეთი, სარკინეთი, სასხეთი, ტაბლაჯეთი, პარეხთი, დავითეთი, კუტალეთი, ავაზანეთი//\*ავაზანათი, აკუნათი, დუშათი, დავლათი, გუდათი, საცურავათი, ვაცინათი(<\*ვაცინათი), ქონათი (<\*ქვეინათი), სამოჭრილათი, ეჯვანთა (<\*ეჟვანთა), შუათი, კოტალათი, მასურათი...

**-ის//ეს:** სულესი, სულისი//ზულისი.

**-ა:** აგარა, ანჩა, დიდ-აგარა, საბუდარა, სხია, მერია, ბარა, ბაცა, აბისა, ანკლია, ბარეთეულა, შარაულა, სამყინარა, ქუსლა, ჯმერკ-ჭალა, ფორთა//პორტა, ბიკნადა//ბირკნადა, დახატულა, აშკლა, კაპარია, წყალთეთრა, ჭედილა, დაგანა-ლა, ახალთა, წოწოლა, კამარა, ქორნი-ბუდა, ჯორასა...

**-ოფ:** გარყლოფი (//\*გარყლობი);

**-ოთ:** ტანძოთი (\*ტანზოთი);

**-ელ:** გურნათელი, სადგირელი (<საზგირელი<\*საცქირელი), საზველთი (\*საძველთი<საძოველთი//საძოველთა?), საქოწელი (\*სახოწელი?), საყოწელი (სქ. წარმოთქვამენ სახოწელსაც. ადგილი სადაც ეხვეწებიან, თხოვენ, ზიარეთი), ჩაქველთა, მორგელი.

**-ურ//ულ:** კოკოშაური, დავლაური, ენზალაური, დანგრეული, ცხუმური, დაჩელთური (\*დაჩელტური შდრ. დაჩელტვა), ლომათური, ყიათური, ასმანური, თავდიდური, ჯიმეთური, პაპაური, ნუკაური, შინარეთური, გულაური, ეჯენაური, წინდილაური, კოკბოური, ლამქედაური, კობკური, გოგლათური, ჭედრიული (ჩედლიური), სიდაურთი, მჭედრეული (\*ჭედლეური), იმფხრეული, ხაზბირული, ორდიგეთული, ზინაული, ზაქარეული.

**-ეფ:** ხოხლევი, დევაძევი.

**-აღ:** კარჩხალი, ადამალი.

**-ის:** ხერთვისი (//ხერთუსი), ძიოსი (\*ძიოსი).

**ზე (<ძე):** თავკაზე (<\*თავკაძე), კოტალაძე//კუტალაძე, დევაძე//დევაძე, სოლომანძე.

**-არ:** შკნარი, ჯოგისარი.

**-ვარ (<ოვარ):** ბედვარი (<\*ბედოვარი).

**-ილ:** გაჭრილი.

**-ით:** მირითი.

გეხვდება რამდენიმე თურქული ტოპონიმი:

**-ლულ//ლუს:** ჯეუზლუსი, დეგირმანლუსი.

**-ლარ:** ისლამოლლარ, ბაღლარი.

**-ლი:** ბინდიშლი.

პრეფიქსური წარმოების ფუძეები:

**ნა-** ნაგუთნი, ნამორი, ნაშუხნი.

**სა-** სასვენი.

პრეფიქს-სუფიქსებით ნაწარმოები ფუძეები:

**უეთ:** უკეთი.

**ნა-ეფ:** ნაბდენევი, ნატბევი, ნაფურნევი, ნაცარევი.

**ნა-არ:** ნაფეტვარი.

**სა-ო:** სათიბო, სარძალო, სანადირო, საწილო.

**სა-ე:** საგორლე (\*საგვარლე), სათორნიე, საწერნაგე, სამოთხე.

**უ-აფ:** უპირავი.

**სა-აფ:** საცურავათი.

რამდენიმე გეოგრაფიულ სახელში მაწარმოებელი არ ჩანს: მერე, ჩიხორი (\*ჩეხორ//ჩეხორ//ჩხერ. ხმაბაძეთი სიტყვაა?), ლიბანი, მერქეხი, დარიკი, კოლლი, ახალში, ჩიდილი, ძუელი, წიადი, ჯიბუხი, ურჩხი, დანდი, ფარახი (\*ფარეხი), ზაკი, ჯმერკი//ჯუმერკი, ფარნუხი, ჯანჯირი.

შესაძლებელია, **ო-ო** პრეფიქს-სუფიქსი გამოიყოს **ოქონ-ცო'სა** და **ოროფო'ში**.

ტოპონიმთა ნაწილი კომპოზიტია:

ა. კომპოზიტის ორივე ნაწილი ქართულია: ჯორისფეხი (<\*ჯვარისფეხი?), მახარობიწორ (<\*მახარობი წვერი-ი?), დაბაწერილი, დაბაკეთილი, ციხისძირი, მაჭარელთა (<\*მაჭა-

რელმთა), შავმთა, უკეთისხეობა, ქალისაფინად (//ქალისსაფინად), წყალსიმერი, გოგადისწყალი, სანადიროხევი, დიდმერე, თეთრაკეთი (\*თეთრაქედი), გრიალიწყარი (გრიალიწყარო), ვიდრეკონინათი, კურითლეღე, ჩხერილეღე, ანდრიაწმინდა, სამწყარი (\*სამწყალი), მადლისუკან, შავგულარი, კაპტახორი, ერდოთუკან, ვერანაბალი, დიდვენახი, გოგითავი, იმაწმინდა (\*ინაწმინდა?), ყორიკევი, მიძნადორი, გაგასთავი, კიდმოგრეხილი, ნიგოზ-ვაშლი, ოპისჭალა, სუმონ-დიკი (სიმონ დიდი), ქოშა მინდორი (სქ. ქვეშა მინდორი), მარაწინდა (\*მარიაამწმინდა), მაზმისახო, ღურღულახევი, ტუღეთხავი (sic), წალოქარი (\*წალოკარი), წილიფპირი, შოროლთი (\*შოროლთა<შოროლმთა), ჩემიყანა, აკლამაზირი (\*აკლდამაძირი?), სილაურთ-წყალი, სადახევი, დოლისხანა (<დოლისყანა), კოლტითავი, ყოლთისხევი, ტალტომის-ხევი, დიდაგარა, ყოლთახევი (\*ყველთახევი)...

ბ. თურქული კომპოზიტები: ჯგჳენემდერესი, დიაქარმუჯი, მეწაგილი, ყარამანგილი, აფენდიგილი, ნუპიგილი, ოდაბაშგილი, სარუხანგილი, ხანჩარგილი, ხოჯაგილი, სონათგილი, ალიგილი, ხოშათგილი, პინტიგილი, მეწაგილი, მურათჩაი, აშალი მეჭლე.

გ. კომპოზიტის პირველი ნაწილი ქართულია, მეორე – თურქული, ან პირიქით: დაბადაილასი, ღვინიგილი, ანკორი/-ანჩკარი.

როგორც ვხედავთ, მრავალფეროვანი გეოგრაფიული სახელები ჩაუწერია ნ. მარს. მნიშვნელოვანია, რომ მათი უმრავლესობა ქართულია. პროცენტულად ძალიან მცირეა თურქული (საერთოდ, უცხოური) ტოპონიმები. ბარემ აღვნიშნავთ, რომ დღესაც შავშეთსა და კლარჯეთში ქართული გეოგრაფიული სახელები ადგილობრივთა ლექსიკის აქტიური ნაწილია. ჯერ კიდევ ახსოვთ ადგილის ძველი ქართული სახელწოდებები და იყენებენ კიდევ მას. ჩანს, გეოგრაფიული სახელები ყველაზე გვიან ეძლევა დავიწყებას.

## §5. წარწერები

„დღურებში“ ნ. მარი ყურადღებით სწავლობს შავშეთისა და კლარჯეთის ეპიგრაფიკას. მკვლევარი პირველ ჩანაწერს აკეთებს არდაგანის ციხის დათვალიერებისას, სადაც „კედელში დიდი ქვაა წვრილი ხუცური წარწერით, რომელშიც დანამდვილებით შეიძლება ამოიკითხო სახელი [ვარ]ახვანე [ვარ]ახვა ე. არდაგანის ციხის წარწერებზე მეცნიერი დაწვრილებით არ ჩერდება, რამდენადაც იგი წაუკითხავს და უკვლევი ექვთ. თაყაიშვილს, „ქართული წარწერების წაკითხვის ... ხელოვანს,“ – შენიშნავს ნ. მარი (გვ. 99).

1. აგარაში, იხეთ მუსტაფა-ოღლის სახლის სამხრეთ კედელში ჩაშენებულ ქვაზე ნ. მარმა ამოიკითხა:

aeSena ese w“Y ekhesia „აეშენა ესე წა ეკლესია

qr “nksa sp ქრნკნსა სო“. „აშენდა ესე წმინდა ეკლესია ქორონიკონსა სო“ (280), ე.ი. 1061 წელს, ან 1592 წელს ქრისტეს შობიდან“. იქვე მკვლევრის შენიშვნაა: „უკანასკნელი თარიღი რამდენადმე გვიანდელია ნაგებობისათვის, რომელმაც მოასწრო პირისაგან მიწისა გაქრობა. ვულგარიზმი „აეშენა“ ნაცვლად „აღეშენა“სი“, resp. აღეშენა, „ეკლესია“ „ეკლესია-ს“ ნაცვლად ვერ გაგვაკვირვებს XI საუკუნის ტექტში, განსაკუთრებით ეპიგრაფიკულში“ (გვ.108).

მკვლევრის მსჯელობის წაკითხვის შემდეგ ჩნდება ბუნებრივი კითხვები:

ა. რატომ „ვერ გაგვაკვირვებს“ ვულგარიზმები (დიალექტიზმები) XI საუკუნის ტექსტში, განსაკუთრებით, ეპიგრაფიკულში? აქ ნ. მარს ალბათ მხედველობაში აქვს ის, რომ საშუალო სამწერლობო ქართულში ზოგადად ხელშესახებია ცოცხალი მეტყველების ნაკადის მოზღვაება. გამომდინარე თქმულიდან, შენიშვნა სწორი და მისაღებია.

ბ. საიდან მოიტანა ნ. მარმა მეორე თარიღი – 1592 წელი? რა საფუძველი ჰქონდა, წარწერა დაეთარიღებინა მე-



თოთხმეტე მოქცევით? მიყვეთ მოვლენებს და დასმულ კითხვაზეც პასუხი მოგვიანებით გავცეთ.

2. ოქრობაგეთში სომხური (ქართული ეკლესიიდან გადაკეთებული) ტაძრის შესასვლელთან, მარჯვნივ, კარის წირთხლთან დევს ჯვრიანი ქვა ნუსხური წარწერით:

q st“l iT

a R“a aR

mf S“sa k“ptss

vS“neT w“a

o-f iR S“sY bg“r

eks-a G“n mm“

tsY m“ms o“ S“s am

T“sY Z“T: q“k

dr k“isY Zm“sa m

osa r m“id

akr s-a a mw“iR da mkTix-v i R“n da mw“T Siw“yn

*„ქრისტე, სახელითა ღმრთისაჲთა აღვაშენეთ წმიდა ეკლესია ჩვენ მამალაჲს(სიც) ძეთ ქორონიკონსა [რმ იდ] მეუფემან შეუნდოსა კჳ რსს (კაპიტონს?). უფალმან შეუნდოსა ბაგრატსა მამას. უფალმან შეუნდოს ამდერკისა ძმასა მაკარსა. მწერალი და მკითხავი(სიც) ღმერთმან და მოწამეო შეიწყალებ“ .*

წარწერა გვამცნობს, რომ ეკლესია აშენებულია ქორონიკონის 154 წელს. მკვლევრის ანგარიშით, 1466 წელს (1312 წ. მეთოთხმეტე მოქცევის ქორონიკონი– მ.ფ.)+154). „საეკლეა ეოფილიყო 935 (781 წ. მეცამეტე მოქცევის ქორონიკონი– მ.ფ.)+154“ შენიშნავს მკვლევარი (გვ. 111). თავისი ვარაუდის გასამყარებლად ავტორი იტყვის: „ე-ს არასწორი გამოყენება, ისევე როგორც დაუდევრობა არ მოწმობენ X საუკუნის სასარგებლოდ. მუსულმანური კულტურის გავლენის დროზე შეიძლება მიუთითებდეს ის, რომ წარწერა იწყება მარჯვნიდან და მარცხნივ გადადის. დამახასიათებელია 50-ის აღნიშვნა არა ერთი ასოთი – ნ, არამედ ორით – მი=ორმოცდაათი“ (გვ. 111-112).

მოტანილი მსჯელობა საინტერესოა, ამასთან, იგი ბადებს რამდენიმე კითხვას, კერძოდ:

ა. ქართული ეკლესიის კედელზე, ნუსხურით შესრულებული ქართული წარწერა, რატომაა დათარიღებული მეთოთხმეტე მოქცევის ქორონიკონით (1312 წ.), და არა მეცამეტე (781 წ.)? არ შეიძლება დაგუშვათ, რომ ამ კუთხეში X საუკუნეში ეკლესია აშენებულიყო? რა თქმა უნდა, შეიძლება. შავშეთში და მის მეზობელ კლარჯეთში ამ ეპოქაში ეკლესია-მონასტრების მშენებლობა დაწინაურებული საქმე იყო...

ბ. რომ სარწმუნოდ მივიჩნიოთ მეთოთხმეტე მოქცევის ქორონიკონით წარწერისა და, შესაბამისად, ეკლესიის დათარიღება (წარწერა სააღმშენებლოა), 1466 წელს შეიძლება ამ კუთხეში მუსულმანური კულტურის გავლენაზე საუბარი? ოსმალები ხომ უფრო გვიან გამოჩნდნენ აქ, ვიდრე XV საუკუნეა?<sup>1</sup> ის რომ წარწერის ჯერ მარჯვენა ნაწილი იკთხება, შემდეგ კი მარცხენა, არ არის საკმარისი, ვისაუბროთ მუსულმანური კულტურის გავლენაზე.

გ. ე-ს არასწორი გამოყენება იძლევა კი იმის საფუძველს, ვამტიციოთ, რომ წარწერა არ ეკუთვნის 935 წელს? ვფიქრობთ, არა. გასათვალისწინებელია, რომ IX-XIII საუკუნეთა წერილობით ძეგლებში საკმაოდ ხშირია ი და ე გრაფიკათა ხმარების წესის დარღვევები. ხოლო ე-ს შემცველ დიფთონგთა მოშლა უფრო ადრე, VI-VIII საუკუნეებში დაწყებულია.<sup>2</sup>

თქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, ზემომოტანილი ორივე წარწერა უნდა დათარიღდეს მეცამეტე მოქცევის ქო-

<sup>1</sup> ზ. შაშიკაძის დაკვირვებით, ოსმალებმა ქართული ტერიტორიების დაპყრობა XVI საუკუნის 40-იანი წლებიდან დაიწყეს. შავშეთი 1553 წლით დათარიღებულ დოკუმენტშია მოხსენებული როგორც ოჯაქლიქი (შთამომავლობით მმართველობა). მკვლევრის ვარაუდით, შავშეთი, სხვა მხარეებთან ერთად, ოსმალთა მმართველობაში შევიდა XVI საუკუნის 60-იანი წლებიდან (დაწვრილებით ის. ზ. შაშიკაძე, შავშეთი ოსმალეთის იმპერიაში. შავშეთი, გვ. 15-17).

<sup>2</sup> ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ. 1984, გვ. 282-283.

რონიკონით და არა მეთოთხმეტე, შესაბამისად, 1 – 1061, II – 935 წლით.

3. ტბეთის ტაძრის კედელზე ნ. მარმა ამოიკითხა ასომთავრულით შესრულებული წარწერის ფრაგმენტი:

ⴗⴑⴓ ⴗⴑⴓ  
ⴗⴑⴓ ⴗⴑⴓ  
ⴗⴑⴓ ⴗⴑⴓ

მკვლევარი მსჯელობს: „დამატების გარეშე იკითხება და გაიგება მხოლოდ ერთი, მცირე რამის მთქმელი ფრაზა „ქრისტე აღიდე“, ან „აკურთხე“. თუ სვეტების მიხედვით უნდა წავიკითხოთ... მაშინ ძალისხმევის გარეშე შეიძლება წავიკითხოთ პირველი სვეტი „ქრისტე აღიდე იოვანე“ და ასეთ შემთხვევაში მეორე სვეტში არის ნარჩენები გაგრძელების აღდგენისათვის: **ო[რ]თა[ვე] ცხორებ[ათა]**. მაგრამ მაშინ 'იეს გვაყენებს რთულ მდგომარეობაში. სტრიქონებად წაკითხვისას ასევე ვაწყდებით სირთულეს: დასაწყისი „ქრისტე იესო“ კიდევ ასატანია „იესო ქრისტეს“ ნაცვლად. სრულად გასაგებია ისევე აღიდე, მაგრამ შეიძლება კი გარისკო, ძალადობის გარეშე დაამატო მეორე სტრიქონს ასე: **თა[მარ]**. ამ შემთხვევაშიც მესამე, უკანასკნელი სტრიქონი აღსადგენი გახდებოდა უცნაური ფორმით: **[ორ]ივე ცხოვრებ[ით]**“ (გვ. 20). აქ წყვეტს მკვლევარი წარწერაზე საინტერესო მსჯელობას და სხვა საკითხზე გადადის. ჩვენი აზრით, წარწერის სტრიქონებად წაკითხვა უფრო მისაღებია: „ქრისტე იესო, აღიდე თამარ ორივე ცხორებით“.

ტბეთის ეკლესიის კედელზე ნ. მარი ამოიკითხავს კიდევ რამდენიმე ფრესკულ წარწერას. ყურადღებას მივაქცევთ ერთ მათგანს: წარწერა შესრულებულია ასომთავრული მრგვლოვანით ორ სვეტად, რომელთა შორის ნახატი თუ ორნამენტი. მკვლევარმა წარწერა ასე ამოიკითხა: „კ-(ე-სო-) მსია (მესია), შეე (შეიწყალე) ხ ს (ხოსრო). „იისუს მესა, შეიწყალე, ხოსრო“. ნ. მარს საინტერესოდ მიაჩნია „მესიას“ გაჩენა „ქრისტეს“ ნაცვლად. ყურადღებას იქცევს სტრიქონე-

ბის განლაგებაც, – იკითხება ჯერ მარჯვენა სვეტი, შემდეგ – მარცხენა (გვ.133-134). ფორმით ეს წარწერა ენათესავება ოქრობაგეთის წარწერას. მას არა აქვს თარიღი, მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგი იმავე ეპოქას განეკუთვნება, რომელსაც ზემომოტანილი თარიღიანი წარწერა (935 წ.).

მეცნიერმა ნახა და ამოიკითხა წარწერა ტბეთის ტაძრის მეზობლად მცხოვრები ჯვერი- ეფენდის სახლის ღუმელის გარედან ჩაშენებულ ქვაზე. ქვა „ტბეთის ძველი ეკლესიიდან უნდა იყოს“. წარწერა დაზიანებულია. იგი შვიდსტრიქონიანი უნდა ყოფილიყო, შესრულებულია ასომთავრულით. წარწერიდან მხოლოდ იმის გაგება შეიძლება, რომ ეს „სამრეკლო“ აშენებული იყო 215 წ. (+781), ე.ი. 996 წელს. ეს წელი საქართველოში ძალიან ადრეულად რომ არ ჩანდეს, ან (+1312) 1527 წელს, რომელი წელიც არანაირად არ უნდა გამოჩნდეს ძალიან დაგვიანებული საერთოდ ქრისტიანული ნაგებობისათვის ტბეთში“ (გვ. 138). თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოში ეკლესიებთან სამრეკლოები XIII საუკუნიდან ჩნდება<sup>1</sup>, მაშინ მისაღები ხდება წარწერის 1527 წლით დათარიღება.

4. ტანძლის მეჩეთზე ნ. მარმა ამოიკითხა ასომთავრულით შესრულებული ვრცელი წარწერა:

**ქ აღეშენა: წ~: ესე: ეკლესია: სახელსა: ზ~ა:  
წ ისა ქ წლისა: ქ~ეს: მოწამისა: მარინა სა: ქ~რო-  
ნიკონსა: ფ~: ლ~ა: რ~ა: მხ ბითა: მისითა: მოგ ცეს:  
მგ~ებ:**  
**ცღვათ~ე: რ~: ა~ქს: კაღნირ ბ : ქ~ს მოწმ ეს: მარინა:  
შე**  
**5. იწრ ე: მცირე: ესე: სამს ხრი: კაღმ ხელისა: საიმდაფ-  
ლის [გ~ნ და]**

<sup>1</sup> ვ. ჯობაძე, ადრეული შუა საუკუნეების ქართული მონასტრები ისტორიულ ტაოში, კლარჯეთსა და შავშეთში, გვ. 50.

6. თამარისგ ნ და: შეილთა: მთთა: გნი: და იწ: და: სუმბატის გნი:

5 საიმ] მეექვსეება ს, მათ შორის კი წვრილად ჩაწერილია ს და მ. ამ გნი და] სრულიად ჩამოფხეკილია.

6. [თამარის გნი გ. resp. შ დამრგვალება მარცხნიდან ისეთია, როგორც აქვს სომხურ დაწეებით ლ.

„ქ(რისტე)! ეს წმიდა ეკლესია აშენდა ქრისტესთვის წმიდა მოწამე ქალწულის მარინას სახელზე ქრონიკონის 531 წელს, რომ მისი შუამდგომლობით მოგვეტეოს ცოდვები, რომელიც არის კადნიერება. ქრისტეს მოწამე მარინა, შეიწირე ეს მცირე სამსახური კადმახელისაგან, საიმდავლისა და თამარისაგან და მათ შეილთაგან: გიორგის, იოანესა და სუმბატისაგან” (გვ. 265-266).

წარწერა იცნობს განკვეთილობის ნიშნებს, – ნახმარი ორი წერტილი (:), შესრულებულია ქრონიკონის ფ ლ ლ (531) (531+781=1312 წ.). შინაარსიდან ჩანს, რომ ქვა, რომელზეც წარწერაა შესრულებული, ეკლესიიდანაა. ირკვევა, რომ ტაძარი აშენებული ყოფილა წმინდა ქალწულის, მარინას (მარიამის) სახელზე. წარწერაში ნახსენებია საკუთარი სახელები: კადმახელი, საიმდავლი, თამარი, გიორგი (გ ი), იოანე (იდე) და სუმბატი.

ნ. მარი გზადაგზა კითხულობს ფორთის (შატბერდის, როგორც მკვლევარი უწოდებს), ოპიზის, დოლისყანისა და სხვა ტაძრების წარწერებს. ისინი სხვადასხვა შინაარსის შემცველია და საინტერესო ქართული პალეოგრაფიისა და, ზოგადად, საქართველოს ისტორიისათვის. საინტერესოა მკვლევრის დამოკიდებულებაც. მკითხველისათვის გაუგებარი რჩება: რატომაა, რომ იკითხება ზოგიერთი წარწერის ჯერ მარჯვენა სვეტი, შემდეგ – მარცხენა? პასუხს მოითხოვს კითხვა, რადგანაც ნ. მარის პასუხი მკითხველს ვერ აჯერებს.

### §6. შავშური-კლარჯუთის ფოლკლორი „დღიურებში”

„დღიურებში” საყურადღებოა ნ. მარის მიერ ჩაწერილი შავშური და კლარჯული ფოლკლორის ნიმუშები. მათ მნიშვნელობას განსაკუთრებით ზრდის ის ფაქტი, რომ შავშ-კლარჯთა დღევანდელ თაობებს ისინი აღარ ახსოვთ (ყოველ შემთხვევაში ჯერ-ჯერობით არ გამოვლენილა) და შემოინახა მხოლოდ საუკუნის წინანდელმა ჩანაწერებმა.<sup>1</sup>

მკვლევარს იფხრეულში სხვადასხვა მოქმელისაგან 29-30 ივლისს ჩაუწერია:

ა. ყაჩაღების: დავჯექი და დევიფიქრე; დავჯდე და წიგნი დავწერო;

ბ. საქორწილო: ბედრუნ გელინ, ნაზილლამა; ქესტენე დურ, ქესტენე.

ნ. მარის შენიშვნით, „ფირალის სიმღერები ... შეთხზა ფირალმა ოდელ-ოდლი შირინმა”. მისივე თქმით, პირველს მღეროდნენ, მოტივი ახალი არ არის, სხვა სიტყვებით მოგვისმენია სომხებთან და თათრებთანაც” (გვ.171-172).

<sup>1</sup> შავშური და კლარჯული ფოლკლორის შესახებ იხილეთ: თ. შიოშვილი, შავშური ფოლკლორი. შავშეთი, გვ. 143-218; მისივე: შავშური ფოლკლორი (მასალები, შენიშვნებითა და ვარიანტებით), იქვე, გვ. 472-568. მისივე: იმერხეული ფოლკლორი, ჟ. ჭოროხი, №1, 2005 წ.; მისივე: საცოლის დარჩევა-შერჩევის ლექს-სიმღერები იმერხეულ ფოლკლორში. რსუ შრომები, XIII, ბათუმი, 2009; მისივე: შავშური პატრიოტული ლირიკა. ნ. ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები, IX, ბათუმი, 2010; რ. ხალვაში, იმერხეული ფოლკლორი (ს. ბაზვირეთი). რსუ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის „კრებული, V, 2007; მ. ფალავა, მ. ცინცაძე, იმერხეული ტექსტები. კრებული, V, 2007; მ. ფალავა, შავშური ჩანაწერები, თბ. 2011; შ. ფუტყარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993. დასახელებულ შრომებში გამოქვეყნებულია სავსე ექსპედიციების გზით შეგროვებული შავშურ-კლარჯული ფოლკლორის ნიმუშები, გამოკვლეულია მისი ძირითადი პრობლემები.

30 მაისს ნ. მარს მოხუცმა მოსიძემ უამბო ხალხური „მოთხრობები“: 1. თეპარ მირზას ჰეკია, 2. ქოროღლის ჰეკია, 3. ყურბანის თქმული, 4. ყერიბის; 5. აშიყ ომერის, 6. ქერემის, 7. დერდი-ოღლის, 8. აშუხ-ყურანის, 9. აშუყ-რეზაყი, 10. დარალი-ჰუსის, 11. დარალი-მაჰმუდის, 12. მირზა-მაჰმუდის, 13. აშუყ-სედადის, 14. აშუხ-უზედრის, 15. აშუხ-სულეიმანის, 16. აშუხ-ფერჰათის, 17. აშუხ-შამილის, 18. აშუხ-მუჰიბის, 19. აშუხ-სადიდის, 20. აშუხ-სუმანის, 21. აშუხ-სეფიდის, 22. აშუხ-სულალის, 23. აშუხ-ფეჰრათ-უ-შირინის, 24. აშუხ-ესმანას, 25. აშუხ-ისმაილის და სხვა. აქვე დაუსახელეს იმერხეველები, აშული ალი-ჩაუშ მისილოღლი და მოთხრობელი და აშული ქამილი, ორივე იფხრეულიდან (გვ. 172). სამწუხაროდ, მკვლევარს დასახელებული ყველა ფოლკლორული ნიმუში „დღიურებში“ არ შეუტანია, შესაძლოა, ყველაფერი არც ჩაუწერია, ან თუ ჩაიწერა, არ ჩათვალა საჭიროდ მათი შეტანა თავის შრომაში.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ნ. მარს „დღიურებში“ შეტანილი აქვს თურქული ფოლკლორის ნიმუშები და ერთიც „ლაზური სიმღერა ჩხალელებისაგან მოსმენილი“ (გვ. 186), რაც ასევე საყურადღებო ფაქტია. შავშური ფოლკლორის სრული წარმოდგენისათვის მნიშვნელოვანია ასევე ნ. მარის მიერ ჩაწერილი „თეპარ მირზას ეკია“ (გვ. 187-195), „ქოროღლის ჰეკია“ (გვ. 195-208). საინტერესოა, რომ მოქმედი ამბავს ქართულად ყვება, შიგა და შიგ კი ჩაურთავს ხოლმე თურქულ ლექსებს. ნ. მარისეულ ფოლკლორულ მასალაში ნათლად აისახა საკვლევ რეგიონში მიმდინარე ძალზე რთული „კულტურათა დიალოგი“...

კიდევ ერთ ფაქტს მივაქცევთ ყურადღებას. ნ. მარს „დღიურებში“ შეუტანია ლექსი „ორთაბათუმი“, რომელიც ჩაუწერია საიდუ აღანიძისაგან, „მან დაასახელა ავტორი შირინ ოღელ-ოღლი, მაგრამ მანვე თქვა, რომ სიმღერა „საქართველოდან მოვიდა“ (გვ. 184). აქ იგულისხმება ბათუმი, და აჭარა ზოგადად. დიახ, შავშეთსა და მთელს ჭოროხის ქვეყნებში „საქართველოდან მოდიოდა“ და პირიქით, აქედან მი-

დიოდა აჭარაში სიღერები, ცეკვები, თქმულება-გადმოცემები... ჭოროხის ქვეყნები საერთო კულტურის მატარებლები იყვნენ, ამიტომაცაა, რომ ბევრი პარალელი იძებნება მათ მეტყველებაში, ფოლკლორში, ყოფაში... შეიძლება ითქვას ჭოროხის აუზი ერთიანი კულტურული სივრცეა, რომელსაც შეიძლება სამხრული კულტურა გუწოდოთ<sup>1</sup>.

დაბოლოს, ფასეულია ყველა ფოლკლორული ნიმუშის ბოლოს მკვლევრის შენიშვნები, სადაც კიდევ ერთხელ გამოჩნდება ნ. მარის მახვილი თვალი და ყური, ცდა, ზედმიწევნით ზუსტად ჩაიწეროს გაგონილი, ყველაფერი ერთად კი ზრდის მასალის სანდოობას. სანიმუშოდ მოვიტანთ შენიშვნის რამდენიმე ნიმუშს: „ჭუნა აჭარას არი, „ხულაზე ზეითა“ (გვ. 176, შნშ. 9,2); „გულისა, გულის-და“ (შნშ.2,2 გვ.175); „წაკტენილი – მეორე თეთრაკეთელმა შეასწორა: წაკტენილი დემად კვდარი გიბძანდებო“ (გვ.176)... მოყვანილ მასლაში ჩანს მკვლევრის ცდა ჩანაწერს შეუნარჩუნოს ბუნებრივი იერი, უფრო სწორედ, ჩანაწერში შეინარჩუნოს ხალხური წარმოთქმა, რაც განსაკუთრებით ფასეულია. ამიტომაც აღვნიშნავთ, რომ ნ. მარის ჩაწერილი ზეპირსიტყვიერი ნიმუშები, ასევე პირველხარისხოვანი, სანდო დიალექტური მასალაა. ის კარგად ასახავს საუკუნის წინანდელ შავშურ მეტყველებას.

#### §7. შავშეთ-კლარჯეთის მატერიალური კულტურის ძეგლები

„დღიურებში“ ნ. მარი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს შავშეთისა და კლარჯეთის მატერიალური კულტურის

<sup>1</sup> მ. ფალავა, ზ. შაშიკაძე, კულტურათა დიალოგი ისტორიულ სამხრეთ საქართველოში და ქართველთა იდენტობის ზოგიერთი საკითხი. წიგნში: ჰუმანიტარული მეცნიერებანი ინფორმაციულ საზოგადოებაში, საერთაშორისო კონფერენციის მასალები, 1, 2009, გვ. 5-13; მ. ფალავა, მ. ჩოხარაძე, ჭოროხის აუზი ერთიანი კულტურული სივრცე. ე. სემიოტიკა, 8, 2010, გვ. 95-103.

ძეგლებს. მკითხველი ხედავს, თუ როგორ გულმოდგინედ აღწერს ახალგაზრდა მკვლევარი ძეგლს, ცდილობს არ გამოჩინოს არც ერთი დეტალი, ზოგჯერ უმნიშვნელოც კი<sup>1</sup>. მნიშვნელოვანია, რომ მეცნიერი შავშეთსა და კლარჯეთში გავრცელებულ ტაძრებს უწოდებს **შავშურ-იმერხეული** ტიპის ეკლესიას. იგი ასე ხასიათდება: „მოგრძო ოთხკუთხედი შიგნით, აღმოსავლეთის მხრიდან საკურთხეველის მომრგვალებით” (გვ. 240). საილუსტრაციოდ სრულად მოვიყვანო აგარის ეკლესიის ნ. მარისეულ აღწერას: „აგარიდან საძოვარზე (ჩაირზე) მიმავალი გზიდან მარცხნივ, ათიოდ ნაბიჯზე არის ეკლესია: წაგრძელებული ოთხკუთხედი, შიგნით საკურთხეველის მომრგვალებით, მსხვილი გათლილი ქვებით [ნაშენი]: მოპირკეთება, ძალზე ფაქიზი წყობა. ნანგრევები ახლა წარმოადგენს მხოლოდ კედლის ქვედა ნაწილის ერთ-ორ რიგს ადამიანის სიმაღლეზე საკურთხეველის მომრგვალებასთან, სამხრეთი მხრიდან ყველაფერი საფუძველთანაა გასწორებული პირდაპირი კედლის თითქმის მთელ გაგრძელებამდე; კედლის სისქე საკურთხეველთან: შიგნით – 15 გოჯი, საკურთხეველის ნახევარწრის სიღრმე – 1 საჟენი და 9 გოჯი. სიგრძე შიგნით საკურთხეველის ამალეებიდან: 8 არშინი და 1 გოჯი, სიგანე შიგნით – 2 საჟენი და 15 გოჯი. კედლის სისქე სამხრეთ-დასავლეთ კუთხესთან 1 არშინი და 2 გოჯი; საკურთხეველის შემადგენლობაზე ეგდო ქვა ნახვრეტით, თითქოს რაღაცის ძირის საყრდენი, შესაძლებელია ჯვრის ორნამენტით ერთ მხარეზე. ჯვრის ცენტრში გადახლართული სამი ამობურცული ხაზი წრეში. წრის დიამეტრი 6 3/8 გოჯია.

<sup>1</sup> ნ. მარის ექსპედიციიდან ასე წლის შემდეგ შავშეთის მატერიალური კულტურის ძეგლები აღწერა და შეისწავლა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მუდმივმოქმედმა კომპლექსურმა ექსპედიციამ. უნდა ითქვას, რომ საუკუნის შემდეგ რადიკალურად შეიცვალა ძეგლების მდგომარეობა, ბევრი მათგანი საძირკვლის დონემდეა დანგრეული. ასე რომ მათ შესახებ სანდო და ზუსტი ცნობები შეინახა მხოლოდ ნ. მარის „დღიურებმა” (იხ. შ. მამულაძე, შავშეთის მატერიალური კულტურის ძეგლები. შავშეთი, გვ. 41-91; მ. ფალავა, შავშური ჩანაწერები, თბ. 2011).

ჯვარი მოინახა ქვემოთ, საკურთხეველთან, მაგრამ პატარა, ამობურცული, პატარა ქვაზე: ჯვრის სიგრძე 4 გოჯია, გვერდითი ფრთები – 2 5/8 გოჯი. კარი იყო მხოლოდ სამხრეთი, 2 1/2 არშინის მანძილზე დასავლეთი კედლიდან. ყველაფერი გადათხრილია განძისმაძიებლების მიერ. სამხრეთი კედლის იქით, გარედან გდია დიდი ქვა ჯვრის წირთხლით. საკურთხეველში მარცხნივ (ჩრდილოეთით) საკმაოდ დრმა (12-14 გოჯი) ნიშაა (1 არშინი × 1 არშინზე). საკურთხეველი მომრგვალებულია მხოლოდ შიგნით, გარედან კი წესიერი ოთხკუთხედი. საპირე ქვები ერთობ დიდია: გვხვდება 1 არშინი და 12 გოჯი × 1 არშინი და 3 გოჯი სიმაღლეზე). ასეა აღმოსავლეთ კედელში, ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხესთან. ეკლესიის საფუძველი გარეთ გამოდის ცოკოლით. ის ჯერ არაა მიწით დაფარული. ეკლესიიდან სამხრეთით რამდენიმე ნაბიჯში იყო საფლავი, ახლა გადათხრილი განძისმაძიებლების მიერ. აქვე, სამხრეთით გდია უზარმაზარი ქვა ნახვრეტით, ძირი, ან საკურთხეველი დიდი საფლავის ზედა ქვის ჯვრისა. ეკლესიას უწოდებენ **წინობას**. ასევე ქვია წიწვოვან ტყესაც, რომელშიც არის ნანგრევი” (გვ. 107).<sup>1</sup> აგარის მსგავსი ეკლესიები შავშეთისა და კლარჯეთის თითქმის ყველა სოფელშია, ზოგიერთში ორი და სამიც. „დღიურებში” ავტორს აღწერილი აქვს რამდენიმე ათეული ანალოგიური ტაძარი.

განსაკუთრებული ინტერესით მკვლევარი ეძებს და სწავლობს სამონასტრო ნაგებობებს, ახდენს მათ იდენტიფიკაციას ლიტერატურულ თუ ისტორიულ წყაროებში მოხსენებულ

<sup>1</sup> მოტანილ აღწერაში ყურადღებას იქცევს ასევე ნ. მარის ჩანარები: „ყველაფერი გადათხრილია განძისმაძიებლების მიერ”. დიას, ამ კუთხეში ყველა სიძველეზე განძს, „ხაზინას” ეძებდნენ 100 წლის წინათ, ეძებენ – დღესაც. „ბაბოე მერაყელია, მეზნევა, ვიცი ხაზინაა ნუკაქილისაზე, ალთუნია, წამოე ვთხაროთო...” გაგვიმხილა ბაზგირეთელმა ოსმანამ, რომლის მამა კარჩხალას ხეობაში, დიდვენახში ცხოვრობს და ყოველ დღე უყურებს კლდეზე შენივთებულ ნუკა-საყდარს. ბევრს ჩვენც „განძისმაძიებლები” ვგონივართ (იხ. მ. ფალავა, შავშური ჩანაწერები, 2011).

ძეგლებთან. მისი ამ კუთხეში, „ათორმეტ სავანეთა მხარეში“ მოგზაურობის მთავარი მიზანიც ხომ ეს იყო.

7.1. 22 ივლისს ნ. მარი ეწვია ტბეთს. მკვლევარს ტბეთის დიდებული ტაძარი ფეხზე მდგარი დაუხვდა, „იგი ჯერ კიდევ არ იმსახურებს ნანგრევების სახელს“ – ჩაიწერს პირველ შთაბეჭდილებას მოგზაური და დეტალურად აღწერს ყველაფერს, რაც დროსა და ადამიანის ხელს ჯერ კიდევ გადაურჩა. სამი დღე (22-23-24 ივლისი) მოანდომა მეცნიერმა ტბეთის შესწავლას.

7.2. 4 აგვისტოს ექსპედიცია ანჩის საკათედრო ტაძარს ესტუმრა. ანჩა დანგრეული დაუხვდა მკვლევარს: „ეკლესიიდან მიწის ზედაპირზე დარჩა ცოტა და ეს „ცოტაც“ გაწმენდილია მოსაპირკეთებელი ქვებისაგან და შემორჩენილია: კედლის ნარჩენები ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში, სრულიად გაძარცვული, საკურთხევლის ნახევარზე ნახევარგუმბათის ნაწილით და ჩრდილოეთისა და სამხრეთის ორი ეკვდერი გარე კედლებით. სამხრეთ ეკვდერზე მიშენებული იყო კიდევ ერთი ოთახი, რომლის ნარჩენებიც სახეზეა“ (გვ. 247). ჩვეულებრივად აღწერა მოგზაურმა ტაძარი, დააფიქსირა, რისი დაფიქსირებაც შეიძლებოდა: „ეკლესიის სიგრძე შიგნით საკურთხევლის ნახევარწრით 5 საუენი და 2 არშინია, სიგანე – 3 საუენი და 2 1/2 არშინი. დიდი ქვების მოცულობა: სიგრძე 1 არშინი და 6 გოჯი × 10 1/2 გოჯზე, საშუალო ქვებისა – 9 გოჯი × 10 1/2 გოჯზე“ (გვ. 248). აღწერა სხვა, თითქოსდა უმნიშვნელო დეტალებიც, რომელსაც აქ აღარ შეეხებოდა, დაინტერესებული მკითხველი თავად წაიკითხავს მას. აღენიშნავთ, რომ 2005 წელს ანჩის ნარჩენები მოვიწინაშე ბათუმის უნივერსიტეტის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ექსპედიციის წევრებმა, თითქმის არაფერი გადარჩენილა: „ანჩის საკათედრო ტაძარი დღეს მთლიანად დანგრეულია. შემორჩენილია მხოლოდ ნაწილები ოდესღაც დიდი სამონასტრო კომპლექსისა. ამ ნანგრევების მნახველს სევდა გუჟღერება. დრომ თავისი

მსახვრალი ხელი დაატყო ტაძარს, არც კაცმა დააკლო ცდა“, ჩავიწერე დღიურში.<sup>1</sup>

7.3. 6 აგვისტოს ექსპედიცია ენი-რაბათში ავიდა. იმხანად ტაძარი გრიგორიანელი სომხების ხელში იყო, სოფლის მცხოვრებნიც ისინი იყვნენ. „შენობა ხელუხლებელია, არავითარი გადაკეთება ან მინაშენი, შენარჩუნებულია საკმაოდ კარგად, სრულიად მრთელი გუმბათით. ახალი მხოლოდ სომხური წარწერებია, ერთი დასავლეთი ფრთის ფასადზე, მეორე – სამხრეთ ფასადზე. ეკლესია ჯერისებურია“ (გვ. 257) – ასეთი იყო შთაბეჭდილება, ენი-რაბათში პირველი ნახვით რომ მოახდინა ნ. მარზე. დღეს ენი-რაბათის დიდებული სამონასტრო კომპლექსიდან დანგრევსპირას მისული ეკლესიაა გადარჩენილი.

„ენი-რაბათი ლამაზ, ვაკე ადგილასაა გაშენებული. დაბლა ღრმა ხევია. ზემოდან დაჰყურებს მონასტერი ხეობას. ჩანს, აქ დიდი სამონასტრო კომპლექსი იყო ოდესღაც. გადარჩენილია საკმაოდ დიდი ჯვარ-გუმბათოვანი ეკლესია, დღეისათვის სანახევროდ დანგრეული და მოუკვლელი.

აქ წინა მოგზაურობის დროს აგვისტოს, რომ ეკლესიის ეზოში დიდი თლილი ქვები ეყარა, ეზო ტრაქტორით გაწმინდეს და ლოდებიც დაბლა ხევში გადაყარესო. აღმოსავლეთის მხრიდან დღესაც შეიმჩნევა სხვა დამხმარე ნაგებობების ნარჩენები. ეკლესიის მახლობლად ჯერ კიდევაა მიმოფანტული გათლილი ქვები. კარგია დაბლა ხევში ჩასვლა და გადაყრილი ქვების დათვალიერება. ეგებ აღმოჩნდეს რაიმე ჩვენთვის საინტერესო, იქნებ წარწერიანი ქვებიც იყოს...

ვათვალიერებთ ენი რაბათს. ჯერ კიდევ შერჩენია მას ძველი დიდება. თვალს იტაცებს ტაძრის სიდიადე...

შველას ითხოვს ენი-რაბათი. გაწმენდა და გასამაგრებელი სამუშაოების ჩატარება ესაჭიროება, თორემ ვეღარ გაუძ-

<sup>1</sup> მ. ფალავა, შავშური ჩანაწერები, გვ. 121.

ლებს და...<sup>1</sup> – ჩავიწერე ნ. მარის ექსპედიციიდან ასი წლის შემდეგ.

შატბერდის ძიებას დიდი დრო დაუთმო მეცნიერმა. შატბერდი ხომ უშუალოდ გრიგოლ ხანძთელის ნაღვაწია... ჯერ იყო და არტანუჯში გიმნაზისტ იოსებ რისტიკიანის ბიძამ აცნობა მკვლევარს, რომ „შატბერდი ნაპოვნია. მისმა კარგმა ნაცნობმა, რომელიც ხშირად არის ჭედილას ახლო ხევში, თქვა, რომ კითხვაზე: „ხევში ნანგრევებიანი რა მალლობია?“ ადგილობრივმა თურქმა (ქართველმა)<sup>2</sup> უპასუხა: „ეს შატბერდია“ (გვ. 280). მეორე არტანუჯელმა, ბატონმა კიურკიანმა გვაცნობა: „ის სტუმრად იყო ბევთან, დაინახა ძველებური უზანგები და კითხვაზე: „საიდანაა ესენი? ბევმა უპასუხა: შატბერდიდან და იმავე მხარეს მიუთითა“ (გვ. 280). სხვები კიდევ ნ. მართან საუბარში აზუსტებდნენ, რომ იმ ადგილს ახლა შატბერდი და არა შატბერდი ქვია.“<sup>3</sup>

მკვლევარმა უარი თქვა ძველ მარშრუტზე: დაბა–ჯემერკი–დოლის–ყანა–ბერთა–ოპიზა–ფორთა და გადაწყვიტა ჭედილას მხრიდან მისუღიყო მითითებულ ადგილას. აღმოჩნდა, რომ ჭედილში არაფერი იციან შატბერდზე, არც შატბერდზე, სამაგიეროდ იციან წყაროს-თავი (იგი ჭედილას საკუთრებაა). ჭედილას მამასახლისმა ისმაილ თანთო-ოღლიმ სტუმარს დაუსახელა ასევე ბარათეი. „როგორც ჩანს, ბარათელთა, ასევე ნუკა-საყდარი (და არა ნუკი-ქილისე)“, მას ხანძთა არ გაუგონია, იცის ანბა, მთის სახელი არტანუჯთან, ჯოგოს ზემოთ (გვ. 280).

<sup>1</sup> იქვე, გვ. 120-121.

<sup>2</sup> ჩვენი ყურადღება მიიქცია გამოთქმამ: „ადგილობრივი თურქი (ქართველი)“. ვის უწოდებს ნ. მარი „ადგილობრივ თურქს?“. ჩანს, გამუსლიმანებულ ქართველს.

<sup>3</sup> ბოლო ხანებში ქართულ მეცნიერებაში გამოითქვა მოსაზრება, რომ შატბერდი მდებარეობს ჭედილას ახლო ხევში და დღეს შატბერდი ქვია. მნიშვნელოვანია, რომ ცნობა პირველად ნ. მარმა მოიპოვა, თვითონვე გადაამოწმა ჭედილაში, მაგრამ ვერ დაადასტურა (გვ.280). შდრ. თ. ხუციშვილი, შატბერდის მონასტრის ლოკალიზაციის პრობლემისათვის, 2004 წ.

7.4. 11 აგვისტოს ნ. მარი ბარათელას სწავლობდა. ჭედილიდან ბარათელამდე მოგზაურს ჩაუწერია ტოპონიმები: შარაულა, საფუტკრე, გოგლათური, ღვინიგილი, ძუელი, ერდოთ-უკან, ანზალაური, ყარამანგილი. მოხუცი ეზიზი თხოვდა ნ. მარს, ჯერ ენახა „ჯორის ჩლიქის ნაკვალევი წარწერით“. მეცნიერი აღნიშნავს, რომ „ჩლიქის გამოსახულება შეიძლება შეიცნო მრგვალ ღრმულში კლდის იმ მხარეზე, რომელიც ქვემოთ, გვერდით არის მიშვერილი, მდ. ჭედილ-ქოის მარჯვენა ნაპირზე, მაგრამ, რა თქმა უნდა, არც მოხატულობა, არც წარწერა“ (გვ. 283). ადგილობრივმა გამცილებლებმა ექსპედიცია მდ. ჭედილის მარჯვენა ნაპირით მალლა წაიყვანეს და შეუხვიეს რა ხეებს იქით, კლდეზე აჩვენეს ნახვრეტი. საინტერესოა, რომ სოფელში ბევრმა არც იცოდა ამ ადგილის შესახებ. ეზიზი კიდევ ირწმუნებოდა, რომ აქ ძველი წისქვილი იყო. „პატარა ხვრელმა ჩვენ მართლაც შეგვიყვანა გამოქვაბულის ღრმულიდან ძალიან აკურატულ მიწისქვეშა ნაგებობაში. მოხუცი ამტკიცებდა, რომ ეს წიქვილია. ზემოთ მიანიშნეს „კოდას“, წისქვილის ღარის ადგილს“ (გვ. 284). რა თქმა უნდა, მკვლევარს ვერ წარმოედგინა, თუ როგორ შეიძლებოდა ეს შენობა წისქვილად გამოეყენებინათ. ბუნებრივია, ეს არ იყო წისქვილი, ეს ბარათელთაა, ისტორიულად ცნობილი მონასტერი. ტაძარს ნ. მარი ასე აღწერს: „ჩრდილო-აღმოსავლეთ კედელში არის საკურთხევლის ნახევარწრე, მისი სიგანე 1 არშინი და 13 1/2 გოჯია, სიღრმე – 1 არშინი და 8 1/2 გოჯი. საკურთხევლის ნახევარწრე ზემოთ მთავრდება არა ნახევარგუმბათით, როგორც ჩვეულებრივ არის, არამედ თაღით. კედლისკენ თაღი ვიწროვდება და იქმნება მილი, სადღაც მიმავალი. ახლა ამოვსებულია. ამ მილს შეეძლო წარმოეშვა აზრი აქ წისქვილის არსებობის შესახებ... ნებისმიერ შემთხვევაში არაზუსტი ორიენტირება არ შეიძლება ხელს უშლიდეს ამ ნაგებობაში ეკლესიის ამოცნობას... ამ ნაგებობის წინ მცირე გამოქვაბულია ქვებით

გაწყობილი. ის მიმართულია ჩრდილო-დასავლეთისაკენ. გამოქვაბული მდებარეობს ზედ ჭედილაზე...” (გვ. 285).<sup>1</sup> ნიშანდობლივია ნ. მარის დასკვნა: „თუ ეს ნაგებობა წისკვილია, მაშინ არ შეიძლება არ გაგიკვირდეს არქიტექტურაში ძველი ქართველების წარმატება, ქვის წყობის სიმტკიცესა და სიზუსტეში უბრალო შენობების აგებისასაც კი” (იქვე).

<sup>1</sup>2011 წლის ზაფხულში, 24 ივლისს, რსუ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ექსპედიციამ (მ. ფაღავა, ზ. შაშიკაძე, მ. ჩოხრაძე, ნ. ტულუში) ინახულა ბარეთელთა ჯერ ჭედილაში ავედით, სადაც ვიკითხეთ ბარეთელთა მდებარეობა. სოფლის იმამის, ქერიმ ჩიფთაჯის თანხლებით ჩამოვედით დაბლა, ხეობაში, დაახლოებით 200 მეტრის მოშორებით, სადაც ჭედილასწავლი ერთვის შავშეთისწყალს. ბარემ სრულად მოვიყვანთ იმდღევანდელ ჩანაწერს, რომელიც აქ გავაკეთეთ: „საუბარში ჩამოვედით ბარეთელთას მისადგომებთან. მანქანები (ჩვენი და ქერიმის) გზის პირას, ხიდიდან პირველ მოსახვევში, გავაჩერეთ, ფეხით გავიარეთ ორას მეტრამდე და ხეობაში მივადექით იმ ადგილს, სადაც უნდა ყოფილიყო მონასტერი.

ეს ადგილები კარგად იცის ქერიმმა. აქ მისი დედის ძმები ცხოვრობენ და ბავშვობაში ხშირად უთამაშია კიდეც ამ მიდამოებში. იგი იგონებს, რომ აქ 3 თუ 4 ოთახი ყოფილა გადარჩენილი ძველი მონასტრიდან, ბავშვობაში შევედიოდიო შიგ. რამდენიმე წლის წინ მეწვერი წამოსულა, ქვა დაცემია მონასტერს და დროსგადარჩენილი ნაშთები ერთიანად გაუნადგურებია. დღეს აღარაფერია დარჩენილი მონასტრისაგან, მაგრამ აქაურთა მეხსიერებამ შემოინახა გეოგრაფიული სახელი ბარათელთა (<ბარეთელთა) და აქ მცხოვრებთ ჯერ კიდევ ახსოვთ ბარეთელთას მონასტრის ნაშთები, მათ შორის არიან ჩვენი მეგზური ქერიმ ჩიფთაჯი და მისი ბიძები (დედის ძმები) ისმეთ და ნუსრეთ აქსაქარები.

ვათვალიერებ გარემოს. ნაშვავარი დღესაც გარკვევით ჩანს, რაც შეეხება მონასტერს, – ალგვილა პირისაგან მიწისა. რაიმე ხელნახატი, რომ აქ ნაგებობა იყო, ვერ ვნახე...

ჩვენს საქმიანობაში (ჩაწერა, გადაღება, დათვალიერება) მოვიდა აქსაქარების მეზობელი სელიმ სააქჩი, რომელმაც გაიხსენა, რომ აქ წინათ თაღები იყო და ჩამოიქცაო.

სელიმი 70 წლამდეა, გაცილებით უფროსია, ვიდრე ქერიმ ჩიფთაჯი და გასაკვირი არაფერია, მასზე მეტი რომ ახსოვდეს.

როგორც ვხედავთ, ბარეთელთას შესახებ ცნობა შემორჩა ჭიდილელთა მეხსიერებას, მიწას კი მისი კვალი აღარ ეტყობა”.

ჩანს, ნ. მარი იყო ბოლო ქართველი მკვლევარი, ვინც ნახა და აღწერა ბარეთელთა, ამიტომაც განსაკუთრებით ფასეულია დაკვირვებები, რომელიც მას „დღიურებში” შეუტანია.

7.5. 11 აგვისტოს ნ. მარი წყაროსთავის სამონასტრო კომპლექსზე ავიდა. მდ. კარჩხალას მარცხენა ნაპირის აღმართებით 10 სთ.-სა და 10 წუთზე მიაღწია ტაძრის სანახებს. „დღიურში” ვკითხულობთ: „გამოჩნდა წყაროსთავის დიდებულ სამონასტრო კომპლექსის ნანგრევები. წყაროს-თავი ახლა ეწოდება საკუთრივ დაილას, რომელიც უფრო ზემოთ მდებარეობს, ღია საძოვარ ადგილას. აქედან ჩამოედინება წყაროს წყალი, ძალზე უხვი დარტაფით კარჩხლისაკენ. ეს წყალი გარს აკრავს მონასტრის მიწას აღმოსავლეთით, სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთით. სამონასტრო ნანგრევები: მარჯვნივ ეკლესია, ორიც კი ცენტრში დარბაზის სამხრეთი ფასადი. დარბაზს ჩვენგან მარცხნივ ეკვრის სასტუმროები – ოთახები ერთ დარბაზს მიმაგრებულ შენობაში. სხვა ნაგებობები, ნანგრევების გროვა, მაგრამ უფრო მარცხნივ, ე.ი. დასავლეთით, კარჩხალკის ხევზე, თითოეულ მწვერვალკედლეზე, როგორც ამბობენ, თითო სადარაჯო ჯიხურია, ისინი ოთხია...” (გვ. 288). აღმოჩნდა, რომ ისინი ეკლესიებია, შავშეთ-იმერხევის ტიპის პატარა ეკლესიები. მოგზაური-მკვლევარი დიდი ინტერესით უახლოვდებოდა ტაძარს: „მე უახლოვდებოდი გულისფანცქალით, აღელვებული სავანის წარსულ დიდებაზე ფიქრით და იმ ფიქრითაც, ვნახავ თუ არა ადგილზე ჩემს კითხვებზე პასუხს, რაიმე გასაღებს” (გვ. 290). ამ ფიქრებით მიაღმა მკვლევარი წყაროსთავის სავანეს...

7.6. 12 აგვისტოს ექპედიცია ახალთადან ნუკა-საყდარზე ავიდა. ჯერ ბილიკს მიყვებოდნენ, შემდეგ ციცაბო, უგზო აღმართებს. „ჩემი პირველი შთაბეჭდილება იყო, რომ ვიყავი ხანძიაში”, – ჩაიწერს ნ. მარი. ამ დღიდან საუკუნეზე მეტი გავიდა. ქართულ მეცნიერებაში აზრი გაიყო: ერთნი ამტკი-



ცებენ, ხანძთა ქვემო ფორთის ტაძარი<sup>1</sup>, მეორენი ემხრობიან ნ. მარის მოსაზრებას. ჩვენი აზრით, ნუკას საყდარი ყველაზე ახლოს დგას გიორგი მერჩულეს თხზულებაში დახატულ ხანძთის სურათთან, ამიტომაც ვამტკიცებთ, ნუკა იგივე ხანძთაა მოგვიანებით სახელშეცვლილი.<sup>2</sup>

საყდრის ადგილმდებარეობა ასეთია: „აღმოსავლეთით, კარჩხლისაკენ მიმართულ მთის ფერდობზე შექმნილია კალთა ან ღარტაფი სამხრეთსა და ჩრდილოეთით ორი კუთხით შემხვედრი ფერდისაკენ. ფერდობების შეხვედრის ხაზზე რაკრაკით მოედინება არცთუ უხვი წყარო. ჩრდილოეთ ფერდობზე, ჩრდილოეთიდან მოჭრილ მაღალ კლდოვან ფერდობზე დგას კიდევ ეკლესია” (გვ. 301). გასული საუკუნის დასაწყისში ჯერ კიდევ იყო შენახული ქვის ღობის ნაწილი, წყარო, წყაროდან თხუთმეტოდე ნაბიჯში კაპიტალური ქვის შენობა, კოშკის ფორმის ნაგებობა... ჩანს, მონასტრის ეზოს, რომლის ფართობი 40 კვ. საყენი შეიძლება ყოფილიყო, ჰქონდა ჭიშკარი. დღეს მონასტრის შემოგარენი მთლიანად დაფარულია ქვა-ღორღით, თუმცა აქა-იქ შეინიშნება ქვის წყობის ნაშთები.<sup>3</sup>

მკვლევარმა მოახერხა ასულიყო ეკლესიაში და დეტალურად აღეწერა იგი. მისი სიგრძე 1 საყენი, 1 არშინი და 4 1/2 გოჯია, სიგანე – 2 1/4 არშინი. მანვე დაგვიტოვა ნუკას

<sup>1</sup> იხ. პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ. 1954, გვ. 14; 311; შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ. 1971, გვ. 176; რ. ჟორდანი, კრ. ქართველი ზოლოგები თურქეთში, თბ. 1997; ირ. გიგიაშვილი, ირ. კოპლატაძე, ტაო-კლარჯეთი, თბ. 2004, გვ. 104; არსებობს სხვა მოსაზრებაც, კერძოდ, ე. თაყაიშვილი აღნიშნავდა, რომ ხანძთა ეფერატის ხეობაშია. იხ. ექვთ. თაყაიშვილი, სამი ისტორიული ქრონიკა, ტფ. 1890, გვ. LXI-LXXIII. შ. ფუტყარაძის ვარაუდით კი ხანძთა შესაძლებელია უბის ჭალებში იყოს. იხ. შ. ფუტყარაძე, ჩვენებურების ქართული, გვ. 189...

<sup>2</sup> მ. ფალავა, ხანძთის და შატბერდის ლოკალიზაციისათვის. ჟ. მნათობი, 1, 2007, გვ. 143-149; მისივე: კვლავ ხანძთის ლოკალიზაციის საკითხისათვის. კრ. ჩვენი სულიერების ბალავარი, II, 2010, გვ. 44-49;

<sup>3</sup> მ. ფალავა, შავშური ჩანაწერები, გვ. 240-242..

შემოგარენის აღწერა. სხვა მკვლევარს ამდენის შესაძლებლობა არ მისცემია...

დამე ახალთაში გაათიეს. მეორე დღეს, დღით, ნ. მარი დღიურში ჩაიწერს: „არ შემიძლია გავთავისუფლდე შთაბეჭდილებიდან, რომელიც ჩემზე ხანძთამ მოახდინა, მაგრამ არ შემიძლია მისი სიტყვებით გადმოცემა. ერთი რამ აშკარად იგრძნობა: „ეს არის უკიდურესი ასკეტობის ადგილი” (გვ. 309).

7.7. 13 აგვისტოს ექსპედიცია მიძნაძორს ეწვია. იგი მდებარეობს კარჩხალას ხეობაში, დიდვენახში და არცთუ დიდი მანძილითაა დაშორებული ახალთადან. მოვუსმინოთ ნ. მარს: 10 საათსა და 40 წუთზე მდინარის მოსახვევზე მოულოდნელად პირისპირ აღმოჩნდით ამ მხარისათვის უზარმაზარი ტაძრის ნანგრევებთან. მეგონა, რომ დიდვენახში უბრალო სამრევლო ეკლესიაა, აქ კი აღმოჩნდა ოდესღაც დიდი, წარმატებული მონასტერი, მთელი თავისი მრავალფეროვანი ნაგებობებით. თავისი მდებარეობით მონასტერი საუკეთესოა ყველა იმათ შორის, რაც მე ამ მხარეში მინახავს...” (გვ. 311). მიძნაძორი მდებარეობს დიდვენახს ქვემოთ, ამ ადგილს ახლა ქილისელარს (ეკლესიები) უწოდებენ (გვ. 312). ადგილობრივთაგან ხემო ლიმან-ოღლიმ იცოდა, რომ ამ ადგილს „მიძნაძორი” ერქვა.

აქვე საინტერესოა კიდევ ერთი ფაქტი: მკვლევარი იხსენებს, რომ ჭედილეელი ეზიზი „რამდენადმე ურევდა. ხან ამბობდა, რომ მიძნაძორი დიდი ადამიანი იყო, თამარის დიდმოხელე, რომელიც სადღაც მიწას ფლობდა, ხან ამტკიცებდა, რომ ნუკა-ქილისე არის „მიძნაძორი” (გვ. 312).

ნ. მარი მიანიშნებს **მიძნაძორის** ეტიმოლოგიაზე, კერძოდ: „გვერდით ვტოვებ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების” ტექსტს და ლიტერატურულ მოწმობებს. მონასტრის რეალური მდებარეობა – კონცხზე, კარჩხალას მკვეთრ მოსახვევთან, თითქმის მართი კუთხით, სადაც მას ცხუმურის მდინარე თუ მთის ნაკადული ერთვის სოფელ პორტას მხრიდან (ჩრდილო-დასავლეთიდან), განსაზღვრავს ადგილს, როგორც

საშუალო-ხევეურს, რაც ნიშნავს კიდევ მიძნადორს, სომხური **Միջնადոր** მიჯნადორს” (გვ. 313). სქოლიოში მითითებულია: „იმავე ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით, სახელწოდებას ახსნა შეიძლება სხვაც მიეცეს, მაგალითად, იგი შესაძლებელია გაჩნდა იმის გამო, რომ ამ მონასტერს შუალედური ადგილი უჭირავს მერეს, პორტას, ხანძთასა და წყაროს-თავს შორის. ყველა დამაკავშირებელი გზა ამ სავანეებს შორის მასზე გადიოდა”(სქ. 2, გვ. 313).

როგორც ვხედავთ, ნ. მარი **მიძნადორს** სომხურით ხსნის, დაკავშირებაც დამაჯერებელია, მაგრამ ჩნდება უკმარობის გრძნობა, კერძოდ: **მიძნადორის** გარშემო ყველა ტოპონიმი ქართულია, როგორც ისტორიულად, ისე ახლა: **წყაროსთავი, მერე, ხანძთა, დიდვენახი, ახალთა, ფორთა/პორტა...** საიდან გაჩნდა აქ სომხური ტოპონიმი? ხომ არაა იგი ფონეტიკურად სახეცვლილი ქართული საგეოგრაფიო სახელი? ვცადოთ, ქართულად ავხსნათ ხსენებული სახელი.

„უამთააღმწერლის” შრომის სხვადასხვა რედაქციაში მიძნადორი განსხვავებული ფორმითაა ნახმარი, კერძოდ: **მიძნაჯვარი**-ი (Mm), **მიძნადორ**-ი (Dc), **მიძნადორა** (cet). მოყვანილ ფორმათაგან ყურადღებას იქცევს პირველი – **მიძნა-ჯვარი** (თუ იგი მიძნადორის გადამწერისეული გადააზრება არაა). თუ ამოსავლად ამ ფორმას მივიჩნევთ, დასაშვებია მსჯელობა: **მიძნა-ჯვარი<მიჯნა-ჯვარი>საგან** (ჯ-ჯ>ძ-ჯ<sup>ს</sup> სშულთა დისიმილაციის საფუძველზე), ხოლო შემდეგ პროცესი ასე განვითარდა: **მიძნა-ჯვარი>მიძნა-ჯორი** (ვა>ო გავრცელებული მოვლენა ქართულში)> **მიძნადორი** (ძ-ჯ>ძ-ძ სშულთა პროგრესული ასიმილაციით).

ამდენად, **მიძნადორი** რალაციის მიჯნასთან მდებარე **ჯვარს** უნდა ნიშნავდეს.”<sup>1</sup>

ვფიქრობთ, ჩვენი მისაზრება არაა ინტერესსმოკლებული და აქვს არსებობის უფლება.

<sup>1</sup> მ. ფაღვა, ძველისა და მიძნადორის ეტიმოლოგიისათვის. კრ. ჩვენი სულიერების ბალავარი, IV, 2012, გვ. 206.

7.8. 14 აგვისტოს ნ. მარი მხლებლებითურთ ახალთადან ფორთაში ავიდა. გზა ძნელი და დამქანცველი იყო, რასაც ერთვოდა საკვების უკმარობა. ექსპედიცია ჯერ სოფელ ზემო ფორთაში ავიდა. ფორთელებმა იციან, სადაა მიძნადორი, რასაც ვერ ვიტყვით ჭედილელებზე, რომელთაც გაუგიათ მიძნადორის შესახებ, მაგრამ არ იციან მისი მდებარეობა. მკვლევარი ადგილობრივებთან (ხასან რეჯეზ-ოღლი) საუბრით დაადგენს, რომ ბაღებიდან, ე.ი. ფორთას ძველი მონასტრიდან ნუკა-საყდარში გზა მიდის. შემორჩენილია ძველი გზის კვალები. ეს გზა მიდის ხევში ჩაუსვლელად მთების გავლით. გზის ხანგრძლივობა 1 საათია. ოპიზიდან ნუკა-საყდარში ამჟამად შეუძლებელია მოხვედრა ქვემო ფორთას გავლის გარეშე (გვ. 323). მგზავრებმა ზემო ფორთიდან ფორთის ბაღებამდე ჩამოიარეს: მარაწმინსა (<\*მარიამწმინდა?), გოგაქკალა, მაზმის ახო, სახველთი. „პორტას ხევში ორი მხრიდან მოედინება ნაკადულები, **ნასხეტა** (ნასხეტ-სუ) და ღარტაფიდან გამომდინარე **მარაწმინდა**. საკუთრივ **ნასხეტა** მდელია („ჩაირი“) ნასხეტის მარცხენა ნაპირზე. ამ ორი პატარა მდინარის შესართავში მდებარეობს შუა პორტა.” მომდევნო ხევში, მარცხნივ, ჩამოდის ღარტაფი ღურღულა-ხევი, რომლის ქვემოთ, ფორთის ხევის ნაწილს ეწოდება ტუდათ-ხევი. ძნელადსავალი ბილიკებით ჩამოაღწიეს ფორთამდე. ნ. მარს ჩაუწერია: „აქაც, როგორც ხანძთაში, როგორც მიძნადორში, პირველივე შთაბეჭდილება იყო, რომ მე ვიმყოფებოდი საძებნ ძველ სავანეში – შატბერდში, მიუხედავად მისი გვიანდელი, ახალი მოპირკეთებისა...” (გვ. 325). წარმოვიდგინოთ განცდა კაცისა, ვინც პეტებურგიდან ფორთაში ჩამოსულა გრიგოლ ხანძთელის ნაკვალევზე შემდგარი და განიცდის შატბერდის (შატბერდად მიიჩნია ნ. მარმა ფორთა) სიდიადეს. ბედნიერია მკვლევარი იმითაც, რომ ღამისსათევად ფორთის ეზოში შეუძღვნენ. „დღიურში” ვკითხულობთ: „მე ძალიან მოხარული ვიყავი ამ გეგმისა. „სტუმრად გრიგოლ ხანძთელთან”, გავიფიქრე, „სტუმრად შატბერდის X საუკუნის გადამწერებთან, კრებულის შემდგენლებთან და მწერ-

ლებთან”, გამიელვა აზრმა და მომეჩვენა, რომ ჩემი ფიზიკური დაღლა ქრება ამ აზრის გაჩენისას, რომ ვურთიერთობოდე დაღლა აყვავებული ქართული კულტურის დავიწყებულ მუშაკებთან. უფრო ადრე, სავანის ნახვისას, დამეუფლა თანამედროვე სამყაროსაგან ისეთი განდგომილობის განწყობა, ვიგრძენი ისეთი სიახლოვე ამ განდგომილების კუთხის წარსულ რეალობასთან, რომ, მგონი, არ გამიკვირდებოდა თვით გრიგოლ ხანძთელის სისხლხორცეული გამოჩენა პასუხით ჩემს აქ მომყვან კითხვაზე: „სად არის შატბერდი?“ (გვ. 326). იმდენად ბუნებრივად და ხატოვნად გადმოსცა ნ. მარმა თავისი განცდები, რომ სჯობს კომენტარისაგან თავი შევიკავოთ, ვეჭვობ, ჩვენი საუბრით არ გავაფუჭოთ მოგზაურის სულიერი პორტრეტი.

ნ. მარი აღნიშნავს, რომ გრიგოლ ხანძთელისათვის მაინც შატბერდია უპირველესი, მიუხედავად იმისა, რომ თავად ხანძთას აღიარებს. გამომდინარე აქედან, მკვლევარი განსაკუთრებულ დამოკიდებულებას გამოხატავს მის მიმართ: „შატბერდი ჩემს წარმოდგენაში როგორღაც უფროა დაკავშირებული გრიგოლთან; მე მგონია, რომ ის უფრო მეტად აკეთებდა შატბერდს, ვიდრე ხანძთას. ამასთან, გრიგოლისაგან დამოუკიდებლად, შატბერდი ჩემს ყურადღებას იპყრობდა, როგორც ლიტერატურული მოღვაწეობის ცენტრი, რომელმაც ნიადაგი გაუმაგრა ქართველების უშუალო ზიარებას დასავლურ, ბიზანტიურ კულტურასთან და ამავე დროს მხარი დაუჭირა ან ააღორძინა ქართული აზრის ძველი ურთიერთობა სომხურთან, საერთოდ აღმოსავლურთან... მე დიდი სიამოვნებით გადამქონდა ფეხი ჭიშკრის ზღრუბლზე, გულში სიამის გრძნობა მქონდა და ცრემლებამდე გულაჩუყებული ვიყავი იმ აზრით, რომ შევდივარ განათლების ძველი მუშაკების ინტიმურ კუთხეში” (გვ. 326). მეცნიერის ეს აღმაფრენა გაქრა, როცა დაინახა, რომ შატბერდის მონასტრის ეზო მოუვლელია, საჯინბოდაა გადაკეთებული, სიბინძურების გადასაყრელ ადგილად, სამრეკლო გადაქცეულია სათი-

ვედ... ჩვენის მხრივ შევნიშნავთ, რომ სამრეკლო ამჟამადც საბოლოოდ გამოიყენება.

ემოციებით დატვირთული შეუდგა მეცნიერი ფორთის აღწერას: შემოგარენის სახელები, წარწერები, სხვადასხვა ნაგებობისა თუ სააღმშენებლო ქვების ზომები... არც ერთ წერილმანს არ ტოვებს „დღიურების“ ავტორი ყურადღების მიღმა. „შატბერდში (ამიერიდან ასე ვუწოდებ ქვემო პორტას მონასტერს) ასევე არ არის მოედანი. ყოველი ნაგებობისათვის, ბალისათვისაც კი, უნდა გასწორდეს ნიადაგი [ქვის] წყობით, ამოყვანილი იყოს ტერასა. ჩამოთხრით ნიადაგის გასწორებას ერიდებიან, რადგან თუ ნიადაგი ქვიანია, ეს დიდ სირთულესთან არის დაკავშირებული, თუკი გრუნტი მიწაა, მაშინ იგი მიდის სახნავში და ბაღში და ცოდოა. ამრიგად, ყველა კულტურული ნაგებობა შატბერდში, ისევე როგორც მეტ-ნაკლებად მთელს კლარჯეთში, განლაგებულია ტერასის მსგავსად, ერთი-მეორის ზემოთ, ხანდახან ამფითეატრით. თანამედროვე სახლებიც კი ქვედა პორტაში აგებულია ტერასაზე” (გვ. 326).

ყურადღებას მივაქცევთ ერთ ფაქტსაც. ერთი ვარაუდით, ფორთა ხანძთაა. ფორთა ვრცელი სამონასტრო კომპლექსია, ეს ჩანს ნ. მარის „დღიურებიდანაც“. გიორგი მერჩულეს თხზულებიდან ირკვევა, რომ ხანძთა არაა დიდი მონასტერი. ამას მოწმობს ისიც, რომ ხანძთა ხშირად ვერ იტევს ძმობის წევრებს და მოძღვარი იძულებულია გადაანაწილოს ისინი სხვა მონასტრებში, რომელთა უმეტესობა ხანძთის ახლო-მახლოსაა გაშენებული გრიგოლისა და მისი მოწაფეების მიერ, მათგან მოშორებითაა შატბერდი (აწინდელი ენი-რაბათი, არტანუჯიდან 16 კილომეტრში, ღონგოთხევეში). ვფიქრობთ, ეს ფაქტიც უნდა იქნას გათვალისწინებული, როცა ხანძთისა და შატბერდის იდენტიფიკაციაზე ვმსჯელობთ. და კიდევ ერთი ფაქტი განსჯისათვის: ენი-რაბათი (ახალი-რაბათი) გვიანდელი სახელია იმ ტაძრისა, რომელიც ღონგოთხევეშია აშენებული, არტანუჯთან ახლოს და რომელსაც შატბერდად მიიჩნევენ მეცნიერთა ერთი ჯგუფი. ენი-რაბათი ამ ტაძრის

ახალი სახელია, მას შემდეგ შერქმეული, რაც აქ რაბათი აშენდა და ძველ ქართულ ტაძარს და სოფელსაც სომხები დაეპატრონენ. რა ერქვა ამ ტაძარს ძველად? თუ შეიძლება მისი იდენტიფიკაცია ისტორიულად ცნობილ სხვა რომელიმე ძეგლთან (თუ უარყოფთ, რომ იგი შატბერდია სახელშეცვლილი)? იგი ხომ სამონასტრო კომპლექსია და არა შავშეთ-იმერხეული ტიპის სოფლის მცირე ეკლესია. დაბოლოს, დავიჭრებად ღირს შემდეგიც: რამდენად შესაძლებელია შატბერდი საგან ფონეტიკური გარდაქმნით შარბეთის (ტოპონიმი არტანუჯთან ახლოს) მიღება?

7.9. 16 აგვისტოს ნ. მარის ექსპედიცია ოპიზაში ავიდა. გზად მან ინახულა შავშეთ-იმერხევის ტიპის **კარგად შენახული** ეკლესია ქუსლაზე. კარგად შენახულიო, ხაზგასმით ვამბობთ იმიტომ, რომ დღეს ქუსლაზე ტაძრის ნანგრევებია მხოლოდ. გასულ 100 წელში მთლიანად დანგრეული იგი..

17-18 აგვისტოს მკვლევარმა აღწერა ოპიზის იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტერი. უპირველესად საუბრობს კომპლექსის შემოგარენზე: ადამოლის წყარო, ოპიზის ხევი, ავაზანათი, ასმანური, აკუნათი, თავდიდური, ფირინშლუხი, ჯიმიეთური, ადიმალი, ზინაული, აშკლა, კოპორა, კოლტი-თავი, სასვენი, დღსაყილი, სასხეთი, კუტლიბუჯა, სავესე... შემდეგ ზედმიწევნით აზომავს ოპიზას, კითხულობს წარწერებს, აკვირდება ტაძრის არქიტექტორულ დეტალებს. უნდა ითქვას, რომ ნ. მარმა მოგვცა ოპიზის სამონასტრო კომპლექსის ერთ-ერთი სრული აღწერა. თუ გავითვალისწინებთ, რომ გასული საუკუნის 60-იან წლებში ოპიზა დაანგრეეს და ჩვენამდე მხოლოდ ნაშთებმაღა მოაღწია, ნათელი გახდება ნ. მარის „დღიურების“ მნიშვნელობა ქართული მეცნიერებისათვის.

მკითხველის ყურადღებას მივაქცევთ ნ. მარის მსჯელობას: „აქ უკვე არ შეიძლება იყოს ეჭვი, რომ ჩვენ საქმე გვაქვს გადაკეთებულ ეკლესიასთან და, საერთოდ, მონასტერთან. ოპიზა არსებობდა კუროპალატ აშოტამდე, კუსამდე და ჩვენ ეს ახლა ვიცით „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრე-

ბიდან”, მაგრამ დიდი შეცდომა იქნებოდა ფიქრი იმაზე, რომ ოპიზის ეკლესია, მისი ამჟამინდელი სახით, არის კუროპალატის ეპოქის ძეგლი. წარწერა გვამცნობს მხოლოდ ოპიზის მეორედ აშენების ფაქტს აშოტის დროს...” (გვ. 360). დიას, ოპიზის ტაძარი, აგებული კუროპალატის მიერ, ბაზილიკა იყო, ახალი – გუმბათიანია, მაგრამ მას „შემორჩა ბაზილიკის განცდა” (გვ. 360).

7.10. 18 აგვისტოს ნ. მარი ბერთის მონასტერს სწავლობს. კარჩხალას ხეობას აუყენენ მარჯვენა ნაპირით, მარცხნივ დატოვებს ს. წყალთეთრა. შემდეგ ქვის ერთკამარიანი ხილით გადავიდნენ მარცხენა ნაპირზე და ოცი წუთის შემდეგ მიაღწენ ბერთას პირველ მეზრეს, კურიათ-დერეს. გზა განაგრძეს კარჩხალას მარჯვენა ნაპირით (აქედან ცხენები გაგზავნეს პაპაურში) და 2 სთ. და 10 წუთზე უკვე ბერთას მონასტრის ეკლესიაში იყვნენ. დღეს ამ გზას აღარ იყენებენ, ახალი გზებია გაყვანილი. აღვნიშნავთ, რომ მეცნიერულად საინტერესოა ნ. მარისდროინდელი (და საერთოდ ძველი) გზების შესწავლა. ზოგიერთ ძველ გზებსა და ბილიკებს დღესაც იყენებენ ადგილობრივები ქვეითად თუ ცხენით მეზობელ ხეობებთან თუ სოფლებთან დასაკავშირებლად. ჯერ კიდევ არიან ამ ბაწრების მცოდნენი და მათი მონათხრობით შეიძლება აღვადგინოთ გზათა ის სისტემა, ისტორიულად რომ არსებობდა ჭოროხის ხეობაში და რომლითაც ჭოროხის ქვეყნები უკავშირდებოდნენ დანარჩენ საქართველოს.

დავუბრუნდეთ სათქმელს.

„ბერთას მონასტერი მდებარეობს მადლობზე ზუსტად ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ ტალტოშისწყლის კარჩხალასთან შეერთების წერტილიდან. სატრაპეზო (აქ მას „ხანეს”, ბაკს უწოდებენ) გაგრძელებულია ტალტოშის ხევზე, მიემართება რა ჩრდილო-აღმოსავლეთიდან, ანუ, უფრო სწორედ, ჩრდილო-დასავლეთიდან. მახლობელ ჩრდილო-დასავლეთით ბერთას მთიანი „მეზრებია”: ჩრდილო-დასავლეთით წინდილაური (მის ქვემოთ საქოწელი), ჩრდილო-აღმოსავლეთით დიდ-აგარა” (გვ. 373). შემდეგ ნ. მარი დეტალურად აღწერს

მონასტერს: ეკლესიასა და სხვა ნაგებობებს. საყურადღებოა მკვლევრის დასკვნა: „ბერთის ეკლესია წარმოადგენს შესანიშნავ მასალას შატბერდში, ოპიზასა და სხვაგან ძველი ტაძრის გადაკეთების, საერთოდ, გუმბათისა და ყელის საკითხისათვის. ოპიზაში აშოტის ნაგებობებში გუმბათიანი დარბაზების გაცნობის დროიდან მე დავიწყე ფიქრი იმაზე, რომ გუმბათი შეიძლება იყოს აშოტის დროის ეკლესიებშიც, მაგრამ ყელის გარეშე. ამრიგად, ბაზილიკების ჯვრისებრ ტაძრებად გადაკეთებისას ოსტატებს სიახლე მხოლოდ გუმბათში ყელის აშენებით შეჰქონდათ” (გვ.274). ვფიქრობთ, მნიშვნელოვანი დაკვირვებაა სამხრეთ საქართველოსა და, ზოგადად, ქართული არქიტექტურის ისტორიისათვის.

7.11. 19 აგვისტოს ექსპედიციას პარესთაში უნდა ემუშავა. საკმაო გზა ედოთ წინ ბერთის პაპაურიდან (სადაც ღამე გაათიეს) ტაძრამდე. გზად მკვლევარი აღწერს გარემოს, იწერს ტოპონიმებსა და ჰიდრონიმებს: სავასეს მთები, ბირკნალა (//ბირკინალა//ბიკნალა), ნუკაური, დიდრო (დიდრო-დ<\*დიდრუ-დ – მ.ფ.), სილაურთ-წყალი, კობკური, კაუთალაკი, დუგანალი... პარესთაში არის ეკლესიის ნანგრევები. „იმავე ციცაბოზე, სამხრეთ-დასავლეთით, კარჩხალას მხარეს ციცაბო მხრიდან ეწოდება დიუზტაში, პირდაპირი, ე.ი. ციცაბო ქვა. ამ ციცაბო კლდეში არის კიდევ გამოქვაბული” (გვ. 382). ნ. მარს დაპირდნენ, რომ კიბეს ადგილზე დაუმზადებდნენ, მაგრამ ვერ მოახერხეს. მკვლევარი მიუახლოვდა ქვაბს, შეღწევა კი ვერ შეძლო. გამცილებლები უმტიციებდნენ მას, რომ „ბერთაში არავინაა, ვინც გამოქვაბულშია ნამყოფი. მოხუცები ამბობენ: ოდესღაც ერთმა ბერთელმა გააკეთა კიბე, შევიდა ქვაბში, მაგრამ შიგ რამე ვერ იპოვა; შიგ ეგლო ერთი ძველი, ხის აკვანი და მან ის გადააგდო”. აკვნის ხსენება მეცნიერს აღუძრავს ფიქრებს: „ხომ არ არის „ხის აკვანი” გამოქვაბულის მნახველის მოთხრობის ახალი გართულება? ხომ არ ნახა მან იქ საფლავი ჩვეულებრივი, აკვნისმაგვარი საფლავის ქვით?” (გვ. 383). კითხვებს პასუხ-

გაუცემელს ტოვებს ნ. მარი, უფრო სწორედ, მომავალ მკვლევარს უტოვებს.

მოგზაური გულდასმით სწავლობს გარემოს, იქვე მდებარე ეკლესიებს, ერთი მეორის ზემოთ მდგარს. ეკლესიებიდან სამი წუთის სავალზე არის მონასტრის სათავსო, სატრაპეზო ან სინოდი... (გვ. 386).

ბერთა (//ბერთის) პარესნი საინტერესო ტოპონიმია, თუ გავითვალისწინებთ პარეს ფუძის მნიშვნელობას.<sup>1</sup>

7.12. 20 აგვისტოს, შუადღისას ნ. მარი დაბაში ავიდა. პარასკევი (ჯუმა) იყო და მამაკაცები სახლში არ იყვნენ, სალოცავად წასულიყვნენ ჯამეში, ქალები კი სტუმარს ვერ მიიღებდნენ. სოფელში შემთხვევით დარჩენილი კაცისაგან მკვლევარმა გაიგო, რომ ადგილს, სადაც ეკლესიის ნანგრევებია, ქვია **ქილისა-ღუსი**. ბევრი არაფერი დახვედრია მოგზაურს დაბაში, ამიტომაც მალე დატოვა სოფელი და ჯმერკისაკენ გაემართა.

7.13. ჯმერკი მდებარეობს „იმერხევის ხეობის ჩრდილო-დასავლეთით, ამაღლებაზე” (გვ. 395). მონასტრისაგან მკვლევარს დახვდა „უმოწყალოდ შემოდრცეული ეკლესიის კედლები”. ტაძარი წაგრძელებული ოთხკუთხედიანია. შიგნით სიგრძე 7 საუენი და 1/4 არშინია, სიგანე – 2 საუენი, 1 არშინი და 1/4 გოჯი). ნ. მარი ასეთ ჩანაწერს გააკეთებს: „ამ ეკლესიაზე, ამჟამინდელი მდგომარეობისა და არსებული მასალის საფუძველზე მეტი არაფრის თქმა არ შეიძლება. ბერთის ეკლესიასთან მუეძინის შემოძახილი ახლა არც იმდენად სევდიანი მეჩვენება, როგორც ამჟამინდელი საცოდავი მდგომარეობა დაბისა და ჯმერკის ეკლესიებისა, სამონასტრო ტაძრებისა. აქ, ჯმერკში, შეუძლებელია გაერკვე საკურთხევლის ნაწილის აგებულებაშიც კი, ისეა ყველაფერი განადგურებული...”(გვ. 396). საუბედუროდ, ჯმერკს ვერ მოუსწრო ქარ-

<sup>1</sup> პარეს ფუძის შესახებ იხ. მ. ფაღავა, ეტიმოლოგიური შენიშვნები, I, ცხროჭა, პარესნი. ბღუ პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა I სამეცნიერო კონფერენცია. მოხსენებათა გეგმა და მასალები. ბათუმი 1994.

თველმა მეცნიერმა, ამიტომაც დღეს არ გვაქვს ტაძრის აღწერილობა.

7.14. 21 აგვისტოს ნ. მარმა დოლისყანაში იმუშავა. ჯმერ-კჭალას ბაღებიდან, სადაც ექსპედიციის წევრებმა დამე გაათიეს, დოლისყანა//დოლისხანა არცთუ შორსაა. ტაძართან მისუღმა მკვლევარმა თვალის შევლებისთანავე აღმოაჩინა განსხვავება სხვა ეკლესიებთან შედარებით: „უეცრად ჩემი ყურადღება მიიპყრო ყელის შესახედავად სუფთა, სრულიად ახალმა მოპირკეთებამ. სამხრეთ-აღმოსავლეთის ორი ყრუ შუაკედლიდან ერთში, უფრო სამხრეთში, ჩანს ადამიანის ჰორელიფური გამოსახულება, პირით აღმოსავლეთისაკენ. მას ხელში უჭირავს გუმბათიანი ეკლესია, შესაძლებელია, ეკლესიის მოდელი. ყველაფერი ეს ჰორელიფშია მოცემული. ეკლესიის მოდელის ქვემოთ არის ორსტრიქონიანი წარწერა მთავრული ასოებით...“ (გვ. 400). მეცნიერმა ჩვეული გულმოდგინებით აღწერა დოლისყანის ჯვარგუმბათოვანი ეკლესია: აზომა, წაიკითხა წარწერები.

დოლისყანით ნ. მარმა დაასრულა შავშეთ-კლარჯეთის ეკლესია-მონასტრების შესწავლა, შეიძლება ითქვას, ექსპედიციაც.

გზადაგზა მკვლევარი აღწერს, უფრო გაკვირვებით ახსენებს, ძველ, თაღოვან ხიდებს, საფორთიფიკაციო ნაგებობებს (წიფთა, ბარა-ციხე), მიწისქვეშა სათავსოებს თაღოვანი გადახურვით და სხვა სიძველეებს. ნ. მარის „დღიურებმა“ მეცნიერებას შემოუნახა უტყუარი ცნობები ბევრი იმ ისტორიული ძეგლის შესახებ, რომელიც დღეს საძირკვლამდეა დანგრეული. პრაც განსაკუთრებით ზრდის მის მნიშვნელობას.

#### §8. შავშეთისა და კლარჯეთის ეთნოგრაფიის საკითხები „დღიურებში“

შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობის დღიურებში ხვდებით მნიშვნელოვან ცნობებს შავშეთა და კლარჯეთა ყო-

ფის შესახებ. ნ. მარი საინტერესო სურათებს გვიხატავს აქაურთა ცხოვრებიდან.

8.1. **ცეკვა შავშეთსა და კლარჯეთში.** შავშეთსა და კლარჯეთში მკვლევარი ასახელებს ცეკვის რამდენიმე სახეობას, კერძოდ:

ა. **კოლსარმა** (sic), ალბათ – კოლსამა (?!) (ქართული „ცალკე სამა და არა აინი“, შენიშნავს ავტორი). ნ. მარი ასე აღწერს მას: „ტაქტი 4:4, რუსთაველის შაირის ტერფი; დღეს ცეკვავდა მსუქანი, ჯანმრთელი, ქალისსახიანი 12 წლის იმფხრეულელი ბავშვი შედებილი ხელის მტევნებით. იგი დიდი ხელოვნებით ცეკვავდა, ძალიან ოსტატური იყო მუცლის და საჯდომის ნარნარი მოძრაობა. ბიჭს თავი ცხვირსახოცი (ქონევი) ჰქონდა გადაკრული. ცხვირსახოცი კვანძით მარცხენა ყურზე მოეხვია“ (გვ. 173).

ბ. **კარშიბერი (\*ყარშიბერი? – მ.ფ.)**. ჯგუფური ცეკვა, მოგზაურის დაკვირვებით, რამდენიმე სახისაა: ცეკვავენ ადგილობრივადაც და ხოფელი ლაზების მსგავსადაც. ახლა ჩემთან პატარა ოთახში სამი ცეკვავენ (გვ. 173). 22 ივლისს ტბეთში მიმავალი ნ. მარი შეხვდა „... მუსიკოსს ჭიბოთი, რომლის გვერდით ლამაზი ჭაბუკი, დაბალი, ცეკვავდა მუცლით, საკმაოდ მოხდენილად სწევდა რა წინ მკერდისა და მუცლის ხაზებს და ათამაშებდა მხრებს. ცეკვისას მისი სახე გამოსატავდა ტანჯვასა და ვნებას...“ (გვ. 115). ეს იგივე **კარშიბერია**, ორის ცეკვა; იგი, ჩანს, სატრფიალოა, მაგრამ ქალის გარეშე, რადგან ქალებს გამოჩენა ეკრძალებათ.

გ. **დელი ხორომი**, ფერხული ჩაჯდომით, რომელსაც ქართულად „ბუქნა“ ეწოდება. მოცეკვავეები ქმნიან წრეს, მაგრამ ერთ ადგილას წრის ჯაჭვი გარღვეულია.

დ. **ალაფრანკა**.

ე. **სარმა**.

ვ. **თითრამა** (გვ. 139).

ტბელმა ჭაბუკებმა მკვლევარს დაუსახელებს ქალების ცეკვა **ვარდა**. მათივე ცნობით, ქალები სხვა ცეკვებსაც ცეკ-

ვავენ, მაგრამ არა „დელი ხორუმს“. ქალები ცეკვავენ ცალკე. თუ კაცები დაინახავენ, რომ ვიღაცა უთვალთვალეს მისი ცოლის ან ცოლების ცეკვას, ადგილზე მოკლავენ.

ყოველი ცეკვა იწყება ზრდილობიანი თავის დაკვრით უფროსისადმი, თითქოს ცეკვის ნებართვის თხოვნით (გვ. 140).

სამწუხაროა, რომ მეცნიერი არ იძლევა დასახელებული ყველა ცეკვის აღწერას.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ჩვენს დროში თ. ფუტკარაძე აკვირდებოდა შავშელთა ცეკვას და აღწერა კიდევ რამდენიმე:

**შემორბენილა** – სრულდება სწრაფი მოძრაობით. ბაჯალა (გოგო) გარბის, ღარჭი (ბიჭი) ეფიცხება (მისდევს – მ.ფ.), დაეწევა, შერიგდებიან და იცეკვებენ”.

**ღართულა** – „გოგო ნართს ართავს, ვაჟს სურს სიყვარულის ახსნა და ქალის ყურადღების მისაქცევად იყურება სარკეში, ივარცხნის თმებს, მაგრამ ქალი მის მიმართ არავითარ ინტერესს არ ამჟღავნებს. სასოწარკვეთილი ვაჟი ცუდად ხდება და ძირს დაეცემა. გოგოს გული დაწყდება. ვაჟს შეურიგდება და ერთად ისამებენ.

**ხელგაშლილა** – „ცეკვავს ორი გოგო მანდილით ხელში. ცეკვის დამთავრებისას გოგონები მანდილს „მათ რჩეულს გააკრავენ“. ვაჟები მოცეკვავე გოგონებს აძლევენ ფულს ან რაიმე ნივთით ასაჩუქრებენ. ხელგაშლილი შემოუვლიან გოგონებს და ცეკვავენ”.

**ხორუმი** – „...ცეკვა სრულდება შესაბამისი უესტიკულაციით და აზარტული შეძახილებით: „მიცხე-მოსცხე“, „მოდი გადატყდი“, „-ანზე-განზე“ და ა.შ. ხორუმი ზოგჯერ სრულდება სიმღერასთან ერთად:

„შამ-შალახო, შალახო, მოგლეჯილო ბალახო,  
თეთრი კაბა გაცვია, ბაჯალ არ გაატალახო.  
შამ-შალახო, შალახო, მოგლეჯილო ბალახო,  
მაგ ბაჯალა ჰად მიგყავს, დეგეწიო, გაგლახო...”

დროდადრო ხდება ჩამუხლება...”<sup>1</sup>

მთელს შავშელთა და კლარჯეთში პოპულარულია ცეკვა „ორთაბათუმი“, ხორუმის სახეობა, რომელიც „ორთაბათუმური ხორუმის” სახელითაა ცნობილი. აღვნიშნავთ, რომ ხორუმის ეს ადგილობრივი ნაირსახეობა აღარ ახსოვთ აჭარაში, დაცულია შავშურ და კლარჯულ ფოლკლორში.<sup>2</sup>

## 8.2. ღვინის სახლი და ვაზი შავშელთა და კლარჯეთში.

ჩანს, ისტორიულად მთელი ჭოროხის აუზი, განსაკუთრებით შავშეთი და კლარჯეთი, ვაზის ქვეყანა იყო. „დღიურებში” გვხვდება არაერთი საინტერესო ცნობა მევენახეობის ისტორიისათვის.

ა. სათლელ-რაბათთან ახლოს, კოჩიბაგურში, ჩაფარ გასპარის, აქაური მკვიდრის ცნობით, „ადრე საუცხოო ვენახი იყო. იქ იპოვეს უზარმაზარი ქვის საწნახელი. გასპარის მამამ 20 წყვილი ხარი შეება, რომ ეს საწნახელი სახლში მოეტანა” (გვ. 141-142).

ბ. ანაკერტის მაჰალეში, თავადგილში, ნ. მარმა ნახა ქვაზე ამოკვეთილი საწნახელი კოდით. „საწნახელიდან კოდში, გვერდით კედელში ფსკერთან, გაყვანილია მილი, ანუ მრგვალი არე, სუფთა ღვინის გასაგლეჯად. საწნახელის ფორმა მოგრძო ოთხკუთხედიანია (სიგრძე 1 საუენი და 10 გოჯი, სიგანე – 1 არშინი და 7 გოჯი, სიღრმე – 12 გოჯი). საწნახელი სიგრძით მიმართულია ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ” (გვ. 276-277).

გ. მარანს ადასტურებს ნ. მარი ბარეთელთას გვერდით (გვ. 284-285).

დ. მოგზაური ყურადღებას მიაქცევს, რომ ვაზი ხარობდა კარჩხალას ხეობაში, ვერანა ბაღებში, „რომელიც სულ რამდენიმე წელია, რაც კვლავ დაამუშავეს როგორც ვენახი და დიდებული ყურძენიც მოდის” (გვ. 298).

<sup>1</sup> თ. ფუტკარაძე, მ. შალიკავა, სატრფიალო ცეკვები თურქეთის ქართულ მოსახლეობაში. „კრებული”, VI, ბათუმი, 2009, გვ. 117-118. თ. ფუტკარაძე, სატრფიალო ცეკვები შავშეთში. იხ. შავშეთი, გვ. 140-141.

<sup>2</sup> მ. ფალავა, შავშური ჩანაწერები, გვ. 33-34.

ე. მკვლევარი დაწვრილებით აღწერს ფორთაში მიკვლეულ საწნახელს: „კოშკიდან სამხრეთ-დასავლეთით, ფორთის ხევის ზემოთ არსებულ ფერდობზე შემორჩენილია საწნახელი... იგი აშენებულია ქვებით ამოყვანილ ტერასაზე. თვით საწნახელი სიგრძით 1 საუნი და 11 1/4 გოჯია, სიგანე – 1 არშინი და 9 3/4 გოჯი. სიღრმე მინაყართაა დაფარული. გარედან სიმაღლე 1 არშინი და 1/4 გოჯია. საწნახელი მოთავსებულია კამაროვან ჩაღრმავებაში... კამარის უკანა კედელზე სამ ადგილას იყო ჩაღრმავება, თითოეული ორი-სამი ან სამი-ოთხი კვადრატული გოჯი. მეზობლად მოსახლე სომხები, მაგალითად არტანუჯელები, ამჟამად ერკვევიან მხოლოდ ერთი ჩაღრმავების დანიშნულებაში, რომელიც ჩრდილოეთ კედელთან მდებარეობს. როდესაც პირველი ღვინო ჩამოედინება... და შემდეგ ღვინო უკვე არ ჩადის საწნახელიდან როფში, მტკვნებს აგროვებენ ერთ, ჩრდილოეთ კუთხეში, მათზე ფიცრებს დებენ, ფიცრებზე ხის ტუმბებს. ამ ტუმბებს კი აწვებიან ხის მორით: მორის ერთი მხარე ჩარჭობილია ამ ჩრდილოეთ ჩაღრმავებაში, მეორე, გარე ბოლოზე კი ჩამოაცვამენ მძიმე, გაბურღულ ქვას, რომელსაც საწნეს უწოდებენ. შემდეგ ეს „საწნესი“ მოძრაობაში მოყავთ „წნელით“... ბაწრით, რომელიც დამზადებულია მუხის წნელებისაგან და მოედინება ყველაზე საუკეთესო, მაგარი ღვინო, რომელსაც „ნაქანი“ ეწოდება. თუ მას არ დაამუშავენ, ძალზე ტკბილია. როფი ადგილზე არ ჩანს, მაგრამ საწნახელის წინა, სამხრეთ კედელთან გამოჭრილია ტოლფერდა სამკუთხედის ფორმის ხვრელი (სიმაღლე 4 გოჯი, დასაყრდენი 2-3 გოჯი). ხვრელიდან ღვინო გამოუშვებენ წვენს. ის ღარი ახლაც არის. ზუსტად ასევე წურავენ წვენს თურქები (ქართველი მუსლიმანები). ასე მაგალითად, ჯმერკსა და გვერდაში, სადაც ბევრია ასეთი ძველი საწნახელი“ (გვ. 347-348). ანალოგიური საწნახელის არსებობაზე მიუთითებს მკვლევარი ჯმერკში (გვ. 393).

მევენახეობის კარგად განვითარებაზე საუბრობს ნ. მარი გვერდაში, „რომელიც გარემოცული იყო ვენახის ბაღებით

და მისი მცირე ბედლებით გასაყიდი ღვინის ასაწონად. აქ ამბობენ, უამრავი ქართული დროის საწნახელია, ნაწილობრივ ახლაც ვარგისი...“ (გვ. 291).

ასეთ საწნახელებში იწურებოდა ღვინო შავშეთსა და კლარჯეთში, სხვა ქვეყნებშიც.

გადმოცემით, კარხხალას ხეობაზე გადიოდა საქარავნე გზები. ქვემოთ, ხეობაში მდინარეს მიუყვებოდა აბრეშუმის გზა. აქ საქარავნე გზის დასტურად კარხხალაზე გაკიდული ორი თაღოვანი ხიდიც კმარა (ისრაფილ ავჯის ცნობით სამი, თუმცა ჩვენ მესამე ხიდი ვერ ვნახეთ. სამ ხიდს ასახელებს ნ. მარიც), ასევე ძველი გზის ნაშთები, დღესაც რომ ადვილად გაირჩევა.

ზემოთ, მთის კალთებზე, გადიოდა მეორე საქარავნე გზა, რომლითაც აქაური ღვინო გაჰქონდათ გასაყიდად, მას **ღვინის გზას** უწოდებდნენ. გზის ნაკვალევსაც გაჩვენებენ დიდვენახისა თუ ვერანაბლების მკვიდრნი.

6. მარი ასახელებს ყურძნის ადგილობრივ ჯიშებს<sup>1</sup>:

ა. შავი ჯიშები:

1. „სუერეკი“, მთავარი ჯიში, შავი. ეს ყურძენი კარგად ხარობს და მწიფდება გვერდასა და ჯმერკში. ის მთელი წელი შეიძლება შეინახო. მისგან ღვინოს არ წურავენ. მარცვლები განსაკუთრებით დიდი არ არის, სფეროსებურია, მაგრამ ბოლოსკენ წაწვეტებული.

2. „ახელეკი“ – ღია შავი (?), კარგია საჭმელადაც და საღვინედაც. გვხვდება წყალთეთრაშიც, ბერდშიც (ბერთაში),

<sup>1</sup> შავშეთსა და კლარჯეთში შენახული ყურძნის ჯიშების შესახებ ს. ტიმოფეევისა და ნ. მარის „ღვინის“ მიხედვით მსჯელობს ივ. ჯავახიშვილი. აღვნიშნავთ, რომ ს. ტიმოფეევი ნ. მარისაგან განსხვავებულ რამდენიმე ჯიშს ასახელებს, კერძოდ, თეთრი: **მწვანურა**, **სორეკი** (ხომ არაა იგივე, რაც ნ. მარის სუერეკი? – მ.ფ.), **ალიჩელები**, **რქვზგოზი** (ხარისთვალა), **სტამბულ-უზუმი**. იხ. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი მეორე. თხზ. 12 ტომად, ტ. V, გვ. 482-486.



მაგრამ ყველაზე უკეთესად მაინც ჯმერკსა და გვერდში ხარობს. მარცვლები მსხვილია.

3. „შავი ორჯოხული... არც ისე მსხვილი [მარცვლები] სუფრისთვის.

4. „საფერავი“, საღვინე, როგორც ყველა შავი ჯიში, მწიფდება თეთრზე გვიან.

6. მარი სქოლიოში შენიშნავს: „ადგილზე ქართულ სიტყვას „საფერავი“ უწოდებენ, „ჭიაფერსაც“, მცენარეს წითელი კენკრათი, მოგრძო მტევნებით. სომხები მის ნაყოფს იყენებენ ღვინის წითლად შესაღებად (გვ. 368).

5. „სირკლევი“ – საღვინე.

6. „ჯღე“ – საღვინე.

7. „ხალთური“ – საღვინე.

8. „ატ მემესი“, ასე უწოდებენ სომხებიც, მაგრამ ახალმა ჭედილემა, რომელმაც ქართული არ იცოდა, მისი ქართული სახელი თქვა – „ცხენის ძუძუ“. არის თეთრი და შავი ჯიში. ორივე – საჭმელია.

9. „შავროპი“.

ბ. თეთრი ჯიშები:

1. „თურვანდა“, მსხვილი, ადრე მწიფდება, საჭმელი ჯიშია.

2. „დევირშალი“, მსხვილი, ოქროსფერი, საუცხოო არომატით, უფრო საჭმელი ჯიშია.

3. „თეთრი ორჯოხული“ – საჭმელი.

4. „მელის კული“ – საჭმელი ჯიში... ოქროსფერია.

5. „ხევარდული“ საჭმელი, ოქროსფერია.

6. „ბუტკო“ – ნამდვილი ღვინო მისგან იწურება.

7. „გორგოული“, ოქროსფერი, შედარებით პატარა მარცვლებით.

8. „წყალთეთრული“ როგორც საჭმელი, ისე საღვინე.

9. „ფუნდუხ უზუმი“ (თხილის ყურძენი), წვრილი, მრგვალი მარცვლები, ძალიან ტკბილი...

10. „შიშველი“, წითელი ყურძენი, მარცვალი არაა მსხვილი.

11. „პარმას ხათუნი“ – არის თეთრიცა და შავიც, მარცვალი არაა მსხვილი (გვ. 367-369).

ბოლოს ნ. მარი შენიშნავს, რომ ამ ჯიშებს შორის არსებობს ზამთრისაც. მათ ბელლებში ინახავენ სექტემბერ-ოქტომბერში მოკრეფის შემდეგ. შეიძლება მათი ხუთი-ექვსი თვე შენახვა. ასეთებია: საურეკი, ახელეკი, შავი ორჯოხული, ატ-მემესი (თეთრი), თეთრი ორჯოხული, დევრიშალი, ნაწილობრივ ბუტკო.

როგორც ვხედავთ, ნ. მარს შავშეთსა და კლარჯეთში დაუფიქსირებია ყურძნის 20 ჯიში, რომელთაგან 11 თეთრია, 9 – შავი, ნაწილი საღვინეა, ნაწილი – სუფრის, საჭმელი.

კარჩხალას ხეობაში ყურძნის რამდენიმე ჯიში ჩაგვაწერინეს:

1. „შავარდენის ყურძენი“ (შაჰინ უზუმი). საინტერესოა, ქართული სახელწოდება თურქულის ტრანსლიტერაციაა თუ პირიქით. ვფიქრობთ, ამოსავალი ქართული უნდა იყოს. დასაშვებია ისიც, რომ დროთა განმავლობაში აქაურებმა დაივიწყეს ძველი სახელები და შემდეგ ხელახლა შეარქვეს ვაზის სახელი გარკვეული ნიშნის გათვალისწინებით.

2. „გურჯი უზუმი“.

3. კასრეველი – მრეში მჟავაა, აქვს დიდი მტევნები. თუ ჩრდილი უყურებდა თეთრი-შავი, ჭრელი მარცვალი ჰქონდა, მხეს თუ უყურებდა – წითელი. თუ წვიმები წავიდოდა, მარცვალი სკდებოდა...

4. „ბუტკო“ – შავი, წვრილი ყურძენია (2011 წლის ექსპედიციის მასალები).

ჯივანში, მურღულის ხეობაში ჩავიწერეთ:

„ძაბრა-“, „ჯინეში“, ხარითვალა-“, „რუსულა-“ (ადესა), „ისტამბოლელა-“ (2007 წლის ექსპედიციის მასალები). დასახელებულ ჯიშთაგან პირველი სამი ქართულია, ვაზის ძველი ჯიშებია.

ამდენად, ნ. მარისა და ჩვენმა ექსპედიციამ კლარჯეთსა და შავშეთში ჩაიწერა ვაზის 26 ძველი ჯიში. მომავალი ძიება, ვფიქრობთ, გამოავლენს კიდევ მეტს.

ყურადღებას იქცევს ყურძნის სახეწოდებები, რომელთა უმეტესობა ქართულია, უცხოურია „ატ მემესი“, „ფუნდუხ უზუმი“, „პარმას ხათუნი“. ამათგან „ატ მემესი“ და „პარმას ხათუნი“ ქართულის თარგმანია, შესაბამისად „ცხენის ძუძუ-“ და „ქალის თითა“. რაც შეეხება „ფუნდუხ უზუმს“ – თხილის ყურძენი, შესაძლოა, ახალი ჯიში იყოს ამ კუთხისათვის, ანდაც სახელშეცვლილი რომელიღაც ძველი, ადგილობრივი ჯიში.

საინტერესოა ვაზის სახელების შედგენილობა. შეიძლება გამოვყოთ:

წარმომავლების სახელები: ორჯოხ-ულ’ი, ხალთ-ურ’ი, ხევარდ-ულ’ი, გორგო-ულ’ი, წყალთეთრ-ულ’ი. სახელწოდება შერჩეული ჩანს სოფლის მიხედვით, საიდანაც გავრცელდა ესა თუ ის ჯიში.

მსგავსების სახელები: ქალის თითა (პარმას ხათუნი), ცხენის ძუძუ (ატ მემესი), მელის კუდი. ამავე რიგში ჩადგება ფუნდუხ უზუმი (თხილის ყურძენი).

ჩვენი ყურადღება მიიქცია ჯიშებმა: საურეკი, ახელეკი, ჯღე. დასახელებული სახელწოდებების შესახებ ამჯერად არაფრის თქმა არ შეგვიძლია.

ვაზის გამოვლენილი ჯიშები, საწნახელები და მრავალი მარნის (ღვინის სახლის) ნანგრევები დასტურია იმისა, რომ შავშეთისა და კლარჯეთის ქვეყნები ისტორიულად ვაზის სამშობლო იყო.

**8.3. ქორწილი შავშეთსა და კლარჯეთში.** ეთნოლოგიურად საინტერესოა საქორწილო ტრადიცია შავშეთსა და კლარჯეთში, რაც ყურადღების მიღმა არ რჩება ნ. მარს. მკვლევარი „დღიურებში“ აღწერს ქორწილს იმერხევში: ხევწერიღელის/ხევწრულელის ცნობით, სასიძო პატარძლის მამას უხდის ოციდან-ორმოც მანეთამდე, გარდა ამისა პატარძალს მიუტანს „ჩასაცემლის მთელ კომპლექტს“. ქალ-ვაჟს

შორის შუამავალს „ელჩს“ უწოდებენ.<sup>1</sup> საქმეში შეიძლება იყოს შუამავალი ქალიც, მაგრამ საქმე მაინც მამაკაცმა უნდა მოაგვაროს. შუამავლებს გაწეული სამსახურისათვის აჯილდოვებს სასიძო (ან სასიძოს ოჯახი). როდესაც შეთანხმებას მიაღწევენ, სასიძო თანმხლები პირებით (მაყარი 20-30 კაცი), მათ შორის, მამა (ზოგიერთის ცნობით, მამა არ მიდის, სირცხვილია. გვ. 158, სქ.7), მიდის დანიშნულთან. ყველას ერთად უწოდებენ მაყარს. ეზოში შესული მაყარი რევოლვერებიდან და თოფებიდან ჰაერში იწყებს სროლას. იწყება ლხინი: ცეკვავენ „სამას“, „ფერხულს“... მღერიან. უკრავენ მესხე: „თულუმბზე“ ან „ჭიბონზე“. ცეკვავენ განურჩევლად ყველა ცეკვას: „ყარშიბერი“, „დელი ხორომი“. საცეკვაოდ პატიუბენ სიტყვებით – „ისამე“. უმასპინძლებიან შეძლებისდაგვარად, სასმელებიდან მიირთმევენ ყავას, ჩაის, ბექმეხს, შერბეთს. თეთრაკეთელის ცნობით, გამასპინძლება სასიძოს ოჯახის მოვალეობაში შედის. პატარძალს თეთრმანდილადაფარებულ მაგიდაზე (სუფრაზე) უყრიან ფულს – 50-50 კაპიკს. ამასთან „მკრეფი“, მამის ან ძმის ხალხიდან, იძახის: „ამან ამდენი მისცა“. პატარძალი კი ყოველ მაყარს, განსაკუთრებით „ფულის გამგდებელს“ ჩუქნის თავისი ხელით ან მეზობლის მიერ მოქსოვილ პერანგს ან წინდებს.

მაყრები მეორე დღეს, შუადღისას მიდიან, სასიძო კი უახლოეს ნათესავეებთან ერთად რჩება და პირველად აჩვენებენ ქალს, ახლიან პირს. ამის შემდეგ სასიძო, „უკვე ქმარი, სამ დღეს რჩება, ქალს ანებებენ. სამი დღის შემდეგ მიდის. ცოლი რჩება მშობლებთან ორი თვიდან ორ წლამდე“ (სხვა ცნობით, ორი დღიდან სამ წლამდე, ცოლ-ქმრის შეთანხმებით). ამ დროის გასვლის შემდეგ მამა ავზავნის ქალს ქმართან თავისი ხალხის თანხლებით (თ. დუზლიჯი). მაყარი იმდენია, რამდენიც სასიძოს ჰყავდა. მიდიან თოფის სროლით,

<sup>1</sup> შუამავალს „ელჩს“ უწოდებენ აჭარაშიც (იხ. შ. ნიჟარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა, ბათუმი, 1971, გვ. 188, თუმცა ქობულეთში სხვა ტერმინიც გვხვდება: მურავი, იგოევა, რაც ელჩი.

მუსიკით, ცეკვითა და სიმღერით. საღამოთი მოდიან, დილით – მიდიან. ქალს ტოვებენ ქმართან.

თეთრაქეთში ნ. მარს უთხრეს, რომ თუ ვინმემ **მეფარა** (შავშეთ-იმერხევში, **მეფარა** – მაჭახელში, **მეფარა**, **გამიეი-და** – აჭარაში) ქალი, რაც ხშირად ხდება, მაშინ მშობლები (მამა) ან ნათესავები (ძმა) იწვებენ დავას და ღებულობენ 50-100 მანეთს. საქმე შეთანხმებით რომ დასრულებულიყო, მაშინ სასიძო 15-25 მანეთს გადაიხდიდა. სისხლისძიება აჭარაშია. ჩვენთან არ არის და არც ყოფილა (იხ. გვ. 159-160).

იმერხეული ქორწილი აღწერეთ 2005 წლის ექსპედიციის დროს. ვფიქრობთ, საველე-ეთნოგრაფიული მასალა დაეხმარება მკითხველს შავშეთის საქორწილო ტრადიციის გააზრებაში, ამიტომაც მოვიტანთ ამ აღწერას სრულად:

შავშეთი ალიე გოჩიენთი ყვება თავისი გათხოვების ისტორიას:

- „ჩემი ბაბო ვის ელაპარაკება-მეთქი?
- არ ვიციო!
- მე გამევიდე-მეთქი?
- სა მიხვალო? – ბაბომ.
- კარები'და დავგავო-მეთქი.
- შედიო, არაფერი დავვა არ გინდაო...

ამას (მიუთითებს ქმარზე, ბატონ ექრემზე) მეგერ უნდოდა ჩემი თავი. არ დამანახვეს. ისე წვევიდა, არ დუნახავს, ერთი ემიაშვილი ყავს, იმისთინ შუუჩივლია, არ დამანახვესო.

- დილა რომ გახდება, ბალკონს დაგვისო, დაბერტყავსო, დედნახავო.

არაბაში შესულა, კამიონში შესულა, თავი ანას უნდოდა ჩემი თავი. სხვებიც იყვნენ, მარა ჩემ ბაბომ ჩვენი თერეფის უმფო მეფადინა. ელჩად ბევრი (=ბევრჯერ) არ მოსულა, ერთი-ორჯერ – თავისი ბაბომ. ბაბომ დედნახა, მექონა. ოცდაერთი წლის ვიყავ, არა?

- მივხდი მეც. წვევიდენ, თექრენ მოიდნენ, მეტანეს მართო ბეჭელი და დასაკიდებელი. ბეჭელი ალთუნი იყო. ჩვენ

მას ერთი ბეჭელი მივეციო. ის დაკარგა. ჩვენ გოგვებმა, ისე არ გიხდებაო და... დუგუნამდე გაზაფხულიდან ოქული რომ იწყება, დუგუნამდე ხუთი-ექსი თვე გევიდა, ჰინ არ დიმიანახავს. ჩუმსაც არ ვიღებდი. ჩემ ანას, ბაბოს მოწონდა. ჩვენი სოფელი სხვაა, იმათი – სხვა, ხევწრულს ზემოდან. მოქონდენ ჩასაცმელი. ერთი-ორი-სამი ყათი რაცხა მეტანეს, ისენი მოდიოდნენ.

მე ველაპარაკებოდი ჩემ დედამთილ, მამამთილ. დოდო-ფალი არ დედლაპარაკებდა.

დუგუნი იქნა. ადეთი არი – დუგუნამდე მისი მშობლები მოდიოდნენ. მოიდა დრო, სოფელში წვევით ბითავი მეზობლები. ბევრი საჭმელები იყო: ყაურმა, ფაფა-მაფა, ფილაგი, ბორედი, ფშნილასაც მაყრი, გამხმარი ქლიავი, ისენი თელი.

მაშინ სოფელში გზა არ იყო.

ნიქაპი: ამას კითხავს, შენ ეს კაცი ქმარად გინდა, თუ არაო.

დაპატივებდნენ მეზობლებ, მაყარი იქნებოდა. დადე, ამისი ემოსი დის ქალი, მოიდა; დადე სამიცი იქნება, მარა იმდენ ცხენებს ვერ იპოვიდა.

დოდოფალი წამოყვანამდი დადეები წვევიდოდნენ დოდო-ფალთან. ქალები ამას დედნახევდნენ, რაცხებს აჩუქებდნენ, ჩვენაც რაცხებს მივცემდით – ფული, ჩასაცმელი, ალთუნი, ააზმა.

დადესთან მე შემოყვანეს, დადესთან კულანდელი ადეთით ჩამაცვეს ლამაზათ, წასლიხან ჩამაცვეს ამის ბაჯის მოტანილი. ცხენით წამომიყვანეს. მას რაცხას გამაატანებენ, სკიორი. გამოყვანიხან ეზიეთ მიცემენ მამამთილ. ფარებ ართმენ იმას ხისიმები.

კარების დაკეტვაც არის. ვთქვათ, ამისი დამკეტები იქნება ამისი ძმები, ძმა თუ არა ყავს – ბიძაშვილები.

დედას მუუტანებენ საჩუქარ. წამოყვანიხან დედა, მამა, ძმა, მამამთილიც იქნება.

- ამისი ახლო ქალები გამეგვანებენ, შეაუღმლებენ ცხენზე. ქორწილი ბიჭის თერეფში იქნება, ერთ ღამეს გა-

თენდება; ბევრი იქნებიან, მეზობლებთან დაწვებიან დაპატი-  
კებული ხალხი.

დაღე არაფერ არ აკეთებს. წინ იქნება ბიჭის დაღე, შუა-  
ზე დოდოფალი იქნება, უკან გოგოს დაღე იქნება, გული არ  
შუუწუხდეს, აწავლის.

– რა გაწავლეს?

მღერობენ, თურქულაგ მღერობენ, ჩემმა ნენემ ბევრი  
იცოდა; ამ დეყეზე არ მომაგონდება. გზაში სიმღერა იქნება,  
მღერობენ, გზაში ჭიბონ უკრენ. ახლა ადგა ჭიბონი. სიმღერა  
ზოგი მახსოვს:

\* \* \*

ვაკეთკენ მიმავალი

ქვაზე ფეხი წამოგკარ;

უკნესკენ მინავალი

ჩემ დარ თვალი წამოგკარ.

\* \* \*

ეს აჯარა ღომია,

ჩიქინი ქმარი გყოლიაო.

ის გააგღე და მე მომყევ,

სირცხვილი ნუ გგონიაო.

\* \* \*

სადგირელის უკნედან

მიბრუნდები, მობრუნდები.

საცხან ღამაზს დეგნახავ,

შენ იქ გადაბრუნდები”.

\* \* \*

„ნიშნად ბეჭედი მუუტანა,

ბეჭედს ქონდა ღურჯი თვალი.

შენ, მუხსინევე, შენ პირშავო,

რუ უყავ ჩემი დოდოფალი”

\* \* \*

„დილას ავდექ, შინ არ იყო,

მე რა ვიცი ი ზუნკალი,

ტყვილ-ტყვილა ნუ ფიცავო,

შენ სომეხო, შენ ფოშაო”...

წამოსლიხან ბიჭის მაყრები გოგოს მაყრებსა „გოდრიან”  
უძახიან. გზა განახევრდება, მაყარი დასხდებიან ორივე.  
დაჩხვერავენ, რაცხა უნდათ იგზე. ავით გაგხდითო, კუჭიო...  
რაცხა საჭმელი გვინდაო... გოგოს თერეფიდან რაცხა გაკე-  
თებული ექნებიან, რაცხას ქი გააკეთებენ, ქალის თერეფი  
დუურიგებს.

ბიჭის სახლთან მოახლოვდნენ; რომ მოვლენ სახლთან,  
ნეფეს თოფი ექნება, ესროლებს. მეგყვანებენ ყვავილ ქვეშე-  
დამ დოდოფალ, სიძესაც. ხურდა ფარას შექერთან არეველი  
დოდოფალ გადააყრის. დოდოფალ ვალა აქ. ამ დროს სიძე  
დეგნახავს (იმდენ ხალხში რას დეგნახავს?!).

ქვაბს ჩააბრუნებენ, ფეხი არ გეემუროსო, გადაახურვენ,  
ჩამოახტუნებენ დოდოფალ, მაყარი იყვეს იმასავეთო, ავით  
არ გახდესო. მემრე ამიდან წამოსული „გოდრიანები” მოითხ-  
ოვენ, საჩუქარი რა გაქვანო? ძროხას მოითხოვენ, ცხვარ მო-  
ითხოვენ, ყურზე რაცხას მოაბმენ, არ შეიცვალოსო, დოდოფ-  
ლის არისო. ქალები ამას წაავლობენ ხელ, წვეგვანებენ სახ-  
ლისკენ (დადეები არა), ფქვილში ჩააყოფიებენ ხელ, ჩამაას-  
მევიინებენ პირზე, არ მახსოვს, მურიან კედელზე. ძველ სახ-  
ლებში ჯაჭვი იყო. ჯაჭვზე ხელ მიყოფიებენ. მერე წვეგვან-  
დნენ დოდოფალ თავის ოდაში, მერე იშტე შუუტანებენ საჭ-  
მელ; ისინი შევლენ, გავლენ, საჭმელ მოგართმენ, შემოგიტა-  
ნებენ, ჭამენ, დასხდებიან. ახლა ქალები, კაცები არეველი  
არიან. მაშინ კაცები აგრი იქნებოდენ.

მეორე დღეს საჭმელი გათავდება. დაღამდება. ბიჭის თე-  
რეფის მაყარი (გოგოს-არა) ფულს გაყრიათ, სინს მოარუნე-  
ბენ. ის იმას უყურებს, წინ-წინ ასე იყო. წერვენ. მერე დოდო-  
ფალიც საჩუქარ აძლევს, ვინ რამდენი მისცა, იმადა გორ:  
მოქსოვილი წინდები, ქალების დაზმა, კაცების წინდები. მე-  
რე დღეს მეგყრებიან ქალები, ითამაშებენ – შენ გაჩუმდი,  
ვერ გიგირიგებია.

კაცები ფული გაყრიან, წავლენ. ქალები შეგვეყვანებენ ოდაში. დოდოფალ მამამთილი პირ ახდის, რაცხას აჩუქებს იგზე; მამამთილ დანა აქ, პირის ახდისას დოდოფალ კითხავს, თავი მოგჭრა, თუ ენაო – ბევრი ლაპარაკი არ იცოდეს ქი. გელინის ლაპარაკი ადეთი არ იყო, ჰამა მე ბევრი საბრი არ მიქნია.”<sup>1</sup>

**8.4. „ბრძოლა” ნადირთან შავშეთ-კლარჯეთში.** შავშეთსა და კლარჯებს დიდ ზიანს აყენებდა და აყენებს ახლაც ნადირი, განსაკუთრებით დათვი და ღორი. ხშირად იგი ჩამოდის სოფელში და ანადგურებს ნათესებსა და ხილს, თავს ესხმის პირუტყვს და ზოგჯერ ადამიანსაც კი. აბუხარი ცხოველისაგან შეწუხებული მოსახლეობა ხოცავს ღორს და ყრის, მისი ხორცის ჭამა ეკრძალება მორწმუნე მუსულმანს, ხოლო დათვის მოკვლას კანონი კრძალავს, როგორც აქ ამბობენ „-ასალია”, მოკლავ, ჯარიმა უნდა გადაიხადო, ან ციხეში დაჯდე.<sup>2</sup> სოფელში ჩამოსული ნადირის შესაშინებლად ანთებენ კოცონს, ან აწყობენ „სარაკუნას” (ასე ეძახიან ორთაბათუმში), რომელსაც „დათვოულს” უწოდებენ (გვ. 162), ტაოში „ტაკტაკას”.<sup>3</sup> მკვლევარი ასე აღწერს დათვოულს: „წმენდენ მორს, გამოაცალკეებენ მას ჩაქუჩით წინა მხარეზე და ღრმულით – უკანა მხარეს. შუაში გადაფარებულია გარდიგარდმო, ორ ბოძზე დაწოლილი განივი კოჭით. ამ კოჭზე მორი ქანაობს, ამასთან ჩაქუჩი ურტყამს ხის ფიცარს და იწვევს ხმაურს. კაკუნი რომ განუწყვეტელი იყოს, იმ ბოლოსკენ, სადაც ღრმულია, ღართ გადაყვანილია წყალი: წყალი ავსებს ღრმულს, მორის ეს ბოლო გადაწონის, ჩაქუჩიანი ბოლო მადლა ადის, წყალი... იქცევა და მეორე, ჩაქუ-

<sup>1</sup> მ. ფაღავა, შავშური ჩანაწერები, გვ. 77-80. შავშური ქორწილი მეცნიერულად შეისწავლა თ. ფუტყარაძემ. იხ. თ. ფუტყარაძე, ქორწილი შავშეთში. შავშეთი, გვ. 120-132.

<sup>2</sup> მ. ფაღავა, იქვე, გვ. 208-209.

<sup>3</sup> მ. ფაღავა, მ. ცინცაძე, ე. მაკარაძე, რ. დიასამიძე, ღ. თანდილავა, ტაოური მეტყველების ნიმუშები, ბსუ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, კრებული, IV, 2005, გვ. 173.

ჩიანი ბოლო ეცემა ფიცარს... მორი არ არის დიდი ზომის, 1 1/2 არშინი...” (გვ. 162).<sup>1</sup>

ნადირობა შავშეთ-კლარჯეთსა და საქმიანობის ნაწილია, „მაგრამ დამხმარე საქმე”, ამასთან ნადირისაგან დაცვა (გვ. 61). იმერხევში (ზოგადად შავშეთში) ნადირობენ ღორზე, დათვზე (აკრძალვის მიუხედავად), კვერნაზე, მელიაზე, ჯვირანზე, გარეულ თხაზე... (გვ. 160, სქ.).

შავშეთში მისდევენ თევზჭერასაც, განსაკუთრებით იმ სოფლების მკვიდრნი, რომლებიც მდ. იმერხევის ნაპირებზეა გაშენებული. მდინარეში ბევრი კალმახია. თევზს იჭერენ ჯოხზე მიმაგრებული ბადით – „ბადე კეტი”. აქაურებმა გადასასროლი ბადეც იციან, მაგრამ მისი გამოყენება წყალმარჩხ იმერხევში შეუძლებელია (გვ. 162).

**8.5. მეფუტკრეობა შავშეთსა და კლარჯეთში.** ნ. მარი „დღიურებში” ყურადღებას მიაქცევს მეფუტკრეობას იმერხევში. შავშეთში, სკას, რომელსაც „ყოვანს’საც” უწოდებენ, დგამენ როგორც ხეზე, ისე – მიწაზე. მიწაზე დადგმულ სკას ყავრით ხურავენ (გვ. 162).<sup>2</sup> დაგმულ სკაში მართვე (ფუტკრის ნაყარი) შევა და სკა გაცოცხლდება. თუ შესაბამისი პირობები არ შეექმნა, სკა შეიძლება დაიფოს, დაცალიერდეს.

<sup>1</sup> შევნიშნავთ: 1995 წელს ტაოში, ცუცუქარში, აგვიწერეს „ტაკტაკაჲ”, დათვის საფრთხობელა. აწუხებს დათვი ტაოელებსაც. „სარაკუნაჲ” მინახავს აჭარაშიც (ორთაბათუმში). მახსოვს, სიმინდის ყანებში აწყობდნენ მას. „ტაკტაკაჲსა” და „სარაკუნაჲს” მომზადების პრინციპი იგივეა, რაც შავშური „დათვოულის”.

<sup>2</sup> სკას ასე ამზადებენ: მოჭრიან ხეს (უმთავრესად წაბლს), ამოიღებენ მორს (დამორავენ), 1.20-1.30 მეტრამდე, დიამეტრი 50-60 სმ, შუაზე გახეთქავენ, ორივე ნაწილს ერთი ამოჭრიან გულს, შემდეგ ორივე მხარეს გაუკეთებენ ხვრელებს ფუტკრის სამოდრაოდ... გამზადებულ სკას შემოდგამენ მადალ ხეზე, უმეტესად წიფელაზე (ზოგჯერ დიდ წიფელაზე 30-ზე მეტ სკასაც შემოდგამდნენ), ისე რომ დათვი არ მიწვედეს. მახსოვს, ყოროლისწყლის ხეობაში ასეულობით ასეთი სკა იყო ტყეში (ნამწვავში, ხარხანში, მოთქარიშის, საყორნიაში...), შესაბამისად, აქაურები ბლომად ამზადებდნენ თაფლსა (ყოველწლიურად თითო სკიდან 30-35 კგ. თაფლს ამოიღებდნენ, „იხილავდნენ”) და სანთელს, დიდი ხელოვნებით ხდიდნენ თაფლის არაყსაც.

მეფუტკრეობა შავშეთში განვითარებულია ახლაც<sup>1</sup>. ფუტკრეობა აშენებენ ბაზვირეთში, ბრილში, ხევწრულში, გურნათელში და მექართულე და მეთურქულე შავშეთის მრავალ სხვა სოფელში<sup>2</sup>.

8.6. **ხელოსნობა.** ნ. მარი აღნიშნავს, რომ ხელოსნობით იმერხევი უმეტესად ანიდან მოსული სომხები (ცხოვრობენ ფხიკიურში) არიან დაკავებული: მისდევენ კერვას, შალის დამუშავებას და მეჯღანეობას. მუშაობენ უმეტესად მამაკაცები (გვ. 162-164). შემდეგ მკვლევარი დაახუსტებს, რომ ზოგიერთ ხელობას მისდევენ იმერხეველებიც: აკნისა და მუსიკალური ინსტრუმენტის (თულუმბა) დამზადება, ასევე ქაღები ქსოვენ შალის ქსოვილს... მეცნიერი მოიშველიებს ერთი იფხრეულელის ნათქვამს: „ქსოვა ყოველ სახლში არის წინდის, შალის ქსოვა თელმა (sic) იციან, ამა ყველა სახში არ არის” (გვ. 164, სქ).

შავშეთში დღემდეა შემორჩენილი ქვითხურობისა და ხითხურობის ტრადიციები, განსაკუთრებით ხითხურობა. ამის კარგი დასტურია შავშური სახლი, რომელსაც დეტალურად აღწერს ნ. მარი: „სახლი ყოველთვის ხისაა, ჩვეულებრივ, ფიჭვის ან სოჭის, ბედელი კი – კატრის. სახლები იშვიათად არის ნაგები მორებისაგან, თითქმის ყოველთვის – ფიცრებისაგანაა. მორებისაგან გაკეთებულია მერევი. მთელ შენობას სახლი ეწოდება, ე.ი. „კონალი”. ქვემოთ ძროხებისა და ცხენების სადგომია, საერთო სახელწოდებით „ახორი” (اخور). ქვედა სართული, ახორი, ახლა ქვისადაც არის. მეორე სართულზე ადის კიბე (كردوان), რომლითაც ადიხარ აივანზე, იქედან – დერეფანში, ორივეს ერთად „ტანტრაბა” ჰქვია (ქართ. აივანი). ზოგჯერ აივნები **ბალიუსტრადით** არის გაფორმებული. დერეფანს სვირევენელმა **ეზო** უწოდა, თურქულად **ჰაული**, ზღურბლს – **სულუბი**, თურქულად – **ფეშიკი**. დერეფნიდან მარცხნივ შესასვლელია ოთახში, სასტუმროში:

„ოდა” (ქართულად – ოდა, თურქულად – ოდა). სასტუმრო ოთახში ორი კედლის გასწვრივ პარალელურად ნარებია, ქართულად მათ ეწოდება „სექვი”, თურქულად – „ფეიქე”. მათზე ხანდახან თარობია, თურქულად – „დერეგ-ი”. ჭერს ეწოდება **თავანი**, თურქულად – „პეტი”, ორი მორი, რომლებიც ჭერს აკავებენ – **ქილიში**, ასევეა თურქულად. მორებზე გადებულია ჯოხი, სადაც დასველებულ წინდებს კიდებენ, ეს ქანდარია, თურქულად – „პეტი”, იატაკი – **ფინი**, თურქულად – დოშამა. სასტუმროში შეიძლება იყოს ბოძი ან ბოძები, ჩვეულებრივი სახელწოდებით „დირეგი”, თურქულად – „პეტი”. სასტუმროში, კარის პირდაპირ ყოველთვის **ბუხარია** (ფუხარი, اوجاق „ოჯახი). ბუხარი ყველა ოთახშია. ბუხრის საფუძველს, რომელიც საპირზე გამოდის, ეწოდება **ცეცხლპირა**... თურქული „ბაჯაქი”, ქართული – **ფეხი**, ორი ქვაა, მარცხნიდან და მარჯვნიდან, რომლებზეც დაყრდნობილია ზედა, ნახევრადმრგვალი ან სხვა ფორმის **ბუხრის პირი**. ბუხრის შიგა ზურგი – **გობგეი**, თურქულადაც ასევეა. სასტუმროში მტვერს გვიან არა ოთახიდან გარეთ, არამედ ოთახში ბუხრისაკენ. გვიან შუა ნაწილს, სექვებს შორის, რომლის სიფართო ბუხრის სიფართისაა. დერეფნიდან კარს პირდაპირ ამ ზოლზე მიყვართ, მარჯვნივ ასევე სასტუმროა, – ოდა, ქართულად „წინაოდა”, მაგრამ მასში შესასვლელი აივნიდანაა. პირდაპირ დერეფნიდან არის შესასვლელი ოთახში, სადაც სადილს ამზადებენ და ა.შ., ქართულად **სახლს** რომ უწოდებენ, თურქულად მუთავასს. ზემოთ, მესამე სართულზე, ბედელია (امبار), სახლზე, გვერდით, „ოდების” თავზე არის ორი ოდა სტუმრებისათვის, როდესაც ბევრნი არიან, მაგრამ ზედა ოთახები, ჩვეულებრივ, ოჯახისთვისაა. ზემოთ, მესამე სართულზე, არა მარტო ოთახებია, ფართობის ნახევარს, ამ მის მნიშვნელოვან ნაწილს იკავებს ერთი და თუ შესაძლებელია ორი მხრიდან ღია ვერანდა. მას „დერეფანი” ეწოდება (მდრ. დერეფანი), თურქულად „აივანი”. ვერანდა შეიძლება იყოს მეორე სართულზე, თუ შენობას – მე-

<sup>1</sup> თ. ფუტკარაძე, მეფუტკრეობა. შავშეთი, გვ. 116-117.

<sup>2</sup> მ. ფალავა, დასახ. ნაშრ. გვ. 330.

სამე არ გააჩნია. გარე კედლებში 2-3 პატარა ფანჯარა, ან გოჯზე პატარა ხერელია, რომელნიც იცავენ სახლს გარეშე პირთა მზერისაგან. სახლში დუღს ოჯახის წევრთა, განსაკუთრებით ქალების ცხოვრება წლის მთელი თბილი დროის განმავლობაში. აქ აძინებენ ბავშვებს აკვნებში, ქსოვენ, კურავენ, ამზადებენ პროდუქტებს გამოსაცხობად და მურაბებისათვის და ა.შ. აქ არის ყველა ხელსაწყო და იარაღი, როგორც სამიწათმოქმედო, ისე სახელსაქმო. აქაა დაწყობილი ლოგინები და საბნები, ვერანდაზე არის კიდევ ბოძები და ქანდრები. ოჯახი ეწეობა „სახლში“. ფანჯარა (თ. ფენჯერე) ყველა ოთახში შეიძლება იყოს, მაგრამ ყოველთვის არა. ის ჩვეულებრივ პატარაა, მაგრამ სასტუმროში უფრო დიდია და ღიაც. დარაბა შიგნიდან აქვთ, ჩასაწყობი, მაგრამ მინის ნაცვლად სურმეა. გარდა ამისა, ხის გისოსიანი დარაბა ჩვეულებრივია ზედა სართულზე, პარმალულზე.

სახლს ორი შესასვლელი შეიძლება ჰქონდეს: სტუმრისათვის (მუსაფირისათვის, თურქულადაც ასეა, მაგრამ ქართულ ენაზე იყენებენ სუფთა ქართულ სიტყვასაც – სტუმარი), უკანა შესასვლელი – ოჯახის წევრისათვის, ასევე კიბეცა და აივანიც (ტანტრაბა), მაგრამ ვიწრო და დაუცველი.

იმერხეული სახლის სურათი (სურ. 20) მე ზაქიეთში გადავიღე. სურათზე კუთხეში მეორე კარია, დახურული, სხვა – „ტანტრაბიდანაა“. ის მხოლოდ სახლის გასანიავებლად იღება (ნ. მარი წერს ჰაერისათვისო, შეიძლება საჰაეროდ – მ.ფ.). სწორედ ამ ნაწილს ჰქვია წინა, მასზე გამოდის წინაოდა. მის ქვემოთ ხიდურია ახორში შესასვლელად.

სახლის დასახელებული ნაწილები აუცილებელია, მაგრამ მათი განლაგება და, განსაკუთრებით, რაოდენობა, არ არის მკაცრად განსაზღვრული. რა თქმა უნდა, აუცილებელია სახლის დაყოფა სასტუმრო და საშინაო ნაწილებად. პირველი წინა შესასვლელით, თუმცა ის არ არის ყოველთვის სახლის ფასადი და არ ითვლება ამ ხარისხში...

ყოველ იმერხეულ სახლში საჭირო ოთახი, ჩვეულებრივად, მოწყობილია მეორე ან მესამე სართულზე აივნის კუთხ-

ესთან, ხანდახან აივნის შუაში, ხშირად გზისკენ მიმართული ახორის ეზოს გასწვრივ. იმერხეველებს ნაკელი მინდორში შეაქვთ: „სხვანაირად“ მეუბნებოდნენ იმერხეულები: „ჩვენ რამეს ვერ მივიღებთ, საქონელი ჩვენ ამისთვის გვჭირდება, რძეს ძროხები ნაკლებად იძლევიანო“ (გვ. 215-218).

ჩვენ ვრცელი ამონარიდი მოვიყვანეთ „დღიურებიდან“ რამდენიმე მიზეზის გამო, კერძოდ:

– უპირველესად იმიტომ, რომ შავშური სახლის უკეთესი აღწერა, უფრო ზუსტი, ჩვენს დრომდე არავის მოუცია. ეს არის პირველი შემთხვევა შავშური საცხოვრებელი სახლის აღწერისა (ჩვენს დროში შავშური სახლი შეისწავლა თ. ფუტკარაძემ<sup>1</sup>).

– სახლთან დაკავშირებული ძირითადი ტერმინოლოგია იგივეა, რაც ჭოროხის სხვა ქვეყნებში, რაც საინტერესო ფაქტია ბევრი თვალსაზრისით.

– შავშური სახლი წარმოდგენილია ვერტიკალურ ჭრილში: I სართული – ახორი, II – საცხოვრებელი, III – ბედელი (ქორი), რაც ტიპურია ჭოროხის ქვეყნების მკვიდრთა საცხოვრებელი ნაგებობებისათვის.

– ასი წლის წინანდელი შავშური ოდა უმრავლეს შემთხვევაში დღემდე გვხვდება იმერხევეში. შავშეთის ამ ნაწილში იშვიათია ქვითკირის საცხოვრებელი ნაგებობა, უმეტესად ხის სახლებია, ისეთი ნ. მარმა რომ აღწერა.

ქართული საცხოვრებელი სახლის ტიპოლოგიის თვალსაზრისით, ვფიქრობთ, იმერხეული ოდა პირველხარისხოვან მასალას გვაწვდის.

**8.7. დაკრძალვა შავშეთსა და კლარჯეთში.** „დღიურებში“ ავტორი აღწერს დაკრძალვის წესებს, კერძოდ: ადამიანის სიკვდილის წინ მოიწვევენ ხოჯას, რომელიც მომაკვდავს უკითხავს ყურანს. ავადმყოფის გარდაცვალებისთანავე ახლობლები და ოჯახის წევრები ტეხენ კივილს (შდრ. აჭ.

<sup>1</sup> თ. ფუტკარაძე, საცხოვრებელი ნაგებობანი შავშეთში. შავშეთი, გვ. 104-106.

შეიცხადებენ) და ტირიან. მკვლევარი მოიტანს მამის მიერ შვილის დატირების ნიმუშს:

ვაძმე, შვილო!  
მარტივი დამტოვე,  
რა დღეს მოვესწარ?  
შვილი არა მყავს,  
ვინ უნდა მემიაროს?  
ვაძმე, ვაძმე!...

ოჯახში მოდიან ნაცნობები და ნათესავეები... ისინიც ტირიან და კივიან. მათ ტირილში ისმის ნუგეშიც:

ნუ იტირებ, შვილო,  
ეს არის ღმერთის ემრი!  
მოტირალი განაგრძობს:  
ვაძმე, მე რა ვქნა?  
მე დავრჩი, სა წვედე?

სიკვდილის შემდეგაც ხოჯა კითხულობს ყურანს... შესაძლებლობის შემთხვევაში მიცვალებულს უმაღლე მარხავენ. ელოდებიან მხოლოდ ხოჯას, ყურანი რომ წაიკითხოს და ნათესავეების მოსვლას, თუ ვინმე სახლში არ არის, მაგრამ 3-4 საათზე მეტს მიცვალებულ სახლში არ გააჩერებენ და მიაქვთ დასაკრძალავად. „ბაზგირეთში მეუბნებოდნენ, რომ მარხავენ 2-3 საათის შემდეგ, თუ არ დაღამებულა, თუ არა და დილას ელოდებიან.“<sup>1</sup>

დაკრძალვის წინ მიცვალებულს განზანგენ და ახევენ „ბეზში“, „ქეფინში“ (სუღარაში) და დებენ „თაბუთში“ (კუ-

<sup>1</sup> შავშეთში სავლელ ექსპედიციების დროს (2005, 2009, 2010 წ.წ.) გვიამბეს, რომ, თუ ადამიანი მზის ამოსვლისას გარდაიცვალა, მზის ჩასვლამდე უნდა დაიკრძალოს, თუ მზის ჩასვლისას გარდაიცვალა, ელოდებიან მზის ამოსვლას. მიცვალებულს აჩერებენ ერთ ან ორ დღეს, თუ შორიდან მოსასვლელია ოჯახის წევრი – შვილი, ძმა, და... ამ თვალსაზრისით გარკვეული ცვლილება განუცდია დაკრძალვის წესს გასული საუკუნის განმავლობაში. თითქმის იგივე მოგვიყვინენ ორდუს რეგიონში მცხოვრებმა ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებმა 2012 წლის ექსპედიციის დროს (2012 წლის 3-23 ივლისი, ექსპედიციის დღიურები).

ბოში). კუბო არის სამხსრივი – ფსკერი და ორი გვერდითი ფიცრით, ზევიდან – ღიაა, „აჩულია“. ცხედარს საფლავეში დებენ კუბოს გარეშე, ხოჯა აყრის მიწას.<sup>1</sup> ყველა მიდის, ხოჯა მარტო კითხულობს ყურანს. კუბო მიაქვთ მეჩეთში შესანახად. ხოჯას გაწეული შრომისათვის უხდიან 1 ან 2 მანეთს (გვ. 164-166).

თეთრაქეთში ნ. მარი აზუსტებს ზოგიერთ დეტალს: გასვენებისას უმასპინძლებიან. ჭირისუფალი (მკვდარის საძაბი) „მართვამს საჭმელს, მარტო მეზრის 4 გამთხრელს, სხვებს მეზობლები უმასპინძლებიან“. დაწესებულია, რომ ჭირისუფალმა 4 მესაფლავეს უნდა გადაუხადოს ორ-ორი აბაზი თითოეულს. ამ გადასახადს „ისხადს“ ეძახიან. 61 ადამიანმა, მლოცველმა უნდა მიიღოს 10-10 კაპიკი (ორ-ორი მარჩილი); „დეირს“ 12 ან 13 კაცი ღებულობს თითოეული ორ-ორ აბაზს (მათ შორის ხოჯაც...); გამზანგულს 1 მანეთი, წყლის დამსხმელს 3 აბაზი, ხოჯას ლოცვისათვის 1 მანეთი... „ვინცხა სამარეში მერთედ დუყუდებს 5-6 შაური. ორმოც დღესაც უკითხავს ხოჯა, ან ვინცხამ იცის, 2 მანეთი იმას. 3 მანეთიც იმას, ვინც ჩვენს მუსჯაფს (შდრ. ნუსხაფი) წაიკითხავს. ხარჯებში ახლობლებს არავინ ეხმარება, ადეთი არ არის“ (გვ. 166, სქ. 1).<sup>2</sup>

<sup>1</sup> არის ერთი გამონაკლისი, კერძოდ, თუ მიცვალებული ქალია და არ ჰყავს ახლობელი (ძმა, სხვა ახლო ნათესავი), რომელსაც არ ეკრძალება მიცვალებულზე ხელის ხლება და კუბოდან გადმოსვენება, მაშინ მას კუბოთი მარხავენ.

<sup>2</sup> წყალსიმერში ნ. მარი შეესწრო ასეთ ფაქტს: მიცვალებულ ქალს მარხავდნენ. ხოჯა ზეპირად კითხულობდა, ასამდე ადამიანი იჯდა და უსმენდა (შდრ. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ „ყველა მიდის, ხოჯა მარტო კითხულობს ყურანს“). და კიდევ: დღეს ხოჯა არა მხოლოდ უკითხავს მიცვალებულს, არამედ „ჯანას ალოცებს ხალხს“ (გვ. 67-68). დაკრძალვის აღწერილი წესი გარკვეული ცვლილებებით მთელს სამუსლიმანო საქართველოშია გავრცელებული.



მუსულმანური დაკრძალვის წესი სრული რომ იყოს, აუცილებელია ზემოთქმულს დაემატოს „თელყინი“, რომელსაც ასრულებს ხოჯა და საფლავის მოწყობა.<sup>1</sup>

**8.8. შავშ-კლარჯთა რწმენა-წარმოდგენებიდან.** შავშისა და კლარჯის ყოფაში მნიშვნელოვან ადგილს იჭერს რწმენა-წარმოდგენები. ამ კუთხის ადგილობრივი მოსახლეობა დღეს მუსულმანია და, შესაბამისად, მუსულმანური წესების დამცველი. მაგრამ მათ ყოფაში დაღეჭილა და გარკვეულად ჩვენამდე მოუღწევია ძველ, მუსულმანობამდელ რწმენა-წარმოდგენებს. ერთი მათგანია ზიარეთი (სალოცავი). ნ. მარი ერთგან წერს, რომ „თეთრაკეთელებმა მას უამბეს „ქრისტიანულ ეკლესიებში ... სალოცავად სიარულის შესახებ“ (გვ. 223). საყურადღებოა, რომ სალოცავი „ქრისტიანულ ეკლესიაშია.“ ზიარეთში წამსვლელი აკეთებს „მუმს“ (სანთელს). სალოცავად დადიან ფორტაში ან მერისში (აჭარა). თეთრაკეთელი მოგვითხრობს: „ფორტის ზემოთ არის ჩვენი ზიარეთი, ერთ საათ გოწვეს. ზიარეთზე მარტოდ მიშენებული სახლი არი ქვიდან, ყულად მოშენებული, ყულანდელი, მაშინდელი“ (გვ. 223). ფორტის ზემოთ ზიარეთი არის ძეგლის მთაზე, სწორედ მასზე საუბრობს ნ. მარის რესპონდენტი. საყურადღებოა, რომ ზიარეთზე „მოშენებული სახლი არი ყულანდელი...“ (ძველი). ეს „მოშენებული სახლი“ ძეგლის მთის ძირში მდებარე ის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიაა, რომელზეც მოგვითხრობს „ასწლოვანი მატიანის“ ანონიმი ავტორი. 2011 წლის 25 ივლისს რსუ ქართველოლოგიის ინსტიტუტის ექსპედიცია ავიდა ფორტის ზიარეთზე, მეგზურობას გვიწვედა ქვემოფორთელი შემისტან ილმაზი. ფორთელ-

<sup>1</sup> საქართველოში მუსულმანური დაკრძალვის თანამედროვე წესი ეთნოლოგიურად აღწერილი აქვს რ. ბარამიძეს. იხ. რ. ბარამიძე, დაკრძალვის რიტუალი აჭარელ მუსლიმებში. წიგნში: ქართველი მუსლიმები თანამედროვეობის კონტექსტში, ბათუმი, 2010. გვ. 118-150.

<sup>2</sup> ძეგლის შესახებ იხ. მ. ჩოხარაძე, გრიგოლ ხანძთელის „ათორმეტ სავანეთა“ მხარე და უამთაადმწერლის მატიანე („ძეგლი“ თანამედროვე კლარჯეთში. ჩვენი სულიერების ბალავარი, III, 2011; მისივე: ახალი ცნობები „ძეგლის“ ლოკალიზაციისათვის. ჟ. არხეონი, 2, 2011.

თა რწმენით, აქ „შეიდების“ (წმინდა კაცების) საფლავები (ერთი ზემოფორთელის ცნობით, მუხამედ წინასწარმეტყველის ბიძაშვილისა და სიძის ხეზრეთი ალის ჯარისკაცების). ბუნებრივია, გაჩნდეს კითხვა: საიდან ხეზრეთი ალის ჯარისკაცების საფლავები ამ კუთხეში, ქრისტიანული ეკლესიის ეზოში? გასათვალისწინებელია, რომ ომში დაღუპული მუსულმანთა რწმენით „შეიდა“. ტაოში, ბოწმინდის სალოცავზეც წმ. საფლავი ჯარისკაცისაა.<sup>1</sup> ერთი ფორთული გად-

<sup>1</sup> 1995 წელს ტაოში რეჯებ ქესკინმა ექპედიციის წევრებს ბოწმინდაზე მოგვითხრო ასეთი გადმოცემა: „ყოველ ქონაზე გამუალოთ აქა, ერთი ათი ცალი იქნება თუ ფშვიდი, თუ ვრა ცალი ცხუარი, რაცხა იმრეთი იქნება ის ხალხი მისხამ(?) წაართუამს, ფულს არ გამუდებს. ის ხალხი მოიკრიფებიან, გამუალოთ აქა, დაგჰკლავთ, დაგჰკრით, აღუდებენ, იმა შეგჰჰამთ. აქო დააგებენ ქილიმებს, ილოცვენ, ღმერთს ესოწებიან კი აქო ნაწოლი გულისთუნ ჩონი ხოწნები გვიგონეო და ასე, ასე. (ვინ წევს-მეთქი აქ? ვკითხე). აქ რუსეთ კი გამუულია, გმუულია და ერთი საში თანე თურქეთისი ასკერები მუუკდუნებია, ასე წინ მოსულ კაცები მუუკდუნებია, იქა, კუბრეთში. იმ კაცებ ის თავებ უხუჭიან კი, მოსულან, აქონ დაკარქულან. იმ ჯარის თავრობაჲ (აქ მეთაურს – მფ.) უთქვია ქი: მე ასე სიცოცხლე რაღა ვქნა კი, ასე კაცები მუაკდუნე-იმასაც თავი მუუკტუნებია. აქო ჩაწოლილან და დაკარქულან. ამის მერე აქაური ხალხი, ერთი ორმოცდაათი წლის მალე ხალხი აქ ნავალში აქ რო მუუახლოვებებიან ყურანი ქერიმის კითხვა იგონებს, მუერე იგონებს, მის მერე იტყვიან ქი, ეს ადგილი კაი ადგილია, უცალი ადგილია... ხალხსაც უთქვია კი ჩვენც გვენეთ იქა ღმერთისთუნ დაგჰკლავთ რამენი ცხერები, ჩვენ ხალხს გაუმარჯოს, ფინთი არ მუუგდესო, წყალი მუუგდეს. სუყველა ქარნაზე გამუალოთ ხალხი. ვიტყვით იქ, ჯამეში, გვედეთ და დაგჰკლავთ ყურბნები. თოვლი ეკრიფვის აქა, დილა გამოვლენ, იმ ცხოვრებ დაჰკლვენ, ღმერთ ესოწებიან, ეკრიფვიან, წევლენ.“

ცუცკეარელმა ალი მაზიჯმა რეჯების მონათხრობი ერთგვარად შეაგლო: „(ყურბანს) დაგჰკლავთ იშტა, გაწვიმდეს, ეფენდუმ, გაწვიმდება, ყაღაჲ არ იყვეს, ბუქი არ იყვეს, სეპტკეა არ ჰყრიდეს...“ (იხ. მ. ფაღავა, მ. ცინცაძე, ე. მაკარაძე, რ. დიასამიძე, ლ. თანდილავა, ტაოური მეტყველების ნიმუშები. ბსუ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, კრებული, IV, 2005, გვ. 150-151).

ტაოური წმ. სალოცავის ამბავი საინტერესოა მრავალი თვალსაზრისით:

ა. იგი ჯარისკაცის (ასკერის) საფლავია. ეს ეხმიანება ფორტის ზიარეთის ამბავს, იქაც საში ჯარისკაცის საფლავია.

მოცემის მიხედვით, ხეზრეთი აღიმ აქ დაასაფლავა დაღუპული ჯარისკაცები. ამ ლეგენდაში შეიძლება დავინახოთ „ასწლოვან მატინეში“<sup>1</sup> მოთხრობილი თეგუღარის ლაშქრის დაღუპვის ამბის ერთგვარი გამოძახილი. აქ ჩნდება კიდევ ერთი, არცთუ უსაფუძვლო კითხვა: ხომ არ არის მონღოლთა სარდალი ხალხის მეხსიერებაში გარდაქმნილი ხეზრეთი ალად? შეიძლება ასეც იყოს.

ზიარეთში მოსული მომლოცველები „დაწვებიან, სიზმარში ნახვენ. ეტყვის სიზმარში, ეს დაკალიო, ად ფული ანუქეო, შინ დაკალიო, ად აქ დაკალიო. რაცხასაც რომ ეტყვის, დაკლავს. ყოჩ (მამალი ცხვარი), ცხვარ ეტყვის, ჰარ, ზროხას ეტყვის. ქათამი გაგვიგონია, სხვა ჩიტი არ გაგვიგონია” (გვ. 223).

საინტერესოა მეორე ამბავიც: „ზიარეთში მიდიან ფორტის, ჭკუა რომენ დაკარგული ექნება. კარი არა აქ, შვეა შიგ კაცი და ქალი, პერანგს ჩაიცვამს მარტო, ოქრო, ვერცხლი არ იქნება, მარტო პერანგი და ნიფხავი (თ. ფიშტონი), მომ აანთებს, სამ, შვიდ, ხუთ, ცხრას. ჩემი დერდი რაცხა არიო, ვნახო სიზმარიო. და დაწვება. თუ არ ნახა სიზმარი, არ მოუხდა. თუ ნახა, თვალს დააბანიებს სიზმარში (მოუტანს რაცხას, ისე ეჩვენება), ასვამს და ეტყვის ყურბანიო (ქართ. ყურბანდო)” (გვ. 223)

ამ გადმოცემაში სანთლის (3,5,7,9) დანთება, ბუნებრივია, ქრისტიანობის კვალია. არცაა გასაკვირი, რომ ქრისტიანულ სამლოცველოში სანთლის დანთების ტრადიცია დარჩენილიყო.

ბ. რეჯების მონათხრობით, ბოწმინდის სალოცავი რუსეთისდროინდელია, რაც, რა თქმა უნდა, თითქოს ახალი მოვლენაა. მაგრამ ეს ასე არაა. აქ უბრალოდ გადმოცემის ტრანსფორმაციასთან გვაქვს საქმე. გასათვალისწინებელია საგეოგრაფიო სახელიც – ბოწმინდა. აღნიშნული ტოპონიმი სიძველის ნიშნად გვესახება.

გ. ბოწმინდაზეც წმინდანებს ეხვეწებიან ყურბნის (შესაწირავის) დაკვლის შემდეგ.

<sup>1</sup> იხ. ქართლის ცხოვრება, თ. II, 1959, გვ. 260.

ზემომოყვანილი ამბიდან ჩანს, რომ ძეგლის წმ. გიორგის ეკლესია მნიშვნელოვანი სალოცავი იყო ამ კუთხეში. უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი ფუნქციონირებას აგრძელებდა შავშეთისა და კლარჯეთის გამაჰმადიანების შემდეგაც. მოგვიანებით ქრისტიანული სალოცავი ტრანსფორმირდება ზიარეთად, რომელსაც მუსულმანობასთან კავშირი არცაა აქვს. უფრო მეტიც, ხოჯები უმეტესად მორწმუნე მრევლს ზიარეთში წასვლას არც ურჩევენ.

\*  
\*   \*  
\*

ნ. მარის „შავშეთისა და კლარჯეთში მოგზაურობის დღიურები” არის მეცნიერის მიერ შექმნილი შავშეთ-კლარჯეთის სურათი. ავტორი მოგვატარებს და გვაცნობს მექართულე და მეთურქულე შავშეთისა და კლარჯეთის აღმოსავლეთი ნაწილის სოფლებს, აქ გაბნეულ მატერიალური კულტურის ძეგლებს, მოსახლეობას, მათ მეტყველებას, რომელსაც ავტორი იმერხეულ კილოს უწოდებს, ფოლკლორს, ყოფას... მკითხველი ხედავს, რამდენად მძიმე პირობებში უხდებობა მეცნიერს მოგზაურობა, მაგრამ იმდენად დიდი იყო გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობის კუთხისა და მისი დაარსებული ეკლესია-მონასტრების გაცნობის სურვილი, რომ მან დაძლია ყველა სიძნელე, მოიხილა და ზედმიწევნით აღწერა ნახული და განცდილი და შთამომავლობას დაუტოვა „დღიურების” სახით.

### ტექსისათვის:

1. რუსულ ტექსტში ნახმარი ავტორისეული ქართული სიტყვები თარგმანში გამუქებული და დახრილია.
2. გეოგრაფიული სახელები და ზოგიერთი ტერმინი ავტორის მიერ რუსულად ჩაწერილი გამუქებულია ჩვენს მიერ.
3. გეოგრაფიულ და სხვა საკუთარ სახელებს შენარჩუნებული აქვს ავტორისეული ორთოგრაფია: პორტა, ბაძგირეთი, ჩიდილა, სადგერელი, ამბარქუმი... (ზოგჯერ ავტორი ერთსა და იმავე საკუთარ სახელს სხვადასხვა ფორმით ხმარობს, მაგ. ჩიდილი//ჩიდილა//ჭედილა//ჭიდილი... ყველა შემთხვევაში ვტოვებთ ავტორისეულ დაწერილობას).
4. კვადრატულ ფრცხილებში [ ] ჩასმული სიტყვა ეკუთვნის მთარგმნელსა და რედაქტორს.
5. ნ. მარის ჩაწერილ დიალექტურ და ფოლკლორულ ტექსტებში მთლიანადაა დაცული ჩამწერის ორთოგრაფია.

### შაკუთსა და კლარჯეთში მოგზაურობის დღიურები

**18 ივლისი, კვირა.** ფოსტაში, არდაგანში, სადაც მე ყარსიდან ჩამოვედი საღამოს 9 საათზე, გავიცანი ბატონი კობიევი, ქართველი, არდაგან-ყარსის გზის მოიჯარე. მან მაცნობა:

1. ჰამამლიში, სარიკამიშის მახლობლად, არის ეკლესია, ქართული წარწერით;

2. ხას-ქიოსთან, გზის სამუშაოებისას ამოთხარეს ქვა ქართული წარწერით. მისი ნაწილი სადღაც წაიღეს, ნაწილი კი ადგილზე დაამტვრიეს.

**19 ივლისი, ორშაბათი.** არდაგანის სიძველეები დასათვალიერებლად ადვილად მისაწვდომია და მე მათზე დიდხანს არ ვჩერდებოდი, მით უმეტეს, რომ მათით ერთ-ერთი მოგზაურობისას დაკავებული იყო ქართული წარწერების წაკითხვის ისეთი ხელოვანი, როგორცაა ექვთ. თაყაიშვილი. შემოვიფარგლები მხოლოდ ქართული წარწერების ადგილის მითითებით არდაგანის ციხე-სიმაგრის ნანგრევებზე:

1. კოშკის კედელში, ჩრდილოეთის მხრიდან, ქვევით, წყობის მეორე შესამჩნევ რიგში, კუთხეში მოთავსებულია ქვა წარწერით, უფრო სწორედ, ოთხსტრიქონიანი წარწერის ნაწვეტით.

გვერდით, მარცხნივ, ორნამენტიან პირობითი მტევნების ჯაჭვიდან ქვემოთ ბოლოებით, რომლებიც გადაწულია სამი კონცენტრირებული ნახევარწრით (საკუთრივ წრის 4/5).

2. შემდეგი კოშკის კედელში, ასევე კუთხეში, უფრო დიდი ქვაა უფრო წვრილი ხეცური დამწერლობით [შესრულებული] წარწერით, რომელშიც დანამდვილებით შეიძლება ამოიკითხო მხოლოდ სახელი [var]azvage *[ვარ]აზვანე*.

3. უფრო ქვემოთ, უფრო პატარა ქვაა დიდი ჯვრით, ზედა ფრთებთან მარცხნივ და მარჯვნივ, თითო ორნამენტიან ✠

მთავრული ასოებით. ფრთებქვეშ მთავრული ასოებით მარცხნივ **ჭ-წ** ჯვარი, მარჯვნივ **ქ-ყ** ქრისტე.

ჯვრის სადგამიდან მარჯვნივ და მარცხნივ ჩვეულებრივი ტიპის პირობითი ტოტებია.

4. ერთი კოშკის შემდეგ, იმავე მიმართულებით, კოშკის კედელში ჩატანებულია ორი ქვა. ორივე ჩადგმულია ზედა მხრით ქვემოთ: ა. ქვედა [ქვაზე] კედლის შუახაზიდან რამდენადმე მაღლა წარწერაა ქართული ასომთავრულით, შედარებით წვრილი ასოებით. ბ. ზედა [ქვაზე], ზედ კუთხესთან, ასევე ოთხსტრიქონიანი წარწერაა.

5. შიგნით, ერთი კოშკის წინ, კიბესა და მინაშენს შორის ჩადგმულია ქვა ხუთსტრიქონიანი ხუცური წარწერით (ფრაგმენტი).

პატარა სამლოცველოში, შესასვლელიდან მარჯვნივ დაბლა ჩადგმულია ქვა ადამიანის ფიგურის თავდაყირა გამოსახულებით: გაშლილი ხელები მარცხნივ და მარჯვნივ წამოწეულია ყურების სიმაღლეზე (თითები თავის ზედა ხაზის დონეზეა). გამოსახულების სიმაღლე 6 3/4 გოჯია, სიგანე, ხელების ჩათვლით, – 4 5/8 გოჯი, წელის შემოხაზულობა – 1 5/8 გოჯი. ფეხები მოჩანს. ტანსაცმელი მუხლებს ქვემოთ ქლამიდის ფორმის, როგორც იოვანესა და ზაქარიას ხარიჭის სომხურ მონასტერში. ყველაფერი ეს წრის ჩადრმავებაშია.

სომეხ მღვდელთან, რომელიც ეკლესიასთან ცხოვრობს, დავათვალიერე 675 (1226 წ. ქრისტეს შობიდან) წლის ხელნაწერი სახარება ოთხთავი. შესაძლებელია, ამ თარიღის ჩანაწერი მხოლოდ დასაწყისშია. **o** და **nl** ნიშნების გამოყენება სიახლის ნიშანია. ხელნაწერი საინტერესოა ილუსტრაციების, მინიატურებისა და თავხატულობის მხრივ. ისინი უხვადაა. ნაწერი სტრიქონებიანია, საკმაოდ მტკიცე. დასაწყისში კანონები და ინდექსია (sic). ყოველი სახარების წინ შესავალი (**საխაყოლიჩ**) და მოცემული სახარების ავტორის პორტრეტია. ტექსტის ქვემოთ კონკორდანსული მითითებებია

სომხური ასოებით. ხელნაწერი ყდაშია: მოვერცხლილ-მოვარაყებულფიგურებიანი გამოსახულებებით. ყდა სომხური თარიღითაა – 1121 (1672 ქრისტეშობიდან). ფორმატი in-12° ან ძალიან პატარა in-8°. მღვდელმა დათმო ციხე-სიმაგრეში დასავლეთი შესასვლელის ზემოთ არსებული მუსულმანური წარწერის სურათი, რომელიც მიტანილია საიმპერატორო არქეოლოგიურ კომისიაში.

შუადღის 2 საათზე მე გამოვემგზავრე არდაგანიდან ჩაფარ შაქრო (ზაქარია) ჯაფარიძისა და ქურთ ომარის, ცხენების მესაკუთრის (ორი [ცხენი]: საპალნე და საჯდომი) თანხლებით. ნოვო-ნიკოლაევში (**საბზევარ**ში) წვიმის გამო გაეჩერდით, რომლის [გადაღების] შემდეგ განვაგრძეთ გზა და დაახლოებით 5 საათზე მივედით დაგირმანში. დამისთვეა. სურდათ ეჩვენებინათ ღობეში დიდ ქვაზე წარწერა, მაგრამ ის აღმოჩნდა ნახეთქები. დამისახელეს რამდენიმე პირი სხვადასხვა ადგილას: მათთან შეიძლება ძველი ხელნაწერების ნახვა. ჩვენი სტუმართმოყვარე მასპინძელი, გარეგნულად დიდი შეძლების, მემედ-ალა-ხაჯი-ახმედ-ოღლი, გაგვიმასპინძლდა განსაკუთრებული სახის ძალიან გემრიელი კერძებით, კარაქზე დამზადებული, შიგთავსის გარეშე, რომელთაც „მაფიშები“ ეწოდება. მთელ საღამოს ვცდილობდი მოლასთან მესაუბრა ძველ არაბულად: გოცელები ვარ არაბული ფორმების და ცალკეული არაბული სიტყვის მნიშვნელობის ნათელი გაგებით, ისევე როგორც მისი საკმაოდ მდიდარი ლექსიკით. მოლას რაჯაბი ჰქვია.

იგი არის ფოცხოვის უბნის სოფელ „ალ“-იდან. მისი მასწავლებელი იყო ლეზგი (ლეკი) მუხამედ ტახარი. ახლა მას 100 მოსწავლე ჰყავს. ამ მასწავლებლის მოსწავლეების ნაწილი მოლეები არიან. ორი მათგანი ამ რაიონში. საღამოს სოფელი გაიარა 26-28 წლის სტუდენტმა. ის წარმოშობით ქართველია, რაღაცა იცის და ესმის არაბულად. ბავშვები არაბულად კითხულობენ გალობით, როგორც უფროსები, როგორც მოლა, მაგრამ არ ესმით. რაჯაბი ქართველი არ არის (ასე ამბობს ის), ყოველ შემთხვევაში მან ქართული არ

იცის, ცოტა გაეგება სომხური. იგი არაბულს 15 წელი სწავლობდა.

**20 ივლისი, სამშაბათი.** დილის 7 საათზე ჩვენ გამოვედით დავირმანიდან. გზა მდინარეს კვეთს და აღმართით მიდის დაბალბალახიანი მთებით. 9 საათისათვის ჩავედით სახარინის საგუშაგოსთან. ერთი საათი შევისვენეთ, სანამ საგუშაგოდან ჩვენს გამცილებლად მზადდებოდა ჩაფარი. ჩაფრები აქ ქვეითად არიან, ადგილობრივ ზიბუნებში და კოსტუმებში. მასპინძელი, რომელიც საგუშაგოსთან მომთაბარეთა სადგომში ცხოვრობს, ახოვანი, ჩაფსკვნილი, გოლიათი მამაკაცი, სტუმართმოყვრულად შეგვხვდა, გაგვიმასპინძლდა „შურებით“ (ვარდის სიროფი წყლით გაზავებული), რძითა და ჩაით. შემთხვევით აქ იმყოფებოდა რუსი, მახლობელი ტყის მცველი. ის არ შეიძლება არ მოხიბლულიყო თურქების (გათურქებული ქართველების) სტუმართმოყვარეობით.

შევხედე რა რუკას, გადავწვიტე, შემეცვალა მარშრუტი, გავმგზავრებულიყავი არა სათლელში, არამედ სულისისაკენ და იქედან ტბეთში, რომ სათლელიდან არ დაგვჭირვებოდა კვლავ აღმოსავლეთისაკენ მობრუნება. მაგრამ უფროსი ჩაფარი სხვებთან ერთად ამტკიცებდა, რომ სულისში მგზავრობა შეუძლებელია გზის სიძნელის გამო, რომ უკეთესია გამგზავრება ჯერ პირდაპირ ტბეთში შავქეთის, ბალვანის, ოქრობაგეთის, ველის გავლით. დავიძარით 10 საათზე. მაგრამ ჩვენმა გამცილებელმა, სიტყვის უთქმელად, წაგვიყვანა პირდაპირ სულისზე, მასურათის საგუშაგოს გავლით. ეზმი-ეფენდი (რომლის შესახებაც მაცნობეს, რომ აქვს ქართული ხელნაწერები), ჩაფარია სწორედ ამ საგუშაგოზე. მისი მამა ხოჯა იყო.

გზა მიდიოდა ყვაილებით მოფენილ მაღალბალახიან ზეგანზე. ჩვენ თითქოს ხალიჩაზე მივდიოდით. გრილა, თითქმის ცივა, მაგრამ ჯანმრთელი ჰაერია. მარცხნივ დავტოვეთ სქელი ნისლით დაფარული შავქეთი და ბალვანი. ნისლი ჩვენზე მოდიოდა. მხარზე თოფგადაკიდებული გამცილებელი, დატოვა რა დაკლაკნილი გზა მარჯვნივ, მანძილის შესამოკ-

ლებლად მხნედ მიაბიჯებდა პირდაპირ მინდვრებზე. ჩვენ მივდიოდით მთის ყვაილების არმატით გაბრუებულნი. მაღალი, წვნიანი, ხშირი ბალახი აცდუნებდა გამაძლარ ცხენსაც, რომელსაც ესესაა კარგად აჭამეს, მაგრამ დიდი ბუხები ეხვეოდნენ და აიძულებდნენ წინსვლას. ბუხები იკბინებოდნენ. ჩაფარ შაქროს თითი გაუსივდა ნაკბენის გამო. ნისლი ჩვენსკენ მოიწვედა. გამცილებელმა თქვა, რომ შეიძლებოდა გზა დაგვკარგოდა. ჩვენ გადავედით ნაკადულზე და აღმოჩნდა, რომ გამცილებელს მაინც შეეშალა გზა. ნისლმა დაგვფარა. ირგვლივ არაფერი ჩანს, მაგრამ ფეხქვეშ შევნიშნეთ დიდი გზა. რამდენადმე განათდა. მარჯვნიდან ისმოდა ხმები. გამცილებელი წავიდა და დაიძახა, – მწვემსები იყვნენ. თქვეს, რომ ახლოს, ქვემოთ არის საგუშაგო: 1 საათში ჩვენ მივედით საგუშაგოზე, გადავედით რა მდ. მასურათ-ჩაი. ეზმი-ეფენდი აქ აღმოჩნდა, მაგრამ ის გვარწმუნებს, რომ ქართული არაფერი აქვს. მიდის თურქული და არაბული ხელნაწერების საჩვენებლად.

ხუთვერსიანი რუკა, 1898 წლის შესწორებებით, დეფექტიანი აღმოჩნდა იმ ნაწილში, რომელსაც დღეს გავდივარ. ასე, არ არის აღნიშნული:

1. აგარა, ქვედა სულისიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით.

2. ეკლესიის ნანგრევები აგარის იქით ტყეში: **სინდობა** ან **ცინობა**.

3. ორი დასახლება, მათ შორის **კოლაზდილარ-ი**.

ამ პუნქტების შესახებ მაცნობა და გზად მაჩვენებდა ეზმი-ეფენდი. მანვე, ასევე შემედ კარა-ახმედ-ოღლიმ (გორგაძე), მაცნობა, რომ ბალვანასთან არის მღვიმური სათავსოები, თამარის ნახელავიო (აქ ყველაფერს თამარს მიაწერენ), მათ **ოდები**, ანუ სახლები ეწოდებათ (მემედი ქართულად ლაპარაკობს). წარწერები არ არის. მემედმავე მაცნობა, რომ სულისთან ახლოს, ტბეთის მხარეს არის ეკლესია, რომლის

მსგავსი „არსად არ არის“<sup>1</sup>. მასურათის საგუშაგოზე ერთმა ახალგაზრდა ჩაფარმა, წარმოშობით ტბეთელმა, გვაცნობა, რომ რამდენიმე წლის წინ მისმა ნათესავმა, ჯეერი-ეფენდომ იპოვა ორი ქვა ქართული წარწერებით და ბელელში დამალა.

ჩვენი გზა მასურათის საგუშაგოდან ქვედა სულისამდე 3 საათს გრძელდებოდა. ჩვენი ქვეითი გამცილებელი ჩაფარი სახარინის საგუშაგოდან შეცვალა მასურათელმა ჩაფარმა ეზმი-ეფენდომ. არ წვიმდა, მაგრამ ნისლი სველ ფენად იდო მიწაზე და დაასველა ჩვენი ტანსაცმელი, როგორც წვიმამ. ვმგზავრობდით მდ. მასურათის ხან ერთი, ხან მეორე ნაპირით. ბალახიანი პეიზაჟიდან (ნისლი ფარავდა) შეუმჩნევლად გადავედით წიწვოვან და შერეულტყვიანში.

ს. აგარასთან მისვლამდე ჩვენ შეგუხვიეთ მარცხნივ და მდ. მასურათზე გადაებული ხიდით გავედით მის მარცხენა ნაპირზე. ნახევარი საათი დაგვჭირდა, ვიდრე მივალწევდით ქვედა **სულისს**, ან **სულესს**. გზად ეზმი-ეფენდომ გვაჩვენა დათვის ახალი კვალი.

სოფლებში აქ ხის, ხშირად ორსართულიანი, აივნის სახლებია. თვალში საცემია ქვების გამოყენება ყავრის, ლარტყების დასამაგრებლად (ღურსმნების ნაცვლად).

ეზმი-ეფენდის აღმოაჩნდა ორიოდ ათეული თურქული დოკუმენტი, მათ შორის შვიდი შედარებით ძველი, თუ ნაწერით ვიმსჯელებთ. ძველი დოკუმენტები უმეტესად ფრაგმენტებია. ისინი კონსტანტინეპოლიდანაა (**قسطنطينيه**) და შავშეთს (**شوشت**) შეეხებიან.

ეზმი-ეფენდის სახლის ეზოში, სადაც მე გავჩერდი, სატავალას მთის მხრიდან, სახლისგან მარჯვნივ აღმოჩნდა თაღოვანი ნახევრადამოვსებული მიწისქვეშა გასაველი. ამჟამად [მისი] სიმაღლე 1 1/4 არშინია, სიგანე – 1 არშინი და 2 გოჯი, მიმართულება ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ, მაგრამ შემდეგ შესახვევით; 10 საუენის

<sup>1</sup> ქვედა სულისში განაცხადეს, რომ ასეთი ეკლესია არ იცინა, თუ ეს არ არის **ვანი**, სადაც სომხები მოდიან სალოცავად.

მანძილზე შეინიშნება გვირაბი; გვირაბზე გვაცნობა პატრონმა, რომელმაც გამოსაკვლევად მოაბრუნა დიდი ქვა, რომელიც კამარას ფარავდა. ადგილობრივებმა უარი თქვეს ჩასვლაზე. ამტკიცებდნენ, რომ შიგ ჯინები არიან, რომლებიც მათ მოკლავენ. ჩაფარი შაქრო ჩავიდა ლამპით, მაგრამ სინათლე ქრებოდა ამა თუ იმ მხარეს მოძრაობის ყოველ ცდაზე. შემდეგ ჩავიდა არდაგანელი ქურთი ომარი და შეეცადა ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში შეეღწია სანთლის გარეშე, მაგრამ შორს გადაადგილება ვერც მან შეძლო ჰაერის უკმარისობის თუ უვარგისობის გამო.

საღამოს ჩემთან ოთახში რამდენიმე კაცი შეიკრიბა. ყველანი ბალვანასთან არსებული მღვიმური სათავსოების შესახებ ამტკიცებდნენ შემდეგს:

ისინი განლაგებულია ორ რიგად: ა. ზედა რიგში ერთი მღვიმური სათავსოა, სადაც არავის არ შეუღწევია და ვერც შეაღწევს; ის ძალიან მაღლაა, ასევე, მოშორებულია ზედა კიდეს. ზედა კიდე ისეა გამოწვეული წინ, რომ ბაწრით თუ ჩახვალ, შეუძლებელია მიუახლოვდე სათავსოს.

ბ. მღვიმური სათავსოების ქვედა რიგი ეკლესიითაა. არანაირი წარწერა არაა, მაგრამ არის ქვაზე ადამიანის გამოსახულება [ხელში] ჩაქუჩით.

**დაბაწვრილში** არის გვარები **გოპაძე** და **ხალაძე**. ადგილობრივები თავისთავს ქართული გვარებით არ წარმოადგენენ. მხოლოდ როდესაც ჰკითხავთ, მაშინ გაცნობებენ თავის ქართულ გვარებს. ისინი ახლა ასეც ხმარობენ რუსულ სიტყვას „ფამილია“.

ამინდი ნისლიანია, სველი. მთელი დამე წვიმდა. ახლა ისევ უინჟლავს. ნისლს მოუცავს ყველაფერი. 100 საუენის იქით არაფერი ჩანს. ჩვენს გაკვირვებაზე შავშელი პასუხობს, რომ მათთან ყოველთვის ასეთი უბედური ამინდია (ბელა ჰავა). თუმცა შემდეგ საუბრებიდან გაირკვა, რომ ნათელი დღეები არცთუ იშვიათია ამ მხარეში. დამამახსოვრდა შავშური ანდაზა, ეზმი-ეფენდის (რომელიც ქართულად არ ლა-

პარაკობს) ნათქვამი: **طاغ طاغہ قاوشمز انسان انسانہ قاوشور** „მთა მთას არ ხვდება, ადამიანი ადამიანს კი ხვდება“. ის ცნობილია ქართულში, ისევე როგორც სვანურში (მასალების კრებული, გამ. X, განყ. II, გვ.1).

**21 ივლისი, ოთხშაბათი.** გავდივართ დილის 8 საათსა და 20 წუთზე. ჩვენთან ერთადაა დაბაწვრილელი ბეირუზ ხალაძე, როგორც გამცილებელი. ტალახი, სისველე, ცრის, ნისლი. გავეხვიე მონადირის ხალათში: იცავს ნესტისაგან, მაგრამ ცხელა. მივიღვართ მინდვრებით. გზა არ ჩანს, სოფლისაც კი. ზედ აგარასთან, მასურათ-ჩაიზე ხიდს, რომლისკენაც ორი გზა მიდის – ერთი მასურათის საგუშაგოდან, მეორე – აგარიდან, მივალწიეთ მხოლოდ 45 წუთის შემდეგ. გადავედით მარჯვენა ნაპირზე. 9 საათსა და 20 წუთზე დავიძარით ზევით, დავტოვეთ რა მარცხნივ აგარა და მარჯვნივ – აგარა-ჩაი, რომელიც იქვე უერთდება მასურათ-ჩაის, საერთო მიმართულებით ჩრდილოეთისაკენ. აღმართი ხანგრძლივი იყო, ცხენებისთვის მტანჯავი, სველი ტყის გავლით, წვიმის ქვეშ, რომელიც კი არ ეცემოდა, არამედ ფენებად ეშვებოდა ნისლივით. თუმცა ალაგ-ალაგ ცრიდა წვრილი წვეთების სქელი ფენით. თავის დაცვა ტოტებისგანაც გვიხდებოდა, რომლებიც ტყიდან გზისკენ იყვნენ გამოშვებული, ან ზემოდან ჩამოშვებული. ერთ ადგილას ასეთმა გვერდითმა ტოტმა კინაღამ წააქცია შაქრო, მეორე ტოტმა მე თავიდან მომხადა ქუდი, წამომედო რა თმებზე და ოდნავ დამიკაწრა სახე. ერთი საათის შემდეგ ჩვენ ვიყავით დანიშნულების ადგილზე

აგარიდან საძოვარზე (ჩაირზე) მიმავალი გზიდან მარცხნივ, ერთ-ორ ათეულ ნაბიჯზე არის ეკლესია: გაგრძელებული ოთხკუთხედი, შიგნით საკურთხევლის მომრგვალებით, მსხვილი, გათლილი ქვებით [ნაშენი]. მოპირკეთება, ძალზე ფაქიზი წყობა. ნანგრევები ახლა წარმოადგენენ მხოლოდ კედლის ქვედა ნაწილს, წყობის ერთ-ორ რიგს, ადამიანის სიმაღლეზე მეტს საკურთხევლის მომრგვალებასთან, სამხრე-

<sup>1</sup> საერთოდ ამ სოფლებში (სულისი, აგარა) ადგილობრივ მცხოვრებლებს შორის ქართული ენა არ ისმის.

თის მხრიდან ყველაფერი საფუძველთანაა გასწორებული პირდაპირი კედლის თითქმის მთელ გაგრძელებაზე მომრგვალებამდე; კედლის სისქე საკურთხევლთან: შიგნით 15 გოჯი; საკურთხევლის ნახევარწრის სიღრმე: 1 საუენი და 9 გოჯი; სიგრძე შიგნით საკურთხევლის ამღლებიდან: 8 არშინი და 1 გოჯი; სიგანე შიგნით: 2 საუენი და 15 გოჯი; კედლის სისქე სამხრეთ-დასავლეთ კუთხესთან: 1 არშინი და 2 გოჯი. საკურთხევლის შემადგენლობაზე ეგდო ქვა ნახვრეტით, თითქოს რაღაცის ძირის საყრდენი, შესაძლებელია ჯვრის, ორნამენტით ერთ მხარეზე, ჯვრის ცენტრში კვანძად გადახლართული სამი ამობურცული ხაზის წრეში. წრის დიამეტრი 6 3/8 გოჯია. მოინახა ქვემოთ, საკურთხევლთან, მაგრამ პატარა, გამობურცული ჯვარი, პატარა ქვაზე: ჯვრის სიგრძე 4 გოჯია, გვერდითი ფრთები – 2 5/8 გოჯი. კარი იყო მხოლოდ სამხრეთი, 2 1/2 არშინის მანძილზე დასავლეთი კედლიდან. ყველაფერი გადათხრილია განძისმაძიებლების მიერ. სამხრეთი კედლის იქით, გარედან გდია დიდი ქვა ჯვრის წირთხლით. საკურთხეველში, მარცხნივ (ჩრდილოეთით) საკმაოდ ღრმა (12-14 გოჯი) ნიშაა (1 არშინი × 1 არშინზე). საკურთხეველი მომრგვალებულია მხოლოდ შიგნით, გარედან კი წესიერი ოთხკუთხედი. მოსაპირკეთებელი ქვები ერთობ დიდია: გვხვდება: სიგანე 1 არშინი და 13 გოჯი × 1 არშინი და 7 გოჯის სიმაღლეზე. ასეა აღმოსავლეთ კედელში, ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხესთან. ეკლესიის საფუძველი გარეთ გამოდის ცოკოლით, ის ჯერ არაა მიწით დაფარული. ეკლესიიდან სამხრეთით რამდენიმე ნაბიჯში იყო საფლავი, ახლა მოთხრილი განძისმაძიებლების მიერ. აქვე, სამხრეთით, გდია უზარმაზარი ქვა, რამდენადმე მოშორებით, ასევე უზარმაზარი ქვა ნახვრეტით, საფუძველი ან საყრდენი დიდი საფლავსხედა (ქვის) ჯვრისა. ეკლესიას უწოდებენ **წინობას<sup>1</sup>**; ასევე ქვია წიწვოვან ტყესაც, რომელშიც არის ნანგრევი. აგარიდან აქეთ ჩვენ ვიმგზავრეთ თითქმის ერთი საათი წვიმასა და

<sup>1</sup> ოქრობაგეთელი სომხები წარმოთქვამენ **წინობან**.

ნისლში. 11 საათზე დავიძარით უკან, მაგრამ უკვე ფეხით და უფრო მოკლე გზით. ორმოცი წუთის შემდეგ ჩვენ ვიყავით აგარა-ჩაისთან, სოფელ აგარაში შესასვლელის წინ.

აქ მცირე შესვენება. ჩვენ ვაპირებდით გზაზე გასვლას, როდესაც ჩვენთან მოსულმა მოხუცმა, აგარის მცხოვრებმა, იხეთ მუსტაფა-ოღლიმ გვაცნობა, რომ მისი სასტუმრო ოთახის აღმოსავლეთ კედელში, სამხრეთ კუთხესთან, ჩაშენებულია ქვა წარწერით. ეს სასტუმრო ოთახი განცალკევებით დგას. ქვის სიგრძე 1 საუენი და 1/4 არშინია (დაახლოებით, რადგან ქვის ნაწილი კედლიდან გარეთ გადის), სიმაღლე 1 არშინი და 1 გოჯია. ქვა ამოთხრილია ამ სოფელში (აგარაში) მიწიდან, სადაც დგას საყონალო (სასტუმრო), თუ მეპატრონეს დაუფურცებთ. ეს ორსტრიქონიანი წარწერაა ქართული ნუსხა-ხუცური დამწერლობით [შესრულებული].

aeSena ese w\*Y ekhesia „აეშენა ესე წა ეკლესია

qr \*nksa sp ქრნკნსა სო“. „აშენდა ესე წმინდა ეკლესია ქორონიკონსა სო“ (280), ე.ი. 1061 წელს, ან 1592 წელს ქრისტეს შობიდან.

უკანასკნელი თარიღი რამდენადმე გვიანდელია ნაგებობისათვის, რომელმაც მოასწრო პირისაგან მიწისა გაქრობა. ვულგარიზმი „აეშენა“, ნაცვლად „აღეშენა“-სი, resp. აღეშენა, „ეკლესია“ „ეკლესიაჲ-ს“ ნაცვლად ვერ გაგვაკვირვებს XI საუკუნის ტექსტში, განსაკუთრებით ეპიგრაფიკულში. წერაში განსაკუთრებული არაფერია.

მესაკუთრე გვარწმუნებს, რომ წარწერა სწორედ აქ არის აღმოჩენილი. კარგად ახსოვს, აქ იყო სასაფლაო, მაგრამ ეკლესიის კვალი არ იყო. იგი 60 წლისაა. ქვა ამოთხარეს, როდესაც ის 7-8 წლისა იყო.

12 3/4 საათზე გავემგზავრეთ ვანში<sup>1</sup>. გზა საკმაოდ ფართეა, მოსახერხებელი. 1/4 საათის შემდეგ გავდიოდით სო-

ფელ კოგაზდილარს. შორს გამოჩნდა თაუხეთი, უფრო ქვემოთ, მასურათის მარჯვენა ნაპირზე. თაუხეთამდე კარგა ხნით ადრე დაიწყო მკვეთრი დაღმართი. მოგვიხდა ფეხით სიარული. 1 3/4 საათზე ჩვენ თაუხეთი გავიარეთ. ქალები სახეს იფარავდნენ, ხან თეთრი ჩადრით, ხან, უფრო ხშირად, თეთრი თავშლით. თაუხეთს იქით შევხვდი ჭაბუკს, რომელსაც ზურგზე კალათი ჰქონდა. კალათი იყო გურული წვეტიანი ძირის მქონე, კონუსური ყურძნის კალათის ფორმის, გიდეღს რომ ეძახიან, მაგრამ მოგრძო პირით (1 არშინი და 13 გოჯი × 1 არშინსა და 11 გოჯზე, სიმაღლე – 1 არშინი და 13 გოჯი). ამზადებენ მაჭახლელები. აქ ჩამოაქვთ ბათუმიდან. კალათს აქაც „გიდეღას“ ეძახიან. 2 საათზე დავეშვეთ ქვემოთ, ვანისკენ, რომელიც განლაგებულია არცთუ ისე მაღალ ზეგანზე, მდ. მასურათასთან ახლოს.

ადგილი, სადაც განთავსებულია „ვანი“ შემოღობილია; ხის ოროლები ღობავენ გზას ჭიშკრის ნაცვლად. ნანგრევები ჩაფლულია ახალგაზრდა ხეების ტევრში. თვით ნანგრევებზე იზრდება ახალგაზრდა კაკლის ხეები. კაკლის ხე მიაწვა ჩრდილოეთ კედელს გარედან. კომპასის მიხედვით, ტაძარი მიმართულია ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. ეკლესიის გეგმა მოგრძო ოთხკუთხედს წარმოადგენს. შიგნით აღმოსავლეთიდან საკურთხეველის მომრგვალებაა. ერთი სიტყვით, მეორდება წინობის ეკლესია. ზომები შიგნით: სიგრძე საკურთხეველის შემადღებამდე 2 საუენი და 11 გოჯია, სიგანე – 4 არშინი და 5 1/2 გოჯი, საკურთხეველის ნახევარწრის პერპენდიკულარი (ჩადრმაგება) – 2 არშინი და 7 გოჯია, კედლების სისქე – 1 არშინი და 4 გოჯი; აღმოსავლეთი კედლის სისქე შუა ნაწილთან – 1 არშინი და 6 გოჯია. კედლები აქ გაცილებით მაღალია შენარჩუნებული, ვიდრე წინობში. თითქმის ყველა მოსაპირკეთებელი ქვა მომძვრალია. ალაგ-ალაგ, ასე

<sup>1</sup> ვანი საკუთრივ არ არის იმ ეკლესიის სახელწოდება, რომლის ნანგრევებიცაა ტაუხეტთან. სომხები მას ტაუხეტის ჯვარს უწოდებენ

(Տաուղსտայ խաչ), მაგრამ რადგან იქით სალოცავად მიმავალი სომხები ამბობენ, რომ მიდიან „ვანქში“, თურქებმა მიიღეს, როგორც საკუთარი სახელი.



სამხრეთიდან, კედლები ძირამდე დანგრეული ყოფილა, მაგრამ ასეთი ადგილები ამოშენებული იყო მშრალი წყობით, სავსებით შესაძლებელია, სომეხი მომლოცველების მიერ (ლოცვის დღე 15 აგვისტოა, ღვთისმშობლის მიძინება). მოსაპირკეთებელი ქვები შედარებით წვრილია, უფრო უხეშად გათლილი. შიგნით, საკურთხევლის შემადგელებზე, გდია ჯვრის ნატეხი და ქვის ბორბალი შუაგულში ოთხკუთხა ხვრელით. არის მაღალი ქვის ტუმბო ოთხკუთხა ჩაღრმავებით, რომელშიც და რომელთანაც არის სანთლის ნთების კვალი. აღმოსავლეთი კედლის გარედან დიდი ქვაა, ასევე ტუმბოს ფორმისა, ოთხკუთხა ჩაღრმავებით (ახლა ავსებულა წვიმის წყლით).

კარი ერთი იყო, სამხრეთი, 1 არშინისა და 13 გოჯის დაშორებით დასავლეთი კედლიდან. ახლა შესასვლელი ჩრდილოეთ კედელშია, სამხრეთი კედელი მთლიანად ქვებითაა ამოყორილი.

ახლა საკურთხევლის შემადგელების წინ, მთელ მის სიგრძეზე შესამჩნევია ერთი საფეხური.

ეკლესია ჩამოიქცა სამხრეთით. აქ კედელი მთლიანად დაფარულია ნამტვრევებითა და ნაყარით.

ვანში 1 საათი ყოფნის შემდეგ ჩვენ გავეშურეთ ოქრობაგეთში. გზა შედარებით კარგია. ყოველ შემთხვევაში, ცხენებიდან ჩამოსვლა არ დაგვჭირვებია თვით ოქრობაგეთამდე. გზად მოგვიხდა იმის ნახვა, თუ როგორ იყო [გაყვანილი] მდინარეზე გადებული პატარა ღარიოთ სარწყავი წყალი. ჩავედით მდინარესთან, რომელსაც ერთვის მასურათი, ჩვენ შევუხვიეთ მარჯვნივ, გადავედით ხიდზე, ვიმგზავრეთ რა მდინარის მარცხენა ნაპირით, სოფლის მახლობლად კვლავ გადავედით მარჯვენა ნაპირზე. ჩამოვედით ხუთ საათზე.

ოქრობაგეთში სომხისაგან, რომელიც ხშირად არის სალოცავად „ვანში“, გავიგე, რომ იქ არის მიწისქვეშა სავალიც (გვირაბი – რედ.). მაგრამ მეორე სომეხმა განაცხადა, რომ ამგვარი არაფერი არ არის. მესამემ განაცხადა, რომ გაუგონია, მაგრამ არ უნახავს. არც მე მინახავს.

ოქრობაგეთი.

ზედა ნაწილში, ბეგის, აქაური თავადის, მოხუცი ისაბეგ ათაბეგ-ოღლის, რომელმაც მიწები სომეხებს მიჰყიდა, ყოფილ რეზიდენციაში არის სომხური ეკლესია, რომელიც, ადგილობრივთა სიტყვით, სამოციოდე წლის წინ და თარიღის მიხედვითაც – სომხური წელთაღრიცხვის 1296 [წელს] (ქრისტეშობიდან 1847 წ.) გადაუკეთებიათ ქართული [ეკლესიიდან]. შესასვლელთან მარჯვნივ, წყობის მეორე რიგში, თვით კარის წირთხლთან, დევს ჯვრიანი ქვა (13 3/4 გოჯი × 2 არშინსა და 3 გოჯზე) შერეული საეკლესიო-ნუსხური ტიპის ქართული წარწერით. ჯვარი პირობითი ტოტებითაა, რომლებიც ძირიდან მიდიან გვერდითი ფრთებისაკენ (სურ. 1). წარწერა ასე იკითხება:

q st“l iT

a R“a aR

mf S“sa k“ptss

vS“neT w“a

o-f iR S“sY bg“r

eks-a G“n mm“

tsY m“ms o“ S“s am

T“sY Z“T: q“k

dr k“isY Zm“sa m

osa r m“id

akr s-a a mw“iR da mkTix-vi R“n da mw“T Siw“yn

*ქრისტე, სახელითა ღმრთისაითა აღვაშენეთ წმიდა ეკლესია ჩვენ მამალაის (sic) ძეთ ქორონიკონსა [რმ იდ] მეუფემან შეუნდოს კა ტსს (კაპიტონს?). უფალმან შეუნდოს ბაგრატს მამას. უფალმან შეუნდოს ამდერკისა მმასა მაკარსა. მწურალი და მკითხავი (sic) ღმერთმან და მოწამეთ შეიწყალენ.*

„ქრისტე, სახელითა ღმრთისაითა ავაშენეთ წმინდა ეკლესია ჩვენ, მამალაის ძეთა, ქორონიკონსა 154. მეუფემ (ზეციურმა) შეუნდოს (ცოდვები) კაპიტონს! უფალმა შეუნდოს (ცოდვები) ბაგრატს, მამას. უფალმა შეუნდოს ცოდვები

ამდერკის ძმას მაკარს. მწერალი და მკითხველი ღმერთო და მოწამენო შეიწყალეთ.”

ეკლესია, როგორც ჩანს, აშენებული იყო რომელიღაც წამებულის სახელზე 1466 წელს (1312+154), საეკვოა, ყოფილიყო 935 (781+154) წელს. ასოების ფორმას ჩვენ ვერ [გამოვიყენებთ] გვიანდელი დროის სასარგებლოდ: ამ ოლქის პალეოგრაფიას ჩვენ ჯერ არ ვიცნობთ. მაგრამ ეს არასწორი გამოყენება, ისევე როგორც დაუდევრობა, არ მოწმობს X საუკუნის სასარგებლოდ. მუსულმანური კულტურის გავლენის დროზე შეიძლება მიუთითებდეს ის, რომ წარწერა იწყება მარჯვნიდან და მარცხნივ გადადის. დამახასიათებელია 50-ის აღნიშვნა არა ერთი ასოთი – **წ**, არამედ ორით – **მი** = **ორმოცდაათი**.

ჩრდილო-დასავლეთ კუთხესთან, ჩრდილო კედელში, წყობის ქვედა რიგში ჩადგმულია მსხვილი ქვა ტოლგვერდა ჯვრით გამოხატული არშიის წრეში. ეს ჯვარი მოთავსებულია მარჯვენა კუთხესთან დადებული ქვის გასწვრივ. ქვა, მღვდელ მკრტინ აივაზიანის სიტყვებით, მოტანილია ძველი სასაფლაოდან. ეკლესიის ეზოდან გასვლისას, მარცხენა მხარეს შევამჩნიეთ ჯვრიანი ქვა. უბრალო ჯვარი წითელ ქვის ტუმბოზე.

ოპანეს ქვშიშ-ოღლიმ, ადგილობრივმა გავლენიანმა სომეხმა, გვაცნობა, რომ ჩვიდმეტოდე წლის წინ, ხანძრის დროს (სახლი დაიწვა) განადგურდა ხელნაწერი, ქართული, პერგამენტზე, რომელიც XII საუკუნისა იყო. რომელიღაც ქართველი თავადი გორგოლ-ბეგი (როგორც ჩანს, გრიგოლ გურიელი) იყო ჩამოსული და წაუკითხავს ჯერ კიდევ თურქეთის ბატონობის დროს. მის მიერ გაკეთებული ამონაწერების ასლები თავად მიქელაძის, დაცვის ყოფილი უფროსის, ამჟამად არტანუჯის უბნის უფროსის ხელშია<sup>1</sup>.

<sup>1</sup> მე ვერ შევხვდი თავად მიქელაძეს. ართვინში მაცნობეს, რომ საეკვოა, თავად მიქელაძეს ჰქონდეს ასეთი ამონაწერი.

1. ხელნაწერი იყო დაწერილი მღვდლის მიერ ტბეთის საძმოდან.

2. ხელნაწერში მოთავსებული იყო ცნობები – მინაწერები:

ა. ტბეთი იყო ეპისკოპოსის ადგილსამყოფელი.

ბ. ვანის მონასტერთან (თაუხეთთან) იყო საძმო და იყო მისი ქონების ჩამონათვალი.

გ. დასახელებული იყვნენ მღვდლები და მათი გარდაცვალების წლები.

აკობ ტერ-ზახარიანთან ვნახე სომხური სახარება პერგამენტზე.

იყო თარიღი, მაგრამ ოდესღაც ჩამოსულა გუბერნატორი, ამოუხვეია ფურცელი ჩანაწერით და წაუღია. ეს სახარება ოთხთავია ძველი ხელნაწერების ჩვეულებრივი აპარატით, მცირე ოქტავის ფორმატით ორ სვეტად, ნახატებით. გარეგნულად იგი ისეთივეა, როგორც არდაგანელი მღვდლის ეგზემპლარი, ოღონდ ილუსტრაცია (ასევე მდიდარი) ჩამორჩება მხატვრული შესრულებით. ნაწერი ნუსხურია, ახალი თავისებურებებით, ასე:

1. გვხვდება ნიშანი °, 2. **აა**’ს ნაცვლად დაწერილია **o**, 3.

‘ **აა**’ს განსხვავებისთვის = **აა**’ს მისგან **აა**=**o**. ხელნაწერი ტყავის ყდაშია, ორივე მხარეს ჯვრებით, პირის მხარეს – ძველი ჯვრით.

ოქრობაგელ სომხებს ლაპარაკში შევნიშნე რამდენიმე ქართული სიტყვა: **გიგი** (გოგო), **საპბაა**– **სარწყავი**, მოსარწყავი ჭურჭელი, **ჩიტი** (ჩიტი), **ღნაა ძერა**, **მირიქლი** და სხვა. საინტერესოა **აქეზე** ბოსტნის მნიშვნელობით. როგორც ჩანს, იგივე სიტყვა **აქაზე** ფორმით გვაქვს კიდევ სომხურ წარწერებში, მაგალითად 1215 წლის ვანის ერთ წარწერაში (ალიშან, **Շիրակ**). იგივე სიტყვა, როგორც მე პირადად მაცნობა ინჟინერმა ა. გ. ვაჩიანცმა, გამოიყენება სოფ. მეღრიში, ყარაბაში, მაგრამ **აქაა** ფორმით.

შემორჩენილია ზოგიერთი ადგილის ქართული სახელწოდებებიც: პატარა ჭალა (შავკეთს ქვემოთ, სახმარს ზემოთ). ზურნის გარდა, როგორც სულესში, არ არის არანაირი მუსიკა, მაგრამ მეზურნეები აქ ადგილობრივია. მაშინ, როდესაც სულესში, აგარაში და სხვა სოფლებში მუსიკოსებს სხვა ადგილებიდან პატიუბენ, არდაგანიდან და ყარსიდანაც კი. **Պարկապուկ ჭიბო** ადრე იყო, მაგრამ ზურნამ ეს ინსტრუმენტი მოკლა.

ოქრობაგეთის მოსახლეობა მხოლოდ სომხებია. სიმაგრე მალლობზეა, რომელიც ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ამოზიდულა. სიმაგრიდან ჩრდილოეთით ჩვენი ეკლესიაა, მალლობის ქვემო ნაწილზე. აქედან, მალლობიდან, მოჩანს:

- ა. ჩრდილოეთით მთაზე კოლოტათი (**Կոլոտաթ**).
- ბ. სამხრეთით გვალის ხევი (**գվալ**=ქართ. **გვალ**) კუნჩის მდინარით.
- გ. დასავლეთით მდინარეს კრავს მთა, რომელზეც არსებულ სახნავეებს **ჯორის-ფეხი** ეწოდება.

მდინარეს, რომელსაც კუნჩის ნაკადული ერთვის, ეწოდება **Շալქեճի ցուր**, ე.ი. შავშეთის წყალი, ან მდინარე.

სიმაგრე ახალია, თურქების ნაგები. გვიჩვენებენ ბეგის აბანოს და ყონაღს, სასტუმროს. ამჟამად ყველაფერი ეს ნანგრევებია. ეკლესიასთან ასვლისას მარჯვენა მხარეს აქვთ მეჩეთი, სადაც ახლა სალოცავად მეზობელი სოფლებიდან მოდიან. მარცხნივ შეიმჩნევა თურქული სასაფლაო ერთი თაღოვანი მავზოლეუმით.

**მახარობი-წორ** (ქართულად **მახარობა**, resp. **ხარება**, სომხურად **ձոր**, resp. **ձոր** ხევი) 1/2 საათის სავალზეა სოფლიდან აღმოსავლეთით. იქ ჯვარია მდელიოზე და ირგვლივ გამოქვაბულები. სასმელი წყალი სოფელში ახლა მოყვანილია მდინარის საპირისპირო მხრიდან ხის მილებით, რომლებიც მდინარეშია ჩადებული. ძველად თიხის მილები იყო, ახლა მათ პოულობენ, მაგრამ მაშინ წყალი გაყვანილი იყო სიმაგრისაკენ ჩრდილოეთი მთიდან.

ოქრობაგეთიდან გამგზავრების წინ მღვდელმა გვაცნობა, რომ ეკლესიაში არის საინტერესო ჯვარი, ძალზე ნატიფი ნაკეთობა, მასალა ძველია თუ რაღაც მსგავსი, არ იცის. წარწერა არ აქვს.

**22 ივლისი, ხუთშაბათი.** 11 1/4 საათზე ოქრობაგეთიდან ველის გავლით გავემგზავრეთ ტბეთში. 5 წუთის შემდეგ გავდიოდით ჩვენგან მარცხნივ რომელიღაც თურქულ დასახლებას. ზუსტად 12 საათზე გზად შეგვხვდა ძველი ქვის ხიდი, ერთი კამარით, გადებული მთის პატარა მდინარეზე, რომელიც იქვე, მოკლე ხანში, ერთვის შავშეთის მდინარეს. ჩვენ მდინარე ფონით გადავლახეთ, ხიდს ჩაუვარეთ მარჯვნიდან, თუმცა შესახედავად ხიდს შეეძლო აეტანა ცხენოსნის გავლა. ხიდი საკმაოდ ფართეა. დიდხანს არ დაგვჭირვებია მგზავრობა, რომ შევსულიყავით სოფელ ველში. მიმდინარეობს მკა. მუშაობენ ქალებიც. ცელავენ ძალზე მოხდენილად. მგზავრების შენიშვნისთანავე სახეზე მარდად იფარებენ თეთრ, გრძელ შალებს. გზად შეგვხვდით მუსიკოსს **ჭიბო**თი, რომლის გვერდით დაბალი, ლამაზი ჭაბუკი, ცეკვაავდა უმეტესწილად მუცლით, საკმაოდ მოქნილად სწევდა რა წინ მკერდისა და მუცლის ხაზებს და ათამაშებდა მხრებს. ცეკვისას მისი სახე გამოხატავდა დაღლასა და ვნებას. მუსიკოსებს, რომელნიც ჩვენს შესახვედრად ამოდიდნენ მთაში, ბრბოდ მოყვებოდნენ მცელავეები ცელებით. მე შევეცადე სწრაფად გადამელო, მაგრამ სწორედ ექსპოზიციის მომენტში მუსიკოსმა ამოიღო პირიდან ჭიბოს სალამური და მთელი ინსტრუმენტი დაუშვა.

მაღე გავიარეთ ველი სიმაგრით. ყველგან მუშაობენ ქალებთან ერთად, რომლებიც მამაკაცების გვერდით ცელავენ. დაშვება ველიდან ჩრდილოეთისაკენ, ხედით ტბეთზე და 1 1/2 საათში ჩვენ უკვე ძველ ეკლესიასთან ვართ, რომელიც, ერთი შეხედვით, არ იმსახურებს ნანგრევების სახელს (სურ. 2). დაცარიელებული, მიძინებული, კარგად შემკული ეკლესია შემადლებაზე. ტაძარი მიმართულია აღმოსავლეთისაკენ, ჩრდილოეთისაკენ გადახრით.

მოპირკეთება ძალზე ნატიფი წყობისაა საშუალო სიდიდის ქვებით. ქვები ნაცრისფერია, თითქოს გრიფელისაგან (ადვილად აიტკიხება). სახურავი ქვის ფილებითაა: საკმაოდ განიერი, მოგრძო ოთხკუთხედები ქვისავე ნახევარსვეტებით შეერთებებზე გასწვრივ, ზემოდან ქვემოთ. ეკლესია ჯვრისებურია. გარე კუთხეები, დასავლეთი ფრთის გვერდით მხარეებთან, შემდგომ აშენდა, მაგრამ მოასწრო ჩამოშლა. ფრთები, როგორც დასავლეთი და აღმოსავლეთი ნაწილები, გამოდიან ოთხკუთხედების სამი მხრით გარეთ. კედლები გარედან მორთული იყო ფსევდოთაღებით ნახევარსვეტებიდან, წყვილებით, ან უფრო მრავალრიცხოვანი ჯგუფებით, მაგრამ არა ყველა. ასეთი მორთულობა არ არის დასავლეთი ფრთის კედლებზე, გვერდითი ფრთების დასავლეთ კედლებზე. სამხრეთი ფრთის აღმოსავლეთ კედელზე არის ერთი ყალბი თაღი წყვილი სვეტებისგან (თუმცა თვით სამხრეთი სვეტები სამმაგია) მიშენებულ ნახევარზე; ზუსტად ასევე ყალბი თაღებია აღმოსავლეთი ფრთის გვერდით კედლებზე, თითო თითოზე, კერძოდ ნახევრებზე, რომლებიც ეკვრიან აღმოსავლეთი ფრთის პირის მხარეს (ამასთან, გარედან შესამჩნევია, რომ ეს ნაწილები მოგვიანებითაა მიშენებული). ასევე ყალბი თაღი არის ჩრდილოეთი ფრთის მიშენებული ნაწილის აღმოსავლეთი მხრიდან. აღმოსავლეთი ფრთის აღმოსავლეთ კედელზე, ჩრდილოეთი ფრთის ჩრდილოეთ კედელზე და სამხრეთი ფრთის სამხრეთ მხარეზე სისტემური ჯგუფებია, კომბინირებული, ნახევრადმრგვალი და ნახევრადოთხკუთხა ლილვაკებისაგან. კარნიზი ორნამენტურია, ხანდახან მის გარეშე: ასეა ჩრდილოეთი ფრთის აღმოსავლეთ მხარეს, ჩრდილოეთი ფრთის ჩრდილოეთ მხარეს (თუმცა დასავლეთ დაქანებაზე კარნიზი მთლიანად ჩამოვარდა, იმავე ფრთის ზედა დასავლეთი კედლის მთელ ნახევართან ერთად), სამხრეთი ფრთის დასავლეთ მხარეს, სამხრეთი ფრთის სამხრეთ და აღმოსავლეთ მხარეებზე არაა ორნამენტური კარნიზები.

კარნიზის ორნამენტები სხვადასხვაა. აღმოსავლეთი ფრთის აღმოსავლეთ მხარეს სამშემადგენლიანი ორნამენტია:

ა. ზემოდან ქვემოთ მიმართული ნახევარწრეების ხაზი; ბ. შუაში – ნახევარსვეტი, მის ხაზს შემოხვეული ჩანაჭრევით; გ. ქვემოთ, ერთი-მეორის უკან შემავალი პირობითი ტოტები იმ ტიპისა, როგორც ვხვდებით ზოგიერთი ჯვრიანი ქვის ძირთან. აღმოსავლეთი ფრთის ჩრდილო მხარეს კარნიზი წარმოადგენს ჯაჭვს ერთი ნახატიდან, კერძოდ, ფოთოლს, დაბოლოებით ზემოთ, მოჩარჩოებული სამი გამობურცული ხაზით, დაახლოებით **5** ფორმით. ეს ორნამენტი მეორდება: ა. დასავლეთი ფრთის ჩრდილო მხარეს. ბ. დასავლეთი ფრთის სამხრეთ მხარეს; დასავლეთი ფრთის დასავლეთ კედელზე მხოლოდ უბრალო ორნამენტია – ნახევარწრეების ჯაჭვი, როგორც ზედა რიგი შედგენილი კარნიზისა აღმოსავლეთი ფრთის აღმოსავლეთ მხარეს. აღმოსავლეთი ფრთის სამხრეთ მხარეს კარნიზი – პირობითი ყურძნის მტკვნების ჯაჭვი, ბოლოებით ქვევით.

ყოველი ფრთა ორფერდიანი გადახურვით. გადახურვის შეერთებასთან კუთხეებით გამოდის მრგვალი ყელის ძირი. ყელი, კონუსის მსგავსი სახურავით, დაბლაა ჩამჯდარი. ყელის კარნიზს აქვს განსაკუთრებული მოხაზულობის ორნამენტი (პირობითი მცენარეულობა). სამხრეთი ფრთის ორი დაფერდების შეერთებაზე გამოდის ვერძის ყელი თავით (სურ.3). ყელი წარმოადგენს კეხის ან ქვის საფარის გაგრძელებას, რომელიც იცავს ორი დაფერდების შეერთებას. დასავლეთი ფრთის ორი დაფერდების შეერთებას აგვირგვინებს ეკლესიის მოდელი (ეკლესია ფასადებით არის, მათში კი თითო კარია ჩრდილოეთით, დასავლეთით და სამხრეთით). მოდელი, როგორც ჩანს, გუმბათით იყო, მაგრამ ის ჩამოტეხილია<sup>1</sup>. ორივე ეს საგანი ქვისაა, დადგმულია ზემოდან.

წარწერა გარედან მე შევნიშნე მხოლოდ ჩრდილოეთი ფრთის აღმოსავლეთ კედელზე (სურ. 4). ყალბ თაღში მცირე ქვედა ფანჯრის ნაღისებური ზესადგამის ზემოთ, არის ჯვა-

<sup>1</sup> თუმცა ძველ მცხოვრებლებს არ ახსოვთ მოდელზე გუმბათი, რომელსაც ზემოდან ჭერში მრგვალი ნახვრეტი აქვს.

რი, ძირთან პირობითი ტოტებით. თვით ჯვარი წყვილი გამო-  
ბურცული ხაზების გადაჭდობილი წრეების ჯაჭვისგანაა. ის  
მოთავსებულია ოთხკუთხა ჩარჩოში. ყველაფერი ეს ერთი  
მთლიანი ქვისგანაა, რომელიც შემდგომ ჩადგმულია წყობა-  
ში, თუ ვიმსჯელებთ მისი მოსაჩარჩოებელი ქვების მიხედ-  
ვით. ზედა ფრთის მხარეს ერთ დროს სამ-სამი სტრიქონი  
იყო, ყოველი 2-3 ასოთი (საეკლესიო მთავრულით), სამწუხა-  
როდ, სურათზე შეუმჩნეველი. პირველი ხაზი ორივე მხრიდან  
ჩამოტეხილია. მარჯვნიდან მეორე ხაზში სრულად შემორჩა  
ერთი ასო. იმავე მხრიდან მესამე სტრიქონში შეიძლება აკ-  
ლია მეოთხე, ბოლო ასო. ვკითხულობ:

1-6      7 8 9  
 10 11    12-13  
 14 15    16

დამატების გარეშე იკითხება და გაიგება მხოლოდ ერ-  
თი, მცირე რამის მოქმელი ფრაზა „ქრისტე ადიდე“! თუ  
სვეტების მიხედვით უნდა წავიკითხოთ, ე.ი. ჯერ მარცხენა,  
შემდეგ მარჯვენა სვეტი, მაშინ დაბრკოლების გარეშე შეიძ-  
ლება პირველი სვეტის წაკითხვა: „ქრისტე ადიდე იოვანე“  
და ასეთ შემთხვევაში მეორე სვეტში არის ნარჩენები გაგ-  
რძელების აღდგენისათვის „ო[რ]თა[ვე] ცხორებ[ათა]“, მაგრამ  
მაშინ მეორე სვეტში –*იეს* გვაყენებს რთულ მდგომარეობაში.  
სტრიქონებად წაკითხვისას ასევე ვაწყდებით სირთულეს: და-  
საწყისი – *ქრისტე იესო* კიდევ ასატანია *იესო ქრისტე* –ს  
ნაცვლად. სრულიად გასაგებია ისევე *ადიდე*, მაგრამ შეიძლე-  
ბა კი გარისკო და ძალდატანების გარეშე შეავსო მეორე  
სტრიქონი ასე: *თა[მარ]*; ამ შემთხვევაშიც მესამე, უკანასკნე-  
ლი სტრიქონი აღსადგენი გახდებოდა უცნაური ფორმით:  
*[ორ]ივე ცხორებ[ით]*?

შიგნით ეკლესია ისევე ჯვრისებურია, როგორც გარე-  
დან. მხოლოდ აღმოსავლეთი ფრთა, საკურთხევლის სათავე-  
სო, წარმოადგენს ნახევარწრეს ნახევარგუმბათოვანი კამა-

რით. უბრალოდ, კამაროვანია ზედა ნაწილებში ყველა და-  
ნარჩენი ფრთა. საკურთხევლის ნახევარწრის სიგანე 8 არში-  
ნი და 10 გოჯია, სიღრმე (შემაღლების პირის მხრიდან თუ  
ჩავთვლით) – 3 საუენი და 10 გოჯი.

1. ცენტრში ქვებით აგებული ოთხი სვეტია. ქვემოთ, ქვე-  
ვიდან ზევით 2 არშინი და 11 1/2 გოჯი მრგვალი, უფრო ზე-  
ვით – რვაკუთხედი: ისინი ზემოთ იჭკერენ დაახლოებით 1 სა-  
უენი სიმაღლის სისტემურ სვეტებს. ამ უკანასკნელებზეა  
დაყრდნობილი 4 კამარა შუალედური აფრებით, რომლებზეც  
დგას ყელი გუმბათით. ყელში 8 ჩვეულებრივი ტიპის გრძე-  
ლი ფანჯარაა. გუმბათის ჭერში თეთრი ქვებით, ჩაწყობილი  
ლენტის ფორმით შედგენილია ჯვარი კამარების მთელ სიგ-  
რძეზე. აფრების კუთხეებში, თაღების შეერთებებზე ჩადგმუ-  
ლი იყო ორნამენტური ქვები ფანჯრის თამასის სახით, რო-  
მელთაგან შემორჩა მხოლოდ ერთი ჩრდილო-აღმოსავლეთ  
კუთხეში: ორნამენტი 5 ტოტი ფოთლებით, სხივებივით რომ  
გამოდიან ერთი კვანძიდან (სამი ტოტი მთელია). 2 აღმოსავ-  
ლეთი სვეტი, ქვედა ნაწილებში მრგვალი, ორნამენტირებუ-  
ლი. ნახატები ყოველ სვეტზე თავისებურია. დასავლეთი სვე-  
ტიდან ყურადღებას იქცევს სამხრეთი: მის ქვედა მრგვალ  
ნაწილში, ადამიანის სიმაღლეზე გაკეთებულია მომრგვალე-  
ბული (წრის 1/4) ჩაღრმავება (ნაწილობრივ შეეხნენ თვით  
სვეტს, ნაწილობრივ კი მიშენებულია ქვები) კვარცხლბეკით,  
რომელიც ჩაღრმავების გარეთაც გადის, მოძღვრის დასად-  
გომად.

2. საკურთხევლის ჩაღრმავებაში ერთი დიდი, ჩვეულებ-  
რივი ტიპის საკმაოდ ფართე ფანჯარაა. მის ქვემოთ, დაახ-  
ლოებით 2 1/2 არშინზე მეორე ფანჯარა იყო, რამდენადმე  
უფრო პატარა, თუმცა შემდგომ ამოუშენებიათ (სურ. 5). ახ-  
ლა ამოყვანილი წყობა ნაწილობრივ ჩამოშლილია და ჩანს  
განის პირის მხარე ფრესკებით მოხატული. მაჯვნივ და მარ-  
ცხნივ პატარა-პატარა კარებია: რამდენადმე წელში მოხრა  
გვიწევს, რომ განის ჩაღრმავებაში არ მოვხვდეთ ნახევრად-  
მრგვალ ქვას, რომელიც ფარავს კარის კამაროვან ნაწილს.

ეს კარები მოთავსებულია ჩაღრმავებებში, რომელთაც ქმნის საკურთხევლის ნახევარწრის კიდე ნახევარგუმბათთან და ყალბ სვეტებთან, რომლებიც გაშვებულია ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლებზე აღმოსავლეთი ფრთის დასაწყისთან და ერთიანდებიან ასეთივე კამარით. კარებს მიყვავართ ქვედა სამსახურებრივ ეკვდრებში. ამოშენებული ფანჯრის მარჯვენა და მარცხენა მხარეს, მისგან და შესაბამისი გვერდითი კარისაგან თანაბარ მანძილზე, თითო ოთხკუთხა ნიშაა (ჩრდილოეთი 10 1/2 × 11 გოჯზე, სიღრმე – 10 1/2 გოჯი, სამხრეთი 9 × 9 3/4 გოჯზე, სიღრმე – 9 1/4 გოჯი).

3. ჩრდილოეთი ფრთის ჩაღრმავება შესახედავად ორ ნაწილადაა გაყოფილი. ყოფს კედელი, რომელსაც კამარის დაწყების ხაზზე აქვს სამი განივი მომრგვალებული კამარებით ორ დაბალ სვეტზე (კაპიტელები ორნამენტირებულია, – ფოთოლი არშიაშია, როგორც აღმოსავლეთი ფრთის ჩრდილოეთი მხარის კარნიზზე). ამ კედელში (კედლის სისქე იხ. ქვემოთ) გადის კარი, გაკეთებული უფრო აღმოსავლეთით, რომელსაც მიყვავართ ჩრდილოეთი ფრთის მეორე, გარე ნახევარში. აქ განსაკუთრებული ეკვდერია. კარს ტაძრიდან შეყვავართ ამ ეკლესიის ზედ საკურთხევლის ნახევარწრესთან. ეკვდერი შემდგომ არის მიშენებული. ძველად ეკლესია მთავრდებოდა იმ კედლით, ამჟამად შუალედურით, რომელშიც დატანებულია კარი უფრო ახლოს აღმოსავლეთისაკენ. რომ ეს კედელი თავდაპირველად იყო გარე, ადვილად შესამჩნევია ეკვდერში შესვლის შემდეგ. შენახულია: ა. ჩრდილოეთი კარის განი ამოშენებული წყობით; ბ. ნაღისებური მორთულობის ჩაღრმავება კარის თავზე; გ. იმავე კარის თავზე დიდი ფანჯრის განი, ასევე ამოშენებული წყობით; დ. ორნამენტირებული ნალი (ორნამენტი – წნული) ფანჯრის ზემოთ; ე. ყალბი ნახევარსვეტები, წყვილები, კაპიტელებით, კამარებით შეერთებული (ამ ნახევარსვეტებიან შუა კამარის ფარგლებშია ყველაფერი ა და ბ პუნქტებში აღწერილი).

ამ ეკვდრის დასავლეთი კედლის ზედა ნახევარი, რომლის აღმოსავლეთით არის საკურთხევლის ნახევარწრე, ჩამონგრეულია. ზედა ნაწილი წარმოადგენს მომრგვალებულ თაღს. ამ თაღის ზემოთ განთავსებულია მეორე სართული, ხედით ტაძარში, ორსვეტიანი განების გავლით. ეკვდრის ჩრდილო კედელში დიდი ფანჯარაა, შემდგომ დაპატარავებული. საკურთხევლის ნახევარწრეში, უფრო ქვემოთ, მეორე, უფრო მცირე ფანჯარაა. ეს სწორედ ის ფანჯარაა, რომლის ზემოთ გარედან შემონახულია ჯვრიანი ქვა დეფექტიანი წარწერით, თითქოს იოანეს ან თამარის საპატივცემულოდ, რის გამოც ერთ მომენტში კინაღამ ვუწოდებ მთელ ამ მინაშენს თამარის ეკვდერი (იხ. ზემოთ).

ეკვდერში შეიმჩნევა სარდაფის სართულის ნიშანი. მოხატულობის კვალი ეკვდრის კედელზე არ არის. ტაძრის მოხატულობა შეიძლება იყოს ჩრდილოეთ ეკვდრის მიშენების შემდგომი დროის. ნებისმიერ შემთხვევაში, ჩრდილოეთი ფრთის მოხატულობა ფარავს დაგმანულ კარს და ამოშენებულ ფანჯარას.

4. ამ მინაშენმა, რომელმაც გარედან ორჯერ გაზარდა ჩრდილოეთი ფრთა, როგორც ჩანს, გამოიწვია სამხრეთი ფრთის გადაკეთებაც. ჩაღრმავების სიმეტრიისათვის თანაზომიერია სამხრეთი ფრთაც. სამხრეთი ფრთის ადრინდელი ზღვარი ახლა გაირჩევა ოთხკუთხედი სვეტების მიხედვით, რომლებიც ორ ნაწილად ყოფენ ფრთას. ეს სვეტები გაშვებულია სამხრეთი ფრთის დასავლეთ და აღმოსავლეთ კედლებზე და შეერთებული არიან მრგვალი კამარით. რომ სამხრეთი ფრთა მოგვიანებით იქნა ჩაღრმავებული, იოლია დაგრწმუნდეთ, თუ შევხედავთ გარედან მის აღმოსავლეთ კედელს. ახალი მინაშენი წარმოადგენს აშკარა წანაკერს: ადრინდელ ნაწილთან შეერთებისას ზემოდან ქვემოთ მთელს სიგრძეზე შენახულია ძველი ქვის წყობის საბოლოო პირდაპირი ხაზი. სამხრეთ კედელში წყვილი ერთნაირი ფანჯარაა: არიან რა მოგრძონი, მაგრამ ფართოვდებიან და აქვთ კამარა შიგნით, გარეთ ისინი გრძელ ოთხკუთხედად გამოდიან. იმა-

ვე კედელში, მაღლა, ფანჯრებს ზემოთ, მარჯვნივ და მარცხნივ თითო მრგვალი ფანჯარაა. ცოტა უფრო მომცრო ფანჯარა არის რამდენადმე უფრო ქვემოთ სამხრეთი ფრთის აღმოსავლეთ კედელშიც, მის შიგა ნახევარში. ის ჩვეულებრივი ტიპისაა, მომრგვალო კამარით ორივე მხარეს. პირდაპირ, დასავლეთ კედელში, ცოტა ზემოთ, არის მცირე ოთხკუთხა ნიშა. იმავე კედელში, უფრო ქვემოთ, მთლიანი ქვაა მრგვალი ნიშით (დიამეტრი 8 1/4 გოჯი, სიღრმე – 6 1/2 – 6 3/4 გოჯი). ის შიგნით ფართოვდება.

**23 ივლისი, პარასკევი. 5.** დასავლეთი ფრთა მნიშვნელოვნად უფრო გრძელია (5 საუენი). გვერდითი კედლები ყოველი მხრიდან ორ ნაწილად გაყოფილია ყალბი სვეტებით, რომლებიც შეერთებული არიან კამარაზე გაშვებული სარტყლით. ჩრდილოეთ სვეტში მოთავსებულია მთლიანი ნაცრისფერი ქვა, მისგან ჰორელიეფურად გამოკვეთილი მშენებლის გამოსახულებით, რომელსაც ხელში ეკლესიის მოდელი უჭირავს. ეკლესიისაგან შენარჩუნებულია ყელის ნაწილი ფანჯრებით. მშენებელი სახით საკურთხევისკენაა მიმართული. სახე დამახინჯებულია, მაგრამ ჩანს, რომ ის იყო ფართე წვერით; მარჯვენა ხელის მტევანი მოტეხილია (მარცხენა არ ჩანდა); ნაჩვენები მარჯვენა ტერფის წინა ნაწილი მოტეხილია. ტანსაცმელი ნაწილობრივ შეინიშნება: თავზე დაწნული შემოსაკრავი, შეიძლება იყო ყაბალახი შავშურად, ზემოდან ჩაცმულია, უფრო სწორედ, ჩამოცმულია გრძელი, სახელოებიანი „ჩოხა“; მარჯვენა სახელო პირდაპირ მხრიდანაა დაკიდებული, საყელო ფართე. წინ არ გამოდის; უკნიდან ყელსმოცილებული თითქოს მღვდლის სამოსლის კალთა ხუთ ნაკეცად; ამ მოსახსამის კიდები არ იკვრება. მარჯვენა მხრიდან კალთის მხარე რამდენადმე გადაკეცილია, ნაჩვენებია ხაზებით დაფარული სარჩული, მოჩანს მარცხენა მხარის სარჩულიც. ზემოდან, როგორც ჩანს, საყელოდან, მოსახსამის მარჯვენა მხარის კიდებზე, იდაყვიდან მოდის ბაფთა, უკან გადაგდებული ან ასე მიკერებული. ბოლოსკენ ბაფთა ფართოვდება და ყველაზე ფართე ნაწილში

მორთულია ორი კონცენტრიკული წრით. მოსახსამი იყო მორთული სხვადასხვა ადგილებზე ამოქსოვილი მხეცებით თუ ურჩხულებით; მოჩანს კვალი სახელოზე; თვით მოსახსამზე, სახელოს იქეთ, კატისყურებიანი ფიზიონომია, მაგრამ უსაზღვრო ფართე ყელით, შეიძლება ბუ. ამ ზედა ტანსაცმლის ქვემოდან, ყელიდან ძირაძვე მოჩანს მოხატული ბეშმეთი თუ ახალუხი; ის 1/2 გოჯით გრძელია ზედა ტანსაცმელზე, ამ ბეშმეთიდან ქვეშ, 3/16 გოჯზე გამოშვებულია კიდევ რაღაც ჩასაცმლის ნაწილი. ბეშმეთი ამოქარგულია, ნახატი პირობით მცენარეულია, მოთავსებული ირიბი კუთხეების მქონე მოგრძო ოთხკუთხედებში. ქამარი შემორტყმულია ბეშმეთზე იდაყვიდან ქვემოთ ცერა თითის მანძილზე; ქამარი ფართეა (7/8 გოჯი), შეკრულია გვერდიდან (მარჯვნიდან) IO ფორმის ბალთით, მაგრამ, გარდა ამისა, ბეშმეთის კიდების თვით შეერთებაზე ქამარს თან ახლავს რაღაც კვანძი, ან კვანძები და აქ, ქამრის ქვემოდან, ენასავით ჩამოკიდებულია 3 გოჯის სიგრძის ბაფთა. მოჩანს შარვლის ბოლოები, რომლებიც ჩადიან კოჭებამდე. ჩექმები ქუსლიანია. უკნიდან, შარვლისა და ქუსლის გასწვრივ მიდის რაღაც გამობურცული ხაზი. მშენებლის ზურგს უკან და სახის წინ, აგრეთვე ეკლესიის მოდელს ქვემოთ იყო ქართული წარწერა ჰორელიეფურად, ნატიფი წერილი ასოებით. ეს წარწერა გულმოდგინედ არის ჩამოტეხილი ჩაქუჩით. ზურგს უკან, დასაწყისში, შეიძლება გაირჩეს მხოლოდ რამდენიმე ასო (*დიღო*) და რამდენიმე ასო ბოლოდან მესამე სტრიქონში (*სმენა*).

გვერდითი კედლების ამ განყოფილებებში, რომლებიც უახლოესია ცენტრთან, დაბალი (კედლის 2/3-მდე) კამაროვანი ჩაღრმავებებია, რომლებშიც თითო წყვილი ყალბი თაღია (თუმცა სამხრეთ კედელში კამაროვანი ჩაღრმავების ნახევარი ჩამოინგრა, ჩრდილოეთში კი – დასავლეთი თაღი დაგმანული იყო). ჩრდილო განყოფილების აღმოსავლეთ კედელზე ასევე პატარა ყალბი თაღია საყრდენების, ე.ი. სვეტების გარეშე. დასავლეთი ფრთის გვერდითი კედლების დასავლეთ

განყოფილებებში მხოლოდ თითო ყალბი თაღია, კედლიდან გამოსულ სვეტებზე დაფუძნებული.

დასავლეთ კედელში კარი ამჟამად ახალია, ძველი განიხათლად არ შეინიშნება. როგორც ჩანს, იყო ორი კარი დასავლეთ კედელში, არა შუაში, არამედ კუთხეებთან ახლოს. შუაში დიდი ფანჯარაა, როგორც საკურთხეველის ნახევარწრეში. მის ზემოთ, მაღლა, ზედ თაღის ქვემოთ, მეორე ასეთივე ფანჯარაა. ზედა ფანჯრის რამდენადმე ქვემოთ, მისგან მარჯვნივ და მარცხნივ თითო მრგვალი ფანჯარაა, ჩვეულებრივი, შიგნით გაფართოებით. დასავლეთი კედლის სიბრტყე დაყოფილია 3 გარდიგარდმო ნაწილად.

ა. ქვედა – დაკავებულია თაღოვანი მინაშენი აივნით. კიბე აივნისაკენ, ან პატრონიკესკენ ახლა არ შეინიშნება. აივანი დასავლეთი ფრთის მთელ სიგანეზეა; მისი მოედანი გამოდის დასავლეთი კედლიდან 1 საუენსა და 12 გოჯზე და შემდეგ მთავრდება ორნამენტირებული კარნიხით. ორნამენტი, ხუთი პირობითი მტკევის ჯაჭვი, როგორც ზოგიერთ ადგილას ეკლესიის კარნიხზე; შემორჩენილია კარნიხის 1/3 (დაწყებული სამხრეთი კედლიდან). აივანი, რა თქმა უნდა, ქვისაა. იგი ეყრდნობა 2 თაღს, რომლებიც მოდიან გვერდით კედლებზე მიდგმული ბოძებიდან. თაღები უერთებიან ერთმანეთს ორ შუა სვეტზე, რომელთაგან ერთი, ოთხკუთხედი, ასევე მიდგმულია დასავლეთ კედელთან, მეორე კი, მრგვალი ორ საფეხურზე. ამ თაღოვანი მინაშენის გვერდითი სვეტები, ჩრდილოეთი და სამხრეთი, ასევე შეერთებული არიან სარტყლის კამარებით, რომლებიც გადიან კედელზე.

ბ. შუა ნაწილი, იქ, სადაც შუა ფანჯარაა, მორთულია ფსევდო ან გამოსული კედლის მიმყოფი კამარებით, რომლებიც ასეთივე სვეტებს ეყრდნობიან. ცენტრალური კამარა სრულია, გვერდითები კი სანახევრონი და რამდენადმე უფრო დაბლები.

გ. ზედა სიბრტყე სამი ფანჯრით (იხ. ზემოთ).

ყველა კედელი ფრესკებით იყო დაფარული, მაგრამ ძველი მცხოვრებლები ყვებიან, რომ ადრე, როდესაც ეკლესიას

მეჩეთად იყენებდნენ, მოხატულობა ცეცხლს მისცეს; ცდუნებას რომ არ აყოლოდნენ, დაყარეს თივა და დაწვეს.

მაგრამ ახლაც აქა-იქ ჩანს გამოსახულებებისა და წარწერების ნაწილები: კარგადაა შემონახული საღებავებით შესრულებული ნახატები საკურთხეველის ფანჯრისა და დასავლეთ კედელში სამხრეთი მრგვალი ფანჯრის კედლებზე, ასევე, ჩრდილო ეკვდერის მეორე სართულიდან ტაძარზე ხედის მქონე თაღის კამარებზე (გვერდებზე, რომლებიც ქვემოთ იყვნენ მიმართული). აქ ლამაზი მცენარეული ორნამენტებია, ასევე მოხატული ჯვრები.

საკურთხეველის ნახევარწრის ზედა ნახევარში, ფანჯრის ზემოთ, მაცხოვრის უზარმაზარი გამოსახულებაა, ქერა თმებით (სურ. 5). ის ტახტზე ზის. სახე პირდაპირ მლოცველებისკენაა მიმართული. მარჯვენა ხელი აწეულია გვერდისაკენ მხარის სიმაღლეზე და ღოცავს (ცერა თითი ებჯინება არათითის ბოლო სახსრის დასაწყისს). მარცხენა ხელით უჭირავს გადაშლილი სახარება, რომელიც დაღებულნი აქვს მარცხენა მუხლზე. ორ გადაშლილ გვერდზე იკითხება (იოანე 8,12):

მე ვიქნები  
ნათურა  
და სხვა  
წიგნის  
საღებავით  
დაწერილი  
საღებავით  
დაწერილი  
საღებავით

მაცხოვრის ფეხები დევს ორ სქელ, პატარა ამოქარგულ ხალიჩაზე. ზედა ხალიჩა უფრო პატარაა. თავის უკან მოჩანს თეთრი წრე ჯვრის სამი ბოლოთი. მარჯვნივ და მარცხნივ ტახტზე, ქრისტეს დასაჯდომი ადგილის უკან, სანახევროდ გამოშვებულია მუთაქები მოჭიმულ ბოლოებთან ყვითელი მინაკერებით. მარჯვენა მხარის ზემოთ, ყურის სიმაღლეზე, შემორჩენილია ბერძნული წარწერა **IC**. ქრისტეს ორივე მხრიდან გარს ახვევიან ქერუბიმები, სერაფიმები, ანგელოზები



ბი. ქრისტეს მარცხნივ ანგელოზები განადგურებულია, შემორჩენილია მხოლოდ ქერუბიმისა და სერაფიმის ნაწილები ზედ ტახტთან. ტახტის მარჯვენა მხრიდან ასევე ქერუბიმი და სერაფიმი, ერთი მეორეზე მაღლა. ორივეს ოთხი ფრთა ისე აქვს დაკეცილი, რომ მათი სხეულები არ ჩანს. ზედა ფიგურისაგან მოჩანს მხოლოდ სახე და გაშიშვლებული ფეხები. ქვედა ფიგურისაგან ნახევრებია თმიანი თავი შარავანდელით და გაშიშვლებული ფეხები.

მეორე რიგს ანგელოზები ქმნიან, ერთი მეორის ქვემოთ. რაც უფრო ქვემოთ არიან, მით უფრო მეტად ჩანან, ქვედა მთელი ტანით. ზემოდან მეორეს მარცხენა ხელში უჭირავს დახვეული გრაგნილი, მარჯვენა ხელს გვანგენებს ხელისგულთ. მესამე მარჯვენა ხელით იმავე ჟესტს აკეთებს, მარცხენაში უჭირავს გრაგნილი, ნაწილობრივ გახსნილი. გახსნილ ნაწილზე ახლა შეიძლება მხოლოდ ოთხი უკანასკნელი სტრიქონის გარკვევა:

**წრს**            წმიდა,  
**წრს**            წმიდა,  
**წრს**            წმიდა,

**წა [წ-ა]** ღმერთი [უფალი].

მეოთხეს მარჯვენა ხელში დახვეული გრაგნილი აქვს, მარცხენაში კი თეთრი სფერო მასზე დახატული წითელი ჯვრით, ფუძეზე თავისთვის გარდიგარდმო ფიცრით.

საკურთხევლის ნახევარწრის შუა ნაწილი, ფანჯრის ღონეზე, დაკავშირებულია მთელი ტანით გამოსახულ ევანგელისტებთან ხუთ-ხუთი ფანჯრის ყოველი მხრიდან. ერთი ხუთთაგანი, საკურთხევლის ნახევარწრის დასაწყისთან სამხრეთის მხრიდან თითქმის სრულად განადგურებულია: მოჩანს მხოლოდ ტერფების ნაწილები; დაზიანდა მისი მარჯვენა მეზობელიც. სხვები მთლიანობაში საუცხოოდ შემორჩნენ. იყო თუ არა დანარჩენი ერთი თუ ორი, იუდა რომ გამოვრიცხოთ, დაწერილი, მაგალითად, გვერდებზე ფანჯრის განში, ახლა ვერ გარკვევ.

მოციქულები, ყველა სანდალში, ასე არიან განლაგებული, რამდენადაც შეიძლება გავერკვეთ მათ თავებს ზემოთ არსებული წარწერებით, დაწვებული ჩრდილოეთიდან:

1. საკურთხევლის ნახევარწრის დასაწყისიდან წმ. ანდრია **წა სსრსს** გრაგნილით მარცხენა ხელში; მარჯვენა მიდებული აქვს მეკრძე ლოცვის ჟესტით (ცერა თითი დადებულია ორთან, საჩვევებელ და არათითთან).

2. წმინდა მარკოზი **წა შსრსს** გაშლილი სახარებით ხელეში. სხვების სახელები არ იკითხება, უმრავლესობა სრულიად განადგურებულია.

3. საკურთხევლის ნახევარწრის ქვედა ნაწილი, ზედა და დაგმანული ფანჯრების შუა ღონეზე, დაკავებულია ეკლესიის მამების, წმინდანების ფიგურებით. აქ ასევე შემორჩენილია ხუთ-ხუთი ფიგურა ყველა მხარეს, მაგრამ ეს გამოსახულებები უფრო მეტადაა დაზიანებული. ჩრდილოეთ მხარეს ყველა პირი უფესოა, სამხრეთით განადგურებულია ქვედა ნაწილები წელიდან დაწვებული. ყველას ხელი, რომლითაც ლოცავენ, ასეთ მდგომარეობაში აქვ: ცერა თითი უკავშირდება ორს, არათითსა და ნეკს, გარდა ათანასესი, რომლის ცერა თითი ერთ, არათითზე არის მიდებული. ათანასესთან შემორჩა წარწერა მარცხნივ **წა** და მარჯვნივ **სსრსს**. ის მეორეა საკურთხევლის ნახევარწრის დასაწყისიდან სამხრეთ მხარეზე.

ზემოთ, სისტემური სვეტების მხარეებზე, რომლებიც ევრდნობიან რვაკუთხიან ბოძებს და იჭერენ გუმბათის კამარებს, ასევე იყო გამოსახულებები – ბიუსტები, როგორც ჩანს, ოთხი ევანგელისტისა. სამხრეთ-დასავლეთი ბოძის აღნიშნულ ადგილას შემორჩენილია გამოსახულება ადმოსავლეთი მხრიდან, ჩრდილო-დასავლეთ ბოძზე (სამხრეთი მხრიდან) – წარწერის 2 სტრიქონის ნარჩენები:

**სსრს**  
**სსს**

პატრონიკეს ქვემოთ –

I. კამარაზე კარში შესასვლელთან, ამჟამად:  
 ა. მარჯვნივ ორი სახლი ქვის ღობის იქით; სახლები ორსართულიანია, ორფერდა სახურავებით, ფანჯრებიანი. ღობის წინ დადებულია მოწამის თავდაყირა შიშველი სხეული შარავანდით (თავის ქალა და საჯდომი დაზიანებულია), წმინდანის ფეხები შეკრულია. ფეხებში და თავთან თითო ჯალათი დგას: მათ თავს ზემოთ აწეული აქვთ წნელების შეკვრა და ემზადებიან წმინდანის საცემად. სახლებს შორის თავისუფალ ადგილას, ღობის ზემოთ, იკითხება სამი სტრიქონი:

**ჰანუ შ-ლუ**  
**ჟულჟჟჟ: ნუღჟჟ**  
**შ-ა ს:**

აქ გვემეს  
 შოლტითა წმიდასა  
 გიორ-

გის  
 ბ. მარცხნივ ასევე იყო სცენა, მაგრამ იგი განადგურებულია. შეიმჩნევა მხოლოდ მონახაზები წარწერის ცალკეული ასოებისა.

სცენების ჩარჩოებს შორის სარტყელია მცენარეული ორნამენტით.

II. მეზობელ კამარაზე ორი სცენაა იმავე მოწამის ცხოვრებიდან, გაყოფილი გეომეტრიული ორნამენტის მქონე სარტყლით.

ა. სამხრეთ ნახევარზე ორი სახლია ორფერდა ჭერით. ერთ სახლთან, რომელიც მარცხნივაა, დგას წმინდანი შარავანდით, რომელიც, როგორც ჩანს, მოწყალებას არიგებს. გამოსახულება ხელებს ქვემოთ განადგურებულია. სახლთან, მარჯვნივ რომ არის, ღია კარით, ბრბო დგას, ათი კაცი, თუ ვიმსჯელებთ თავის თხემების მიხედვით. ისინი თავშიშველნი არიან. ყოველი მათგანი ორივე ხელს წმინდანისკენ იწვდის. სახლებს შორის თავისუფალ ადგილას სამ სტრიქონად დაწერილია:

<sup>1</sup> ჩანს მხოლოდ პერპენდიკულარული ხაზი.

**ჰანუ შ-ლუ** – აქ განუყო სიმი-  
**ღჟჟ ჟჟ: ნუღჟჟ** დრე მისი წმიდამან  
**შ-ა:** გ“ი:

ბ. ჩრდილოეთ ნახევარზე ორი ორსართულიანი ფანჯრებიანი სახლია ღობის იქით. ფანჯრები განსხვავებული ტიპისაა: მრგვალი, ჯვრისებრი, მოგრძობი. სახურავი ორფერდია, როგორც ტბეთის ეკლესიაზე. რომელიღაც შენობაზე, როგორც ჩანს, ღობის იქით (შენობას აქვს კარები და ფანჯრები, მაგრამ ის სახლებზე უფრო დაბალია) დამაგრებულია ურმის თვალი. თვალზე გაჭიმულია (თვალზე გაკრულია? – რედ.) წმ. გიორგი, რომელიც მასზე ფეხებითაა მიბმული და წინ გაწეულია ხელებით. თვალს ბაწრით ორი ჯალათი ატრიალებს. ისინი ღობის წინ დგანან. ღობიდან სხვები მას შუბით ჭრილობებს აყენებენ: მოჩანს მხოლოდ ოთხი საჩხვლეტისა თუ შუბის წვერი. ზემოდან წარწერაა ერთ სტრიქონად:

**ჰჟ: ურჟა სჟჟჟ: ჰჟჟჟ: ნუღჟჟ: შ-ა :**

აქა ურმის თვალსა გააკრეს წმიდად გიორგად  
 თუნდაც წაკითხვა „აქანე“, რომელიც წარმოადგენს გულგარულ გურულ ფორმას, ჩემს მიერ არასწორად იყოს აღდგენილი, შემორჩენილ წარწერებში მაინც საკმარისია უწიგნურობა: „ჲ“ = ო“ს, და ვ“ს (თვალსა) გამოყენებაში, რომ ისინი მივაკუთვნოთ გვიანდელ ხანას, კერძოდ, არაუგვიანეს XIII საუკუნეს.

შემორჩენილია ფრესკების ნარჩენები დასავლეთ კედელზე, აივნის ზემოთ. ასე, სამხრეთ ნახევარკამარაში არის წმინდანის გამოსახულება წარწერით: **ჟჟჟჟჟჟჟ** ევლონე-მოს.

ტაძარი მდიდარია ორნამენტებითაც.

I. დასავლეთი ფრთის დასავლეთ კედელზე, ზედ ფასადის კუთხის ქვეშ, მოთავსებულია მომცრო, წითელი ჯვრისანი ქვა. ჯვარი ებჯინება ორნამენტირებულ (წნულ) ნახევარწრეს, რომლითაც მთავრდება ზედა ფანჯარა. ორივე მრგვა-

ლი ფანჯრის ირგვლივ ასევე ლამაზად ნახატი ორნამენტები; ჩრდილოეთ ფანჯრის ირგვლივ – მოკაზმულობა ჩალიჩით. სამხრეთი – ირგვლივ გადაჭდობილი წრეები შიგ ვარსკვლავებით. უკანასკნელი ორნამენტის შესახებ აქ ყვებიან, რომ ნახატი გაკეთებულია და ორნამენტი საერთოდ გაწყობილია საქართველოში, აქ გამზადებული ქვაა ჩამოტანილი. ქვედა ფანჯრის ზემოთ ჩვეულებრივი ნალია გადაჭდობილი წრეების ჯაჭვით. წრეები ერთმანეთზეა გადაწული როგორც შუა ნაწილში, ისე – გვერდებიდან; ამ უკანასკნელთა შეერთებით იქმნება არშია ორ გამოხატულ ხაზად, – წრეების ჯაჭვის უახლოესი ჩარჩო.

II. სამხრეთი ფრთის პირის მხარე საკმაოდ მდიდრულადაა მორთული (სურ.3):

ა. ფასადის კუთხის ქვეშ ქვა ერთ რიგად დაწული ყურძნის ექვსი პირობითი მტევნით. ბ. კამაროვანი ნიშის მქონე ქვაში, რომელიც მოჩარჩოებულია სვეტებით, გამოკვეთილია წმინდანის ფიგურა (შარავანდით), მღვდლის ტანსაცმელში, რაღაცით (ეკლესია? სახარება?) მარცხენა ხელში; მარჯვენათი მას უჭირავს ეს საგანი, ან მიუთითებს მასზე; ხელი მკერდთანაა მიდებული. ქვა დევს შუა, ყალბი თაღის კამარაზე; გ. მარჯვნივ და მარცხნივ, ორნამენტირებული ქვები მრგვალი ფანჯრების განით, შიგნით იმდენად სქელია კედლები, რომ პირველი შეხედვით აღიქმება ყრუ ნიშებად. დასავლეთი ფანჯრის ქვის ორნამენტი პირობითი ფოთლები; აღმოსავლეთი ფანჯრის ქვის ორნამენტი – გადაჭდობილი წრეები, როგორც დასავლეთი ფასადის ფანჯრის ნაღზე. ამავე აღმოსავლეთი ფანჯრის ზემოთ კიდევ ჩადგმულია ორნამენტირებული ქვა (წრის 1/3). დასავლეთი ყალბი თაღის დასავლეთით მოთავსებულია უსიმეტრიო, კედლიდან შვერილის სახით მოხატული ქვა წნულით. ფანჯრებს შუა, შუა ყალბ თაღში ჩადგმულია მცირე ქვა ნატიფი წვრილი წნული ჯვრით. ფანჯრის რაფების, კაპიტელებისა და ყალბი სვეტების ფუძეების მოხატულ ორნამენტებზე მე არაფერს ვამბობ. სამხრეთი ფრთის დასავლეთ კედელში ჩამოშლილი

მოპირკეთების ნაწილებში შესამჩნევია ოთხკუთხა ხვრელი. ეს არის ფანჯარა სათავსოსი, რომელიც შიგნიდან არ შეინიშნება. ამ ხვრელის სიმაღლეზე, სამხრეთით, არის უბრალო ჯვრიანი ქვა.

სამხრეთი ფრთის აღმოსავლეთ კედელში პატარა, მოგრძო ფანჯარაა, რომელიც ანათებს ტაძრის სავალებს კიბით გუმბათისაკენ, რომელიც ზედა ნახევარში მოჩარჩოებულია ორნამენტირებული ქვით (ორნამენტი ყურძნის ლერწი მტევნებით). ფანჯარა ჩასმულია მოხატულ ქვაშიც. შეიძლება აქ შემთხვევით მოხდა პატარა ორნამენტირებული ქვა, რომელიც გვერდით დევს ქვის წყობის ზემოდან მესამე რიგში. იმავე სიმაღლეზე, გვიან მინაშენში ჩადგმულია ერთი მთლიანი ქვისაგან გამოძერწილი ადამიანის გამოსახულება, რომელიც მუხლებზე დგას მლოცველის პოზაში: თავი მოტეხილი აქვს.

III. აღმოსავლეთი ფრთის პირის მხარე ორნამენტირებულია:

ა. ფასადის ზედ კუთხის ქვეშ არის ქვა ჰორელიეფურად გამოკვეთილი ჯვრით: მოხატულობა წნულია, საფუძვლიდან ორი პირობითი ტოტი ორ მხარეს.

ბ. ჯვრის ქვეშ ქვაა მრგვალი ფანჯრის მრგვალი განით, რომელიც მოჩარჩოებულია წნული ორნამენტით.

გ. ორი წყობის შემდეგ, უფრო ქვემოთ, სახურავის დაქანებებთან ჩრდილოეთითა და სამხრეთით თითო ქვაა მრგვალი ფანჯრის განით, ასევე მოჩარჩოებული ორნამენტით. ჩრდილოეთი ფანჯრის ნახატიც წნულია, სამხრეთის – პირობითი ფოთლები, გადაწულ ნახევარწრეებში მოთავსებული.

დ. დიდი ფანჯარა წნულმოხატულობიანი ჩარჩოთი, რომლის ზემოთ ნალია პირობით-ფოთლოვანი ორნამენტით; ნალი ზემოდან მოჩარჩოებულია ჩალიჩისებური წნულის რიგით.

ე. სამხრეთის მცირე ყალბ თაღში, საეკლესიო სამოსელის მეორე სართულის პატარა ფანჯრის ზემოთ ქვაა ამოკ-

ვეთილი ჰორელიეფური ვარსკვლავით (ნახატის საფუძველში გადაჯვარედინებული სამკუთხედებია).

**24 ივლისი, შაბათი. IV.** ჩრდილოეთი ფრთა. ჩრდილოეთი ფრთის წინა მხარეს მხოლოდ ერთი ორნამენტური ქვა აქვს (სურათი – პირობითი ყვავილები და ფოთლები წრეების რკალად, წრედ გადაჭრილი ცენტრში). ქვა ოთხკუთხაა, მრგვალი ფანჯრის ღიობით. ამ მხარეს სამი ფანჯარა ეკუთვნის ეკვდერის ზედა სართულს, რომელსაც აქვს წარწერა იოანესა თუ თამარის სახელზე: ერთი მოგრძო, ჩვეულებრივი ტიპის ფასადის კუთხის ქვეშ. მას აგვირგვინებს ქვა ნაღის უბრალო ნახატით (ქვა შედის წყობაში და არ არის მიშენებული და არც მოთავსებული ფანჯრის ზემოთ). უფრო ქვემოთ, მარცხნივ და მარჯვნივ ორი მრგვალი ფანჯარაა. მათ შორის აღმოსავლეთი – ორნამენტურულიცაა. ჩრდილოეთი ფასადის დასავლეთი ნაწილი ჩამოინგრა ყალბ თაღთან ერთად, მაგრამ აქ, დაბლა, შემორჩა დიდი ორნამენტური ქვა ორი მოხატული წრით, ეკვდერის სარდაფული სათავსოს კარის თამასაზე. კარის განი დაფარულია ნანგრევებით, მაგრამ არა მთლიანად.

ჩრდილოეთი ფრთის გვერდითი მხარეებიდან ორნამენტები შეინარჩუნა აღმოსავლეთმა. ამ მხარის ნახევარი ან მეტი, წარმოადგენს ფასადს იმ ეკვდერისა, რომელსაც მე კინაღამ ვუწოდებ თამარის ეკვდერი. ამ ფასადის წარწერიან ჯვარზე (იხ. ზემოთ), გარდა ამისა, პატარა მოგრძო ფანჯრის ზემოთ არის უზარმაზარი ნაღი რთული ორნამენტით: ნახატის საფუძველი – ქვემოთ გახსნილი კონცენტრირებული წრეების ჯაჭვია (5-6), რომელნიც ქვემოთ, შეერთებულთან, ქმნიან პირობით ყურძნის მტევნებს, ან ნაძვის გირჩებს, სამკუთხედებში, რომლებიც ქვემოთ შექმნილია კონცენტრირებული წრეების სეგმენტირებით, ან გამოკვეთილია პირობითი ფოთლები წყვილი ხეყულით.

ფრთის ძველ ნახევარზე ორნამენტურულია ფანჯრის ჩარჩო (აღმოსავლეთ ფასადის კარნიზის ნახატი) და ზემო-

დან შემოჭრილი ნაღი (წნული, ჩვეულებრივი ანისის ნაგებობებშიც).

ჩრდილოეთი ფრთის დასავლეთი მხარე ჩამოიგრა. მასზე მიკრულია კიდევ ორსართულიანი ნაგებობა, რომელიც ავსებდა ღია კუთხეს ჩრდილოეთ და დასავლეთ ფრთებს შორის, მაგრამ გათხრების გარეშე ძნელია განსაზღვრო ამ ნაგებობის ზუსტი განლაგება. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეს ნაშენი არ ფარავდა დასავლეთი ფრთის მთელ ჩრდილოეთ კედელს.

ზუსტად ასევე, სამხრეთ-დასავლეთი ღია კუთხე ნაწილობრივ დაკავებული იყო ნაგებობით, რომელიც ამჟამად ჩამონგრეულია. შემორჩა ამ ნაგებობის საკურთხეველის ნახევარწრე ნახევარგუმბათით სამხრეთი ფრთის დასავლეთ კედელში. ფასადის მოპირკეთება აქ ჩამოიშალა და აღმოჩნდა, რომ ეს საკურთხეველის ნახევარწრე მოთავსებული იყო სპეციალურად ამისათვის რიყის ქვით ამოშენებულ უზარმაზარ კამარაში. კამარის მხარეებმა აქამდე შეინარჩუნა ბათქაშისა და მოხატულობის კვალი.

V. გუმბათის ფანჯრები მოთავსებულია ორნამენტურულ ჩარჩოებში. ნამდვილ ფანჯრებს შორის მოთავსებულია ცრუ, ყრუ ფანჯრები ჩარჩოებში, მაგრამ ორნამენტის გარეშე. თუმცა აქა-იქ ამ ჩარჩოებში ჩადგმულია ორნამენტურული ოთხკუთხედები. კარნიზსა და ფანჯრებს შორის გაშვებულია სარტყელი ნახევარკალის ქვემოთ, კედლიდან გამოშვებულია ქვები, ზოგიერთი (8) თითქოს მორების დაბოლოებები, სხვები (8) – ოთხკუთხედებად; ამ უკანასკნელთა პირის მხარეები ორნამენტურულია (ჯვრები, წნულები). ერთ ოთხკუთხედზე მიმაგრებულია ჭურჭლის სახელური (ჩრდილო-დასავლეთიდან).

სარტყელი გაშვებულია მრგვალ გუმბათზე და ქვემოთ, ფანჯრების ქვეშ, როგორც ბაფთა ნახევარკალით. ბაფთა ორნამენტურულია პირობითი ნაძვის გირჩების ჯაჭვით. ამ სარტყელზე დაფუძნებულია წყვილი ნახევარვარსვეტების ძირები მხოლოდ ორი მუხლით, ზედა ბოლოთი რომ აღწევენ



არა მარტო ამგვარი დამატებითი ნაგებობები, არამედ თვით შენობის ძირითადი ნაწილებიც არაერთგზის გადაკეთებას და განახლებას მოწმობენ. აქ გაკვირვებით შევნიშნავ, რომ საერთოდ ეკლესიის ჯვრისებრ ფორმას, მასთან კავშირში კი სვეტებს, რომლებსაც უჭირავს ყელის კამარები, და თვით გუმბათს, ასევე აქვთ შედარებით გვიანდელი ნაგებობის სახე. თავდაპირველად, როგორც ჩანს, ტბეთის ტაძარი წარმოადგენდა მოგრძო ოთხკუთხედს.

ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ღობესთან ახლოს, რომლის ნარჩენები ახლაცაა შემორჩენილი, ოთხკუთხა კვარცხლბეკზე აზიდული იყო სვეტი. იგი იყო მთლიანი ქვისაგან. ის ახლა ორ ნატეხად არის წარმოდგენილი. დიდი იქვე დევს, სადაც დავარდა (სურ. ნა), პატარა (ზედა ნაწილი) სამხრეთი ფრთის ფასადიდან რვა ნაბიჯზეა, ღობესთან, რომელშიც იყო ნაპოვნი წარწერიანი ქვა; დიდი ნატეხის სიმაღლე 4 არშინი და 6 1/2 გოჯია, უფრო მცირე ნატეხის სიმაღლე – 1 არშინი და 9 გოჯი. ზედა მხარე სწორია, ნახვრეტით (დიამეტრი 2 გოჯი და 14 გიჯია (sic), სიღრმე – 2 3/4 გოჯი). ზედა მხარის დიამეტრი 11 გოჯია. რვაგვერდიანი სვეტი ზემოთ ვიწროვდება, მაგრამ მისი ძირი (სიმაღლე 15 გოჯი) ოთხგვერდიანია. ქვედა ნაწილი ყველა ამ მხარისა 15 1/2 გოჯია. რვა გვერდი თანაბარი არ არის, ფართე გვერდი ენაცვლება ვიწროს, ასე, შუა ნაწილში შეიღვოჯიანი გვერდი ენაცვლება ხუთნახევარგოჯიანს. ძირი იყო ქვის, კირიანი, მოპირკეთებული თლილი ქვებით. ძირის გვერდები: დასავლეთი 7 არშინი, სამხრეთი – 2 საუენი და 9 გოჯი. მაგრამ, შეიძლება უფრო ქვემოთ, როგორც საფეხური, იყო კიდევ უფრო ფართე ძირი. ძირის ამჟამად შესამჩნევი სიმაღლე 1 არშინი და 12 გოჯია. თვით სვეტის ძირის ოთხი გვერდი ორნამენტირებულია (ნახატები დაზიანდა დროისა და უამინდობისაგან). ზევით, ნახვრეტში, როგორც ჩანს, ჩადგმული იყო რაღაც ძეგლი, შესაძლოა, ამოკვეთილი ჯვარი წარწერით.

რა თქმა უნდა, ადგილზე უკვე გაჩნდა ახსნა, რომ ეს თამარის ძეგლია.

რამდენადმე მოშორებით, ეკლესიის სამხრეთით, არის მიწისქვეშა გრძელი, თაღოვანი გალერეისმაგვარი სათავსო. ის გადაჭიმულია აღმოსავლეთიდან დასავლეთით. მე ჩავედი იმ ადგილას, სადაც თაღი ჩავარდა ერთ-ორ საუენზე. დასავლეთით გზა არ არის გადაღობილი ზვავის ჩამონატანით. გალერეა ჩახერგილი აღმოჩნდა. კედელი საფუძვლიანია. მისი გავლით პატარა კარს გვერდით შეყვავართ სხვა განყოფილებაში, თუ ოთახში სამი ყრუ კედლით.

ჩემმა მასპინძელმა, ჯვერი-ეფენდომ მაჩვენა თუჯის ნაჭერი, ნატეხი წაწვეტებული ბოლოს მქონე გრძელი, სამკუთხედი ფორმის რაღაც საგნისა. ეს ნაჭერი, მისი სიტყვით, ჩამოვარდა ეკლესიაში.

გათხრებისას პოულობენ რკინის ნაჭრებს. საფლავის ქვები წარწერებით არ არის, მაგრამ საფლავები ეკლესიაში „შემთხვევით“ ითხრებოდა და ამოყრილი იყო დიდი თავის ქალის მქონე დიდტანიანი ადამიანების ჩონჩხები. ეკლესიის სამხრეთ ფრთაში, როგორც ჩანს, განძს ეძებდნენ, გათხარეს საფლავი. ყველა გვარწმუნებს, წარწერიანი ქვა არ ყოფილა.

\* \* \*

აქ ვაჯგუფებ ჩემს მიერ ტბეთში სხვადასხვა დღეს ჩატარებული ეპიგრაფიკული დაზვერვებისა და გამოკითხვების შედეგებს.

ბოსტნის ცოცხალ ღობეში, ეკლესიის სამხრეთით, სამხრეთი ფრთიდან ათიოდე ნაბიჯში, ორ ნაბიჯზე იქვე დაგდებული სვეტის თავიდან (სურ. 23) შევამჩნიე დიდი თლილი ქვის ნაჭერი, ხუთ თუ ექვსსტრიქონიანი გამოფიტული წარწერით. ალაგ-ალაგ აიტკინა ასოებიანი ქვის ზედა ფენები. ზედა ნაწილი მარჯვნივ და, საერთოდ ზედა ნაწილი, მოტეხილია მთლიანად. ქვის სიგანე იყო 12 1/2 გოჯი, სიმაღლე – 1 არშინზე მეტი. ვკითხულობ:

**ⲠⲚ Ⲛⲓ Ⲛⲓ Ⲛⲓ**

**შ-ჰნო. შჰ-შნო  
შჰ-შნ შჰ-შ  
ჰ A  
წ იჰჰ უჰ  
ღჰ კოჰ-ა ღჰღჰა ღ-ა>**

სვეტის სურათზე (იხ. სურ. ნ,ბ) არ არის გამოსახული პირველი სტრიქონი. წარწერაში ნათელია [მიმართვა] ღვთისმშობლისადმი და მთავარმოციქულებისადმი, ე.ი. სრულიად შესაძლებელია, პეტრესა და პავლესადმი. „ღვთისმშობლის აკლამის“ ხსენება კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს მის განსაკუთრებულ კულტს ტბეთში. სიტყვები „ეს კარი“ ან „ეს ჭიშკარი“ შეიძლება მოწმობდნენ, რომ წარწერა შესასვლელთან იყო.

მეორე ქვა სამსტრიქონიანი წარწერით, რომელიც ქვემოთ მოგვეყავს, ჯვერი-ეფენდიმ ათიოდე წლის წინ ამოიღო „ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთ კუთხესთან“ არსებული ნაგებობის ნანგრევებიდან, ე.ი. სამრეკლოს ნანგრევებიდან. ქვის ზომები: სიგანე 1 არშინი, სიმაღლე – 8 1/4 გოჯი. სტრიქონები არასწორია:

**ქ შ-ა ზაღჰ შღ-** ქ(რისტე) ღმერთმა მიუტეოს

**შა. შაშოა შაა  
ყღჰოა ს შნ-ს ღ-წ** შაპბუზა თათუხაძესა  
ამაზედ მღგომს resp.

ამის ზემოთ, ან აქ.

მაგრამ ეს წარწერა მიუთითებს არა სამრეკლოზე, არამედ საფლავზე მღგარ ძეგლზე, რომელიც შეიძლება კიდევ მოთავსებული ყოფილიყო ნიშაში ან ოთახში სამრეკლოს ქვეშ. „ღგომა ამაზედ“ მიუთითებს არა წარმავალი ნეშტის მაღალ მღგომარეობაზე, არამედ ძეგლისა, როგორც ჩანს, განსვენებულის გამოსახულებით, რომელიც მის საფლავზეა დადგმული.

თვით ჯვერი-ეფენდის სახლის ბუხარში, ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში, გარედან ჩადგმულია ქვები ტბეთის ძველი ნაგებობიდან. აქ არის ორნამენტირებული ქვა ღარით (ორნამენტი ნაწილობრივ ჩამოტეხილია). არის საკმაოდ დიდი ქვაც (1 1/4 არშინი X 1 არშინსა და 1/4 გოჯზე) წარწერის ნარჩენით, ნაწილობრივ სვეულით, ხანდახან მინიატურული „აჰ“-ს და „ს“-ს ჩასმით სხვა ასოში, ან ასოებს შუა. ზემოდან ორი სტრიქონი მთლიანად ჩამოფხეკილია. მარჯვნივ დარჩენილი ხუთი უკანასკნელი სტრიქონის ნარჩენები ასე იკითხება:

3. [////////////////////] ღ
4. წ შოაა
5. A შოა შააა
6. სჰჰჰჰჰ ჰა
7. შნ-ნა შნა. ს-ა ჰ

აქედან მხოლოდ იმის გაგება შეიძლება, რომ ეს „სამრეკლო“, როგორც ჩანს, აშენებული იყო „ქრონიკონის 215-სა“, ე.ი. (+781) 996 წელს. ეს წელი საქართველოში სამრეკლოსათვის ძალიან ადრეულად რომ არ ჩანდეს, ან (+1312) 1527 წელში, რომელი წელიც არანაირად არ უნდა გამოჩნდეს ძალიან დაგვიანებული, საერთოდ ქრისტიანული ნაგებობებისათვის ტბეთში.

ეკლესია ერთხანს მეჩეთად გამოიყენებოდა და ამან მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი მის შედარებით შენახულობას. კვირის დღესასწაულზე (პარასკევს), ადგილობრივი მუსლიმანები თავს იყრიან ეკლესიასთან სათამაშოდ ან საღაყბოდ (საყბედოდ). ერთხელ, ჩემი აქ ყოფნისას, ასეთ დღესასწაულზე მოვიდნენ ჭაბუკები გუდა-სტვირით, „თულუმით“, ან ქართულად „ჭბო“-თი, როგორც მიღებულია მისი სახელწოდება იმერხევში. მაგრამ აქაც ამ ინსტრუმენტის სხვადასხვა ნაწილის სახელებში ამოტივტივდება ქართული ელემენტი, თუმცა სოფელში ქართულად არც ლაპარაკობენ: სატუჩეს –

„ღირღიტს“ ან „ღერღეტს“ უწოდებენ, ბოლოს – „ქარახსი“<sup>1</sup>, ხის შუალედს, ტიკსა და ბოლოს შორის „ნაუ“ (სპ. *ای* ლერწამი ან ქართული *ნავი*, აქ ღარის მნიშვნელობით), „ნაუ“-ში ჩადებულია ორი ლერწამი, რომელსაც *ღუღუკს* ეძახიან. ხვრელებს „ნაუ“-ზე უწოდებენ თურქულად *كوز*<sup>2</sup>, თვითონ *გუდას* კი ქართულად [ქვია] – „ტიკი“.

ჭაბუკების ამ ჯგუფის ახსნით, მათთვის ცნობილია ცეკვები: ა. „დეღი-ხორომი“, ფერხული ჩაჯდომით (რომელსაც ქართულად „ბუქნა“ ეწოდება). მოცეკვავეები ქმნიან წრეს, მაგრამ ერთ ადგილას წრის ჯაჭვი გარღვეულია; ბ. „კარში-ბერ“ (თურქ. *لارشی بر* ერთმანეთის პირისპირ), ორის ცეკვა, მოძრაობების მიხედვით, მუცლით ცეკვა; ეს ცეკვა ვნახე კიდევ გზად ველში (იხ. ზემოთ), მაგრამ მაშინ ცეკვადა ერთი (თუმცა პარტნიორი შესტების მიხედვით იგულისხმებოდა). ცეკვა, როგორც ჩანს, სატრფიალოა, მაგრამ ქალის გარეშე, რადგან ქალებს გამოჩენა ეკრძალებათ. ხელებით კეთდება არა მარტო მოძრაობები, არამედ შესტებიც; გ. „ალაფრანკა“, დ. „სარმა“, ე. „თითრამა“.

ტბელი ჭაბუკები მისახელებდნენ ქალების ცეკვასაც, „ვარდას“. ქალები სხვა ცეკვებსაც ცეკვავენ, მაგრამ არა „დეღი-ხორუმს“. ისინი ცეკვავენ ცალკე. თუ ნათესავები დაინახავენ, რომ ვიღაცა უთვალთვალებს მისი ცოლის ან ცოლების ცეკვას, ადგილზევე მოკლავენ.

ყოველი ცეკვა იწყება ზრდილობიანი თავის დაკვრით უფროსის მხარეს (*تمت*). თითქოსდა ცეკვის ნებართვის თხოვნით.

ადგილზე ვკითხულობ ქართული გვარების შესახებ. ჩვეულებრივ ისინი „ძე“-ზეა, მაგრამ ქართულად არმოლაპარაკე

<sup>1</sup> ლექსიკონების მიხედვით, ქართულში სიტყვამ „ქარახსი“ (სულხან ორბელიანი) ან „ქარახსა“, resp. „ქარახსა“ (ჩუბინოვი) შეინარჩუნა მხოლოდ მნიშვნელობა „ყანა ღვინისათვის“, სპეც. „დიდი ყანა“ (სულხან ორბელიანი).

<sup>2</sup> სიტყვასიტყვით ნიშნავს *თვალს*. შდრ. ქართული სიტყვა „*თვალი*“ – ანუ საკუთრივ თვალი, წრე, მრგვალი ნახვრეტი.

მუსლიმანები წარმოთქვამენ როგორც „ზე“. ტბეთში შემდეგი გვარებია: ციალიძე, *ნიქებეძე*, კისერეძე (ადგილობრივი ხოჯა), *აგათიძე* (ჩემი მასპინძელი ჯგერო-ეფენდი), ზიალიძე, მასკულიძე. ტბეთშივე ჩემთვის შეძლეს დაესახელებინათ შემდეგი გვარები, მეტ-ნაკლებად ცნობილი მეზობელ სოფლებში: 1. *ჭუარებში* – *ფანჩიძე*<sup>1</sup>, 3. *გარყელოფში* – *ქადაგიძე*, 4. სუნობანში – *ფუტკარიძე*, ბერიძე, *თულაძე* და *გათამიძე*<sup>2</sup>, 5. *სხიაში* – ჩორკიძე და პეტვაძე, 6. *მერიაში* – *ფირპიძე* და ირემიძე, 7. *დაბაწვრილში* კობაძე და ხალაძე, 8. *დაბაკეთილში* – *ლერწამიძე* და *მორთულიძე*, 9. ციხისძირში – კორღისძე, *ყარმუსძე* და აბრამისძე.

მუსლიმანი არამარტო არბილებს „ძ“-ს „ზ“-დ, როგორც უკვე შემჩნეულია, არამედ სახეს უცვლის მის წინამდებარე ხმოვანს: *ძ*ს ან *ა*ს და აქცევს *ქ*დ, ასე რომ „-იძე“ და „-აძე“ ისმის, როგორც „ეზე“. ნათესაობითი ბრუნვის თანხმომავანი ელემენტი (ს) იშვიათად ისმის, როგორც, მაგალითად, აბრამისძეში, მაგრამ ასეთი შემთხვევებიც მოწმობს, რომ, ჩანს, მთქმელი იცნობს ამგვარ მოვლენას ქართულ გვარებში. ადგილობრივი გადმოცემით, ჩამოთვლილი გვარები – „თავადები“ და „აზნაურებია“ მეფე ათოსი ან ათაბეგისა, ტბეთის ტაძრის „მშენებლის“.

თურქი ოსმანი, რომელიც აქ სტუმრად არის, გვამცნობს, რომ მას თურქეთში, სამშობლოში, ზღაფორში, კისკიმის სანჯაყში, ქართული ხელნაწერებისა და ქართველებზე თურქული დოკუმენტების სკივრი აქვს.

\* \* \*

4 1/2 საათზე ტბეთიდან დაბაკეთილში გავემგზავრე. ვიმგზავრე არაუმეტეს ხუთი წუთისა, რომ მარჯვნივ გამოჩნდა

<sup>1</sup> შემდეგ მე შევხვდი ამავე გვარის მატარებელს, *ფანჩიძეს*, იმერხევის საზოგადოების მამასახლისს, მაგრამ ის სოფელ ხევწვრილიდან იყო.

<sup>2</sup> როგორც ჩანს, „*გათამიძე*“ ნაცვლად.



ყველაზე მაღალი მთა არდაგანის უღელტეხილზე ქართული სახელწოდებით **ბერი-კლდე**, რაც ნიშნავს – **ძველი კლდე**.

20 წუთის შემდეგ მარცხნივ დავტოვეთ დაბაკეთილი და, შევბრუნდით რა მისკენ ზურგით, ავედით ეკლესიის ნანგრევებზე. დარჩენილია მხოლოდ საკურთხეველის ნახევარწრის ნაწილი და ისიც სამხრეთ ნაწილში სრულიად შემოძარცული მოსაპირკეთებელი ქვებისაგან. საპირე ქვები არ არის მსხვილი, უფრო წვრილია, ნაცრისფერი, სხვადასხვა ელფერის. ხშირად ისეთივე, როგორიც ტბეთში. წყობის ცხრა, ათი რიგია შემორჩენილი. ეკლესია იყო პატარა, სამიოდე საუენის სიგანის, შავშეთის ეკლესიების ტიპისა. ზედაპირზე წარწერის არანაირი ნიშანი არ არის.

აქედან ჩვენ უკვე უკან არ დავბრუნებულვართ დაბაკეთილში, არამედ წავედით იქით, ჩამოვედით სოფლის გზით სამხრეთ-დასავლეთით, გადავედით ნაკადულის ღრანტეზე, გავედით ციხისძირის გზაზე და შევეხვიეთ მარცხნივ. დაბაკეთილისგან დასავლეთით, მარცხნივ გამოჩნდა ოთხკუთხედი მცირე ტბა. მალე დავტოვეთ რა მარჯვნივ **მორგელი**, შემდეგ მარცხნივ **საბუღარა**, ჩამოვედით ხიდთან შავშეთის წყალზე. მდინარეზე მარცხენა ნაპირიდან ბატონობს ხიმშივეების (ნური-ბეგის) ორი სახლი: ერთი ძველი, გავერანებული, მეორე, უფრო აღმოსავლეთით, ახალი. ავედით რა მდინარიდან ზემოთ, შევეხვიეთ მარცხნივ სათლელ-რაბათისაკენ. ამ სოფელთან მისვლამდე, ჩაფარმა გასპარმა, სათლელ-რაბათის მცხოვრებმა, მიუთითა მარცხნივ დამრეც ადგილზე, რომელსაც „**კონიბაგური**“ ეწოდება. აქ ადრე საუცხოო ვენახი იყო. იქ იპოვეს ქართული დროების უზარმაზარი ქვის საწნახელი. გასპარის მამამ 20 წყვილი ხარი შეაბა, რომ ეს საწნახელი სახლში მოეთრია.

სათლელ-რაბათში სომხები ცხოვრობენ, ნახევარი გრიგორიანელი, ნახევარი კათოლიკე. მათ სამომთაბარო სადგომს **მაჭალერთა** ქვია; შესაბამისი ქართული ფორმაა **მაჭალერთა**. გზას, რომელიც იქით მიდის, არა მარტო ფორმით,

შინაარსითაც ქართული სახელი ჰქვია – **საწილო**, რაც წილობრივს ნიშნავს.

**25 ივლისი, კვირა.** სომხური გრიგორიანული ეკლესიის ხელნაწერები, რომელთა შესახებ მე გამიგონია, ჩემი მოგზაურობის მიზნისათვის უინტერესო აღმოჩნდა. ისინი ორია. სანახავად მღვდელმა მოიტანა. ორივე სახარების პირია, ერთი ქალაღზე, მეორე პერგამენტზე. ეს უკანასკნელი ჩანაწერების გარეშე. ქალაღის ხელნაწერი სომხური წელთაღრიცხვით 926 წლისაა (1477). გადაწერილია აშოტის ხევაში იანქუნიქეს მონასტერში წმ. განმანათლებლის, წმ. ვარდიჭერის საფლავის, წმინდა სიონის მფარველობით, წმ. პეტრესა და წმ. პავლეს ხელით... მწერალ ზახარიასი... ხან ასან-ბეგის დროს, წმ. ენშიაძინის კარის მეუფის იოანეს პატრიარქობისას (**Ի ձորս Աշոտս Ի վանս Յանկունսաց ընդ Հովս նեսւ ս Բ Լուսատրչիս և ս Բ Վարդիხար գերեզմանիս և ս Բ Սիոնի և ս Բ Պետրոսի և ս Բ Պավոսի ձեռամբ... գրչի Զաքարիս ... Ի խանոս Թ՛ն Հասան պէկին և Ի Հայրապետութեն Տ՛ր Յովչանիսի առ դրս ս Բ Էջմիածնի**).

სომხური კათოლიკური ეკლესიის ეზო სათლელ-რაბათში. ეკლესიის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხიდან რამდენიმე ნაბიჯში არის მაღალი (1 არშინი და 9 გოჯი) ოთხკუთხა მოწითალი ქვა. დიდი, უბრალო ჰორელიეფური ჯვრით წინა მხარეს ღრმა, კამაროვან ჩარჩოში. ასეთივე ჯვრები, მაგრამ უფრო მომცროები, გვერდით მხარეებზე. უკან წრის გამოკვეთის ცდაა, ზედა მხარე ბრტყელია (12 1/2 X 9 გოჯზე), ნახვრეტით, რაიმე ძეგლის, შეიძლება სახიანი ჯვრის დასადგმელად. იგი მოტანილია გურნათელის ეკლესიის ნანგრევებიდან.

თვით სომხურ კათოლიკურ ეკლესიაში ჩადგმულია ძველი, მოხატული ჯვრები, ჯვრიანი ქვები:

1. აღმოსავლეთ კედელში ოთხკუთხა მოგრძო (ზემოდან ქვემოთ) ღია ფერის ქვა გამოკვეთილი ჯვრით, ჩარჩოში დაწნული ჩალიჩისაგან; გვერდითი ფრთების ქვემოთ და ზემოთ

თითო პატარა ტოლგვერდა ჯვარია (ისინი ოთხია); ქვემოთ ზედა ბოლოები პირობითი ტოტებისა, რომლებიც ფუძიდან მოდიან. ძირი ბათქაშითაა დაფარული.

2. ჩრდილოეთ კედელში ჯვრიანი ქვაა (ფრთების ქვეშე თითო ჯვარი), სრულიად უბრალო, შეიძლება ახალიც კი, სომხური წარწერით:

ა'რ                    ა'ზ  
ქ'ა                    ჭ'ა  
ԱՆ                    ւ  
ՄԿՆ :                մի  
ԲՐն :                ՈՂի : ა

წარწერა შეიძლება ასე იქნას აღდგენილი: **սեք  
աստուახ მჰათია ჭიხათი ასანქ მასსანს მჰი բარქინ  
ილირქი ასა. უფალო ღმერთო, იესო ქრისტე, უცოდველ  
ჩვილს ერთხელ უთხარი კარგად – შემინდე!**

3. დასავლეთ კედელში ოთხი ლამაზი გამოკვეთილჯვრიანი ქვაა: ჩრდილოეთიდან მეორეში ღოცვის ჩვეულებრივი წარწერაა სომხური ასოებით.

4. ხუთი სხვადასხვა ჯვარია სამხრეთ კედელში. დასავლეთიდან მეორეზე ნაკლებწიგნიერი სომხური წარწერაა:

ՅՄ                    ԳՄ  
Թուսն Հ            վՄ

ეკლესია ნანგრევებზე, როგორც ამჟამინდელი მეპატრონეები ამბობენ, პირველად აიგო 125 წლის შემდეგ. შიგნით, საკურთხევლის იქით, ძველი წყობა შეინიშნება ერთნახევარი არშინის სიმაღლეზე.

4 საათსა და 10 წუთზე ჩვენ გავემგზავრეთ **გურნათელში**.

10 წუთის შემდეგ ვიყავით სათლელში მოლა მემედ ხან-ეფენდი-ოღლისთან. მისი ხელნაწერი მართლაც არაბული

<sup>1</sup> բարქին-ის წაკითხვაში „კარგად“, სიტყვასიტყვით: τὸ χυζῶν ვეჭვობ. გამჯობინებდი წამეკითხა: ա'ր ող'ի ღმერთო შემინდე.

აღმოჩნდა, როგორც მაცნობებდა დაგირმანის სოჯა რაჯაბი, მაგრამ უინტერესო მხარის ისტორიისათვის. ის წარმოადგენს წიგნს თევზით სხვადასხვა რელიგიურ დადგენილებებზე: სწორი რწმენის, მარხვისა და სხვათა შესახებ.

სათლელშივე რუფეთ-ბეგ ხიმშივეის ბაღში, ართვინისკენ მიმავალი გზიდან მარჯვნივ, დიდ, დაუმუშავებელ ქვაზე არის უბრალო ტოლგვერდა ჯვარი, მის გვერდით გლია ორი ნატეხი ორი ჯვრიანი ქვისა, ერთ-ერთზე, უფრო მომცროზე, იკითხება მხოლოდ სომხურად: **იხუნა ახსენე**.

შემდგომ გურნათელისაკენ მიმავლებს მოგვიხდა ვანთასთან გადავსულიყავით მთის მდინარე სათლელ-რაბათზე გადებულ ახალ ხის ხიდზე. რამდენადმე უფრო ქვემოთ შემორჩა იმავე მდინარეზე გადებული ძველი ქვის ხიდის თაღი. ამ მხარეში ძველი ხიდების ჩვეულებრივი ტიპია ქვების წყობა ერთ თაღად მოპირკეთების გარეშე. 5 საათსა და 20 წუთზე ჩვენ ვიყავით გურნათელის ეკლესიის ნანგრევებზე. ეკლესია ტყეშია, შემადგებაზე, რომელიც სოფელს ბატონობს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან. ამ ადგილს **კოკიშაური** ქვია. ეკლესია შავშური ტიპისაა (წაგრძელებული ოთხკუთხედი შიგნით საკურთხევლის მომრგვალებით). კარი ერთია, სამხრეთიდან. წყობა მსხვილი და წვრილი ქვებითაა, საკმაოდ უხეში, მოპირკეთების გარეშე. ნამუშევრის მიხედვით ეკლესიას ძველი სახე აქვს. ის განსაკუთრებით ჩამოინგრა სახრეთიდან, ყველაზე მეტად ადამიანის სიმაღლეზე, მაღლა შემორჩა საკურთხევლის ნახევარწრის კედლები (სურ. 7). საკურთხევლის ნახევარწრეში, მარცხნიდან და მარჯვნიდან, არის ნიშები. მათ შორის, საკურთხევლის ნახევარწრის ზედ შუაგულთან, კედელს ეკვრის ქვის ტრაპეზი, ზედა მხარეს ოთხკუთხა ჩაღრმავებით (1 არშინი და 1/2 გოჯი გასწვრივ X 14 1/2 გოჯი გარდიგარდმო). ის დანაგვიანებულია ქვემოთ, დაუფარავი სიმაღლე 1 არშინი და 1 გოჯია. საკურთხევლის შემადგების წინ, მარცხენა მხრიდან, დაახლოებით იგივე სიდიდის ქვაა, რაც სამსხვერპლო, იმავე ფორმით, მაგრამ კამაროვანი ჩაღრმავებით, ნახვარკალისებურ ჩარჩოში პირის

მხარეზე. ზემოდან ჩანს არასწორი წრის დიდი ნახვრეტი (ყველაზე დიდი დიამეტრი 7 გოჯია); უკანა მხარე უჭირავს ამ მრგვალ ნახვრეტს, რომლის სიღრმე, დანაგვიანების გამო, მხოლოდ 1/2 არშინზე შეინიშნება. ეკლესია აღმოსავლეთისაკენ არის მიმართული, ოღონდ სამხრეთისაკენ გადახრით. ქვები უხეშადაა გათლილი. ეკლესია ჩამოიშალა ყველა მხარეს. ჩამოცვენილი ნაწილები ყრია შიგნითაც. შენობის შიგნით ხეებმა მოასწრო გაზრდა. ტაძრის სიგრძე საკურთხეველის ნახევარწრიდან 11 არშინი და 1 გოჯია, სიგანე – 5 არშინი და 15 გოჯი, საკურთხეველის ნახევარწრის სიღრმე – 2 არშინი და 13 გოჯი. საკურთხეველის ნახევარწრის შვერილები: ჩრდილოეთი – 1/2 არშინი, სამხრეთი – 6 1/4 არშინი, დასავლეთი კედლის სისქე 1 არშინი და 6 გოჯი. ეკლესიის აღმოსავლეთით გდია ჯვრიანი ქვის კვარცხლბეკი.

ჩრდილო-აღმოსავლეთით სამიოდე წუთის გზაზე ტყეში, ადგილზე, რომელსაც ველთა ეწოდება, გდია მოწითალო ქვა, ზუსტად ისეთი, რომლისგანაც გაკეთებულია გურნათელის ჯვრიანი ქვა, სათლელ-რაბათში რომ არის. ამ ქვას ასევე ჯვრად თვლიან, მაგრამ ის მოტეხილია და დამახინჯებული.

უბნის უფროსმა, სეიფულა ატამალიბეკოვმა გვაცნობა: „ერთი წარწერიანი ქვა ტბეთიდან ართვინში წაიღო ბატონმა შუბინსკიმ, ოლქის ყოფილმა უფროსმა. ქვა აიღეს ტბეთში, რომ შეენარჩუნებინათ იგი მეცნიერებისათვის. ართვინში იგი დადეს მმართველობის შენობის შესასვლელთან. როდესაც ბნმა შუბინსკიმ გადაწყვიტა ქვის წაღება, მცხოვრები-მუსლიმანები ეხვეწებოდნენ მას, ეს არ გაეკეთებინა. „ჩვენ არ გირჩევთ წაიღოთ ის, თქვენდამი პატივისცემისა და სიყვარულის გამო, – ამბობდნენ ისინი, ამ ეკლესიიდან არაფერი არ უნდა გაიზიდოს, ტბეთის ქვა თქვენ სიკეთეს არ მოგიტანთ“. ორი წლის შემდეგ ბნი შუბინსკი იძულებული იყო დაეტოვებინა სამუშაო ადგილი.

**26 ივლისი, ორშაბათი.** 12 საათზე გავემგზავრეთ სათლელ-რაბათიდან. დაბაკეთილის რაიონამდე გარემო ჩემთვის

ნაცნობია უკვე. ჩვენ გავიარეთ იგი გზად ტბეთიდან სათლელ-რაბათში. ჰორიზონტზე, ჩრდილო-აღმოსავლეთით, მთებს იქედან, ამოდის არსიანის პირამიდისებური მწვერვალი, სამხრეთ-დასავლეთიდან ასევე მთებს იქედან მიჰყვება კარჩხალის კბილებიანი ქედი, ალაგ-ალაგ თოვლის გროვებით. საბუდარას იქით, რომელიც ახლა გზიდან მარჯვნივაა, ტყიანი მთის შუა ნაწილში მე მაჩვენეს მომთაბარეთა სადგომი **ბელეშეთი**, უფრო მაღლა ტყიდან გამოდის იმავე მთის, **დუმბათის** ქვის მწვერვალი.

სათლელ-რაბათიდან გამოსვლის შემდეგ 2 1/2 საათში ჩვენ ვიყავით ციხისძირის, ან როგორც აქ წარმოთქვამენ, **ციხისძირის** ზედა ნაწილში, გავიარეთ რა ქვედა ნაწილი ნურიბეკ ხიმშიევის ორსართულიანი სახლით. **გარყელოფის** ზემოთ გვერდით დავტოვე **შაგ-მთა**, თორემ დღეს **სურევანში** ვერ მოვხვდებოდი. აქედან ერთი გზაა **წითეთამდე**, საიდანაც **შაგ-მთისაკენ** გზა **გარყელოფზე** გადის. **გარყელოფში** მცხოვრები მოხუცისაგან ტბეთში მე გამიგია, რომ **შაგ-მთაში** არის ეკლესიის ნანგრევები; არის თუ არა წარწერები, მას არაფრის თქმა არ შეეძლო. სიტყვამ მოიტანა და, მოხუცი ძლივს, მაგრამ მაინც ლაპარაკობდა ქართულად. ჯვერიეფენდომ შენიშნა, რომ **შაგ-მთის** ნანგრევები იგივე ხასიათისაა, როგორც ნანგრევები **დაბაკეთილთან**.

ციხისძირის მამასახლისის, ახმედ-ალა ჯინშარ-ოღლის აივნიდან იშლება მშვენიერი მთის პანორამა. მთის ქედის ჯაჭვი **არდაგანის** მხარეს, როგორც ხელის გულზეა; გადაჭიმულია სამხრეთ-აღმოსავლეთიდან სამხრეთისაკენ: **მანსურათი** (ის არ მოჩანს), **კიასინ-ტაში**, **სახარა**, **ბერი-კლდე**, **იდილი**, **ბილბილი** (მთის იქით არ მოჩანს), **ქურდევანი**. კითხვაზე, რა ეწოდება მთელ ჯაჭვს, მასპინძლის ბიჭმა უპასუხა: „ყველაფერს ერთად ეწოდება მთები (**طاغز**)“.

ციხისძირში შევეყარე ლაზებს ხოფიდან. მე ვისარგებლე შემთხვევით და შევამოწმე ბატონ აჯარიანცის მიერ ჩაწერილი მასალები: ბნი აჯარიანცის ჩანაწერებში აღმოჩნდა გაუ-

გებრობები, ის ურევს „ჩ“, „ჟ“ და „ჭ“-ს, ახდენს რა მათ ტრანსკრიპირებას ერთი ასოთი „ქ“.

5 1/2 საათზე ჩვენ გავემგზავრეთ ციხისძირიდან სურე-ვანში **ჭუარების** გავლით. გზიდან მარჯვნივ, შედარებით ახლოს მოჩანდა **წიწვეთი, გარყელოფი** და **შაგ-მთა**; მარცხნივ ახლოს გექონდა – კოროვატი. 40 წუთის შემდეგ ჩვენ ვიყავით საკმაოდ მაღალი გორაკის წვერზე, რომელიც დასავლეთი-დან ხემოდან გადმოჰყურებდა სოფელ **ჭუარებს (ჭუარები: ჯუარები?)**, რომელსაც ჰქონდა ამ ადგილისათვის საკმაოდ ფართე ჰორიზონტი. აქ ნანგრევებია შავშეთის ტიპის საკმაოდ დიდი ეკლესიისა. ნანგრევები [ეკლესიის ქვები] დაინაწილეს მცხოვრებლებმა. კედლებისაგან უმთავრესად დარჩა ადამიანის სიმაღლის საკურთხეველის ნახევარწრის ჩრდილო ნაწილი, შეიძლება გაირკვეს ფუნდამენტიც. მცხოვრებლებმა არ დატოვეს მოსაპირკეთებელი არც ერთი ქვა, ყველა მოაძვრეს.

ჭუარებთან ერთად, ამჟამინდელი ადმინისტრაციული და-ყოფით, მთავრდება შავშეთი.

ამგვარად, ჩვენ შევედით იმერხევში, დაგვარგეთ რა ნანგრევებიან ამდღებაზე მხოლოდ 1/4 საათი. განვაგრძობდით რა სვლას, ჩვენ გავედით გზაზე, საიდანაც იშლებოდა საოცარი ხედი **უკეთის** დიდებული ხეობისა, ერთ-ერთი უშესანიშნავესი მთიანი პეიზაჟი, რომელიც ოდესმე მინახავს. სრულდება გრძელი და დამღლევი გზა საკმაოდ ძნელი დაღმართით (ჩემი გამცილებელი ჩაფარი ერთხელ დაცურდა და ძალიან ცუდად დაეცა). ზედ, დაღმართის დასაწყისთან, მარცხნივ, მაღლობზე ჩანს დასახლება **გომთა** (რუკაზე **კომტა**). ჩვენ ჩამოვქვეითდით და ისე მივდიოდით, თითოეულს (მე და მხედარს) სადავეებით მიგვყავდა ჩვენი ცხენები. გზა ვიწროა, ალაგ-ალაგ ძალიან შევუღლი, ფეხქვეშ გვხვდება წვრილი, ქვიშიანი მიწით წარმოქმნილი დატკეპნილი ბურთუ-ლები. მე წამში ოთხ ნაბიჯს ვდგამდი. დაღმართის მთავარი, ყველაზე ძნელი ნაწილი ჩვენ 35 წუთში გადავლახეთ, და-

ვიწყეთ რა 7 საათზე. დაღმართს **ქალისაფინაჯ** ქვია, ან, როგორც ასევე გავგივია – **ქალისსაფრინაჯ**. გავიარეთ პატარა ხიდი მთის ნაკადულზე, მეოთხედი საათის შემდეგ – ჩაფარის საგუშაგო, სადაც ყვირაღა ჭრის გზას, რომ იმწუთშივე შეერწყას მდინარე იმერხევს. უკვე ბნელდებოდა, ჩვენ რომ ვეშვებოდით. ჩვენი მებარგული ჩამოგვრჩა და მე ძალიან მაშინებდა ამ გზაზე, სიბნელეში ჩემი ნივთების ბედი. ვეშვებოდი რა სურევანისკენ, მაღალ კლდეზე შევნიშნე ეკლესიის ნანგრევები. ეკლესია, რომელიც გამოძერწილია უფსკრულის კიდეზე, ფლატოვან, ციცაბო კლდეზე (სურ. 8), შორიდან სკად გეჩვენება. ქვემოთ მიედინება იმერხევი. ბინდში გავდივართ მდ. იმერხეზე გადებულ ხიდზე. მარჯვნივ, ორივე ნაპირზე, ვამჩნევ ქვის ხიდის ნარჩენებს; როგორც აღმოჩნდა, ბერძენი ოსტატების მიერ აგებულს არცთუ დიდი ხნის წინ. ქვედა სურევანს გავდივართ თითქმის სიბნელეში, დამე გვეწვეა, ხელის ცეცებით ეძებს გზას ჩაფარი გასპარი. აღმართი, გადასვლა ახალი მთის ნაკადულზე და 8 საათსა და 20 წუთზე ჩვენ ზედა სურევანში ვართ, სოფლის გამგებლობის შენობაში. სოფლის ქვედა ნაწილში ისმოდა ქალების ქართული ლაპარაკი. ქართულ ენას ვისმენ აქაც. მიმოვიხედე: მაღლობზე ნანგრევების სილუეტის მიხედვით ვხედავ, რომ ჩვენ შევედით ეკლესიის უკან, უფრო მისაწვდომი მხრიდან. აქედანვე საუცხოო ხედია ხევზე უკეთას მხარეს (სურ.9). გამგებობიდან გააგზავნეს კაცი, რომ დახმარებოდა ჩვენს რამდენადმე დუნე მებარგულს.

იმ მონასტრების შესახებ გამოკითხვებმა, რომელიც მე მაინტერესებდა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ შესაბამისად, არანაირი შედეგი არ მოგვცა. გამეორდა მხოლოდ ცნობა ხანძთის არსებობის შესახებ. გამოირკვა ასევე, რომ იმერხევში ორი ადგილია, რომელსაც მერე ეწოდება. 1. **წყალსიმერთან**, უბრალოდ **მერე**. 2. სურევანთან, ქვემოთ, მდინარესთან სახნავი ადგილი „**დიდმერე**“.

ქართული ენა აქ საოჯახოა, მაგრამ ურევან თურქულ სიტყვებს, ასე, „ბელქი“ (بلک) – შეიძლება, **რაჰათია** (راحت), –

თავისუფალია („ეს სტოლი რაჰათია” ამ მაგიდაზე უფრო თავისუფალია), *იშტა* (اشتيا), ვულგარული წაკითხვისას *imtah*, – მადა და ა.შ.

ვამჩნევ, რომ საქმეში ყველაზე გაცნობიერებულმა პირებმა იციან მხოლოდ თავისი უბანი, უკეთეს შემთხვევაში – თავისი მხარე. ასე, იმერხეველმა – იმერხევი, შავშელმა – შავშეთი, მაგრამ ესეც იშვიათად. უფრო ხშირად მათ იციან მხოლოდ თავიანთი სოფელი და არემარე. მაგალითად, იმერხევის მამასახლისმა, წვრილხევის მცხოვრებმა, ნაცადმა კაცმა, არ იცის სულესის ახლოს აგარის არსებობა, თანაც სულესში არასოდეს ყოფილა.

**27 ივლისი, სამშაბათი.** ვეშვები მდინარისაკენ, რომ მეორე მხრიდან გადავიღო ეკლესია ციცაბო კლდეზე (სურ.8). 20 წუთის შემდეგ, გავდიოდი რა სოფელს, მარჯვნივ, კახრიმანადა დარგიძის ბაღში მე შევნიშნე ძველი წყობა. აღმოჩნდა, რომ ეს არის წყაროს ძველი თაღოვანი ნაშენი, მხოლოდ ახალი ხის მილაკით (სურ.10). სიმაღლე 1 არშინი და 11 გოჯია, ჩაღრმავების სიგანე – 1 არშინი და 2 1/4 გოჯი, ჩაღრმავებაში შვერილების სისქე – 9 1/2 გოჯი.

სოფლის ეს ქვედა კვარტალი – **კოტალაძე**, თუმცა სოფელს ახლა ეწოდება არა **კოტალაძე** ან **კუტალაძე**, არამედ **კუტალეთი**. აქ დამისახელეს სამი გვარი: **ელაზად**, **ლაზარად**, **ოსეფად**.

გადავვდიოთ რა ხიდზე უკან მარცხენა ნაპირზე, ჩვენ შევუხვით მარჯვნივ საგუშაგოსკენ და ყვირაღასთან მისვლამდე (მას აქ **ყურიაღასაც** უწოდებენ), მარჯვნივ, დავინახე ძველი ხიდის თაღის ნარჩენი. ეს ხიდი წყალს წაუღია 20-ოდე წლის წინ. ამბობენ ქვებზე (შეიძლება ჩემთვის ნუგეშის საცემად) იყო წარწერები. მარტივი წყობა, შავშეთისა და ასევე იმერხევის ჩვეულებრივი ხიდების ტიპისა.

ყვირაღას მარცხენა ნაპირზე, საგუშაგოს ბაღში, რომელიც ახლა ხიდს იქითაა გაშენებული, არის ძველი ნაგებობა უზარმაზარი გაუთღედი ქვების მარტივი წყობით. გათლი-

ლია მხოლოდ ქვები, ასევე უზარმაზარი, რომლებიც ქმნიან კარის განს. შიგნით ეს სათავსო გავსებულია თივით. გარდა ამისა, კარები აღმოჩნდა ბოქლომით დაკეტილი. სათავსოში არის ოთახები და ფანჯარაც კი. ამ სათავსოს, რომელიც ზევით გაუთანაბრდა მთის ფერდობის გვერდებს, ადგილობრივები უწოდებენ **ჰინძანს**. ამას მეუბნებოდნენ მე „თურქები”, უფრო სწორედ, ქართველი მუსლიმანები, ადგილობრივი მცხოვრებლები; ჰინძანი, უფრო სწორი იქნებოდა „ჰინძანი” (خندان) სომხურად საკუთრივ ნიშნავს **საწნახელს**. ფსიკიურულ სომეხ ყაზარ ოვანჯანის ძე ნერსენსიანცს უნდოდა აეხსნა, რომ ეს არის სარდაფი ღვინისათვის, „მარანი” (ماران), და არა ჰინძანი, მაგრამ ქართველი მუსლიმანი ამტკიცებდა, რომ ისინი აქ სათავსოს უწოდებენ „ჰინძანს” და მეტი არაფერი იცის. კითხვაზე, ხომ არ იციან მათ სიტყვა „საწნახელი”, ქართველმა მუსლიმანებმა უპასუხეს, რომ ეს არის სწორედ **საწნახელი**, რომ ისინი მას უწოდებენ **ჰინძანსაც** და **საწნახელსაც**.

შემომამქვს რამდენიმე ადგილობრივი ქართული სიტყვა: **დარყევა** (იხ.

, . X, c. 197). წისქვილში: **ქვა**, **ქუმირი** (ჭურჭელი სიმინდისათვის), **ჩახჩახი ხიდეთი**, **თოკი** ან **საბელი**, **ფქვილი**, **ნიჩაბი**, **ფეხი** (ქვესაღვამი).

იმავე ბაღში, უფრო სამხრეთით, წყალი ჩქეფს; როგორც ჩანს, უბრალო წყაროა. მაგრამ ადგილობრივები (ქართველი მუსლიმანები) უწოდებენ „ჩერმუკს” (სომხური **Չերմուկ**). და ამტკიცებენ, რომ ზამთარში წყალი თბილია, დუღს. ის ახლაც არცთუ ცივია.

ფსიკიური 11 თვის წინ დაიწვა. მცხოვრებლები, რომლებიც აქ ჩამოვიდნენ ამ ხანძრის საქმეზე, გვაცნობებენ, რომ მათ ჰქონდათ ძველი ხელნაწერები ქართულ ენაზე, აგრეთვე სომხურზე; ჰქონდათ წიგნები ისე დაწერილი, რომ არავის არ ესმოდა (როგორც ჩანს, საეკლესიო-ქართული ასოებით). ყველა ეს ძველი ხანძარმა დაღუპა.

მდ. ყვირაღას მარჯვენა ნაპირზე მე ვათვალიერებდი გამოქვაბულს, უფრო სწორედ, გამოქვაბულის სავალს; როგორც მცხოვრებლები ამბობენ, სავალი მთავრდება სოფ. წეთილეთში. გამოქვაბულის პოვნა იოლია. ზედ ყვირაღაზე გადებულ ხიდთან, გზა უხვევს მდინარის მარჯვენა ნაპირზე და მიდის წისქვილამდე. წისქვილს იქით გზა წისქვილის წყალიდან კვლავ მარჯვნივ იხრება აღმართში, და აქვე ჩნდება გამოქვაბულის პირი. იგი მიმართულია სამხრეთ-დასავლეთისაკენ, შიგნით კი უმაღლესსა ხრდილოეთისაკენ. შევედით ჩვენ ფარნით და *მკუარით*. ეს უკანასკნელი სოფლიდან წამოიღო ყმაწვილმა, რომელსაც იდლიის ქვეშ ტომარა ჰქონდა: გამოქვაბულში აგროვებენ *ჩიტის სეინტლებს* ბოსტანში ნაკვლად შესატანად. ქვაბში ჩვენ 10 წუთს მივდიოდით. იგი საკმაოდ ვრცელია, ადამიანის სიმაღლეზე მეტი, მხოლოდ ალაგ-ალაგ უნდა დაიხარო და იხოხო კიდევ. გზა მასში იყოფა და შემდგომი მგზავრობისას რომ არ დაიბნე, საჭიროა მეტი სინათლე და საშუალება, ვიდრე მე გამაჩნდა. ადგილობრივები, აღსაყენი ცრურწმენის შიშით, უხალისოდ მომყებოდნენ.

სურევანის ეკლესია განლაგებულია განმარტოებული, იმერხევის მხრიდან თითქმის ციცაბო გორაკის ქვის მწვერვალზე. იმერხევი მოჩანს ძალიან ქვემოთ. ტაძარი მიმართულია არა აღმოსავლეთით, არამედ ჩრდილო-აღმოსავლეთით, როგორც ჩანს, მოედნის ხასიათის გამო: ის საკმაოდ გრძელი იყო მხოლოდ ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ, რომ სიგრძეში დაეტია ჩვენი ეკლესია, საკმაოდ დიდი მისი ტიპისათვის.

ის შავშეთ-იმერხევის ტიპისაა, ე.ი. ოთხკუთხედი (გარედან სიგრძე 14 არშინი და 13 გოჯი, სიგანე 8 არშინი და 1 გოჯი). მხოლოდ შიგნით, საკურთხეველის ნახევარწრით (სიღრმე 1 საყენი და 1 გოჯი, შვერილების სიგანე, ჩრდ. 4 1/2 გოჯი, სამხ. 4 1/2 გოჯი). სიგრძე შიგნით, საკურთხეველის ნახევარწრით 4 საყენი და 14 გოჯი, ტაძრის სიგანე – 2 საყენი და 2 1/2 გოჯი, კედლის სისქე კარებში – 14 გოჯი.

ჩრდილოეთი კედელი ყველაზე მეტად დაზიანდა, ჩამოიშალა სხვა მხარეებიც, განსაკუთრებით, სამხრეთი. რა თქმა უნდა, საერთოდ არ არის გადახურვაც. მიუხედავად ამისა, ეს არის ყველაზე უკეთესად შემორჩენილი ნიმუში დასახელებული ტიპის ეკლესიისა, რომლებიც მე აქამდე მინახავს. საკურთხეველის ნახევარწრეში ორი ნიშაა, თითო ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან. ორი ფანჯარა, ერთი მრგვალი კამარის მქონე, საკურთხეველის ნახევარწრეში (სიმაღლე – 1 არშინი და 11 გოჯი, სიგანე შიგნით, განის გაფართოებით – 13 გოჯი), მეორე – დასავლეთში. ეს უკანასკნელი, ცოტათი მომცრო, შიგნით დიდი გაფართოებით. გარედან ის ძალზე ვიწრო ჩანს. ნახევარწრით მთავრდება შიგნით, გარეთ კი გრძელი ოთხკუთხედი ასევე მთავრდება პატარა მრგვალი კამარით. კარი ოთხკუთხაა (სიმაღლე 2 არშინი და 1 1/2 გოჯი, სიგანე – 1 არშინი და 2 1/2 გოჯი). შიგნით მას აქვს მრგვალი კამარა, რომლის განი გარედან დახურულია ერთი მასიური, მთლიანი ქვით (გასწვრივ 2 არშინი და 1 გოჯი X სიმაღლე 1 არშინი და 1 გოჯი), რომელიც გარდიგარდმო დადებულია კარის მხარეებზე (წირთხლებზე). კარი სამხრეთ კედელში 4 არშინისა და 2 1/2 გოჯის მანძილზეა დასავლეთი კედლიდან (კარის განი კიდევ უფრო შორსაა 5 1/2 გოჯით).

ეკლესია აგებულია კირით შედუღებული წყობით, ალაგ-ალაგ ძალზე მაგარი, უზარმაზარი, ცუდად გათლილი ქვებისაგან, რომლებიც იმავდროულად საპირე ქვებსაც წარმოადგენენ. ასე, აღმოსავლეთ კედელში, სამხრეთ კუთხესთან არის ქვა 1 1/4 არშინის სიმაღლის, 1 1/2 არშინის სიგანისა და 10 გოჯის სისქის. სამხრეთ კედელში, შუაში ქვაა 1 არშინი და 13 1/2 გოჯის სიგრძის, 1 1/4 არშინის სიმაღლისა და 10 გოჯის სისქის. შიგნით ქვები უფრო მომცროა. ეკლესია შიგნით შებათქაშებული იყო და, შეიძლება, მოხატულიც: სამხრეთ კედელზე, საკურთხეველის ნახევარწრესა და კარს შორის ღეწად შემორჩა წითელი ხაზი თეთრ ბათქაშზე. გარედან, დასავლეთი ფანჯრის ზემოთ, ერთი წყობის

შემდეგ შემორჩა – ქვაზე გამოჭრილი უბრალო ჯვარი. სახურავი ორფერდიანი იყო, ჩრდილოეთისა და სამხრეთისაკენ, თუ იმ კუთხით ვიმსჯელებთ, რომელსაც ზემოთ დასავლეთი კედელი ქმნის.

ეკლესია გარშემორტყმული იყო ღობით, რომლის ნარჩენები ახლაც შეინიშნება.

**28 ივლისი, ოთხშაბათი.** დილის 7 საათზე გავემგზავრეთ დასამობში. ჩემთან ერთად, გარდა ჩაფარ გასპარისა, არის მილიციელი მამედი, ჩვენი საპალნე ცხენით. ბარგი დატოვებულია, მაგრამ ფოტოაპარატი მოგვაქვს. ტვირთის გაწონასწორებისათვის უნაგირის ერთ მხარეს მიბმულია ქვა.

არის ორი გზა. ჩვენ ზედა გზით გავემგზავრეთ. რამდენიმე წუთის აღმართია, შემდეგ კი დაუსრულებელი დაღმართი თითქმის ზედ სოფელ ფხიკიურამდე. გზა ვიწროა, ალაგ-ალაგ უფსკრულის პირას, არაუმეტეს 1/4 არშინისა, მაგრამ მგზავრობა მაინც შეიძლება, თუმცა ჩემი თანამგზავრები ჩამოქვეითდნენ. გასვლიდან 20 წუთის შემდეგ, ჩვენ გავუსწორდით სიმაგრე **ბაროს** იმერხევის მარცხენა ნაპირზე<sup>1</sup> (სურ. 11). ნანგრევების ორი ნაწილი, თითოეული ვიწრო, გრძელი ფანჯრით, მაღალ, მიუდგომელ კლდეზე, ნათლად ხატავს ადგილობრივი წარსული ცხოვრების რეალურ სურათს. ჩვენ უნებურად ნელა ვმგზავრობდით (საკმაოდ შეეუღლი დაღმართის გამო) და სომხურ სოფელ **ფხიკიურას** მივადწიეთ მხოლოდ 8 1/2 საათზე.

გადავიარეთ რა ხიდი, სოფლის იქით, მდ. ბაძვირეთზე, ქვემოთ, მარცხნივ შემობრუნებისას ადგილობრივმა მცხოვრებმა ქ.ო. ნერსესიანცმა, ფხიკიურელმა სომეხმა, მიგვანიშნა აბანოების ადგილზე. ახლა ყველაფერი დანგრეულია, მაგრამ მას კიდევ ახსოვს ამ ძველი ნაგებობის ნარჩენები. ზემოთ ქვაზე ასევე არის შენობების კვალი. აქ თურქების ბატონობისას იყო ბეკის რეზიდენცია. ადგილს „**ნაცარევი**“ ჰქვია.

<sup>1</sup> ჩაქველთა მდებარეობს აქ, **ბაროს** ზემოთ, და არა **ფხიკიურას** იქით, როგორც რუკაზეა.

ვუხვევდი რა იმერხევის მარცხენა ნაპირზე გასასვლელად, შევნიშნე, რომ პატარა სომეხმა ეს-ესაა დაიჭირა ვირთხა, რომელსაც გრძელი, ფაფუკი კული ჰქონდა. მუსლიმანმა ქართველმა მას ასეც უწოდა – **თაგუ**, ვირთხა, მაგრამ სომეხი ირწმუნებოდა, რომ მას ყველა იცნობს „ქართული“ სახელით **აქილ** მეშივ<sup>1</sup>. გავვდიოთ თუ არა იმერხევის მარჯვენა ნაპირზე, საპირისპირო მხარეს, ფხიკიურელმა მიგვითითა ადგილზე, რომელსაც **დავლაგური** უწოდა. ამბობენ, რომ იქ არის ნაგებობების და ვრცელი მეურნეობის კვალი, ასე მაგალითად, ღვინის საწური, გაკეთებული ქვისაგან. ჩვენ დასამობისკენ ნახევარზე მეტი გზა გავიარეთ, როცა მარცხნივ, ისევ იმერხევის მარცხენა ნაპირზე შევნიშნეთ მწვერვალი **დავლათი**, მის ქვემოთ კი **სანადირო** ხევი. ფხიკიურელები თავის თავს უწოდებენ ანიდან გამოსახლებულებს. ფხიკიურელი გაზარი ყვება, რომ ძველი გადმოცემით, როდესაც ისინი ანიდან გამოსახლებულები ჩამოვიდნენ ამ ადგილზე, განძი, ლითონის ჭურჭელი და იარაღი დამალეს სანადიროში. მისი სიტყვით, იქ ახლაც პოულობენ ამ ნივთებს და ვერცხლის მონეტებს.

ფხიკიურიდან გამოსვლიდან ნახევარი საათის შემდეგ ჩვენ გადავიარეთ პატარა რუ – **გივადის წყალი**, რომელიც მარჯვნიდან ერთვის იმერხევის და შევუხვიეთ კუთხით მარჯვნივ (ჩრდილოეთისკენ). სწორედ აქ, სწორ დაბლობზე არის კიდევ დასამობის ეკლესიის ნანგრევი. ამჟამად გივა-

<sup>1</sup> დასამობში შევნიშნე, თუ როგორ არბოდა კაკლის ხეზე კატის მსგავსი მუქი წაბლისფერი ცხოველი, ცოტათი უფრო პატარა, მაგრამ ისევე ფაფუკი კულით, როგორც მელას. ფხიკიურელმა გაზარმა მას უწოდა **ყასიქი ყასი** კაკლის კატა, სხვა ფხიკიურელმა დაადასტურა, რომ ეს არის სწორედ მეშივი, ქართველმა მუსულმანმა მას უწოდა **თათარძენა**. სხვათა შორის, მდინარეში ბინადრობს თახვი **ძეჟი**, რომელსაც აქ **წყლის ძაღლს** უწოდებენ, ათ წელიწადში ერთხელ გვხვდება **ვარშაყიცი**, ასევე უწოდებენ სომხებიც. ჩემს მიერ მიღებული აღწერილობით ამ ადგილზე უნდა იყოს ვეფხვი. კიდევ აღვნიშნავ, რომ ნაძვის გირჩს ქართველი მუსულმანები **კოკოლას**, ან **ნაძვის კოკოლას** უწოდებენ.

ძის წყალს იქით, სოფელ დასამობში ცხოვრობს მამუდ ახმედ-ოღლი ჯარბიძე, ქართველი მუსულმანი, რომელიც ამტკიცებს, რომ მისი პაპა იყო მღვდელი ეკლესიაში, მაგრამ ეკლესია უკვე რამდენიმე თაობაა, რაც ნანგრევებად არის ქცეული. ახლა ყველაფერი შიგ და გარეთ ჩახერგილია ქვებით, რომლებიც მნიშვნელოვანწილად დაფარულია მიწით და დამალულია მცენარეების ქვეშ. სამხრეთი კედლის ნანგრევზე ხარობს კაკალი, რომელიც იქნება არანაკლებ 30 წლისა; ხეები იზრდება ეკლესიაშიც და მის კედლებზეც. გაჭირვებით შეიძლება ტაძრის გეგმის გარკვევა. უეჭველია, საქმე ისევე გვაქვს ეკლესიის „შავშეთ-იმერხელ“ ტიპთან, ე.ი. მოგროთოთხუთხედთან საკურთხევლის მომრგვალებით. რამდენადმე გვაცბუნებს მასიური ქვების ძველი წყობის მნიშვნელობა, რომელიც ეკვრის აღმოსავლეთი კედლის შუა ნაწილს. ეკლესიის ზომები ჩვეულებრივზე უფრო დიდია: შიგნით სიგრძე 5 საჟენი და 0.5 არშინი, სიგანე – 11 1/4 არშინი. ეკლესიის ირგვლივ ყოფილა ქვის ღობე. დასამობზე ყვებიან, რომ ჩრდილოეთით მდებარე მაღალ მთაზე ცხოვრობდა და-ძმა და გარბოდა სათამაშოდ, ძმა გაეკიდა, აღმოჩნდა, რომ **და სამობს**. აქედანაა სწორედ დასამობის სახელწოდებაო.

ნანგრევებს თელიან ძალიან „ძლიერ“, ე.ი. სასწაულმოქმედ სალოცავ ადგილად. მას ერთნაირად პატივს სცემენ ქრისტიანებიც (ამჟამად სომხები) და მუსულმანებიც (ქართველები). ლოცვისათვის განსაკუთრებული დღე არ არის დადგენილი. მოდიან შორეული ადგილებიდანაც სხვადასხვა დროს, ხშირად აღდგომაზეც. ყვებიან, რომ მამუდ ჯარბიძის ბებიათა გააშენა ბოსტანი სამხრეთ კედელთან, მაგრამ ადგილზევე დაინკრუნჩხა და მოკვდა. სასჯელის შიშით აქაურ მცხოვრებლებს აქედან არაფერი მიაქვთ. შესაძლებელია, გათხრები აქ წარწერებს გამოაჩენენ, ახლა ამის არავითარი კვალი არ არის.

აქვე, უფრო სამხრეთით, იმერხევის ნაპირზე, „თუთის ქვეშ“, როგორც მიუთითებენ, არის ადგილი, რომელსაც „გგალა“ ჰქვია. ჩრდილოეთით, მთებში არის ორი სამკურნა-

ლო წყარო, სადაც ხშირად დადიან გარშემო მცხოვრებნი. მკურნალობენ რევმატიზმს და „ხორას“. სოფელში, ეკლესიის მახლობლად სულ სამი სახლია, ხემოთ, გორაზე, ორი. სწორედ ისინი შეადგენენ მთელს საზოგადოებას. ყველანი მუსულმანი ქართველები არიან. მათი გვარები, გარდა ხემო-დასახელებული მღვდლისა, არის: **ირიდ-ოღლი, წმახ-ოღლი, ჯირ-ოღლი**.

ფსიკიურიდან გამოვედი 3 1/4 საათზე და ზუსტად ერთ საათში ვიყავი სურევანში. ჩვენ ვმგზავრობდით ქვედა გზით, უფრო სწორით, ნაკლები დაღმართებითა და აღმართებით; ეს გზაც მიუყვება იმერხევის მარჯვენა ნაპირს, ის უფრო ქვემოთაა, მაგრამ არა ზედ ნაპირზე. არის ადგილები საშიში, ციცაბო მდინარეზე მაღალი დაქანებით.

კვლავ გამოჩნდა სიმაგრე **ბარა** (სურ. 11). ჯერ ჩვენ გავუსწორდით **ბარიჭალას**, მთის ნაკადულს, რომელიც მარცხენა მხრიდან ხევით ჩაედინება იმერხევაში, შემდეგ – მაღალ მთას, რომლის გვერდით, ასევე მთაზე აზიდულია აღნიშნული სიმაგრე. შორიდან ორი კედელი რომ მოჩანდა თითო ფანჯრით, აღმოჩნდა კოშკები. სიმაგრე აშენებულია მთის კლდოვან წვერზე, რომელიც წააგავს ორკუზიანი აქლემის ზურგს. თითო კუზზე თითო კოშკია, ერთი – ჩრდილოეთით, მეორე – სამხრეთით. ქვის წყობა ცემენტია, მოპირკეთების გარეშე. ჩრდილოეთი კოშკი მრგვალია, ის ზევით რამდენადმე ვიწროვდება; იმავე კონსტრუქციის სამხრეთ კოშკზე საკმაოდ ნათლად გამოიყოფა ოთხი მხარე, თუმცა კუთხეები არ არის მკვეთრი, აღარ გაირჩევა.

იმერხევის მარცხენა ნაპირზე, ჯვარისხევის პირდაპირ ჩვენი მხრიდან მე შევნიშნე ვრცელი მინდორი, რომელსაც ჩამოუდის მდინარე. სწორედ ეს არის **დიდმერე**.

იმერხევაში სოფლები დაყოფილია სახლების ჯგუფებად (სოფლები ან დასახლებები). ხდება, რომ გამოიყოფა ერთი სახლი და ცალკე დგება. ხშირად მთელი სოფელი ხუთი სახლისაგან შედგება, სოფლის უბანი კი – ორი ან სამისაგან. სახლების ყოველ ჯგუფს (სოფელს) ეწოდება „Mehle“



(უბანი – რედ.). ჩვეულებრივ მეჭლეს უჭირავს ოდითგან დასახლებული ადგილი ძველი სახელწოდებით. **სოფლის შუკა-ზე** გავლა შეუძლია მხოლოდ საჯდომ და საპალნე ცხენებს. ის ჩვეულებრივ სოფლის ერთი ბოლოდან მეორემდე გრძელდება.

ასეთია დაყოფა აქაც. სურევანი მთელი სოფელია. ის ექვს უბნად, მეჭლედ იყოფა, რომელთა შორის არის სურევანიც ცენტრში იმერხევის მმართველობით. სოფელი სურევანი თხუთმეტ სახლს ითვლის. სხვა უბნებია: 2. **დავითეთი**, რუკა-ზე დავითეთი და 3. **ფარნუხი**. ორივე დასავლეთით უფრო მაღლა მთებშია. ერთი სახლი ცალკე მთაზე მდებარეობს ჩრდილოეთით. დაბლა, ჩრდილო-აღმოსავლეთით, მდინარეზე, ხიდისკენ გზაზე – 4. **კუტალეთი**. მდინარის გაღმა, სამხრეთ-აღმოსავლეთით: 5. ქვემოთ **ჯვარისხევი**, 6. ზემოთ, მთაზე **ჩაქველთა**. ბარა კი არის ჩაქველთას გამოსახამთრებელი ადგილი (ყიშლა? – რედ.).

წინდაცვეთას უწოდებენ **ჩიჩექს<sup>1</sup>**, **აჭრას** ან **დასუნეთვას<sup>2</sup>** (ბაღანა **დავასუნეთვიეთ**). ერთი წლის ასაკამდე ის დაუშვებელია. წინდაცვეთის ჩატარებისას შეიძლება გაიმართოს გამასპინძლება – სუნეთღუგუნი<sup>3</sup>, ზიაფეთი<sup>4</sup>. ფილაფი, ყაურმა, კლავენ ცხვარს (**ცხვრის დაკვლა**). უმასპინძლებიან ნაცნობებს, ღარიბებს და მდიდრებს, ყველას.

ქორწილი იმერხეველებთან, წვრილხეველის (ხევწვრილფელის – რედ.) ცნობით. „ნიქა“ (**حنا**): სასიძო პატარძლის მამას უხდის ოციდან ორმოც მანეთამდე<sup>5</sup>, გარდა ამისა პატარძალს

<sup>1</sup> ჩიჩექ. **حنا** ყვაილი (სომხ. **ბიხაუ**)

<sup>2</sup> სუნეთ, გადმოცემა სუნნა; წინდაცვეთა **سنت**

<sup>3</sup> სუნეთ ღუგუნი, წინდაცვეთის ღვინი **سنت ترگونی** („ღუგუნ“ საკუთრივ ქორწილს, ზემის ნიშნავს)

<sup>4</sup> **سنت** ნადიმი (ღვინი)

<sup>5</sup> თეთრაკეთში მეუბნებოდნენ, რომ ნიქა რჩება მომავალი ცოლის ხელუხლებელ კაპიტალად. ცოლის გარდაცვალების შემდეგ კი, ვაჟი-შვილის ან ქალიშვილის, თუ შვილები არ ყავს, უბრუნდება დედას ან მამას, თუ მშობლები არ ყავს – მმას. მამას ეძლევა მარტო „ბაშლუ-

– ჩასაცმელის მთელ კომპლექტს<sup>1</sup>. შუამავალს „**ელჩს**“ (**الچي**) უწოდებენ. საქმეში შეიძლება იყოს შუამავალი ქალიც, მაგრამ საქმე მაინც ელჩმა მამაკაცმა უნდა დაასრულოს. შუამავლები სიძისაგან სამსახურისათვის დებულობენ ფულს და საჩუქრებს თავიანთი გარჯის შესაბამისად. როცა შეთანხმება მიღწეულია, სასიძო თანმხლები პირებით (20-30 კაციანი მაყარი), მათ შორის მამა<sup>2</sup> და ნათესავები, მიდის დანიშნულთან. ყველა ამ გამცილებელს (თანმხლებს? – რედ.) უწოდებენ მაყარს. შედის რა ეზოში, მაყარი იწყებს რეგოლვერებიდან და თოფებიდან ჰაერში სროლას. იწყება ცეკვა: „სამა“, „ფერხული“, „ჯუმბუში“ (**جمنش**), სიმღერა. უკრავენ ასევე გუდა-სტვირზე: „თულუმბუ“ (**تلمب**) ან „ჭიბონზე“, „ჭიბო“. ცეკვავენ განურჩევლად ყველანაირ ცეკვას: „ყარშიბერსა“, (იგივეა, რაც „ხელ-გაშლილი“) და „დელი ხორომსაც“. საცეკვაოდ პატიუებენ სიტყვებით: „ისამე“, ან „ადეგ **ისამე**“, resp. „ადეგ **ისამე**“. უმასპინძლებიან შეძლებისდაგვარად, მაგრამ სასმელებიდან მიაერთმევენ მხოლოდ ყავას, ჩაის, ბეჭმეხს და შერბეთს<sup>3</sup>.

„მაყრები“ მეორე დღის შუადღისათვის მიდიან, სასიძო კი უახლოეს ნათესავებთან ერთად<sup>4</sup> რჩება და პირველად აჩ-

ლი“ ან „საჩუქვარი“. გასაგები რომ ყოფილიყო თეთრაქეთელმა დაუმატა: **თუ გოგო გოდოუბრუნე (sic), ბაშლულს ავართვამ. ორ წელ მეყოლება, ვერხუბები, დავუბრუნებ მამას. ნიქა სჯულის არი, ვერ ავართვამ.**

<sup>1</sup> თეთრაკეთელის ცნობით: ორი წყვილი, ერთი სამუშაო, მეორე სადღესასწაულო. ქვეშაგებს მამა ქალიშვილს, მაგრამ არა ყოველი მამა.

<sup>2</sup> თეთრაკეთელის ცნობით, მამა არ მიდის, **სირცხვილია**, მაგრამ მმას შეუძლია გაყოლა (**ზმა მიყვება**).

<sup>3</sup> აქ თეთრაკეთელმა დაუმატა: გამასპინძლება „**თლათ ბიჭი თერფვიდან**“ უნდა იყოს. პატარძალს ფულს უყრიან **თეთრი მანდილით** გადაფარებულ მაგიდაზე (**სუფრა**) 50-50 კაპიკს. ამასთან „მკრეფი“, მისი მამის ან ძმის ხალხიდან იძახის: „ამან ამდენი მისცა“, პატარძალი კი ყოველ მაყარს, განსაკუთრებით **ფულის გამგდებელს**, ჩუქნის თავისი ხელით ან მეზობელი ქალის მიერ მოქსოვილ პერანგს ან წინდებს.

<sup>4</sup> თეთრაკეთელის ცნობით, ყველა მიდის სასიძოს გარდა.

ვენებენ ქალს: **ახლიან პირ** (სახიდან ჩადრს ჩამოსხნიან). ამის შემდეგ სასიძო, უკვე ქმარი, სამ დღეს რჩება: **ქალს ანებებენ**. სამი დღის შემდეგ ის მიდის. ცოლი რჩება მშობლებთან ორი თვიდან ორ წლამდე<sup>1</sup>.

ამ დროის გასვლის შემდეგ მამა ქალს აგზავნის ქმართან თავისი ხალხის, მაყრების თანხლებით (თურქულად „დუიზნჯი“ **دوزخچی** ნაცვლად). „მაყარი“ იმდენია, რამდენიც სასიძოს ყავდა. ეზოში შედიან თოფის სროლით, მუსიკით, ცეკვით და სიმღერით. საღამოთი მოდიან, დილით – მიდიან, ტოვებენ რა ახალგაზრდა ცოლს.

მომღერლებსა და მუსიკოსებს სხვა სოფლებიდან პატიუბენ, თუ თავიანთ სოფელში არ ჰყავთ. მაგალითად, როგორც სურევანშია. მეზობლები მოდიან, ულოცავენ, ემსახურებიან, მაგრამ საჩუქრები არ მოაქვთ.

თეთრაქეთში კიდევ მეუბნებოდნენ: „თუ ვინმემ **მეფარა** (შავშეთ-იმერხევში, **მეფარა** – მაჭახელში) ქალი, რაც ასევე ხდება, მაშინ მშობლები (მამა), ან ნათესავები (ძმები) იწყებენ დავას და ღებულობენ 50-დან 100 მანეთამდე. საქმე შეთანხმებით, **რაზი<sup>2</sup> რომ ექნა**, სასიძოს მოუწევდა 15-25 მანეთის გადახდა. **სისხლისძიება** აჭარაშია, ჩვენთან არ არის და არც ყოფილა”.

ნადირობა არ არის გამონაკლისი იმერხეველთა საქმიანობაში, მაგრამ მხოლოდ დამხმარე საქმეა მათ შეჭირვებულ ცხოვრებაში. გარდა ამისა, ნადირობა თავდაცვაა ნადირისაგან.

იმერხეველებს განსაკუთრებით დიდ ზიანს დათვი აყენებს. აქ დიდი დათვებია, – 15 მტკაველი და მეტი სიგრძის. ახლავს მიიღეს ცნობა მთებიდან (დაილებიდან – რედ.), სადაც საძოვარზე ჯოგებია გარეკილი, რომ დათვმა დაგლიჯა ქალი, რომელიც რაღაცას კრეფდა, ბავშვები რომ გამოეკე-

<sup>1</sup> თეთრაქეთელის ცნობით, ორი დღიდან სამ წლამდე ცოლ-ქმრის შეთანხმებით.

<sup>2</sup> რაზი, **رازی** თანახმა.

ბა (იხ. 1 აგვისტო). დათვები ანადგურებენ საქონელსა და ნათესებს. გუშინ ღამით დათვმა გაანადგურა სოფლის მმართველობის ახლოს მდებარე სურევანის მცხოვრებთა სიმინდის ყანა. დათვის მოკვლა მცხოვრებლებს არ შეუძლიათ, რადგან, მათი სიტყვებით, მათ თოფები ჩამოართვეს<sup>1</sup>.

დათვების შესაშინებლად ანთებენ კოცონს, ან კიდევ აკეთებენ **სარაკუნას**, რომელსაც „**დათვოულს**“ უწოდებენ. დათვოულს ასე ამზადებენ: წმენდენ მორს, ამუშავენ მას – ჩაქუჩით წინა და ღრმულით უკანა ბოლოზე. შუაში შეკრულია გარდიგარდმო, ორ ბოძზე დადებული განივი კოჭით. ამ კოჭზე მორი ქანაობს, ამასთან ჩაქუჩი ურტყამს ხის ფიცარს და იწვევს ხმაურს. კაკუნი რომ განუწყვეტელი იყოს, მორის იმ ბოლოსაკენ, სადაც ღრმულია, ღარით გაყვანილია წყალი: წყალი ავსებს ღრმულს, მორის ჩადრმავებული ბოლო გადაწონის, ჩაქუჩიანი – მადლა ადის, წყალი ჩადრმავებული ბო-

<sup>1</sup> იმერხეველებთან გვიანდელი საუბრებიდან, განსაკუთრებით სოფელ იმფხრეულში, გამოირკვა, რომ თოფები მოსახლეობას მაინც აქვს. სანადირო თოფებს ყიდულობენ 30 მანეთად. ზამთრობით იმერხეველები თოფებით ნადირობენ დათვებზე: კვალის მიხედვით ეძებენ ბუნავს (**სორი**), რომელშიც დათვი გამოსაზამთრებლად აფარებს თავს. ათ კაცამდე გარს შემოერთყმის ბუნავს, ერთი, ყველაზე გაბედული, მიდის წინ და იწვევს დათვს. დათვი გამოდის და კლავენ. თოფით ნადირობენ კურდღლებზეც. მგლებს და მეღიებს იჭერენ ბადით, რომელსაც ადგილზე „ღირგანს“ უწოდებენ, ქართულად კიდევ „**მერულს**“. ს.ს. ორბელიანისა და დ. ჩუბინოვის ლექსიკონებით, „**მერული**“ ორკაპი ფიწალია. ნადირობენ **კვერნაზე** და **მელიაზე** ტყავისათვის. „ვარშაყს“ იმფხრეულში ვერ გაიხსენებენ. „ვარშაყს“, მითხრა ახალგაზრდა იმფხრეულელმა, ჩვენ ვუწოდებთ „**ჯეირანს**“ (მაგრამ ქართულად ჯეირანი ნიშნავს არხვს, თურქულად **جیران** *gazan*). მისი ტყავი (ფოსტი **پوست**) მე მხოლოდ ბათუმში ვნახე. არაფერია მასზე ლამაზი. მაგრამ „ვარშაყი“ რაღაცა სხვა არის, ვიდრე ჯეირანი. „ვარშაყს“ მხოლოდ გადმოცემით იცნობენ, იმფხრეულელი მოხუცებიც კი. გარეული თხაც ბინადრობს ამ მხარეში და მონადირეთა იოლად დასაუფლებელ ნადავლს წარმოადგენს, განსაკუთრებით იმფხრეულელებისათვის. ზამთრობით, როცა თოვლი ღრმაა, მგლებსა და მეღიებს, ასევე პატარა დათვებს, იჭერენ და ბაწრებით კრავენ, დასდევენ თხილამურებზე მდგარნი. მხეცები ვერ გარბიან. დიდ დათვებზე ამგვარად ნადირობას ვერ ბედავენ.

ლოდან იქცევა და მეორე ბოლო ეცემა დაბლა და ჩაქუჩით ურტყამს ფიცარს. ეს საფრთხობელია მე ვნახე 2 აგვისტოს სახნავში, მჭედრეულიდან ჩრდილოეთით ხუთი წუთის გზაზე ზედ მდინარე ჩიხორას მარცხენა ნაპირზე. მორი არ არის დიდი ზომის, 1 1/2 არშინის სიგრძისა. სხვა ყველაფრით ეს მოწყობილობა ძალზე ჰგავს ღომის საღებავ გურულ ჩამურს (*წყლის ჩამურს*).

თევზჭერით ბევრია დაკავებული, განსაკუთრებით იმ სოფლებში, რომლებიც მდ. იმერხეზეა განლაგებული. მდინარეში ბევრი კალმახია. „იმერხევის კალმახი, იმფხრეულელთა აზრით, მთელს მსოფლიოშია განთქმული“. იჭერენ თევზს ჯოხზე მიმაგრებული ბადით: „ბადე *კეტი*“. აქაურებმა გადასაგდები (სასროლი?- რედ.) ბადე (*اطمة*) იციან, მაგრამ მისი გამოყენება აქ წყალმარჩხ იმერხეში შეუძლებელია.

იმერხეველთა მეურნეობამ თაფლის დამზადებაც იცის. *ყოვანი* *قوان* ფუტკრებისათვის (ფუთკარი) ხეებზეა შედგმული, თითოზე სამ-სამი და მეტიც, ასევე ყავანს დებენ მიწაზეც. მას *ყავრით* ხურავენ (თ. ხედურა). 1 აგვისტოს ზაქიეთში მასპინძელმა, მანვენებდა რა სკას ხეზე, მითხრა:

„ეს ერთი ცალერია (*sic*), დავსილი; ბევრს არ ძლებს სიცივეში“.

ახლა ყველაზე თბილი დროა.

*ეს თვე რომ დაიღვეა, მარიობა<sup>1</sup>, ართუზ<sup>2</sup> სიცივე მოვა. თხუთმეტი ტკაველი თოვლი მოვა. იქნება რომ ოცდაათხ საათ არ გამოვადლო. ბაზი<sup>3</sup> ყის სექიზ<sup>4</sup> საათ იქროლებს ქარი.*

რძის ნაწარმიდან ზაქიეთში ჩემი ყურადღება მიაქციეს შემდეგს:

<sup>1</sup> „მარიობა“ – ასე უწოდებენ ქართველები, ქრისტიანები ღვთის-მშობლის მიძინების დღესასწაულს აგვისტოში, მარიამობისთვის. იმერხეში კი აგვისტოსაც მარიობა ქვია.

<sup>2</sup> арых,

<sup>3</sup> i بعضى

<sup>4</sup> قرق سكر, kix cekiz

*მაწონს რომ გააკეთებენ, იმას შედლობენ, ჰემ<sup>1</sup> ერბო გამუა, ჰემ წოვად ან დონთბაჲ. დოს მოადუღებ, ბეზში (ჩაფში) გადაასხამ. გეძწურვის, შიგან სქელი დარჩება, იმას ქვია დონთბარი, ან დონთბაჲ.*

იმერხევის ქვედა ნაწილებში კიდევ აგროვებენ *თრიმლის* (тримл-и თ. трийаса, სიტყვიდან *три*) ფოთლიან ტოტებს ტყავის გასათრიმლადად და ყიდიან მას სათლეში მთრიმლავებზე (табах თ. ). მჭედრეულში მე ნახული მაქვს ახალმოკრევილი კონები და ფოთლების შეკვრები, რომლებიც სახურავ-ქვეშ ხეებზე იყო გაშლილი.

**ხელოსნობა.** ხელოსნობით იმერხეში უმთავრესად სომხებია დაკავებული; უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, რომ ბოლო დრომდე მხოლოდ ვაჭრობითა და ხელოსნობით აქაური სომხები იყვნენ დაკავებული. სომხები ერთ სოფელ ფხიკიურაში ცხოვრობენ. ცოტა ხნის წინანდელი ხანძრის შემდეგ, რომელმაც გაანადგურა მთელი მათი სოფელი, მიუხედავად მთავრობის დახმარებისა, ისინი გაჭირვებაში ჩავარდნენ. თუმცა ფხიკიურელი სომხების მდგომარეობა, მომხდარი უბედურების გარეშეც, წლითიწლობით უარესდებოდა ადრეც და ამჟამად მათი სოფელი ყველაზე ღარიბია იმერხეში, და, შეიძლება ითქვას, მთელ შავშეთშიც. როგორც ზემოთ ითქვა, ისინი თავისთავს ანიდან მოსულად მიიჩნევენ, მაგრამ რაღაც ძალზე ბევრია ყველგან ამ სახელოვანი ქალაქიდან მოსულები. ძველად ფხიკიურაში 70-მდე სახლი იყო, მაგრამ ბევრი წავიდა ან მოკვდა. ამჟამად სულ 24 სახლია.

– „ესე იგი, ახლა თქვენ უკეთესად ხართ“, – ვუთხარი მათ. „მიწა იმდენივეა, რაც იყო, ხალხი კი – ნაკლები“.

– „არა, ჩვენ გაცილებით უარესად ვცხოვრობთ, რადგან ჩვენი წინაპრები არც მიწათმოქმედებას ეწეოდნენ და არც მიწა ჰქონდათ. თუ სიმინდს თესავდნენ, ეს ბავშვების გასართობად კეთდებოდა, იმისათვის, რომ ახალი სიმინდი სუფ-

<sup>1</sup> 5. hem, هم

რასთან ხილად ჰქონოდათ. ჩვენი მამები და ჩვენც ამ ფქვილს მაშინ არ ვიყენებდით. ვყიდულობდით კარგ ხორბალს ართვინში და აქ ჩამოგვქონდა სახმარად. ვაჭრობა ჩვენს ხელში იყო. ნემსში ჩვენ ქათამს ვღებულობდით. ხალხი აბდალი იყო. რუსებმა ეს მხარე რომ დაიპყრეს, მუსლიმანები გაჭკვიანდნენ. მათ თვითონ მიაქვთ სურსათი ართვინსა და ახალციხეში გასაყიდად. ხელოსნობა არ გვშველის ჩვენ. მოსახლეობა გადარბდა, ჩვენ ადრე დაკვეთებით მარტო სურევანიც გვკვებავდა. ახლა თვითონაც არაფერი აქვთ. ჩვენც იძულებული გავხდით, მიწის დამუშავებისათვის მოგვეკიდა ხელი, მაგრამ მიწა არ არის, ცოტაა”.

მაგრამ ფხიკიურელები აგრძელებენ ხელოსნობას: კერვას, შალის დამუშავებას და მეჯღანეობას. ფეხსაცმელი ახლა თავისთვისაც შემოაქვთ. მე-12 სურათზე წარმოდგენილია ოსტატი, რომელიც მუშაობს ძაფის დამამზადებელ დაზგასთან. მომუშავეზე ტყავის **ქამარია (ქაქა)** ბაწრით. **ქამარზე (ჯანაქ ან მანსაბ ჯანაქ)** გაჭიმულია ბაწარი: **ჯიას ან ყაყას**. ბორბალს თურქულად ქვია „“, ან სომხურად „ჯახრა“ (შდრ. ქართ. „ჭახრაკი“). მომყავს სხვა ნაწილების სახელწოდებებიც: **მუჩი** ტანი, ღერძი, **ნოქერ** ფეხები, დასადგამები (მათზე **აჩქერ**), **აჩქერ**, **ჩქჩქ** (ხის მოწყობილებები „მილებზე ჩანაჭრებით“), **ქერაყაჩქ** ქამრები, **ქინტიოქ**, **მანაყაყ** (შდრ. ქართული „მახარი“), **ჩქერ**. ლითონის ქინძისთავი, რომელზეც ხის სატრიალაა **მუჩქერ**. ამ დაზგაზე ამზადებენ **(მანსქ)** თხის ბეწვის ძაფს (**ქქქ**), შემდეგ საქსოვ დაზგაზე ძაფებისაგან ქსოვენ **(ქქქქქ)** „ჩუვალს“, უხეში შალის ფარდავის მოგრძო ნაჭერს, „სერვის“, ამნაირი ნაჭრებისაგან შეკერილ პატარა ხალიჩას და ქამარს ცხენისათვის (голан, белчек). მუშაობენ მამაკაცები. მე მარწმუნებდნენ, რომ თით-

ქოს ყველა ეს მოწყობილობა არის მხოლოდ ფხიკიურასა და სათლელ-რაბათში<sup>1</sup>.

**დაკრბალვა** იმერხეველებში. სიკვდილის წინ იწვევენ ხოჯას, რომელიც მომაკვდავს უკითხავს ყურანს. როგორც კი ავადმყოფი კვდება, სახლში მყოფი ახლობლები, როგორც მამაკაცები, ისე ქალები, კივილს ტყვენ და ტირიან. მაგალითად მამა შვილის ცხედართან მოთქვამს:

*ვაჟ მე, შვილო!*

*მარტივი დამტოვე,*

*რა ღღეს მოვესწარ!*

*შვილი არა მყავს.*

*ვინ უნდა მემიაროს?*

*ვაჟ მე, ვაჟ მე!...*

და ამას მოჰყვება ამოქვითინება.

მოდინ ნაცნობები და ნათესავები (მისი **ქისიმები**), ასევე მამაკაცები და დედაკაცები. ისინიც კივიან და მოთქვამენ. მათი მოთქმა შეიცავს ნუგეშისცემას. ასე მაგალითად:

*ნუ იტირებ, შვილო!*

*ეს არის ღმერთის ემრო?*

მოტირალი განაგრძობს:

*ვაჟ მე, მე რა ვქნა?*

*მე დავრჩი, სა წვეიდე?*

სიკვდილის შემდეგაც ხოჯა კითხულობს ყურანიდან. შესაძლებლობის შემთხვევაში უმადვე მარხავენ. ელოდებიან მხოლოდ ხოჯას, რომ ყურანი წაიკითხოს და ნათესავების მოსვლას, თუ ვინმე სახლში არ არის, მაგრამ სამოთხ სა-

<sup>1</sup> შემდგომი გამოკითხვებიდან გამოირკვა, რომ თვით იმერხეველებიც, მუსლიმანები ასევე მისდევნენ ზოგიერთ ხელობას. ასე მაგალითად: ერთ სოფელში ბავშვებისათვის ამზადებენ აკნებს, მეორეში (სურევანში) მუსიკალურ ინსტრუმენტ „თულუმბას“, იმფხრეულში ქალები ქსოვენ შალის ქსოვილს და აცემევენ მამაკაცებს. იმფხრეულელი მეუბნებოდა: *ქსოვა ყოველ სახლში არის წინდის, შალის ქსოვა თელამ იციან (sic), ამა ყველ სახში არ არის*.

<sup>2</sup> emp اس

ათზე მეტს მიცვალებულს სახლში არ აჩერებენ და დასაკრძალავად მიაქვთ. ბაძვირეთში ასევე მეუბნებოდნენ, რომ მარხავენ არაუგვიანეს 2-3 საათისა სიკვდილის შემდეგ, თუ ჯერ კიდევ არ დაღამებულა, თუ არადა დილაძე ელოდებიან. ამისათვის ცხედარს „ბეზში“ ახვევენ: გაწვართავენ გაშლილ „ბეზზე“, რომლის ბოლოებს გვერდებიდან შემოუკეცავენ. სუდარას „ქეფინს“ უწოდებენ. სუდარაში გახვეულ მიცვალებულს დებენ საზოგადოებრივ კუბოში, „თაბუთში“. კუბო სამხსრია: ფსკერი ორი გვერდითი ფიცრით. ზევიდან ღია არის: ზევიდან აჩულია (აყრ ღია). როცა საფლავში დებენ (ცხედარს – რედ.), ხოჯა მიწას აყრის. ყველა მიდის და ხოჯა ყურანიდან კითხულობს. საერთოდ, ხოჯა გარდაცვლილს მარტო უკითხავს. „თაბუთი“ უკან მიაქვთ მეჩეთში შესანახად. ცხედართან ხოჯა კითხულობს შემდეგ სურებს: 1. დასინს, (36-ე სურა), 2. *აღხემს* (შეიძლება. ერთ-ერთ სურას ასოებით *ا*), 3. *ყულ ჰუველა ვაჰდ* (შესაბამისად „აღ-ახლასს“, 75-ე სურას). ხოჯას მისი შრომისათვის გარდაცვლილის ახლობლები შესაბამისად უზღავენ: „ხიზმეტი (*sic*) უნდა უყოს ხოჯას“ ფულით (1 ან 2 მანეთი)<sup>1</sup>.

<sup>1</sup> თეთრაქეთში მე კიდევ შემდეგი წერილმანები მაცნობეს: „გახვენებისას შეიძლება გაუმასპინძლდნენ. *მკვდარი საპაბი* (მდრ> ქართ. *ჭირისუფალი*) „*მიათვამს საჭმელ მარტო მეზრეს ოთხ გამოხრელს*“, სხვებს, განსაკუთრებით ჩამოსულებს, მეზობლები უმასპინძლებიან. დაწესებულია, რომ „მიცვალებულის პატრონმა“ მესაფლავეებს გადაუხადოს, – ორ-ორი აბაზი თითოეულს (ოთხია სულ) „*ისხადი*“. 61 ადამიანმა უნდა მიიღოს 10-10 კაპიკი (*ორ-ორ მარჩილი*), ესენი მლოცველებია (*მლოცველი*). „დეირი“: 12 ან 13 ადამიანი ღებულობს, თითოეული ორ-ორ აბაზს (მათ შორის ხოჯაც, მაშინ ისინი ცამეტი იქნებიან). *გამბანელს 1 მანათი, წყლის დამსხმელს სამი აბაზი, ხოჯას ღოცვითი 1 მ., 1 1/2 ან 2 მ. და 18-20 ელები ბეზი (თეთრი, თხელი). ვინცა სამარეში მერთედ დუყუდებს, ხუთი, ექვსი შაური. ორმოც დღესაც უკითხავს მკვდარ ბატონს ან ხოჯა, ან ვინც კითხვა იცის, ორი მანათი იმას. სამი მანათიც, ვინც თავიდან-ბოლოში ჩვენს მუსჰაფს წაიკითხავს. ფუხარა მისცემს, სხვა ნამეტარს.* ხარჯებში ახლობლებს არავენ ეხმარება (*ადეთი არ არი*).

**29 იელისი, ხუთშაბათი.** სოფელი, რომელშიც დღეს ვაპირებთ წასვლას, მოსახლეობის მიხედვით ერთ-ერთი ყველაზე დიდია იმერხევში: 80 სახლი (ახალდაბაში უფრო მეტია, 300 სახლი, მაგრამ ეს სოფელი შავშეთშია).

8 საათზე გავემგზავრეთ წყალსიმერისაკენ. ისევ ჩამოვედით მდ. იმერხევზე გადაბულ ხიდზე, მაგრამ მასთან მისვლამდე გადავიარეთ პატარა მთის ქედი. შორს, ჰორიზონტზე გამოჩნდა სურევანელთა სამომთაბარო სადგომები. გზა მთელ სიგრძეზე შედარებით ასატანია, თუმცა, რა თქმა უნდა, არც ისე სწორი, როგორც სურევანში მეუბნებოდნენ<sup>1</sup>.

1 საათის შემდეგ ჩვენ გადავიდით იმერხევს მარცხნივ. მარჯვნივ დავტოვეთ წეთილეთი და შემდეგ თითქმის ზედ სოფელ წყალსიმერამდე ავდიოდით მაღლა. გამოჩნდა იმფსრეულის სიმაგრე. წყალსიმერში მაშინ შევედით, როდესაც გუშინ გარდაცვლილ ვიღაც ქალს მარხავდნენ (შეადარეთ ცხედრის 3-4 საათით გაჩერება). ხოჯა ხმამაღლა ზეპირად კითხულობდა, ირგვლივ კი ასამდე ადამიანი იჯდა და უსმენდა (შეადარეთ ცნობას, რომ მარტომ უნდა უკითხოს). 11 საათზე ჩამოვედით ჩვენ წყალსიმერში. მოვდიოდით ნელა დატვირთულ ცხენთან ერთ ნაბიჯში.

სოფელი წყალსიმერი შედგება სამი მეჰლესაგან: **წყალსიმერი, შოლტისხევი** (წყალსიმერიდან აღმოსავლეთით) და **ბზათა** (წყალსიმერიდან ჩრდილოეთით). სოფელში სულ 112 სახლია.

სოფელ წყალსიმერში არის მეჩეთი და მედრესე, სასწავლებელი, რომელშიც ასამდე მოსწავლე სწავლობს. ახლა მათაც არდადეგები აქვთ, მაგრამ მაინც შეინიშნება ხოჯებისა და მოღების სიმრავლე. მოლას აქ მოსწავლესაც უწოდებენ, რომელთა ნამდვილი სახელი „თალიბი“ **طالب** ( ) მათთვის ასევე ცნობილია. ეს მულა-სტუდენტები სხედან კიდევ იმერხეველთა ჯგუფში (სურ. 13), რომელიც მე გადავიღე წყალსი-

<sup>1</sup> „*გაყოლილია*“ მითხრა სურევანელმა, უნდოდა ეთქვა, რომ გზა სწორია.

მერში (ქალაქის სკოლის მოსწავლე, ჩაფარი თოფით, ფესკიანი მოხუცი, ადგილობრივი ვაჭარი – ყველა სომეხია). სასულიერო პირთა გავლენა იმაში ვლინდება, რომ მხიარულობა და სიმღერები გამორიცხულია ადგილობრივთა ცხოვრებაში. მომღერლებს ხოჯების ეშინიათ. ერთმა შეძლებულმა თურქმა საიდუმლოდ მითხრა, რომ ხოჯებისგან მათ ცხოვრება არ აქვთ, თამაშები, სიმღერები, მუსიკა – გაქრა წყალსიმერში. ამ საქმეთა მცოდნეები ახლა მხოლოდ იმფხრეულშია, საიდანაც პატიუბები მათ სხვადასხვა სოფელში ქორწილებსა და სხვა დღესასწაულებზე. თუმცა უფრო ადრე მე მისახელებდნენ ვინმე ესადას წყალსიმერიდან, როგორც მამაკაცების, ისე ქალების სიმღერების კარგ მცოდნეს, მაგრამ ის, როგორც ჩანს, სადღაც გაუჩინარდა, რომ არ გამოეწვია ხოჯების უკმაყოფილება: ჯერ თითქოს საზაფხულო საძოვრებზე (დაიღებზე) წავიდა, შემდეგ მპირდებოდა იმფხრეულში დაწევას და იქ ჩემს კითხვებზე პასუხის გაცემას. გასაგებია, რომ თუ სომხურ სოფელშიც კი, ფხიკიურაში, მოგვიხდა ეთნოგრაფიული მიზნებით ქართველი მუსულმანი ქალისთვის ფოტოსურათის მალულად, მასპინძლის ფანჯრიდან გადაღება (ისინი სტუმრობდნენ ჩემს მასპინძელს, მას შემდეგ, რაც მათ მიიღეს აბაზანა უახლოეს სამკურნალო წყაროზე (იხ. სურ. 14). წყალსიმერში ამაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო, თუმცა დაგვთანხმდნენ, ეთნოგრაფიული ადგილობრივი მუსულმანი ქალის კოსტუმი, რომელშიც სომეხი ქალი გამოეწყო (სურ. 15). იგივე სომეხია გადაღებული ქმართან და შვილთან ერთად ართვინში სომხურ კოსტუმში ჩაცმული (სურ. 16).

იმერხევში ყველა ჩივის მიწის ნაკლებობას. საკმაო რაოდენობით არ არის არც სახნავი და არც საძოვრები. ადრე საქონელს აჭარის მთებში მირეკავდნენ, ახლა იქ არ უშვებენ. ადგილობრივი მცხოვრებლები, აჭარლები, ამბობენ, რომ ეს მიწა მათია და საძოვრებიც მათ ეკუთვნით. ასეთი მდგომარეობაა სურევანში, დიობანში, იმფხრეულში და სხვ. მაგრამ განსაკუთრებით უჩიოდნენ ბედს წყალსიმერში, სადაც გარეშე თვალით ჩანდა, რომ თითქოსდა ყველაფერი საკმა-

რისადაა და სადაც ასე თვალში საცემია სასულიერო პირთა სიმრავლე. წყალსიმერელთა შორის შეინიშნება კიდევ ყველაზე დიდი მოძრაობა თურქეთში. გადასახლებას იწვევს ეკონომიკური და უკმაყოფილებლობა. არის სულიერი ხასიათის უკმაყოფილებაც. შარიათისა და კანონის შეჯახებისას საქმე, ადგილობრივ მუსულმანთა თვალსაზრისით, წყდება მათი კანონის (შარიათის) დარღვევით. ახალგაზრდა მულას მაგალითად მოყავდა მფლობელობის ხანის საკითხი. „შარიათით ათი წელი ფლობა ადგენს საკუთრების უფლებას, რუსული კანონით კი საჭიროა ფლობის 20, 30, 60 წელი“, – ამტკიცებდა ის, – „და ესეც არაფერს ამტკიცებს უფროსობის თვალში“. მომეჩვენა, რომ პრობლემა არა იმდენად რუსული კანონისა და შარიათის შეუსაბამობაშია, რამდენადაც შინაგან ურთიერთგაუგებრობაში ადგილობრივ მუსულმან მოსახლეობასა და უფროსობაში, რაზეც მოსახლეობა თუმცა დუმს, მაგრამ შინაგანად ყველაფერში ხედავს მუსულმანებისადმი არაკეთილმოსურნე დამოკიდებულებას. ხშირად ჩივიან, რომ ხელისუფლება ავიწროებს სასულიერო პირებს. ერთი ასაკოვანი წყალსიმერელი მეუბნებოდა: „ოთხი წლის წინ ჩვენ გვეავდა ასატანი, ჩვენი ძაღვების შესაბამისი, მმართველობა. ახლა ჩვენ დაგვაკისრეს კანცელარიის შესანახი მძიმე ხარჯები, სამი კანცელარიის შესანახი. გარდა იმისა, რომ ჩვენ კანცელარიისათვის ვიხდით ფულს, ფულს, რომელიც არა გვაქვს და რომელსაც ვალად ვიღებთ; ეს ცოტაა, რაც აშენდა კანცელარია და დაიქირავეს „ქათიბი“ (მწერალი), სულ რაღაც საქმეებია, სულ გვიძახებენ და გვეკითხებიან და ჩვენ ჩვენთვის ძვირფას სამუშაო დროს ვკარგავთ“<sup>1</sup>.

3 1/4 საათზე წყალსიმერიდან გავედით. გზა გადის მდ. იმერხევის ხიდზე დიობანისაკენ. ერთ ადგილას გზა გადის შიშველ ტაფობზე, ან შიშველ ღრანტეზე, წყლიდან შორს. აუტანელია სიცხეც. გზა საუკეთესოა. ერთ საათში გავუს-

<sup>1</sup> სოფლის მმართველობისადმი ასეთმა უკმაყოფილებამ თავი იჩინა მეზობელ აჭარაშიც, თუ ვიმსჯელებთ „დეილი ნიუსის“ (1905 წლის 25 თებერვალი) მიხედვით.

წორდით სიმაგრეს, მდინარის მარცხენა ნაპირზე რომა აგებული. როცა ვუახლოვდებით ხიდს, რომ კვლავ გადავსულიყავით მარცხენა ნაპირზე იმფხრეულთან [ახლოს], ხალხი მიაწყდა წყაროს წყალს, რომელიც მოედინება გარდიგარდმო გადებულ ხეში ამოჭრილი ღარით. სწორედ აქ, კოკლიეთში, დიობანის მეჭლეში, გზიდან მარცხენა მხარეს, სიმინდის ნათესებში, პატარა მაღლობზე შევნიშნე მასიური ქვების ძველი წყობა. აღმოჩნდა, რომ ეს არის ეკლესიის ნანგრევები და ადგილს უწოდებენ საყდარს. ახლო დათვალიერებით თვით ეკლესიის შესახებ ვერაფერი გავარკვიეთ. გასაგებია, რომ ტაძარი ჯვარისებური კი არა, ოთხკუთხედიანია, შეიძლება, შავშეთ-იმერხევის ტიპისა. შუაში იზრდება უშველებელი კაკლის ხე. ეკლესიის ზომები ამ ტიპის ნაგებობისათვის დიდი იყო. გადავვლით რა ხიდზე, ტვირთმზიდი ცხენი გავეშვი დამისსათვე ადგილზე, თვითონ კი მარჯვნივ, სიმაგრისაკენ გავემართე.

სიმაგრე მდ. იმერხევის მხრიდან იმფხრეულის სამხრეთ-აღმოსავლეთით პირამიდის ფორმის მაღალ მთაზეა (სურ. 17). მთა მუხლებად აღის ზემოთ, ყოველ მუხლთან შეერილია, ზევით კი – კლდის გვირგვინი. სიმაგრე ამ გვირგვინზეა აგებული. კედლები ნაშენებია ადგილობრივი ქვისაგან ცემენტის უხვად გამოყენებით. მოპირკეთებული არაა. ბუნებრივად დაცული მხრიდან კედლის სისქე 1 1/4 არშინია. მისადგომი მხრიდან კი (ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან) გაცილებით სქელია, ორმაგიც კია. ციხის გეგმა ოთხკუთხედიანია, მაგრამ არასწორი. ჩრდილო-აღმოსავლეთით შეინიშნება მომრგვალება. საერთოდ ჩანს, რომ მშენებლობის დაწყებისას გეგმა შემუშავებულია არსებული თავისუფალი ფართის ხასიათის შესაბამისად. ჩრდილოეთი და განსაკუთრებით სამხრეთი (შიგნით 5 საუენი და 1 1/2 არშინი) კედლები გაცილებით უფრო მოკლეა, ვიდრე ორი სხვა. შედარებით კარგადაა შენახული აღმოსავლეთი და დასავლეთი კედლები. კარები და ფანჯრები არ ირკვევა; მაგრამ აღმოსავლეთ კედელში, სამხრეთ კუთხესთან, შიგნით, ზემოდან ქვემოთ

არის დაახლოებით ერთი საუენი სიფართის ნიშისმაგვარი ჩაღრმავება. შიგნით ქვებია ჩაყრილი. ჩრდილო-აღმოსავლეთ კედელში, რომელიც ყველაზე სქელია, საუენზე მეტი, ამოყვანილია ღრმა ჭა, შიგნით გაფართოებული. ჭის პირი არასწორი ნახევარწრის მსგავსია. დიამეტრი, ან პირდაპირი ხაზი, 1 არშინი და 11 გოჯია, მომრგვალებული ნაწილის სიმაღლე – 8-9 გოჯი. ეს წყალსატევი გაკეთებულია გამომწვარი წითელი აგურისაგან სწორ რიგებს შორის გაფენილი ცემენტის სქელი ფენით. შიგნით წყალსატევი დაფარულია სქელი ბათქაშით, რომელიც გლუვად, ბრჭყვიალადაც კი, შეთეთრებულია. გარედან შემოწვობილი აქვს კირიანი ქვები. ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთი მხარეებიდან შეინიშნება განყოფილებები. როგორც ჩანს, კარი ჩრდილო კედელში იყო დატანებული, უფრო დასავლეთი კუთხის ახლოს. ასევე ნაგებობები იყო უახლოეს ქვედა შვერილზე, სიმაგრის დასავლეთი მხრიდან.

იმფხრეულში მე გაეჩერდი „60 წლის“ მოხუცის, გვარად მოსიძე ნისიბ-ოღლი ალი ჩაუშის სახლში. ყველა მოხუცი აქ ერთნაირად ამბობს, რომ ის „60 წლისაა“. მოსიძემ განაცხადა, რომ დღეს (29 ივლისი) მრავალი ქალი მეუღლესთან ერთად მიდიოდა დაიღებზე სასეიროდ, საჯუმბუმოდ. მე მართლაც შევხვედრივარ თეთრჩადრიანი მხედარი ქალების მთელ პარტიებს. ზოგიერთს თეთრ ჩადრზე გადაფარებული ჰქონდა წითელი თავსაფარი სიცხისაგან თავის დასაცავად. ეს ქალები მთაში სამ დღეს დარჩებიან. ხოჯები ძალიან ეწინააღმდეგებიან ამ ტრადიციას, ძველს, რიგორც ჩემი მასპინძელი ამტკიცებს. ისინი ამბობენ, რომ მთებში არ არის არანაირი „ზიარეთი“ – სალოცავი (მოსალოცი) ადგილი, მაგრამ ხალხი ჯიუტობს, ამბობს, რომ ასეთია მათი უძველესი ჩვეულება. იმავე პირის ცნობით: *მოსიძე, აღანიძე, ჯორკაძე, სუბუქიძე, შარაძე, ბუტიძე, საღრიძე* – აი ის შვიდი სახლი იმფხრეულის პირველი მცხოვრებლებისა.

**29-30 ივლისი. იმნაძე** ხიდთან, **იმფხრეული** ზემოთ და **იფიეთი** მოშორებით შეადგენენ სოფელ იმფხრეულის სამ

მეჭლეს (რუკაზე და ამჟამინდელ ოფიციალურ ქაღალდებში იფხრეული), ყველა მათგანი იმერხევის მარცხენა ნაპირზეა.

დამახინჯებების შემთხვევები ჯერ კიდევ რუკაზეა: დაბის საზაფხულო სამომთაბარო სადგომია *ბოსელთა* და არა *ბოზთა* (ასეთი საერთოდ არ არის). არცთუ ისე შორს იგიეთიდან მთებში ორი საათის სავალზე, ტყეში ვაკე ადგილია, *ფაფართა* (რუკაზე საერთოდ არაა), ახლა ის ცარიელია.

სალამოს მოსიძის სახლში (სურ. 18) დაგვატივე ადგილობრივი „დელიყანები“, ახალგაზრდები და მათი ნაამბობით ჩავწერე ადგილობრივი თურქული და ქართული სიმღერების სიტყვები:

1. ფირალის: *დაფჯექი და დევიფიქრე* (ჩამაწერინა საიდა აღანიძემ: I), *დაფჯდე და წიგნი დავწერო* (ჩამაწერინა სეფერა ღალალიძემ: II); 2. საქორწილოები: *ბუდრუნ გელინ, ნაზილღამა* (ჩამაწერინა საიდემ და მასპინძლის, ალი ჩაუშ მოსიძის უფროსმა ვაჟმა, ოსმანამ: IV,2), *ქესტენე დურ, ქესტენე* (ჩამაწერინეს საიდემ აღანიძემ და ოსმანა მოსიძემ: IV,1).

ფირალის სიმღერები სამი-ოთხი წლის წინ შეთხზა „ფირალმა“ ოდელ-ოდლი შირინმა. პირველს (I) მღეროდნენ, მაგრამ მოტივი ახალი არ არის, სხვა სიტყვებით მოგვისმენია სომხებთან და თათრებთანაც. ანისთან მღეროდნენ საქორწილო სიმღერასაც (IV,2). პირველი საქორწილო სიმღერა სრულდება ორი გუნდით (გაღმა და გამოღმა), ამასთან ორივე მხარე იმეორებს ერთსა და იმავე ორტაეპედს. ყოველი ორტაეპედის განმეორებით მღერიან ფირალის სიმღერასაც.

**30 ივლისი, პარასკევი.** მოხუცი მოსიძე დათანხმდა, ეცნობებინა სიმღერებზე, მაგრამ ის გვარწმუნებს, ქართული საქორწინო სიმღერები არ არსებობსო. როგორც ჩანს, ის საერთოდ არ იცნობს მათ. მან მიაშობ „მოთხრობებიც“: 1. *თეპარ მირზას ექია* (IX), 2. *ქოროდლის ექია* (X), 3. *ყურბანის თქუმული* (VII). პროზას გადმოსცემდა ქართულად, თავისებურად, ლექსებს თურქულად. კიდევ არის „აშულები“ (აშულ) resp. აშუხების თქმულებები: 4. ყერიბის (ყერიბ), 5.

*აშიე-ომერის*, 6. ქერემის (ქერემ), 7. *დერდი-ოდლის*<sup>1</sup>, 8. *აშუხ-ყერანის*, 9. *აშუხ-რეზაყი*, 10. *დარალი-ჰუსსის*, 11. *დარალი-მაჰმუდის*, 12. *მირზა-მაჰმუდის*, 13. *აშუხ-სედაი'ს* 14. *აშუხ-ზუდერის*, 15. *აშუხ-სულეიმანის*, 16. *აშუხ ფერჰათის*, 17. *აშუხ-შამილის*, 18. *აშუხ-მუჰიბის*, 19. *აშუხ-საიდის*, 20. *აშუხ-სუმმანის* 21. *აშუხ-სეფილის*, 22. *აშუხ-ზულაღის*, 23. *აშუხ-ფეჰრათ-უ-შირინის*, 24. *აშუხ-ესმანას*, 25. *აშუხ-ისმეილის* და სხვ. კიდევ დასახელდა იმერხეველები: აშული ალი-ჩაუშ მისიროდლი, ჩემი მასპინძელი და მოხრობელი (იხ. სურ. 16) და აშული ქამილი, ახალგაზრდა, ორივენი იმფხრეულიდან.

არ მჭირდება იმის დამატება, რომ ჩემი მოხრობლისათვის „აშულებში“ რომანების გმირებიც მოხვდნენ.

იმერხევეში დიდთოვლობა იცის, ხანდახან 1 საუენი, 2 არშინი, 9 გოჯი სიმადლის. მაშინ თხილამურებს იყენებენ: ხის ოვალს, შუაში ქამრებით, *თხილამური* ჰედიყი (თ. *ایدیك*, ზეკ-მა).

ვნახე *საფიოქრო* დაზგა, თ. *ჯულფახანა*.

ცეკვას *კოლსარმა* (ქართ. *ცალკე სამა*, და არა *ანი*), ტაქტი 4/4, რუსთაველის შაირის ტერფი, დღეს ცეკვავდა მსუქანი, ჯანმრთელი, ქალისსახიანი 12 წლის იმფხრეულელი ბიჭი შედებილი ხელის მტევნებით. იგი დიდი ხელოვნებით ცეკვავდა, ძალიან ოსტატური იყო მუცლისა და საჯდომის ნარნარი მოძრაობა. ბიჭს (ქონევი) თავი ცხვირსახოცით ჰქონდა შეხვეული. ცხვირსახოცი კვანძით მარცხენა ყურის ზემოთ მოეხვია.

ჯგუფური ცეკვა, როგორც ვხედავ, რამდენიმე სახისაა: ცეკვავენ ადგილობრივადაც და ხოფელი ღაზების მსგავსადაც. ახლა ჩემთან, პატარა ოთახში სამი ცეკვავეს.

\* \* \*

## I. ოდელ-ოდლი შირინაღს ფირალის სიმღერა

### 1. დავჯექი და დევიფიქრე

<sup>1</sup> როგორც აქ, ისე ქვემოთ, იმერხეული ტექსტების ტრანსკრიპცი ებში „ოდლის“ გადმოვცემ იმერხეული წარმოთქმის შესაბამისად.



ბირალების ამბავები.

2. მე საწყალმა ვისა უთხრა ჩემი გულისა დერდები?
3. ღამით გზაზე სიარულში ბევრჯელაღ-და გავერდები.
4. დაღატობა რომ შამოვდა, ვერა კაცს ველარ ვენდობი,
5. ველარ შევალ ვერა სახში: დილა-საღამ ვზივარ ტყეში.
6. ზაფთიებო, გეხვეწები, არ გამაგზავნოთ უქუმათში.
7. არა ვინ არ გადამარჩენს გამაგზავნიან სიბირში.
8. ფირალმა-და ღესგი უთხრა, დავამდეროთ ჩუნგურსაო:
9. „რა უბედური მე დეგბადე, ვერ ვუყურე სოფლებსაო.
10. რა საცოდვაჲად მე დავრჩი, ველარ მიველ ჯამი კარსა.
11. ფირალად რომ გამოველი, არ ვიყავი ოცი წლისა.
12. სოფელი მტერი გემიხდა: მიზებნიან სამყოფნელსა.
13. ზაფთიებო, გეხვეწები, სელამს მოგაწერ ყველასა.
14. ჩემ მოკვლიდან რა იქნება? არ ამოავსებთ თქვენ მეზერსა.
15. სიკვდილი ხებერ ნუ გოუგზავნი საცოდვაჲ-და ჩემ დედასა.
16. მუხამედავ, არ გეწყინოს, თუ წეგიკითხეს ბარათი.
17. ოდელ-ოდლის ჩამოვეკიდე: მაშინ ეგ იდგა რაჰათი.
18. „ას მანეთზე არ დემიკლო,

ზედ დადეგ შენი საათი!”

19. დახი ოდლი, კად ბიჭი ხარ, ას აღთუნსაც არ დემიკლო!
20. გედვირჩინე შენი სული!”  
ალი აღამ დემიზახა:
21. „გებან, მე ვარ ჯელეთ-ოდლი. შენ მაქანაჲ რას ექცევი?
22. შენ ციხეში ჭამე პური!  
აღარ მითხრა მაგ ფერი სიტყვა,
23. არ მომიკლა ჩემი გული!  
შიგან დოუკარი ბორი,
24. გარეთ ავა სამე ჯარი.  
მაზღალები გამოვჭარი,
25. თითი-თითო ყველას ვკარი.  
ღაღუმი რომ გევიქნიე,
26. ესკერს ეგონა ცისიელი.  
დაჯდენ, მათი სული მედტირეს,
27. ვერ დეფტირეს ფირალები.  
სულემან ბეგს თუ იკითხავ,
28. მაღალი არი, შიშმანი.  
ვერ დეფტირა ფირალები,
29. აღარ მოუდა ნიშანი.  
თაში ბასხუნი დემეცა:
30. მაშინ მეიკლა ზაფთიებაში.  
იქიღამაც გამევიქეცით,
31. ჩამოველით-და ჩემ სახში.  
დილას ესკერი მიზახის:
32. „აღარ გამეფხედო კარში!”  
დაზღულიდან გადავაში,
33. გედვირბინე ჩემ ბაღჩაში.  
ყურშუმებმაც გემირბინა
34. იქით აქედან დღიაში.  
რა ბრალი მე დემეყარა!
35. მომიკვდა-და ჩემი ქალი:

აღარ მაქ შემოსავალი.  
36. ღმერთო, შენაც გეხვეწები,  
გემიყვანე ღამაზ ღღეში.

1,2. *ჭირალების* მ.-ი = მოლა იბრაჰიმ; მთხრობელი საიდგე წარმოთქვამდა *ფირალსაც ბირალის* გვერდით. 2,2 *გულისა* *გულის-და* მ.-ი. 4,1 *დალატობა* *დელეტობა* მ.-ი. 4,2 *ვენდები* მ.-ი. 6,1 *ზაფთი* *بطي* პოლიციელი. 6,2 *უქუმათ-ი*, *حكوت* მმართველობა. 10,2. *ჯამი* მეჩეთი. 13,2 *სელამი* *سلام* სალამი. 14,2. *მეზერი* საფლავი, სასაფლაო. 15,1 *ხეზერი* ამბავი. 16,1 *მუხამედა* „ფირალის შვილი“. 17,2 *რაჰათ-ი*, *راحت* მშვიდად. 19,2 *ალთუნი* *التون* ოქროს მონეტა. 21,1 *იეგან* *يكن* „ძმის შვილი“, *ჯელეთ-ი* *جاء* ჯალათ-ი. 23,2. *ბორი*, მილი. - 24,2 *მაზღალა*, „ფენჯერა“, საკუთრივ „ჭიჭინე“ (შდრ. გურ. ჭიტინა), ჭუჭრუტანა, პატარა ფანჯარა. 26,1 *ესკერი-ი*, *عسكر*, ჯარი. *ციხიელი*, მეხი. 28,1 *შიშმანი*, სქელი, მსუქანი *شمان*. 29,2 *ბასხუნი*, *باصقن* უცარი თავდასხმა, ალყის შემორტყმა. 30,1 *ზაფთიებაში*, *ضبطيه باشي* პოლიციის უფროსი. 33,2 *ყურშუმი* *قورشون* ტყვია.

**იმფხრეული, 29 ივლისი, მთქმელი საიდგე აღანიძე.**

### 1. ოდელ-ოდლის ფირალის სიმღერის ვარიანტი

- ერთი რომ დემეზინება,  
დემესიზმრებიან ზაფთიები,
- სიზმრებიც რომ წემიხდება  
ზალტან გავედერდიანდები.
- ჩიტი რომენ გეფიზუნებს,  
შეწკეპილი გტაქ თოფები.
- ულოგინოდ დაგორვაში  
გვერდზე ამოტდა ეკლები.
- ოდელ-ოდლის თუ იკითხავ,  
ჭუნას აქ მის ვათანი.
- ქვეყანა რომ შეაწუხა,

- ახლა ბეჭური ყავს დუშმანი.  
11. უქუმათში ვეღარ მივალ,  
წახდენილი მაქ ზაკონი.  
12. ნახელიკო, მემიგონე,  
ზალტან დავრჩი მოწყენილი.  
13 შენი სიტყვაც მართალია,  
გიბზანდები წაკტენილი.  
14. ზაბით-აღა, მემიგონე!  
მე გეხელი-და ირალი.  
15. ერთი გოგო გამემიჩრჩიე,  
არ დამციო მტირალი.

9,2 *ჭუნა* აჭარას არი, „ხულაზე *ზეითა*“. *ვათან-ი* *طن* სამშობლო. 10,2 *დუშმან-ი* *دشمن* მტერი. 13,2 *წაკტენილი* მეორე თეთრაკეთელმა შეასწორა: „წაკტენილი *დემად კვდარი გიბზანდებიო*“.

**თეთრაქელი, 2 აგვისტო.** მოლა-იბრაჰიმ შერიფ ჩაუშოდლიმ გვაცნობა: პირველი ლექსის მე-5 ორტაეპამდე მოლა-იბრაჰიმის ვარიანტები მე შევიტანე იმფხრეულის ჩანაწერში, მაგრამ შემდეგ მისი ტექსტი მნიშვნელოვნად დაშორდა და მომიხდა მისი ცალ-ცალკე ჩაწერა. თუმცა მოლა-იბრაჰიმმა აღიარა, რომ ბევრი რამ დაავიწყდა.

### II. იმავე შირინ ოდელ-ოდლის ფირალის სიმღერა

- დავჯდე და წიგნი დავწერო,  
ჩიტ გავატანო ხეზრათა;
- აგი საყვარელ მუტანე,  
ვეღარ ვესტუმრე ჩქარათა.
- აბდულბეგი ზალიან მეზებს,  
ამდგარი არის ჯარათა.
- იმახ-და ვეღარ ვესტუმრე,  
კურცხალი მომდის ღვარათა.
- ერთი გოგოზე აი დამჩა,  
ნუ დედნახავთ-და ბევრათა.

6. მე რომ მოვკდე, სხვას მიეცით,  
მე რომ მჯობდეს თვალტანათა.
7. ჩემი ყამა და ქემერი  
თან გავატანოთ ზითვათა.
8. სელამსა რომ შამოგითვლი  
გამომფრინავალ ჩიტითა.
9. ეს-და ზალიან მენატრება  
მე, რომ სული სიმწართა.
10. ქვეყანა მტერათ ემიდგა,  
მონღობილი ვარ გულითა.
11. შენაც რომ აღარ მიკადრო,  
დეგეტყვება-და ენითა.
12. სათუთ ბატონმა მომწერა:  
„შენი ვარ ღმერთის ემრითა.
13. ებედი არ გვეთხუები,  
სიტყვას გიჩივი გულითა.
14. საყვარელ კარქა დემძალვი  
არ მომიკლან ყურშემითა”.
15. ოჲ, მისი სულის ჭირიმე!  
ლამაზია თვალტანათა.
16. რა ჩეთინია გულის სევდა!  
სულის სიმწართ დავდნები.
17. გულში მერაყ რომ ჩამეგდებ,  
გაბუკვილივით დავჯდები.
18. მე თუ სხვა ქალ შევხედო,  
გემიქორდეს-და თვალები!
19. ან და ყალა (sic) სხვამ ითხუოს,  
უმისოთ რაფერ დავდგები?
20. საყვარელ, შენი ჭირიმე,  
ამოგოცნო-და თვალები!
21. შენ მარტო, მე სხვა არ მინდა,  
ას ოთხ ქითაბ გეფიცები.
- 5,1 „**აჲ დემად თვალნი**“ – 7,1 **ყამა**, ხმალი. – **ქემერი**,  
ქამარი. 12,2 **ემრი**, **ამრ** ბრძანება, ნება. 13,1 **ებელი**, **ابرى** სა-

მუდამოდ, არასოდეს. 16,1 **ჩეთინ**, **چنين** ძნელი, უსიამოვნო. 17,1 **მერაყი**, **مراقي** სევდა. 18,2 **ქორი**, **كور** ბრმა. 21,2 **ქითაბი**, **كتاب**, წიგნი, ყურანი.

იმფხრეული, 29 ივლისი. მოქმელი სეფერა დაღალიძე

### III. დიობნელი ზაბითის, ქიბარ-ოღლის ვაჟის, ფირალის სიმღერა

- ერთი დერდები მევიგონოთ,  
გამევიგონოთ-და ლესკები:
- ჩემ სიყვარული (sic) დას უკან  
დუზად მენვენება თები.
- ვოდმე რა საცოდავად დავრჩნით:  
არ მიკითხვენ ჩემი ზმები.
- ფენჯერედან ვიყურები:  
შავათ მენვენება თები.
- დილა-საღამ ერთ გვიკითხვენ,  
კარზე დგანან ზაფთიები.
- კარშიც რავად გამევიხედავ?  
კარზე აწყვია კლიები.
- სულ არაფერიც არ მინდოდეს  
აჲმა ხანუმის თმიები.
- ღმერთსაც იმას ვეხვეწები,  
დამანახვონ-და შვილები.
- ფატყიმე ეთიმათ დამჩა,  
მისთვინ მომდის ცრემლიები.
- არა ვისაც არ ვაწყინე,  
ისე დევიარე ტყიები.
- სოფელში რომ ვეღარ დავდეგ,  
ფეკზე ადგნენ სოფლიები.
- ვერსადაც რომ ვერ დავდექი,  
გედევიარე მაჭეხელში.
- ნაჩელიკმაც რომ შემიტყვა,  
ჩამეწდა-და მაჭეხელში.
- ჭეჭელ-ოღლებით ვიყავი,

დევარებოლით ტყიებში.

15. მათაც რომენ-და მიფუშტეს, თოფი მესროლეს კდიებში,
16. ყურშუმებმაც გემირბინა იქეთ აქეთ-და ღლიებში.
17. ვედარავის ველარ ვენდეგ, ავდექ, ჩაველ ოსმანლიში,
18. ეზუზბაშად რომ დამაყენეს, ოცი შაჰრი მქონდა ღღეში.
19. შვილებიც რომ მომაგონდენ, ცეცხლი შემეკიდა თავში.
20. აჟდექ იქიდან მუელი-და დაჟჯექი-და ჩემსა სახში.
21. დედედ სებები გემიხდა, არ შეჟლოდი იმ საქმეში.
22. იმ საქმებსაც ველარ გოუძელ, ავდექ, ჩაველ მიღმა ტყეში.
23. ჩიტიდამაც მეშინოდა ღმერთის გამჩენელის ღღე-ღამეში.
24. ნაჩელიკმაც რომ შემიტყვა, გვეზებნა-და ყველა სახში.
25. ჰაჯი-ლუნკროს კი შევეხვეწე, ფიშტოლი მიმიცა რიშვეტში.
26. ღმერთმაც ბერექეთი მიცეს, პური გვაჭამა ტყიებში.
27. მათაც რომენ დაატყვილეს, შიაწრეს-და ბელაში (sic).
28. მათაც რომენ დაატყვილეს (sic), ჯარი შემიყენა გზაში.
29. სელამ-ქელამ მუახსენებ დიდ-პატარას სურევანში.
30. მეჰმედა ეთიმათ დამჩა, მისთვინ მომდის ცრემლიები.
31. მეჯიდ-ადას სელამ ვეტყვი,

აცოცხლოს-და ღმერთის ღღეში.

32. ბარათ-ადას სელამ ვეტყვი, სულ ყველა სადათ ღმერთის ღღეში!
- 1,1 **ღერდ-ი**, **در** ქართ. **ღარდი**. 2,2 **ღუზ-ი** **زوز** სწორი. 9,1 **ფატყიმე**, ყაჩაღის ქალიშვილი. **ეთიმი-ი**, **یتیم** ობოლი; 15,1 **მიფუშტეს**, „დამატყვილეს“. 18,1 **ეზუზბაში**, **یوزباشی** ასისტოავი. 21,1 **დედე**, **داد** „მამის **მამა**“, ბაბუა. **სებები-ი**, მიზეზი. 25,1 **ჰაჯი ლუნკრო**, „მაჭახლედი **კაცი**“. **ფიშტოლი-ი**, შდრ. პისტოლეტი. **რიშვეთ-ი**, **شوت**, ქრთამი. 26,1 **ბერექეთ-ი**, **برکت** კურთხევა. 27,2 **ბელა**, , უბედურება. 29,2 **სურევანში** „ფირალი **ქოქლიეთელი იყო**“. 30,1 **მეჰმედა** „ფირალის **შვილი**“. 31,1 **მეჯიდ-ადა** „წყალსიმერელი **იყო**“. 32,2 **სად-ი**, , ჯანმრთელი.
- თეთრაკეთი, 1904 წლის 2 აგვისტო. მომითხრო მოლა-იბრაჰიმ შერიფ ჩაუშ-ოღლიმ. „დაწერე, **ბელქი აზბერად ვიცი**“, მითხრა ჩაწერის დაწყებამდე, ანუ შეიძლება ზეპირად ვიცოდ. „არის კიდევ“, შენიშნა მოლა-იბრაჰიმმა ბოლოს, „მაგრამ ახლა ვერ ვიხსენებ“. მოტივს აქ ყაიდე ქვია. მან წაიძღერა, რომ ეჩვენებინა, რომელ ყაიდეზე სრულდება სიმღერა. „ფენა **საცოდავია**“, – ამიხსნა მან, როცა ვკითხე, თუ რა არის „ფენა“, რასაც ის იყენებდა. ქართული „დამატყვილა“ მან ამიხსნა ქართულადვე: „**მან შემაჭრა**“.

#### IV. საქორწილო სიმღერები.

1

*ქორწილში რომ წავლენ გოგოს სახლში*

1. ქესტენე ღურ, ქესტენე, ყაფი ბაღლამალარი. ჰენ ხათრუნდან ჩიხმაღურ დარუნ აღლამალარი.
2. ო ხუმარ დარ ბრახლარუნ ელედუმ ელექ-ელექ.

ბენ დარდან ადრმაზდუნ,  
 ადრდი ყაჭყე წელექ.  
 3. არმუდი დერსუნ, ერსუნ,  
 ყაბულუნი ნეილერსუნ.  
 ელ სალადუნ, გელმადუნ,  
 ნეჩუნ ძალანი დერსუნ.  
 4. ჩიხართუმ ა კუზლარი,  
 თაფან ეთდინ დუზლარი.  
 სელამ ვერდუმ, აღმადი  
 ა ბუ ქოფუნ კიზლარი.  
 5. ჩოხა გეძარ უმუშდან,  
 დუგმელარი გუმიშდან,  
 ჩიხ და ბირ ბახ, კაინანა,  
 გუხელმიდურ ენიშდა.  
 6. დურიანუნ ქენარუნდე  
 დოშალი კოფუნ დურურ.  
 კიზ, სენინ გუხელლულუნ  
 ჰერარეტ სოფუნ დურურ.  
 7. დურიანუნ ქენარუნდე  
 ნარ-აყაჩლარ ბელ ვერურ.  
 კიზ, სენინ გუხელლულუნ  
 იფიმუზა ელ ვერურ.  
 8. გემიდა ვარ ხარამუზ,  
 ირახ კალდი არამუზ.  
 დიშარდან ბელი ოლმაზ,  
 იჩარდან დო იარამუზ.

**იმფხრეული, 29 ივლისი. მცნობელები (მთქმელები)  
 საიდე აღანიძე და ოსმანა მოსიძე.**

2

**II. როცა დედოფალი ქმართან მიჰყავთ**

1. ბუდრუნ გელინ, ნაზილლამა,  
 ევი სუფურ, თოხედლამა,

ყაინგენან, სოზედლამა.  
 2. ათლარ ქიშნარ, არფა იშტარ,  
 გელინ აღლარ, გეთმან იშტარ.  
 3. გელინ ათლადი ეშიკი,  
 სუფურადა ყალდი ყაშული.  
 4. მუჯგესინი ბაყლათდილარ,  
 ყარდეშინი აღლათდილარ,  
 5. ბაღდა თოფლადინ ფუნდული,  
 ჰანი გელინინ ზანდული.  
 6. ბაღდა თოფლადინ ჯეუზი,  
 ჰანი გელინინ ჯეიზი.

**იმფხრეული, 29 ივლისი. მთქმელები საიდე აღანიძე და  
 ოსმანა მოსიძე.**

3

„მაყრები“ (იხ. დღიური 28 ივლისი), აცილებდნენ რა მამის სახლიდან ქალს (პატარძალს – რედ.), ძველად მღეროდნენ შემდეგ ოთხტაეპიან ლექსს, რომელიც ახლა ხმარებიდან გამოსულია ურცხვობის გამო:

- „მოგვყავს-და მოგვისარია,  
 შინდი გურკა მხვრეტელი“.
- „მაგასაც გოუხაზირეთ  
 მუხა-სოლი უდრეკელი“.

**იმფხრეული, 30 ივლისი. მთქმელი საიდე აღანიძე.**

**V. კატა და თაგვი**

1. თაგვი ავათ გამხდარიყო,  
 კატა მივლოდა სანახავათ:
2. – „რა გჭირს, ჩემო ყურჩქმეტიავ?“  
 – „შე რა გინდა, შე ყურ დიდო?“
3. კატას სიზმარი უნახავს,  
 ავათ-ყოფი თაგვი უნდა.
4. – „ამ სირად დემეთხუე,  
 ზალიან სიცოცხლე მინდა.“

5. უქედფური დემინახე,  
ზალიანაც გეგისხარდა.
6. სამ წელიწად რომ ავით ვიყო,  
კატის ნახვა მე რათ მინდა?
7. წავალ, ჩემ ხელით მოგიყვან,  
რაცხამეთი თაგვი გინდა”.
8. –„ვოფ, ვოფ, შე თაგვო,  
რას ებლაყუნები?
9. მე მიგიხვდი შენ დუბარას,  
სიცოცხლით-და წასვლა გინდა,
10. გაპარვით-და წასვლა გინდა”.
- ერთი ლესკი გამეგონოთ,
11. გურჯიჯა-და სიმღერები!  
კატამ თაგვი დეიჭირა,
12. ჩამოკაკლა-და ცრემლები:  
„შიღლები დეთიმად დამრჩნენ,
13. არ ვის არ შევებრალეები.  
ხეს და ქვას შევებრალეები
14. ახლა რადღი უნდა ვქნა?”  
დაჯდა ერთი მეიტირა.
15. თაგვი კატას მიაჩემდა:  
შიშმა შიადნო ბარკალი.
16. ამ ლესკისა გამომთქმელსა  
ჭვანელს ეტყვიან ფირალსა.
17. ამ ლესკისა გამომთქმელი  
ნახევარზე ბეჩიო,
18. კატას და თაგვ ვინ უყურა?  
სულთელი-და ტყვილიაო.

4,1 სირა, سیرا ცხოვრების წესი. 9,1 დუბარა, دوبرا, ქშმა-  
კობა. 11,2 გურჯიჯა, گورجيجا ქართულად. 12,2 დეთიმი, دتم,  
ობოლი.

იმფხრეული, 1904 წ. 30 ივლისი. მთქმელი საიდე აღანი-  
ძე. მან დაასახელა ავტორი შირინად ოდელ-ოდლი, მაგრამ  
მანვე თქვა, რომ სიმღერა „საქართველოდან მოვიდა”.

VI. ლექსის სათაური მომდინარეობს ბათუმის გარეუბ-  
ნის – ორთაბათუმის (სადაც მოხდა ლექსში აღწერილი ამ-  
ბავი) სახელწოდებიდან.

1. გოგო ჩივის: „ვერ წაყვები,  
სერდალადა ჩემი ქმარი.
2. სადაც წევა, იქ მივაგნებ,  
თუ გინდა, თავი მომჭარი.
3. კარზე ფეხი გადავადგი,  
მუხლმა დემიწყო კანკალი,
4. ბახნი ბოლოს რომ ჩაველი,  
სახშიც შეიქნა ხრიალი.
5. ჩემმა ძმამა მომადახა:  
„თუ დეგეწიე, დაგკალი!”
6. მაშინ გულმა გემიწყალდა,  
თუ შეიყარა სიძე-ყადნი.
7. დინე ჩემიდან მეშინოდა:  
ღმერთო, შენ ის მომიკალი!
8. ყაივანი ასე მქონდა.  
ერთი ქუა შამოვკარი.
9. ბნელ დამეში რომ მობძანდით,  
თქვენ ხომ არა ხართ ფირალი?
10. ფირალობას უკეთესია,  
ფეხზე ჩევიცვა ზანკალი.
11. გამჩენელმა გადმოგვხედა,  
მოგვიქროლა ერთი ქალი.
12. მაშინაში რომ ჩავჯექით,  
შიგნით დეგკლიტეთ კარი.
13. ფეხლი ბეგმა კარზე მოდგა,  
ისახელა მისი გვარი.
14. ფეხლი ბეგსაც თუ იკითხავ,  
სანჯალ ბეგის შვილი არი.

15. გარეთ ჩხუბობა რომ შეიქნა, მაშინ ჩივიან: „სუთი არი“,
16. მომიყვანეს ისპათები, დემიყენეს ერთი ქალი.
17. მის სიტყვასაც ვინ მიიღებს: ხუთასი კაცის ნახმარი!

1.2 *სერდალადა*, „სარდალი“. 6,2 წარმოთქვამენ *სიზესაც* – *ყანი*, *قاني* ცოლის ძმა. 7,1 *დინე*, „ნენე“, დედა. 8.1. *ყივანი*, „იღბალი“, ბედი. 10,2 *ზანკალი*, პაჭიჭი. შდრ. სომხ. *զանկապան*, არ უნდა ავურიოთ *ზენკალში*, ან *ზეინკალში*. 15,2 *სუთ-ი* (судь), სასამართლო. 16,1 *ისპათი*, მთხრობელის ახსნით – მოწმე.

თეთრაკეთი, 1904 წ. 1 აგვისტო. მთქმელი უსუფ ენდესიე-ოღლი ბასონიძე. ის ბაძგირეთელია, მაგრამ ცხოვრობს ზედ-ვაკეში, აგარაში. ნამყოფია ბათუმშიც.

VII. ყურბანის თქუმული (ბევრი ხნის საჩივარია).

ყიამედენ ეშინ დოსტლარ, დარენნარ,  
 ადალეთ შაჰინენ ჭერმან გელდი,  
 ისტიყბალ ეილან დურუნ სელამა,  
 უ დერთლი კოდნუმუნ დერმანი გელდი.

\* \* \*

ო დარდა ბენ კიბი ოდელარა დანსენ,  
 ეჰლი ხიზმეტ ოლან ყულარ უდანსენ,  
 საყილარ შად ოლსუნ, იშრეტ დოლანსენ,  
 დემ იდე ჭეტმანენ დამანი გელდი.

\* \* \*

ყურბანი ყუსსედან ყარხმადი ბაშემ,  
 ხადალი დარილა გორულმაზ იშემ,  
 ბუ დერდლი გოდნუმუნ დერმანი გელდი.

**იმფხრეული, 30 ივლისი.** მთქმელი მოხუცი ალი-ჩაუშ მოსიძე. მთხრობელმა წინასწარ გვითხრა, რომ ლექსი სამსტროფიანია.

არათანმიმდევრობები „დერთლი“ 1,4 და „დერდლი“ 3,3, „კოდნუმუნ“ 1,4 და „გოდნუმუნ“ 3,3 ჭეშმარიტია. „დერმანი“-ც კი. 1,4 მთხრობელმა პირველად წარმოთქვა „ტერმანი“.

**VIII. ლაზური სიმღერა ჩხალელებისაგან მოსმენილი**

მეულან ბირი ეულად ვერინჯას,  
 აჩილმში ბახჩადა, ფიდანა ბენზარ,  
 ბირისინდე დილი ბულბულა ბენზარ,  
 იქისინდე ჰერ დედუვი ანგლანორ,  
 უჩუსუნდე ნერდა ოლსა, სალანორ,  
 დორდისინდე ქენდი გურურ დუმუნი,  
 ბემისინდე მუსთემ ტუთარ იშინი,  
 ალთისინდე დეგიშ ტურურ დიშინი,  
 დედისინდე ბადან ედარ იშუნი,  
 სექიზინდე სელვი ილანა ბენზარ,  
 დოხუზუნდე კანჯა გული აჩილურ,  
 ონუნჯიდე ჰებ უ ჰეფა იჩილურ,  
 ონბირინდე ზილიფლარი თელანურ,  
 ონიქინდე შექერლანურ, პალანურ,  
 ონუნუნდე ნერდე ოლსა, სალანურ,  
 ონდორდინდე ყოდნი ბოსტან ბალი დურ,  
 ონბეშინდე სარილმანუნ ჩადი დურ,  
 ონალთინდე გორან ჰაკლი ტალი დურ,  
 სუდა გიდარ, სად აფლინდე თასი ვარ,  
 ბირ ყიზილა, ბირ გელინა ბესი ვარ,  
 იქისიდა ბირ ოღლანგ უსტინე,  
 გელინ დერ ქი ალაღარა ჩიქერუმ,  
 სოუს სულერ ბადეილა იჩარუმ,  
 ოჩ იგიდუნ დილბერიინი სიჩერუმ,  
 სენი ჯეჰილ, ჩოჯუხ სენინ ნე ჩიხარ,  
 იგიდ ასლანა ჯახ კოლა, ბენდა ვარ,  
 სარაფლა, იაქტურდუმ ბირ უჟდან უჟა,  
 ყურბანთლარ ქესილსენ სარდულუმ გეჯა.

**იმფხრეული, 30 ივლისი 1904 წ. მთქმელი საიდე**

**IX. თეჰარ მირზას ექია<sup>1</sup>**

თეჰარ მირზასი თავის მაშუყეთის<sup>2</sup> ნათქვამი, ბაბად<sup>3</sup> რომ დოუკლეს. გოგო მისი ქალი იყო და აღარ მისცა მამა მისმა. ემიას<sup>4</sup> გოგო ყაჟდა ნათხოვარი. ემიამ, ეთემ სულთანი ერქვა, მოუკლა ბაბა, ანად<sup>5</sup> მოუკლა, სამასი მაყარიც მოუკლა (ბიჭის ბაბას ამეთ ვეზირი ერქვა, ფაშა იყო). თეჰარ მირზა გაკოჭვილი მეიყვანეს ეჯემ სულთანთან და აღარ დააკლევინა დელიყულიმ. ბიჭი კად ლამაზი დელიყანი<sup>6</sup> იყო და შეეცოდვა, აღარ დააკლევინა.

ახლა თეჰარ მირზამ, ძმის შვილმა, უნდა უთხრას სიმღერა ემიას:

ყოლი ბაღლი დივანგნა გელმიშინ,  
დივანა ბაღიშლა, ბენი საღემი,  
ჩოღუნი ყაფგდა ჩირაღ ეღლაღინ,  
ნააყ ირდან ყან ეღლაღინ, სან ემი.

\* \* \*

ოღდურდუნ ათამი, ვერან ეღლაღინ,  
ათუთნ თუნდა თუნა, ირად ეღლაღინ,  
ჩოღუნი ყაფგუდა ჩირაღ ეღლაღინ,  
ბენდამი ქორ ოღლი გოზუნ, სან ემი.

\* \* \*

ახლა გოგო მოსრულია ფენჯერაზე. ნახოს უნდა, ჩემ ბაბამ ეს კაცი აღარ უნდა დაკლას, თუ უნდა დაკლას. ახლა ერთი ხანა თქვა თეჰარმა:

სონამ ბილბილკიბი სესა გელიბდურ\*,  
უფჯიჰინდან მუღლარგნ მესა გელიბდურ,  
ზოჰრე ხანუმ ილთიმასა გელიბდურ.  
ზოჰრეა ბაღიშლა ბენი, სან ემი.

<sup>1</sup> სათაურში ექია, resp. ჰიქაიე, მოთხრობა.  
<sup>2</sup> მაშუყეტი, معشوقه, საყვარელი ქალი.  
<sup>3</sup> ბაბა, მამა.  
<sup>4</sup> emia, عم ბიბა (მამის ძმა),  
<sup>5</sup> ანა, ان, დედა.  
<sup>6</sup> დელიყანი დელიყანლის ნაცვლად, دلیقانی, ახალგაზრდა ვაჟი.

\* \* \*

გაერჩდა ეთემ სულთანი. „წეყვანეთ, დაკალით!“ ეს დელიყულს უთხრა. წეყვანეს შეკოჭილი:

– „მე წეყვან ტყეში, გავაგდებ. ის მოკვტეს მშიერი. ნუ დაგკლავ“.

– „სულ კად იქნება, წეყვანე ტყეში გაკოჭვილი. გააგდე და წამოდო, რამაც გინდა იმან შეჭამოს ტყეში“ო.

ათი ცხენოსანი წეყვანა დელიყულიმ და წეყვანეს ბიჭი ტყეში ხუთი საათი გზაზე. მიყვანეს იქა, დატიეს შეკოჭვილი და წამოვიდენ. ერთი საათი გზა გამოიარეს.

– „თქვენ აქ იყავით, დელიყული ამბობს, მე წავდე\*\*, იქ ფარი ქესა დამჩა“.

მიჰდა, რომე ბიჭი გაკოჭილი ძია და ტირის ტყეში. გუუსხნა ხელი, ფეხი.

– „შენ ამ ქალაქში აღარ მოხვიდე ბირ ზამან! წაი სხვა ქალაქში ხუთი ექვს წელიწას.“

ათასი მარჩილი ფარა მისცა, ფული დელიყულმა, ხარჩლუხი<sup>2</sup>, ჩამოჰდა თავით. ბიჭიც წეჰდა, მოვიდა ეთემ სულთანთან დელიყული.

– „რა ქენი?“

– „შენ რავაც რომ ბძანე, ისე ტყეში დავტიე გაკოჭვილი“.

წეჰდა მემრე თეჰარ მირზამა, მიჰდა ერც ქალაქში. იქ ერთი ბეზირგან<sup>3</sup> იყო. ხანვერდი ბეზირგანს ეტყოდენ. მასთან სტუმარი გოუხდა. ბიჭიდან შვილი არ ყავდა ამ ბეზირგანს. თეჰარ მირზა იშვილია. გოგო შვილი ყავდა. უთხრა, რომე შენ რა კაციშვილი ხარ? ბეზირგანმა უთხრა: „მე ვარ ამეთ ვეზირის შვილი“.

<sup>1</sup> ბირ ზამან, بر زمان გარკვეული დრო, არასოდეს (უარყოფისას).  
<sup>2</sup> ხარჩლუხი-ي، ساسარჯო ფული;  
\* გელიბდურ, მოხრობელი გელიფტურსაც წარმოთქვამს. \*\*ისმის ტყე, ეს ნაცვლად (წაჰდე წავდე).  
<sup>3</sup> ბეზირგანი, بيزران, ვაჭარი;



– „შენ ჩემთან იყავ. გოგოს მოგცემ, სარაის<sup>1</sup>, ბახჩას, რაც რომ ფული მაქ, თლათ შენ ჩაგაბარეფ“.

ახლა ბიჭმა უთხრა, რომე: „მე უნდა სამი ხანე სიმღერა ვითხრა. ჩემ დერდსა სიმღერით გაგაგნებოიეფ“.  
ეთემ სულთან დეხაბენა ოღრადემ,  
იხილდი ო თახდემ, ო თაჯემ ბენემ  
ალაგოზლი ბირ დილბერგნ უჯუნდან,  
შიმღი მუხტიაჯემ სიზლარა ბენემ.

\* \* \*

შემსი\* ყემერ ქიბი აღ ოლა ეუზუნ,  
მისკი ემბერ კოხარ, გული, ნერგიზენ\*\*,  
ყარშიმუზდა დურან ყო დილბერ ყიზენ,  
ყედირ ალაჰ ბილსენ ო ბაჯემ ბენემ.

\* \* \*

ბენ თეჰარემ, ბახჩალიამ, ბაღლიამ,  
ეურექ ფარელიამ, ჯიგერ დაღლიამ,  
ყარამანდა აჰმედ ვეზირ ოღლიამ,  
მისირდან გელურდი ხარაჯიმ ბენემ.

\* \* \*

აღარ დადგა მასთან. წამოჰდა. შვიდ წელიწად მასთან იყო.

ის დელიყული რომ მოჰდა შინ, გეიარა ყონახი<sup>2</sup>. გოგომ დეინახა, დელიყული მოჰდა. თეჰარ მირზა აღარ მეფყანა. ახლა გოგომ უნდა სიმღერა უთხრას დელიყულის:

სიზა ყურბან ყოლემ, ნეჟჯიგან ყულლა,  
ყულლარ, ბენემ ბეგ თეფარი ნეფლადენზ,  
გუმბეგუნ ართიერ დერდი მერაყენ,

<sup>1</sup> სარაი, **سرای**. სასახლე;

<sup>2</sup> ყონახი, **قوناق**. სახლი.

\* „გოგო აქ უდგას, გოგო“ – მთხრობელის შენიშვნა; \*\* „გოგოს ნერგიზ ერქვა ჩუნქი!“ – მთხრობელის შენიშვნა.

ყულლარ, ბენემ აღა დარი ნეფლადენზ.

\* \* \*

ბენდა ნე დერდილარ, აჯაბ ნედარემ  
ბაშემ აღებ დიარ დიარ გიდარემ  
ბაბამე ექმეგენ ჰარამ იდარემ,  
ყულლარ, ბენემ ბეგ თეფარი ნეფლადენზ.

\* \* \*

(თმა გემითეთრდაო).

გელემ ბახემ, ებრულარემ ახმი დურ,  
გოთურდუგუნზ იაბანმი დურ, ტადმიდურ,  
თეჰარ ოლინი დურ, დოსსა საღმი დურ,  
ყულლარ, ბენემ ბეგ თეფარი ნეფლადენზ.

\* \* \*

შვიდი წელიწადი რომ გათავდა, ხანვერდი ბეზირგანიდან წამოვიდა თაჰარ მირზა. ფარა, საქონელი მიცა, გამოგზავნა, ჩირალი<sup>1</sup> ქნა. მოჰდა ერთ თახე. ეთემ სულთანის ჩობანთან<sup>2</sup> მოჰდა. ჩობანმა კითხა, რომ შენ რა კაცი ხარ?

– „ეთემ სულთანის შვილი ვარ, თეჰარ მირზა-“.

– „ზორე დარი თუ გეეთხოვა?“

– „არ გათხოვილა“.

– „იმფრათ ხელი მომიწყევი, ზოჰროთან მიმიყვანე!“.

მეიყვანა თავის სახში ჩობანმა. თავის ანას უთხრა, რომე „შენ ეს კაცი, იცი, ვინ არი? ესა თეჰარ მირზაა არის. ეს უჩემალაა ზოჰრეს უნდა მიიყვანო, ანახო. მე უნდა წეჰდე, ცხვარი ვაძოვო. თუ მოველ და არ გინახებია, თან მოჰკლავ“. წეჰდა თავით ჩობანმა. ახლა მისმა დედამა ერთი ყათი<sup>3</sup> ტანისამოსი, რუბა<sup>4</sup> ქალისა შეაკერვინა. იმ ბიჭ ჩააცვა, თეჰარ მირზას. წეფყანა, მიიყვანა გოგოს კარზე. ეს ჩემი

<sup>1</sup> ჩირალი, **چراغ**. განათება;

<sup>2</sup> ჩობანი, **چوبان**. წყემსი;

<sup>3</sup> ყათი, **قات**. კომპლექტი, წყვილი;

<sup>4</sup> რუბა, , კაბა;

გოგოაო, იმ დუბარით<sup>1</sup> მიჰყავს თეჰარ მირზა. ბიჭმა თან გაატანა ერთი უზუგი<sup>2</sup> და ერთიც სავარცხალი იმ დედაბერს, ჩობანი ანას მიაბარა. კარზე მიტდენ, ნობეთქებმა<sup>3</sup> არ შეუშვეს. ყარაყოლმა<sup>4</sup> კითხა:

„თქვენ ვინ ხართ? აქ შესვლა იასალია“<sup>5</sup>.

– „მე ერთი დედაბერი ქალი ვარ, ჩემი გოგოა, ხიზმეთ-ჩად<sup>6</sup> მიმყავს ზოჰროთან“.

– „არა, მარტო შენ აა“.

ჯერ თავით ეწდა დედაბერი ზოჰროთან.

– რა საჩივარი ქონდა(sic), ჩემთან რომ მოხველი“, ზოჰროდ ჩივის.

– „იმისთვის მოველი, რომე ჩემთან ერთი სტუმარი არი. ამანეთი<sup>7</sup> აქ ჩემთან შენზე მოსაცემი“. ამეილო ბილაზუკი<sup>8</sup> და სავარცხალი, დუუდვა.

– „ეს შენ ვინ მოგცა?“

– ამოვალ კაცმა მომცა, თეჰარ მირზამა, შენთან გამომაგზავნა“.

– „აჰა შენ ერთი ჭაჭვის ალთუნი, ამისი მომტანელი კაცი მომიყვანე!“

– თან მოყვანილი მყავს აგერ“. დუუძახა, ბიჭი მიიყვანა გოგოსთან. დედაბერმა ბახშიში<sup>9</sup> ფული ედლო ზოჰროდან, წაწამოწდა მის შინ. ეთემ სულთანს კაცი დაყენებული ყავს მის გოგოთან ჩაშუტი<sup>10</sup>, თეარ მირზად არ მოვიდეს. დაწვა, ადგა ერთ თვეს ბიჭმა გოგოთან. ეთემ სულთანს ხებერი

<sup>1</sup> დუბარა, იხ. ზემოთ;

<sup>2</sup> უზუგი, სამაჯური;

<sup>3</sup> ნობეთი, نوبتي, მორიგე;

<sup>4</sup> ყარაყოლი, قاره قول, დაცვა;

<sup>5</sup> იასალი, ياساق, აკრძალული;

<sup>6</sup> ხიზმეთი, خدمتي, მოსამსახურე;

<sup>7</sup> ამანეთი, امانت, გირაო;

<sup>8</sup> ბილაზუკი, بلارك, სამაჯური;

<sup>9</sup> ბახშიში, بخش, საჩუქარი;

<sup>10</sup> ჩაშუტი, چاشت, ჯაშუში;

ხვდა, თეჰარ მირზად მოუყვანია ყონახში. ზოჰრომაც: „შეიტყვა ჩემ ბაბამ ეს ხებერიო“, ერთი სანდული<sup>1</sup> გააკეთებია მუშამბალი<sup>2</sup>, წყალი არ შეტდოდა შით. იმ სანდუკში მალევედა ბიჭს. ყონადის ძირში დიდი წყალი მიდიოდა. იმ სემთიდან<sup>3</sup> არაკაცის გასავალი დიდი არ იყო. წყალი მიდიოდა, ჭოროლი. ხელი მიდვა სადამოზე ზენჯილზე<sup>4</sup> (წყალში იყო ბიჭი ზანდულით ზენჯილზე). ცალიერი ზენჯილი ხელში მოყვა, წოულია, წასულა, წყალს ზანდული, აღარ არი; ახლა ზოჰრომ დეწყო ძალიან ტირილი. ის იქ ყონახში ტირილში იყოს.

ახლა ჩვენი საქმე მიტდა სანდულზე. სანდული ხუთი დღის ყონადი<sup>5</sup> წეწდა, წყალმა წედლო, მორევში აბრუნებს, იმ მემლექეთში<sup>6</sup> ერთი ფაშის გოგო იყო. სახელი ბანი ხანუმი ერქვა. გახედა, რომ ხალაილით<sup>7</sup> ორმოცი გოგო თან ახლავს. ჩეწდა ჭოროლის კიდურში. გახედა, მორევში ერთი სანდული არის, ტრიალობს წყალში. გოგუებს უთხრა ბანი ხანუმი: „ფული, საქონელი თუ არი, სუნთელი თქვენი იყოს, ჯანი<sup>8</sup> თუ რამ არი, კაცი, ჩემი იყოს“. გეძხადეს ტანისამოსი გოგუებმა, გუუხარდენ, ფულიაო. ხელი ხელზე მოდევს გოგუებმა. სანდული თან გამეძანეს გოლიდან<sup>9</sup> გარეთ. ახადეს სანდული ყაფადი<sup>10</sup>, ძალიან უკეთესი, ლამაზი დელიყანი. ბანი ხანუმს გუუხარდა. ქესიდან მისცა გოგუებსა ფული, წეყვანა თეჰარ მირზად ყონახში. უთხრა, რომ „მე მითხუე ქალად შენ!“

<sup>1</sup> სანდუგ ი, resp. სანდუკ, صندوق, ყუთი, სკივრი;

<sup>2</sup> მუშამბალი, , გასანთლული;

<sup>3</sup> სემთი, سمت, მიმართულება, გზა;

<sup>4</sup> ზენჯილი, زنجير, ჯაჭვი.

<sup>5</sup> ყონადი, قوناق, სადგომი, დღის სავალი გზა.

<sup>6</sup> მემლექეთი, مملكت, სამეფო.

<sup>7</sup> ხალაილი, خلاق, მონა ქალი, მოსამსახურე ქალი.

<sup>8</sup> ჯანი, جان, სული, არსება.

<sup>9</sup> გოლი-ი, قول, გუბურა, ღრმა ადგილი.

<sup>10</sup> ყაფადი, قاف, სახურავი.

–„მე მყავს სხვა ნათხოვინი. ყარამანს ეთემ სულთანის გოგო დანიშნული მყავს მე”.

აგინი გოგომ უთხრა: „ჩემზე უკეთესია? ჩემზე თუ უკეთესია, მიგცემ იმას, წამოვალ. ჩემზე უკეთესი თუ არ არი, თან წამოგიყვან და წამოვალ”. ოთხასი კაცი წეყვანა ჯარი და წეჭდა ბანი ხანუმა. მიჭდა მას მემლეკეთში. დატია ჯარი ქალაქზე ახლოს. თან წეყვანა თეჰარ მირზად, მიჭდა გოგოს ყონახზე ახლოს. ახლა სიმღერა უნდა უთხრას ბანი ხანუმა:

ფენჯერედან მელულ მუშეულ ბახანი დარ,  
ჯიგერემი ეშე უდუნა იახანი დარ,  
ალიანაღა ყიზილ გულდარ თახანი დარ,  
ვერ მუჯღამი, აღა-მარგნ გეთურდუნ.  
\* \* \*

ბიზემ დერდა ეგლანიბენ ყალმადი,  
ბიზდა ოღან ყამ ყუსესგნ ბილმადი,  
ყირხ ყიზიდუხ, ჰიჩ ბირგმუხ აღმადი,  
ვერ მუჯღამი, გეთურდამი გეთურდუნ.  
\* \* \*

ბენ ბანია, ეშე ბადესგნ დოლდურდუ,  
დოლდურდუნდა გული ბენზგნ სოლდურდუ,  
თორატტურდუმ, რეზლარა ბულდურდუმ,  
ვერ მეჯღამი, ბეგ თეღარი გეთურდუმ.  
ახლა ზემო გოგომ უნდა უთხრას, ზორომა:  
რა იქნაო? მოკვტა? დარჩა? ქვაზე მიახეთქა?  
თეჰარ მირზა სანდულუნდა,  
სანდულ ინგილდარ, ინგილდარ.  
ონუ დერდ უ ბელასგნდან  
დერია ინგილდარ, ინგილდარ.  
\* \* \*

ქიმი ეულუ, ქიმი ბეჰარ,  
ბეჰარ ოღან ჯეფა ჩეჰარ.  
ბილბილ აღლარ, ყან-დაშ თოქარ,  
ბაღლარ ინგილდარ, ინგილდარ.

• \* \*

ქემენდი ასტილარ ტალა,  
დენი დუშდუმ აჰ უ ზარა,  
ზოჰრე ხანუმ ბოდლე ყალა,  
ბაღლარ ინგილდარ, ინგილდარ.  
ახლა ბანი ხანუმა უნდა უთხრას:  
ელიფ ყეთდენ ბუ ქულუფტურ,  
აღზა შექერ ექილიფტურ,  
ყელემინან ჩექილიფტურ,  
ნა ყარა დურ ყაშინ ზოჰრე.  
ახლა ზემომა უნდა უთხრას:  
სეფად გელდინ სინემუზრე,  
იშიმ დუშტი ჩაფრასტ, ბაჯი,  
დეთურმიშიმ ბირ ბეგ ზადე,  
ნეჯა თოქემე დაშემ, ბაჯი.

ახლა ბანი ხანუმა უნდა უთხრას, **باتی خالوم الادی**  
ბუ დუნია ფანი დურ, ფანი,  
გეჩან სულემდინნარ ჰანი,  
ფაშა ყიზი, ად მ ბანი,  
გეთურმიშინ ეშინ ზოჰრე.

ახლა ზემომა უთხრა:  
ბახნაღა ვარ გულდარგმუხ,  
ღალ ოლუფტურ დილდარგმუხ,  
ათამ ყირდი ყულდარგმუხ,  
ეფჯა დინგლა სოდუმ, ბაჯი.

ახლა შეხედა, რომენ იმ ბანი ხანუმზე ლამაზია ზოჰროდ. უთხრა, რომე: „ეს გოგო შენი მუნასიბია<sup>1</sup>, ჩემზე ყოფილა ლამაზი”. დოუძახა ეთემ სულთანი ბანი ხანუმა: „შენ გოგო უნდა მიცე ამ კაცს, თეჰარ მირზას! აგერ ოთხასი კაცი თოსული ვარ შენი თავი მოსაკლელად-(sic)”.

– „სულ კარქი იქნება”.

<sup>1</sup> მუნასიბი, **مناسبت**, გამოსადეგი.

მიცა ქალად გოგო, ახთი<sup>1</sup> უყო, კად დიდი ქორწილი მო-  
ამზადეს. ისინი ორნი იყვნენ სეფაში<sup>2</sup>. ღმერთმა მთქმელი და  
დამწერავი სეფა აღირსოს. ეგ ერთი ნახვა არის და სხვა  
ნახვა მემრე იყოს.

სამ დღეს იქით უღალატა თეჰარ მირზას გოგოს ბაბამ.  
ბანი ხანუმა მის ესკერს მოაკლევინა. თეჰარ მირზად მის ად-  
გილზე შაი გახადა.

არის კიდევ ბარე სამი ნახვა. გენჯობაში მახსოვდა,  
თვარა ახლა მოხუცებული ვარ, დაასრულა ჩვენმა აშუღმა.

### იმფხრეული. 30 ივლისი. მთხრობელი, მოხუცი ალი-ჩაუშ მოსიძე.

#### X. ქოროღლის ექია

ჰასან ფაშა იყო სილისტრას. იმან ემრი ქნა, თელაღს<sup>3</sup>  
დააძახნია: „ვინცხას თუ შეიძლება, წუტდეს ჩამლიბელში,  
ქოროღლის ცხენი მომიყვანოს, მე ჩემ დას მივსცემ“. მემრე  
ერთმა კაცმა ქელოღლანმა: „მე წავალ და მეუწყვან ცხენს,  
თუ მომცემს თავის დას“. დუუძახა ჰასან ფაშამა ქელოღლა-  
ნი. მიიყვანა მასთან. ეს კაცები შაადი<sup>4</sup> იყვნენ, ე ბეგები, ე  
ფაშები, მე უნდა მოგცე და შენ, თუ მიეყვანე ცხენი.

მიჴდა ქელოღლანი შინ. არ მიცა ნება, რომ წახვიდე  
შენ იქა, თავის დედამა: „ქოროღლი იგიდი<sup>5</sup> კაცია, დაგკლავს  
შენ იქა“.

– „არ შეიძლება, მე უნდა წუტდე იქა. ფაშას უნდა მო-  
უყვანო ცხენი ქოროღლისა. მანაც უნდა მომცეს მისი გოგო  
მე“.

წუტდა ქელოღლანმა ქოროღლისან. ჩეჴდა ჩამლიბელში  
(ისტამბოლზე ახლოს). ჩასულა ჩამლიბეს (sic) სადილობისან.  
მისულა ერთი ქურუნი ქვეშ (ავაზანს ვეტყვით ჩვენ წყლისას,

<sup>1</sup> ახთი, **اخوت**, შეთანხმება, პირობა.

<sup>2</sup> სეფა, **سفا**, კმაყოფილება, სიტკბო.

<sup>3</sup> თელაღ-ი, **تلاد**, მაუწყებელი, მაცნე;

<sup>4</sup> შაად-ი, **شاد**, მოწმე;

<sup>5</sup> იგიდ-ი, **يگيد**, გმირი.

ცხენები რომ წყალ სმენ). ქოროღლისა სეისებმა<sup>1</sup> გამეყვა-  
ნეს ცხენები წყალზე სასმელად. არ სვეს ცხენებმა ქურუნი-  
დამ წყალი. შეფხუკდენ ცხენები თან ქურუნიდამ. ქოროღლი  
ყონალიდან უყურებდა.

– „რატომ არ სვეს მაგ ცხენებმა წყალი? ჩახედეთ მაგ  
ქურუმში, რომ რადა?“

მეგემ<sup>2</sup> ქურუმ ქვეშედამ კაცი. ტაცეს ფეხზე, გამედანეს  
კარში. ბეჴრი სცემეს თან სედებმა. ქოროღლის შიებრალა:  
„ნუ სცემთ მაგ ფუხარას<sup>3</sup>. აქ მედეყანეთ ჩემთან!“

– „რატომ იმალოდი ქურუმ ქვეშ?“

– „ცხენებიდან შემეშინა, ქურუმ ქვეშ ვიმალოდი“.

– „შენ რა ხიდმეთი<sup>4</sup> გამოგვივა?“

– „შენ რაცა ხიზმეთს ბრძანობ, იმ ხიზმეთს მოვაფერებ“.

– „ცხენის ხიზმეთ მოაფერებ?“

– „უკეთესი ვიცი ცხენის მოვლა!“

დოუძახა იმლახორ-აღას<sup>5</sup> (სამასი სედსი ცხენს მსახუ-  
რობდა): „ამ ფუხარასაც ერთი ცხენი დაანახვეთ, მოუაროს,  
ჯამაგირ მივცემ“.

იმ ცხენ ეხიზმეთა ერთ თვეს, კარქა ხმელი ცხენი დაა-  
ნახვეს. ერთი თვეს იქით ქოროღლიმ ჩეჴდა თავლახანაში<sup>6</sup>.  
ადეთი<sup>7</sup> ქონდა. კითხა, რომე სულ კართან ება ის ხმელი  
ცხენი. უწინ ის ხმელი ცხენი ნახა, კართან რომ იყო.

– „ამ ცხენს ვინ ეხიზმეთა?“

– „წინადღეს რომ ერთი ქელოღლანი მევიდა, ის ხიზმეთ  
ურჯება ამ ცხენსა“.

<sup>1</sup> სედსი **سائس**, მეჯინიბე;

<sup>2</sup> მეგემ, --- მოულოდნელად, უცებ, ვაითუ?

<sup>3</sup> ფუხარა, **فقرا**, ღარიბი;

<sup>4</sup> ხიდმეთი (შდრ. ხიზმეთი), **خدمت**, სამსახური;

<sup>5</sup> იმლახორ-აღა **امير اخور**, (ემირახორის ნაცვლად, შდრ. ქართ. ამილახ-  
ვარი)

<sup>6</sup> თავლახანა, **طوله خانه**, საჯინიბო;

<sup>7</sup> ადეთი, **اعدت**, ჩვევა;

–„ძალიან კარქათ ხიზმეთი უქნია“. ამეილო ათი თუმანი, მიცა ამ ქელოლლანს ბახშიში, აჩუქუა.

–„სულ კარქი მსახურება გცოდნია. ამას აქით შენ ჩემი ცხენი ყირატი<sup>1</sup> ხიზმეთი უნდა უყო“.

ერთ თვემა გამეძარა. თავლახანაში ადგილი ჰქონდენ თან სედებს. ყველა სედის იქვენ არი, თავლაში<sup>2</sup> (ახორსაც ვეცყვით, დიდ ადგილში თავლა არი). ზემოთ დივანხანაში<sup>3</sup> საზი<sup>4</sup>, სიმღერა, საჭმელი ყუალა ჯინსის<sup>5</sup>, საჭმელიდან, რახიდან<sup>6</sup>, შერაბიდან<sup>7</sup>, თლათ გაწყობილი ბეგებთან. ქონეგი, სამა, იქით ყიამეთი<sup>8</sup> დადგა, ჯუმბუში<sup>9</sup> აქვან. აქ სედებსმა თქვეს: „ე კიდი, რა ქეფში არიან ისინი!“

– „მეც ავალ, ჩამეუტან საჭმელებს“, ქელოლლანმა თქვა.

–„არ შეიძლება, შენ იქ ახვიდე ბეგთან“.

–„ის ჩემი ბეგია, მე მისი სედის ვარ, რატომ არ შეიძლება?“ ეუდა ქელოლლანმა ქოროლლითან.

–„ეს ქეიფი თელი ღმერთმან თქვენ მოგცა, ჩვენც ღმერთმა გაგვანინა. ჩვენც გვინდა ჯუმბუში, საჭმელი!“

უბძანა ქოროლლიმა: „რა და რა გინდა საჭმელი?“

–„აქ რაც საჭმელია ხაზირზე, ყველა საჭმელი მინდა, ყუელიფრიდან“.

მოუტანეს რახი-საჭმელი. ჩედტანეს თავლახანაში. ჭამეს საჭმელი, დალიეს რახი-შერაბი. ჯუმბუში სულ კად ქნა.

–„ნაკლები გვაქ ახლა ქონეგი. სამა გინდანან, აგერ მე ვისამებ, თქვენ დალიეთ რახი-შერაბი“.

ქელოლლანს უთხრეს: „შენც დალიე!“

<sup>1</sup> ყირათი, قيرات ცხენი;

<sup>2</sup> თავლა, طوله, საჯინბო;

<sup>3</sup> დივანხანა resp. დივანხანე, ديوانخانه, დარბაზი;

<sup>4</sup> საზი-ი, سازه, მუსიკა;

<sup>5</sup> ჯინსი-ი, جنس, გვარი;

<sup>6</sup> რახი, راحي, არაყი;

<sup>7</sup> შერაბი, شراب, ღვინო;

<sup>8</sup> ყიამეთი, قيامت, დადგომა, მეორედ მოსვლა;

<sup>9</sup> ჯუმბუში-ი, جنش, მოძრაობა, მხიარულება, გართობა.

–„დავლიო, ვეღარ ვისამებ. თქვენ ჯუმბუში მეითავეთ, ბოლო დროს მე მეუთავეფ“.

მეგერ<sup>1</sup> რახი-შარაბი ბეჭერი მოჭედენ. ამათ თლათ გახდენ დენ ზარხოში<sup>2</sup>. აღარ იციან დუნია<sup>3</sup> ხებერი. იშუა ქელოლლანმა ხასი<sup>4</sup> დრო. ცხენი წაყვანისთვინ გახაზირდა. დივანხანაშიც ხებერი აღარ არი. ქოროლლი ბეგებ დეეძინენ, არ აქვან არა ხებერი. ქელოლლანმა ცხენთან მიჭდა. ცხენს აქ ოთხ ფეხზე ბუხავი<sup>5</sup> (ოთხი ოყა იყო). ვერ წეყვანა ქოროლლისა ცხენი. მოზებნა ბუხავისა კლიტე. ვერ ნახა იმის საღებო. მემრე თავის ნამსახურ ცხენთან ეუდა ქოროლლის ყონაღში. იქ ბეჭერი ეძება საღებო. ვერ ნახა იქ საღებო. აგერ დილა შამოათენდა. მიხვდა, რომ ვერ უნდა წეუყვანო ეს ცხენი: „ნუ არის ქოროლლის ყირათი, იყოს მეორე ტორათი“<sup>6</sup>. მუადგა ზურგში უნაგირი. გამეყვანა კარში თავლიდან. დაჯდა და დალლა<sup>7</sup>. გეექცა, წეუდა კაცმა.

დილა გათენდა. სედებიდან ხებერი არაფერი არ არი. მეგემ თლათ წევან და ძინჭან. მეგერ შუა დღე გახდა. ქოროლლის ბეგმა ადგა ზეზე, ეჯემოლლი დელიაჰმედმა. ჩეუდა თავლახანაში. არა სედის არ ამდგარა.

–„ადექით მალე, მუათავეთ ცხენის ხიზმეთი!“

სედებსმა ადგენ, შეხედეს, არ არის ქელოლლანი, არ არი ცხენი. უთხრეს ე ხებერი დელიაჰმედს. მუუტანა ხებერი ქოროლლის. მეტი შეეშინდა ქოროლლის:

–„ჩემი ცხენია თუ სხვა ცხენი?“

–„შენი ცხენი ისვენ (sic) არის, წოუყვანია სხვა ცხენი. რატომ შამედნახავ გლახა კაცს. მოუპარავს ცხენი, წაუყვა-

<sup>1</sup> მეგერ, مگر, აი;

<sup>2</sup> ზარხოში, سرخوش, მთვრალი;

<sup>3</sup> დუნია, دنيا, ქვეყანა, სამყარო;

<sup>4</sup> ხასი-ი, خاص, საკუთარი, გამოსადეგი;

<sup>5</sup> ბუხავი, بوقاصي შერ. ჯაჭვი, ბაწარი;

<sup>6</sup> ტორათი, ცხენის სახელი;

<sup>7</sup> დალლა, , ღმერთით;

ნია, გაქცეულა. რა ქუეყანისა იყო ე კაცი? ერთიც ვერ ვკითხვო, რომ „სად არი შენი ქალაქი?“

– წუუყვანია ერთი ცხენი. რა იქნება ერთი ცხენით? ზათიც<sup>1</sup> მიწუქვებია მისთვის. სადაც რომ უნდა, იქ წუყვანოს“.

ორ საათ იქით გამეფიშმანა<sup>2</sup>: ამ კაცმა ჩვენ გამოგვარე-ზილა<sup>3</sup>. თუ იტყოდეს მის სოფელში, მაწუქვა ქოროღლიმ ე ცხენი (sic) თუ თქვა, რომ ღალატობით ვქენი მე ე საქმე, ჩვენ მაშინ დავხით შერცხვენილი. „მიმიყვანეთ ჩემი ცხენი სილა-ქი<sup>4</sup>, გამუეკილო ამ კაც მე“. ქოროღლიმ შეირტყა სილაპი. შეჯდა ცხენზე. წუჟდა იმის ფეშინში<sup>5</sup>, მუეწია ერთს ადგილ. ქელოღლანმა მოხედა უკან. დეინახა ქოროღლი. მაშინ თქვა, რომ დემელია მე დღე, სიკვდილს რომ მე შევეხვეწე, მე საწყალმა სითკე წუჟდე? ერთი წისქვილი დეინახა, ჩუჟდა წისქვილის კარზე. ჩქარად დოუძახა დეგირმანის<sup>6</sup>:

– „მაღეუ გამოი კარში!“

– „რა გაქ ჩემთან საჩივარი!“

– „ეგერ მუა ყირათლი<sup>7</sup>. თლათ გაწყვიტა დეგირმანის“.

– „დეგირმანებს რა უქნიან?“

– „მეც არ ვიცი ჩემი სუნი<sup>8</sup>. შენი ურუბა მე მომეცი, ჩემი ურუბა შენ ჩეიცვი“.

„მემრე რაფერ საქმე დევიჭირო?“

„მოფ, ქომოდან წისქვილ ქვეშ დემალე“

ქელოღლანი გახდა დეგირმანის, მოჟდა ქოროღლი წის-ქვილი კარში. დუუძახა დეგირმანის:

– „რე იქნა ამ ცხენის ბატონი?“

– „არის წისქვილ ქვეშ დამალული“.

<sup>1</sup> ზათი, ذات, არსი, ზათი – უკვე;

<sup>2</sup> ფიშმანი-ი, فشماني, ქონც ნანობს, მომნანიებელი;

<sup>3</sup> რეზილი, رزيلي, უნამუსო, სასირცხო;

<sup>4</sup> სილაპი, ხან ისმის სილადი, سلا, იარადი;

<sup>5</sup> ფეშინ-ი, فشين, წინა, წინ;

<sup>6</sup> დეგირმანის, دغيرماني, მეწისქვილე;

<sup>7</sup> ყირათლი, قيراتي, спрочомный;

<sup>8</sup> სუნი-ი, سوني, დანაშაული.

ვერ იცნა ქოროღლიმა ქელოღლანი, გონია მას დეგირ-მანისი.

– „რა გვაქ დეგირმანებს სუნი?“

– „რე იქნა ცხენის ბატონი? არ ვეძებ მე დეგირმანის“.

– „იგერ (sic) არი წისქვილ ქვეშ“.

ასწია ერთი კად ზოფად<sup>1</sup>, ქოროღლიმა მიცა დეგირმანისი ურუბა თავის, თლათ სილადიც მიაბარა. ჩუჟდა წისქვილ-ქვეშ. ნახა კაცი კუჩხეში (sic). ცემა ერთი კარგა. მოთხუა წისქვილქვეშ ყიამეთი:

„ვინ ხარ, რომ შენ აქ იმაღვი“.

– „მე ვარ ახლა დეგირმანის“.

– „რე იქნა ცხენის ბატონი?“

– „იგერ არი დეგირმანში“<sup>2</sup>.

გაავლო დეგირმანისი იქა. მოვიდა ქოროღლიმ დეგირმანის კარში. შემჯდარა ქელოღლანი ცხენზე, გასულა და განზე დგას. ახლა ქოროღლიმ რა ქნას, ცხენი არ ყავს და სილადი არ აქ. შიეხვეწა ქოროღლიმა: „ნუ გემიტეხ ჩემ ნამუსსა, რამ-ტენიც გინდა მოგცე ფული. არ წუყვანო ცხენი, არ წუედლო ჩემი სილადი. მეტი ბეჟრად გეხვეწები. ეიღევი ჩემგან ბეჟრი ფული!“ არ გეგონა ქელოღლანმა. ქოროღლი დარჩა ხვეწნა-ში. ახლა ქოროღლიმ უნდა სიმღერა უთხრას ქელოღლანს:

\* \* \*

ჯანგმ ყირათ, გოზემ ყირათ,  
სენი ბინან აღურ მურათ,  
ჰერ იანგნდან ჩივთარ ყანათ,  
ირახ დოღლარ არძანგდურ.  
ყირათი ბესლადემ ქორფა,  
ჰადხირდუხნას ჩიხარ ზარფა,  
ჰერ ყონახდა ონ თას არფა,  
იფექ თორბა არძანგ დურ.

\* \* \*

<sup>1</sup> ზოფა, صوفه, კეტი, კომბალი;

<sup>2</sup> დეგირმანისი, دغيرماني, წისქვილი; 3. აინა, اينا, თამაში, ცელქობა.

ქოროღლუმ დერ ოხლარინან,  
ლოგუშურამ ჩოხლარინან,  
ბაში ფოლათ მუხლარინან,  
გუმიშ ნაღლარ არძანენ დურ.

კაცმა გააჭენა, წვეიდა. ტორათი დარჩა, ისიც ხამლადი. სისხლი-მისხლი გაართვა. შინ დაბრუნდა ქოროღლი. აინაით გაუხედა ყაფაზმა, გახედა, რომ ფქვილით გამხდარა სულ ქოროღლი. ერთი კიდომ ქოსა კაცი იყო, ემია, მას უთხრა ყაფაზმა: „საზი მომეცი, სიმღერა უნდა უთხრა ქოროღლის“–

ნეჩენ გირდენ დევირმანა,  
დე ყალ ბოდლე დანა, დანა,

ღედი ამი აფაზხანა.

ბაზარგენ მუბარეკ ოლსუნ<sup>1</sup>.

\* \* \*

არხანა აღმიშენ ფასტა,  
დერდენდან ოლმიშინ ხასტა,  
ყაჩ თუმანი ვერდინ, უსტა.  
ბაზარგენ მუბარეკ ოლსუნ.

\* \* \*

არხანა აღმიშენ დერი<sup>2</sup>,  
ალამ, და გელ და დონგერი,  
ვერდენ ყირი, აღდენ ტორი.  
ბაზარგენ მუბარეკ ოლსუნ.

\* \* \*

ღუჯა ტაღლარდა დასლანდენ,  
ქოროღლი დეიუ სესლანდენ,  
რენგინ ამი ჰაფასლანდენ.

<sup>1</sup> „ქიდათ იღებს ქოროღლის“, „დასცინის ქოროღლის“, გვისხნის მთხრობელი.

<sup>2</sup> „ჩუნქი ქურქი ეცვა“– „იმიტომ რომ ქურქი ეცვა“, გვისხნის მთხრობელი.

ბაზარგენ მუბარეკ ოლსუნ.

ახლა ის დავეტიოთ.

ქელოღლანმა მოიყვანა ცხენი შინ და მის კალოზე გა-  
მოაბა. ფაშას ხებერი ხვდა. მუყეყვანია ქელოღლანს ცხენი.  
„ართვით და აქ მიეყვანეთ“. ქელოღლანმაც უთხრა, რომე  
ჯერ გოგო მომცეს, მისი და, ცხენს ისე მივსცემ.

–„არ შეიძლება, მე იმას ჩემი და მივსცე.“

ბეგებმა, ვეზირებმა უთხრეს, რომ „ტყვილი არ შეიძლე-  
ბა დიდ კაცთან. მიცე უნდა გოგო“; უთხრეს წინაკაცებმა:  
„ჩააცვი, დააბურე, ურუბა გამოუცვალე, გახდება ერთი ბე-  
გი“. დიდრვიანებს დუუჯერა, ჰასან ფაშამა და მიცა და ქე-  
ლოღლანს, ორმოც დღეზე დუღუნი<sup>1</sup> მეითავეს. ცხენი მუყეყა-  
ვანა ქელოღლანმა, დუუბა, თავით ქელოღლანმა ფერუხეთ  
ხანუმესთან დაწვა. მემრე ცხენს ვინ მოუაროს? ერთი სხვა  
სედსი გააგზავნა ფაშამა. იმ სეისსა თავი მოაწყვიტა ცხენმა.  
არა კაცს აღარ შეეძლებოდა ცხენთან შესვლა. კიდოც რომე  
მის სიძემა მოუაროს, ქელოღლანმა. შეჩვეული ის იყო.

ახლა ჩვენი საქმე მოვიდეს უნდა ქოროღლითან. ჩემცვა  
დეერიშის<sup>2</sup> ურუბა. წუჭდა სილისტრა ქალაქში. მიჭდა ქა-  
ლაქზე ახლოს. შეეყარა ერთი ბებერი კაცი.

–„რა საქმე გაქ, ემიავ, შენ მაგ ქალაქში?“

–„ჩვენ ჰასან ფაშამა ზორით<sup>3</sup> აართვა ცხენი ქოროღლის.  
იმისთვის სასედრათ მივალ, რაფერი ცხენია დევნახო“. დეე-  
რიში ამბობს: „შენ მიგინგლე<sup>4</sup>, მე დავაქო ის ყირათი:

ჯანგმ ყირათ, გოზემ ყირათ,

აჯაბ გოზლარ, გორურმოლა,

ჰასან ფაშა ლევენთლარი

<sup>1</sup> დუღუნ, **دوگون**, ქორწილი;

<sup>2</sup> დეურიში-ი, resp. დერევიში-ი, **درویش**, ღარიბი;

<sup>3</sup> ზორი-ი, **زور**, ძალა;

<sup>4</sup> „დამიყურე, მისმინე“, - მთხრობელის ახსნა. შესაძლებელია, მიგინგლე არის ხალხის ენაში დამახინჯებული მიდინგლე, რაც წარმოადგენდა ქართულ ფორმას თურქული ზმნისა **مکله مکله**, იმერსეულ წარმოთქმაში დინგლამექ არის მოსმენა.

ემგნ სუფნ ვერურმოლა.

\* \* \*

ღორდ ადღუმ ბირბირ ბასარ,  
დუშმანგნ ბაღრინი ქესარ,  
ჰერ დერედან ბირ ბად ესარ,  
ტაღლარ ყარი ვერურმოლა.

თქვა და ბებერზე წინ გეძარა დევრიშმა. შევიდა ერთ ყავეში<sup>1</sup>. ყოჯამანმა<sup>2</sup> ბებერმა მივიდა ფაშასთან. ერთი თემენნა<sup>3</sup> უყო.

– „შენი ერთი კარქი ცხენი აგირთმევია ქოროღლისთვინ, სანახავათ მოსრული ვარ“.

– „მეფეყვანეთ, მარა არა კაცსაც არ იჯდუმღებს“.

„ყავეში მოჰდა ერთი დევრიში, საზი ხელში აქ, თუ შეჯდება მაგ ცხენზე, ის დეჰურიში შეჯდება. ჰემ<sup>4</sup> სიმღერას ეტყვის და ჰემ-და დეჰურიში შეჯდება“.

– „მეფეყვანეთ ჩემთანა დეჰურიში!“

წეჰდა ახლა ერთი ყაფაზი<sup>5</sup> ყავეში.

მეფეყვანეს დეჰურიში ფაშასთან. უთხრა ცხენისთვინ სიმღერა. შეჯდა დეჰურიში ამ ცხენზე.

– „ამ ცხენსაც ქოროღლის სიღალი ეფერება?“.

– „შენ, დეჰურიშ, იმას ნუ ჩივი, სიღალი აგერ აქ არის“.

აწია ქოროღლის სიღალი, უთხრა დეჰურიშმა სიმღერა: შეიძლება, დეჰურიშ ბაბა, შენ ედღე ბახშიშ ფული.

ბირ ატ გორდუმ სტილისტირა ელენდა,  
ელმა გოზლი [ყ]სფერჩემლი ყირათ გელ,  
ბენდ ოღმიშდურ ბირ ხოდრათგნ ელენდა,  
ელმა გოზლი ყსფერჩემლი ყირათ გელ.

\* \* \*

<sup>1</sup> ყავე, **قايه**, საყავე;

<sup>2</sup> ყოჯამანი, **قوجه مان**, მოსუცი, დიადი;

<sup>3</sup> თემენნა, **تمیننا**, თავის დაკვრა;

<sup>4</sup> ჰემ, **هم**, ერთად, ერთდროულად;

<sup>5</sup> ყაფაზი, **قافاز**, პოლიციელი, შიკრიკი.

ბეუკ დურ გეჰდესი, ქუნუქ დურ ბაში,  
ღორდუნი ტოღდურმიშ ბეშენდა ააში,  
ჩოს ხადარ ბეგდა დურ ბუნგნ ყარდაში,  
ელმა გოზლი ყსფერჩემლი ყირათ გელ.

\* \* \*

არია, არია, ბუღდუნ იზინი,  
ოფენ ტირნადინი, სოღრა გოზუნი,  
ხურიშან დურ შექურ გოღდუნ დუზუნი,  
ელმა გოზლი ყსფერჩემლი ყირათ გელ.

გაათავა სიმღერა და თან გააჭენა ცხენი. ხენდეკი<sup>1</sup> გააშპუნა გაღმაზე, თუნა-ჩაი<sup>2</sup> გეძარა, გეჰდა გაღმაზე, ცხენს უნაგირი მოაძრო, გააშრო.

ახლა სიმღერა უთხრა:

ენდუმ სედრ ეღაღუმ თუნა დაღისგნ,  
ალემა დუზუნა, მაღლ აფაზხან,  
შემსი ყემერ ქიბი გოსტარურ დუზუნ,  
გუმ ქიბი ტაღლარა დაილა, აფაზხან.

\* \* \*

დახში ოთურ, დახში ტანიშ სოზულუნ,  
ბენგმ ფარა სენგნ იქი გოზუნი,  
შემსი ყემერ ქიბი გოსტარურ დუზუნ,  
ალემა დუზუნა, მაღლ აფაზხან.

\* \* \*

ქოროღლუ სოღლადი ბიზი დარადან,  
ყაღდურუნ ენგელი, ჩიხსგნ არადან,  
ჰაიპირთდგნ ყირათი, გეჩდგნ თუნადან,  
ჰერ იანგმუზ ოღლი ზაღლ, აფაზხან.

ახლა შეჯდა ცხენზე და წეჰდა ქოროღლი, ნეგემ ჰასან ფაშის მეორე ქალი, სოგუთ ბაღის ეტყოდენ, ერთი ჩივთლი-

<sup>1</sup> ხენდეკი-ი **خندق**, თხრილი;

<sup>2</sup> თუნა-ჩაი, **تونانچاي** მღ დუნაი;



გი<sup>1</sup> იყო, იქ იჯდა ფერუხეთ ხანუმი. მიჰდა იქა ფერუხეთ ხანუმთან ქოროღლი.

–„შენმა კაცმა ჩემი ცხენი მოაპარვია, სილაი მოაპარვია, ახლა ჩემი კაცისთვის, ჩემი ბეგისთვის უნდა წაგიყვანო“ (ჰასან ფაშის ქალს უთხრა).

იმ ხანუმსა წინდაწინ ქოროღლის ბეზირგანი გაქუცული ყავდა.

ახლა სიმღერა უთხრა ქოროღლიმა ხანუმს:

სოგუთ ბაღენა გიდარსენ,  
ყუმაშენ დაღმა იდარსენ,  
ბეზირგანემ დოგარსენ,  
ჰარამინისენ, ფერუხეთ.

ახლა ფერუხეთმა უთხრა:

სოგუთ ბაღენა გიდარემ,  
ყუმაშენ დაღმა იდარემ,  
ბეზირგანენი დოგარემ,  
აშუხ, სანა ქიმღარ დიღარ.

\* \* \*

სანიდა სარაღდა ატტურემ,  
ლეშინი ქელბა ყაფტურემ,  
ფოსტუან სამან თეფთურემ,  
აშუხ, სანა ქიმღარ დიღარ.  
ახლა ქოროღლიმა უთხრა:  
ბენ ქოროღლიამ, ყალხარემ,  
ოხუმი გოქსან ჩახარემ...

ახლა ქოროღლიმ უთხრა:

ბენ ქოროღლიამ, ყალხარემ,  
ოხუმი გოქსან ჩახარემ,  
სარაინ ბაშა იხარემ,  
გულურმისენ, ყიზ ფერუხეთ.

\* \* \*

<sup>1</sup> ჩივთლიგი-ი, **كفتلچ** ფერმა;

ფერუხედემ, ადემ ბელლი,  
დუდი დილლი, ინჯა ბელლი,  
სეფად გელდინ, ალა დოლლი.  
აღამ, სანა ქიმღარ დელღარ<sup>1</sup>.

ქოროღლიმა (ცხენზე ზის) ხელი წამოიღო, თერქუქ შამეიჯდუმლა, ეყვანა, წეჰდა. ქოროღლიმა ორი ხანე სიტყვა კიდო უთხრა გოგოს ცხენზე.

ჩიხარ, ბახნადა გეზარსენ,  
დერთლი ბადრიმი ეზარსენ,  
ბადაზ ქაღიდა ბენზარსენ,  
ყელემ ტუთმაზ, აზემ სენი.

\* \* \*

დუჯა ტაღღარენ ყარისინ,  
ჰანგი ბახნანენ ბარისინ,  
ყარა გედანენ დარისინ,  
ჩამლიბელდა სარსენ სენი.

წეჰდა. ჰასან ფაშამა ქალის წაყვანა შეიტყვა. ორჯერ ათასი კაცით გამოეკიდა, გზაში მუეწია. ერთ კლდეში დაამწყვდია. ის ზე დამწყვდეული დარჩა.

ჩამლიბელს სიზმარი ნახა ქოსა ქანანმა. ქოროღლი ამუალს ადგილ დამწყვდეულია მაღარაში<sup>2</sup>. მოჰდა, მოუსწრა ორმოცი ცხენოსანი. ქოროღლიმ უთხრა ცხენოსანს სიმღერა:

ყალხენ ყალღადა ტაღაღემ,  
ალაღღარინი ბოღაღემ,  
დუშმანდან ჰაიფ ალაღემ,  
სიზ ბირ დანდან, ბენ ბირ დანდან.

\* \* \*

ყალხენ ყავღადა სარფაღემ,  
ყარლიი სირქეფ ტართაღემ,

<sup>1</sup> დელღარ, მთქმელმა განმეორებისას წარმოთვა დილღარ.

<sup>2</sup> თერქი, **ترک** ცხენის გავა;

<sup>3</sup> მაღარა, **مغاره**, გამოქვაბული.

აჯ ასლან ქიბი ირთალემ,  
სიზ ბირ დანდან, ბენ ბირ დანდან.  
კიდო უთხრა ქოროღლიმა სიმღერა მადარაში:  
სარული ვერი სარანარ,  
ჰელბეთ ბირ გუნ ირღარ ოღურ.  
ყავლადა ყალმაზ კალაფათ,  
ბოზულუდ, თარიმარ ოღურ.  
\* \* \*

შიმშექლი კაპუტ გემანარ,  
აღირ ქოღლარი იანარ,  
თეჰნედა ბენამ დიანარ,  
მედან ბეშენდა ტარ ოღურ.

\* \* \*

ქოროღლუმ ბუნი სოღლასა,  
ეშკ დერიასინი ბოღლასა,  
იგიდ მედინდა ოღლასა,  
დარასუზ გელსა, არ ოღურ..

ის ორმოცი ცხენიანი კაცი ესკერში შევიდა და თლათ გაწყვიტა, ჰასან ფაშა დეჰირა ქოსამ. ქოროღლიმ ქალი გააშეგებია, მისცა თავის ბეგს, ყარაგედას. ესკერი გაწყვიდენ, გეძქენ სილისტრას. ახლა ქოროღლი უნდა მოვიდეს ჩამლიბელს. წინდა წინ თეკათლი<sup>1</sup> მოვიდა ქოროღლი ჩამლიბელს და გელინებს<sup>2</sup> უთხრა: „ჩვენი ბეგები სულ გაწყვიტესო. ოცდა ცხრამეტი (sic) გელინი ყავდა, მეორმოცეც ყარაგედას ქალი:

ქანან ელარუნა ვარდემ,  
და ეგლარდემ ყალდემ,  
ბეგლარემ ოლისინ გორდუმ,  
ტულ ყალდენგზ ხანუმლარუნ.  
\* \* \*

<sup>1</sup> თეკთლი, تكي تك، ურთი ცხენით;

<sup>2</sup> გელინი, گيلين، რძალი;

ხაზინედარა დემ გელსენ,  
ხაზინე ოდასენა გირსენ,  
ნიქლარინზი ჭერსენ,  
ბურდან გედენ ხანუმლარუნ.  
\* \* \*

ქოროღლუმ დერ ყადრემ ბილინ,  
დაღან სოღლადემ და გულუნ,  
ოღან გულუნ ხანემ ლარუნ.

მოვიდა ესკერი ორმოცი ცხენიანი. მეიყვანეს ხანუმი. ხანუმის სიმღერა:

შუ ყარში ქი ყარლი ტაღლარ,  
აჯაბ ბიზემ ტაღლარმოლა,  
აღზი ლიფლი ბენემ ანამ,  
ეიზემ დირდა, აღლარმოლა.  
\* \* \*

ქაბედან გელურ ჰაჯილარ,  
ფურექდან ჩისმაზ აჯილარ,  
ბაღდა ქი ჩივთა ბაჯილარ,  
ბაჯი დერ-და, აღლარმოლა.  
\* \* \*

ფერუზეთ გედი აღინი,  
გელდი სალინი სალინი,  
ოღდუმ ქოროღლი გელინი,  
ჩამლიბელა გელდიმოლა.

შვიდ დღეს შვიდ ღამეს ქორწილი გააწყვეს. ყარაგედას მიცეს ხანუმი. ჩემ ყონახზე მობძანებულ ეფენდიმა<sup>1</sup> სიცოცხლეში არ დემივიწყოს. ანჯახ<sup>2</sup> მახსოვდა ბებერ კაცს ამტოვლი დუნის სიტყვა. მოთავდა ქოროღლის ჰეიქადე. – გაგაწყინეთ, ბატონო.

**იმფხრეული, 30 ივლისი**  
**მომითხრო აღი-ჩაუშ მოსიქემ**

<sup>1</sup> ეფენდი, افندي، ბატონი.

<sup>2</sup> ანჯახ انجاق، ძლივს.

**31 ივლისი, შაბათი.** ერთ ფირფიტაზე გადავიღე ზედა სართულის მოფარებულ კუთხეში ხუთ მცირეფანჯრიან ვერანდაზე დალაგებული იმერხეველის ოჯახში სახმარი ნივთები (სურ. 19).

- I. წინა პლანზე მარცხნიდან მარჯვნივ:
  1. ჭახრაკი, თურქ. ჩიდრიკ, მასზე ბორბალი ძაფისთვის.
  2. საჩხეკელი, თურქ. ტარად.
  3. წყვილი თხილამური, თურქ. *ჭედიქ*.
  4. ხელწალი, თურქ. იდი (სართავი ჯარა), კუჩირის თავით (თურქებს ეს სახელი არ აქვთ).
  5. შვილდი (ბანბას გაპანტენ), თურქ. არ არის.
  6. ნიჩაბი, თურქ. ქურექ.
  7. თოკვი<sup>1</sup>, თურქ. იფ. ბაწარი.
  8. კეცი, თურქ. ფილექ, პურის გამოსაცხობი ქვის ჭურჭელი.
  9. თოხი, თურქ. ყაზმა.
  10. კოლოფა, თურქ. ქულექ, ჭურჭელი.
  11. დეზგა, თურქ. ჯულფახანა, საქსოვი დაზგა.
  12. კიბე, თურქ. პერდივან, მასზე:
    - ა. ცული, თურქ. ბალთა, ნაჯახი;
    - ბ. ქართული შესატყვისი არ არის, თურქ. ზემბილი, ხელის კალათი.
  13. გოდორი, თურქ. სეფეთ, დიდი კალათი, ზურგზე რომ იკიდებენ.
  14. ტავარჯული, თურქ. თულული, ტყავის ტომარა სურსათისათვის და სხვა.
  15. მანგალი, თურქ. ორად, ნამგალი.
  16. ქართული არ არის, თურქ. თირვან, ცელი.
  17. გიდელაჲ (იხ. დღიური) თურქ. არ აქვთ, კილია დვედზე, თურქ. ყაიშ. ქამარი (ოღონდ არა ტყავის, წირეხი).

<sup>1</sup> აგრეთვე საბელი.

აუცილებელი საგნებიდან დამავიწყდა სუფრის (ერთი მთლიანი ხიდან გამოთლილი მრგვალი ხის მაგიდა ერთ დაბალ ფეხზე ან საყრდენზე) დადგმა.

იმფხრეულელთა სიტყვებით თუ ვიმსჯელებთ, აქაურებს ზღაპრებზე ცხოველთა სამყაროსა და სულების ცხოვრების შესახებ, წარმოდგენა არა აქვთ. „მაგრამ დევებზე წარმოდგენა გვაქვს“,- მითხრა მე ალი ჩაუშმა: „ის გოლიათია, შეიძლება წითელი იყოს, შავი და სხვა. კიწი (კისერი) გრძელი აქვს, ხოლო თავი – ისეთივე, როგორც ვერძს. ჩვენ მაგი, რა თქმა უნდა გვინახავს და ვიცით, ცოლები, ბავშვები და ბევრი სხვა „რამეს არ ხედავენ და არაფერი იციან. ჩვენ შორის ისეთებიც არიან, რომლებსაც კამეჩიც არ უნახავთ“.

ანდაზები, როგორც ჩანს, აქვთ, მაგრამ აქაც გაიმეორეს: „მთა მთასთან“ და, საერთოდ, თურქული ენა მათთვის ანდაზებში უფრო ახლოსაა. შეძლეს კიდევ ერთი თურქული ანდაზის გახსენება: „აღთუნა ღერყეთსან ედ ოღმაზ ქოთი“, „ასლი ხამ დემურდან ჯეჟუჰერდა ოღმაზ“.

8 1/2 საათზე მივემგზავრები დიობანში. აქ არც დაპირებული წარწერა, არც „400 წლის წინანდელი თამარის დროის ქალაქი“ არ გვინახავს. ისინი თავდაპირველად გვიმტკიცებდნენ, რომ მათ საერთოდ არაფერი არა აქვთ, მაგრამ შემდეგ მოგვიყვანენ: „ცოტა ხნის წინ, „მეჰლეში“, რომელსაც წითელაძე თუ წიქრაძე, resp. წიქრეთი ჰქვია, მშენებლობის დაწყებისას გამოთხარეს რაღაც ძველი ნაგებობის ქვები. დარჩენილში მე ვერ ვნახე ვერც ერთი წარწერიანი. ასევე ამოთხარეს რამდენიმე ღვინის ჭური, რაღაც სითხით, როგორც მოსახლეობა ამტკიცებდა, ერთზე იყო ქვის სახურავი ჯვრით. ჯვარი პატარაა, ტოლგვერდა.

გზა დიობნიდან უბეში ორ არათანაბარ ნაწილად იყოფა: პირველი, დიდი, ერთიანი აღმართი, შემდეგ დაღმართი კარჩხლის ხეღით. უღელტეხილი მდებარეობს ადგილას, რომელსაც **ხანძთა** ან **ხანსთა** ეწოდება (რუკაზე **ხოსტა**). ირგვლივ ნაგებობის კვალი არ არის.

დავტოვებ რა მარცხნივ ზედ-უბე, უბეში ჩავედით 11 1/4 საათზე. სოფლის ქვემოთ, სწორ ადგილას იყო ეკლესიის ნანგრევები. ახლა ქვები ღობის ყორეშია ჩაწყობილი, ისე რომ, ნაგებობის საძირკველიც არ ირკვევა.

12 1/2 საათზე მივალწიეთ **დევაძეების** (იგივე **დევაძევი**) „მეჭლეს“, სადაც დავათვალიერე ეკლესია, რომელიც მდებარეობს გორაკზე უბიდან მიმავლისათვის გზიდან მარჯვენა მხარეს. გორაკი, მოცემულ შემთხვევაში მთის ფერდობი, მდებარეობს დევაძეების მთის ნაკადულიდან აღმოსავლეთით. შესაძლებელია, რომ თავდაპირველად ფერდობზე იყო დავაკება, თუნდაც ხელოვნურად გასწორებული. ახლა ამ დავაკებიდან დარჩა სწორედ იმდენი, რამდენიც თვით ეკლესიას უჭირავს. ჩრდილო კედელი მთლიანად დაფარულია მიწითა და ნანგრევებით, მიწის ზედაპირი კი – ბალახით. დაფარული [ნაწილი] შესახედავად წარმოადგენს ბუნებრივი გვერდობის გაგრძელებას, რომელიც წყდება ჩრდილო კედლის წყობის ზედა რიგთან. დანარჩენი სამი მხრიდან გვერდობები ზედ შენობის საძირკველთან იწყება. ეკლესია შავშეთ-იმერხევის ტიპისაა, ე.ი. გაგრძელებული ოთხკუთხედი შიგნით მომრგვალებული საკურთხევლით. საკურთხევლის ნახევარწრეში ნახვრეტი, გაფართოებული პირი დასავლეთ ფასადზე და სამხრეთი კედლის მთელი ნახევრის ჩამოქცევა საკურთხევლის ნახევარწრიდან კარის განის ხაზამდე მიანიშნებს ამ ტიპის ეკლესიების სამ წვრილმანზე: აღმოსავლეთი და დასავლეთი ფანჯრები და სამხრეთი ერთადერთ კარი<sup>1</sup>. საკურთხევლის ნახევარწრე, შიგნით, მარჯვნიდან და მარცხნიდან, ჩვეულებრივად შევრილებით, მაგრამ უმნიშვნელოებით, ორი-სამი გოჯი სიგრძისა. ეკლესია შედარებით კარგადაა შენახული, 11 რიგი ქვების წყობა ყოველ კედელში,

<sup>1</sup> ჩემთან მოვიდა კაცი, რომელმაც განაცხადა, რომ მას ახსოვს ეს ეკლესია გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში, ჩემ მიერ მითითებულ ადგილას კართა და ფანჯრებით. მისი დედა, რომელიც 116 წლისა გარდაიცვალა, ამბობდა, რომ ეკლესია იყო ძალიან ლამაზი, რომ მას ახსოვს იგი სრულიად ხელუხლებელი (**صاغ صاغلام**).

გარდა აღნიშნული ნახვრეტებისა. შიგნით ხელუხლებელია საშუალო ზომის საპირე ქვებიც კი. გაირკვა დანიშნულება ერთი ქვის ზომის შევრილისა, რაც მე სურევანის ეკლესიაში შევნიშნე კარის განთან მარცხენა მხარეს. აქ, სამხრეთი კარის პირდაპირ, შემორჩენილია შევრილი ჩრდილო კედელში ოთხი ერთმანეთზე დაწყობილი ქვიდან; ქვედა ქვა წყობის მეექვსე რიგშია. ეს არის თავისებური კედელში გამოყვანილი სვეტები, ბოძები კამარისათვის; კამარის ასეთივე საყრდენი გამოყვანილია როგორც საკურთხევლის ნახევარწრის ჩრდილო შევრილი. ეს კამარები, შესაძლოა იჭერდნენ იმ გუმბათს, რომლის ნანგრევები ყრია ეკლესიაში. გუმბათი მოხუცებს კიდევ ახსოვთ. ეს უკვე ახალი ნიშანია: წყობა არის ორივე მხრიდან ცუდად გათლილი საპირე ქვებისაგან შიგა და გარე მხრიდან, ნატიფი მოპირკეთების გარეშე. ყურადღებას იქცევს ეკლესიის შიგა სიგრძე სიფართოესთან შედარებით: სიგრძე, საკურთხევლის ნახევარწრით 3 საუენი, 1 არშინი და 5 გოჯი, სიფართე – 1 საუენი და 14 1/2 გოჯი; საკურთხევლის ნახევარწრის სიღრმე 2 არშინი და 7 გოჯია, კედლის სისქე 1 არშინი და 7 1/2 გოჯი. ადგილობრივები ამბობენ, რომ იყო წარწერა, მაგრამ სადღაც წაიღესო. მთის წვერზე ეკლესიიდან სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს ძველი სასაფლაო. ქვები ასევე წაღებულია. ეკლესიის მოსაპირკეთებელი ქვები გარედან მომძვრალია, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო. გადავედი რა დევაძეთა ნაკადულის მარჯვენა ნაპირზე და ამ ნაპირით ათიოდე წუთი აღმასვლის შემდეგ, ასევე მარცხნივ, ფერდობზე, მაგრამ სხვა მთისა, შევნიშნე ნაგებობის ნარჩენი. ამ ადგილს „კოდი“ ეწოდება. თვით ნაგებობასთან ჩრდილოეთიდან არხით მოედინებოდა წყალი (ამჟამად არხი მშრალია). ამიტომ ადგილობრივები გვიხსნიან, რომ ქვის ნაგებობა იყო წისქვილის „კოდი“. ძნელია იმის თქმა, თუ რა ურთიერთობაშია ადგილის სახელწოდება „კოდი“ ნაგებობის ამ ახსნასთან. ნებისმიერ შემთხვევაში აქაც საქმე მაქვს ეკლესიის და არა წისქვილის ნარჩენთან. შენახული ნაწილი წარმოადგენს ჩრდილო-აღმო-

სავლეთ კუთხეს შავშეთ-იმერხევის ტიპის საკმაოდ დიდი ეკლესიისა შიგნით მომრგვალებული საკურთხევლით. შემორჩენილი ნაწილის სიმაღლე ორ საუენზე მეტია..

გვერდით, არხს იქით, იზრდება დიდი კაკლის ხე. ეკლესია აღმოსავლეთისაკენ არის ორიენტირებული. წყობა და ნამუშევარი ისეთივეა, როგორც უკვე აღწერილი ამგვარი ნანგრევებისა.

მკვეთრი აღმართით ავედი იქ, სადაც ბილიკი უერთდება საკურთხევა დაბაში მიმავალ გზას. 15 წუთის შემდეგ მე იქ ვნახე უფრო დიდი ნაგებობის ნანგრევები, სრულიად შესაძლებელია ეკლესიის ან მონასტრისაც კი. ეკლესიის ორიენტირი ახლა არ ირკვევა, დაფარულია ნანგრევებით, ამოშვებულია კედლის და არა ეკლესიის, ზედა ნაწილები. ერთ კუთხეში, მიწიდან მოჩანს კედლის ზედა ნაწილი, მასზე გაშვებული კამართი. ორი საათისთვის დადღილები და მზით დასიცხულები მივჩანხალდით დაბაში.

დაბაში მხოლოდ ერთი მეჭლევა, **დებაძე**, რომელიც ეს ესაა გავიარეთ. აქ, სოფელში, არის საოცარი წყაროს წყალი, ჯერ კიდევ ძველად გამოყვანილი ძველი ქვის მოპირკეთებით: ის მუს-ოღლის სახლთანაა. ზემოთ, გზასთან, რომელიც დაბის ცენტრს გამოყოფს ზემო მეჭლევიდან, ან, როგორც აქ ამბობენ, ზემო-მაჭლევიდან, აჯი-ოღლის სახლთან, ამავე გვარის მამასახლისის მიწაზე იყო ამოთხრილი ნაგებობა, გუმბათიანი ოთახი (ყუბელი), კარგი, თლილი ქვის წყობით. ყველაფერს კვლავ მიწა დააყარესო, გვაცნობა თვითონ პატრონმა. სოფ. დაბის თვით ზედა მეჭლევიში, მალღობზე სახლების თითქმის ზედა რიგის წინ (მალღობი ნაწილობრივ ნანგრევებით არის შექმნილი), არის ნაგებობების ნარჩენები; ორიენტირების მიხედვით, ეს არ არის ეკლესიები, თუ არა და აღმოჩნდებოდა, რომ შავშეთ-იმერხეული ტიპის ეკლესიების საკურთხევლის მომრგვალება მდებარეობს ჩრდილო-დასავლეთ-დასავლეთით(?). ამ მომრგვალების ჩრდილოეთი მხრიდან, რომელიც დარჩენილია მხოლოდ მიწის ზემოდან, როგორც ადგილობრივები ამბობენ, არის მეზობელ

შენობაში გასასვლელი 13 გოჯი სიგანის კარი ან განივი. მაგრამ ახლა მე ამ გასასვლელს ვერ მივაკვლიე: იგი ამოვსებული და ჩახერგილია. მეორე ნაგებობა კი ასევე ჩვეულებრივი წყობისაა, შიგნით ოთხკუთხაა და როგორც პირველი, ორიენტირებულია ჩრდილო-დასავლეთისაკენ. ამ ჩრდილო-დასავლეთ კედელში, შედარებით უკეთესად რომაა შენახული, დაახლოებით შუაში არის 1/2 არშინი სიღრმის ნიშა.

დაბის დასავლეთით, საკმაოდ მაღალ გორაკზე, ზედა „მეჭლევიდან“ 5 წუთის სავალზე, არის შავშეთ-იმერხევის ტიპის ეკლესიის ნანგრევი, რომელზეც საფუძვლის გეგმის მიხედვით შეიძლება მსჯელობა. ეკლესიის ქვები სოფლის მცხოვრებლებს წაუღიათ, თვითონ მამასახლისის, მისივე თქმით, ორი წლის წინ თხრიდა ეკლესიაში და ამოთხარა ორი ჭური.

მამასახლისმა გვაცნობა, ჩრდილოეთით, მაღალ მთაზე არის ნანგრევები, სადაც არის ქვა „სომხური“ წარწერით. რადგან ძველი ქართული საეკლესიო დამწერლობა მოხაზულობით ძალიან წააგავს სომხურ მთავრულ ასოებს, მე ვიფიქრე, რომ მუხტრის ცნობა ყურადღებას იმსახურებს და არის იმედი ძველი ქართული წარწერის პოვნისა, რომლის განადგურება ჯერ კიდევ ვერ მოასწრეს. ახალგაზრდა ბიჭმა განაცხადა, რომ ქვა კარგა ხანია წაღებულია. მოხუცი თავისას იმეორებდა. 25 წუთი ავდიოდით მაღლა, როცა მარჯვნივ მე შევნიშნე ქვების გროვა, რომელთა შორის იყო როგორც ბუნებრივი, კედლის ნატეხი ქვები, ისე, როგორც ჩანს, ქვები წყობიდან. უკანასკნელნი დაფარული იყო ჩამონგრეული კლდეებით. ნაყარზე უკვე ფიჭვებს მოესწრო ამოსვლა; ასე რომ, ძნელია ნაგებობაში გარკვევა. ვფიქრობ, აქ არანაირი ნაგებობა არ ყოფილა, თუმცა ადგილს ციხისძირი ჰქვია; შეიძლება, ზემოთ ოდესღაც იყო სიმაგრე. ერთი რამ უეჭველია, რომ ადგილზე არანაირი წარწერა არ აღმოჩნდა, თუნდაც რომ ის ადრე მართლაც ენახათ. მამასახლისმა მიუთითა ფიჭვის ქვეშ მდებარე ქვაზე, რომელზეც წარწერის ნიშანიც არ არის. ფუჭად დაიკარგა დრო და ძალა. ზემოთ, უფრო

იქით, მე უკვე არ ავსუღვარ, ვენდე რა ჩემს მეგზურებს, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ახლა მთის წვერზე არაფერი არ არის და არც ახსოვთ, რომ იქ რაიმე ყოფილიყო. ჩვენ ცხენებით მოვიდოდით: გზა შვეული და ცუდი იყო, მაგრამ სიარული შეიძლებოდა. ეს არის გზა დაბის დაილებისაკენ.

დაბიდან გამოსვლიდან ერთ საათში ჩვენ ვიყავით ზაქიეთის ბოლო მეჭელეში. ამისათვის გავიარეთ ბალტიეთი, ხევწვრილის „მაჰელე“. საგანგებოდ აღვნიშნავ „მეჭელეს“ ადგილობრივი წარმოთქმის მრავალფეროვნებას.

**1 აგვისტო, კვირა.** დიდი ხანია ვაკვირდები იმერხეულ სახლს. აქ ვიძლევი მის აღწერას. სახლი ყოველთვის ხისაა, ჩვეულებრივ ფიჭვის (ნაძვი) ან სოჭის, ბელელი კი – ნაძვის (კატრის). სახლები იშვიათად არის ნაგები მორებისაგან, თითქმის ყოველთვის – ფიცრებისგანაა. მორებისაგან გაკეთებულია მერევი. მთელ შენობას სახლი ეწოდება, თურქ. „კონალი“. ქვემოთ ძროხებისა და ცხენების სადგომია, საერთო სახელწოდებით „ახორი“ (اخور). ქვედა სართული, ახორი, ახლა ქვისადაც არის. მეორე სართულზე ადის კიბე (تردوان). შედიხარ აივანზე, იქედან – დერეფანში, ორივეს ერთად ტანტრაბა ჰქვია (თურქულად აივანი). ზოგჯერ აივნები **ბალიუსტრადებიანია**. დერეფანს სურევენელმა **ეზო** უწოდა, თურქულად **პაული**, ზღურბლს – **სულუბი**, თურქულად – **ფეშეკი**. დერეფნიდან მარცხნივ შესასვლელია ოთახში, სასტუმროში: „ოდა“ (ქართულად – ოდა, თურქულად – ოდა). სასტუმრო ოთახში ორი კედლის გასწვრივ პარალელურად ნარებია, ქართულად მათ ეწოდება „სეჰევი“, თურქულად – „ფეიქე“. ოთახშივე ხანდახან თაროებია, თურქულად – „დერეგ-ი“. ჭერს ეწოდება **თავან-ი**, თურქულად – არ არის, ორი მორი, რომლებიც ჭერს აკავებენ: – **ქილიში**, ასევეა თურქულად. მორებზე გადებულია ჯოხი, სადაც დასველებულ წინდებს კიდებენ, ეს **ქანდარაა**, თურქულად – არ არის, იატაკი – **ფინი**, თურქულად – **დოშამა**. სასტუმროში შეიძლება იყოს ბოძი ან ბოძები, ჩვეულებრივი სახელწოდებით „დირევი“, თურ-

ქულად – არ არის. სასტუმროში, კარის პირდაპირ ყოველთვის **ბუხარია** (ფუხარი, **اوجاق** „ოჯახი“). ბუხარი ყველა ოთახშია. ბუხრის საფუძველს, რომელიც საპირეზე გამოდის, ეწოდება **ცეცხლპირა**, თურქულად არ არის. თურქული „**ბაჯაქი**“, ქართული – **ფეხი**, ორი ქვაა, მარცხნიდან და მარჯვნიდან, რომლებზეც ზის ზედა, ნახევრადმრგვალი ან სხვა ფორმის **ბუხრის პირი**. ბუხრის შიგა ზურგი – **გობგეი**, თურქულადაც ასევეა. სასტუმროში მტვერს გვიან არა ოთახიდან გარეთ, არამედ ოთახში ბუხრისაკენ. გვიან შუა ნაწილს, სეჰეებს შორის, რომლის სიფართე ბუხრის სიფართისაა. დერეფნიდან კარს პირდაპირ ამ ზოლზე მიყვავართ, მარჯვნივ ასევე სასტუმროა, – ოდა, ქართულად „**წინაოდა**“, მაგრამ მასში შესასვლელი აივნისაა. პირდაპირ დერეფნიდან არის შესასვლელი ოთახში, სადაც სადილს ამზადებენ და ა.შ., ქართულად **სახლს** რომ უწოდებენ, თურქულად მუთგახს. ზემოთ, მესამე სართულზე, ბელელია (**امبار**). სახლზე, გვერდით, „ოდების“ თავზე არის კიდევ ორი ოდა სტუმრებისათვის, როდესაც ბევრი არიან, მაგრამ ზედა ოთახები, ჩვეულებრივ, ოჯახისთვისაა. ზემოთ, მესამე სართულზე, არა მარტო ოთახებია: ფართობის ნახევარს, ან მის მნიშვნელოვან ნაწილს იკავებს ერთი და თუ შესაძლებელია, ორი მხრიდან, ღია ვერანდა. მას „**დეფანი**“ ეწოდება (შდრ. დერეფანი), თურქულად „**აივანი**“. ეს ვერანდა შეიძლება იყოს მეორე სართულზე, თუ შენობას – მესამე არ აქვს. გარე კედელში ან კედლებში, რომელნიც იცავენ მას გარეშე პირთა მზერისაგან, 2-3 კვ. გოჯის ან უფრო ნაკლები პატარა ფანჯარაა, საკუთრივ ეს ხერელებია. აქ შრომობენ და დუღს ოჯახის წევრთა, განსაკუთრებით ქალების, ცხოვრება წლის მთელი თბილი დროის განმავლობაში. აქ აძინებენ ბავშვებს აკვნებში, ქსოვენ, კერავენ, ამზადებენ პროდუქტებს გამოსაცხობად და მურაბებისათვის და ა.შ. აქ არის ყველა ხელსაწყო და იარაღი, როგორც სამიწათმოქმედო, ისე სახელსაქმო. აქაა დაწყობილი ქვეშაგები და საბნები, ვერანდაზე შეიძლება კიდევ იყოს ბოძები და ქანდრები. ოჯახი ეწყობა

„სახლში“. ფანჯარა (თურქ. ფენჯერე) ყველა ოთახში შეიძლება იყოს, მაგრამ ყოველთვის არა. ის ჩვეულებრივ პატარაა, მაგრამ მუდმივ სასტუმროში უფრო დიდი და ღია. დარაბა შიგნიდან აქვთ ჩასაწყობი. მინის ნაცვლად სურმეა. გარდა ამისა, ხის გისოსიანი მუდმივი დარაბები ჩვეულებრივია ზედა სართულზე, პარმადლულზე.

სახლს ორი შესასვლელი შეიძლება ჰქონდეს: სტუმრისათვის (მუსაფირისათვის, თურქულადაც ასეა, მაგრამ ქართულ ენაზე იყენებენ სუფთა ქართულ სიტყვასაც – **სტუმარი**), უკანა შესასვლელი – ოჯახის წევრისათვის, ასევე კიბეცა და აივანიც (ტანტრაბა), მაგრამ ყოველთვის ვიწრო და დაუცველი.

იმერხეული სახლის სურათი (სურ. 20) მე ზაქიეთში გადავიღე. სურათზე კუთხეში მეორე კარია, დახურული, სხვა – „ტანტრაბიდანაა“. ის მხოლოდ საპაეროდ იღება. სწორედ იმ ნაწილს ჰქვია წინა, მასზე გამოდის წინაოდა. მის ქვემოთ ხიდურია მთის ფერდობზე „ახორში“ შესასვლელად.

სახლის დასახელებული ნაწილები აუცილებელია, მაგრამ მათი განლაგება და, განსაკუთრებით, რაოდენობა, არ არის მკაცრად განსაზღვრული. რა თქმა უნდა, აუცილებელია სახლის დაყოფა ნაწილებად: სტუმრებისა და შინაურებისათვის. პირველი წინა შესასვლელით, თუმცა ის არ არის ყოველთვის თვით სახლის ფასადი და არ ითვლება ამ ხარისხში. ზაქიეთის სახლის სურათზე მასპინძელთან და ჩემს თანამგზავრთან ერთად მე ვდგავარ წინა შესასვლელთან აივნით სასტუმრო ოთახის გასწვრივ, სახლის წინა ხედი, ფასადი, კი დახურული კარის მხარესაა.

ყოველ იმერხეულ სახლში საჭირო ოთახი, ჩვეულებრივ მოწყობილია მეორე ან მესამე სართულზე აივნის კუთხესთან, ხანდახან აივნის შუაში, ხშირად განივით გზისკენ მიმართული ახორის ეზოს თავზე. იმერხეელებს ნაკელი მინდორში შეაქვთ: „სხვანაირად“, მეუბნებოდნენ იმფხრეულელები: „ჩვენ რამეს არ მივიღებთ. საქონელი ჩვენ ამისთვის გეჭირდება. რძე ძროხებიდან ცოტააო“.

იმერხეეშიც ყველგან არ იციან ქართული. მაგალითად, ცუდად ან სულაც არ იციან ქართული დიობანში, შოლტისხეეში და აგარაში (წყალსიმერთან). შოლტისხეეელებს მე შეეხედი გზად ზაქიეთიდან ბაზგირეთში მიმავალი. მან შეკითხვაც კი ვერ გაიგო: „მაღლაზე **მიხვალ?**“ საჭირო გახდა თურქულად ამეხსნა.

წამოვიდა მსხვილი წვიმა. მოგვიხდა გადაგვედო გამოსვლა. მიუხედავად ამისა, როდესაც ჩვენ 11 2/3 საათზე გზას გავუდექით, მაინც საკმაოდ დაგვასველა კვლავ წამოსული წვიმის მსხვილმა წვეთებმა.

ოციოდე წუთი მივიღოდი მაღლა და გავვდიოთ უღელტეხილის სწორ მოედანზე. აქ ზაქიეთის ყიშლებია, რომელსაც „ვაკეთი“ ეწოდება. ესაა მეზრე, დაილა კი მთაზეა. ერთი საათის შემდეგ ჩვენ ვიყავით ბაძგირეთში, იქვე ბაძგირეთის პატარა მდინარის მიღმა, რომელის დახუნძლული იყო პატარა წისქვილებით. გზა თითქმის მთელი დრო საკმაოდ დაქანებით მიდიოდა, მაგრამ ჩვენ ცხენებიდან არ ჩამოვსულვართ.

არ არსებობს ჩიხისხეეზე უარესი ადგილი: უგზო, ღრმულებით, სიციხით და ავადმყოფობით შეწუხებული მოსახლეობა, გაყვითლებულები, საცოდაობაა მათზე შეხედვა, თუ დავუჯერებთ ჩემს სურვეანელ თანამგზავრს.

ბაძგირეთიდან სამხრეთ-დასავლეთით, მთაზე, იმ ადგილზე, რომელსაც **სადგერელი** ეწოდება, ადგილობრივები მინიშნებენ ეკლესიის ნანგრევებზე, მაგრამ ირწმუნებიან, რომ წარწერები არც მოხუცებს ახსოვთ, არც ახლა არის. ადგილს უწოდებენ „კაპანთი-თავ“ მისი სიახლოვის გამო იმ ქვიან წვერთან, შვეული დაქანებით ბაძგირეთისაკენ რომაა მიმართული. სწორედ ეს ქვიანი მაღლობი იწოდება **კაპანთად. ჯანჯირი**, ასე ეწოდება ბაძგირელთა საზაფხულო სამომთაბარო სადგომს, მდებარეობს ნანგრევებს იქით. თვით სოფელ ბაძგირეთში გვიჩვენეს ნარჩენი საპირე ქვებშემოძარცულ რაღაც ნაგებობისა. მოსახლეობა ფიქრობს, რომ ეს არის ბაძგირეთის პირველი მოსახლის სახლის (დარბაზის) ნანგრევები. ყვეებიან, რომ ადგილი ტყით იყო დაფარული,

მოვიდა ვინმე კეფოძე<sup>1</sup>, გააკაფა ტყე, გაწმინდა ადგილი და ააგო სახლი. სწორედ ის იყო ბაძგირეთის პირველი და დიდხანს ერთადერთი მცხოვრები. შემდეგ მას სხვებიც შემოუერთდნენ, სხვადასხვა ადგილებიდან გამოსახლებულები. სოფელი ახლა იყოფა სამ ნაწილად: ქვედა მეჭლე (ქომო-მეჭლე), **ზემო-მეჭლე** და **გამიშეთი**, სხვა კვარტლების ზევით. ერთმა მოხუცმა წარმოთქვა კიდევ **ქომო-ბანი**, **ზემო-ბანი** ან **ქომო-უბანი**, **ზემო-უბანი**. მე ვერ გავარჩიე კარგად, მაგრამ როდესაც მას ხელახლა ვკითხე, ჩაერია მუღა და განაცხადა, რომ მათთვის უცნობია როგორც „ბან“ ისე „უბან“, იციან მხოლოდ „მეჭლე“. მუღა ქართველია. სოფელში, ქვემო უბანში არის მეჩეთი მედრესეთი.

გავაგზავნეთ რა მეზარგული თეთრაკეთში, 2 3/4 საათზე ჩვენ გამოვედით ქვემო ბაძგირეთიდან. ავედით თუ არა გამიშეთთან, წამოვიდა ძლიერი წვიმა. მოგვიხდა გამიშეთში გაჩერება. აქ სადგურელის ეკლესიაზე არაფრის თქმა არ შეეძლოთ, მაგრამ ერთი ქვემო ბაძგირელი მოყვა, რომ კარგი, დიდი ეკლესია მდებარეობს დიდვენახთან. იქედან მოშორებით, უფრო ზევით (ჩრდილოეთით) არის **წყაროთავი**. იმ ეკლესიას **ნუკი-ქილისე** ანუ **ნუკი-ეკლესია** ქვია, რადგან ეკლესია ერთ ქვაზე იყო დაფუძნებული, რომელიც ოყის 1/2 იყო აწონილი. აქედან წყაროთავისკენ გზა, თუმცა ძალზე ძნელი, მხოლოდ ჩიხისხევის გავლითაა. უმჯობესია, წავიდეთ პორტადან.

5 საათამდე ჩაფართან და გამცილებელთან ერთად ველოდებოდი გამიშეთში. თხელი ტყავის ერთძირიან მაღალ ჩექმებს არ შეეძლო ჩემი ფეხების დაცვა. ისინი უკვე სველი იყო. ადგილობრივები დაჟინებით მირჩევდნენ, თხოვდნენ ჩაფარს დავერწმუნებინე, არ ავსულიყავი ახლა მთაზე, რადგან ნანგრევებს მაინც ვერ ვნახავდი წვიმის და, განსაკუთრებით, ქარის გამო. ჩვენ მოგვიჯდა ახლად ჩამოსული გა-

<sup>1</sup> ხომ არ არის ესეც ეტიმოლოგიური ლეგენდა: **კაფა** ქართულად ნიშნავს **გაკაფვა**, **გაკაფა** (შდრ. სომხ. **կոփել** კოფელ შემოკაფვა, გათლა).

მიშეთელი და გვაცნობა, რომ ხშირი წვიმის გამო მთაზე არაფერი ჩანს, ქარი კი თითქმის გლეჯს ხეებს, თვითონაც კინადამ წაიღო ქარმა, ცხენზე კი ვერანაირად გაუძლებთ ამ ქარს. მე ბინოკლით შევხედე, მაგრამ სოჭებს ზემოთ ამოშვებული 2-3 ტოტის მოძრაობით არ შეიძლებოდა ფიქრი, რომ იქ ნამდვილად ქარიშხალი იყო. უკვე გვიანი იყო. თეთრაკეთამდე, სადაც ჩემი ტვირთი გავგზავნე, ადგილობრივთა თქმით, არანაკლებ სამი საათის გზა იყო. მაწუხებდა ჩემი ტვირთის (ჩემი ქაღალდებითა და ფირფიტებით ერთი გამცილებლის ხელში, რომელსაც წვიმამ მოუსწრო) ბედიც. ჩვენ სამი, – ფეხით გამყლი, ჩაფარი და მე წავედით ზევით. ჩვენ გვაცილებდა გამეშეთელთა კეთილი სურვილები, რომელთაც ისეთი გამომეტყველება ჰქონდათ, თითქოს ნაცნობებს დასაღუპავად აცილებდნენ. გავრეკეთ ცხენები, იუსუფი ფეხით მორბოდა ჩემს გვერდით. 26 წუთში ჩვენ ზემოთ ვიყავით, ნანგრევებთან. გამეშეთლები მართალი იყვნენ, აქ ზედაპირზე არანაირი წარწერა არ აღმოჩნდა. ნანგრევებიდან დარჩა არაუმეტეს ფუნდამენტისა, შუა ადგილი და გარემო ჩამოყრილი ქვებით იყო დაფარული. ადგილობრივი ტიპის პატარა ეკლესია, ე.ი. მოგრძო ოთხკუთხედი, შიგ საკურთხევლის დამრგვალებით. შეინიშნება სამხრეთი კარის ადგილი. ჩემი ყურადღება მიიპყრო თეთრმა, გლუვმა გამჭვირვალემაც კი, ქვებმა, რომლებიც ერთი შეხედვით მარმარილო მეგონა. ეს დასკვნა იძულებული ვიყავი ცხენზე მჯდომს გამეკეთებინა, თავსხმა წვიმაში, რომელშიც სეტყვის მარცვლებიც იყო შერეული და კარჩხალის მხრიდან ძლიერ ქარში, რომელიც თუმცა არ გვაგდებდა ცხენებიდან, მაგრამ აიძულებდა მათ, შეეცვალათ მდგომარეობა, მიტრიალ-მოტრიალებულიყვნენ. ასეთივე სიძნელეებთან იყო დაკავშირებული ჩვენი აღმასვლა, იმ განსხვავებით, რომ წვიმა სახეში გვცემდა, ქარი ჩემს მონადირის მოსასხამს ფეხიდან მაცლიდა; და მე სანახევროდ სველი ვიყავი, როდესაც ეკლესიას ვათვალიერებდი. ძალიან სამწუხარო იყო, რომ ამნაირმა ამინდმა წამართვა საშუალება, დავმტკბარიყავი კარჩხალის ქედის ერთ-ერთი



ყველაზე უკეთესი ხედით სწორედ ამ ადგილიდან. როდესაც გამცილებელს ვკითხე, თუ რა არის ამ მთის საერთო სახელი, რომელზეც ეკლესიის ნანგრევები და დაილები მდებარეობს, მიპასუხა, რომ საერთო სახელწოდება არის „მთა“, ან „დაილებიანი მთა“. მოვაბრუნეთ ცხენები თეთრაკეთის გზისაკენ. მე რამდენადმე შევებით ამოვისუნთქე, რადგან წვიმა ახლა ზურგსა და კარგად დაცულ კისერში გვირტყამდა (მე მთლიანად გახვეული ვიყავი მონადირის მოსასხამში), ქარი კი მხოლოდ აჩქარებდა ცხენებს. ჩვენ მივდიოდით „დაილებიანი მთის“ იმ მხრიდან, რომელიც კარჩხალისაკენ იყო მიმართული, მარცხნივ დავტოვეთ ბაძგირეთის დაილა, დავადექით ბილიკს, რომლის მარცხნივ ფრიალო კლდე იყო, რომელსაც, გამცილებლის სიტყვებით, **საწერნაგე**<sup>1</sup> ერქვა. მარცხნივ ხევი<sup>2</sup> სოფლებით **ანდრიაწმინდა** და **წითელ-ოღლი**, სოფელ **ჩიხორის** „მეჭლე“. შემდეგ ჩვენ გავედით იმავე მთის ბაძგირეთის მხარეზე, სადაც მარცხნივ დავტოვეთ აგარის დაილა, **ნაფურნეგს** რომ უწოდებენ (ბრილთან ახლოს არის) და მოკლე ხანში გაუუსწორდით წყაროს, რომელიც თეთრაკეთში მიმავალს მარჯვენა მხრიდან ხვდება. წყაროსაც ქართული სახელი აქვს – **გრიალი წყარო**, ანუ ხმაურის ან ღრიალის წყარო. შევედი წიწვოვან ტყეში საკმაოდ ფართო სავალი გზით, რომლითაც ჩავედი თეთრაკეთში 6 3/4 საათზე. რამდენიც შეგვეძლო მივდენით ცხენებს. ტვირთიანი ცხენი არ გვბოჭავდა. მისი გამცილებელი ჩვენ დაგვხვდა ციებ-ციხელებიანი, ის ბოლო ძაფამდე დასველებულა და ჩვენს მოლოდინში ბუხარში ანთებულ ცეცხლთან თბებოდა. სიცი-

<sup>1</sup> გამცილებელმა ამიხსნა, რომ აქ მოიპოვება **წერნაგი**, საღებავი, რომელსაც დურგლები იყენებენ (თურქ. **საბი**).

<sup>2</sup> აქ გამდინარე **დელე**ს სახელი ვერც გამცილებელმა მითხრა, ვერც ჩემს მიერ გამოკითხულმა თეთრაკეთელებმა, ერთის გარდა, რომელმაც განაცხადა, რომ დელეს „რამე არ ქვია, სწორედ კი **ჩხერის დელე** („ჩხერი“ ქართულად წყლის ხმა, რაკრაკი), კიდევ დაუმატეს: **ამ წყალზე ეტყვიან ჩიხორ დელეს**.

ვე მართლაც რომ საკმაო იყო, მაგრამ ჩვენი გამცილებლის მდგომარეობას მისი ავადმყოფობით ვხსნი.

აქ გვაცნობეს ეკლესიის ნანგრევების (ნაქილისვარი) არსებობის შესახებ სოფელ **ლიბანში** (რუკაზე: ლიონიძე, მაგრამ ლიონიძე სინკოთთან არის აქედან 2-3 ვერსში).

**თეთრაკეთელები** თავის სოფელს ახლად თვლიან. 65 წლის მოხუცი მოჰყვა, რომ მოსახლეობა აქ გამოსახლდა გიგეითიდან (დასამობის გვერდით), რომ ბეგი, აქაური ადგილების პატრონი, თურქების ბატონობისას **ძიოსში** ცხოვრობდა. თეთრაკეთში ათამდე სახლი ითვლება, ეს არის **ჩიხორის** დასახლება (მეჭლე). ჩიხორის სხვა დასახლებები: **ანდრიაწმინდა** (მცხოვრებლების მიხედვით **წითელ-ოღლი**), **ლიბანი**, **დასამობა**, **გიგეითი**, **ბრილი**, **აგარა**, **ნიოლეთი** (ნიოლისძე), **მერქეზი**, **ჭედრიული** (რუკაზე: ჩედლეური).

ამ ზაფხულის დასაწყისში, სანამ ჯერ კიდევ არ გასულან ძალადებზე, თხუთმეტიოდე წლის გოგონა აძოვებდა ნიოლეთის მახლობლად. საღამოს, როცა აგრძობდა გაბნეულ საქონელს, მოშორებით ორი ძროხა შენიშნა. იქეთკენ წავიდა, რომ გამოერეკა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ დათვები იყვნენ. ერთი მათგანი ეცა გოგოს და დაიჭირა. გოგონამ ყვირილი ატეხა. მოცივიდნენ შეიარაღებული სოფლელები თოფებით, გაისმა გასროლები; დათვმა დააგლო დაკბენილი გოგონა და გაიქცა. გოგონას რამდენიმე ადგილას ჰქონდა მოგლეჯილი ხორცი, ყველაზე მეტი ბეჭთან. იგი გამოჯანმრთელდა.

თეთრაკეთელებმა, რა თქმა უნდა, ყველა მუსლიმანია, მიაბნეს: ქრისტიანულ ეკლესიებში, ახლა ნანგრევებად რომ არის ქცეული, სალოცავად (ზიარეთი, **زيارت**) სიარულის შესახებ:

**ზიარეთში წავალთ, მუმს გავაკეთებთ, გავადნობთ, ძაფს ჩავეყოფთ და ამევიღებთ, წავიღებთ, ზიარეთათ ფორტას წავალთ და მერის[ს] აჭარას.**

**ფორტის ზემოთ არის ჩვენი ზიარეთი, ერთ საათ გოუწევს. ზიარეთზე მარტოდ მოშენებული სახლი არი ქვიდან, ყულაჲ მოშენებული, ყულანდელი, მაშინდელი.**

*ზიარეთში დაწვებთან, სიზმარში ნახვენ. ეტყვის სიზმარში, ეს დაკალიო, მა ფული აჩუქეო, შინ დაკალიო, მა აქ დაკალიო. რაცხასაც რომ ეტყვის, დაკლავეს. ყონ (მამალი ცხვარი), ცხვარ ეტყვის, კარ, ზროხას ეტყვის. ქათამი გაგვიგონია, სხვა ჩიტი არ გაგვიგონია.*

მოთხოვნას ასრულებენ თავიანთი სურვილის შესრულების მოლოდინში. სიზმრებს ქალებიც ხედავენ: მათი ასევე სჯერათ ამ საქმეში.

*ზიარეთში მიდიან ფორტის, ჭკუა რომენ დაკარგული ექნება. შეილი არ ეყოლის. კარი არა აქ. შევა შიგ კაცი და ქალი, პერანგს ჩაიცვამს მარტო, ოქრო, ვერცხლი არ იქნება, მარტო პერანგი და ნიფხავი (თ. ფიშტონი), მომ აანთებს, სამ, შეიდ, ხუთ, ცხრას. ჩემი დერდი რაცხა არიო, ვნახო სიზმარიო. და დაწვება. თუ არ ნახა სიზმარი, არ მოუხდა. თუ ნახა, თვალს დააბანებებს სიზმარში (მოუტანს რაცხას, ისე ეჩვენება), ასვამს და ეტყვის ყურბანიო (ქართ. ყურბანდიო).*

სანთლებს ქვაზე დგამენ. რჩებიან ერთ-ორ დამეს, სამს და მეტ დღეს. უფრო შორიდან მოსულები, უფრო დიდხანს რჩებიან. მიდიან ფეხით, რადგან მგზავრობისათვის გამოსადეგი გზა არ არის. მიდიან მაისში (ქართ. მაის, თურქ. ხიორანი) და ივნისში (ქართულად არ იციან, თურქულად ქიეხაი). მულები აქ არ ერევიან. ზოგიერთი მათგანი შეხედავს წიგნში (ყურანში) და წიგნის მიხედვით ურჩევს წასვლას ზიარეთზე.

ქრისტიანული გადმონაშთებიდან მე შევნიშნე კიდევ ქრისტიანული კალენდარული ტერმინოლოგიის ნარჩენები. ასე მაგალითად, ზაქიეთელი მუსლიმანი მეუბნებოდა:

თავკვეთილობაზე, *მარიობისთვის მოღვენაზე თოვლი მოვა.*

სამკურნალო წყლებზე გამგზავრებას იმერხვევლთა ცხოვრებაში მეორე ადგილი უჭირავს „ზიარეთის“ შემდეგ. თეთრაკეთიდან მიემგზავრებიან მიქელეთში, გარყელოფის იქით, სადაც უხვადაა თბილი წყლები, და გიგიეთში, სადაც

არის ცივი, სუნიანი წყლები, რომელთაც მინერალურს უწოდებენ (მადნის წყალი). მიქელეთში იკურნებიან ტკივილებისგან, გიგიეთში კი – რევმატიზმისაგან (ქარი). სამკურნალო წყლები ჯინალშიც არის, აქ აჭარიდანაც ჩამოდიან. მე შემხვედრია ცხენოსანთა ჯგუფები, რომლებიც ჯინალიდან ბრუნდებოდნენ; უფრო მეტად, ამხედრებული ქალები ერთი-ორი ფეხით მომავალი ნათესავის თანხლებით.

\* \* \*

აქვე ვაჯგუფებ იმერხვეულ კილოზე დაკვირვებებს, რომელიც გავაკეთე ზემოთ შემოთავაზებული ტექსტებისაგან დამოუკიდებლად.

იმერხვევლებში შეინიშნება ხმოვნების მიმსგავსება, როგორც იმერულ და გურულ კილოებში, მაგალითად: *დეიჭირვენ, გაღმიელები, დეებმიან, დოუხედვებია*. ეს ვულგარიზმებია, როგორც ფორმები *წავდა, მოვდა* ნაცვლად: *წავიდა, მოვიდა*. ვულგარიზმია *ქომო ქვემო'ს* ნაცვლად, resp. *ქუმო* არის *ო'ში* შერწყმა ორი ხმოვნისა, მაგრამ არა *ვე*, resp. *ტე* არამედ *ვა*, resp. *ტა* (\*ქვამო, resp. ქუმამო).

თანხმოვანთა თავმოყრისას შეინიშნება გადასმა; მაგ. იმერხვეული კილოსათვის დამახასიათებელია *ღესკი*, resp. *ღესგი ღესქი'ს* მაგიერ (შდრ. მათ თურქ. *ექსი ესქი'ს* ნაცვლად, *اسكى* ძველი).

ს'ს დაკარგვა თანხმოვანთა თავმოყრისას ასევე ახალი მოვლენაა, მაგ. *თველზე*, ნაცვლად *სთველზე*, *აწავლის* ნაცვლად *ასწავლის*. ასეთ პირობაში იკარგება მ'ც: *თა*, ნაცვლად *მთა* (გურ. *ფთა*).

მოლიანი საწყისი მარცვლის ჩამოცილების შემთხვევა გვაქვს *ჭოჯ* ან *ჭო'ში*, თუ ეს არის შეკვეცილი ფორმა სიტყვისა *ბიჭოჯ*, resp. *ბიჭო*.

არქაულია *მრ* ჯგუფი ნაცვლად *რმ*-სი: *მემრე* (შემდეგ), თუმცა ეს ძალზე ჩვეულებრივი ფორმაა სხვა ქართულ კი-

ლოებში. სხვათა შორის, იმერხეულში ისმის *თხუთმეტი* და არა *თუთხმეტი*.

არქაიზმი შეიძლება იყოს *მ ვ*-ს ნაცვლად სიტყვაში *ვიწრო: მიწრო გზა არი. ვ* შენარჩუნებულია *არ იშოვნება* ში.

იმერხეველებმა შეინარჩუნეს ნახევარხმოვანი *ჷ*, რომელიც ძველ ქართულ დამწერლობაში გამოიხატებოდა *ჟ* ასოთი: *ჷ* ჩემს ტექსტებში არის იმავე ნახევარხმოვნის გადმოცემა, ასე მაგალითად: *წჷმა=წჷმა* და არა *წვიმა* ან *წუმა, დეკეკლი=დეკეჷლი*<sup>1</sup>.

იმერხევეში ზოგან *ჯ* შესამჩნევად განსხვავდება *ხ*-საგან. მაგალითად, ზაქიეთში მე მომიხდა აღმენიშნა ამ ბგერების სრულიად ნათელი განსხვავება, *ჯ* ყრუ ბგერაა, *ხ* – მჟღერი. როდესაც მე ზაქიეთში ამას მივაქციე ყურადღება, იქუხა და ზაქიეთელმა ჩემს კითხვას: „რა არის ეს?“ უპასუხა: *ახლა ქუხს, დაიქუხა*. იმისათვის რომ მქონოდა *ჯ*-ს მაგალითი, მე ვკითხე მთის ნაკადულზე, თუ რა ქვია მას: *ამას კვეი ქვია, უკან (სახლის უკან) კვეი. პატარა რომ იქნება, დეღეს ვეტყვით, დიდი – კვეია*. ასევე *ჯ*-ში და არა *ხ*-ში წარმოთქვა მან: *ვეკი, ვარი, კელი, კმელი*, ე.ი. სრულიად ისე, როგორც ძველ ქართულში, თუნდაც ორი „*ხ*“-ს განსხვავების თვალსაზრისით.

ნათესაობითში *ს*-ს გამოტოვებასთან კავშირში („ი“ „ის“ ნაცვლად) რომელიც მიღებულია იმერხეულში, არის ასეთი ფორმა: „იმითანა“, ნაცვლად „იმისთანა“.

მიცემითში *ს* ასევე ჩავარდება: *ბევრ ინადირებენ, დათვ მათე ბევრ მოკლვენ, სოფლებ ნახავთ, ყურდღელ მოკლვენ, ბათუმ (ნაცვლად ბათუმს) არი* (ბაბეირეთი).

ნაცვალსახელებში თვალში საცემია არა იმდენად *რავამ*, ჩვეულებრივი გურულისათვის, რამდენადაც *იმათი, მათი*,

<sup>1</sup> ზაქიეთელმა ასე ამისხნა *დეკეკლი: ბულა – დაუყვერავი, დაყვერილი ვარი, სულ პატრობაში (sic) მოზვერი, ფური – ზროხა, პაწამ ზროხა – დეკეკლი, სულ პაწამ – ხბო*.

ნაცვლად გურული *იგენი'სა* და განსაკუთრებით იშვიათი არქაული ფორმა *რომენ* ნაცვლად *რომე*, resp. ძველი ქართული *რომელ*.

თავისებურია ზმნისწინის გამოიყენება ზმნებში, მაგ. *დავწონდა* (ნაცვლად *მოვწონდა*) *ევ აღვილები, ბატონო?*

დაშტვენა (გურული დაფშტვენა), ე.ი. ფორმა „ფ“ ფორმანტის გარეშე, შესაძლებელია, არქაული მოვლენაცაა. თავისებურია *დათვ-მათვი, ბადან-ბუღანა* წარმოება. პირველი კარგადაა ცნობილი სხვა მეზობელ ენებშიც, სპარსულში, სომხურში და სხვ. მეორეს კი პარალელი აქვს ისეთ სომხურ გამოთქმებში, როგორცაა: *խაანს ի խուսն, սպւսմուղ* და სხვა.

#### იმერხეული კილოს გლოსარი (დექსიკონი)

*აყრილი*, ნ. ყრა.

*ბარე-სამი* მნიშვნელობით: *ძალიან*, მაგ. *გონჯი ბარე-სამი*, ძალიან ავადმყოფი.

*ბადანა* ბიჭი, გოგო.

*ბაწარი* იხ. *თოკვი*.

*ბაგალა* გოგო.

*ბოჭოჭავა* ობობა.

*ვოგო* გოგონა.

*ეწარი* (sic) ეწერი, იყენებენ თურქულ იფხრი'საც.

*ვარდი* ყვავილი, ასე მაცნობა იმერხეველმა, მაგრამ სურევანელმა ნათლად განმიმარტა, რომ ყვავილი ზოგადი სახელწოდებაა, ვარდი კი – ცალკე ყვავილისა,

*თებერვალი* – თვე.

*თაფლი*: „*უგულთ თაფლი არი გოდოუმდნარი, ცეცხლ-დოუნახელი. გადამდნარი თაფლი. გაგაკეთებთ თაფლიდან სანთელს, გადავადნებთ, გაწურავთ, გახდება სანთელი, გვალი იქნება, თათრ. ბალმუმ (بال موم)*“.

*თოკვი (თოკი), საბელი*, მაგრამ არა *ბაწრის* მნიშვნელობით. *ბაწარი* გამოიყენება ფეხით მოსიარულეთათვის ვიწრო ბილიკის მნიშვნელობით (ცხენი ამნაირ ბილიკზე ვერ გაივლის).

*იემეჭი* (თ. **ك**), საჭმელი. *იემეჭის იშტად არ მაქ* – ჭამის სურვილი არ მაქვს, მადა არა მაქვს.

*კაპანი* გზის საშიში ადგილი უფსკრულთან შდრ. სომხ. *կაყას*.

*კატარი* ნაძვი.

*კეში* ცუდი. შდრ. სომხ. *ქე*

*კო, რეო* მუხა, თურქ. *ფელუტ (توت)*, სიტყვა „მუხა“ იმერხეველებს არა აქვთ: „მუხა არ არი აქა, ბატონო“ – მითხრა ერთმა ჩემმა თანამოსაუბრემ, მაგრამ *კო* აღმოჩნდა მუხის მნიშვნელობით.

*ლურსი* სხვენი (სათლელ-რაბათში სომხებთან ამ მნიშვნელობით შევნიშნე ძველი ქართული *ქორი*, შდრ. *მერეგი*).

*ლენხპერი* მიწათმოქმედი, გლეხი, შდრ. *ნასუყაყ*, თურქ. *نجر*, ვულგარულად წარმოთქმული „რენჩიპერ“<sup>1</sup>.

*მარჩილი* ხუთი კაპიკი (ქართულ ლიტერატურაში ცნობილია *მარჩილის* ღირებულება 60 კაპიკი, იმერლებში 100 „ფარა“ ან 100 რუსული კაპიკი.

თურქ. *მერეგი* (სომხ. *մարագ*), თივის შესანახი, ორი ცნება, ქართულად ორი სიტყვით რომ გამოხატება: 1. *საბზელი* – ფარდული ბზისათვის; 2. *ქორი* – ფარდული თივისათვის.

*მერული* (თურქ. *დირგან-ი*) მგლების დასაჭერი ბადე.

*მომი* სანთელი შდრ. სომხ. *մոմ*, აქედან თურქ. *موم*

*მენა: დამენა, დაენამენე* (თურქ. *اشلاق*)

*ნაძე, ნაძვი.*

*ნისლი*

*ნეკერ*<sup>1</sup> მუხის ფოთლები, რომელსაც აგროვებენ ზამთარში საქონლის საკვებად: „ნეკერის *ფოთლით*, თათრ. *იაფრას (پراق)*, *არჩენენ თხას და ზროხას*“.

*პაშტა* ნიშნავს *ბევრი: პაშტა ხანია, ბევრი ხანია (چوق وقت اور)*, ამიხსნა მე სურვენელმა მულა ეუბმა. იგივე გავიგონე იმფსრეულშიც, მოსიძის სახლში. იგივე სიტყვა იმავე ახსნით გავიგონე თეთრაკეთშიც: „პაშტად *დათვები იყო*“<sup>1</sup>.

*პაწა* (იხ. გურ. *პაწა, პაწე*) – პატარა.

*პური, წმინდა პური*, ხორბალი.

*რეო* იხ. *კო*.

*საბზელი* იხ. *მერეგი*.

*სველი*

*სხრიკვა* განდევნა (ძალის): „ძალდი *დასხრიკე*“.

*ტოტი* – შტო ფოთლებით.

*ფერკული* ცეკვა: „ვინცხა *რომ ძველია, იტყვიან იფერკულეთ-ო, ისამეთ-ო, ის თქმა არი*“.

*ფესვი* თ. *ქოქი (كوك)*: „ძირი *მიწაზე დასვლამდი*“.

*ფურთუნა* (თურქ. *فرطونه*), უამინდობა, ქარბუქი: „*ამ ფურთუნაში სად წაბბანდებით?*“

*ქორი* იხ. *ლურსი, მერეგი*.

*ღარჭი* ბიჭი.

*ღურბელი* ღრუბელი.

*ყიზილ ყურთი* (თურქ. *قىزى قورت*, წითელი ჭია) ცხენის რაღაც დაავადება.

*ყრა: აყრილი იყვეს, „ცა გადაწმენდილი იყვეს“*.

*ყურადი* (თურქ. *قوراق* მშრალი) გვაღვა: „ძალიან *ყურადია და გაგმა ქუყყანა*“.

*შენლიქი* დასახლებული ადგილი, დასახლება: „ახლა *სულ ნამეტრად შენლიქში მივალთ. ეს გავერნებულია* (ნაც-

<sup>1</sup> შესაბამისად უარი უნდა ვთქვა რუსთაველთან „პაშტას“ მიღებულ განმარტებაზე – „ცოტა“, როგორცაა მაგ. 406,1 (დ. კარიჭაშვილის გამოცემა): „დავაგდე ზღვარი ჰინდოთა, მეველო პაშტაი ხანია“.

ვლად: *გავერანებულია*), *სოფელი*”. ეს საერთო ქართულ-სომხური ფუძეა „შენ“ (ქართ. „შენ“ resp. *შენ*, სომხ. ըն), თურქული სუფიქსით „ლიქ“ (لي).

*შმორი* (გურ. *პოქსი*, *აშმორებულა* (გურ. *აპოქსებულა*).

*ჩისა* ნამი, ამბობენ ასევე *ტენი*: *ტენი გოლუგდია*; *ცვარი*, იყენებენ მხოლოდ გამოთქმაში: *წრეულ ცვარი არ ჩამოვარდა*, მნიშვნელობით: *წრეულ არ გაწკმდა*, ანუ, წელს წვეთი წვიმაც არ მოსულა.

*ცხრო* ციებ-ცხელება, უფრო ცხელება.

*ჭირი*: *შეჭირვება* (ქართ. *წუხილი*): *სული არ შეგიჭირდეს*, ნაცვლად: *სული არ შეგიწუხდეს*<sup>1</sup>

*ჭიტინა* ხერეღი (შდრ. გურ. *ჭიტინა*).

საჭმელები:

ხავიწი ღომი (სიმინდის ცომი ბლომად ერბოთი).

*პასუთა* სიმინდის ფქვილი თაფლით<sup>2</sup>.

ყველი ორი სახისაა: *ფშნილა*, თურქ. ფეინირ; *ყველი* თურქ. ძაღლი ფეინირ.

*ქათამი*: *ქათამს* 1. *მოვხარშავთ*, 2. *მოვხრაკავთ*, 3. *ხახვს დავაჭრით მოხარშულს*, *ცოტა ბიბერს<sup>3</sup> დავაყრით*, *დაპნი<sup>4</sup> ქვია*.

*ერბოკვერცხი*: *შეწვავთ*.

2 *აგვისტო*, *ორშაბათი*. შუადღემდე წვიმდა. ყველაფერი ნისლით იყო დაფარული. 12 საათზე გავემგზავრეთ ჭედრიულში ლიბანის გავლით. თეთრაკეთიდანვე ჩვენ მივდიოდით ფეხით საკმაოდ ციცაბო დაღმართზე. ტვირთიანი ცხენი პირდაპირ ჩიხორში გავგზავნეთ, ჩვენები კი – თან მივყავდა. გზას თეთრაკეთელი შაქირი, კოჭლი, მაგრამ ძალიან

<sup>1</sup> *შეჭირვება* – ამ მნიშვნელობით კვლავ გვაქვს საქმე რუსთაველის საყვარელ გამოთქმასთან, მაგ. 883,1: *არას გარგებს შეჭირვება, რომ ჭმუნვიდე, რა გერგების?*

<sup>2</sup> უპირატესად ახალმოლოგინებულისთვის ამზადებენ.

<sup>3</sup> ბიბერი, თურქ. *بيبي* ძილპილი.

<sup>4</sup> დაპნი, თურქ. *دانی*

მკვირცხლი, გვიჩვენებდა. 15 წუთი გაგრძელდა დაშვება. წავედით აღმართით და 12 საათსა და 35 წუთზე მოგზაურობის მიზანთან ვიყავით – ლიბანში. ალბათ შეიძლებოდა, არც ჩამოვსულიყავით. ადგილზე საძირკვლის ქვებიც არ არის დარჩენილი. ადგილობრივმა მცხოვრებმა გვაცნობა, რომ მას ახსოვს ეკლესიის კედლები, ისინი ოთხი კუთხით იყო ამოყვანილი, ამასთან მან მიანიშნა ბუნებრივ კლდეზე, როგორც ქვის წყობის ნარჩენზე. ქვები მსხვილი იყო, წარწერები არ ახსოვს. ქვები *ამოყარეს და ოჯახზე* (ბუხარზე – რედ.) *მოიხმარეს*. ნაგებობებს შორის თხრიდნენ და პოულობდნენ სპილენძის ჭურჭელს, თევშებს.

ლიბანიდან ისევ დაღმართი ფეხით 15 წუთი გზად ჩიხორამდე. დაშვების შემდეგ აღმართი დაიწყო. ჯერ ცხენზე ამხედრებული ვიყავით, მაგრამ ბილიკი ძალზე ვიწროა. გამცილებელი ამტკიცებდა, რომ გზა „ეი ღურ, ფექ ეი ღურ“ („კარგია, ძალიან კარგია“). როცა დატვირთული ვირი შეგვხვდა, დიდხანს ვიწვალეთ, რომ რამენაირად ერთმანეთისათვის გვერდი აგვექცია. გარდა ამისა, მოსახვევებში, უფსკრულზე ხედით. გზა მოლიპულ კლდეებზე გადიოდა და მოგვიხდა ჩამოქვეითება, რაც ჩაფარმა კარგა ხანია გააკეთა. მაგრამ მალე დაიწყო ხანგრძლივი, საკმაოდ დამღლევი დაღმართი, აუცილებლად ფეხით სავალი მდ. ჩიხორამდე, 1 სთ. და 35 წთ.-ზე ჩვენ გავუსწორდით პირდაპირ გზას თეთრაკეთიდან ჩიხორში, რომელზეც შევნიშნეთ ცხენისა და გამყოლის ახალი კვალი. აქ ძალიან ცოტას და იშვიათად მგზავრობენ, კვალი, როგორც ჩანს, ჩვენს მებარგულს ეკუთვნოდა, რომელსაც მოკლე ხანში დავეწვიეთ კიდევ. გაოგნებული იყო, მან არ იცოდა, რა გაეკეთებინა. გზა დატვირთული ცხენისათვის გადაღობილი იყო მორით. ის გავატარეთ შემოვლით. გადავიარეთ პატარა მდინარე *ჩიხორი* და 2 საათზე გავიარეთ სოფელი იმავე სახელით – *დიდი ჩიხორი*. სოფელში ბავშვების გარდა არავინ ჩანს, არც არავისი ხმა ისმის.

2 საათსა და 40 წუთზე ჩამოვედით *მჭედრეულში*. ჩიხორის ხევში გზა სულ მისდევდა მდინარის ამა თუ იმ ნაპირს. ოთხიოდეჯერ გადასვლა მოგვიხდა ხიდებზე, ზოგჯერ ძალზე დანჯღრეულზე, რომლების ერთი ნაპირიდან მეორეზე იყო გადაებული. აღმართ-დაღმართები ცოტაა და უმნიშვნელო, მაგრამ მხედრებისათვის გზა უსაფრთხო არ არის, დატვირთულისათვის კი – ხშირად მძიმეცაა. ეს ბილიკი, ადგილადგილ მდინარისაკენ შეეული დაქანებით, მეორე მხრიდან გამოწეული კლდით, ან ორ კლდეს შორის ვიწრო გასასვლელით. თუმცა ეს ბილიკი მიდის არცთუ მაღლა მდინარის დონიდან. ის მეტწილად დაფარულია შინდის ხის, აგრეთვე ველური კავკასიური მაცვლის ბუჩქების ტოტებით და სხვა.

ნანგრევები სოფელ მჭედრეულს ქვემოთაა, ჩრდილოეთით პატარა მოედანზე, რომელიც რამდენადმე ამაღლებულია ზედ მდინარე ჩიხორის მარჯვენა ნაპირზე. იმის გარკვევა, არის თუ არა იგი ეკლესიის ნანგრევები, ახლა მხოლოდ საძირკველზე დაკვირვებით შეიძლება. ვიწრო მხარე, შესაძლოა, საკურთხევლის ნაწილია, აღმოსავლეთისაკენ მიმართული, სამხრეთისაკენ მცირე გადახრით. ქვის წყობა ჩვეულებრივია, იმერხეული, თუმცა მისგან ცოტა რამ დარჩა, აღმოსავლეთი კედლის ჩამოშლილი ნანგრევები და ჩრდილოეთი კედლის ხაზი. უფრო მეტი დარჩა შენობიდან, რომელიც ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ეკვროდა [ტაძარს]. აქ, ოციოდ ნაბიჯზე, ზედ მდინარეზე არის მიწიდან ორი არშინი სიმაღლის კოშკის დამრგვალების ნარჩენი, აღმოსავლეთის მხრიდან მცირე ოთხკუთხედი ფანჯრის განით. გარედან ეს კოშკი არ იყო მრგვალი, კუთხე გამოყვანილია კუთხესთან, კედელი გარედან კარგა ხანია გახვრიტეს და შევიდნენ ადამიანის ძვლებით და თავის ქალებით სავსე ოთახში. აშკარაა, აქ საქმე გვაქვს კიმიტერთან, შესაძლოა, მონასტრისა, რომლის როლს ასრულებდა არა სარდაფი, არამედ მომრგვალებული ნაგებობის ქვედა სართული. ამ კიმიტერს აქვს გრძელი კამაროვანი ოთახის ფორმა. სიგრძე აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით. დასავლეთ კედელში იყო

შესასვლელი კარი ნახევრადმრგვალი ზედა ნაწილით. გარდა ამ ნახევარწრისა, კარი ნანგრევებითაა დაფარული. კოშკის ნანგრევებისაკენ მიმავალ გზის შუა ქვების გროვას, რომელიც ჩამოშლილი გუმბათის შთაბეჭდილებას ტოვებს. ცენტრში, როგორც ჩანს, თხრიდნენ: ყრია ადამიანის ძვლები, მაგრამ, შესაძლებელია, ისინი მოტანილია კიმიტერიდან. ძვლების შესახებ, რომლებსაც მჭედრეულის ეკლესიაში პოულობდნენ, მე უკვე აღრე მქონდა გაგებული ფხიკიურში, რომ ისინი უზარმაზარია და ეკუთვნით მაღალი ტანის მქონეებს, გოლიათებს, მაგრამ ეს ზღაპრებია.

4 1/2 საათზე სინკოთში გავემგზავრეთ. მივედით მდინარე ჩიხორზე გადაებულ ხიდამდე. გზა იმავე სახისაა, როგორც ჩიხორიდან ჭედლეულში (ვერა და ვერ დავადგინე, მისი ზუსტი სახელწოდება). ორივე მხარეს მუხის ახალგაზრდა ხეებია, თხილის ნარგავები (წვრილი თხილის), თხმელის, ნაძვის, სოჭის ხეები, მაგრამ განსაკუთრებით ბევრია შინდი მომწიფარე ნაყოფით. აქა-იქ ჩანს ველური კავკასიური *მაყვლის* ბუჩქები მწიფე ნაყოფით. ჩვენ ერთ ადგილას პირდაპირ გადავლახეთ ჩიხორის წყალი, იმიტომ რომ შესანიშნავი უზარმაზარი ჭადრის ქვეშ ხიდი არ იყო სანდო. ჩვენი გზა შემდგომ მიდიოდა იმ ადგილის მიღმა, სადაც ჩიხორის დელე უერთდება მდ. **ფხიკიურას**, ე.ი. **იმერხევს**, რომლის მარჯვენა ნაპირზე გავაგრძელეთ კიდევ გზა, მცირე აღმართ-დაღმართებით, რომელიც შედარებით მოსახერხებელი იყო მგზავრობისათვის. ჩვენ აქ წამოვეწიეთ სიმიწილი დატვირთულ ცხენებს, რადგანაც ვერანაირად ვერ ავუვლიდით გვერდს, იძულებული ვიყავით ნაბიჯ-ნაბიჯ გავყოლოდით თავისუფალ მინდვრამდე, რომელიც ხიდთან იყო. ძლივს მოვასწართ ხიდზე გადასვლა და ერთი მეორის მიყოლებით აღმართს ავუყვებით ტვირთიანი ცხენი გამყოლით, გამცილებელი, რომელიც ფეხით მოდიოდა, მე და ჩაფარი, რომ მეგზურმა დაიყვირა: „გზა გაფუჭებულიაო“. ათ წუთამდე ვიწვალეთ, რომ წვიმით ჩარეცხილ მიწაყრილში გაჩენილი ღრმულები ქვებით ამოგვევსო. ამგვარი მიწაყრილები

გვხვდება ისეთ ადგილებში, თვით გზაზეც, სადაც არის ნორმაზე მეტი დაქანება, რომელიც უფსკრულში გადადის. ასეთ ადგილებში მორი გაიდება გზის გასწვრივ უფსკრულთან, შემდეგ მას აყრიან ტოტებს, მიწას, ქვებს. დატვირთული ცხენი უკანა ფეხით კინაღამ წავიდა ღრიჭოში, რომელიც ვერაგულად იყო მიწით მიფარებული, მაგრამ მან მაინც მოასწრო მშვიდობიანად გაცილებოდა ამ ადგილს. ამ დროს ცხენს ვინ ეწეოდა, ვინ უყვიროდა; გვეხმარებოდა ის ორიც, რომელთა ცხენები სიმინდით იყო დატვირთული. ისინი წამოგვეწვივნენ. ჩვენ იძულებული გაგხვდით, ჩამოვქვეითებულებავით და ისე გაგვეყვანა ცხენები. გლეხები დატვირთული ცხენებით ძალზე შეწუხებული იყვნენ, მათ შორის ახალგაზრდა გაფითრდა, იგრძნო რა თავისი უმწეობა; მათ გადაწყვიტეს, ჩამოეღოთ ცხენებზე აკიდული ტვირთი უფსკრულის პირზე გამავალ ნახევარარშინიან გზაზე, მაგრამ შემდეგ ჩემი მეგზურისა და ჩაფარის დახმარებით გარისკეს გადაეცაზათ ის ადგილი ჩვენს შემდეგ, რაც შეძლეს კიდევ.

ცოტა გზის გავლის შემდეგ მდინარეზე შევნიშნე ძველი ქვის ხიდის ნარჩენები. ასე ვიმგზავრეთ იმ ადგილამდე, სადაც შავშეთის მდინარე იმერხევს უერთდება. ამ შეერთების შემდეგ მდინარეს ჰქვია კიდევ საკუთრივ იმერხევი. ჩვენ მარცხნივ შევუხვიეთ, მივიღოთ მდინარის მარჯვენა ნაპირით წისქვილამდე, საიდანაც დავიწყეთ მდინარისგან დაშორება და შევუდექით აღმართს, რომელიც მხოლოდ თვით სოფელ სინკოთში დამთავრდა 6 საათსა და 45 წუთზე. მდინარე იმერხევზე გადასვლის შემდეგ ჩვენ კვლავ შავშეთში ვართ. აქ საოჯახო ენა თურქულია.

**3 აგვისტო, სამშაბათი.** სოფელ სინკოთის ახალი მეჩეთიდან 10 წუთის სავალზე, ჩრდილოეთით, პატარა მალლობზე, მაღალი კლდოვანი მასივიდან, რომელსაც ლურჯა ჰქვია, არც თუ ისე შორს, სამხრეთით, სინკოთის დასახლებებს – „გოგნიძე“-სა (ჩრდილო-აღმოსავლეთით) და „ფოლოციელს“ (დასავლეთით) შორის არის შავშეთის ერთ-ერთი დიდი ეკლესიის ნანგრევები. ქვის წყობა აქ ჩვეულებრივი, ადგილობ-

რია. გარედან დიდწილად გვხვდება არა მთლიანი საპირე ქვები (რაც გვხვდება, მაგალითად, აღმოსავლეთი ფასადის ჩრდილოეთ კუთხესთან), არამედ ნაწილები, ე.წ. მოსაპირეთებელი, შედარებით თხელი, თლილი ქვები, მაგრამ ისინიც საკმაო სისქისაა, უხეშად გათლილი და წყობისას არ არის მჭიდროდ ერთიმეორესთან მორგებული, რაც ქვებს შორის შუალედებს მოხატული ხაზების ელფერს აძლევს. შიგა წყობა მთლიანობაში უფრო უხეშია, ქვები ნაკლები გულმოდგინებითაა გათლილი. მხოლოდ განების (კამარების, კარების, ფანჯრების) გვერდითი თამასები, აგრეთვე სვეტები, რომლებიც კედლებიდან გამოდიან, გულმოდგინედ, სუფთად გათლილი ქვებით არის აგებული. გარდა ამისა, ყველა კამარის ნახევრადმრგვალი ზედა ნაწილები, შესაძლებელია აგრეთვე ფანჯრებისა და კარების, იყო აგურით ამოყვანილი. უხეში შიდა მოპირკეთება იმით აიხსნება, რომ ეკლესია შებათქაშებული იყო და შეიძლება მოხატულიც. მოხატულობისაგან კედლების ნაწილზე დარჩა წითელი ხაზები და მუქი ფონები; როგორც, მაგალითად, საკურთხევლის ნახევარწრესა და ჩამოცვენილ ქვებზე, მაგრამ წმინდანთა გამოსახულების კვალი არ არის. ეკლესია ამჟამად დანგრეულია, არ არის ჭერის ზედა ნაწილი, თუ არ ჩავთვლით [ფრაგმენტს] საკურთხევლის ნახევარგუმბათთან, იმასაც ნაპრალი აქვს, ჩავარდნილია გვერდითი ნაგების მეორე სართულის იატაკები, ზოგიერთ ადგილას კედლებიც ჩამოქცეულა. ეკლესია შიგნით იმდენად არის დაფარული ჩამოცვენილი ქვებით, რომ დაბლა მდგარმა შეიძლება ხელით შეეხო მეორე სართულის იატაკს. გარდა ამისა, შიგ, უპირატესად როგორც კარების, ისე ფანჯრების განის თამასებთან, და განსაკუთრებით გარედან, ადამიანის ხელით გაძარცვულია ყველა მეტნაკლებად დამუშავებული მსხვილი ქვა. ასეთ ვითარებაში რამდენადმე ძნელია, ზუსტად წარმოიდგინო ეკლესიის ფორმა და აგებულება.

ეკლესია გარედან წარმოადგენს წავრძელებულ ოთხკუთხედს (გარედან, სიგრძე 8 საუნი, 2 არშინი და 2 გოჯი;

სივანე 5 საუენი, 2 არშინი, 10 გოჯი, სისქე – 1 არშინი და 10 გოჯი). დასავლეთი და აღმოსავლეთი ფასადები გვერდითი დაქანების კვადრებითაა. ტაძარი სამ ნავად არის გაყოფილი. ცენტრალური და გვერდითები, თითოეული ორსართულიანია. ცენტრალური ნავის სიფართო 2 საუენი და 2 გოჯია; ის შედგება საკურთხეველის ნახევარწრისაგან (ნახევარწრის სიღრმე 1 საუენი და 12 გოჯია. ტაძრის სიფართის საპირისპირო შევრილები – ოთხ-ოთხი გოჯი) და სამი განყოფილებისაგან, რომელნიც დაკავშირებულია გვერდით ნავებთან თაღოვანი გასასვლელებით. ამ თაღოვანი გასასვლელებიდან, რა თქმა უნდა, სამ-სამი ყოველი მხრიდან, საშუალო უფრო ფართოა (2 საუენი და 7 გოჯი), მომიჯნავე შედარებით ვიწროა (2 არშინი და 4 გოჯი<sup>1</sup>). მათი ნახევარწრითი ზედა ნაწილების სიმაღლე 1 არშინი და 5 გოჯია.

საკურთხეველის ნახევარწრედი მთავრდება ნახევარგუმბათით. შუა თაღების გვერდით ნავებში გასასვლელების, ამ დანიშნულების მომიჯნავეებთან შეერთების ადგილებზე კედლებიდან დაახლოებით 5 გოჯზე სამი მხრიდან გამოდის ბოძები, 4 ბოძი, რომელთა მარტივ კაპიტელებზე დაყრდნობილი იყო ტაძრის ცენტრში 4 კამარა. ეჭირათ თუ არა ამ კამარებს გუმბათი, ამაზე პასუხის გადაჭრით გაცემა შეუძლებელია გათხრების გარეშე. მხოლოდ რიგი ანალოგიური ნაგებობის დათვალიერების შემდეგ, მე დავიწყე იმის მიხედვით, რომ გუმბათი, როგორც ჩანს, იყო. ცენტრში ყრია ჩამოქცეული ზედა ნაწილის მსხვილი ნატეხები, მაგრამ ეს შეიძლება იყოს თაღის ნაშთები, შიგნიდან რომ მისდევდა ტაძრის მთელ სიგრძეს. ტაძარს, როგორც ვფიქრობ, ჰქონდა აკნის ფორმის ორდაქანებიანი გადახურვა. სიგრძე ცენტრალური ნავისა, საკურთხეველის ნახევარწრის ჩათვლით, 6 საუენი, 1 არშინი და 6 გოჯია, თუ დასავლეთისაკენ მის გაგრძელებას გამოყოფილად ჩავთვლით, თუ არა – 8 საუენი და 5 გოჯი.

<sup>1</sup> შესაძლებელია რამდენადმე ნაკლები, რადგან საპირე ქვების უკმარისობის გამო გუმბათი შევაფასე.

საქმე ისაა, რომ როგორც ცენტრალურ ნავს, ისე გვერდითებს სამი განყოფილების მიღმა აქვთ კიდევ მეოთხე, ყველა მათგანი დასავლეთში ქმნიან დასავლეთ ფასადს. მათ შორის უკიდურესი განყოფილება, ქვემოთ, სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში, ქმნის განსაკუთრებულ მცირე ოთახს: ცენტრალურისგან მას გამოყოფს ყრუ კედელი, რომელზეც ამ ცენტრალური განყოფილების მხრიდან გამოყვანილია თაღი განის გარეშე; ყრუა დასავლეთი კედელიც; სამხრეთ კედელში არის მრგვალი ფანჯარა. ოთახი აღმოსავლეთიდან კარით უერთდება სამხრეთ გვერდითა ნავს. ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში მეორე უკიდურესი განყოფილება გვერდით ნავთან, რომლის გაგრძელებასაც ის წარმოადგენს, არაა კავშირში. მისი აღმოსავლეთი კედელი ყრუა, ისევე როგორც დასავლეთი, მაგრამ მას აქვს გარე, ჩრდილოეთი კარი (სივანე 1 არშინი და 8 გოჯი, ნახევრადმრგვალი ზედა ნაწილის სიმაღლე 10 გოჯი, მთლიანი სიმაღლე უცნობია, რადგანაც დაფარულია ჩამოცვენილი მასალით) და უერთდება თაღოვანი გასასვლელით ცენტრალური ნავის განყოფილებას, რომელიც, როგორც მეჩვენება, ტაძრიდან არ იყო გამოყოფილი არანაირი კედლით და შეადგენდა ცენტრალური ნავის სრულიად ღია გაგრძელებას. გვერდითი ნავების ზედა სართულები ასევე გახსნილი იყო ცენტრალური ნავის მხარეს, გარდა იმისა, რაც საკურთხეველის ნახევარწრეს ეკვროდა. ისინი შიგ იმნაირი თაღოვანი განებით გამოდიოდნენ, რომლებიც დაბლა დასაკავშირებლად, გასასვლელად გამოიყენებოდა. ზედა სართულის გვერდითი კედლების სიმაღლე ერთი შეხედვით ქვედა სართულის სიმაღლისა იყო<sup>1</sup>. მაგრამ განყოფილებები ერთმანეთთან შეერთებული იყო თაღოვანი გასასვლელებით, რომელთა პირდაპირი მხარეები საკმაოდ დაბალი იყო (1 არშინი და 10 გოჯი). გვერდითი ნავებია აღმოსავლეთი განყოფილებები, რომლებიც საკურთხეველის ნახევარ-

<sup>1</sup> პირდაპირი გვერდების სიმაღლე ყველაზე ნაკლებად დაფარულ ადგილას 1 საუენი და 1 არშინია, შემდეგ არის თაღი დაახლოებით 1 1/2 არშინის სიმაღლით.



წრეს ეკვროდნენ, ქვემოთ განსაკუთრებულ პატარა ოთახებს ქმნიდნენ, თითოეული აღმოსავლეთი ფანჯრით და ერთი კარით, რომელიც შესაბამის გვერდით ნაგებში გადის<sup>1</sup>. ამ ქვემოთ ოთახებში აღმოსავლეთის მხრიდან არის საკურთხევლის ნახევარწრეები ნახევარგუმბათებით (ფანჯრები ამ ნახევარწრეებშია კიდევ განლაგებული), მაგრამ ძნელი სათქმელია, რა დანიშნულება ჰქონდა მათ, ტარდებოდა თუ არა იქაც საეკლესიო მსახურება, ითვლებოდა თუ არა ისინი ეკვდრებოდნენ. ზემოთ, ამ ოთახების თავზე, მეორე სართულზე არის ასეთივე ორი ოთახი, თითოეული აღმოსავლეთი ფანჯრით, მაგრამ არ არის საკურთხევლის დამრგვალება ნახევარგუმბათით (კედელი სწორია) და უერთდება შესაბამისი გვერდითი ნავის ზედა სართულს სრულიად ღია თაღებით. ქვედა სართულიდან ზედაზე არანაირი კიბის ან რაიმე მისასვლელის კვალი მე ვერ ვხედავ. იყო თუ არა საერთოდ დასავლეთი კარი, ვერ დავადგინე, აქ ყველაფერი დაფარულია ნაყარით. შესაძლებელია, შედიოდნენ ზემოაღნიშნული ჩრდილოეთი კარიდან ჯერ ჩრდილოეთი ნავის თაღოვან განყოფილებაში, შემდეგ ცენტრალური ნავის უკიდურეს, დასავლეთ განყოფილებაში, უკვე ტაძრის ნაწილში. ამნაირი მთავარი შესასვლელის მცირე ზომა არ უნდა გვაბნევეს. ტაძარში შესასვლელი კარი ჩრდილოეთ ნავში კიდევ არის, ჩრდილო კედლის შუაში, ის, როგორც ჩანს, არ იყო უფრო დიდი. კარის განის კვალი შეინიშნება სამხრეთი კედლის შუაშიც, მაგრამ რამდენადმე დასავლეთით, ვიდრე ჩრდილოეთი კარი.

ტაძარი განათებული იყო ფანჯრებით:

1. შუა ნავის ორი, აღმოსავლეთი და დასავლეთი ფანჯრით.

<sup>1</sup> ჩრდილოეთ ნავის 3 ფანჯრით: ორი – ჩრდილოეთ კედელში (ერთი – ცენტრში, კარის თავზე, მეორე ჩრდილო-დასავლეთ განყოფილებაში, კარისაგან რამდენადმე დასავლეთით), მესამე – დასავლეთით (იხ. ზემოთ, სადაც საუბარია ზედა ოთახზე, რომელიც საკურთხევლის ნახევარწრის მომიჯნავეა).

2. სამხრეთი ნავის 4 ფანჯრით, სამი სამხრეთ კედელში, რომელთაგან შუა იყო დიდი, სამხრეთ კარიდან რამდენადმე აღმოსავლეთით მდებარე და მეოთხე – აღმოსავლეთი, რომელზეც საუბარი იყო საკურთხევლის ნახევარწრის მომიჯნავე განყოფილების აღწერისას.

3. ჩრდილოეთი ნავის 3 ფანჯრით: 2 ჩრდილოეთ კედელში, 1 – ცენტრში, კარის ზემოთ, მეორე – ჩრდილო-დასავლეთ განყოფილებაში კარს იქეთ, რამდენადმე დასავლეთით, მესამე – აღმოსავლეთით (იხ. ზემოთ, სადაც საუბარია საკურთხევლის ნახევარწრის მომიჯნავე ზედა ოთახზე).

ეკლესიას ჰქონდა შემოღობილი მცირე ეზო; იგი აგებული იყო მშრალად დაწყობილი უზარმაზარი ქვებით. ახლა ირგვლივ, ნაწილობრივ ეზოში, ხარობს დიდი კაკლის ხეები და შინდი.

გავიგონე, ბავშვები და ქალები, აქაც, სოფელში, სახელში ერთმანეთთან ქართულად საუბრობენ.

12 1/2 საათზე **ხოზაბირისაკენ** (რუკაზე – **ხოზაბარტი**) გავემგზავრეთ, სადაც 3 1/2 საათზე მივედით. დატვირთული ცხენით მომავალი ჩვენი მეგზური ჩამოგვჩა და ახლა ძალზე ვნანობ. მუხობანიდან ხოზაბირისაკენ გზაზე შეგვხვდა „კაპანი“, იმ რთული გასავლელის მსგავსი, რომლის გადალახვა მოგვიხდა გზად მჭედლეულიდან სინკოთში. ჩვენ მშვიდობიანად გავიარეთ, მაგრამ დაგვაფიქრა ტვირთიანი ცხენის ბეღმა. ტვირთს შეუძლია შეავიწროვოს ცხენი კედლის მხრიდან და თუ ის დააბიჯებს ფეხს უფსკრულის კიდისკენ, სადაც მიწაში გუშინწინდელი წვიმისაგან უკვე შუქი ატანს [თუმცა მთელი მიწაყრილი არ არის ჩარეცხილი], მაშინ საქმე ხელიდან წასული იქნება. ქვევით უფსკრულია, ციცაბო დაქანება იმერხევისაკენ. ჩაფარმა დამაიბედა, მითხრა რა, რომ სოფლიდან კაცს გამოგვიგზავნიან დასახმარებლადო. მაგრამ სოფელი (ხოზაბირი) ძალზე შორსაა. მიუხედავად ამისა, ჩამოსვლისთანავე კაცი გავგზავნე დატვირთული ცხენისა და გამცილებლის დასახმარებლად.

გზა სინკოტიდან **ხიზაბირში** მოითხოვს გვერდის აქცევას. ჯერ დაღმართი, პირველ ნაწილში საერთო მჭედლეულისაკენ მიმავალ გზასთან, მეორეში, უფრო დიდში, უხვევს მარცხნივ მდ. შავშეთისაკენ. მის მარჯვენა ნაპირზე დევს კიდევ გზა ზემოთ, ხიდამდე. გავედით რა ხილით მარცხენა ნაპირზე, შევედით სოფ. **სირა-სინკოთში**. შემდეგ გავიარეთ ერთი სოფელი, **მუხობანი**. პირდაპირ დიდხანს ჩანდა ცეფთას სიმაგრე, მაგრამ ამ სიშორეზე იგი ჩიტის ბუდესავით მოჩანს; ამ მხრიდან ამ ბუდის მხოლოდ ზედა ნაწილი ჩანს. უფრო მეტად შეიძლება ისიამოვნო კლდოვანი უზარმაზარი მთით, რომლის წვეტიან სიმაღლეზეა სიმაგრე. ეს უზარმაზარი რამ იმერხევის მარჯვენა ნაპირზეა განლაგებული. ქვემოთ, ამავე მდინარის ნაპირზე მდებარეობს სოფ. **წვეთიბარი**. ამ სახელის მქონე ადგილიდან გავიარე რა მუხობანი, დასამშვიდებელი მხერით სამხრეთიდან შევხედე იმერხევის მთების პანორამას.

ხოზაბირში თურქულ საუბარში მესმოდა „ჭიშკა“ ჭიშკრის გაგებით, სხვები უფრო სრულად წარმოთქვამდნენ „ჩიშკარ“, ეს ქართული სიტყვაა „ჭიშკარი“. ასე უწოდა (ჭიშკა) ხის კარებს, გურული ნათესების ჭიშკრის ნატეხს, ჩემმა მასპინძელმა, როცა ბაღში შევეყავდი: ორი კოჭი ნახვრეტებით სამი თუ ოთხი გარდიგარდმო ღატნისათვის სწორედ ჭიშკრის საგდულს წარმოადგენს. კოჭები ხანდახან სუსტადაა შეკრული ტოტებით. ამ საგდულის ერთი კოჭი **წირებით** ემაგრება ბოძს, რომლის ირგვლივაც მოძრაობს ჭიშკარი (იღება და იხურება).

ეკლესიის ნანგრევები **ხოზაბირში** (და არა **ხოზაბარტში**, როგორც რუკაზეა, რამაც ნაწილობრივ მომიზიდა აქეთ, იმ იმედით, რომ ვნახავდი **შატბერდის** კვალს) ჩრდილო-დასავლეთით 8-9 წუთის ფეხით სავალზე. ჯერ უნდა გაიარო სამი-ოთხი მინდორი, სახნავი, ერთი-მეორეზე დაბლა, რომ შეხვიდე ახალგაზრდა მუხის ტყეში (بلوت). ეკლესია მდებარეობს მდინარის ზემოთ მდებარე მოედანზე, თუმცა მდინარემდე

ჯერ კიდევ შორსაა. დაღმართი არანაკლებ 20 წუთის სავალია. ახალგაზრდა ხეები ისე შემოადგნენ ნანგრევებს, რომ არა მარტო ხელს უშლიან შორიდან მის დანახვას, არამედ მასთან მისვლასაც აძნელებენ, რადგან მათ შორის უნდა გააღწიო. ტყემ ტაძრის შიგა ნაწილიც დაფარა. ნანგრევებთან, ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან შევნიშნე ორი დადგმული ქვა; ერთი მათგანი, როგორც ჩანს, კარნიზის ნაწილი, შენობის ჩამოქცევისას ჩამოვარდნილი. მეორეს ჯვრიანი ქვის ფორმა აქვს, მაგრამ მასზე არც ჯვარია, არც წარწერა; ის ჩრდილოეთისაკენაა მიმართული და, შეიძლება, წარწერები წაიშალა წვიმის, ან საერთოდ უამინდობის გამო.

ეკლესია ადგილობრივი ქვის წყობისაა, ე.ი. ორი მხრიდან საპირე და არა მოსაპირკეთებელი ქვებია, მეტ-ნაკლებად თანაბრად მოჭრილი, საშუალო ზომის, შუაში ყორით. საპირე ქვები არცთუ სუფთადაა გათლილი პირის მხრიდანაც და არც მჭიდროდაა მიკრული ერთმანეთთან. ქვა ნაცრისფერია.

ტიპი შავშეთ-იმერხეულია, ე.ი. მოგრძო ოთხკუთხედი შიგნით აღმოსავლეთის მხრიდან საკურთხევლის მომრგვალებით; მარჯვნიდან, საკურთხევლის დამრგვალების სამხრეთ ნაწილში, შემორჩენილია ნიშა. სწორედ ამ ნაწილში ყველაზე უკეთ შემორჩა კიდევ ნანგრევები, წყობის ხუთი რიგით საკურთხევლის ამალეებაზე. სხვა ნაწილებში მიწის ზედაპირზე შემორჩენილია მხოლოდ ერთი ან ორი რიგი, მარჯვენა კედელი კი თითქმის მთლიანად მიწასთანაა გასწორებული. კარი, ჩვეულებრივ, ამ სამხრეთ კედელში იყო, ყველა სხვა წვრილმანზე კი აქ არსებული მასალის მიხედვით ვერაფერს იტყვი. ზომა ამ ტიპის ეკლესიისათვის საშუალოა. კერძოდ კი შიგნით: სიგრძე საკურთხევლის ნახევარწრით 3 საუენი და 2 1/4 არშინია, საკურთხევლის ნახევარწრის სიღრმე – 1 საუენი და 4 გოჯია, ტაძრის სიგანე – 2 საუენი და 4 გოჯი, კედლის სისქე – 1 არშინი და 6 გოჯი საკურთხევლის მომრგვალების გაშიშვლებული კიდიდან. სხვა ადგილებში სისქე 1 არშინამდეა, დასავლეთ კედელში კი ძლივს არშინი.

6 საათსა და 20 წუთზე დავიძარით ხოზაბირიდან. რადგან ნორგიელამდე დღის სინათლით ვერ მოვასწრებდით ჩასვლას, მე სპეციალურად გავაგზავნე კაცი, რომ ღამის გასათევი ადგილი მოემზადებინა. გამცილებელმა, რომელიც ტვირთიან ცხენს ახლავს, არ იცის გზა ნორგიელში და ჩვენ მოგვიხდა მასთან სპეციალურად მეგზურის მივლინება. დაძვრას ვჩქარობ, რადგან მზე ჩასვლას აპირებს და მე კი მსურს გადავიღო ცეფთის სიმაგრის სურათი ზემოდან ჩამავალი მზის უკანასკნელ სხივებში.

ტვირთიანი ცხენი, რომელზეც აპარატია, გვაჩერებს. პირდაპირ სოფლიდან იწყება მკვეთრი, და რაც მთავარია, ხანგრძლივი აღმართი. ძლივსლა მოვასწარით დაგვემთავრებინა პირველი მუხლი (რომელიც ქვემოდან ერთად-ერთი ჩანდა, მცირე მოედნით ზედას ბოლოსთან), რომ ჩრდილი გაწვა მთელ გახსნილ პანორამაზე, გარდა თვით სიმაგრისა. სანამ ვაყენებდი სამფეხას, ვამაგრებდი აპარატს და ვსვამდი ობიექტივს, მზის სხივები სიმაგრესაც გამოემშვიდობა. ციხის კონტურები შეერწყა მთების ხაზებს და მოწყენილმა უარი ვთქვი ფოტოგრაფირებაზე. ამავე მოედანზე, ზედ უფსკრულის პირას, არის ეკლესიის ნანგრევები. იმისგან, რაც დარჩა ადგილზე, დარჩა კი ძალზე ცოტა, დარწმუნებით შეიძლება მხოლოდ შემდეგის თქმა: ეკლესია შავშეთ-იმერხევის ტიპისაა, ე.ი. მოგრძო ოთხკუთხედი, აღმოსავლეთიდან შიგნით საკურთხევლის ნახევარწრივით. ზომები ჩვეულებრივ მცირეა.

აღმართი შემდეგაც გრძელდებოდა, სულ ის ერთ საათამდე გრძელდებოდა. ჩემი ცხენი სათლელიდან, რომელზეც ჩაფარი იჯდა, დაიღალა და შეჩერება დაიწყო. გასპარმა გაიხსენა, რომ ამ აღმართზე მას ერთხელ მოუხდა ცხენის დატოვება, როდესაც სხვა ჩაფართან ერთად ექიმს მიაცილებდა. გაუჭირდა გასპარის უფრო ძლიერ ცხენსაც, რომელზეც მე ვიჯექი: მან დაიწყო აჩქარებული სუნთქვა, დროდადრო ახველებდა კიდევ. რაც უფრო მალე მივდივართ, მით უფრო საუცხოო ხდება პანორამა, მით უფრო ღია ხდება ხედი ცეფთის სიმაგრეზე იმერხევითურთ (ეკლესიის ნანგრევებთან,

მას ხეები ფარავდნენ). საოცარი პანორამაა აღმართის ბოლო ფართობზე, საიდანაც გაიხსნა უზარმაზარი პორიზონტი: შორს, წინ მქონდა არსიანის სწორი, მოხდენილი მწვერვალი, რომელიც მზის სხივებით იყო განათებული, როცა სხვა ყველაფერი დაფარა მომავალი ბინდის მკვეთრმა ჩრდილებმა. ახალი მთვარე კარგა ხანია გამოჩნდა, მაგრამ უფრო მეტ სიბნელეს ელოდებოდა, რომ შუქი მოეცა. მარცხნივ აღმართულია ცეფთის მთა გვირგვინით, ე.ი. სიმაგრით, რომლის ქვემოთ, მოედანზე სუსტად ისახება სოფელ ცეფთის სახლების სილუეტები. სოფელი უსტამისი, რომელიც კიდევ უფრო დაბლაა გაშენებული, უკვე არ ჩანს: ის დაიმაღლა მდ. იმერხევის ხევი, რომლის წყლები შორიდან ჩანს სოფელ სინკოთის მისასვლელამდე; მოჩანს, თუ როგორ იკლაკნებიან ისინი ღრმა ხევის ფსკერზე. ჩანს სოფელი **მოქთა** უახლოესი მთის ფერდობზე ცოტა მარჯვნივ, ხან ტეხილი, ხან მრუდე ხაზით, რომელიც ხატავს შორეული მაღალი მთების კონტურებს. დასავლეთით პორიზონტი განათებულია წითელი ალით, რომელიც ედება ლურჯ, ლურჯ ცას. გზის გაგრძელებისას მგონია, რომ ამ მხრიდან გაიხსნება ხედი ზღვაზე. ეს არ ხდება, მაგრამ ცის განათება ზღვისპირის მსგავსია. აქ ჩვენ გვხვდება ადამიანი, რომელიც გასაფრთხილებლადაა გაგზავნილი, რომ არ დაერჩენილიყავით თურქულ სოფელში ღია ცის ქვეშ. ის გვაცნობს ჩვენი მომავალი მასპინძლის სახელს, ჯასიმი, რომელიც მამასახლისობის კანდიდატია. მისი სახლი პირველია სოფლის შესასვლელში. ჩაფარ გასპარს ის აძლევს მითითებას გზის შესახებ. უნდა იარო პირდაპირ გადაჩხილ მორამდე და შემდეგ შეუხვიო მარჯვნივ, ქვემოთ (მარცხნივ გზა სამცხარში, უფრო ზუსტად, სამწყარში მიდის). მე ვფიქრობ: „რა მოხდება, თუ პატრონი ჩვენს მისვლამდე მოისურვებს სახლში წაიღოს გადაჩხილი მორის ერთი, ან სულაც ორივე ნაწილი“. ჩანს, მოგვიწევს ტყეში ღამის გათევა. მეტწილად გზა ტყით მიდის. დღის სიცხეში მგზავრობის შემდეგ, ახლანდელი მოგზაურობა გრილში, მთვარის შუქზე, სიამოვნებად გვეჩვენება. განწყობას აფუ-

ჭებს გასპარის განცხადება, რომ ის არ არის დარწმუნებული, რომ ჩვენ სწორი გზით მივდივართ. გაჩეხილ მორს ჩვენ უკვე მივადწიეთ, ახლა კი მივდივართ ტყით დაღმართზე. ისე, მივემგზავრები მე, გასპარი კი ცხენს მიათრევს, რომელსაც კარგა ხანია სურს დაისვენოს ამ ღამით. მივადწიეთ სოფელს, პირველ სახლამდე, „კანდიდატ“ ჯასიმის სახლამდე, სადაც ველოდები გამზადებულ ოთახს დასასვენებლად და ვახშამს ძაღების მოსაკრებად, მაგრამ სახლში მხოლოდ სიჩუმით პასუხობენ; გასპარის დაუინებულ ძახილზე, ბოლოს და ბოლოს იღება კარი ეზოსკენ, საითკენაც მიმართულია აქ სახლების ფასადები და ისმის ქალის სახიამოვნო, მაგრამ არასანუგეშო ხმა. ჩვენი მასპინძელი ჯასიმი, არტანუჯის უბნის სოფელ ნორგიელას „კანდიდატი“ საღამოხანს წავიდა მინდორში სამუშაოდ. როგორც ჩანს, ჯასიმმა იცოდა სოლომონის გამონათქვამის განსაკუთრებული რედაქცია: სჯობს ღამის გათევა მხეცებთან ერთად მინდორში, ვიდრე ერთ სახლში მოხეღესთან, განსაკუთრებით მაშინ, თუ ეს სახლი მოხეღეს არ ეკუთვნის. არამოხეღე მოგზაურს მცხოვრებლები არ იცნობენ და არც ესმით მათ ეს. ამ მხარეში პატრონი მამაკაცის გარეშე სახლი დაკეტილია სტუმრისათვის: მასპინძელ ქალს არ შეუძლია მიიღოს ის. მაგრამ გარკვეული მოლაპარაკების შემდეგ, რომელშიც შორიდან მეზობლებიც მონაწილეობდნენ, საქმე გაეწყო და 8 1/2 საათზე მე მოგაკალათდი ნორგიელის მამასახლისის სასტუმროში. თვით მამასახლისი სახლში არ არის, ისიც მინდორშია წასული. მიღება არცთუ თბილია, მაგრამ მივეჩვიე. როგორც კი გაიგებენ, რომ მე უფასოდ არაფერს ვღებულობ, დამოკიდებულება იცვლება.

**ადგილების სახელწოდებები ნორგიელსა და მის შემოგარენში:**

ხოზაბირიდან ნორგიელში უღელტეხილიდან დაშვება:

**1. დორიკი.**

**2. ბუღანჯეთი,** გზის მარცხენა მხარეს სოფელში შესასვლელთან მინდორია.

**3. კოლლი ტაში,** ნორგიელის მიწების ფარგლებშია სამწახაროსთან, საკუთრივ სამწყაროს საღვარზე.

**4. ურთიეთი,** სოფლის ჩრდილო-დასავლეთით, ნახევარი საათის სავალზე, მუხის ტყე.

**5. მუკნიკეთი,** ნორგიელის მიწებში, ანაკერტის საზღვართან, ქვიანი მიწა, ტყე, მუკნიკეთს ზემოთ, რომელიც განლაგებულია ანაკერტის ხევში, კლდეზე არის ნაგებობების ნარჩენები, რომელზეც ამბობენ, რომ ეკლესია იყო.

**6. ბაღლარი (ბაღები),** ასევე ქვიანი ადგილი, ამჟამად ტყეშია, შეიძლება ძველად ბაღები იყო, ხევში, მუკნიკეთის გვერდით, რომლისგანაც მას კლდე ყოფს.

**7. ჯოგისარი,** ნორგიელის მიწებში.

**8. ნამორი.** საზღვარზეა, მის იქით ანაკერტის მეზრეა (ქასილა).

**9.** არის კიდევ ადგილი **შაშუბეთი,** სახნავი ნაკვეთი, საკუთრივ სოფელში, ახლა სახლებს იქითაა.

**1 აგვისტო, ორშაბათი.** კლდე ძველი ნაგებობის, ნაგებობების ნარჩენებითაც კი, მუკნიკეთის თავზე რომ არის, სოფლის სამხრეთით 15 წუთის სავალზეა. გზა მიდის არცთუ ისე შესამჩნევი დაღმართით თითქმის იმ ადგილამდე, საიდანაც გვიხდება ასვლა მაღალ კლდეზე პირდაპირი, დამრეცი გზით, ან უფრო მეტად დამრეცი, თუ მას აღმოსავლეთიდან მოეუვლით. კლდე მთლიანობაში ათიოდ-ოციოდ საუენზე გრძელდება ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით. ჩრდილო-აღმოსავლეთ ბოლოში, ძალზე ვიწრო, კლდოვან ქედზე მდებარეობდა ნანგრევები, როგორც ამბობენ, ეკლესიისა; ახლა აქ და განსაკუთრებით დასავლეთით, ყრია მხოლოდ ნანგრევების ქვები, რომლებიც დაღმართზე დაცურდნენ. ქედის სამხრეთით, პატარა შვერილზე, არის თვით კლდეზე ამოყვანილი რაღაც ნაგებობის ნარჩენი. ის არ არის ორიენტირებული როგორც ეკლესია. ჩრდილო-აღმოსავლეთიდან მოკლე კედელი რაღაცნაირად შენარჩუნებულია. შიგნიდან ის სიგრძით 6 ნაბიჯია. პერანგის ქვები

ჩამოცვენილია. კლდის ძირში ნახეს წყლის ქვევრი („დალუქი“).

აქედან დასავლეთით იხსნება ანჩის ხედი, მისი ეკლესიით ხევის სიახლოვეს, რომელიც **ანკორსა** და **ანაკერტს** გამოყოფს **ნორგიელისაგან**. ჩანს კარჩხალიც, ძირითადი (اسلى), ნამდვილი კარჩხალი. კარჩხალის ერთ-ერთი განტოტების ფერდობზე მამასახლისი მაჩვენებს სოფელ პორტას; ეკლესია ქვემოთ ხევში არც ჩანს. მამასახლისივე მაცნობებს პეტრიკიძენზე, გორაშეთის ბაღებში: ძალიან ძლიერი, სასწაულმოქმედი ეკლესიაა („ხოხ ზორ ქილისა“).

კოლი-ტაში მდებარეობს მთის წვერზე, რომელიც აზიდულია ჩვენი ნაგებობებიანი ეკლესიის აღმოსავლეთით.

9 საათზე მივემგზავრებით **სამწყარში**.

20 წუთის შემდეგ ვართ აღმართის თავზე, საიდანაც გადაღებულია სოფელი ნორგიელი (სურ. 21). 9 საათსა და 45 წუთზე მას გვერდს ვუვლით, ვტოვებთ რა მარჯვენა მხარეს მაღალ მთას მწვერვალზე ნაგებობის ნანგრევებით. ეს მაღლის-უკანია (მაღლის-უკან). შორს, ჩვენს წინ ქურდევანის მწვერვალია, მისგან ჩრდილო-დასავლეთით, ქვემოთ, მდინარე სამწყარის ორივე მხარეს არის სოფელი სამწყარი მისი უბნებით. შორიდან ჩანს, თითქოს ყველა მათგანი განლაგებულია ქურდევანის ძირში. ვუახლოვდებით, ქურდევანი შორს მიიწევს. და უფრო დასავლეთით, სოფელთან ახლოს აზიდული მთაა, გაცილებით უფრო დაბალი, ვიდრე ქურდევანი; იგი მეჩხერი ტყითაა დაფარული და სამხრეთიდან იცავს სოფლის საზღვრებს. გავაგრძელებთ გზა, გადავედით რა მარცხნივ დეღეზე, კარიბ-ოღლის დასახლების ზემოდან, დავინახე ჭანჭახის (**ჭანჭახი**) მწვერვალი.

ეკლესიის ნანგრევები (იხ. სურ. 22)<sup>1</sup> უფრო მაღლა, მდინარის მარცხენა მხარეზეა, სოფლიდან მოშორებით, სახნავებში, ზედ ანაკერტის გზასთან.

<sup>1</sup> ერმაკოვის კრებულში ჩვენთან მოტანილი სურათზე რატომღაც აღნიშნულია: „ანჩა, ეკლესიის ნანგრევები“.

ეკლესიის კედლები, დასავლეთის გარდა, კარგადაა შენახული, თითქმის მთლიანად ჩამოშლილი აღმოსავლეთისაკი – დიდი ნაწილი ნაპრალით. ეკლესია ჩვეულებრივი შავ-შეთ-იმერხევის ტიპისაა, ე.ი. წაგრძელებული ოთხკუთხედი შიგნით საკურთხეველის ნახევარწრით. სამხრეთიდან კარის ადგილი გარკვეულია. აღმოსავლეთი ფანჯრის ბრალია აღმოსავლეთი კედლისა და დასავლეთი კედლის დასავლეთი ფანჯრის სწრაფი ჩამოშლა. საკურთხეველის ნახევარწრეში, მარცხნიდან და მარჯვნიდან თითო ნიშაა, ორ ადგილას გარდიგარდმო ზემოდან ქვემოთ. სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლებზე დარჩა ჩაღრმავებები, კედლებში გამოყვანილი შვერილების (ბოძების) კვალი. როგორც ჩანს, ისინი იჭერდნენ თაღებს და თაღოვან ჭერს, გარედან ორფერდა სახურავით. შვერილები (10 1/2 გოჯი) არის საკურთხეველის ნახევარწრესთანაც, რომელიც მთავრდება ნახევარგუმბათით. ქვის წყობა ჩვეულებრივია. ეკლესიის საპირე, ბრტყელი, ტოლგვერდა ქვები ორივე მხრიდან არაგულმოდგინედ გათლილი, არამჭიდროდ მიკრული, ერთმანეთს ხანდახან სცილდებიან 1/2 გოჯითა და მეტით. გარე ქვის წყობა უფრო გულმოდგინედაა შესრულებული. ქვები მეტ-ნაკლებად თანაზომიერია, უფრო პატარები (თითოეულის სიმაღლე ჩვეულებრივ 3-4 გოჯია, სიგრძე – 8 გოჯი და ნაკლები, ზოგან 3 გოჯი) და მიუხედავად მოთეთრო ფერისა, ნაგებობა შორიდან აგურისას ჰგავს. ყველაზე კარგად შენახულ ნაწილში ქვის წყობა გარედან 23 რიგია. ეკლესია შიგნით შებათქაშებული და შეთეთრებული იყო. მოხატულობის კვალს ვერ ვამჩნევ. ზომები: შიგნით – სიგრძე საკურთხეველის ნახევარწრესთან ერთად 5 საუენი და 3/4 არშინია, საკურთხეველის ნახევარწრის სიღრმე – 1 საუენი და 14 გოჯი, საკურთხეველის ნახევარწრის შვერილების სიფართე – 11 1/2 გოჯი, ტაძრის სიფართე – 2 საუენი, 1 არშინი და 1 გოჯია, კედლის სისქე – 1 არშინი და 3 გოჯი.

11 საათზე მივემგზავრებით ანჩაში ანაკერტის გავლით, სადაც დავეწიეთ ჩვენს კაცს, რომელიც ტვირთიან ცხენთან ერთად იყო. სიცხეა, მაგრამ არადაძლიერი. გზა ანაკერტამ-

დე საუკეთესოა, შემდეგაც არ არის ცუდი, მაგრამ აღმართი ზედ იმ კლდის ძირამდე, რომლის სამხრეთ-დასავლეთით, მის გვერდით, დგას ეკლესიის ნანგრევები განსაკუთრებულ პატარა ამადლებზე (სურ. 23). ავლილით რა ეკლესიისაკენ ამ აღმართით, მარჯვნივ შევნიშნე წითელი თიხის ძველი წყალსადენი მილები. წყალი ზემოდან ქვევით იყო ჩაყვანილი, როგორც ჩანს, ამჟამინდელ ანაკერტში. ნანგრევებამდე ავადწიეთ 12 1/2 საათზე, სოფლამდე ჯერ შორსაა; ეკლესიისაგან მიწის ზედაპირზე დარჩა ცოტა (სურ. 24) და ეს ცოტაც უმეტესად „გაწმენდილია“ მოსაპირკეთებელი ქვებისაგან<sup>1</sup> და შემორჩენილია: კედლის ნაწილი ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში, სრულიად გაძარცვული, საკურთხევლის ნახევარზე ნახევარგუმბათის ნაწილით და ჩრდილოეთისა და სამხრეთის ორი ეკვდერი გარე კედლებით. სამხრეთ ეკვდერზე მოგვიანებით მიშენებული იყო კიდევ ერთი ოთახი, რომლის ნარჩენებიც სახეზეა.

ეკლესიას აქვს საკმაოდ მსხვილი, თავის დროზე კარგად გათლილი და ერთმანეთთან საუცხოოდ მორგებული მოსაპირკეთებელი ქვები (უამინდობით გამოფიტული და ხორკლიანი). იშვიათი გამონაკლისის გარდა, შემორჩენილი მოსაპირკეთებელი ქვები კაკაოს ან შოკოლადისფერია. სამხრეთ ეკვდერში თვალში გვეცა ორი-სამი მონაცრისფრო-მომწვანო ფერის ქვა. სამხრეთ კედელში ქვათა წყობა ერთიმეორეზე 17 რიგია, თუ არ ჩავთვლით თადის სიმაღლეს. გვერდითი ეკვდრები თავისი თაღით სამი რიგით უფრო დაბალია, ვიდრე ცენტრალური ნაწილის პირდაპირი მხარეები.

ჩრდილო ეკვდერი საკურთხევლის ნახევარწრითაა; მას აქვს ფანჯარა. სამხრეთ ეკვდერის აღმოსავლეთი კედელი, ასევე ფანჯრით, ბრტყელია და სრულდება კამარით. ფანჯარა ჩვეულებრივ მოგრძოა, შიგნით გაფართოებული, მოთავსებულია საკურთხევლის ცენტრალურ ნახევარწრეშიც (სურ.

<sup>1</sup> ანჩის ეკლესიის კარნიზის ორნამენტიანი ქვა გამგზავრების წინ შევნიშნე მამასახლისის, ვისთანაც გავეჩერდი, სახლის სამხრეთ კუთხესთან გარედან (იხ. ქვემოთ).

25). ხუთი ნაბიჯის სიგანის სამხრეთ თაღიან მინაშენში, ჩანს, ასევე იყო ფანჯარა აღმოსავლეთის მხრიდან. შესაძლებელია ეკლესია ჯვრისებური იყო. არც ეკლესიაზე, არც სადმე ახლო-მახლო არ არის არათუ წარწერიანი ქვა, არამედ მოჩუქურთმებულიც კი. სამხრეთ-დასავლეთ კუთხესთან ეგლო მოხატული ქვა, როგორც ჩანს, დაწნულ არშიაში ჯვრით, მაგრამ უმოწყალოდ დასახინრებული და დამტვრეული წინა მხარეს. ეკლესიის სიგრძე შიგნით საკურთხევლის ნახევარწრით 5 საუენი და 2 არშინია, სიგანე – 3 საუენი და 2 1/2 არშინი ეკვდერთან ერთად. ქვების ზომა დიდია: სიგრძე 1 არშინი და 6 გოჯი × 10 1/2 გოჯზე, საშუალო ქვებისა – 9 გოჯი × 10 1/2 გოჯზე მეტ-ნაკლები.

კლდეში, რომლის ძირში გადის გზა და რომლის შორი-ახლოს აგებული იყო ეკლესია, შემოინახა რაღაც ქვის წყობის კვალი, საკმაოდ დაუხვეწელი (სურ. 26). შეიძლება ეს იყოს კლდის წვერზე ამავალი კიბის ნარჩენი. აქ შეიძლება მდგარიყო ჯვარი ან სამლოცველო, ასევე შეიძლება ყოფილიყო სათვალთვალო პუნქტი. ჩვენ ცხენებს მივერეკებოდით ოთხით. ზუსტად 15 წუთში ვიყავით სოფელ ანჩაში (სურ. 27), მამასახლისის სახლში; ჩაფარი გასპარი ავად გახდა, სიცხისაგან დაეწყო თავის ტკივილები, გულის რევა და ფეხებში სისუსტე.

ვათვალთვლებდი მეჩეთს: ის მთლიანად თუ არა, მნიშვნელოვანწილად მოპირკეთებული იყო ანჩის ეკლესიის ქვებით; შესასვლელი კარის ისრისებური კამარაც კი ეკლესიის ქვებით არის გაკეთებული. კათედრისგან აღმოსავლეთით, სამხრეთ კედელში ჩადგმულია ეკლესიიდან აღებული სამი მოხატული ქვა. თამასიდან სხვადასხვა ნახატით ორი ქვა კედლებში გარედანაა ჩადგმული. ერთი – სამხრეთ კედელში დასავლეთ კუთხესთან, მეორე აივნის დასავლეთ კედელში შიგნიდან.

4 საათზე ანჩიდან პირდაპირ არტანუჯში მივემგზავრები, სადაც 2 საათში ავედი კიდევ.

**5 აგვისტო, ხუთშაბათი.** არტანუჯის (სურ. 28) მეჩეთის კედელში გარედან, ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხესთან არის წარწერიანი ქვა (საეკლესიო-ქართული დიდი ასოებით); მისი მნიშვნელოვანი ნაწილი დაფარულია აღმოსავლეთ კედელზე მიშენებული კიბით, რომელიც ზედა სართულისაკენ მიდის. გარდა ამისა, ქვა გვერდულად არის ჩადგმული, ისე რომ წარწერა იკითხება ზემოდან ქვემოთ, სტრიქონები მიდიან მარჯვნიდან მარცხნივ.

წარწერის ხილული ნაწილი, ორი სტრიქონის დასაწყისი, ასე იკითხება:

**ს ს მ-ქ რ ს  
ლ ა შ ა ლ ს**

დამპირდნენ, რომ ჩემს ხარჯზე დროებით მოშლიდნენ კიბეს; მსურს, გადმოვიწერო – მოშალეს (კიბე – რედ.). სისრულის თვალსაზრისით წარწერამ თითქმის არაფერი მოიგო; კარგად გამოიკვეთა მხოლოდ მეორე სტრიქონის ბოლო ასო **ს**. მაგრამ რადგან წარწერა გაიხსნა, ადგილობრივ ფოტოგრაფს ვთხოვე, გადაეღო (სურ. 29). მე კასეტაში არ მქონდა მზა ფირი, ხუროებს კი ლოდინი არ სურდათ, კიბე ახლავე უნდა აღედგინათ. ქვა, როგორც ჩანს, ეკლესიიდანაა, იმავე ადგილას.

არტანუჯის ტაძარი დგას ქვემო ქალაქის ჩრდილოეთ კუთხეში, მდ. არტანუჯის ღრმა ხეობაში (სურ. 30). წინა კლდეში, მარჯვენა ნაპირზე, მოჩანს გამოქვაბულის ხახა. არტანუჯი ჩრდილოეთიდან ჩაუვლის მოედნის ძირს და ჯგჳენემ-დერეს (ჯოჯოხეთის ხევი) გავლის შემდეგ უხვევს სამხრეთისაკენ. ჯგჳენემ-დერეში არის ბუზხანა, ე.ი. მაცივარი ბუნებრივ გამოქვაბულში, სადაც, ამბობენ, იყო წარწერა, მაგრამ ის წაშალეს. მოედანი, რომელზეც ეკლესიაა აშენებული, ახლა სწორი და საკმაოდ ვრცელია, მაგრამ ისიც ხელოვნურად არის შექმნილი: კლდე არის ჩამოჭრილი და გასწორებული. ნებისმიერ შემთხვევაში ნიადაგი ქვიანია. აღმოსავლეთი კედელი აშკარად იყოფა ორ სიგრძივ ნაწილად. ქვედა, უფრო

მცირე, როგორც ჩანს, იმისთვისაა ამოყვანილი, რომ გაესწორებინათ მოედანი. მაგრამ, შეიძლება ეს იყოს პირველადი, უფრო ღრმად მჯდარი ეკლესიის ნარჩენი. მაშინ დაბეჯითებით შეიძლებოდა ვარაუდით გვეფიქრა, რომ სამხრეთი კედლის შიგა მხარეზე ღრმად მჯდარი კარის ნახევრად-მრგვალი ზედა ნაწილის კვალი დარჩა ძველი ნაგებობიდან. აღმოსავლეთ კედელში ამ ძველი წყობის ქვები უფრო უხეშად არის დამუშავებული, მაგრამ, შესაძლებელია, მათზე იმოქმედა დრომ და ამნაირი სახე მიიღეს. ზედა კედლის თავზე ეს ნაწილი გამოსულია ორიოდ გოჯით.

ტაძრის ზომები შიგნიდან: სიგრძე საკურთხეველის ნახევართურთ 7 საუენი და 14 გოჯია, საკურთხეველის ნახევარწრის სიღრმე – 2 საუენი და 7 1/2 გოჯი, ტაძრის სიგანე – 5 საუენი და 12 გოჯი, სამხრეთ ეკვდერის სიგანე გარედან (დასავლეთი კედლის მიხედვით) – 4 არშინი და 3 1/2 გოჯი, ჩრდილოეთ ეკვდერის კედლის სისქე 1 1/2 არშინია.

ტაძარი შიგნით შებათქაშებული და მოხატული იყო. დასავლეთ კედელზე შესამჩნევია მოხატულობის სუსტი კვალი. ამით აიხსნება, რომ შიგა მოსაპირკეთებელი ქვები არა მხოლოდ შეუდარებლად წვრილია, არამედ უხეშად დამუშავებული, ცუდად გათლილი, მჭიდროდ მორგებული. ნაწილობრივ ეს არ ითქმის კუთხის ქვათა წყობაზე.

ჰქონდა თუ არა ტაძარს გუმბათი, ამის გადაწყვეტა პრინციპულად შეიძლება მხოლოდ ეკლესიის ჯვრისებრ ფორმასთან დაკავშირებით. სახეზე არ გვაქვს მასალები, რომლებიც გვაძლავებენ ამ საკითხის უარყოფითად ან დადებითად გადაწყვეტას. ჩრდილოეთი და განსაკუთრებით დასავლეთი კედლები ამოყვანილია უფსკრულის პირთან ძალზე ახლოს, დასავლეთ კედლის ნაწილი ჩრდილოეთ კუთხესთან პირდაპირ პირთანაა, გასავლელი მხოლოდ 1 არშინი და 3 გოჯია, მაგრამ დასავლეთიდან ზედ უფსკრულის თავზე იყო ამოყვანილი ღობის კედელი, რომლის კვალი დარჩენილია. სიმაგრის კედელი მოდის ეკლესიის უშუალოდ აღმოსავლეთი კედლიდან, სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღ-

მოსავლეთის მიმართულებით ბუნებრივ კლდესთან შეერთებად. ეს კედელი დაახლოებით 1 საუენით მოცილებულია ჩრდილოეთით, ეკლესიის ჩრდილო კედლის ხაზს.

ეკლესია თავის დროზე დიდებული იყო თავისი მოსაპირკეთებელი ქვების, მეტწილად ჩამოხსნილი (ჩრდილოეთიდან – ერთიანად), კოლოსალურობით (სურ. 31). აღნიშნავ შესახედავად ყველაზე დიდი ქვის ზომებს: დასავლეთ კედელში, კარიდან ჩრდილოეთისაკენ, ქვა სიმაღლით 2 არშინი და 9 1/2 გოჯია, სიგრძე – 1 საუენი, 1 არშინი და 4 გოჯი, სხვა ქვები უფრო პატარებია, მაგრამ მაინც საკმაოდ დიდები, უზარმაზარები. მათი სისქე 7 გოჯი და მეტიც არის.

გვემა – გარედან ოთხკუთხედი, მაგრამ ეკლესია სახურავის ხარჯზე ჯვრისებურია: ოთხი ფრთა, მათ შორის საკურთხეველის ნახევარწრეც, თითოეული მაღალი ორდაქანებიანი სახურავით, თავის დროზე ჯვარს ქმნიდნენ. აღმოსავლეთ და დასავლეთ ფრთებს ეკვროდა დაბალსახურავიანი ეკვდრები, რომლებიც ავსებდნენ ფრთების კუთხეებს. სამხრეთის მხრიდან ეკლესიას, რომელსაც ახლა არტანუჯელები, სომეხი კათოლიკები მონასტერს უწოდებენ (**վանք**), მიშენებული იყო რაღაც ოთახები. კარიდან აღმოსავლეთით, როგორც ჩანს, სამლოცველოა, საკმაოდ ვრცელი: სიგრძე 13 ნაბიჯი, სიგანე – 6 ნაბიჯი შიგნით. თუმცა დასავლეთ ეკვდრებიდან დარჩა მხოლოდ კედლების ნაწილები, რომლებიც გამოყოფდა მათ მთავარ დასავლეთი ფრთისაგან. ეს ნაწილები დასავლეთ კედელთან შეერთების ხაზთანაა ერთიორი ქვის მანძილზე, მაგრამ შიგნით დასავლეთი ეკვდრები, როგორც ჩანს, რაღაც გზით უერთდებოდნენ ტაძარს. ნებისმიერ შემთხვევაში, აღმოსავლეთი კედლის კვალი არ არის არც სამხრეთ, არც ჩრდილოეთ ეკვდერთან. გარდა ამისა, კედლის ნარჩენი, რომელიც გამოყოფდა სამხრეთ ეკვდერს ტაძრისაგან, ქვემოთ შებათქაშებული და თეთრად შეღებულია, როგორც ჩანს, აქ კარი იყო. მთავარი კი ისაა, რომ გარდა დასავლეთი კარისა (სიმაღლე 1 საუენი და 6 1/2 გოჯი, სიგანე 2 არშინი და 5 1/4 გოჯი), არის სამხრეთი (სი-

მაღლე 1 საუენი და 1 1/2 გოჯი (არაა გაწმენდილი), სიგანე – 2 1/2 არშინი), რომელსაც მომსვლელი შეჰყავდა უპირველესად სამხრეთ-დასავლეთ ეკვდერში. სამხრეთ კედელში შიგნიდან, არსებული სამხრეთი კარის აღმოსავლეთით, როგორც ჩანს, ფანჯრის ქვეშ, დაბლა შეინიშნება ამოშენებული ნახევრადმრგვალი განი, შესაძლებელია თავდაპირველი კარისა. ფანჯრები ახლა შეინიშნება: აღმოსავლეთით, შესაძლოა ორი, ერთიმეორეზე; დასავლეთი ფანჯარა – აღმოსავლეთი ზედა ფანჯრის დონეზე და ორი გვერდითი; სამხრეთი გვერდითი უფრო ახლოს იყო ეკვდერთან, ის სამხრეთი კარის უფრო აღმოსავლეთითაა დატანებული, რომელიც (კარი) უფრო ახლოსაა დასავლეთ კედელთან. აღმოსავლეთ ეკვდრებში თითო ფანჯარაა. საკურთხეველის ნახევარწრეში მარცხნივ დიდი ნიშაა (სიმაღლე 2 არშინამდე, სიგანე – 1 1/4 არშინი, სიღრმე 1 არშინი). მისგან მარჯვნივ ნიშის კვალს ვერ ვხედავ. ეკვდრები ტაძარში დასავლეთი კარებით გამოდიოდნენ. ისინი კამაროვანია, მაგრამ აღმოსავლეთი კედლები ბრტყელია (საკურთხეველის ნახევარწრე არ არის). ფანჯრების ზედა ნაწილები ნახევრად მრგვალია, კარებისაც, მაგრამ მათში ეს ზედა ნაწილები დახურულია მთლიანი ნახევრადმრგვალი ქვებით წარწერების გარეშე. სამხრეთ კარზე გარედან მცირე მოხატული ჯვარია, ამოკვეთილი სწორედ ასეთივე ქვაზე. ჯვარი ჩასმულია უზარმაზარ ნალში, რომელიც მოთავსებულია იმავე ქვაზე; დასავლეთ კარის თავზე, ასეთივე, მაგრამ ზომით უფრო დიდ ქვაზე არის გიორგის ტოლგვერდა ჯვარი.

ქვედა სიმაგრესთან, ან თვით ქალაქთან, ორი ჭიშკარია, მთავარი, მოდილო, მუსულმანური (არაბული? – რედ.) წარწერით. ისინი პირდაპირ აღმოსავლეთისკენაა მიმართული. სიმაღლე: მარჯვნიდან 12 რიგი ქვის წყობა, 10 – მარცხნიდან (შემომსვლელისათვის), გარდა საშუალო ზომის არცთუ მაღალი ქვის ნახევრადმრგვალი ზედა ნაწილისა (ხუთი-ექვსი ნაბიჯის სიფართის). გვერდებიდან, გარედან და შიგნიდან, კედლებში ჩაშენებულია მოხატული ქვები, სრულიად შესაძლებელია, ეკლესიიდან. ჭიშკრიდან გზა მიდის დუქნების ორ



რიგს შორის. აქ ადრე ქარვასლა იყო, ახლა დამწვარია. დუქნებს შორის არის ისეთები, რომლებიც შეწყობილია ძველი, ან, ნებისმიერ შემთხვევაში, ძველი ყაიდის ნაგებობების ნარჩენებს. მე შევიხედე სამკერვალოში, რომელსაც ჰქონდა კამაროვანი ძველი ყაიდის აგურის ჭერი და ფასადზე ძველი კამარა.

პატარა ქვა (წინა მხარე 3 1/4 გოჯი×1 3/4 გოჯზე) ოთხსტრიქონიანი სომხური წარწერით აღმოჩენილი იყო არტანუჯში (სურ. 32.).

ასოები არეულია: ხან მთავრული ასოა, ხან ნუსხური, მთლიანობაში წარწერისათვის პატარებია. ისინი კარგად არ ირკვევა. და მე გადავიღე წარწერა (სურ. 32). შეიძლება მხოლოდ ცალკეული სიტყვების ნაწილების წაკითხვა.

**იაჟ [//]**

**მწნ ა [//]**

**თააღყაათას ჯაჟ [//]**

**ქჰსაყაყ ს დაძნს [//]**

**აგ ენჟ ანთაჟ [რ//]**

მეორე ჭიშკარი, უფრო ჩრდილოეთით ხუთი წუთის ფეხით სავალზე, დანგრევის პირასაა. იგი არის დასახლების მიყრუებულ კუთხეში, მიმართულია სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, კამარა, არცთუ მაღალი, ნახევარწრის ფორმისაა. სიგანე ოთხი-ხუთი ნაბიჯია. მე შემიძლია ხელით შევეხო პირდაპირ მხარეების ზედა ნაწილებს. აქედან მიმავალი ქუჩა მიემართება აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ, ებჯინება რა წერტილს ზუსტად სამხრეთ-დასავლეთსა და დასავლეთს შორის და აღწევს ადგილს მეჩეთიდან რამდენადმე ჩრდილოეთით. ამ კედელსა და ჭიშკრებს იქით, ქალაქის ფარგლებს გარეთ, მდ. არტანუჯს ზემოთ, კიდემდე, არის საკმაოდ დიდი მოედანი. ახლა აქ სასაფლაოა.

უზარმაზარი კედლებიდან, რომლებზეც მორგებულია ეკლესიის ნანგრევებიდან მომავალი კედელი, კედლებიდან, რომელიც არის ქალაქის აღმოსავლეთ კუთხეში, კვლავ მოი-

წევს კედელი: და ასე შემდეგ დასავლეთისაკენ მოსახვევამდე ქალაქთან შეერთებამდე.

დამრეც ზეგანს, რომელზეც გაშენებულია ქალაქი, ახლა დასახლება არტანუჯი, სამხრეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ ეკერის ტანძოთის წყლები, რომელიც არტანუჯს (არდანუხს) ერთვის, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან, აღმოსავლეთიდან, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან, ჩრდილოეთიდან და, ნაწილობრივ, ჩრდილო-დასავლეთიდანაც კი – არტანუჯ-ჩაის წყლები.

სოფელ კლარჯეთში მიმავალ გზაზე, მარცხნივ, არის მავზოლეუმის ნანგრევები: მოშლილი ღობე ორი საფლავით. მუსულმანებს მიაჩნიათ, რომ ეს მათი სალოცავია.

ამასწინათ შეეცადნენ, ღამით გაეთხარათ საფლავი, რაიმეს მოხელთების მიზნით. დამნაშავე დანაშაულის ადგილზე დაიჭირეს და მისი საქმე ახლა სასამართლოშია.

მეუბნებიდნენ, რომ ერთ სომეხ ან ბატონ შიმშირიანთან ინახება ზედა სიმაგრეიდან ორი ქვა: ერთი რაღაც წარწერით, მეორე კი ცხოველის – ცხენისა თუ აქლემის გამოსახულებით. მე პირადად ვკითხე ბატონ შიმშირიანს, დარბაისელ მოხუცს, მაგრამ მან განაცხადა, რომ ამგვარი არაფერი იცის. შემდეგ მან ორნამენტის ნატეხი მოიტანა, შეიძლება ეკლესიის სვეტის თავის: ნახატი ხვეულისა (ერთი ნახევარი). მაგრამ ნივთების მოძებნა არ მოხერხდა.

მკრტი კიურკჩიანთან აღმოჩნდა საკმაოდ ძველი ხელნაწერი პერგამენტისმაგვარ გასანთლულ სქელ ქალაღლზე. როცა მე ის მომიტანეს რისტაკიანცის სახლში, ქალბატონმა რისტაკიანცმა სომხურად თქვა, ეს მათი ბაბუას საერთო მემკვიდრეობიდან არის, რომ ეს ჩავარდა მათი ნათესავის ხელში, ამასთან ნათესავის აღსანიშნავად მან გამოიყენა ქართული სიტყვა „განაყოფი“, „წ“ -ს ბრწყინვალედ წარმოთქმით.

Pn - 4° (5 3/8 გოჯი×3 5/8 გოჯზე) მრგლოვანი ხელით და საშუალო დონის გაფორმებით. მწერალი ზაქარია. ორიგინალი, რომლიდანაც ზაქარია იწერდა, მღვდელ სარგისას

ეკუთვნოდა. ხელნაწერი, როგორც ჩანს, არა უგვიანეს XIV საუკუნისა არის.

შინაარსი: პავლეს ეპისტოლეები მინდვრებზე ციტატების მითითებით და რაღაც შენიშვნებით. ტექსტს წინ უსწრებს: 1. წინასიტყვაობა (სათაური: **Յատաշարանն Պապուսի ստաքելո նախասկարգեսլ ի գլուխ գրոցս.** დასაწყისი: **[Ընդ ուսմնասերսն ընդ փոյթ քոյ սիրոյդ զարմացեսլ ո՞ Հայր պատուականսկնածութեանն և Հասնութեան անսացեսլ ընդ նեղ և ընդ նուրբ ծերպս պատմութեան գանձն ի ներքս արկի գատաշարան Պապուսի մատեննիս գրեսլ...]**) და 2. სია ციტატებისა პავლეს ეპისტოლეებიდან. დასაწყისსა და დასასრულში ყდაში მოხვდა პერგამენტის ორ-ორი ფურცელი სირიული ტექსტით. საკუთრივ ეს არის ორი ფურცელი, თითოეული ორად გაკეცილი. ფურცლებზე ტექსტი დაწერილია მსხვილი ესტრანგელთი ორ სვეტად. დასაწყისში ფურცლები ჭიების შემოჭმულია, მაგრამ დარჩენილი ნაწილი საუცხოოდ იკითხება. აქ წითელი ხაზით დაწერილია:

**ԱԽՈՒՆ ԿՈՒՅՆՆԻՍ ԿԵՆՈՒՄ**

ეს დილის საკითხავია მათეს სახარებიდან. ფურცლებზე ხელნაწერის ბოლოში საკითხავი იოანეს სახარებიდან.

**ԱՄԵՆ ԿՈՒՅՆՆԻՍ ԿԵՆՈՒՄ** (დასაწყისი: **ՀԱՄԱ ԿՈՒՅՆՆԻՍ ԿԵՆՈՒՄ**  
**ՎԵՐՈՒՄ ԴԵՄ ԵՍԵՆԻ).**

არტანუჯი სამი მხრიდან ბუნებრივად მიუდგომელია: მდინარე არტანუჯი თავისი ღრმა ხევით ჩრდილო-აღმოსავლეთ და ჩრდილოეთიდან სრულად გამოყოფდა ძველ ქალაქს. ამ ბუნებრივ თავდაცვით ხაზს უერთდება მაღალი, ციცაბო კლდე, რომელიც გრძელდება ჩრდილო-დასავლეთიდან ჩრდილოეთისაკენ ჯოჯოხეთის ხევით (ჯეჰენამ დერესი), რომელიც ქალაქს ამ კლდიდანაც გამოყოფდა. იგივე ხევი აგრძელებს დაცვას ღია კუთხისა დასავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ წერტილებს შორის. დასავლეთიდან სამხრეთ-და-

სავლეთამდე ხაზზე, თვით ქალაქის მოედნის კიდეზე, აზიდულია უზარმაზარი კლდე, რომლის დამრეც ძირთან იწყება სწორედ ამფითეატრისებურად განლაგებული სახლები.

ადგილი ძალზე დამრეცია დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, ან სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ, დამრეცია მთელი მოედნის 2/3; ამ დახრილობის შემხვედრად აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მოედანი ეშვება შედარებით ნაკლებდამრეცი ფერდობით.

ამჟამად მეორე ფერდობის მოსწორებულ ადგილზე აშენებულია მეჩეთი კრამიტის სახურავითა და ხის მინარეთით. მეჩეთი აგებულია ადგილ-ადგილ საკმაოდ მაღალი ძველი ეკლესიის ქვის წყობაზე; ამ ნაგებობის კედელში, ჯერ კიდევ მეჩეთის განახლებამდე, გაეჩხირა კიდევ გვერდულად დაყენებული ქვა ქართული წარწერის ნაწყვეტით. ჩრდილოეთიდან მეჩეთზე მიშენებულია ხის ნაწილები აივნით, დასავლეთიდან კედლის ჩრდილო ნახევარს ეკვრის აკლდამები ისეთი ნახევრადსფეროსებური გუმბათებით, რომლის მსგავსიც აღმოსავლურ აბანოებშია. დასავლეთიდან, გზის გადაღმა, შადრევანია. შადრევნები, უფრო სწორად, გადახურული აუზები, არტანუჯში რამდენიმეა, მაგრამ სხვები უფრო პატარებია. თუმცა ამ ცენტრალურ შადრევანში ზაფხულობით წყალი უფრო თბილია, ვიდრე იმათში, უფრო ზემოთ რომაა განლაგებული. წყალი შორიდანაა გამოყვანილი.

**6 აგვისტო, პარასკევი.** დილის 7 საათზე გავემგზავრეთ ენი-რაბათში, ანუ როგორც მოკლედ უწოდებენ – რაბათში. 10 3/4 საათზე მივედით ეკლესიასთან.

გზა, იმერხევის გზებთან შედარებით, ბრწყინვალეა, ადგილ-ადგილ გზატკეცილი, მეტწილად აღმართი, ხშირად ფართე, მეზაფრობა შესაძლებელია. მარცხნივ ჩვენ დავტოვეთ სოფლები **სხუ** და **უნუსხევი**.

გავიარეთ **ხარაული**; ეს სოფელი მარჯვნივაა გაშენებული და ჩრდილო-დასავლეთით გამოჩნდა მთა საფლავით, ზიარეთი, ანუ სალოცავი ადგილი. მარცხნივ შემდგომ სოფელი **ხავთია**. ხევს იქით – **ვიწროთი**, ფერდობზე იმ მხრიდან ქა-

ლაქის ნანგრევებია, უწოდებენ აბანოს ნანგრევებს, ქვემოთ, არტანუჯისაკენ – ანკლია.

უფრო შორს სოფლები **ჭირქიზი (Ճիրքիզ)** და **ღიაქარმუჯი**, მდინარე არტანუჯის მარცხენა ნაპირზე. შემდეგ გვიხდება მარცხნივ შეხვევა, რადგან გზას გვიღობავს **შუათის ხევი** მდინარით, რომელიც მდ. არტანუჯს ერთვის. ამ ხევის მარჯვენა მხარეს სოფლებია, ქვემოთ – **შუათი**, ზემოთ – **შავეგულარი**. მარცხენა მხარეს ჯერ არის **ახალში**, ზევით, უფრო მაღლა – **ხერთვისი**, ანუ, როგორც აქ ზოგიერთები წარმოთქვამენ, **ხერთუსი**. არის პატარა სოფელი **ნაშუხნი**. რაც შეეხება ხუთვერსიანი რუკის **შატოლდაღ**ს, ის აქ არ იცინა და ფიქრობენ, ეს არის **სარბალოთ**ის დამახინჯება, რომელიც რუკაზე არ არის.

გავიარეთ **მეწაგილიც**; გავიარეთ და ქვემოთ დავტოვეთ სიმაგრის, ან ციხე-სიმაგრის ნანგრევები. სიმაგრე კი არა, ჭიშკარი იყო ენი-რაბათის დასაცავად სოფლის მეორე მხრიდანაც უფრო ზემოთ; შემონახულია მისი ნანგრევები. მამა გრიგორიმ გვაცნობა, რომ მას ახსოვს, როდესაც ჭიშკარს თალი ჰქონდა.

ეკლესია ამჟამად სომეხ გრიგორიანელთა, სოფლის ერთადერთ მცხოვრებთა, ხელშია. სულ 25 სახლია. შენობა ხელუხლებელია, არავითარი გადაკეთება ან მინაშენი, შენარჩუნებულია საკმაოდ კარგად, სრულიად ხელუხლებელი გუმბათით (სურ. 33). ახალია მხოლოდ სომხური წარწერები, ერთი დასავლეთი ფრთის ფასადზე (**Քի ծառայ Յոհաննես**), მეორე – სამხრეთი ფრთის ფასადზე.

ეკლესია ჯვრისებურია.

კედელი გარედან მოსაპირკეთებელი ქვებითაა, რომლებიც ნაცრისფერია და იფშენება. ქვები მსხვილი არ არის, ხანდახან საშუალო ზომებზე ნაკლები, თავის დროზე სუფთად გათლილი და ერთმანეთთან კარგად მორგებული. მაგრამ ქვედა რიგებში არის მსხვილი, ხანდახან საკმაოდ მსხვილი ქვები (მაგალითად, სიგრძე 1 არშინი და 12 გოჯი,

სიმაღლე 13 1/2 გოჯი), მაგრამ ახლა მათ შორის ღრიტოს პირი დაუღია, რადგან ნაწილობრივ ქვების კიდეები ჩამოფშენილა, ნაწილიც წვიმას ჩამოურეცხავს. ქვის წყობიდან გამოშვერილ სვეტებს შორის კედლები უხეშადაა დაყორილი ცუდად დამუშავებული, სხვადასხვა შემთხვევითი ფორმის ქვებით, რადგან ეკლესია შიგნიდან მთლიანად იყო შებათქაშებული და შეღებილი, დაწყებული ყელის კედლებითა და გუმბათით. მოხატულობის კვალი ადგილ-ადგილ დღემდეა შენარჩუნებული; ასე, სამხრეთი კედლის წვეთი ფანჯარაზე ნათლად ჩანს რიგში სამი წმინდანის ან ანგელოზის შარავანდედი.

აღმოსავლეთ და გვერდით ფრთებს შორის თავისუფალ სივრცეში ჩაშენებულია ეკვდრები. ყოველ ეკვდერში საკურთხევლის ნახევარწრეა ნახევარგუმბათით. ისინი დაფარულია შესაბამის მხარეზე მთავარი ფრთების გადახურვის ქვემოთ წყობის ორი-სამი რიგით. გვერდითი ფრთების აღმოსავლეთ კედლებზე დარჩა ირიბი საზით ჩაღრმავებები, რომლებშიც შედიოდა ეკვდრების სახურავების ფილები. ყოველ ეკვდერში აღმოსავლეთიდან არის პატარა, მოგრძო, შიგნით გაფართოებული ფანჯარა მომრგვალებული ზედა ნაწილით (პირდაპირი მხარის სიმაღლე 13 1/2 გოჯია, სიფართე – 3 1/2 გოჯი, მომრგვალების სიმაღლე – 1 გოჯი) და ყალბი ნიშა კიდევ ჩრდილოეთიდან ჩრდილოეთ ეკვდერზე და სამხრეთიდან – სამხრეთზე. ყოველ ნიშას ზემო ნაწილში აქვს თამასა, რომელიც სხივებს აბნევს<sup>1</sup>.

მთავარი ფრთები, თითოეული ორფერდა, ჩვეულებრივი აგურის სისქის პატარა ქვის ფილების სახურავით. დაქანებების შეერთების დონეზე, რომლებიც კუთხეებს ქმნიან, იწყება ქვის სამი წყობის სიმაღლის მრგვალი ყელი, მესამე რიგზე – სარტყელი, თითქოს ზემოდან დადებული, რომელიც

<sup>1</sup> ჩრდილოეთი ნიშის თამასაზე ეს გამოკვეთილი ორნამენტი უკვე გამჭრალა.

ქვის წყობიდან სამ მხარედ გამოდის. სარტყლის პირის მხარეს სიღრმეში ასობისა თუ ორნამენტების ნარჩენებია.

სარტყელზე გრძელდება ყელი, მაგრამ შესახედავად უკვე მრავალწახნაგოვანი, ოთხი ფანჯრით ოთხ მთავარ მხარეზე, მათ შორის ყოველ შუალედში სამი ყალბი ნიშით. ნიშების შუალედებში თუ არა აღნიშნული ფანჯრები, მაშინ ყრუ შუაკედლები. როგორც ფანჯრებს ზემოთ, ასევე ნიშებსა და შუაკედლების თავზე კედელში გამოყვანილია მრგვალი კამარები, რომელთაგან თითოეული ეყრდნობა ყალბ ნახევარსვეტს: კამარების შეერთების ხაზებთან ამ გზით იქმნება წყვილი ნახევარსვეტი, ყოველ მათგანს აქვს ნახევარბურთულა, როგორც კაპიტელი, ყოველ წყვილ ნახევარბურთულაზე არის თითო ბალიში, რომელზეც ეყრდნობა კიდევ მეზობელი ნახევარკამარების ორი ბოლო. ამ კამარებზე მხოლოდ ერთი რიგი ქვის წყობაა, რითაც მთავრდება კიდევ ყელი. ზემოთ კარნიზია შიგნით დაფერდებით, სამი რიგი შვერილი შექმნილი ნახევრადმრგვალი არშიით, ზედაზე ერთ ადგილას გამოირჩევა მცენარეული ორნამენტის ნარჩენები.

გუმბათის სახურავი დაფარულია ძაბრისმაგვარად.

ფრთების მხარეებზე ყალბი თაღებია, დაყრდნობილი არა ყალბ ნახევარსვეტებზე, არამედ ბოძებზე, რომლებიც სამი მხრით გამოდიან ქვის წყობიდან. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს იმიტირებულია ხის ნაგებობა: ჩასობილია ბოძები, შუალედები კი ფიცრებითაა გაწყობილი, მოცემულ შემთხვევაში, ქვის ფილებით.

აღმოსავლეთი ფრთის ფასადზე ერთი ასეთი კამარა დიდი ფანჯრით შუა კედელში, ამ კამარის გვერდებიდან თითო ნიშაა ღია ნახევრადძაბრისებური გვირგვინით, უორნამენტოდ.

სამხრეთი ფრთის ფასადზე სამი ასეთი კამარაა მოტეხილი ან ჩამოვარდნილი ზედა ნაწილებით. მათ ზემოთ ორი დიდი ფანჯარაა, თითოეული მათგანი ჩასმულია მოხატულ, წნულიან ჩარჩოში. ორივე ფანჯრის ზედა ნაწილებს შემოს-

ვეულია უზარმაზარი ნალი ჩამოცვნილი ორნამენტით. ნალის ზემოთ კიდევ 3 რიგი ქვის წყობაა.

სამხრეთი ფრთის დასავლეთ მხარეზე ორი ბოძია, ერთი ზედ კედესთან, აღწერილი სახით, მაგრამ არ ჩანს, თავდება თუ არა ისინი კამარებით. ქვები აქ გამოვარდნილია. დასავლეთი ფრთის ფასადი, ჩანს, მოპირკეთებულია სხვა, მოწითალო ქვით. ქვის ფერი მზის სხივების დამსახურებაა, რომელიც ამ მხრიდან დაბრკოლების გარეშე ათბობს. ამ მხარეზე ხუთი აღწერილი კამარაა გამოსული სვეტებით. შემორჩენილია ორი ბოძის სუსტად ორნამენტირებული კაპიტელები.

შუა კამარის შუა კედელში არის კარი, რომელიც ახლა თითქმის მთლიანადაა დაფარული ნაყარით. მოჩანს მხოლოდ კარის ნახევრადმრგვალი კამარის ორი-სამი ზედა ქვა.

ყალბი კამარების ზემოთ, ქვების წყობის სამ რიგში, დიდი მოგრძო ფანჯარაა, მოთავსებული დაწნული ნახატის ჩარჩოში.

ნიშებიანი ფანჯრის ჩარჩოს ზემოთ, ფანჯრის პირდაპირი მხარეების ზედა ნაწილების დონეზე, დიდი ნალია გეომეტრიული ნახატით (კონცენტრირებულ წრეთა რიგი, მათ ქვემოთ შუალედებში პირობითი ნაძვის გირჩებით). ნალს ზემოთ ქვის წყობის სამი რიგია.

დასავლეთი ფრთის სამხრეთ მხარეზე ოთხი ასეთივე კამარაა სვეტებით, რომელთაგან ორი განაპირა (დასავლეთისაკენ) უფრო ფართეა. კიდიდან მეორეში ახლა კარია, სომხების გამოჭრილი. დასავლეთი ფრთის ჩრდილოეთ მხარეზე ოთხი ასეთივე სვეტებიანი კამარიდან ორი განაპირა სრულიად შემოძარცვულია, სხვა ორისაგან კი მხოლოდ კამარები დარჩა: ქვედა ნაწილები ასევე შემოძარცვულია.

სამხრეთი ფრთის ფასადზე 5 სვეტებიანი კამარაა, ამასთან, შუას სვეტი არ აქვს და არც ჰქონდა. ამ სიმაღლეზე იწყებოდა ჩარჩოში ჩასმული დიდი მოგრძო ფანჯარა. ჩარჩოს ორნამენტი მარტივია, წყვილი სუსტად გამოსული ხეივანი ნახევარსვეტები. ამ კედლის მთელი ქვედა ნაწილი და აღმოსავლეთი ნახევარი მოსაპირკეთებელი ქვების გარეშეა.

ამავე ფრთის დასავლეთ კედელზე ორი ასეთივე კამარაა სვეტებით, მაგრამ ისინი უფრო დაბლაა განლაგებული.

შიგნით: საკურთხევლის ნახევარწრეში ორი ოთხკუთხა ნიშაა, თითო-თითო მარცხნიდან და მარჯვნიდან. მაგრამ კამარები გამოყვანილია ისევე, როგორც გუმბათი ან ნახევარგუმბათი, შიგნიდან სუფთა თლილი ქვებით, არაფერი რომ ვთქვათ სვეტებზე. დასავლეთი ფრთის შუაში გაშვებულია სვეტი, რომელიც გამოდის კედლიდან ასეთივე კამარით. ეკლესიის შიგნით კამარები მომრგვალებული კი არა, თითქმის ისრისმაგვარია.

ენი-რაბათის ეკლესიის ზომები. შიგნით: სიგრძე საკურთხევლის ამღლებამდე 5 საუენი, 2 არშინი და 10 გოჯია; საკურთხევლის ნახევარწრის სიღრმე – 1 საუენი, 2 არშინი და 11 გოჯია; ტაძრის სიგანე (დასავლეთი ფრთის) – 2 საუენი, 1 არშინი და 13 1/2 გოჯია. გვერდითი ფრთები: სიგანე 2 საუენი, 1 არშინი და 11 გოჯი (ჩრდილოეთი: 2 საუენი, 1 არშინი და 10 გოჯი), სიღრმე – 1 საუენი და 8 გოჯია (ჩრდილოეთით: 1 საუენი და 6 გოჯი). დასავლეთი კარის სიფართოე 1 არშინი და 8 1/2 გოჯია, პირდაპირი მხარეების სიმაღლე – 2 არშინი და 8 1/2 გოჯი, მრგვალი კამარის სიმაღლე, თვალის შევლებით, 3/4 არშინია. კედლის სისქე 1 არშინი და 1 1/4 გოჯია.

სამხრეთ ეკვდერს სამხრეთიდან მიშენებული ჰქონდა მცირე სამლოცველო: სიგრძე, საკურთხევლის ნახევარწრით, 2 საუენი და 13 1/2 გოჯი, საკურთხევლის სიღრმე – 2 არშინი, 10 1/2 გოჯი, ტაძრის სიგანე – 1 საუენი, 2 არშინი და 4 1/2 გოჯი.

შემორჩენილია საკურთხევლის ნახევარწრის ქვედა ნაწილი 5-6 რიგი ქვის წყობით და სამხრეთი კედლის გაძარცვული მცირე ნაწილი. ეს სამლოცველო ერთნაირად იყო მოპირკეთებული როგორც გარედან, ისე შიგნიდან.

ამ ნაგებობის სამხრეთი კედელი გრძელდებოდა იქით, დასავლეთისაკენ. საერთოდ, სამხრეთიდან ეკლესიას ჰქონდა რაღაც გვიანდელი თაღოვანი მინაშენი. გარდა ფუნდამენ-

ტის საზისა, შემორჩა კედელი თაღის დასაწყისით ამ ნაგებობის სამხრეთ-დასავლეთ კუთხიდან. აქ, შიგნით, სუფთა მოპირკეთების ქვეშ, შემორჩა რაღაც ნიშის კვალი.

ამ ნაგებობის სამხრეთით ზედ მოედნის კიდეზე ასევე შეინიშნება ქვის წყობის ნარჩენები: ეს ეკლესიის ღობის ნანგრევებია.

სამხრეთი ფრთის დასავლეთ კედელს მიყრდნობილია: 1. მრგვალი ქვის ნატეხი ტოლგვერდა ჯვრით, რომელიც გარემოცულია მოხატული (წნული) წრეებით და ვარსკვლავებით (პირობითი ყვავილი) და 2. ორი ქვის ჯვარი. ერთი მოზრდილი, მთლიანი, მეორეს ქვედა ფრთა მოტეხილი აქვს, ეს ჯვრიანი ქვები კი არა, ქვის ჯვრებია: დიდი ჯვრის შუაში ამოზრცულად ამოჭრილია ჯვარი. მოხაზული ქვები და ორნამენტები, ფრაგმენტები ჩადგმულია ეკლესიის სხვადასხვა შემთხვევით ადგილებში. ასე, ნაწილი მრგვალი ქვისა, რომელიც მიყუდებულია სამხრეთი ფრთის დასავლეთ კედელზე, მდებარეობს დასავლეთი ფრთის სამხრეთი კედლის ქვის წყობის VII-VIII რიგში, იქ, სადაც უნდა იყოს ყალბი კამარის მომრგვალება. გარდა ამისა, საუკეთესო ქვები, ამბობენ, თურქებმა წაიღეს და გამოიყენეს ლანგოთხევის მეჩეთის მშენებლობაზე. ენი-რაბათელის სიტყვებით, აქაური ქვები გამოყენებულია ლანგოთხევის კერძო სახლების მშენებლობაზეც. ჯერჯერობით შემიძლია შევნიშნო, რომ თვით ენი-რაბათში ეკლესიის გვერდით მდებარე სახლის (მისგან სამხრეთ-დასავლეთით) ქვედა სართული ამოყვანილია ამავე ქვებით.

ახლადგამოჭრილი კარის შესავალთან მარცხნივ მდგარი სვეტის მაღალ ქვაზე იყო საეკლესიო ნუსხური დამწერლობით შესრულებული წარწერა, რომლისაგან მხოლოდ პირველი ორი სტრიქონი იკითხება:

ese ekl

esia

ესე ეკლესია

როგორც ჩანს, იმავე ქვაზე იყო გაგრძელება, მაგრამ ის ასეთ შემთხვევაში ჩამოფხეკილია<sup>1</sup>. იქვე ამოკვეთილია ახალსომხური სიტყვა **ՄԲ** წმიდა. აღმოსავლეთიდან მეზობელი კამარის შუა კედელში ერთ ქვაზე, წყობის მესამე რიგში იკითხება საეკლესიო, ნუსხურით თუ მთავრული დამწერლობით **vin**. ორ შემდეგ ქვაზე (რიგში მარჯვნივ) შეიძლება მხოლოდ გაარკვიო **e** თითოეულზე და **v** მესამეზე.

3 საათზე ენი-რაბათიდან ტანძოთში გავემგზავრეთ ლანგოთხევის გავლით. გვსურდა, შეგვემოწმებინა ცნობა იმის შესახებ, რომ ენი-რაბათის ეკლესიის ქვები ლანგოთხეველმა მუსულმანებმა მიიტაცეს თავიანთი მეჩეთისა და კერძო სახლებისათვის.

ოციოდე წუთის შემდეგ ჩვენ **ლანგოთხევეში** ვიყავით. სოფლის გავლისას სახლებზე არ შემინიშნავს ეკლესიის ქვები არც წარწერებიანი, არც უწარწერო, თუმცა ქვედა სართულები აქ ქვისგანაა აშენებული. მეჩეთში, როგორც ადგილობრივი მამასახლისი და მუსულმანები მარწმუნებდნენ, არც ერთი ქვა არ არის ენი-რაბათიდან. მე ვერაფერს შევამჩნევდი, რადგან მეჩეთის კედლები შებათქამებულია.

3 3/4 საათზე ჩვენ **არნაულს** გავდიოდით უკვე მდ. არტანუჯის მარცხენა ნაპირზე. 4 საათსა და 20 წუთზე გავიარეთ **უწოთი** (და არა **უსოთი**). 5 საათსა და 20 წუთზე მივალწიეთ უღელტეხილს, საძოვრებს, ტანძოთისკენ ჩასასვლელის თავზე. ფეხით 25 წუთი ვეშვებოდით და ჩამოსვლიდან ოც წუთში, გავიარეთ რა ტანძოთის „მეზრე“, ვიყავით ტანძოთში.

<sup>1</sup> მდგომარეობა გრიგორი ტერ-ესაიანცმა ტანძოთში გვაცნობა, რომ ქვა ქართული წარწერით შემთხვევით მოხვდა მის ახლანდელ ადგილზე. ორმოციოდე წლის წინ სომხური ეკლესიის განახლებისას; შესაძლებელია, ეს ასეც არის. სხვა ქვები წარწერების ნარჩენებით ასევე მიაჩნებენ, რომ ისინი გადაადგილებული არიან, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში ყველა ენი-რაბათში იყო და ადგილობრივი ეკლესიის ნაწილს შეადგენდა. მოხუცმა მამა გალუსტმა კიდევ მიაჩნა, რომ დასავლეთიდან არის მიწისქვეშა შესავალი ეკლესიის ქვედა სართულში, მაგრამ ახლა ის ამოვსებულია.

მე მქონდა ცნობა, რომ ახალგაზრდა ადგილობრივი მდგომარეობა გრიგორ ტერ-ესაიანცს აქვს ძველი პერგამენტის ხელნაწერი, სოფელში კი ეკლესიაზე არის წარწერები.

მამა გრიგორის ხელნაწერი მართლაც პერგამენტისა აღმოჩნდა (3 გოჯი × 2 1/8 გოჯზე), ნაწერი ორ სვეტად, მრგლოვანი დამწერლობით, მაგრამ არცთუ ისე ძველი: არა უადრეს XV-XVI საუკუნისა. სუსტადაა ილუსტრირებული (არის სახარების ავტორთა გამოსახულებები). იოანეს სახარების ბოლოს საგანგებოდ მიწერილია ტექსტი ხელწერით: **իրք կնոն շնացելոյ**. არის უფრო გვიანდელი მინაწერები: 1. 1060 წ. (1611 წ. ქრისტეს შობიდან) შეიძინა ეს სახარება ვილაც ნეკი გულადმა (**Գուլագ**) 5000 „დეკანად (**է. ղ. դէկան**); 2. 1067 წ. (1618 წ.). ხელნაწერი ყდაში ჩასვა ბერმონაზონმა ლაზარემ (**սէր Ղազար կրօնասոր**), 3. ქართული მინაწერი, შესაძლოა ადრე დაწერილი ხელნაწერისთვის გამოყენებულ პერგამენტის ფურცელზე, შეიდხაზიანი, დასაწყისი საგალობლისა „წმიდათა იბაკაი“ (**սրաչոյ**) (**Օձ՞ջ ք՞տ՞ժ**). 4. ისევ სომხური მინაწერი მონასტერში მცირე შემოწირულეებზე, იმის მითითების გარეშე, თუ რა და როდის.

ყდაში ორივე მხრიდან ჩაკერებულია პერგამენტის ფურცლები ინიციალებიანი ტექსტით: 1. დასაწყისში ორად გაკეცილ პერგამენტის ფურცლის ნაჭერზე ნაწყვეტი წირვიდან. შერეული მთავრული და ნუსხური დამწერლობით მითითებულია კითხვანი და მოყვანილია წინასწარმეტყველ ეზეკიელის საკითხავი: **Այսպէս ասէ ադոլփնացի տ՛ր սառ քաչանայս զժողովուրդ իմ ուսուցանեն են**, 2. ბოლოში პერგამენტის ფურცელი ყდაზე ლურსმნებითაა მიჭედებული. მის ხილულ მხარეზე იკითხება პირველი სტრიქონები:

**գարեցուք (sic) յանցաւորս Հարկ  
անկելոյ ի ստուերս [/] ից եր  
ագս և ի ծուխ. զի բագումս: (sic)  
կէանք են որ յանդայուրեան (sic)**

**ენ. քանզի առաջին տի. քն մեր  
լի են բազում անსտուժամբ  
ს ზ ბერიძის ლიტონ სს.**

იმავე მღვდელს აქვს კიდევ ორი ქაღალდზე შესრულებული სომხური ხელნაწერი, ერთი საეკლესიო საგალობლები (Շարասկան), მეორე – ფსალმუნები.

**7 აგვისტო, შაბათი.** სომხურ ეკლესიაზე წარწერები არ არის. ის აშენებულია 1843 წელს და ამჟამად განახლების პროცესშია (ფანჯრებს ჭრიან). შესასვლელ კართან მიუყდებულია სამი დიდი ქვის ჯვარი. ისინი ჩამოტანილია **გულიჯიდან** (ან გიულიჯიდან), თურქული სოფლიდან. მღვდლის მამამ, თვითონაც მღვდელმა, რომელიც, მისი სიტყვებით, 86 წლისაა, გვითხრა, რომ მას გულიჯში ახალგაზრდობისას უნახავს კიდევ ერთი ასეთი ქვის ჯვარი, ქრისტეს ჯვარცმის გამოსახულებით, მაგრამ როდესაც მან მოინდომა ქვის ტანძოთში გადმოტანა, ქვა ვეღარ ნახეს.

ტანძოთში 200-მდე თურქის სახლია და 115 – სომხის, მათ შორის 6 – კათოლიკეს. ქართული წარწერები (ან წარწერების ნაწყვეტები საეკლესიო დამწერლობით) აღმოჩნდა ადგილობრივი მეჩეთის შენობაში:

1. ქვა მომწვანო, სიგრძე 1 არშინი და 11 3/4 გოჯი, სიმაღლე – 13 გოჯი. ჩადგმულია მეჩეთის აღმოსავლეთ კედელში პირდაპირ ფანჯრის ქვეშ. წარწერა ექვსსახიანია (სურ. 34):

ქართულწარწერიანი ქვა ტანძოთის მეჩეთიდან:

**ქ. აღეშენა: წ~: ესე: ეკლესია: სახელსა: ზ~:**  
**წ~ისა ქ~წლისა: ქ~ეს: მოწამისა: მარინა~ისა: ქ~რო-**  
**ნიკონსა: ფ~: ლ~ა: რ~ა: მხ~ბითა: მისითა: მოგ~ცეს: მტ~ვბა:**  
**ცღვათ~: რ~: ა~ქს: კადნირ~ბა : ქ~ს: მოწმ~ეს: მარინა: შე-**  
**5. იწრ~ე: მცირე: ესე: სამს~ხრი: კალმ~ხელისა: საიმდავლის**  
**[გ~ნ და]**

**6. თამარისგ~ნ და: შეილთა: მ~თთა: გ~ი: და ი~ე: და:**  
**სუმბ~ტის გ~ნ:**

5 **საიმ]** მეექვსეა **ს, აი** კი წვრილად ჩაწერილია **ს და მ~**  
**შორის. გ~ნ და]** სრულიად ჩამოფხეკილია.

6. **[თამარის გ~ნ] გ, resp. შ** დამრგვალება მარცხნიდან ისეთია, როგორც აქვს სომხურ დაწეებით **ღ**.

„ქ(რისტე)! ეს წმიდა ეკლესია აშენდა ქრისტესთვის წმიდა მოწამე ქალწულის მარინას სახელზე ქრინიკონის 531 წელს<sup>1</sup>, რომ მისი შუამდგომლობით მოგვეტეოს ცოდვები, რამეთუ წამებულს აქვს გაბედულება. მარინა, შეიწირე ეს მცირე სამსახური კალმახელისაგან, საიმდავლისა და თამარისაგან და მათ შეილთაგან: გიორგის, იოანესა და სუმბატისაგან!“

მეორე წარწერა ასეთივე, მაგრამ უფრო მცირე ზომის ქვაზე (სიგრძე 9 გოჯი, სიმაღლე 9 1/8 გოჯი). სულ 5 მოკლე სტრიქონი, აკლია დასაწყისი ზემოდან (იხ. სურ. 35):

**[//] ლ~სა: ბ გლ**

**[/არდგელას მ-**

**ისა: შ~ნ: ღ~ნ: მი-**

**სსა: ტანჯტრობა-**

**5 სა: შ~ა აღიშენა**

1. **[//] მ~ღ** ორიგინალში დაფარულია კირით (სურ. 35).

ასეთივე მომწვანო ფერის სამი დიდი ქვა იმავე კედელშია, მაგრამ მათი წინა მხარე ჩამოთლილია. ამბობენ, ერთერთ მათგანზე იყო ჯვრის გამოსახულება. სამი-ოთხი ასეთი ქვა დასავლეთ კედელშია. ეკლესიის დასავლეთი კარის ადგილი, თუ ეს მართლაც კარი იყო, ამოშენებული და შებათქაშებულია.

<sup>1</sup> 1312 ქრისტეს აქეთ.

სოფელში ორი მეჩეთია. ერთი – უფრო ახალი. ძველი მეჩეთი ძველი ეკლესიიდანაა გადაკეთებული.

ჩრდილოეთის მხრიდან მეჩეთის შესასვლელ კარს ზემოთ არის ცარიელი სივრცე, გამოვარდნილი ქვის ბუდე. სომეხებმა მაცნობეს, რომ აქ იყო წარწერიანი ქვა, მაგრამ თურქებმა ის მოაშორეს აქაურობას. ცნობით ფილა აგურის იყო (სიგრძე 10 3/8 გოჯი, სიმაღლე 8 1/8 გოჯი) უბრალო ჩარჩოში ერთი ხაზიდან. ფილაზე გვიანდელი (1664 წ.) სამხაზიანი არაბული წარწერაა ჰიჯრით 1075 წლისა.

1 საათზე გავემგზავრეთ ტანძოთიდან.

გავიდა არა უმეტეს 20 წუთისა, რომ ჩვენს წინ გამოჩნდა წვრილი და გრძელი სიმაგრე, ჩვეულებრივად აგებული მაღლა კლდეზე, მდ. ტანძოთას მარჯვენა მხარეს. როგორც ჩანს, სიმაგრის გეგმა შემუშავებულია მდინარის პარალელურად წაგრძელებული ფორმის მოედნისა და ვიწრო კლდიდან გამომდინარე. ჩავედით რა ერთხელ ტანძოთას ნაპირებთან, არ მოვცილებივართ მას ტანძოთის სოფლის მმართველობამდე. 1 საათსა და 55 წუთზე ჩვენ გავიარეთ **ჯაღდიეთი**, ტანძოთის დასახლება. **კაპტახორი** დაეტოვეთ ზურგს უკან მდინარის მარცხენა ნაპირზე. ის მოჩანდა, როცა უკან ვიხედებოდით. გზად მე მაცნობეს, რომ კაპტახორში მზადდება ყველი, რომელიც მთელ კუთხეშია ცნობილი და უფრო შორსაც. **ჯაფანდარი**, კაპტახორის დასახლება, ჩვენ დაეტოვეთ მარცხნივ 2 საათსა და 10 წუთზე.

2 საათსა და 22 წუთზე ჩვენ ვიყავით ტანძოთის სასოფლო მმართველობის შენობაში. პირველად აქ ვიგრძენი სიცხე. ცხენები ყურებიდან ჩლიქებამდე სველი იყვნენ, ისე გაოფლიანდნენ, წყალი სდიოდათ. ცხენებს მივეცი მცირე დასვენების საშუალება, ჩვენც დავლიეთ წყალი „ბუხანედან“. წყაროს წყალი აქ არ არის, აციებენ მდინარისას. წყალი მთლად სუფთა არაა, მაგრამ ძალიან ცივია. მაცივრების მოწყობისას აქ, ისევე როგორც არტანუჯში, საქმე ყინულის გარეშე კეთდება. პოულობენ ბუნებრივ სარდაფს, ჩაღრმავებას კლდეში, სადაც ჰაერი მოძრაობს (ასეთი სარდაფე-

ბი ბევრია) და იყენებენ მათ მოთხოვნილებისამებრ. მამასახლისმა მაცნობა, რომ წყარო არ არის სოფელ კლარჯეთშიც, მაგრამ იქ შეიძლება დალიო ბრწყინვალე სუფთა და ცივი წყალი დასაკეტი ონკანიდან. უკანასკნელი გარემოება აჩვენებს, რომ სასმელ წყალს აქ მომჭირნედ ხმარობენ. წყალი ინახება დახურულ კუბში, რომელიც გაკეთებულია ქვისა და კირისაგან და დგას ფარდულს ქვეშ. საკუთრივ ონკანი კი არ არის, ხვრელია, რომელსაც ჯოსხ დაუცობენ. ხის ჯამი, ჭიქის ნაცვლად, აქვე არის მიბმული. სხვა ადგილებში წყალი განუწყვეტლივ მოედინება ღარში.

ის-ის იყო ჩამოვედით მდ. ტანძოთამდე და გადავედით ხიდზე, მეორე ხიდან მისვლამდე, რომელიც დღეზე (მარცხნიდან ერთვის ტანძოთას) იყო გადებული, რომ მარცხენა მხარეზე ბადში, მცირე ამაღლებაზე, შევნიშნე ქვის წყობა, შავშეთ-იმერხეული ტიპის ეკლესიის საკუროთხევლის ნახევარწრის აღმოსავლეთი კედლის ნარჩენი.

აქედან გზა თვით სოფელ კლარჯეთამდე აღმართით მიდის. გზის ერთ შესახვევთან, ღრმა ხეზე, მე ასევე შევნიშნე რაღაც კოშკის ქვის წყობა. სოფელი კლარჯეთი განლაგებულია უზარმაზარ, შესანიშნავ მოედანზე, რომელიც მთებითაა შემოზღუდული. საკუთრივ ამ მოედანზეა განლაგებული სოფელ კლარჯეთის დასახლებები, ან მეჭვლეები. მხოლოდ მის ერთ კუთხესთან მიუყუელია სოფელი **საკრე**, დასავლეთიდან მოჩანს სიმაგრე, რომელიც ბატონობს ამ ვრცელ ზეგანზე; ვრცელზე, მაშინ როდესაც ეს მხარე ღარიბია სწორი ადგილებით. დაწყებული სოფლიდან სიმაგრისკენ გზა აღმართია.

4 საათსა და 20 წუთზე მივედით სიმაგრესთან, რომელიც განლაგებულია სოფელ კლარჯეთიდან დასავლეთით მთებში, მაღალ კლდეზე. კედლების ხაზები მისადაგებულია კედლის ფართთან. მცირე კარი, ისრისებური კამარით, გამოდის სამხრეთისაკენ. იგი აღმოსავლეთ კედელთანაა. არის კიდევ მეორე, ასევე მცირე კარი, საპირისპირო მხარეს. კედლები აშენებულია უბრალო, ნაკლებდამუშავებული ქვებით კირის ჭარბი გამოყენებით. სიმაგრეზე შესასვლელად უნდა



აცოცდეს კლდეზე. განსაკუთრებით ძნელია ასვლა სამხრეთ, უფრო მისაწვდომი კარის განში, საიდანაც წარუმატებლობის შემთხვევაში გზა პირდაპირ ქვისფსკერიან ღრმა ხრამშია. იქ მხოლოდ ჩაფარი აკობი ავიდა. სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში ორი კოშკია, ერთი-მეორის გვერდით. დასავლეთი ჩამოშვავდა გარედან. შიგ იხეთივე აგურის კოლია, შებათქა-შებულები და შეთეთრებული შიგა მხარით და თითქმის ოვალური სახით (მოგრძო მხარე – 14 გოჯი, ვიწრო – 9 გოჯი), როგორც იმფხრეულში. შიგნით არის სხვადასხვა ნაგებობის კვალი. არის ფანჯრებიც ორ ადგილზე სამხრეთით გადარჩენილ კოშკში, ერთი უფრო მაღლა, მეორე უფრო დაბლა. გვერდით კოშკში ამგვარივე კოლია, მაგრამ ოთხკუთხა სახით. გაკვრით აღვნიშნავ, რომ სიმაგრესთან საოცარი ექია.

კლდის საპირისპიროდ, დასავლეთით, ხევზე მხერის გაყოლებით, მაღალ მთაზე მე დავინახე ძველი ქვის წყობის ნარჩენები. მეჩვენებოდა, რომ ის აქვთ მხედველობაში, როდესაც საუბრობენ ეკლესიის ნანგრევებზე ჩვენი სიმაგრის მახლობლად. მაგრამ ჩვენმა გამცილებელმა სოფლიდან სხვა მხარეს წაგვიყვანა. კითხვაზე, თუ რა ნანგრევებია სიმაგრის გვერდით, მან გვიპასუხა, რომ იქ არაფერი არ არის. მაგრამ აღიარებდა, რომ იქით მხარეს, უფრო ზემოთ, ტყეში არის რაღაცის ნანგრევები.

1/4 საათის შემდეგ, 5 საათსა და 20 წუთზე ჩვენ ვიყავით ეკლესიის ნანგრევებთან: სიმაგრიდან სამხრეთ-დასავლეთით, ტყის პირას, საძოვარი მინდვრის თავზე ამალღებულია ბორცვი, რომელზეც იყო კიდევ აგებული შავშეთ-იმერხეული ტიპის ჩვეულებრივი მცირე ზომის ეკლესია. ამჟამად ეკლესიისგან, გარდა საძირკვლისა, დარჩენილია მხოლოდ საკურთხევლის ნახევარწრის ჩრდილოეთ კედლის ნაწილი ადამიანის სიმაღლეზე უფრო მეტი და იმ ნაწილშიც შემოპარცულია მოსაპირკეთებელი ქვები. რამდენიმე შემონახულის მიხედვით, მოსაპირკეთებელი ქვები საკმაოდ დიდი ყოფილა, სუფთად გათლილი, ერთმანეთს მჭიდროდ მორგებული, რუხი ფერის. ნანგრევები ჩამოქცეული კედლების

შიგნით და გარეთ ახალგაზრდა ტყით და ბუჩქნართაა დაფარული. რომ აზომო ეკლესიის ნანგრევები, ისინი უნდა გაჩეხოს.

ეკლესიასთან ახლოს, სამხრეთ-დასავლეთით, არის წყარო საუკეთესო წყლით.

სალამოს 7 საათზე, როდესაც მზე უკვე ჩასული იყო, ამ ადგილიდან დავიძარით არტანუჯისაკენ. გზა ხიდებამდე, ტანძოთის სოფლის გამგეობასთან, ერთხელ უკვე გავლილი გვქონდა. აქ მარცხნივ შევუხვიეთ, არც ერთ ხიდზე არ გადავსულვართ და მდ. ტანძოთის მარცხენა ნაპირს გავყვეით. მთვარე ანათებდა გზას, რომელიც თითქმის მთელი დროის განმავლობაში ტანძოტის ამა თუ იმ ნაპირს მიყვებოდა. მთის მდინარის ხმაური ირგვლივ გამეფებული სიჩუმით ასუსტებდა მეცნიერული ინტერესის ენერგიას; დასუსტებას ხელს დაღლილობაც უწყობდა. ჩემი თანამგზავრები დროდადრო მაწვდიდნენ ცნობებს იმ ღირსშესანიშნაობებზე, რომელთაც ჩავუვლიდით.

ხიდებთან მისვლამდე, როცა გამოვვლით გზაზე, რომელიც დაგვეკარგა შემოკლებებისაღმი ჩაფარის სიყვარულის გამო, მარცხნივ, შემადღებაზე, გარკვეულ სიშორეზე ჩვენ დავინახეთ ეკლესიის ნანგრევები. არტანუჯამდე საათით, საათნახევრით ადრე გიმნაზისტმა იოს. იაკ. რისტაკიანცმა მიგვითითა ქვებზე და გვიამბო ლეგენდა, რომელიც მან ბაბუამისისგან იცოდა, იმან კიდევ თავისი მოხუცი მამისგან: დამა მიდიოდა ართვინიდან. ძმა შეზარხოშებული იყო, მიანქარებდა ცხენს და ხევში ჩავარდა. ჩავარდა ხრამში ამ ადგილზე. დამ კი უბედურებისაგან გრძნობა დაკარგა და ადგილზე გარდაიცვალა. ისინი დამარხეს. ქვებია მოწმე. ახლოსაა მეორე ქვაც. მოყავდათ ახალგაზრდობის ქალი, მასთან ერთად მოდიოდა ქმრის მეგობარიც. იგი მოეწონა ახალგაზრდა ქალს, თავში მას ცოდვილმა აზრმა გაუეღვა და ქალი ქვად იქცა.

ცოტა ხანში ჩაფარმა გვაცნობა, ეს იყო არტანუჯამდე ნახევარი საათით ადრე, რომ ჩვენგან მარჯვნივ მთზე შენა-

რია, ადგილი სადაც ძველი საფლაოეები. ეს **ზემო შენარია, ქვემო შენარი** სულ ახლოსაა არტანუჯთან.

საღამოს 10 საათზე ჩვენ ჩავედით არტანუჯში.

**8 აგვისტო, კვირა.** შუადღის 3 საათზე მე დავიწყე ასვლა არტანუჯის ზემო ქალაქში. ასვლის სირთულეზე იმდენი გამეგონა, კინაღამ უარი ვთქვი მენახა ეს წვრილმანი, ძალზე არსებითი. გზა ორია.

ერთი შედის სამხრეთი კუთხიდან ზემოქალაქს უკან და ადის სიმაგრეში შუა ნაწილთან, თითქმის ეკლესიის დონეზე. ერთნი ამბობდნენ, ეს უფრო ძნელია, მეორენი – რომ ის უფრო მოსახერხებელია, ყოველ შემთხვევაში, ნაკლებად-საშიში. ამბობდნენ, რომ ასვლისას ხშირად უნდა ჩაებლაუჭო ბუჩქებს და ხშირად იცოცო ფერდობზე. სამხრეთი გზის დამცველი არ უარყოფდა, რომ ერთ ადგილას გზა ისე ვიწროა ხრამთან, რომ უნდა იხიხო მუცლით ზემოდან გადმოშვერილ კლდესა და ვიწრო გზას შორის. მოგვიანებით, როცა ჩვენ უკვე ვიყავით ზემო ქალაქში, დამცველმა მაჩვენა არტანუჯის თერმოპილები.

მეორე გზა ჩრდილოეთიდან არის. აქ ორჯერ უნდა გამოიყენო კიბე. ორივეჯერ დაბალი სიმაღლის დაძლევაა საჭირო, სადაც 5 არშინამდე, მაგრამ მეორეჯერ ზედ ზემოქალაქში შესვლისას კიბე ისე უნდა დაიდგას, რომ ასვლისას მოგზაურს შეიძლება თავბრუ დაესხას მის მარჯვნივ არსებული ხედისგან: – იქ პირდაღებული უფსკრულია. მე ასვლა 3 საათზე დავიწყე. შემომიერთდნენ ცნობისმოყვარე არტანუჯელები. გზად მე ვნახე მრავალ ადგილობრივ „ბუხხანებიდან“, საკუთრივ მაცივრებიდან ერთი. ამოვარდა ქარი. ამბობდნენ, რომ ახლა ზევით მძვინვარებს ქარიშხალი, ძნელი იქნება იქ გაჩერება. ავლიოდი მე ნელა და დაღლის გარეშე აღმართი არ მეჩვენა ძალზე შვეულად. 20 წუთის შემდეგ მე ვიყავი სიმაგრის ჭიშკართან, ყოველგვარი სიძნელის გარეშე ავედი რა ორივე ადგილას კიბით. კიბე თავაზიანად გვათხოვა სატელეგრაფო სადგურის უფროსმა, ბ-მა მანანდოვმა. პირველ ადგილზე მისვლამდე, მარჯვენა მხარეს, წინ მე ვნა-

ხე ქვის თაღი, გამოყვანილი ზედ კედელთან. ის იჭერს კედლის ქვის წყობას. კიბით პირველ და მეორე ასვლებს შორის გვერდით დევს ქვის ფილა. მე მითხრეს, რომ ამ ფილით დაფარული იყო ზარი, აქვე ნაპოვნი. მანახეს ადგილი, სადაც ის ამოთხარეს. მაცნობეს, რომ ზარი ახლა თბილისის მუზეუმში ინახება, მაგრამ არა კაკასისის, თუ ვიმსჯელებთ ჩემი ცნობებით. კიბით მეორე ასვლის შემდეგ მგზავრი შედის პატარა, ერთადერთი ლამაზად გაკეთებული კარით პირდაპირ ზემო ქალაქში. კარი ოთხკუთხაა ნახევრადმრგვალი ზემო ნაწილით (სიმაღლე მთლიანად 2 1/4 არშინი, სიგანე 1 არშინი და 8 3/4 გოჯი). ზემო ქალაქის კლდე ხუთჯერ, თუ არა მეტად, დიდია სიგრძეში, ვიდრე – სიგანეში. სიგრძით ის მიდის ჩრდილოეთიდან ან ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთისაკენ, ან სამხრეთ-დასავლეთისაკენ. ყველაზე ფართე ადგილას ის 22 საუენია.

ზემო ქალაქი გარემოცული იყო კედლებით: ისინი ყველაზე კარგად შენარჩუნებულია ქალაქის საპირისპირო მხრიდან, თითქმის ქალაქის შუიდან სამხრეთ ან სამხრეთ-აღმოსავლეთ კიდეზე. სანამ დაიწყება კარგად შენახული ნაწილი, იმ ადგილთან ახლოს, სადაც ზემო ქალაქში აღწევენ სამხრეთი გზით, არის ოთხკუთხა კოშკის მაღალი კედლები. კოშკების ნანგრევები გვხვდება სხვა ადგილებშიც. კედლები, რა თქმა უნდა, მიუყვებოდა მოედნის მოხაზულობას, მაგრამ ისინი, დამოუკიდებლად ამისა, მიდიოდნენ ტეხილი ხაზით. ქვის წყობა უბრალოა, ყოველგვარი მოპირკეთებისა და მოსაპირკეთებელი ქვების გარეშე. წყობაში ქვემოთ საშუალო ზომის ქვებია, ზემოთ – პატარა, ან, ყოველ შემთხვევაში, იმათზე პატარა. კედლები ქალაქის მხარეს ნაკლებად გულმოდგინედაა ამოყვანილი, უფრო ვიწროც არის (1 არშინი და 7 გოჯი), ვიდრე საპირისპირო მხარეს, სადაც კედლების სისქე ზოგან 2 1/2 არშინამდე და მეტია. ზემო ქალაქის მოედანი ახლა წარმოადგენს საკმაოდ მკვეთრ დაფერდებას ქალაქის მხარეს, მაგრამ საეჭვოა, იყო თუ არა ასე ყოველთვის. როგორც ჩანს, სეისმურმა რყევებმა ძალზე

დაამახინჯა აქ ნიადაგის ზედაპირი. მოშლა ხდებოდა სიძველის გამოც. სამი წლის წინ ზემო ქალაქში ჩამოვარდა უზარმაზარი კლდე, დაგორდა არტანუჯისკენ, საბედნიეროდ, მის ნაკლებად დასახლებული ნაწილისაკენ: გზად დაანგრია სამი სახლი და მოკლა ქალი. ჩემ ჩამოსვლამდე სამი დღით ადრე, კვირას, ელვა დაეცა კედელს ზემო ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთ კედელსთან და მთელი არტანუჯი თავზარდაცემული ელოდებოდა მთლიან დანგრევას.

ზემო ქალაქის სამხრეთ ბოლოში არის 4 ნაგებობის კვალი.

მივდიოდით რა ჩრდილოეთით, ქალაქის მხარეს კედელსთან, ზემო ქალაქის გასწვრივ მოვხვდით წყალსატევთან სივრძით 2 საუენი, 2 არშინი და 12 გოჯი, სივანე – 1 საუენი, 1 არშინი და 10 გოჯი. იგი ამოშენებულია თლილი ქვებით, ზოგჯერ ძალზე მსხვილი. წყალსატევი შეუბათქაშებელია. ადგილ-ადგილ მოცილებული ქვის ფენები შეიძლება ვინმეს ბათქაშის ნარჩენებად მოეჩვენოს.

წყალსატევის გვერდით, ჩრდილოეთიდან, ვრცელი ოთახია, ახლა ამოვსებული.

ეკლესია შუა ადგილზეა, უფრო ქალაქისკენ.

მოგრძო ოთხკუთხედი, საკურთხეველის ნახევარწრით, მარცხნიდან და მარჯვნიდან გართულებული ეკვდრებით. ჩრდილო ეკვდრის გვერდით ტევალი წყალსატევია (**ფრანკარ**) საკმაოდ მარტივი ქვის წყობით, მაგრამ შებათქაშებული და გლუვად, სუფთად შედებილი (სივრძე – 2 საუენი, 2 არშინი და 11 1/2 გოჯი, სივანე – 1 საუენი, სიღრმე – 1 საუენი, 1 არშინი და 4 2/3 გოჯი). ხილულ ფსკერზე აღმოსავლეთ კედელზე წყალგაყვანილობის 1 5/8 გოჯი დიამეტრის თიხის მილი. შედარებით კარგად არის შემორჩენილი ჩრდილოეთი ეკვდერი თაღოვანი გადახურვით. შიგნით ეკლესია შებათქაშებულია, მაგრამ არ არის შერჩენილი მოხატულობის კვალი. ჩრდილოეთ ეკვდრის ქვეშ თხრიდნენ და გამოთხარეს მიწისქვეშა სათავსო, თუ ეს არ არის ეკლესიის ქვედა სართული, ძალზე ამოვსებული. კარი სამხრეთითაა, და შეიძლე-

ბა დასავლეთითაც, მაგრამ აქ ნაპრალიაა დარჩენილი. სივრძე საკურთხეველის ნახევარწრით 5 საუენი და 2 არშინია, თვით ტაძრის სივანე ეკვდრების გარეშე – 1 საუენი, 1 არშინი და 8 გოჯი.

დასავლეთი მხრიდან, დასავლეთ ფასადის მთელ სიფართოზე გამოყვანილია 1 საუენისა და 2 არშინის კარიბჭე. მასში შესასვლელი სამხრეთიდან იყო.

ამ ოთხკუთხედიდან დასავლეთით, ეკლესიის გვერდითვე მეორე აუზია, ასევე მოპირკეთებული, ოღონდ სხვა ფორმის, კერძოდ სფეროსებური, გაგრძელებული ზევით და ქვევით. არსებული სიღრმე მიუხედავად ნაყარისა არის 1 საუენი და 1 3/4 არშინი. თუ ფსკერი, რომელიც ახლა მოჩანს, ნამდვილია, სათავსო ბრტყელფსკერიანი იყო. ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთით მოგრძო ოთხკუთხედი (სივრძე 1 საუენი, 1 არშინი და 9 1/2 გოჯი, სივანე – 2 არშინი და 8 1/2 გოჯი) ბეღელია, ქვებით ამოშენებული. სიღრმე 1 საუენი და 8 1/2 გოჯი. ბეღელი ერთი მხრიდან, დასავლეთიდან, დაფარულია კლდეებით. იგი გრძელდება ზემო ქალაქის მოედნის გრძელი მხარის პარალელურად.

ეკლესიის კარიბჭის იქით, დასავლეთიდან, კლდეების თავისებური ნანგრევებია, რაღაც სეისმური რყევის შედეგი. აქ არის ხვრელი, ღრმა, ციცაბო დაღმართი. ამბობენ, მასში 10 საუენის სიღრმეზე არის საფეხურები: ვინც ჩავიდა, იმან ნახა დაღმართი უფრო ქვემოთაც, მაგრამ კიბის გარეშე. ჩემს იქ ყოფნაში ჩააგორეს ქვები. ისინი მიგორავდნენ (ისმოდა) ხან 12, ხან 14 წამს. ხუთსაუენიანი რულეტი ხის ბოლოთი ჩაშვებული, მოკლე ხანში უკვალოდ დაიფარა. შემდეგ ჩაუშვეს 10 საუენი სივრძის ბაწარი, გადაბმული ხუთსაუენიან ბაწარზე და ამ თხუთმეტსაუენიანმა სივრძემ ვერ ამოწურა ამ მიწისქვეშა სავალის ციცაბო სიღრმე.

**9 აგვისტო, ორშაბათი.** 1 3/4 საათზე არტანუჯიდან ჩიდილში გავემგზავრეთ. გზა იდო ანჩასა და ნორგიელის (რომელთა მეორედ ნახვა მოგვიხდა) გავლით.

არტანუჯიდან გამოსვლისას, უპირველესად, ვხვდებით **ბაცაში**, რომლის საზღვრები საკმაოდ ვრცელია. როდესაც ზუსტად ერთი საათის შემდეგ მივალწიეთ აღმართზე ქარვასლას ან „ხანეს“, ჩვენ ჯერ კიდევ ბაცას მიწებზე ვიყავით. მისი საზღვრები ამ მხრიდან ანჩისას ესაზღვრებოდა. თითქმის მთელი გზა აღმართია. როცა აღმართი დასრულდა, გამოჩნდა ანჩა თავისი 7 მეჭლეთი.

ანჩაში ჩავედით 3 საათსა და 53 წუთზე. აქ გადავწყვიტეთ, შემემოწმებინა ცნობა, რომ პინტიგილის „მეჭლეში“<sup>1</sup> ეზიზ საიდ-ოღლისთან არის უზარმაზარი ქვის ბოძი, მოტანილი 30 წყვილი ხარის მიერ. ბოძი აღმოჩნდა 1 საუენი სიმაღლის, თუ ჩაითვლება, პატრონის სიტყვებით, ჩასობილი ნაწილი. ის მრგვალია, წრეწირი 2 არშინი და 5 გოჯია. ერთ მხარეზე ორი ნახევარსფეროსებრი ჩაღრმავებაა, რომელთაგანაც ქვემოდან პირდაპირ დაბლა მიდის დარაკი, ან ჩაღრმავება რეკოლვერის ბუდის ფორმით, 5 1/2 გოჯის სიგრძით. ზედა ჩაღრმავების ქვემოთ, პირდაპირ ჩამოთლილია ამავე სიგრძეზე და სიღრმეზე ოთხკუთხედის ფორმის ბოძის მხარე. ბოძი, როგორც ჩანს, კარის წირთხლი იყო. ამბობენ, რომ ის ეკლესიის ნანგრევებიდან კი არა, იმ ადგილიდანაა, რომელსაც **ჩიხანი** ეწოდება, ეკლესიის შორიახლოს რომ მდებარეობს ფერდობზე ან ხევში ანჩის მხარეს. ანჩის ეკლესიის ქვები, შოკოლადისფერი, ასზე მეტი, აღმოჩნდა იმავე ეზიზის სახლში. მთელი სამხრეთ-დასავლეთი კედელი ამოყვანილია ამ ქვებით. ეზოში არის იმავე სახლის კედელი, რომელშიც ჩატანებულია ეკლესიის ორნამენტიანი ქვა, კერძოდ, კარნიზის ნაწილი: ნახატი – წრეების ჯაჭვი, ყოველ წრეში ჯვარია. დავაპირეთ თუ არა სოფლიდან გასვლა, შევნიშნეთ ეკლესიის ქვების რიგი მეზობელი სახლის კედელში; ჩაფარ-

<sup>1</sup> ანჩის სხვა მეჭლეებია: ხოშათგილი, ალიგილი, სოქათგილი, ხოჯაგილი [წინა ადგილი], ხანარგილი, სარუხანგილი. ისინი გაფანტულია მოედანზე, რომელიც შემოზღუდულია ყველა მხრიდან მთებით. ადგილმდებარეობამ გამახსენა სოფელი კლარჯეთი, ოღონდ კლარჯეთში მთები მოედანზე უფრო მაღლაა აზიდული.

მა კიდევ იყვირა: „წარწერა“. აღმოჩნდა ორი ორნამენტიანი ქვა, კარის ან ფანჯრის თამასის ნაწილი.

ახლა ანჩაში ტბა თვით სოფელში კი არა, უფრო ზემოთაა, – პატარა, საკუთრივ ტბორი. ასეთივე ტბა არის ანაკერტშიც.

ჩამოსვლა პინტიგილის „მეჭლედან“ ანაკერტში: მის პირველ ნაგებობებს მივალწიეთ 1/4 საათში. წვიმა, ჯერ კიდევ ანჩაში დაწყებული, არ ნელდებოდა, ჩვენ საკმაოდ დაგვასველა, თუმცა გამოჩნდა ცისარტყელა. ჩამოსვლისას მარცხნივ შევნიშნე ახალი საფლავები, მუსულმანური სასაფლაო. საფლავებს შორის ჭოკზე ჯაჭვით მიმაგრებული იყო საკმაოდ ღრმა ყუთი ორფერდა სახურავით. ეს სათაესოა, სადაც გარკვეულ დღეებში დარბებისათვის ტოვებენ კვერებს, „ბიში“: ეს კვერები ცხვება ერბოთი; ისინი თხელი, რბილი და მრგვალია, ანუ ისეთივე, როგორც ბლინი. დებენ რამდენიმე ცალს, ასე მაგალითად, თხუთმეტ-თხუთმეტს. ამზადებენ ბაირამის დღეს და პარასკევ საღამოს (ორ კვირაში ერთხელ, ხანდახან ექვს თვეში ერთხელ, ჩვეულებრივად ზამთარში!).

ნორგიელის გზაზე დაშვების წინ ანაკერტის უკანასკნელ „მეჭლეს“ ქვია **თავადგილი**<sup>2</sup>. დაღმართი მიდის მდ. სამწყარის (სამცხარის) იმ ნაწილისაკენ, რომელსაც დევირმანდერესი ეწოდება. ამ ნაწილის ზემოთ ხევს **კოტრეჯეთი** ეწოდება. თურქული სახელწოდება დევირმანდერესი წარმოიშვა აქ არსებული წისქვილებისაგან: მე შევნიშნე ორი. ჩამოსვლისას გზა ძალზე ძველი მეჩვენა. გვერდებზე გვხვდებოდა ძველი ნაგებობების კვალი. მკაფიოდ გამოირჩეოდა საწნახელის ნანგრევები, რომელიც უხეშად გათლილი ქვებისაგან არის აშენებული. ხევში, სულ დაბლა, წისქვილებს შუა, მათ შორის ქვემოსაგან ორ ნაბიჯში, დევს უზარმაზარი ქვა, მას ხვდება სამწყარის წყლები და შემდეგ შემოუვლის მარცხნიდან. ამრიგად, ბუმბერაზი ქვა მარჯვენა ნაპირზე რჩება. მარ-

<sup>1</sup> ეწერ ერთ-ერთი ნორგიელელის სიტყვებიდან.

<sup>2</sup> სხვა მეჭლების სახელები: 1. ჩაფან-ოღლი და 2. ოდაბაშგილი.

ცხენა ნაპირიდან ქვაზე გადმოვდებულა ხის ხიდი, ანუ ორი წვრილი, ჯაყჯაყა კოჭი ფეხისთვის ნაჭდევებით. გვერდით, ერთი ბოლოთი ჯოხზე, მეორეთი – კლდეზე (ის მაღალია) დევს ასევე ჯაყჯაყა წვრილი კოჭი. ვინც ამ ხიდზე გადის, ამ კოჭმა უნდა მიანიჭოს თავისთავის რწმენა; მასზე დაყრდნობა არ შეიძლება, ის მსუბუქ შეხებასაც ვერ აიტანს. ქვის ზედაპირზე ამოკვეთილია საწნახელი უფრო ქვემოთ კოდით. საწნახელიდან კოდში, გვერდით კედელში, ზედ ფსკერთან, გაყვანილია მილი, ე.ი. მრგვალი განივი, სუფთა ღვინის ჩამოსავლელად:

საწნახელის ფორმა მოგრძო ოთხკუთხედიანია (სიგრძე 1 საუენი და 10 გოჯი, სიგანე – 1 არშინი და 7 გოჯი, სიღრმე – 12 გოჯი). საწნახელი სიგრძით მიმართულია ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ. დაახლოებით მდინარის დინების პარალელურად. ქვაბი მდებარეობს დასავლეთ კუთხესთან მდინარის მარჯვენა ნაპირის მხრიდან. მისი სიგრძე 1 არშინი და 5 1/4 გოჯია, სიგანე – 1 არშინი. საწნახელს იგი ეკვრის თავისი სიგრძითი ნაწილით. მდინარის გაღმა იწყება გრძელი, დამღლევი აღმართი ნორგიელი-საკენ, სადაც ჩვენ ჩავედით საღამოს 7 1/2 საათზე. ჩემი ცხენი გზაში რამდენიმეჯერ გაჩერდა.

**10 აგვისტო, სამშაბათი.** 9 1/4 საათზე გავემგზავრე ნორგიელიდან, მაგრამ არა ჭკედილში, როგორც ვვარაუდობდი, არამედ ზევით, ადგილისაკენ, რომელსაც **ქოლიტაში** ეწოდება, სამწყარის საზღვარზე. მამასახლისმა, რომელსაც აქ მიწა ეკუთვნის, აგვისსა, რომ იმ ადგილზე უხარმახარი მოხატული ქვაა, როგორც ჩანს, წარწერით. 20 წუთში ჩვენ ქოლიტაში ვიყავით, რისთვისაც გავიარე კიდევ ადგილი, საიდანაც მე ნორგიელს ვუღებდი სურათს (იხ. 4 აგვისტოს დღიური). ჩვენ დავტოვეთ სამწყარის გზა და შევუხვიეთ მარცხნივ ზევით. აქედან დასავლეთით რომ მობრუნდე, პირდაპირ ანაა, უფრო მარჯვნივ, მდ. იმერხევს იქით, არის მთა **პორტათი**, უკან, მარცხენა ხელის მხარეს, მაღლა, ნანგრევები მთაზე **მაღლის უკან** (იხ. 4 აგვისტოს დღიური). არც წარ-

წერა, არც მოხატულობა არ აღმოჩნდა, მაგრამ ადგილზე მართლაც არის დიდი ქვის ჯვარი, ასე საყვარელი, როგორც ჩანს, ამ მხარეებში (სურ. 36). ჯვარი აუფეთქებიათ და ის დაიხარა, მაგრამ მთელი დარჩა. ის მთლიანი, მოთეთრო ქვისგანაა გაკეთებული. სიმაღლე 2 არშინი და 6 გოჯია<sup>1</sup>, სიგანე გვერდითი ფრთებით 1 არშინი და 6 გოჯი; სისქე 6 3/4 გოჯი. ახლა განათებულია აღმოსავლეთი მხარე, რომელსაც ვიღებ კიდევ. დასავლეთ პირის მხარეზე, შუაში, არის გამობურცული ნახევარწრე.

10 1/4 საათზე მოგვიხდა გამგზავრება არა ჭკედილში, არამედ მთაზე **მაღლის უკან**, სადაც ნანგრევებია. მოვიდა მოლა-დურსუნი და გვაცნობა, რომ მან 5 წლის წინ იქ ნახა უხარმახარი ქვა წარწერით. 25 წუთი ჩვენ ვიარეთ საუცხოო გზით, რომელიც გამოირჩეოდა შეუმჩნეველი აღმართით. ჯერ მივდიოდით **ციო-ქანის** ფერდობით. ამ ციო-ქანის ფერდობსა და ნანგრევებთან მთას შორის არის უფრო მომცრო მთა, რომლის სახელი არ იციან. ჩვენ ამ მთის იქით გავედით, ამასთან მარცხნივ, შორს დავტოვეთ **ფეტობანი**, შემდეგ **გორაშეთის ბაღები** ეკლესიის ნანგრევებით და ზემოთ, ასევე ჩვენგან მარცხნივ, მაგრამ წინ თვით **გორაშეთია**. **ქოლიტაშიდან** გამოსვლიდან 25 წუთის შემდეგ ჩვენ გადავუხვიეთ გზიდან და ვუვლიდით რა მკვეთრი აღმართით, 10 საათსა და 33 წუთზე მივალწიეთ მაღლის-უკანის მწვერვალს. ნანგრევები შავშეთ-იმერხეული ეკლესიისაა, მაგრამ კარი, როგორც ჩანს, დასავლეთიდან იყო, თუმცა აქაც კიბე იყო საჭირო. ეკლესია გარედან მოპირკეთებული იყო გულმოდგინედ გათლილი მეტ-ნაკლებად მსხვილი ქვებით. ისინი უკვე წაღებულია, მხოლოდ ნაწილი ყრია ადგილზე. შიგნით უბრალო სიმეტრიული წყობაა, ცუდად გათლილი, წვრილი, მეტ-ნაკლებად ერთნაირი ზომის (განსაკუთრებით სიმაღლეში), ქვების. ქვები შიგნით ერთმანეთთან არამჭიდროდაა მორგე-

<sup>1</sup> რამდენადაც ის ჩანს მიწის ზემოთ; ადგილობრივები გვარწმუნებენ, რომ მიწაში არის კიდევ მისი დიდი ნაწილი.

ბული. შესაძლებელია, ეკლესია თავის დროზე შიგნით შე-  
ბათქაშებული იყო. სახურავი ორფერდიანია, შიგნით გას-  
წვრივ თაღოვანი ჭერია. ეკლესიიდან უმთავრესად დარჩა  
ჩრდილო ნახევარი, ისიც ღრიჭოთი ჩრდილოეთ კედელში,  
დასავლეთ კუთხესთან. სიგრძე საკურთხევლის ნახევარწრით  
3 საუენი და 1 არშინია, სიგანე – 2 საუენი და 10 გოჯი. შიგ-  
ნით ყველაფერი დაფარულია ნაყარით, არ გამოიყოფა სა-  
კურთხევლის ამაღლები, შემორჩენილია ეკლესიის ქვის ღო-  
ბის ნარჩენები.

ეკლესია აშენებულია კლდეზე.

ახლა პირდაპირ ჭიდილში გავემგზავრეთ. 11 საათსა და  
50 წუთზე ჩვენ გავიარეთ ქოლიტაში, მისი დახრილი ქვის  
ჯვრით. გზა ჩიდილის პირველ დასახლებამდე, **გუდათამდე**  
ბრწყინვალეა, სწორი. ზედ გუდათის წინ დაღმართია. აქ ჩა-  
მოვედით 12 1/2 საათზე, გავიარეთ ადგილი **სოჭის-წყარო**,  
გვერდით არის **ნატბევი**.

12 საათსა და 50 წუთზე ჩვენ გავიარეთ ჭიდილის მეორე  
მეჭლე – ჯამი მეჭლესი. 1 საათსა და 10 წუთზე ჩვენ ჩიდილ-  
ში ვიყავით. მანამდე კი მარცხნივ, იმერხევს იქით, მაღლა  
მთის ფერდობზე ვნახეთ პორტას სახნავ-სათესები. ჭედილში  
(ჩიდილი) კვლავ შევხვდი ნორგიელ მოლა-დურსუნს: იგი  
გაკვირვებული იყო, რომ გაქრა ასეთი უზარმაზარი ქვა წარ-  
წერით. ქვა, მისი სიტყვებით, ჩატანებული იყო აღმოსავლეთ  
კედელში და მასზე იყო ჯვრის გამოსახულება ირგვლივ  
წარწერით. მოლა-დურსუნი განათლებული ადამიანია. მას  
შეუძლია განასხვავოს წარწერა ნახატისაგან.

ჭედილში ან ჩიდილში კვლავ ისმის ქართული საუბარი.

აქ მე მოვეყვები, თუ რატომ მოვხვდი ჩიდილში და  
ამისათვის მეორედ გავიარე ანჩაცა და ნორგიელიც, თუმცა  
არ გწუხვარ.

არტანუჯში გიმნაზისტ იოსებ იაკ. რისტაკიანის ბიძა  
აზუსტებდა ცნობებს ჩემთვის საინტერესო ადგილების შესა-  
ხებ. 5 აგვისტოს, საღამოს მან მოირბინა ჩემთან გახარებუ-  
ლი სახით და არც ვუნახივარ, ისე იყვირა, რომ შატბერდი

ნაპოვნია. მისმა კარგმა ნაცნობმა, რომელიც ხშირად არის  
ჭედილას ახლო ხევში, უთხრა მას: კითხვაზე „ხევში ნან-  
გრევებიანი რა მაღლობია?“ ადგილობრივმა თურქმა (ქარ-  
თველმა) უპასუხა: „ეს **შატბერდია**“.

მეორე არტანუჯელმა, ბნმა კიურქიანმა გვაცნობა: ის  
სტუმრად იყო ვიღაც ბეგთან, დაინახა მასთან ძველებური  
უზანგები და კითხვაზე: საიდანაა ესენი? პასუხად მიიღო:  
„შატბერდიდან“ და ამასთან ბეგმაც „იმ“ მხარეს მიუთითა.  
**ენი-რაბათსა და ტანძოთში** ექსკურსიიდან დაბრუნებისას არ-  
ტანუჯელების ჯგუფი, რომლებიც დაინტერესდნენ ჩემი  
გამოკითხვებით, უკვე მილოცავდნენ შატბერდის აღმოჩენას.  
თუმცა ერთი ამბობდა, რომ ამ ადგილს ახლა **შაბერდი** და  
არა **შატბერდი** ეწოდებაო, მაგრამ ეს მხოლოდ აძლიერებდა  
ხმების დამაჯერებლობას. ამის ადგილზე შესამოწმებლად  
გადავწყვიტე კიდევ ჩიდილას მხრიდან მივსულიყავი ქარ-  
თულ სინაისთან. თავიდან დაგეგმილი მარშრუტი: დაბა-  
ჯმერკი-დოლისხანა-ბერთა-ოპიზა-პორტა და უკან დოლისხა-  
ნამდე უარყვავით.

ჭედილში არაფერი იციან არც შატბერდზე, არც შაბერ-  
დზე. მაგრამ აქ არა მარტო დადასტურდა **წყარო-თავის**<sup>1</sup> არსე-  
ბობა, არამედ ეს ადგილი აღმოჩნდა სოფელ ჭედილას სა-  
კუთრება, როგორც გვაცნობა ჭედილას მამასახლისმა ისმა-  
ილ თანთო-ოღლიმ. მანვე დაასახელა ახლომდებარე **ბარა-  
თეული**, როგორც ჩანს, **ბარეთელთა**, ასევე **ნუკა-საყდარი** (და  
არა **ნუკი-ქილისე**). ხანძთა არ გაუგონიათ, გაიხსენეს **ანძა**,  
მთის სახელი **ჯოგოს** ზემოთ, არტანუჯთან. მაგრამ ქართუ-  
ლი ენა ჭედილში ძალზე სუსტად გავრცელებული აღმოჩ-  
ნდა. ბავშვებმა და ახალგაზრდებმა თითქმის არ იციან ის.  
ქალებიც მხოლოდ მოხუცები საუბრობენ, როგორც მაცნობა  
მე „სამოცი წლის მოხუცმა“ მამაკაცმა, რომელიც თავს ქარ-  
თულის ყველაზე კარგ მცოდნედ თვლის, თუმცა ყოველ ნა-  
ბიჯზე თურქულზე გადადის. ომის წინ ის ჯარისკაცი იყო

<sup>1</sup> იმერხეული დიალექტური ფორმა, **წყაროს-თავის** ნაცვლად.

და მოგზაურობდა, იყო ჯედეში, ხუდედეში, ინდოეთში. უფრო ადრე ის მუშაობდა საქართველოში ფოთი-თბილისის რკინიგზის მშენებლობაზე, სადაც, მისი სტყევებით, სრულყო ქართულის ცოდნა.

მოხუცმა, მას ეზიზ რეჯებ-ოღლი ქვია, გვთხოვა შეგვეხედა **ჯორის ფეხის კვალზე** პორტას გზის შორი-ახლოს. კვალზე წარწერა თუ ნახატი და განძია. ამ ჯორის ფეხის კვალზე აქ ყველა საუბრობს. მოხუცი გვარწმუნებს, რომ იქ ფული არ არის, მაგრამ არის სპილენძის ნივთები (ფახირ-ჩახირი), რომლებიც ქართველთა ბატონობის დროიდანაა ჩამარხული. ამას ამბობდა ერთი 130 წლის მოხუცი ქალი, როდესაც ჩვენი მოხუცი მამაკაცის ბაბუა იბრძოდა ახალციხეში.

ჭედილის მეჭლები: 1. გუდათი, 2. ნუჰიგილი, 3. აფენდი-გილი, 4. აბისა (ჯამი მეჭლესი), 5. აშადი მეჭლე ან **ქვეშა მეჭლე**, 6. **ყარამანგილი**.

ხუთვერსიანი რუკის კოკობერეთს აქ კოკობერეთს უწოდებენ, ჯაბუკს – ჯიბუხს.

**II აგვისტო, ოთხშაბათი.** სათლელ-რაბათიდან ცხენით გამცილებელს ანგარიში გავუსწორე და გავუშვი. ამის იქით ტვირთიანი ცხენი ვერ იმოძრაებს. ტვირთს სამი ახალგაზრდა ნორგიელელი წაიღებს. მათგან მხოლოდ ერთია ფოტო-აპარატი: ის ჩვენთან ერთად მოდის **წყარო-თავში**. ჩვენ იქით ფეხით წავალთ, როგორც კი დავეშვებით. ჩვენი ცხენები და სხვა თანამგზავრები ახალთისაკენ გაემართებიან. მირჩევენ, ჩავიცვა წულები, მაგრამ რადგანაც ისინი ახლებია, ლანჩები სრიალდა. ნორგიელის მამასახლისმა ჩაიცვა ის წულები, რომ რამდენადმე გაეთელა და გაეცვითა.

შიდის ნახევარზე გავემგზავრეთ **ჭედილიდან** (ჩიდილიდან) **წყარო-თავში** ან **წყაროს-თავში**, ან როგორც აქ ხანდახან უწოდებენ, **წყაროს-თავში**. მთელი გზა ხიდამდე, რომელიც უკვე ცნობილია ფოტოგრაფ ერმაკოვის სურათის (სურ. 37) მიხედვით, დაღმართია: ახლანდელმა მამასახლისმა, რომელიც ჩვენ გვაცილებს, ის თითქმის მთლიანად სავა-

ლი გახადა. 7 1/4 საათზე მე ჩამოვქვეითდი, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ მოგვიხდა ცხენების წინდაწინ გაშვება იმ ადამიანებთან ერთად, რომელთაც ჩემი ტვირთი მიჰქონდათ ხიდამდე. მე მსურდა გზიდან მარჯვნივ, ქვემოთ, მდ. იმერხეთთან, დამეთვალეირებინა ადგილი **ბარათეულა**, ნაკადულის თავზე, რომელიც მოედინებოდა ჭედილის გავლით და ამიტომ ერქვა **ჭედილა**. ადგილის ქართული სახელწოდებები უამრავია, მხოლოდ მათ აღვნიშნავ, რომლებიც მე გავიგე და ჩავიწერე გზაში სწრაფი გამოკითხვისას. თვით ჭედილში, ზემოთ, არის **შარაული**. ჭედილას ქვემოთ ჩამოსვლისას, ჩვენ გავიარეთ **საფუტკრე** „დემაქ“, როგორც სწორად აგვიხსნა თურქმა, „ფეთექლუხი“ (სკების ადგილი).

შემდეგ **გოგლათური**, უფრო ქვემოთ, გზიდან მარცხნივ, **ოროფო** წყაროთი: იქ აუზია, ადამიანის სიმაღლეზე უფრო ღრმა, ქვით მოპირკეთებული ჯერ კიდევ ძველად, ქართული კულტურის ნარჩენი. უფრო ქვემოთ **ღვინივილი-ი**, გვერდით **ძუელ-ი**, შემდეგ ქვემოთ **ერდოთ-უკან**, **ენზალაური ყარამანგილით**, რომელიც განსხვავდება იმავე სახელის მეჭლესაგან გვერდით და ყველაზე დაბლა – **ბარათეულა**. პირდაპირ მარჯვნივ, მაღალი მთის (რომელსაც განსაკუთრებული სახელი არ აქვს) ფერდობზე შეიძლება **საქუნეთი**. ხიდისკენ დაღმართზე დიდხანს, ჯერ კიდევ ჭედილის დაღმართიდან ჩანს პატარა სოფელი, ყიშლა, ან, როგორც აქ უწოდებენ, **ჭედილას მეზრე**. მას **წიად-ი** ეწოდება, რაც ძველი ქართულით იმ მხარეს ნიშნავს, მაგრამ მამასახლისი მე სერიოზულად მიხსნიდა, რომ **წიადი** ქართულად ნიშნავს „სიცხე“. ამ ადგილს თითქოს იმიტომ უწოდეს ასე, რომ აქ ყოველთვის ანათებს მზე და სიცხეა.

ბარათეულში ჩვენ ჩავედით ბალებით, ვენახით, რომლის ყურძენი ჯერ შორსაა სიმწიფისაგან. პატრონები გვიმასპინძლებოდნენ. მტევნები საკმაოდ დიდია, მარცვლები ყველა ჯანმრთელი, მაგრამ პატარები. მოხუცი ეზიზის თხოვნით, უნდა დაგვეთვალეირებინა ჯორის ჩლიქის ნაკვალევი წარწე-

რით. ჩლიქის გამოსახულება შეიძლება შეიცნო მრგვალ ღრმულში კლდის იმ მხარეზე, რომელიც ქვემოთ გვერდით არის მიშვერილი, მდ. ჭელილას მარჯვენა ნაპირზე, მაგრამ, რა თქმა უნდა, არც მოხატულობა, არც წარწერა. ჯორის ჩლიქზე ამ თქმულებას თუ აქვს რაიმე ისტორიული საფუძველი და ის მხოლოდ მოგვიანებით, შემთხვევით არის დაკავშირებული კლდეში ღრმულთან. ეს შეიძლება მხოლოდ მიაწინებდეს იმ დროის დანიშლულ ხსოვნაზე ამ ადგილას ოდესღაც მონასტრისა და ბერების არსებობის შესახებ, რომელთაც სამეზავედ ჯორები ჰყავდათ. ბერები ყოველთვის ისე კარგად ინახავდნენ გზებს, რომ ჯორებით შეიძლებოდა მოგზაურობა (ახლა ჯორები მხოლოდ შეიძლება ნახო ბერთაში, ცხენები კი არსად არის. ვირები ხანდახან გვხვდება). იმაში, რომ ბარათულში ოდესღაც იყო კულტურული ცხოვრება კაპიტალური ნაგებობებით, არ შეიძლება ეჭვის შეტანა. მოხუცმა მდ. ჭელილას მარჯვენა ნაპირით მალა წაგვიყვანა და იქ, შეგუხვია რა ხეებს იქით, დაკიდული კლდის ქვემოთდან გვაჩვენა პატარა პირდაღებული ხვრელი. საინტერესოა, რომ ამ ადგილის შესახებ სოფელში არავინ არაფერი, ან ძალიან ცოტა ვინმემ იცოდა. ჩვენი გამცილებელი მამასახლისი, რომელსაც სჯეროდა ჯორის ჩლიქის გამოსახულების არსებობა, დასცინოდა ეზის, როდესაც ეს უკანასკნელი ირწმუნებოდა, რომ აჩვენებდა ძველ წისქვილს, ძველ ნაგებობას. პატარა ხვრელმა ჩვენ მართლაც შეგვიყვანა გამოქვაბულის ღრმულიდან ძალიან აკურატულ მიწისქვეშა ნაგებობაში. მოხუცი ამტკიცებდა, რომ ეს წისქვილია. ზემოთ, უფრო მალა მიაწინეს „კოდა“, წისქვილის ღარის ადგილი. რა თქმა უნდა, წყალს შეიძლება ამ ადგილას მართლაც ედინა თავის დროზე, მაგრამ მე მაინც არ შემიძლია წარმოვიდგინო, თუ როგორ შეიძლებოდა თვით შენობა გამოყენებული ყოფილიყო როგორც წისქვილი. შენობა, ან ოთახი, რადგანაც კედლების გარე მხარეები არაა გამოკვეთილი, გულმოდგინედ და სუფთად არის თალისებურად ამოშენებული ქვებით.

ჩრდილო-აღმოსავლეთ კედელში არის საკუროთხევლის ნახევარწრე, მისი სიგანე 1 არშინი და 13 1/2 გოჯია, სიღრმე – 1 არშინი და 8 1/2 გოჯი. საკუროთხევლის ნახევარწრე ზემოთ მთავრდება არა ნახევარგუმბათით, როგორც ჩვეულებრივ არის, არამედ თაღით. კედლისკენ თაღი ვიწროვდება და იქმნება მილი, სადაც მალა მიმავალი. ახლა იგი ამოვსებულია. ამ მილს შეეძლო კიდევ წარმოეშვა აზრი აქ წისქვილის არსებობის შესახებ. მაგრამ ის, შესაძლებელია, გამოიყენებოდა სამერცხულად. ნებისმიერ შემთხვევაში არაზუსტი ორიენტირება არ შეიძლება ხელს უშლიდეს ამ ნაგებობაში ეკლესიის ამოცნობას. ორიენტირებისას ჩრდილოეთისაკენ გადახრა მე ხშირად მინახავს, მაშინაც კი, როდესაც ეს არ არის გამოწვეული ადგილმდებარეობით. მთელი სამლოცველოს სიგრძე სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთისაკენ<sup>1</sup> 1 საჟენი და 10 გოჯია, სიგანე – 1 საჟენი და 1 გოჯი. ოთახი თაღოვანია. სათავსოს სიმაღლე თაღის გარეშე 1 საჟენი და 11 1/4 გოჯი. თაღი ისევ და ისევ საკუროთხევლის ნახევარწრიდან კი არ მოდის, არამედ სიგრძის გასწვრივ. სამხრეთ-აღმოსავლეთ კედელში ამჟამად, ჩრდილო-აღმოსავლეთი კედლის კუთხის გვერდით, ღრმა ნიშაა (სიგანე 10 1/2 გოჯი, სიმაღლე – ნახევრად მრგვალი ზედა ნაწილით 1 არშინი და 5 გოჯი, სიღრმე – 1 არშინი და 3 1/2 გოჯი). მის სიღრმეში, უკანა კედელში, კვლავ ნახვრეცია, მაგრამ დამტვერიანებული. ჩრდილო-დასავლეთ კედელში მოგრძო ფანჯარაა ნახევრადმრგვალი ზედა ნაწილით (სიმაღლე 1 არშინი) შიგა მხარისკენ გაფართოებით (6-7 გოჯი). შესასვლელი კარი სამხრეთ-დასავლეთ კედელშია. ის ახლა არსებული იატაკიდან 11 გოჯით მალაა. მისი სიმაღლე 1 არშინი და 11 გოჯია, სიგანე – 1 არშინი და 5 გოჯი. ამ ნაგებობის წინ მცირე გამოქვაბულია, ქვებით გაწყობილი. ის მიმართულია ჩრდილო-დასავლეთისაკენ, ჭელილის ნაკადულისაკენ. გამოქ-

<sup>1</sup>და არა ჩრდილო-აღმოსავლეთიდან, სადაც საკუროთხევლის ნახევარწრეა.



ვაბული მდებარეობს ზედ ჭედილაზე. თუ ეს ნაგებობა წისკვილია, მაშინ არ შეიძლება არ გაგიკვირდეს არქიტექტურაში ძველი ქართველების წარმატება, ქვის წყობის სიმტკიცესა და სიზუსტეში უბრალო შენობების აგებისასაც კი.

ამ გამოუცნობი ნაგებობა გამოცანიდან, ჭედილადან უკან ვენახების ბაღების გავლით მოხუცმა ეზიზმა ჩვენ ხიდისკენ წაგვიყვანა. გზად, ბაღში, მან მიანიშნა თაღოვანი ნაგებობის ნარჩენებზე, რომელიც მთიდან ჩამოგორებული უზარმაზარი კლდითაა მიჭყლეტილი და დაფარული. თაღზე შეხედვა შეიძლებოდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც თავს შეყოფდი მცირე ხვრელში, რომელიც შემთხვევით დარჩა ნანგრევებსა და ჩამოწოლილ კლდეშორის. თუმცა ნანგრევი მთლიანად მიწაშია, რომელიც დრომ მოიტანა: ნაგებობა განლაგებულია კლდეზე.

ბარათუელიდან ხიდამდე მივალწიეთ 8 საათსა და 10 წუთზე. დაიწყო მკვეთრი აღმართი, რომელიც უნდა დასრულებულიყო მხოლოდ წყარო-თავის მონასტრის გამოჩენისას. აქ რამდენიმე მიხვევ-მოხვევის შემდეგ აღმართით მივალწიე ადგილობრივ მცხოვრებთათვის იმ მნიშვნელოვან ადგილამდე, სადაც რომელიღაც ინჟინერმა ყველაფერი დაყარა და დაბრუნდა უკან. დასაწყისში მე მაინც ცხენით ვმგზავრობდი, შემდეგ ჩამოვქვეითდი, რადგან ცხენიც შემეცოდა და თან მეჩვენებოდა, რომ ქვეითად უფრო სწრაფად ვიმოდრავებდი. მე თანმიმდევრობით ჩავუარე მარჯვენა მხარეს განლაგებულ შემდეგ ადგილებს: მთა **კისაბერდს** (8 საათსა და 25 წუთზე), საიდანაც შოკოლადისფერ ქვებს იღებენ, რომლითაც მოპირკეთებული იყო ანჩის ეკლესია, მთა **საცეცხლურს** (8 საათსა და 35 წუთზე) და **ქვაბი-კარს**. საკუთრივ ქვაბი-კარი ადრე გამოჩნდა; თბილი წყლის წყაროსთან, რომელიც ქვაბი-კარის მახლობლად გზასთან მდებარეობს და სადაც ჩვენ მხოლოდ 8 საათსა და 50 წუთზე ვიყავით, საკუთრივ გამოქვაბულის კართან კი (რაც ქართულად ნიშნავს კიდევ ქვაბი-კარს) რამდენიმე წუთით უფრო გვიან: გამოქვაბული ჩამოქცეული

აღმოჩნდა და ახლა იგი უფრო მეტად წააგავს ფარდულს, ვიდრე ქვაბს.

კითხვაზე, იციან თუ არა მათ ადგილი **დადოდ** სახელდებული (მხედველობაში მქონდა მთის სახელწოდება „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან“) მიპასუხეს, რომ ადგილი **ღონდოშ** სახელით მდებარეობს დაბლა, კარჩხალასა და იმერხევის შერთვის ადგილთან. მე ერთი ადგილიდან მაჩვენეს კიდევ იგი. როგორც კი დაეშორდით მდ. იმერხევს, ჩვენ მივდიოდით მდ. კარჩხალას მარცხენა ნაპირით. ქვემოთ კარჩხალას ხევის ნაწილები ასევე აღინიშნება ქართული სახელწოდებებით, ასე, ნუკა-საყდრამდე **კიელეთი**, ნუკა ეკლესიასთან, მარცხენა ნაპირზე **ვერანა-ბაღი**<sup>1</sup>, მაღლა – **ახალთა, თა**, რასაც უკვე მე ვერ ვხედავდი ზემოდან, შემდეგ **დიდ-ვენახი, გოგი-თავი**, შემდეგ მთაზე **იმა-წმინდა**. კარჩხალას მარჯვენა ნაპირზე, პორტას ქვემოთ არის ქვა, რომელიც, ადგილობრივთა აზრით, ქალს წააგავს, მას **ეუდაპარ-ტაშს** (გველქვას) უწოდებენ.

ქვაბი-კარის ახლოს, წყაროსთან ათწუთიანი დასვენების შემდეგ ჩვენ მაღლა წავვედით. აი აქ დროებით დავცილდით ცხენებს. ყველაფერი, გარდა აპარატისა და ერთი დღის საგზლისა, ადამიანებთან ერთად გავაგზავნეთ ახალთაში. ჭედილის მამასახლისი, ჩვენი გამცილებელი და სხვებიც, ამტკიცებდნენ, რომ ჩემი ნელი სიარულით აღმართის დასაძლევად 3 საათია კიდევ საჭირო წყარო-თავამდე მისასვლელად. მე მართლაც ნელა მივდიოდი, გადაღლის მეშინოდა, რადგან შემაშინეს წყარო-თავში მოგზაურობის გადაუღალავ სიძნელებებზე მონათხრობებით, სადაც თვითონ ჭედილელები ხშირად დარბიან, რადგან იქ დაილა ან ყიშლები აქვთ. ამ გარემოების გამო, გზაც მეტ-ნაკლებად მოვლილია და ამ გზას

<sup>1</sup> ვერანა-ბაღის, ან ვერანა-ბაღლარის ახლანდელი მესაკუთრეები, რომლებმაც კვლავ გააშენეს ბაღები, გადავიდნენ მარჯვენა ნაპირზეც, ზედ ნუკა-ეკლესიის ძირას აქვთ სახნავეები (ვიწრო სახნავი ზოლი) პირდაპირ ნაპირზე.

ფეხით მოსიარულეთათვის აქვს თავისი „ხაფანგები“, კავშირები, საკუთრივ ეშმაკის გადასასვლელი, რომლებიც ხელოვნური დამხმარე მოწყობილობების (მოჭრილი და გადებული ხეებით, დაყრილი ქვებით) გარეშე ადგილობრივთათვისაც გაუვალია. ისინი ამ გზას იყენებენ იმისათვის, რომ აქედან გარეკონ საქონელი საზაფხულო საძოვრებზე და შემდეგ სახლში მორეკონ ის. პატარა ვირებზე ტვირთავენ მცირე ტვირთს. ვირები ტვირთით ამავე გზით მოძრაობენ. ჩვენი მდგომარეობა საკმაოდ რთული იყო, როდესაც პირისპირ შევხვდით ცხვრის ფარას და ერთ დატვირთულ ვირს. ეს იყო ჯერ კიდევ გზის დასაწყისში, როდესაც ცხენები მიგვეყავდა, მაგრამ გვერდი აუარო, ისედაც არ არის იოლი საქმე, აქ კი სხვა სირთულეც აღმოჩნდა: დაილაღან მთელ ამ პარტიას, 5-6 თავი წვრილფეხა და ერთი ვირისაგან შემდგარი საქონლის ჯგუფს, მოერეკებოდა ქალი, მუსულმანი ქართველი. დაგვინახა თუ არა, მან ყველაფერი მიაგლო, შეიბურა თავი ჩადრით, გზიდან რამდენადმე ქვემოთ ჩავიდა და დაჯდა უფსკრულზე ზურგით გამვლელებისკენ. ქალს ახლდა შეიდიოდე წლის ბიჭუნა, რომელიც ჩემი ხალხის დახმარებით გაუმიკლავდა რთულ ამოცანას. წყარო-თავის გზა დევს მთის დასავლეთ ფერდობზე, მთისა, რომელსაც არ აქვს რაიმე განსაკუთრებული სახელი, მაგრამ ჭედილელები ოჯახურ ყოფაში მას **საქუნეთს**<sup>1</sup> უწოდებენ. ეს მთა, ისევე როგორც საერთოდ კარჩხალას მარცხენა ნაპირი, ითვლება იმერხევის ოლქის ნაწილად, სადაც მდებარეობს, ასე გამოდის, წყარო-თავის მონასტერი. დავიწყეთ რა ნამდვილი ფეხით აღმასვლა, ორ წუთში ჩვენ ვიყავით ზემოაღწერილ გამოქვაბულთან, საიდანაც წარმოდგება სახელწოდება ქვაბი-კარი. შემდეგ ღარტაფი **საცურავათი**, რომელიც ადგილზეც

<sup>1</sup> საქუნეთი ადგილზე არ ესმით. ახლგაზრდობამ არცოდნით გვიპასუხა. დასახმარებლად მოსული მოხუცი კაცი გვიხსნიდა კიდევ, რომ ეს ნიშნავს „წითელ და თეთრ ქვას“, მაშინ როდესაც ეს არის მთა მომთაბარეთათვის, აქედან **საქონეთი**, resp. **საქუნეთი**, ზმინიდან „ქონვა“, ანუ გადასახლება, მომთაბარეობა (თ. ჯ. ახალსომხური რუქ).

სწორად გაიგება: არა იმ გაგებით – „ცურვისათვის“, ან „ცურვის ადგილი“, არამედ ადგილი, სადაც სრიალია, „მოლიპული ადგილი“. ზმნა „ცურვა“ მათ ესმით „სრიალის“ მნიშვნელობით, ეს ძველი შინაარსია. შემდეგ მარჯვნივ გავიარეთ **ყორი-გევი** (resp. **ყორის-გევი**). აქ კედლად (ყორე) მართლაც დგას მთა. ყორი-გევის მწვერვალს ეწოდება **წო-წოლა**. აქ მარცხნივ, 9 საათსა და 22 წუთზე დავინახე ძველი ქვის წყობა. შემდეგ დაიწყო ღარტაფი **დანგრეული**, კარჩხალას ხევის იმ ნაწილის პირდაპირ, რომელსაც **კიელეთი** ეწოდება. ეს იყო 9 საათსა და 40 წუთზე. 9 საათსა და 50 წუთზე აღმართი აშკარად გაიოლდა. მარცხნივ, მდინარის გაღმა კლდეზე გამოჩნდა ნუკა, ანუ ნუკას-საყდარი, თუ ნუკა-ქილისე (ამბობენ ნუკი'საც). 10 საათსა და 10 წუთზე გამოჩნდა წყარო-თავის დიდებული სამონასტრო ნაგებობის ნანგრევები. წყარო-თავი ახლა ეწოდება საკუთრივ დაილას, ღია საძოვარ ადგილს, რომელიც უფრო ზემოთ მდებარეობს. აქედან ჩამოედინება წყაროს წყალი, ძალზე უხვი ღარტაფით კარჩხალასაკენ. ეს წყალი გარს ეკვრის მონასტრის მიწას აღმოსავლეთით, სამხრეთ-აღმოსავლეთით და სამხრეთით. სამონასტრო ნაგებობები: მარჯვნივ (ჩვენგან) ეკლესია, ორიც კი, ცენტრში დარბაზის სამხრეთი ფასადი. დარბაზს ჩვენგან მარცხნიდან ეკვრის სასტუმროები – ოთახები ერთ დარბაზს მორგებულეულ შენობაში. სხვა ნაგებობები, ნანგრევების გროვა, მაგრამ უფრო მარცხნივ, ე.ი. დასავლეთით, კარჩხალას ხეზე, განცალკევებულ მწვერვალ-კლდეზე, როგორც ამბობენ, თითო საღარაჯო ჯიხურია (იხ. ქვემოთ). ისინი ოთხია, მაგრამ სურათში, სამწუხაროდ, დამტვრეულში, ძლივს შევძელით მოგვეთავსებინა მთავარი სამონასტრო ნაგებობები. ამისათვისაც კი მოგვიხდა იმ ადგილზე, საიდანაც ვიღებდით, დანით მოგვეჭრა ტოტები, რომლების ხედს ფარავდნენ; სამწუხაროდ, ნაჯახი ჩვენ არ გვქონდა. შემდგომ გზა მსუბუქი დადმართია. მაგრამ არ შემიძლია არ გავიხსენო ორიგინალური კაპანი, რომელიც 10 მეტრით ადრე გავიარეთ (10 საათზე). ვიწრო გზა, როგორც ჩვეულებრივ კაპანი-

სას” არის, ქვემოთ ვარდებოდა მთის ფერდობის ციცაბოზე, რომლის იქით მკვეთრი დაქანებაა. მაგრამ დაქანებაზე ქვემოთ იზრდება წყვილი ხე. ერთ-ერთი ამ ხეთაგანი გამოყენებულია როგორც ცოცხალი ბოძი. ხის ზედა ტოტზე შეგდებულია ხარხას ერთი ბოლო, რომელიც მეორე ბოლოთი ეფრდნობოდა კლდის პატარა შვერილს და შემდეგ ამ „ტყეზე” მოწობილია ეშმაკის გადასასვლელი, სრულიად უსაფრთხო. წვიმაში აქ სიარული ძალიან სახიფათო იქნებოდა: მხედველობაში მაქვს თავსხმა, როდესაც ღარტაფებში წარმოიქმნება ნაკადები, რომელთაც შეუძლიათ წაიღონ ქვებისა და კლდეების გროვა, ძირფესვიანად მოგლეჯილი მთელი ხეები. მე რამდენჯერმე მომიხდა ამ გზაზე „ამნაირი ქვაფენილის” მქონე ღარტაფების გადალახვა. „სათაყვანო მთიდან”, სადაც ჩვენ ვიყავით 10 საათსა და 10 წუთზე, მე ქვემოთ ვხედავდი ხევის ნაწილს სახელწოდებით **უპირავი**<sup>1</sup>. ზემოთ მანვენეს **სათორნიეს** მწვერვალი. წყარო-თავის დაიღები უფრო ქვემოთაა, მთის ფერდობზე; მარჯვენა მხარეზე კი მთის გრეხილს **კამარა** ეწოდება, რადგან, როგორც ამიხსნეს, აქ გზაზე წყაროა ქვის ძველი კამაროვანი მოპირკეთებით. წყაროს წყალი, სადაც ჩვენ 10 საათსა და 20 წუთზე ვიყავით, ძალზე ცივია, მაგრამ წყარო უყურადღებოდაა მიტოვებული და არა მარტო ცოტაა ამჟამად წყალი, არამედ გემოც მომწარო აქვს, ყოველ შემთხვევაში, გემრიელი არ არის. ადრე კი, წარსულში, ცხადია, წყაროს ძალიან აფასებდნენ, მიუხედავად იმისა, რომ მონასტერთან უფრო ახლოს მოედინება წყალუხვი მთის ნაკადული, პატარა მდინარეც კი, ასევე, არსებითად, წყაროსი. წყარო **კამარა** ზემოდანაცაა გადახურული ქვის წყობით, 2 არშინი და 8 გოჯი სიღრმით (რა თქმა უნდა, გვერდითი კედლებიც ქვისაა). აი ამ სიღრმეზე არის უკანა კედელი, ისიც ქვისაგან. ქვის სახურავი შიგნიდან თაღითაა ამოყვანილი, თითქმის საკუთრივ წყაროს წყლის ზედ ზედაპირზე. როგორც ჩანს, აქ ყველაფერი დანაგვიანებულია. ფა-

<sup>1</sup> ვერანა ბაღების ქვემოთ.

სადის განი მიმართულია დასავლეთისაკენ (პირდაპირ წინ მოჩანს პორტას დაილა **ცხუმური**). ფასადის განი გამოყვანილია სწორი ტრაპეციის ფორმით: სიმაღლე 1 არშინი და 14 გოჯია, ქვედა საფუძველი – 1 არშინი და 9 გოჯი. ზედა ხაზი ცოტათი ნაკლებია, ვიდრე – ქვედა (დასაწყისში მეჩვენებოდა, რომ ამგვარი ფორმა, შესაძლოა, შეიქმნა დროთა განმავლობაში, რყევისგან). 11 საათსა და 15 წუთზე ჩვენ გადავედით წყარო-თავის ნაკადულზე და მის მარჯვენა ნაპირზე განვლაგდით დასასვენებლად. 12 საათისათვის ჩვენ მოვახერხეთ წაგვეხმსა და დაგვესვენა წყარო-თავის ნაკადულთან და დავეძრლიყავით მონასტრისაკენ. სამწუხაროდ, მონასტრის დავიწყებული ნანგრევებისაკენ. მე ვუახლოვდებოდი გულის ფანცქალით, ამიტანა დელვამ, იმიტომ, რომ ვფიქრობდი, ვნახავ თუ არა ადგილზე ჩემს კითხვებზე პასუხის გასაცემად რაიმე გასაღებს. ეკლესია ჯვრისებურია, მაგრამ არა ტოლფერდიანი. გვერდით მხარეებს, თუნდაც ჩრდილოეთ ფრთას, შიგნით აქვს 2 არშინი და 2 გოჯის სიღრმის ჩაღრმავება, მაშინ, როდესაც დასავლეთისას – 2 საუენი, 2 არშინი და 15 გოჯი; გვერდითი ფრთის სიგანე (შიგნით) 2 საუენი და 3/4 გოჯია. ტაძრის სიგრძე საკურთხევის ნახევარწრით 6 საუენი და 1 1/2 გოჯია. საკურთხევის ნახევარწრის სიღრმე 4 1/4 არშინია (სიგრძის და სიღრმის გაზომვისას ხელს გვიშლიდა ბუჩქები და ხეები).

ყოველი ფრთის სახურავი ორფერდიანია, ფასადი, ჩვეულებრივ, კუთხური ზედა ნაწილით. ეკლესია, როგორც ჩანს, გუმბათიანი იყო: ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში შენარჩუნებულია რამდენიმე ქვა ყელის დასაწყისიდან. სახურავი ქვის ფილებისა იყო. ფრთებს შორის მანძილი შეესებოდა ერთფერდიანი სახურავების მქონე ეკვდრებით, სახურავებით, რომლებიც უფრო დაბალია, ვიდრე მთავარი, აღმოსავლეთი ან დასავლეთი ფრთისა ქვის წყობის სამი რიგით. ეკვდრები, როგორც ჩანს, მოგვიანებითაა გაკეთებული, რადგანაც ისინი არასიმეტრიულად არის გამოყვანილი. ასე, ჩრდილო-აღმო-

სავლეთი ეკვდრი თავისი დასავლეთი კედლით იტაცებს ჩრდილო ფასადის ნაწილს (სურ. 38): აღმოსავლეთით იგი 1 არშინითა და 4 1/4 გოჯით გამოდის აღმოსავლეთი ფასადის სიბრტყიდან, მისი ჩრდილოეთი კედელი კი არაა მჭიდროდ გამოყვანილი ჩრდილო ფრთის ფასადთან ერთ სიბრტყეში. ქვის წყობა საგულდაგულოა, მოპირკეთებულია არცთუ მსხვილი, ვარდისფერი, უფრო მეტად ღია რუხი გათლილი ქვებით. სადაც ღია რუხი ფერის ქვებია, იქ გათლილიც უკეთესია, წყობაც უფრო საგულდაგულოა, ქვებიც უფრო მსხვილია. ზოგიერთ ადგილზე, განსაკუთრებით შემორჩენილ ეკვდრებზე, ისინი მჭიდროდაა მორგებული ერთმანეთთან, მთავარ ფრთებზე კი მოსაპირკეთებელ ქვებს შორის მოჩანს ღრიტოები, ხანდახან კირით უხეშად შევსებული. ქვებს შორის არსებული ღრიტოების ზომა რა თქმა უნდა, შეიძლება დამოკიდებული იყოს დროზე. ნებისმიერ შემთხვევაში, მოსაპირკეთებელი ქვები აქაც საკმაოდ სუფთადაა გათლილი. ჩრდილო ფრთის ფასადზე არის ერთი საშუალო ზომის ფანჯარა. მისი პირდაპირი მხარეები ტოლია ქვების წყობის სამი რიგისა. ფანჯარა მოგრძოა, ნახევრადმრგვალი ზედა ნაწილით, შიგნით ძალზე დიდი გაფართოებით. გარედან სიგანე 10 გოჯია, პირდაპირი მხარეების სიმაღლე 1 1/4 არშინზე ცოტა მეტი. ქვა, მორგებული ნახევრადმრგვალ ზედა ნაწილზე, თეთრი და დიდაა. მასზე ორი გამოზურცული წყვილი ხაზით გამოყვანილია ნალი, გარშემორტყმული ფანჯრის ზედა ნაწილზე. ფანჯრის გვერდები, ასევე თეთრი, უკვე რამდენადმე გამუქებული ქვისგან, გალამაზებულია წყვილი ხაზების ორნამენტით. ორნამენტი – წარმოადგენს ერთმანეთთან გადაწნულ წყვილი კონცენტრირებული წრეების ჯაჭვს. ფანჯრის ზედა ნაწილზე, ფასადის წვერამდე ქვების წყობის კიდევ ოთხი რიგია. ფანჯრის ქვეშ ახლა ჩანს წყობის ხუთი რიგი, მაგრამ ეს იმიტომ, რომ ჩამოცვენილმა ქვებმა დაფარა შენობის ქვედა ნაწილი.

შიგნით დასავლეთი ფრთა სამხსრივი კუთხოვანი ბოძით, რომელიც ჩრდილო კედლიდან გამოდის, ორად იყოფა. ყოვე-

ლი ამ ნახევრის ქვედა ნაწილში თითო ღრმა კამაროვანი ნიშაა (როგორც გვერდითი ფრთა). ეს ნიშები ერთმანეთს კარებით უკავშირდება; ისინი გამოდის კიდევ გარეთ ჩრდილოეთისაკენ, ქმნიან რა ჩრდილო-დასავლეთი ეკვდრის ქვედა სართულს. ჩრდილო-დასავლეთი ეკვდრის გარედან ხილული ნაწილი (სურ. 38), დაუფარავი, წარმოადგენს ზედა სართულს.

ჩრდილო-აღმოსავლეთი ეკვდერი გარედან თითქმის მთლიანადაა დაფარული ნახევრებით. შიგნით ის წარმოადგენს სამლოცველოს ან მცირე ეკლესიას: მასში საკურთხეველის ნახევარწრეა ნახევარგუმბათით და შევრილებით. გვერდებზე, საკურთხეველის ნახევარწრეში თითო კვადრატული ფორმის ღრმა ნიშაა. ზედა ნაწილი კამარისებურია. ფანჯარა ერთია, აღმოსავლეთით, მოგრძო, ნახევრადმრგვალი ზედა ნაწილით და ვრცელი გაფართოებით შიგა მხარეს. გასასვლელი დასავლეთ კედელშია (სიგანე 1 1/2 არშინი, არსებული სიმაღლე ნახევრადმრგვალი ზედა ნაწილით 1 არშინი და 11 გოჯია), მაგრამ ეკლესიას ის განასხვავებს, რომ ამ ეკვდერში საკურთხეველიდან არის მეორე სასვლელიც გაცილებით უფრო დიდი (სიგანე საკურთხეველის მხრიდან 2 არშინი და 10 გოჯი, ეკვდრის მხრიდან – 2 არშინი და 15 გოჯი, არსებული სიმაღლე ზედა ნაწილით 1 საუენი და 8 გოჯი<sup>1</sup>): საკურთხეველის ნახევარწრის თითქმის მთელი ჩრდილოეთი ნაწილი უჭირავს ამ კარს. ეკვდრის სიგანე შიგნით 1 საუენი, 1 არშინი და 11 1/2 გოჯია (sic), სიგრძე საკურთხეველის ნახევარწრით – 1 საუენი, 1 არშინი და 8 გოჯი (sic), ეკლესიის კედლის სისქე – 1 არშინი და 5 1/4 გოჯი.

შიგნით ეკლესია არანაკლებ გულმოდგინედაა მოპირკეთებული, ვიდრე გარედან. მაგრამ შემორჩენილია კვალი ბათქაშისა და საღებავისაც კი (წითელი საღებავი), საეჭვოა, მოხატულობის, განსაკუთრებით საკურთხეველის ნახევარწრეში. ტაძრის შუაგული მოფენილია ჩამოცვენილი ქვებით, რომ-

<sup>1</sup> რამდენიც არ დაფარულა.

ლებზეც უკვე ხეებმაც მოასწრო გაზრდა. ქვებითაა სავსე ეკლესიის მთელი ეზო, გარშემორტყმული ქვის ღობით, რომელიც გამოდიოდა ეკლესიის ჩრდილო კედლიდან. ეს ღობე ტეხილი ხაზით მიდიოდა. რადგან მოედანი დაქანებული იყო, როგორც ჩანს, ღობის ქვედა ნაწილი გათვალისწინებული იყო მიწაყრილის (ტერასის) შესაკავებლად, რომლითაც მიწა გასწორებული იყო. ეკლესიისგან სამხრეთ-აღმოსავლეთით, ღობის ხაზში შედიოდა პატარა ეკლესია თავისი აღმოსავლეთი კედლით (ეკლესიის სიგრძე საკურთხევლის ნახევარწრით 1 საუენი, 2 არშინი და 9 გოჯია, სიგანე – 1 საუენი და 15 გოჯი), რომლისაგან, გარდა უკვე დაფარული ქვის წყობისა, შენარჩუნებულია საკურთხევლის ნახევარწრის ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი ნაწილები ნახევარგუმბათის შესაბამისი ნაწილით. მასში მოგრძო ფანჯარაა, მარცხნივ (ჩრდილოეთით) მცირე ნიშა.

მთავარი ეკლესიის სამხრეთი ნახევარი ჩამოქცეულია, დარჩენილი ნაწილი კი ნანგრევებს ქვეშაა. ეკლესიის შუაში დიდი გორაკია. ნანგრევების ქვემოდან მოჩანს სამხრეთ კუთხესთან არსებული დასავლეთი კარის განის ზედა ნაწილი: მას სწორი ზედა ნაწილი აქვს.

ეკლესიიდან გავემართე სამხრეთ-დასავლეთით არსებულ ნანგრევებისაკენ, როგორც შორიდან მეგონა, მეორე, უფრო დიდი ეკლესიისაკენ. პირველი შთაბეჭდილება მე ვერ მოვიშორე მას შემდეგაც, რაც შევედი ბრწყინვალე არქიტექტორული მორთულობის, სუფთა, ნატიფი ქვების წყობიან ვრცელ დარბაზში. მაგრამ შენობა ისეა ორიენტირებული, რომ აღმოსავლეთი მოდის პირდაპირ მის კუთხესთან, რომელიც ეკლესიისაკენ არის მიმართული. გარდა ამისა, არ არის გეგმის დაწვრილებითი მონაცემები, რაც ტაძრისათვის აუცილებელია. შენობის ჩრდილო-დასავლეთ კედელზე მიშენებულია ოთახების რიგმა (ისინი ერთი-მეორის მიყოლებით იყო აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით) დამარწმუნა, რომ საქმე გვაქვს სამონასტრო სათავსოსთან. ეს დარბაზია (საოსტიგენე), ან სატრაპეზო სარდაფის სართუ-

ლით, რომლის შესასვლელი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან (დასავლეთისაკენ გადახრით) თითქმის ბოლომდე დაფარულია ნაყარით. ამ კარს (სიგანე 1 არშინი და 12 გოჯი, შემდეგ ეს სიგანე ვიწროვდება დასავლეთიდან მიშენებული ოთახის კედლით (resp. ჩრდილო-დასავლეთიდან), ამიტომ კარის სიგანე 1 არშინი იყო) შეეყვართ ვრცელ ოთახში ფანჯრით ხევისკენ, მაგრამ ოთახს ზედა დარბაზის ფართობის მცირე ნაწილი უჭირავს (მისი სიგრძე 3 საუენი, 2 არშინი და 3 1/2 გოჯია, სიგანე 1 საუენი, 1 არშინი და 1 1/2 გოჯი, სიმაღლე, რომელიც შეინიშნება, თაღის სიმაღლის ჩათვლით – 1 საუენი და 8 1/4 გოჯი). ფანჯარა მდებარეობს მოკლე მხარეზე. ოთახი სიგრძეში თაღოვანია. დარბაზი თავისი ქვედა სართულით სენაკების ხაზიდან გამოდის ხევისაკენ.

დარბაზის კედელი გარედან წყობის მიხედვით ორ – ზედა და ქვედა ნაწილად იყოფა (სურ. 39). ქვედა ნაწილი უფრო სქელია. იგი მოპირკეთებულია უფრო უხეშად, უბრალოდ, თანაბარი საპირე ქვებით: ქვები ზოგი წვრილია, ზოგიც საკმაოდ მსხვილი. ზედა ნაწილთან შეერთებისას ქვედას შეერილი აქვს. ზედა ქვა, რომლითაც მთავრდება ქვედა სართულში შემავალი კარის განი, ამ შევრილთან ხაზზეა. სენაკების რიგი, დარბაზს დასავლეთიდან მიშენებული, გრძელდება 6 საუენსა და 6 1/4 გიჯზე. დარბაზის კედლის ქვედა, უხეშ ნაწილს, ხევის მხრიდან აქვს 8 თუ 9 ფანჯარა. ორი ზედა რიგში, ერთი – უეჭველად იმ ქვედა ოთახის ფანჯარაა, რომელში შესასვლელიც არ არის ბოლომდე დახშული; ორი თუ სამი – უფრო ქვემოთაა. ოთხი – ქვევით. ოთახები, რომლებსაც ისინი ანათებდნენ, ახლა არ ჩანს. კედლის ზედა, საგულდაგულოდ გამოყვანილ ნაწილში იმავე მხრიდან ასევე არის ფანჯრები. ხევისკენ მიმართული ფანჯრებიანი კედელი, სიგრძით 8 საუენი და 7 1/4 გოჯი, მოპირკეთებულია ნატიფად. ზედა ნაწილში 8 ფანჯარაა: ისინი მოგრძოა. ქვემოთ, ცენტრში დიდი, გვერდებიდან – ორი უფრო პატარა. უფრო მცირე გვერდებიდან თითოეულზე ორი კიდევ უფრო მცირე. ამ მოგრძო, პატარა ფანჯრებზე ცო-

ტათი დიდი ჩანს მცირე ფანჯარა ცენტრალური დიდი ფანჯრის ზემოთ. გარდა ამისა, გვერდებიდან, ცენტრალური ფანჯრის ზემოთ, თითო პატარა ფანჯარაა, დასავლეთიდან მრგვალი, აღმოსავლეთიდან – რამდენადმე მოგრძო მომრგვალებით. ხევის მხრიდან კედლის ზედა ნაწილი არაერთნაირად არის ამოყვანილი. სახურავის დაქანების ქვეშ რიგები ისევე უხეშადაა ნაშენები, როგორც ქვედა ნაწილი. კედლის ქვედა ნაწილის სიმაღლე 4 საჟენი და 9 1/2 გოჯია. ცენტრალური ფანჯრის ძირს წარმოადგენს კედლის ქვედა ნაწილის ზედა მხარე, იგივე შევრილი.

საკნების კედლის წინ, ხევის მხარეზე დაქანება გასწორებული იყო ქვების წყობით; გაკეთებულია ერთგვარი ტროტუარი, სადაც ერთი კარი გადიოდა. ამ კარის დასავლეთით ორი ოთხკუთხა ფანჯარა იყო, აღმოსავლეთით ერთი: იყო მეორეც, დარბაზის კედელთან ახლოს, მაგრამ ის ძველადვე ყოფილა ამოშენებული.

მინაშენის ჩრდილო-დასავლეთი მხარე (მისი ვიწრო მხარე გარედან 3 საჟენი, 1 არშინი და 4 გოჯია) რიგ ოთახებადაა დაყოფილი, თუმცა არა რიგ, არამედ ორ ოთახად: 1. დარბაზთან უახლოესი, კარით და ერთი ფანჯრით (მეორეს შესახებ ზემოთ); 2. ამ ოთახის მომიჯნავე ოთახი ორი ფანჯრით ერთ მხარეზე (იხ. ზემოთ). ამ ოთახში შესასვლელი პირველი ოთახიდანაა დიდი თაღოვანი კარის გავლით შუალედური კედლის სისქე 1 არშინი და 4 გოჯია.

რიგში ორი ოთახი გადახურული იყო გრძლივად ორფერდა სახურავით. ამჟამად ამაზე შეიძლება საუბარი დასავლეთი, უფრო სწორედ, ჩრდილო-დასავლეთი კედლის დაქანების შესაბამისად.

დარბაზი, ან სატრაპეზო, ანუ ის, რაც საოსტიგნეა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“, შიგნით საუცხოო შთაბეჭდილებას ახდენს სივრცით, სუფთა ნამუშევართ, არქიტექტორული მორთულობის ზომიერებით, ქვების წყობის გულმოდგინეობით და ქვის ღია ფერით.

სამხრეთ-აღმოსავლეთი კედელი ჩამოიშალა და მასზე რაიმეს თქმა შეუძლებელია. ნარჩენებიდან ჩანს, რომ იგი ნატიფად იყო მოპირკეთებული, როგორც კედლის საუკეთესოდ შესრულებული ნაწილები. აქვე, ჩანს, იყო მთავარი შესასვლელი. ჩრდილო-აღმოსავლეთი კედელი ყრუ იყო. არსებული მასალების მიხედვით, მასზე მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ის შიგნიდან ნაკლებად სუფთად იყო მოპირკეთებული. ჩრდილო-დასავლეთ კედელს ჰქონდა კარი, სამხრეთ-დასავლეთით პირველ ოთახთან დამაკავშირებელი. კედელზე არის ორი ნახევარსვეტის ნარჩენები, რომლებიც გამოდიან თაღის დასაწყისის ქვეშ ქვების დაბალი, სულ სამი რივის წყობიდან (იატაკს ისინი საკმაო მანძილით ვერ წვდებიან). იმ სვეტზე, რომელიც უფრო ახლოსაა სამხრეთ-დასავლეთ კედელთან, შენარჩუნებულია ღამაზი, მარტივი, წნული მოხატულობა (ბარელიეფურად). იგივე კედელი, ჩრდილო-დასავლეთი, შენახულია თაღის დასაწყისით. დარბაზი გადახურული იყო ორფერდად, მისი წინა ფასადი ხევისკენ იყო მიმართული. შიგნით დარბაზი გრძივად იყო გაყოფილი ოთხ განყოფილებად ოთხი თაღოვანი ჭერით, რომელთაგან ორის (ჩრდილო-დასავლეთ კედელთან უფრო ახლოს მდებარეთა) ჩრდილო-აღმოსავლეთ კედელზე კვალია დარჩენილი. მაგრამ თუ როგორ იყო ეს თაღები გამოყვანილი, ამ საიდუმლოს გახსნის მხოლოდ ადგილზე საფუძვლიანი გათხრები. თუმცა საკმარის სარწმუნოდ შეიძლება იმის გაგება, რომ შიგა მოგრძო კამარები ეყრდნობოდნენ სვეტების რიგებს. ახლა მთელი დარბაზი, ფანჯრების ქვედა რიგი მალა, არათანაბრად ნახევრამდე და მეტიც, ჩამოცვენილი ქვებითაა სავსე. შიგნით გაიზარდა ახალი ტყე გვერდით მდგარ მრავალწლიან, მობერებულ უხრავის ხესთან ერთად: რომლის გადაზნექილ ვარჯს ერთი ადამიანი ხელებს ვერ შემოუწვდენს. ამ ხეებმა შეუშალეს კიდევ ხელი შიგნიდან შემორჩენილი სამხრეთ-დასავლეთი კედლის გადაღებას. ფანჯრები უკვე ჩამოთვლილია, ვაკეთებ დამატებას: ყველაზე პატარა ფანჯარა ცენტრალური ფანჯრის გვერდით, მარჯვნივ (გარედან მაყურებ-

ლისათვის მარცხენა მხარეს) მრგვალი კი არა, გვირგვინითაა. ზოგიერთ ფანჯარას შიგნით ორნამენტი აქვს, ან ზედა ნაწილის ირგვლივ (ხალიჩით), ან წვეილი ნახევარსვეტების კაპიტელებზე, რომლებიც გარშემორტყმულია ცენტრალური ფანჯრის ირგვლივ (სიმეტრიის გარეშე: ერთ მხარეს წნული, მეორე მხარეს – გრეხილი). დარბაზის სიგრძე შიგნით (ფერდის მიხედვით) 6 საუენი, 1 არშინი და 6 გოჯია, სიგანე – 7 საუენი და 3 გოჯი.

ეკლესიის ღობე ნაწილობრივ მოიცავს ამ შენობას: ის ეკვრის სამხრეთ-აღმოსავლეთ კედელს, შემდეგ კი ამ დარბაზის კედლის ქვედა ნაწილი წარმოადგენს ღობის თავისებურ გაგრძელებას.

ცალკეულ მიუწვდომელ სიმაღლეებზე დასავლეთიდან არის ე.წ. „ყულები“, თითქოს საყარაულო სიმაგრეები, მაგრამ, როგორც ჩანს, ეკლესიები. და მართლაც, 5 საათსა და 20 წუთზე დავიძარით რა წყაროს-თავის მონასტრიდან, 10 წუთში ჩვენ ვიყავით ჩემ მიერ შემჩნეულ ოთხ ამგვარ „ყულათაგან“ ერთ-ერთთან. ის აშენებულია დაღმართთან, გზიდან მარცხნივ და უკეთესადაა შენახული. შესასვლელი არ არსებობს. მისადგომი მხრიდან შესასვლელი არ არის, უნდა იცოცო კედლის შვერილებზე, რომელზეც დგას ნაგებობა და იცოცო ზევით, საპირისპირო მხრიდან, მარჯვნივ, უფსკრულის თავზე. აცოცების შემდეგ თქვენ წინაშე გაქვთ უფსკრულის პირას რამდენიმე ნაბიჯის მოედანი, მარცხნივ კი – სამხრეთი კარი შავშეთ-იმერხევის ტიპის პატარა ეკლესიისა (სიგრძე 6 ნაბიჯი, სიგანე – 4). სახურავის გარდა ყველაფერი შემონახულია. ერთ-ერთი ასეთი ნაგებობა შორიდან ორსართულიანად მოჩანს. ორიენტირება არაზუსტია. ამას, ჩემს მიერ დათვალიერებულს, აქვს მცირე გადახრა ჩრდილოეთისაკენ. მონასტერსდაქვემდებარებული ნაგებობები განსაკუთრებით ამ მხარეს (ჩვენ ახალთაში მივიღვართ) უამრავია: მე ისინი ათამდე დავთვალე, მათ შორის თაღოვანი შენობებიც. ასევე საინტერესოა, რომ გზად ეკლესიისაკენ (სიმაგრისკენ) არის ქვის საწნახელი. საწნახელს ვარკვევ ადგი-

ლობრივი გლეხების მითითებით. ერთ-ერთმა, ჭკდილის მამასახლისმა, ქვემოთ, აქედან მარცხნივ მიანიშნა „ვერანა ბაღებს“, რომლებიც სულ მცირე ხანია, რაც კვლავ დაამუშავეს, როგორც ვენახი და იძლევა დიდებულ ყურძენს. ბაღები ეკუთვნით ძმებს ალი-მეჰმედ-ოღლისა და საიდ-რეს-ოღლის და კიდევ მეჰმედ-ალი ოსმან-ოღლის (ყველა ჭკდილიდანაა). ჩამოსვლა, მგონი, უფრო ძნელი აღმოჩნდა, ვიდრე ასვლა, თუმცა სადამოვდებოდა და მზე არც ისე მცხუნვარე იყო. სირთულე იმაში მდგომარეობდა, რომ ბილიკისმაგვარი, რომლითაც ჩვენ ვეშვებოდით, ხშირად სრულიად ქრებოდა და გვიხდებოდა უკან დაბრუნება, რომ კვლავ გაწყვეტილ ძაფზე მოემსტარიყავით. იქ კი, სადაც ბილიკი არ ქრებოდა, ის ყველგან წარმოადგენდა გვერდისკენ დაქანებას, რომელიც მცირედით განსხვავდებოდა მთის ფერდისაგან, ან პირდაპირ დაქანებად მიდიოდა. მაგრამ განსაკუთრებულ სირთულეს ის ქმნიდა, რომ ბილიკი სქლად იყო მოფენილი გასული წლების სრიალა მშრალი ფოთლებით. ფოთლებს უფრო ქვემოთ ცვლიდა დაგორგლილი ქვიშის ბურთულები, ძალიან გამოსადეგი სასრიალოდ, ამიტომ ძალიან საშიში ფერდობზე გამავალ ან დაქანებული ბილიკისათვის. მაგრამ ეს ბილიკი ძველი გზის ნარჩენია. ალაგ-ალაგ შემორჩენილია საგზაო ნაგებობის ძველი ქვის წყობა. გავიარეთ რა ხმაურიანი კარჩხალას მუდმივ ხიდზე, რომელიც ჩვენს თვალწინ ააგეს სამი კოჭიდან და იმწუთშივე დაშალეს ყოველგვარი მოწყობილობის გარეშე 7 საათსა და 10 წუთზე მშვიდობიანად მივალწიეთ ახალთაში.

**12 აგვისტო, ხუთშაბათი.** 8 საათსა და 55 წუთზე დავიძარი ახალთადან სამხრეთისაკენ მცირე საგზლით ჩიდილში დაქირავებულ ახალგაზრდა ყმაწვილთაგან ერთ-ერთის, ისმილ ალი-ოღლის ჩანთაში (**ჰეზა** ან **ჰენგა** ქართულად, მაგრამ ადგილზე არ გამოიყენება ქართული ფორმა **აბგა**), რომელსაც მოჰქონდა სამფეხაც. მეორე ყმაწვილს, საბით ისმილოღლის მოჰქონდა ფოტოაპარატი ბაწრებით ზურგზე მიმაგრებული. მესამე – ფეილულ ეზ (ეზიზ)-ოღლი. არტანუჯელი

ჩაფარი ამბარძუმი თოფით შეიარაღებული მიგვაცილებდა ჩვენ. პატრონი, მეჭმედ ოსმან-ოღლი, ახალთაში ორი სახლის მეპატრონე, სადაც ჩვენ ღამე გავათიეთ და ჩვენი პატრონი, ასევე ახალგაზრდა კაცი, მე წინ გავგზავნე, რომ მოემზადებინათ კიბე, რადგან წინა საღამოს ამბობდნენ, რომ კიბის გარეშე მე ვერ ავიდოდი საკუთრივ ეკლესიაში – ნუკა-საყდარში ან ნუკი-საყდარში. მისი პირველი ნახვითანავე ჩემი აზრი იქით იყო მიმართული, როდესაც მე წყაროს-თავში მივდიოდი. ის უნდა გამხდარიყო პირველი მიზანი დღევანდელი ექსკურსიისა.

ამრიგად, ჩვენ გამოვედით 8 საათსა და 55 წუთზე, მაგრამ პირველივე ნაბიჯებისას ჩექმებმა, გუშინდელი მუშაობის შემდეგ, დაიწვეს თხილამურების სრიალი. მოხუცმა, რომელმაც ჯერ კიდევ სახლთან დაინახა წონასწორობის შესანარჩუნებლად ჩემი ტანის მოძრაობები, ირონიულად შენიშნა თურქულად: „და ამ ბატონს კიდევ აქვს სურვილი ავიდეს ნუკა-ქილისაზე!“ მე ვიყავი ჯოხით, რომელიც გუშინ გამოჭრეს ჩემთვის წყაროს-თავისაკენ გზაზე, მაგრამ ის არ მშველოდა, რადგან ჩექმები საშინლად სრიალებდა. წაღები გუშინ მამასახლისს ვაჩუქე, რადგან დავრწმუნდი, რომ მათგან არანაირი სარგებელი არ არის. მამასახლისი წულებში სრიალებდა და ეცემოდა კიდევ, რაც მე ჯერ არ მომსვლია. მაშინ ახალგაზრდა საბითმა შემომთავაზა ქალამნები, ძირებზე წნულით, რომელიც ჩამოცმული ჰქონდა თავის გლუვიძირიან ქალამნებზე. მე დავთანხმდი, ჩამოვიცივი ჩექმებზე და ვიგრძენი მნიშვნელოვანი შვება: ფეხები ისე მქონდა, თითქოს სწორ ადგილზე, მყარად და მხოლოდ დასაწყისში გაუბედაობა და შეუჩვევლობა მიშლიდა ხელს დაჯერებულად მევლო. ცოტა ხნის შემდეგ მე მივდიოდი ისე, რომ ჯოხს მხოლოდ ჰაერში ვათამაშებდი, ისეთივე სისწრაფით, როგორც ჩემი ადგილობრივი თანამგზავრები დამრეც „ბაწარზე“, რომელსაც გზა ეწოდებოდა, უფსკრულისა და ფერდობების მიღმა. ჩვენ 20 წუთი ვიარეთ სულ მთის ტყიანი ფერდობით კარჩხალას მარჯვენა ნაპირის თავზე. დროდად-

რო ჩვენს ფეხებსკვემოდან ვარდებოდა ქვა და ნათლად გვანვივებდა, თუ როგორი იქნებოდა ჩვენი ბედი, ადგილიდან რომ დაგვქანებულყავით. სამი-ოთხი წამი გორვის შემდეგ ქვა წყვეტდა ხმაურს და მისი ბედის შესახებ ჩვენ ვხვდებოდით მხოლოდ კარჩხალას წყალში მისი ხმამაღალი ტყაპანით.

ოციოდე წუთის შემდეგ ჩვენ პირდაპირი კუთხით შევუხვიეთ მარჯვნივ, დავტოვეთ ე.წ. გზა უგზო ციცაბო აღმასვლისათვის. თუმცა სოფლელები ამტკიცებდნენ, რომ ეს გზაა და შეუსვენებლად მიიჩქაროდნენ ზემოთ ტვირთიანად. მე ვცდილობდი, მათ გავეყოლოდი, მაგრამ აქ უკვე ჯოხს ვიყენებდი, ერთ ადგილზე კი საბითმა ხელი შემაშველა, რაც სიამოვნებით მივიღე. მე დამავიწყდა მეთქვა, რომ გზად შევხვდით ნაჯახით შეიარაღებულ მეჭმედ ოსმან-ოღლის. მან გადაწყვიტა ჩვენთან ერთად წამოსულიყო და ჩვენს თვალწინ კიბე გაეკეთებინა<sup>1</sup>. როდესაც ჩვენ ნუკას ეკლესიის მოედანს მივადწიეთ, თუკი მოედანი შეიძლება ეწოდოს ნახევრადციცაბო დაქანებას, ტყეში (ხეები მეჩხრადაა, მაგრამ ძეგლები, მალეები, ნიადაგი დაფარულია ეკლით და ბალახით, გვხვდება კავკასიური „მაყვალი“), წყაროსთან, ეკლესიის საძირკვლის დონეზე, მისგან სამხრეთ-დასავლეთით, მომესმა ბიჭების ხმა. ესენი იყვნენ ახალგაზრდა მწყემსები, ჩემი პატრონის შვილები; უფროსი იყო არაუმეტეს 10 წლისა. აქვეა პატარა ფარა თიკნებისა და ბატკნებისა, რომელიც მათ წყლის დასაღვეად მორეკეს. და ჩვენ გამოვედით თუ არა ეკლესიის ღობესთან, ერთი ბატკანი ჩამოვარდა კლდიდან, იქვე, ქვემოთ დაეცა, პატარა სიდრმეზე, მაგრამ ქვაზე. ის განწირული ხმით კიკინებდა, არ შეეძლო მოძრაობა. მეჭმედმა, ჩვენმა პატრონმა, ქამარში გაირჭო ნაჯახი და იმწამსვე გაჩ-

<sup>1</sup> რაც მან გააკეთა კიდევ, ე.ი. მოჭრა ორი ახალგაზრდა ხე, მოაცილა ტოტები, თუმცა მათი ძირები ხის ვარჯთან დატოვა. მათი გამოყენებით, ერთის მხრივ და კლდის შეფერილებით, მეორე მხრივ, მე ავცოცდი ეკლესიაში. მოსატრეფი გახდა რამდენიმე დიდი ხეც, რადგან ისინი ფარავდნენ ხედს ეკლესიაზე სამხრეთ-დასავლეთიდან და, განსაკუთრებით, კლდეზე, რომელიც მე შემდგომ გადავიღე.



ნდა ბატკანთან; ასწია იგი და გადაიყვანა უფრო უსაფრთხო ადგილას, გაუჭრა ყური და ბატკანი ამოძრავდა.

გზიდან ეკლესიამდე ავედი 15 წუთში. ორიოდეჯერ მე რამდენიმე წამით გაუჩერდი სულის მოსათქმელად. ჩემი პირველი შთაბეჭდილება იყო, რომ ვარ ხანძთაში.

ადგილმდებარეობა ასეთია: აღმოსავლეთით კარჩხლასაკენ მიმართულ მთის ფერდობზე წარმოქმნილია კალთა ან ღარტაფი ორი კუთხად შემხვედრი სამხრეთი და ჩრდილოეთი ფერდისაგან. ფერდობების შეხვედრის ხაზზე რაკრაკით მოედინება არცთუ უხვი წყარო. ჩრდილოეთ ფერდობზე, ჩრდილოეთიდან მოჭრილი მაღალი კლდოვანი კედლით, დგას კიდევ ეკლესია.

ეკლესია გამოყვანილია კლდეზე. ეს კლდე გამოდიოდა მთის ფერდობიდან აღმოსავლეთით კარჩხლასაკენ ათითორმეტი საუენით, ერთ დროს სწორი, სქელი ფიგურა, როგორც მაღალი, ვიწრო კოშკი. მაგრამ ვიწრო მხარე რამდენიმე საუენის იყო. სამი მხრიდან, ჩრდილოეთი, აღმოსავლეთი, რომელიც მიმართულია კარჩხლასაკენ და სამხრეთიდან ამ კლდე-კოშკის კედლები იყო ერთნაირად, ან თითქმის ერთნაირად ციცაბო. სამხრეთიდან, მისი სიმაღლის ნახევართან, როგორც ჩანს, იყო შევრილები. ყველაზე მაღალი, რა თქმა უნდა, ციცაბო მხარეა, აღმოსავლეთისაკენ<sup>1</sup>, კარჩხლასაკენ მიმართული. ეკლესია (სურ. 40) ჩასმულია ამ კლდეში სამხრეთიდან, შუაში, ან რამდენადმე კედლის შუას ზემოთ, კედლისა, რომლის სიმაღლეც დაახლოებით 30 საუენია.

<sup>1</sup> მე უნდა შევნიშნო, რომ ეს საკუთრივ აღმოსავლეთი კი არა, სამხრეთ-აღმოსავლეთია. მაგრამ ეკლესიაც მიმართულია ასევე სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, და ამიტომ, თავიდან რომ ავიცილო დაბნეულობა, კედლის მხარეებს, ისევე როგორც ეკლესიის კედლებს ვუწოდებ აღმოსავლეთს, მაშინ როდესაც ის სამხრეთ-აღმოსავლეთია, დასავლეს, როდესაც ის ჩრდილო-დასავლეთია, და ჩრდილოეთ, როდესაც ის ჩრდილო-აღმოსავლეთია, სამხრეთს – როცა ის სამხრეთ-დასავლეთია.

სამხრეთიდან 9 საუენის სიმაღლეზე<sup>1</sup> გამოკვეთილია მცირე მოედანი, ან, უფრო სწორედ, ბუნებრივი შევრილი, მხოლოდ ოდნავ გაფართოებული, გამოყენებულია როგორც მოედანი; მაგრამ ეს მოედანი არ არის მთლიანად გასწორებული წერაქვით, არამედ – მხოლოდ ნაწილობრივ, ნაწილობრივ ქვის წყობით. ქვის წყობით რომლითაც გასწორებულია მოედნის უსწორმასწორობა. ერთ ადგილას ქვის წყობა მხოლოდ ხუთრიგანია, რადგან მის ქვეშ მოედანზე კლდე იყო. სამხრეთი კედლის დასავლეთ ნაწილში ქვის წყობა 23 რიგია. ფუნდამენტის დასავლეთი კედელი იწყება იმავე დონიდან, ოღონდაც ქვის წყობის ჩრდილოეთი ხაზი სიმაღლეში ტეხილია. ამასთანავე, რაც უფრო მაღალია ქვის წყობა, მით უფრო სქელია ეს ხაზი და ყველაფერი ეს დამოკიდებულია კედლის შევრილებზე; ქვემოთ შევრილები უფრო ფართეა, მაღლა, უფრო მცირე, ვიწრო. გარდა ამისა, დასავლეთის ქვის წყობა კუთხეს არ ქმნის სამხრეთის წყობასთან. არამედ ის სამხრეთიდან მრგვალებს იხე, რომ არ აღწევს სამხრეთ-დასავლეთ კუთხეს დაახლოებით 1/2 არშინზე.

აღმოსავლეთი მხრიდანაც საძირკვლის წყობა იმ დონიდანაა გამოყვანილი, რომლიდანაც სამხრეთ-დასავლეთი, მაგრამ სამხრეთით ის გამოდის მხოლოდ ერთი, ადგილ-ადგილ ორი, ქვის რიგში.

მთლიანობაში, საძირკვლის წყობის სამ მხარეს<sup>2</sup> აქვს ქვედა სართულის სახე. და, მართლაც, იქ არის სათავსო დასავლეთის მხრიდან შესასვლელით და ორი პაწაწინა ფანჯრის ხვრელებით სამხრეთ კედელში, ერთი მეორის ზემოთ. პატარა ოთხკუთხა კარის განი ახლაც შენარჩუნებულია დასავლეთ, მომრგვალებულ კედელში. ამ განის ზედა კედლი მდებარეობს ქვის წყობის ზემოდან მეორე რიგში.

<sup>1</sup> საუენი სიმაღლე სამხრეთ-დასავლეთ კუთხის ქვეშ; აღმოსავლეთი კედლის ქვეშ – ციცაბო კედელი უფრო მაღალია იმ სხვაობაზე, რომელსაც ქმნის მთის დაფერდება.

<sup>2</sup> მეოთხე, ჩრდილოეთის მხარედ წარმოდგება თვით კლდე, რომელიც იჭრება ქვის წყობის რიგებში, ზოგჯერ სხვა მხარეებიდანაც.

კარში შედიოდნენ ქვემოდან, სადაც მაშინ, შესაძლებელია, კიბე იყო, ან კლდეში გამოკვეთილი იყო საფეხურები. საძირკვლის ეს დასავლეთი კედელი ქვის წყობის ორი-სამი რიგით იყო სხვა მხარეებზე უფრო დაბლა. მისი ზედა ნაწილი კი გამოიყენებოდა როგორც ეკლესიის დასავლეთი კარის წინ მოედანი, მისი ერთადერთი შესასვლელი. ეკლესიას საფუძველი ჩაეყარა და აშენებულია აღწერილ საძირკველზე, რომელიც ქვედა სართულს წააგავს. ეკლესია, რა თქმა უნდა, უფრო ვიწროა: საძირკვიდან სამხრეთით, ზემოთ დარჩენილია მცირე შვერილი (შეადარეთ, წყაროს-თავის დარბაზის ქვედა სართულს).

ეკლესია ბაზილიკის მსგავსია. გვერდითი, სამხრეთი ნაწილი განიდან იწყება თავისი დაქანების ზედა ნაწილით, ქვის წყობის სამი რიგით უფრო ქვემოთ, ვიდრე ცენტრალური. თვით გვერდითი სამხრეთი ნაწილი 8 რიგი ქვის წყობისაა. ჩრდილოეთი ნაწილი შერწყმულია კლდესთან, ის გარედან არც გამოიყოფა.

დასავლეთ კარს აქვს კადონი მასიური, მთელი ქვიდან. ფანჯარა კარს ზემოთ – მოგრძო და ვიწრო.

ორი ფანჯარა სამხრეთით, ერთი შუა ნაწილის სამხრეთ კედელში, გვერდითი ნაწილის სახურავზე, მეორე – პირველის ქვეშ თვით გვერდითა ნაწილი. ქვის წყობა უბრალოა, საპირე, მაგრამ საშუალო ზომის არამოსაპირკეთებელი ქვებით. ქვები გათლილია, მაგრამ არა სუფთად, არც მჭიდროდ არიან მორგებული ერთმანეთთან. თანაბრობა დაცულია მხოლოდ მოცემული რიგის ქვების სიმაღლის მიმართ, თუმცა არცთუ მკაცრად. ცენტრალური ნაწილის სახურავი ორფერდაა, გლუვი კარნიზით, უორნამენტო.

ჩრდილოეთიდან ეკლესიაზე ამოზიდულია კლდის ციცაბო კედელი იმ სიმაღლისა, რაც უდრის, მეტს თუ არა, ეკლესიისა და მისი ხელოვნური მაღალი საძირკვლის ერთად აღებულ სიმაღლეს. აღმოსავლეთიდან, კარჩხალას მიღმა აზიდულია **სამყინარას** მაღალი მთა.

ამოყვანილი საძირკვლის ფუძის ქვემოთ, სამხრეთ-დასავლეთით, შენახულია მონასტრის ღობის ქვედა ნაწილი. აქ არცთუ ისე ფართე ღობისთვისაც არ იყო საკმარისი ადგილი და ამიტომაც მისი ქვის წყობა ეფუძნება თაღს (სურ. 41). შემდეგ ღობის მაგივრობას სწევდა ბუნებრივი კლდე, რომლის იქით კვლავაა შემორჩენილი ეკლესიის ღობის ქვის წყობა მონასტერში შესასვლელით (გასასვლელი ისე ვიწროა, მას ჭიშკარს ვერ უწოდებ): სიმაღლე 2 არშინი და 9 გოჯია, სიგანე – 1 არშინი და 12 გოჯი.

უხვევს რა სამხრეთით, მონასტრის კედელი შემდეგაც გრძელდება თითქმის წყარომდე. წყაროდან თხუთმეტოდენ ნაბიჯში მსხვილი ქვების კაპიტალური წყობაა. ღობის ხაზიდან სამი მხარით გამოდის კოშკის ფორმის ნაგებობა. პირის მხარე მიმართული ქვემოთ, კარჩხალასაკენ, სიგანით 2 არშინი და 14 1/4 გოჯი (სურ. 42). ეს კოშკისებური ნარჩენია 1 საუენი და 2 არშინი სიმაღლით<sup>1</sup>. აქ, შესაძლებელია, მართლაც იყო მონასტრის ღობის კუთხე. აქედან ღობე უხვევდა დასავლეთისაკენ. შეიძლება აქ საღდაც ჭიშკარიც იყო, მაგრამ ახლა მეტს ვერაფერს გაარჩევ. ყველაფერი დაფრთხილ-დაფარულია. კოშკისებური ნაგებობის დასავლეთ წყობასთან იზრდება უზარმაზარი, მაღალი ხე, ადგილობრივთა მიერ „დიშბუდაგად“ სახელდებული. თვით იმ ნაგებობის ნარჩენზე იზრდება შინდი.

მონასტრის ღობის წყობის ამ ხაზის ზემოთ, რამდენიმე საუენში, შემორჩენილია სხვა ხაზის ნარჩენები, ჩვენამდე მოღწეული ნაწილით რომ მიდის პირველის თითქმის პარალელურად. ის, უხვევდა რა აღმოსავლეთით, უერთდებოდა დასავლეთ კედელს, რომელიც კოშკისმაგვარი ნაგებობიდან ამოდიოდა. სად იწყებოდა მეორე ხაზი, ძნელია თქმა, როდესაც ყველაფერი დაფარულია ნანგრევებითა და ნაყარით. ეს ნანგრევები არ არის მარტო ღობის ნაწილი, არამედ ნაგებობისაც, რომელიც იყო მასში ან მის იქით. ქვის წყობის ნარ-

<sup>1</sup> წყობის ჩამოშლილი ნაწილიდან.

ჩენი და ნანგრევების გროვა შეინიშნება წყაროს იქითაც<sup>1</sup> სამონასტრო შენობების დონეზე. ჩემ მიერ მონასტრის ეზოსთვის მონიშნული ადგილის ზემოთ, რომლის ღობე ძირითადად შეიმჩნევა, შევნიშნე იმავე ხასიათის ქვის წყობები, როგორც ჩემ მიერ აღწერილი კოშკის მსგავსი ნაგებობის ნარჩენი. თვით ეზო ჭიშკრიანი კაპიტალური კედლით ორ ნაწილად იყოფა. ეს კედელი სწორ კუთხეს ქმნის ღობესთან ხევის თავზე, რომლის კუტი კარი შემორჩენილია ნანგრევებში (სურ. 41). ამ კედლის მიერ მოჭრილი ნაწილი, რომელიც ტაძარს ეკვრის, იყო, როგორც ჩანს, ეკლესიის ეზო. მოედანი შეიძლება ყოფილიყო 40 კვადრატული საუენი.

ტაძარი შიგნით.

როგორღაც შეიძლებაოდა კიდევ გარედან გვემსჯელა. ჩრდილოეთი ნაგი არ არსებობს, მაგრამ არა მთლიანად. საკურთხევლის ნახევარწრის გვერდით ჩრდილოეთიდან არის ეკვდერი. აქ, როგორც ჩანს, იყო თავისუფალი ადგილი, რომ დატყეულიყო ჩრდილოეთი ნაგის აღმოსავლეთი ბოლო. და ამ ბოლოსაც, ანუ ჩრდილო-აღმოსავლეთ ეკვდერსაც აქვს თავისებური ფორმა, რადგან კლდე იჭრება მასში და ადგილ-ადგილ ცვლის ხელოვნურ წყობას. ასე, დასავლეთი კედელი და თაღის დასაწყისი გამოკვეთილი იყო კლდიდან: ზუსტად კლდიდან გამოკვეთილი იყო ჩრდილო კედელიც. სამხრეთ-დასავლეთი კუთხე არ არის: მის ნაცვლად არის მომრგვალება. თაღის ჩრდილოეთი ნახევარი ასევე კლდიდან არის

<sup>1</sup> წყაროს სათავე უფრო ზემოთაა. წყალი აქაც ისეთივე ცივია, მაგრამ ძლიერი ნაკადის გამო დინებას მოაქვს მიწა და ნაწილობრივ ამღვრევს წყალს. მონასტრის ზემოთ, მაცნობა მოხუცმა ხემომ, არის პატარა ქვაბები, მაგრამ ისინი სრულიად დანგრეულია, ან ნახევრად ჩამოქცეული. გზა მათკენ სრულიად მიუვალია. უფრო ზუსტი ცნობა მომცა ჩემმა ახალთელმა მასპინძელმა მეჰმედ-ალი ოსმან-ოღლიმ: ხანძის ზემოთ, სამიოდე წუთის სავალზე არის ორი პატარა გამოქვაბული ერთმანეთის მახლობლად. ერთი მათგანი ჩამოიქცა, მეორე კი სრულიად მრთელია. ვწუხვარ, რომ ვენდე რა მოხუცი ხემოს ცნობას, თავის დროზე არ ვკითხე სხვებს და არ დავათვალიერე ადგილზე გამოქვაბულები. მეჰმედ-ალის შესწორება აქ შემომაქვს მასთან საუბრიდან, რომელიც შედგა 13 აგვისტოს საღამოს.

გამოკვეთილი, იმავე კლდიდან, რომელიც ჩრდილოეთი კედლის როლს ასრულებს. თაღის სამხრეთი ნახევარი აგებულია ქვის თხელი ფილებისაგან, თითქოს აგურებისაგან, მაგრამ უფრო ბრტყელი და თხელისაგან. თაღი არაა მრგვალი: მისი გამოკვეთილი ჩრდილოეთი ნაწილი უხეშად არის დამუშავებული, სამხრეთი კი მიდის დაფერდებით, ისე რომ შეერთებისას შექმნას კუთხე. ჩრდილო კედლის ფუძის გასწვრივ მიდის დაბალი ქვების წყობის ორი რიგი, თითქოს დასაჯდომად. ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში ბუნებრივი ღრმულია, ვრცელი, ჩაშენებული ქვის წყობით, რომელსაც ქვემოთ გაკეთებული აქვს კვადრატული ნიშა (7×7 გოჯი), საკმაოდ ღრმა (6 გოჯი), როგორც ჩანს, ცეცხლისათვის. აღმოსავლეთი კედელი ბრტყელია. მასში ჩვეულებრივ ადგილას მოგრძო, არცთუ მცირე ფანჯარაა, ნახევრადმრგვალი ზედა ნაწილით და შიგა მხარეს გაფართოებით. კარები არ არის ჩვეულებრივ ადგილებზე: დასავლეთი კარი შეიძლება ყოფილიყო, იქ კლდე არის და მის მაგიერ გაკეთებულია სამხრეთი კარი (სიგანე საკურთხევლის მხრიდან 1 არშინი და 2 3/4 გოჯი, სიმაღლე ნახევრადმრგვალი ზედა ნაწილით – 1 საუენი და 3/4 გოჯი), რომელსაც ტაძარში შევეყვართ საკურთხევლის ნახევარწრის ქვემოთ. ჩრდილო-აღმოსავლეთ ეკვდერის სამხრეთ კედელში არის მეორე კარიც: ის გამოდის თვით საკურთხევლის ნახევარწრეში, როგორც წყაროს-თავის ეკლესიაში (სიგანე ეკვდერის მხრიდან 1 არშინი და 7 გოჯია, საკურთხევლის მხრიდან – 1 არშინი და 8 1/2 გოჯი, სიმაღლე ნახევრადმრგვალი ზედა ნაწილით – 1 საუენი და 3 1/2 გოჯი, მაგრამ იატაკი აქ გათხრილია ვილაცის მიერ).

ეკვდერის კედლები, კლდეებიც კი, რომელიც კედლის მაგივრობას სწევდა, შებათქაშებული და შავი საღებავით იყო შეღებილი. ეკვდერის სიგრძე 1 საუენი, 1 არშინი და 4 1/2 გოჯია, სიგანე – 2 1/4 არშინი (ყველგან ერთნაირი არაა, რადგან კედელი არასწორია).

ტაძრის ჩრდილოეთი კედელი ამოყვანილია ზოგან თხლად, ზოგან სქლად, კლდის შვერილებიდან გამომდინარე, მაგრამ შიგნით კლდე არსად არ იჭრება.

სამხრეთი ნავი ზემოთ წარმოადგენს გასწვრივ ნახევარკამარას; მის გარდიგარდმო, ტაძრის მხრიდან, ის წარმოადგენს ორ თაღს, ცენტრალურს, უფრო ფართესა და მაღალს და უკიდურესს, დასავლეთს, უფრო მცირეს. ამ თაღების ბოლოები, ერთმანეთს რომ ხვდებიან, ეყრდნობიან ოთხკუთხა ( $1 \times 1$  არშინი) ბალიშს, სვეტის კაპიტელს. კაპიტელი მცირე დაქანებითაა შიგნით, ქვემოთ (სიმაღლე 4 გოჯი), მაგრამ ყოველგვარი ორნამენტის გარეშე. სვეტი (სიმაღლე კაპიტელის გარეშე 2 არშინი და 6 1/2 გოჯი) შედგება რამდენიმე მრგვალი ბალიშისაგან (წრეხაზი 2 არშინი და 11 გოჯი). დაახლოებით ერთნაირი სიდიდის 5 თითქოს დოლაბი, ზემოთ – მეექვსე, ყველაზე ვიწრო, ქვემოთ – მეშვიდე ყველაზე სქელი და მაღალი. ამ ორი გვერდითი თაღის შეერთებიდან, შუა ნავიდან თაღისებურად გამწვებულია სამხრეთი ქამარი. ის შუა ნავს ყოფს ორ, ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილად. ასეთივე ორი ქამარი ჭრის კამარას: ერთი საკურთხეველის ნახევარწრის უკიდურესი ხაზით, მეორე – მჭიდროდ დასავლეთ კედელთან.

სამხრეთი ნავის აღმოსავლეთი ბოლო ქმნის სამხრეთ ეკვდერს დასავლეთი კარით, რომელიც ტაძარში გამოდის, საკუთრივ, მის სამხრეთ ნავში. კარი ოთხკუთხაა (სიმაღლე 2 არშინი და 10 გოჯი, სიგანე – 1 არშინი და 10 გოჯი), ეკვდერის მთელ სიგანეზე, რომელიც, უნდა ითქვას, აქ ვიწროვდება. აღმოსავლეთი კედელი, ბრტყელი, სიგანეში 2 არშინი და 4 გოჯია. სამხრეთ-აღმოსავლეთი ეკვდერის სიგრძე – 2 არშინი და 15 1/4 გოჯია. ამ ეკვდერის აღმოსავლეთ კედელში ჩვეულებრივი მოგრძო ფანჯარაა ნახევრადმრგვალი ზედა ნაწილით და შიგნით გაფართოებით. ჩრდილო კედელში მცირე (სიმაღლე 7 გოჯი, სიგანე – 9) ოთხკუთხა ნიშაა. ზემოთ, ჭერქვეშ, შესასვლელია საკურთხეველის საკმაოდ ვრცელ ზედა სათავსოში. ეკლესიის ჭერი თაღოვანი კი არა,

არამედ დაფერდებულია ჩრდილოეთ კედლიდან სამხრეთისაკენ, როგორც ჩვეულებრივ არის სამხრეთი ეკვდრების ჭერები. ამ დაფერდების ქვის წყობა ისეთივეა, როგორც ჩრდილო ეკვდერში.

საკურთხეველის ნახევარწრის ნახევარგუმბათი, შუა ნავის ცენტრალური ნაწილის თაღი, მთელი სამხრეთი ნავის კამარა, რომელიც ტაძრის შემადგენლობაში შედის, მოპირკეთებულია საუცხოოდ გათლილი, ერთმანეთთან გულმოდგინედ მორგებული, შოკოლადისფერი, თანაბარი სიდიდის ქვებით. იგივე უნდა ითქვას საშუალო ნავის კამარის სარტყლებზე, სადაც არა მოპირკეთება, არამედ თვით ქვები ასევე გულმოდგინედ არის ამოყვანილი. კედლის დანარჩენი ნაწილები, ანუ ყველა პირდაპირი მხარე, საკურთხეველის ნახევარწრის ნაწილი ნახევარგუმბათის ქვეშ და შუა ნავის კამარის დასავლეთი ნაწილი უხეშად არის აშენებული საშუალოდ დამუშავებული არათანაბარი ქვებით. მაგრამ ყველა ეს ნაწილი იყო შებათქამებული და შედებილი ერთიან შავ ფერად. მოხატულობის კვალი ნამდვილად არ არის, ასევე არ აღმოჩნდა წარწერაც, გარდა სამი ასოს ნარჩენებისა ნავში სამხრეთი ფანჯრის დასავლეთ კედელზე. მაგრამ მოხაზულობებიდან არაფერი გამოდის. შევნიშნავ, რომ ისინი მოჩანან სუფთად გათლილ ქვაზე ჩამოშლილი ბათქაშიდან.

ფანჯრები თვით ტაძარში: ერთი – საკურთხეველის ნახევარწრეში, როგორც ეკვდერში; მეორე, გაცილებით უფრო დიდი, მაგრამ იგივე ფორმის, დასავლეთ კედელში შესასვლელი კარის თავზე, რომლის სიმაღლეა 2 არშინი და 15 გოჯი, სიგანე – 1 არშინი და 10 1/2 გოჯი. ნახევრადმრგვალი ზედა ნაწილი გარედან ამოვსებულია მთლიანი ქვით. გრძელი დასავლეთი ფანჯარა შუაში ჩადგმული ერთი ქვით ორად – ზედა და ქვედა ნაწილებად იყოფა. ორი გვერდითი ფანჯარა, როგორც უკვე ნათქვამი იყო (იხ. ზემოთ), ორივე შიგნით გაფართოებით, მაგრამ სწორი ზედა ნაწილებით. ზომები შიგნით: ტაძრის სიგრძე საკურთხეველის ნახევარწრით 3 საუენი, 2 არშინი და 13 გოჯია, საკურთხეველის ნა-

ხევარწრის სიღრმე – 1 საუენი და 1/2 არშინი, შუა ნავის სიგანე – 2 საუენი და 6 1/4 გოჯი, გვერდითი, სამხრეთი ნავის სიგრძე – 2 საუენი, 2 არშინი და 13 1/4 გოჯი, სვეტის გარეშე გვერდითი ნავის სიგანე – 1 არშინი და 5 გოჯი.

ეკლესიაში ვილაცამ გათხრები აწარმოა და აღმოაჩინა ქვედა სათავსოს კამაროვანი ზედა ნაწილი, რომელშიც შემავალი პატარა დასავლეთი კარი ადრე უკვე ვახსენეთ. საკურთხევლის ნახევარწრეში, ფანჯრის ქვეშ, არის ჩაღრმავება, საკურთხევლის თავისებური ნახევარწრე ნახევარგუმბათით. ის ქვემოთ ფართოვდება (სიმაღლე 2 არშინი და 1/2 გოჯი, საფუძვლის სიგანე – 1 არშინი და 2 გოჯი, სიღრმე საფუძველთან – 12 გოჯი). საკურთხევლის ნახევარწრის სამხრეთ ნაწილში არის მაღალი (1 არშინი და 4 გოჯი) ნიშა (სიგანე 14 1/2 გოჯი, სიღრმე 13 გოჯი). საკურთხევლის ამადლებას ვერ ვხედავ, შეიძლება იგი ნაყართაა დაფარული, მაგრამ საკურთხეველში ნახევარწრედ კედლების გასწვრივ არის ქვის წყობა შვერილის სახით (4 3/4 გოჯი), თითქოს დასაჯდომად. იგი, როგორც ჩანს, ზემოდან შებათქაშებული იყო.

ეკლესიის არაუმეტეს 1 საუენი სიგანის მოედანზე გამოსვლისას ჩრდილოეთიდან უშუალოდ კიდისკენ გამოყვანილია კედელი. დაბლა ჩამოსასვლელი გზა გადაღობილია უზარმაზარი კლდით, თითქოსდა ზემოდან შემდგომ ჩამოვარდნილით.

4 საათსა და 20 წუთზე ჩვენ უკან დავიძარით.

ქართული ენა ასე თუ ისე ესმით ახალთაშიც: მცხოვრებლები არიან ჩიდილადან გამოსულები, მუდმივები, ან ზაფხულის გამტარებელნი, თუმცა ჩემთან მოსაუბრე მოხუცი პორტელია. ყველა შემთხვევაში, იქ ცხოვრობდა მამამისი, „დანიხარად რომ მსახურობდა“. ვერც ერთ ფრაზას ისე ვერ ამთავრებენ, რომ თურქულზე არ გადაუხვიონ. არაფერს ვამბობ თურქული სიტყვების მინარევზე ადგილობრივ ქართულ მეტყველებაში. საინტერესოა, რომ როდესაც თურქულად

ლაპარაკობენ ჯვრის მნიშვნელობით შავშეთშიც, იმერხევეშიც და აქაც მუდამ გესმის სომხური სიტყვა „ხანი“.

წყლის შესახებ გვაცნობეს: საუცხოო წყარო არის პორტაში, მაგრამ არა სოფელში, ზევით, სადაც ბოლო დრომდე ცოტა წყალი იყო (ის ახლა ზემოდან გამოიყვანეს), არამედ ბაღებში, დაბლა, ე.ი. მონასტერში. კარგი წყარო დიდ-ვენახშიც არის. ხანძთის, resp. ნუკის წყარო ახლა ღარბია წყლით. მისი წყაროები მთაზე გროვდება პატარა ნაკადულში, მაგრამ, როგორც ეტყობა, წყარო უფრო უხვი იყო ადრე: ახლა მცირეწყლიანი გახდა.

**13 აგვისტო, პარასკევი.** არ შემიძლია გავთავისუფლდე შთაბეჭდილებიდან, რომელიც ჩემზე ხანძთამ მოახდინა, მაგრამ არ შემიძლია მისი სიტყვებით გადმოცემა. ერთი რამ აშკარად იგრძნობა: ეს არის უკიდურესი ასკეტიზმის ადგილი. გადაგწყვიტე ერთხელ კიდევ შემეხედა გაღმა ნაპირიდან და გადამელო სურათი (სურ. 43). სურათზე ბაზილიკა ბუდედ მოჩანს; მისი ცნობა შეიძლება სამხრეთ-აღმოსავლეთი ეკვდერისა და საკურთხევლის ნაწილის ორფანჯრიანი აღმოსავლეთი ფასადით. ამასთან, ფანჯრების განები წერტილებად მოჩანს. ფორზე ვერ მოვახერხე დამეცია მონასტრის ქვემოთ ჩამდინარე კარჩხალა (სურ. 44). მე იქით გადავედი ძველი, უბრალო ხილით, ხანძთასთან მისვლამდე ის ვიწროა: კარჩხალაზე, უფრო ქვემოთ, კიდევ ორი ძველი ხილია ჩვეულებრივი, მაგრამ ერთი მათგანი, რომელიც უფრო მაღლაა, გამოყვანილია მრუდე ხაზით. ხანძთისა და კარჩხალას ხედებს ვერანაბაბაღების სახლების მხრიდან ვიღებდი.

იქედან ვბრუნდები (9 საათსა და 20 წუთზე) უკვე კარჩხალას მარცხენა ნაპირით. განახლებულ ვერანაბაღებში, რომელიც გაშენებულია წყაროს-თავის, ან როგორც წარმოთქვამენ იმერხეველები, წყარო-თავის ღარტაფთან. გაცელებული ვიყავი წყლის სიუხვით მცირე სივრცეზე. დავიძარი თუ არა ადგილდან, ჩემს წინაშე აღმოჩნდა გამდინარე უხვი წყაროს წყალი. 160 ნაბიჯის იქით კვლავ წყარო: წყალი ჩამოდის ღარით, მაგრამ ის უხვია, როგორც სასმელი

წყალი დიდი სოფლისათვის. აქვე, მარცხნივ, წყაროსწყლის ღარიდან რამდენიმე ნაბიჯზე ამდლებულია ქვებით აშენებული საშუალო ზომის საწნახელი. ქვის წყობის ერთი მხარე გამოყვანილია უფსკრულზე წყაროს-თავის ღარტავის ზედ თავზე. ღარტავი აქ ღრმა არ არის. წყაროს-თავის მდინარის უხვი, სუფთა წყლები ხმაურით მოედინებიან აქვე, ჩვენს თვალწინ. ამ მდინარესთან მისვლამდე კვლავ პატარა წყაროა. ჩვენ მთელი ეს დრო მოუვლელ ბაღებში ვართ, ვერანა-ბაღები, ახლა განახლებულში, რომელსაც მრავლად გამოუფენია მზის სხივებით განათებულ ფერდობებზე ყურძნის საკმაოდ დიდი მტევნები მსხვილი მარცვლებით. ისინი ჯერ კიდევ არ შეწითლებულან. მოკლე ხანში ჩვენ გავუსწორდით მარჯვენა ნაპირზე გაშენებულ ახალთას და გავაგრძელეთ რა გზა კიდევ კარჩხალას მარცხენა ნაპირით 10-15 წუთის გზის შემდეგ, 10 საათსა და 40 წუთზე მდინარის მოსახვევზე მოულოდნელად პირისპირ აღმოვჩნდით ამ მხარისათვის უზარმაზარი ტაძრის ნანგრევებთან. მეგონა, რომ დიდ-ვენახში უბრალო სამრევლო ეკლესიაა, აქ კი აღმოჩნდა, როგორც ჩანს, ოდესღაც დიდი, წარმატებული მონასტერი, მთელი თავისი მრავალფეროვანი ნაგებობებით. თავისი მდებარეობით მონასტერი საუკეთესოა ყველა იმათ შორის, რაც მე ამ მხარეებში მინახავს, თუ მხედველობაში მიიღება არამარტო მკაცრი ასკეტიზმის მოთხოვნები. კარჩხალა, შექმნილი ორი ნაკადულის შეერთებით, ჩერმუკიდან (სომხ. **Ջերմուկ**), რომელიც რუკაზე არ არის აღნიშნული, ღრმა ხევში მოედინება, თანდათან გარს უვლის რა ადგილს – მერეს<sup>1</sup>. ქვემოთ, ყიშლა **გოგას**<sup>1</sup> (ზემოთ, მარჯვენა ნაპირზე

<sup>1</sup> ჩერმუკსა და მერეს შორის არის სწორი ადგილი, **იაკობი**. ახალთადან მერემდე, მოხუცი ხემოს სიტყვებით, საათნახევრის სწორი გზაა. ჩემი სახლის პატრონის და სხვების სიტყვებით, ორი საათისა. მერედან პორტაში გზა არ არის. უნდა კვლავ დაბრუნდე ახალთაში, ან, ნებისმიერ შემთხვევაში, მიძნაძორში. კიდევ შევნიშნავ: პორტადან, ბაღებიდან ან მონასტრიდან (და არა ზედა სოფლიდან) გზად აქეთ, ახალთისაკენ, არის ადგილი, რომელსაც **სიმონ-დიდს** უწოდებენ.

არის მწვერვალი **გოგას თავი**), ქვემოთ – **დიდ-ვენახი**, უფრო ქვემოთ – ჩვენი ნანგრევები, რომელსაც ახლა ჩვეულებრივ **ქილისელარს** (ეკლესიები) უწოდებენ, ძველად **(اسکین) ك** უწოდებდნენ „**მიძნაძორს**“ (sic.), „მოხუცებისგან ასე გამოვიდა, ძველი დროიდან ასე უწოდებდნენ, მითხრა ახალთაში ჩემი სახლის ახალგაზრდა პატრონმა მეჰმედ-ალი ოსმან-ოღლიმ. აქ ერთადერთი მოხუცია, ხემო ლომან-ოღლი, რომელიც რამდენადმე ლაპარაკობს ქართულად, მან უფრო ადრე მაცნობა, რომ ამ ადგილს ეწოდება „მიძნაძორი“.

მეორე მოხუცი კი, ჩიდილში მცხოვრები ეზიზი, რამდენადმე ურევდა: ხან ამბობდა, რომ მიძნაძორი დიდი პიროვნება იყო, თამარის დიდმოხელე, რომელიც სადღაც აქ მიწას ფლობდა, ხან ამტკიცებდა, რომ ნუკა-ქილისე არის „მიძნაძორი“, მაგრამ როდესაც მოხუცმა შენიშნა, რომ მე უკვე არ ვუსმენ მის არეულ ახსნას, მიმითითა ხემო ლომან-ოღლიზე, როგორც ადგილობრივ სიძველეთა ყველაზე საუკეთესო მცოდნეზე. ყველაფერი ამის შემოწმება აქაც შეუძლებელია. ახალთაში სულ 5 სახლია და ხემოზე უფროსი არავინაა, მაგრამ მათგან არავინ, რომ ეწოდებინა ამ ადგილისათვის „მიძნაძორა“, resp. მიძნაძორი. მე მაინც გავბედავდი გამეკეთებინა ეს გაიგივება. გვერდით ვტოვებ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ტექსტს და ლიტერატურულ მოწმობებს. მონასტრის რეალური მდებარეობა – კონცხზე, კარჩხალას მკვეთრ, თითქმის მართი კუთხით<sup>2</sup> მოსახვევთან, სადაც მას ცხუმურის მდინარე თუ მთის ნაკადული ერთვის სოფელ პორტას მხრიდან (ჩრდილო-დასავლეთიდან), გან-

ადგილზე, რომელსაც **სუმონ-დიკსაც** უწოდებენ, ნანგრევების არსებობის შესახებ არ იციან, მაგრამ ამბობენ, რომ იქ ველური ქვებია და ადგილიც გაუყალიბა.

<sup>1</sup> სახელობითი ბრუნვა: გოგა. აქ არის ბოსტნები, სიმინდის ყანები, პურს ახლა აღარ თესავენო.

<sup>2</sup> მოსახვევამდე კარჩხალას მიმართულება არის ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ, მოსახვევის შემდეგ ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. ხუთვერსიან რუკაზე კარჩხალას ამგვარი მკვეთრი შემობრუნების კვალიც არ არის ამ ადგილას.

საზღვრავს ადგილს, როგორც საშუალო-ხვეურს, რაც ნიშნავს კიდევ მიძნაძორს, სომხური **Միջնადիր** მიჯნაძორს<sup>1</sup>. ეკლესია ჯვრისებურია. იყო ნაგებობა – ეკვდრები საკურთხევლის ფრთასთან. კუთხე დასავლეთ და ჩრდილოეთ ფრთებს შორის ასევე მოგვიანებითაა გაშენებული, მაგრამ განაშენიანება აქ დასავლეთი ფრთის ჩრდილოეთი კედლის მხოლოდ ნახევარს იჭერს და ტაძართან საერთო არ აქვს. ნაყარის ქვემოდან ჩანს კარის განის ზედა ნაწილი, რომელიც ჩრდილოეთით გამოდის, სწორედ ჩრდილოეთის ფრთის ჩრდილო-დასავლეთი კუთხესთან. ყველაზე უკეთესადაა შენახული ჩრდილო-აღმოსავლეთი ეკვდერი დასავლეთის კარით, რომელიც ჩრდილოეთ ფრთაზე გადის. და ამ ეკვდერზეც არსებული მონაცემების საფუძველზე შეიძლება ითქვას მხოლოდ ის, რომ ზედა ნაწილი მას კამაროვანი ჰქონდა. სახურავი, რა თქმა უნდა, დაქანებით შესაბამის მხარეზე, მთავარი ფრთების სახურავზე დაბლა. ამ ეკვდერის ჩრდილო კედელმა და საკურთხევლის ნახევარწრემ უკვე მოასწრო ჩამოშლა. მაგრამ სხვა ეკვდრები, თუ ისინი არსებობდნენ, ნანგრევების გროვას წარმოადგენენ. ნანგრევებადაა ქცეული სამხრეთი ფრთაც, თითქმის მთლიანად, შემდეგ მთელი საკურთხევლის ნახევარწრე და დასავლეთი ფრთის სამხრეთი ნახევარი. ნანგრევებითაა ავსებული ტაძრის შუაგულიც: მის სამხრეთ ნახევარში ნატეხების ბორცვი, რომელზეც ორმა დიდმა ხემ მოასწრო გაზრდა (სურ. 45). მესამე, ასევე დიდი ხე იზრდება ცოტა უფრო ქვემოთ, დასავლეთი ფრთის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში.

გეგმის ჯვარი არაა ტოლგვერდი. შიგნით გვერდების სიგრძე, თუ ჩრდილოეთი ფრთით ვიმსჯელებთ, 1 საუენი, 1 არშინი და 14 გოჯია, სიგანე – 2 საუენი და 8 გოჯი. დასავ-

<sup>1</sup> იმავე ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით, სახელწოდებას ახსნა შეიძლება სხვაც მიეცეს, მაგალითად, იგი შესაძლებელია გაჩნდა იმის გამო, რომ ამ მონასტერს შუალედური ადგილი უჭირავს მერეს, პორტას, ხანძასა და წყაროს-თავს შორის: ყველა დამაკავშირებელი გზა ამ სავანეებს შორის მასზე გადიოდა.

ლეთი ფრთის სიგრძე 4 საუენი, 1 არშინი და 15 გოჯია. ამ ფრთის განივ ორ ადგილზე გაშვებული იყო სარტყელი, კედლებისა და კამარის გავლით სამხრეთი სვეტის სახით, რომელიც ქვის წყობიდან გამოდიოდა. გამოდიოდა სამი ყრუ შუაკედლისი, რომელთაგან ყოველი ზემოდან მთავრდებოდა ჩრდილოეთით, resp. სამხრეთ კედელზე გაშვებული თალით. დასავლეთი ფრთის სიგანე 2 საუენი, 1 არშინი და 5 1/2 გოჯია. მთელი ტაძრის სიგრძე (შიგნიდან) საკურთხევლის ნახევარწრით 9 საუენი, 2 არშინი და 4 გოჯია, საკურთხევლის ნახევარწრის სიღრმე – 2 საუენი და 2 არშინი.

ცენტრალური ნაწილი მთავრდებოდა 4 თალით, რომლებიც ერთდებოდნენ ოთხ კუთხეში ფრთების შეერთების ადგილებთან. თაღები, როგორც ჩანს, იჭერდნენ ყელს გუმბათით, რომელთა ნარჩენები საძებნელია ტაძარის შიგ არსებულ ნანგრევებში.

კართაგან შენარჩუნებულია თითქოსდა დასავლეთი, მაგრამ მტკიცება არ შემიძლია: შეიძლება აქ მოგვიანებით შენანგრევია. ყოველ შემთხვევაში, აქ შესასვლელი რომც ყოფილიყო, ვიწროა. დასავლეთ კედელს გარედან მიშენებული ჰქონდა კარიბჭე. კარიბჭის დასავლეთი კედელი გამოყვანილია პირდაპირ კარხსალაზე. კედლის იქით ერთი გოჯი მიწაც არ არის<sup>1</sup>. თვით კარიბჭის ქვეშ არ იყო შესაბამისი მოედანი: ის ხელოვნურადაა მოწყობილი, აწეულია სათანადო დონემდე და გასწორებულია ქვის წყობით. ეს კარიბჭე სიგრძით მიემართებოდა ტაძრის დასავლეთი ფასადის გასწვრივ. ეკლესიას ჰქონდა ორფერდიანი სახურავი სამხრეთსა და ჩრდილოეთისაკენ ფასადებით. შიგნით კარიბჭე კამაროვანი იყო. მისი კამარის დასაწყისი დასავლეთ კედელში დღემდეა შენარჩუნებული 2 არშინისა და 2 1/2 გოჯის სიმაღლეზე ამჟამინდელი გაუწმენდავი გრუნტიდან. კარიბჭის ჩრდილო კედელში არის არცთუ დიდი, მოგრძო ფანჯარა შიგნით ოთხკუთხა გაფართოებით.

<sup>1</sup> კედელში ახლა ხე იზრდება.

ჩრდილოეთი კედლის ცენტრიდან პირველ შუაკედელში იყო კარი. ის ერთ დროს შეიძლება ამოშენებული იყო, მაგრამ ქვის წყობაში შეიმჩნევა თალის ნარჩენი, რომელიც მიანიშნებს, რომ ტაძარს ოდესღაც ჰქონდა ჩრდილოეთი კარი. შემდეგ, მეორე შუაკედლისში, ქვემოთ, გრუნტთან, რომელიც აქ არსებობს, არის უცნობი დანიშნულების ნიშა: სიმაღლე 15 გოჯი (მეტი გაწმენდილი არაა), სიგანე – 10 3/4 გოჯი, სიღრმე – 10 5/8 გოჯი..

ფანჯრებიდან განი სრულად შეინარჩუნა ჩრდილოეთისამ, სანახევროდ – დასავლეთისამ. ორნამენტი არ არის, თუ იყო მომძვრალია. შიგნით წყობა უხეშია, ცუდად დამუშავებული ქვებით. არც გარედანაა უკეთესი. კედლის სისქე 1 არშინი და 5 1/16 გოჯია. ტაძარი შიგნით მთლიანად ყოფილა შებათქაშებული<sup>1</sup> და შეეთეთრებული. მოხატულობის კვალი ბათქაშის რამდენიმე შემორჩენილ ნატეხზე სრულიად არ არის.

სამონასტრო ნაგებობები იმდენად ბევრია ეკლესიის ირგვლივ, რომ თვე უნდა იმუშაო მხაზველთან ერთად, მანამდე კი ჩაატარო მნიშვნელოვანი გათხრები, რომ ყველაფერი ამოწურო. ეკლესიის მიმართ მდებარეობის მიხედვით ეს ნაგებობები ორ მთავარ ნაწილად, – ჩრდილოეთისა და სამხრეთის, იყოფა. როგორც დასავლეთში მოედანი შეკვეცილია კარნახალას მიერ, ისე აღმოსავლეთით იგი შემოსაზღვრულია იმ მთის ფერდობით, რომლის ძირას იპოვეს თავშესაფარი ძველმა მოღვაწეებმა<sup>2</sup>.

უფრო ვრცელი ჩრდილოეთი ნაგებობებია.

ა. უპირველეს ყოვლისა დარბაზი (საოსტიგნე ან **საჯარო**), საერთო სატრაპეზო. იგი აშენებულია ეკლესიის დასავლეთი ფრთის ჩრდილოეთი კედლიდან 2 საუენის, 2 არშინისა და 2 1/2 გოჯის მანძილზე. როდესაც აიგო ეკლესიაზე

<sup>1</sup> კამარებიც კი, დასავლეთი ფრთის კამარა მაინც.

<sup>2</sup> ამ მთის სახელწოდება მე ვერ გავარკვიე ადგილობრივი მცხოვრებლებისაგან.

მინაშენი, აქ ეკლესიასა და დარბაზს შორის გასავლელი 1 საუენსა და 13 გოჯამდე შევიწროვდა.

ეს შენობა მსხვილი წყობისაა, საპირე ქვებით, მცირე რაოდენობის ყორის ქვით; იგი ფასადით კარნახალაზე იყო გაყვანილი სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით. ამ ფასადის სიგრძე (გარედან) 9 საუენი, 1 არშინი და 12 გოჯია. აგებულია პირდაპირ ფლატეზე, მდინარეზე. ამ კედლის წინ იყო ფერდობი, და ის გასწორდა წყობით. მაგრამ შენობის ფასადის პირდაპირ შექმნილ მოედანზე გასასვლელი არ არის. ამ ფასადს მხოლოდ ფანჯრები აქვს, რიცხვით ხუთი. ჩრდილოეთიდან მეორესა და მესამეს შორის შიგნით იყო მეზობელი ფანჯრებისოდენა ნიშა ნახევრადმრგვალი ზედა ნაწილით. იგი ამჟამად შემოძარცვულია: აღებული და ჩამოცვენილია მოსაპირკეთებელი ქვები. ფანჯრები მოგრძოა, თითოეული ნახევრადმრგვალი ზედა ნაწილით, შიგა მხრისაკენ გაფართოებით, მაგრამ არ არის ის მკვეთრი სხვაობა გარე და შიგა პირს შორის, რომელიც ჩვეულებრივ შეინიშნება ეკლესიების ფანჯრებში. ფანჯრების სიმაღლე ნახევრადმრგვალი ზედა ნაწილით 2 არშინი და 9 1/2 გოჯია, სიგანე (შიგნით) – 1 1/2 არშინი. კედლის სისქე – 1 არშინი და 2 3/4 გოჯია.

ამ კედელმა შიგნით ადგილ-ადგილ შეინახა კამარის დასაწყისი (სურ. 46). მდინარის მხარის ფასადის გასწვრივ ამ სათავსოში მიდიოდა კამარა: ეს კამარა ფარავდა ოთახს სიგრძით 2 საუენი, 2 არშინი და 2 გოჯი. აი ეს გრძელი, კამაროვანი ოთახი იყო კიდევ სატრაპეზო სათავსოთი, შესაძლებელია, წინამძღვრისათვის ნიშაში. როგორ იყო დანაწევრებული შენობის დარჩენილი ნაწილი, ამის გადაჭრით თქმა, გათხრების გარეშე შეუძლებელია. თუმცა შეიძლება კიდევ იმის თქმა, რომ ამ სატრაპეზოს აღმოსავლეთიდან ეკვროდა ოთახები, თითოეული მათგანი დარბაზში გადიოდა თავისი კარით. ერთი ოთახი საიდუმლო კარით კარგადაა შენახული. მაგრამ ამის იქით ყველაფერი დანაგვიანებულია და უმჯობესია ვიყო ჩუმად, ვიდრე ვაკეთო ფუჭი ვარაუდები.



ფაქტია: გარდა ოთახებისა აღმოსავლეთი მხრიდან მონასტრის განივების, ზუსტად სარდაფში ან ღორღით დაფარულ ოთახებში შესასვლელების ზედა ნაწილები. სატრაპეზოში შესასვლელი კარი ალბათ იყო ეკლესიის მხრიდან, აღმოსავლეთ კედელში, მაგრამ მე ვერ დავადგინე ადგილი, რადგან ყველაფერი ნამტვრევებითაა სავსე.

სატრაპეზო შენობის იქით იწყება ცოტათი უფრო მცირე მეორე შენობა; მათ ყოფს ჭიშკარი, როგორც ჩანს, მონასტრის ეზოს (სურ. 47). მდინარეზე მდებარე კამაროვანი ოთახი, როგორც ჩანს, იყო აქაც, მეორე შენობაში. მაგრამ დასავლეთი ფასადი, მდინარის თავზე გამოყვანილი, ჩამოიშალა. მახლობლად რიგი პატარა ოთახებისა, ალბათ, სენაკებია. ასეთი ოთახები, უფრო სწორედ, ამნაირი ოთახების კარები, ნაყარიდან, ნანგრევების გროვიდან, სანახევროდ მოჩანს. ნაგებობა არის უფრო შორსაც, ზემოთ, ფეხით 3-4 წუთის სავალზე, კარჩხალას მარცხენა ნაპირზე. ნაგებობათა სმხრეთი ჯგუფიდან აღენიშნავ დიდი შენობის ნანგრევებს, ადგილ-ადგილ, განსაკუთრებით შესასვლელთან, კოლოსალური ქვებით აგებულს, კარჩხალას მარცხენა ნაპირზე, მისი მოსახვევის შემდეგ. მოედანი აქ უფრო დაბლაა და აქ ეკლესიის ეზოდან ქვის კიბით ჩამოდიოდნენ.

ქვის წყობა საერთოდ ამ სამონასტრო შენობების საფუძვლიანია, დიდი საპირე, ხანდახან უზარმაზარი ქვებით. შიდა კედლები გამოყვანილია უფრო პატარა, წვრილი ქვებითაც კი.

ეკლესიის სამხრეთით ღობეს მხოლოდ ვახსენებ, როგორც ტაძრის ყველაზე ახლოს მდებარე სხვა ნაგებობების კვალს. მრავალი ხელოვნური გამოქვაბულიდან შევჩერდები ერთ-ერთზე. მე მათ ყურადღება მივაქციე მიძნაძორში. ისინი არის პირდაპირ მონასტრის გვერდზე, მაგრამ მოხუცმა ხემომ წამიყვანა ქვემოთ, კარჩხალას დინებით, იმის იქით, რაც იგი უხვევს. აქ, გზის ზემოთ, ასიოდ ნაბიჯში, საკმაოდ დამრეც ფერდობზე, ისინი რამდენიმეა. მოხუცმა იქ მიმიყვანა, რომ ეჩვენებინა ერთ-ერთ ასეთ დანაგვიანებულ გამოქვაბულ-

ზე ჯვარი. ჯვარი უბრალოა, ბარელიეფისებური, ტოლგვერდა. მაგრამ ამ დანაგვიანებულ გამოქვაბულზე აღმოჩნდა სხვა გამოქვაბული, კარგად შენახული ეგზემპლარი. მას ისინი მაცივრად (ბუზხანად) თვლიან. კარი პატარაა (სიმაღლე 1 არშინი და 7 გოჯი, სიგანე – 12-13 გოჯი). შესვლა მხოლოდ მოხრილს შეუძლია. ეს წინა გამოქვაბულია. შემდეგ მარჯვნივ შესასვლელი ასევე ვიწრო, მცირე ოთახში, მაგრამ უფრო მაღალში, უფრო ღრმად რომ ზის რამდენიმე საფეხურით, რომლითაც მასში უნდა ჩახვიდე. გამოსასვლელი კარი სამხრეთ-დასავლეთისაკენ არის მიმართული.

4 1/2 საათისათვის დავასრულე მიძნაძორის აღწერა. მე ეჩქარობდი იმ მხარეს, რომ ნაპირიდან, ცხუმურასა და კარჩხალას შორის გადაძვლო მონასტრის საერთო ხედი აქვებული ცისფერი კარჩხალათი კლდოვან ჩარჩოში<sup>1</sup>. მთის ბევრი მდინარე და ნაკადული მინახავს, მაგრამ სიცოცხლეში კარჩხალაზე ლამაზი მდინარე – არა.

ებრუნდებოდი რა ღამის გასათევედ კარჩხალას მარჯვენა ნაპირით ახალთაში, ზედ დასახლების წინ შევნიშნე წყარო, რომელიც ღარით ჩამოედინებოდა. ღარის მარჯვენა მხარეზე, კლდეზე ბარელიეფად ამოჭრილია უბრალო ჯვარი. ეს მოკრძალებული ძეგლი, მხარეში ქრისტიანობის გაფურჩქნის მოწმე, ნახევრად წაიშალა, როგორც ნახევრად, ან მთლიანად წაიშალა ადგილობრივთა ხსოვნიდან, რომ მათი წინაპრები ასევე ქრისტიანები იყვნენ<sup>2</sup>.

**14 აგვისტო, შაბათი.** ახალთადან პორტაში ორი გზაა. გზა იყოფა მიძნაძორის შესახვევიდან კარჩხალას მარჯვენა ნაპირზე. ერთი მიდის ცხუმურას მარცხენა ნაპირით. ამ გზას, როგორც უფრო მოხერხებულს, მხარს უჭერს ჩიდილეული საბითი, ერთ-ერთი იმათგანი, ვისაც საპალნე მიაქვს:

<sup>1</sup> ფირფიტა, სამწუხაროდ, გამჟღავნებამდე დაიმსხვრა გზაში.

<sup>2</sup> აქ შემაქვს ჩაფარ ამბარძუმას სიტყვებიდან: არა ხორასუნი, არამედ ხორასანი, მთა არის „არტანუჯის უბანში გიულიჯის მახლობლად“, ღორის მთაზე ცოტა მაღლა. მთა ტყეა. ის შორსაა ჩვენი მონასტრებისგან“. ხუთვერსიან რუკაზე ეს მთა არ არის.

„მშვენიერი გზაა, მხოლოდ ერთ ადგილას, კლდესთან ძნელია“. პატრონმა, ალი-მეჰმედიმ შენიშნა: „საკმარისია ის ერთი ადგილი. „კაიმაკამ“ შუბინსკის გავლის დროიდან ის არ გაუსწორებიათ და ახლა გავლის საშუალება არ არის<sup>1</sup>. გზა ცხუმურას მარჯვენა მხარეს უფრო უკეთესი და მოკლედ არის. გზას ამცირებ 1/2 საათით და მეტით. მე დაგუჯერე პატრონს და 7 1/2 საათზე დავიძარით სამი მზიდავი, ჩაფარი და მე. ჩემი და ჩაფარის ცხენები მოგვყავს ლაგამით. ამბობენ, ალაგ-ალაგ შეიძლება ცხენით გავლაც.

სოფლიდანვე უცბად დაიწყო აღმართი, მაგრამ აღმართი, რომელსაც მე ვერაფერს ვერ შევადარებ, ხანძის აღმართზეც უფრო დამრეცი მეჩვენება. წყაროს-თავისკენ ჩვენ დიდხანს ავდიოდით, მაგრამ ეს მაინც მხოლოდღა ასვლა იყო და არა კედელზე ცოცვა. 1/4 საათში მე უკვე არაქათგამოცლილად ვიგრძენი თავი. გზა კი სოფელ პორტამდე, ჩემი პატრონის განმარტებით, უნდა გაგრძელებულიყო „ბირ ბუჩუქ საათ“ (ერთნახევარ საათს), რაც, გამოცდილებით ვიცი, ხშირად ჩვენი დროის ორ საათს შეესაბამება. მაგრამ ჩემი მოულოდნელი სისუსტე გაირკვა. ფეხები არ მიცურდებოდა: უკვე გახევამოსწრებულ ჩექმებზე მეცვა ადგილობრივი ქალამნები, სპეციალურად ფერდობისათვის რომ ამზადებენ. მე ბევრჯერ ვიყენებდი ჯოხსაც. ფეხები მეკვეთებოდა შიმშილისგან. დილით მე ჩვეულებრივ ორი ჭიქა ჩაით ვკმაყოფილდებოდი. პური ცოტა იყო და მე მას ვზოგავდი. გავსინჯე ბისკვიტები (ოდესის რომელიღაც ფირმისა), არტანუჯში შეძენილი, მაგრამ მათ საპნის გემო და პირის ღებინების მოქმედება ჰქონდა. დილით მე ადრე გავიღვიძე. სანამ გზისთვის ვემზადებოდით (ზოხინში აქაურები საოცრად გვანან ბელუინებს) საკმაოდ დრო გავიდა. ჯანმრთელი, მთის სუფთა ჰაერი

<sup>1</sup> ერთადერთი კაიმაკამი, ანუ ოლქის უფროსი, რომელმაც გადაწყვიტა მისდამი დაქვემდებარებული ოლქის ყველა კუთხეს გაცნობოდა. ის მოკლე ხანში გადაიყვანეს ართვინიდან. მცხოვრებლები ამბობენ: „უფროსობა არ იყო კმაყოფილი მისი ცდებით დაახლოებოდა ხალხს და ამიტომაც მოიცილა იგი. კარგი ადამიანი იყო?“

აუტანლად ზრდიდა მადას. შედეგი ის იყო, რომ მე ხარბად ვეცი ხუთი დღე-ღამის მოგზაურობით საკმაოდ გაქვავებულ არტანუჯულ პურს. მარაგში მქონდა სარდინების კოლოფიც, მაგრამ ენა მოტყდა. ხელთ მქონდა კონსერვების გასახსნელი ხელსაწყო, მაგრამ დამსწრეთაგან ვერავინ შეძლო მისი გამოყენება, მე კი ძალა არ მეყო. პირველად ვიგრძენი დაქანცულობა.

8 საათზე ჩემს გამო იძულებული იყვნენ შეესვენათ. საუზმე არტანუჯული პურით 20 წუთს გრძელდებოდა. შემდეგი შესვენება თვითონ ჩიდილელებმა გააკეთეს, როგორც ისინი ამბობდნენ, შუა გზაზე, მაგრამ გავლილი ნახევარზე მეტი იყო. აქედან გზა შედარებით ასატანია, მაგრამ ცხენით მგზავრობა მაინც შეუძლებელი იყო. როგორია მეორე გზა, თუ ეს, აქაური გაგებით, საუკეთესოა. ცხუმურას ჩვენი გზა მალე დაცილდა, უვლიდა რა მთას სამხრეთიდან. ცხენები მხედრების გარეშეც ცურდებოდნენ და მუხლებზე ეცემოდნენ. არცთუ იოლად დგებოდნენ ჩვენი მებარგულებიც, მაგრამ ისინი მიდიოდნენ საკმაოდ სწრაფი და თანაზომიერი ნაბიჯით ისე, რომ ჩვენ, მე და ჩაფარს, იოლად გვასწრებდნენ. 9 საათსა და 30 წუთზე მე დავეწიე მათ შესვენებისას. 5 წუთი დავჯექით ჩვენც და დავიძარით. აქ მართლაც იყო მგზავრობის შესაძლებლობა, მაგრამ ეს უკვე სოფლის მახლობლად, სადაც ჩვენ ვიყავით კიდევ 9 საათსა და 50 წუთზე მნიშვნელოვნად აიოლებს აღმართს ის, რომ გზა სულ ტყეში, ჩრდილში გადის. მაგრამ გზაში წყალი არ იყო; შესვენებისას შუა გზაზე გვთავაზობდნენ „აქვე“ ჩავსულიყავით ღარტაფში წყაროს წყალზე, მაგრამ ეს „აქვე“ თითქმის იმავე მანძილზე იყო, რაც სოფელი. ტყე უფრო წიწვოვანი იყო. იღვა სიჩუმე, რომელსაც არღვევდნენ ჭრიჭინები და კარჩხალა. კარჩხალას ხმა თან მოგვეყვება თვით სოფლამდე.

სოფელი პორტა მხოლოდ გამონაყოფია, ყიშლა ან მეზრეა, თუმცა აქ 12 სახლია. ბაღლარში თუ ბაღებში ქვემოთ, სადაც მონასტერია, გვარწმუნებენ, რომ მუდმივი მცხოვრებლები არ არის, თუმცა იქ ათიოდე სახლია. ძირითადი სოფე-

ლი მდებარეობს ბაღებსა და მეზრეს შორის. მას შუა პორტა ეწოდება. მასში, ზემოპორტელების თქმით, სულ სამი სახელია. დასავლეთით, პორტას ყიშლადან ჩრდილოეთისაკენ გადახრით, სოფლის საზღვარზე, მთაზე პატარა ტყეა: ადგილს **დაჩელთური** ქვია.

ქვემოთ, ბაღებში, ცნობილია ადგილი **საზველთ** (საძველთა?): აქ ბევრია ძველი სარდაფი (მეიხანე).

**ბიკნალის** მთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდობზე, გზის ქვემოთ, რომელიც მას შუაში ჭრის (გზა ზემო პორტადან მოხანს), მდებარეობს პორტელების მეზრე **საბორი**<sup>1</sup>. ბიკნალის მთის იმ მხარეზე, სადაც ხუთვერსიანი რუკა დაილა „ბიკიმეს“ ათავსებს, პორტელებმა იციან მხოლოდ თავისი დაილა **ბიკნალა**. მათ კიდევ აქვთ დაილები, სამხრეთისაკენ, **დაჩელთურის** ტყის ზემოთ: მას **საგორლე** ან **საგვარლე** (სუღერეთია) ეწოდება. დაჩელთურს იქით, აქედან არ ჩანს, დასავლეთით ან ჩრდილო-დასავლეთით არის **კიდ-მოგრეხილი**. გორაკი დაჩელთურიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, სოფელთან უფრო ახლოს: **კატრევანი**. დაჩელთურის ქვემოთ – **სათობო**. კატრევანის ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდობზე: **ვაციანთი**. სოფელთან უფრო ახლოს, ვაციანთის კვალად სახნავი მიწაა: **ჩემი ყანა**.

პორტას ყიშლიდან იშლება შესანიშნავი ხედი კარჩხალას ხევზე მისი გარემომცველი მთებით: ქვემოთ ჩანს **დიდვენახი**, ნაწილობრივ **მერე** და **ჩერმუკი**. მარჯვნივ – საძოვრები და **სათორნიას** მწვერვალები (ჩიდილელთა დაილა), **ედრენი** (ახალთის დაილა), ედრენს ქვემოთ **ჯიბუხი** (ჩიდილელთა დაილა), **ბოსელთ** (ჩიდილელთა დაილა), **ურჩხი** (ჩიდილელთა დაილა), შემდეგ იმერხევის მთა **ხოზბირულთ**. მას ეკვრის ცნობილი მწვერვალი **გაჭრილი**, იმერხევის საზღვარზე.

<sup>1</sup> ხუთვერსიან რუკაზე საბადურა. ეს, როგორც ჩანს, ტოპოგრაფის დამახინჯებული თურქისაგან გაგონილი „საბორ-დურ“, ან საბორი არის.

მარცხნივ: მთა **ბიკნალა**, მთა **სამოთხე**, რომლის იქით **ქამრავანია** (ეს არ მოხანს) და **მირითი**, **მცირე კარჩხალი**.

კითხვაზე, ხომ არ იციან პორტელებმა, სად არის მიძნადორი, ყველამ ერთხმად მიუთითა ჩემს მიერ გუშინ აღწერილ მონასტერზე. პორტელთა დაბეჯითებული პასუხიდან მე გადაკეთე დასკვნა, რომ მათი წარმოდგენა, თუნდაც კარჩხალას ხევზე, უფრო ახალია, ვიდრე ჩიდილელთა. ახალგაზრდა ჩიდილელები პირდაპირ მეუბნებოდნენ, რომ გაუგიათ მიძნადორის შესახებ, მაგრამ არ იცოდნენ, სად მდებარეობს იგი.

ბიკნალზე ტყეს ეწოდება **ნაგუთნი**. ნაგუთნის გვერდით, სანდაურს ქვემოთ და კარჩხალასთან უფრო ახლოს იმავე ბიკნალთან (ბიკნალს ისინი უწოდებენ საკუთრივ მწვერვალს) – **ხაროთი**. უფრო ქვემოთ, კარჩხალასთან – **ნივოზაშლი**, ტყის სახელწოდება; ეს ადგილი საძოვრადაც გამოიყენება.

ქვემო პორტადან ჯიმერკში ახლა დადიან მხოლოდ ოპიზიდან. მაგრამ მგზავრობა შესაძლებელია მხოლოდ ანკორისა და ოპისჭალის გავლით. ამჟამად რომ ვთქვათ, ცხენისათვის ანჭკორამდეც არაა გზა პორტადან. მაგრამ ქვემოთ, მდ. იმერხევეზე, მონასტერს ქვემოთ, ძველად 3 ხიდი იყო. შემორჩენილია მათი კვალი. მესამე, დაშლილი, უფრო ოპიზისკენაა. განსაკუთრებით კარგად ჩანს ორი ხიდი, ორთაღიანი, ჩავარდნილი და უბრალო, **ბინგიშლის** რომ უწოდებენ, დღემდე შენახულია. ახლაც იყენებენ. როგორც ჩანს, ეს ხიდები, განსაკუთრებით ორთაღიანი, იყო არა მხოლოდ ფეხით მოსიარულეთათვის<sup>1</sup>. იყო სავალი გზა. პორტადან (შატბერდიდან)

<sup>1</sup> შემდგომ, როგორც პორტის მამასახლისის საფუძვლიანი ახსნიდან გაირკვა, პორტასთან, ე.ი. შატბერდთან, მხოლოდ ერთი ძველი ქვის ხილია, ორთაღიანი, **ფარახის** ზემოთ, **სუმონდიკის** (ე.ი. **სიმონ-დიდის**, იხ. ზემოთ) ქვემოთ და ისიც ნანგრევებია. **შატბერდიდან** მდ. იმერხევეზე გადებულ ორთაღიან ხიდამდე, მამასახლისის ცნობით, ნახევარი საათის გზაა, ე.ი. ერთი საათის. მეორე ხიდი კი ახალია, ხის. მამასახლისმა არაფერი იცის მესამე ხიდის შესახებაც, რომელიც ნანგრევებადაა ქცეული ოპიზასთან. პორტას მეორე ხიდთან დაკავშირებული გაუ-

ანჭკორში, შემდეგ **ოპისჭალაში**, იქედან ძველი ხილით **კაპარიასთან, გვერდაში** და **ჯმერკში**.

ქვემო პორტა გაშენებულია ცოტათი უფრო დაბლა, ვიდრე ნუკი-საყდარი, როგორც უწოდებენ ხანძთან პორტაშიც, სადაც ქართული ენა უკვე აღარ არის. პორტელები, მათ შორის ხასან რეჯებ-ოღლიც, ამტკიცებენ, რომ ბაღებიდან, ე.ი. პორტას ძველი მონასტრიდან ნუკი-საყდარში გზა მიდის. შემორჩენილია ძველი გზის კვალები. ეს გზა მიდის ხევში ჩაუსვლელად მთების გავლით; გზის ხანგრძლივობა 1 საათია. ოპიზიდან ნუკი-საყდარში ამჟამად შეუძლებელია მოხვედრა ქვემო პორტას გავლის გარეშე. პორტას გარეშე შეუძლებელია მოხვედრა **ღონდოშიც**<sup>1</sup>. პორტას ადგილობრივები წარმოთქვამენ ფორთა. შუადღის პირველ საათზე მივმგზავრებით ქვემო პორტაში, resp. ბაღლარში (ბაღებში), სადაც მონასტერია, ან როგორც პორტელები გვაცნობებენ ორი ეკლესიაა. მცირე ინციდენტმა, ქამრის დაკარგვამ, ათიოდე წუთით შეგვაჩერა. ამ წვრილმანს იმიტომ ვახსენებ, რომ ინციდენტმა შეაშფოთა და გამოაცოცხლა მთელი, თითქოსდა ჩამკვდარი სოფელი. აქაურთა საუბარი სწრაფია, თუმცა, როგორც ამბობენ, სხვა სოფლებში უფრო სწრაფად ლაპარაკობენ.

ძალიან მაშინებდა ბაღებისაკენ გზის სიძნელე, სადაც მონასტერია. მე იგი თითქმის მთლიანად ცხენზე მჯდომმა გავიარე. მთელი გზა დაღმართია. თან წავიყვანე მამასახლისი სეფი იუსუფ-ოღლი. ვემშვიდობებოდი რა ზემო პორტას და დავადექი რა დაღმართს, მარცხნივ ყურადღება მივაქციე

---

გებობა იმიტომ განჩნდა, რომ პორტას ხიდს უწოდებდნენ ძველ ქვის ხიდს სამწყარზე ანჭკორთან. ის ახლაც მთელია. მასზე დადიან ჭედილიდან ანჭკორში ან პორტაში და უკან.

<sup>1</sup> მაგრამ ოპიზასთან ხიდი არის. ამ ხილით გადადიოდნენ მდ. იმერხევის მარცხენა ნაპირზე, როგორც ჩანს, არა მარტო იმისათვის, რომ კაპარიადან გამგზავრებულიყვნენ ჯმერკში, არამედ გამგზავრებულიყვნენ **ანწში**, თუ **ანწაში**, როგორც ჩანს, ანჭკორიდან. მაშასადამე, ძველად ოპიზიდან ხანძაში შეიძლებოდა მოხვედრა სამი ხილით: ოპიზის, ჩიდილის და ნუკა-საყდრის, ე.ი. ხანძის.

პატარა მინდორს; აღმოჩნდა, რომ მას **ქოშა-მინდორი** ეწოდებოდა<sup>1</sup>. უფრო ქვემოთ, მარცხნივ დაგვლოვე **ბედვარი**. პორტა, მონასტერი, განთავსებულია ხევში, რომელიც არცთუ ისე შორს მისგან, მონასტრისაგან, გამოდის იმერხევის მთავარ ხევში. თავის მხრივ პორტას იმ ხევში შემოდინა ღარტაფები (თანმიმდევრობით ვასახელებ, როგორც ჩამოვდიოდით): **ჯერ მარაწინდა, შემდეგ** აღმოსავლეთით **გოგაჩკალა**, საპირისპირო მხრიდან – მაზმი-ახო, მის ქვემოთ **სახველთი**. პორტას ხევში ორი მხრიდან მოედინება ნაკადულები, **ნასხეტა** (ნასხეტ-სუ) და **მარაწმინდა** – ღარტაფიდან გამოდინარე. საკუთრივ **ნასხეტი** მდელია („ჩაირი“) ნასხეტას მარცხენა ნაპირზე. ამ ორი პატარა მდინარის შესართავში მდებარეობს შუა პორტა. შემდეგ ხევში, მარცხნიდან, ჩამოდის ღარტაფი **ღურღულათ-ჭევი**. მე მას გავუსწორდი 5 1/2 საათზე, როდესაც იძულებული ვიყავი ფეხით გამეგრძელებინა გზა. გზა გაუწმინდავია, ცხენებს უჭირთ. აქ მე გამცილებელს შევეკითხე: ხომ არ იცის აქ წვიმაში დიდი ტალახი? – „ტალახი? ჩვენ არ ვიცით, რა არის ტალახი („ჩამურ“). არც წვიმაში, არც უწვიმოდ. წვიმაში წყალი ბუნებრივია, ასევე სწრაფად ჩაედინება აქაური გზებიდან ქვემოთ, ისევე როგორც ახლა სრიალებს ფეხი“.

ღურღულათ-ჭევის ქვემოთ, თვით პორტას ხევის ნაწილს ეწოდება ტუდეთხავი (sic). აქ უკვე ბაღებია. მივდიოდი რა ფეხით, 5 სთ. და 38 წუთზე მე ჩავუარე რომელიღაც ძველ სადარაჯო ჯიხურს, რა თქმა უნდა, ნანგრევებად ქცეულს. მისი კედელი, სუფთად ამოყვანილი დიდი ქვებით, პირდაპირ გზაზეა მარჯვნიდან (ჩამომსვლელისათვის მარცხნივ ხევია). გზაზე ჯიხური გამოდის 2 საუნი და 3/4 არშინის სიგრძის კედლით. შიგნით მე შევნიშნე ნიშა. აქაც, როგორც ხანძაში, როგორც მიძნადორში, პირველივე შთაბეჭდილება იყო, რომ მე ვიმყოფებოდი საძებნ ძველ სავანეში – შატბერდში, მიუხედავად მისი გვიანდელი, ახალი მოპირკეთებისა (სურ.

---

<sup>1</sup> ე.ი. ქვეშა მინდორი.

48). თუმცა შატბერდი დიდხანს ცოცხლობდა და მასში XII–XIII საუკუნეების სახის მქონე ტაძრის არსებობა სრულიად ჩვეულებრივი რამ არის.

სოფელი ახლა ცარიელია: მოსახლეობა მთლიანად დაილაზა. აქ, ბაღებში, შეიკრიბებიან ყურძნის კრეფის წინ. მასახლისმა ღამისსათევად ეკლესიის ეზოში დააპირა ჩვენი შეყვანა; და მე ძალიან მოხარული ვიყავი ამ გეგმისა. „სტუმრად გრიგოლ ხანძთელთან“, გავიფიქრე, „სტუმრად შატბერდის X საუკუნის გადამწერებთან, კრებულის შემდგენლებთან და მწერლებთან“, გამიელვა აზრმა და მომეჩვენა, რომ ჩემი ფიზიკური დაღლა ქრება ამ აზრის გაჩენისას, რომ ვურთიერთობ ოდესღაც აყვავებული ქართული კულტურის დაღვიწეებულ მუშაკებთან. უფრო ადრე, სავანის ნახვისას, დამეუფლა თანამედროვე სამყაროსაგან ისეთი განდგომილობის განწყობა, ვიგრძენი ისეთი სიახლოვე ამ განდგეილების კუთხის წარსულ რეალობასთან, რომ, მგონი, არ გამიკვირდებოდა თვით გრიგოლ ხანძთელის სისხლხორცეული გამოჩენა პასუხით ჩემს აქ მომყვან კითხვაზე: „სად არის შატბერდი?“ მიუხედავად იმისა, რომ გრიგოლს ხანძთელი უწოდეს, რომ ხანძთა მისი პირმშოა, შატბერდი ჩემს წარმოდგენაში როგორღაც უფრო ახლოსაა დაკავშირებული გრიგოლთან, მე მგონია, რომ ის უფრო მეტად ელოლიაგებოდა შატბერდს, ვიდრე ხანძთას. ამასთან, გრიგოლისაგან დამოუკიდებლად, შატბერდი ჩემს ყურადღებას იპყრობდა, როგორც ლიტერატურული მოღვაწეობის ცენტრი, რომელმაც ნიადაგი გაუმაგრა ქართველების უშუალო ზიარებას დასავლურ, ბიზანტიურ კულტურასთან. და ამავე დროს მხარს უჭერდა ან ააღორძინა ქართული აზრის ძველი ურთიერთობა სომხურთან, საერთოდ აღმოსავლურთან. ერთი სიტყვით, როგორც ცენტრი ლიტერატურული საქმიანობისა, რომელმაც ნაყოფიერი გავლენა მოახდინა საქართველოს შემდგომ კულტურულ ზრდაზე. მე დიდი სიამოვნებით გადამქონდა ფეხი ჭიშკრის ზღურბლზე, გულში სიამის გრძნობა მქონდა

და ცრემლებამდე გულანწყებული ვიყავი იმ აზრით, რომ შევდივარ განათლების ძველი მუშაკების ინტიმურ კუთხეში.

მაგრამ, სამწუხაროდ, მთელი ეს განწყობა უცბად გაქრა და მე აუწერლად გავლიზიანდი, როდესაც დავინახე, რომ შატბერდის ეკლესიის ეზო საჯინბოდაა გადაკეთებული, სიბინძურების გადასაყრელ ადგილად, სამრეკლო გადაქცეულია სათივედ და შიგნით მისი დათვალიერებაც არ შეიძლება; ღვთისმშობლის ეკლესიაში და საკურთხევლის ამღლებზე, აღმოსავლეთ ფანჯრის ქვეშ გდია მკედარი თხა, ირგვლივ კი ნაკელის გროვებია; მამასახლისმა იმწამსვე გაგზავნა კაცი ზემო პორტაში ხასან რეჯებ-ოღლის მოსაყვანად, რომელმაც დაისაკუთრა სამრეკლო და ის სათივედ აქცია.

ამ დროს მოვიდგა მოხუცი, რომელმაც თავისი ბაღიდან დავგინახა და გვაცნობა ახალი წარწერის შესახებ.

1. ეს არის რვასტრიქონიანი წარწერა თეთრ ქვაზე (სიმაღლე 9 3/8 გოჯი, სიგრძე – 11 1/2 გოჯი). ქვა გამოიყენებოდა ბეღლის ოთხი კუთხიდან ერთ-ერთის საფუძველად. მე ჩემს ხალხს იმწამსვე ვუთხარი ამოვლოთ ქვა ბეღლიდან<sup>1</sup>. ხელწერა თითქმის იმის მსგავსია, რაც გვაქვს პორტას მეორე წარწერაზე, რომელიც ბ. ერმაკოვმა გადაიღო<sup>2</sup> და რომელიც მანვე მოიტანა თბილისში კავკასიის მუზეუმში (№120).

ახალ წარწერაში გაირჩევა:

**შხ ნ-შ**  
**ა თ-ჟს უ**  
**კ რ ლ-თ შ ა ს ზ-ნ**  
**რ-ლ ლლ მჟს შა**  
**რს თ კ თ-ჟ თ**

<sup>1</sup> ფირფიტა ნახატით გატეხილი აღმოჩნდა.

<sup>2</sup> ე.ს. თაყაიშვილმა ის უკვე გამოსცა თავის ნაშრომში: ქართული წარწერები არქეოლოგიურ საგნებზე, რომლებიც ინახება კავკასიის მუზეუმში, ტფილისში (არქეოლოგიური ექსკურსიები, ძიებები და შენიშვნები, გამოცემა II, თფილისი 1905, გვ. 59-61).

## А З З Е А Л-რ ს ე მ ს ლ-ნ ქ ქ-ნ ე ს ე მ-ს ე ლ-ნ ე ლ-ნ ს. ყ-თ

2. ვერ მოგასწარი ბოლომდე წამეკითხა წარწერა შენატანის შესახებ, რომ მოირბინა ჩაფარმა ამბარძუმმა, რათა ეცნობებინა რამდენიმე ასოს შესახებ მამასახლისის სახლში ერთ მუქ ქვაზე. აქ ქვა (სიმაღლე 11 1/2 გიჯი, სიგანე 8 5/8 გოჯი) მდებარეობს უკანა კედლის შიგა მხარეს, წყობის ქვემოდან მესამე რიგში, ბუხრისგან მარჯვნივ. ქვა გვერდზე დევს (წარწერა ზემოდან ქვემოთ იკითხება). ის რამდენადმე შედუნულია: როგორც ჩანს, ქვა კამარიდანაა.

მასზე ქართული ნუსხური ასოებით იკითხება:

kkr “zki.

ასოები Z და K დაწერილია ჩართული ხელით: k (პირველი კ; kk).

იმავე ქვაზე უფრო ზემოთ, მარცხნიდან ამოჭრილია ასო

ქ.

**15 აგვისტო, კვირა.** გზა პორტადან ნუკა-საყდრამდე, რომელზეც ზედა პორტაში ლაპარაკობდნენ (იხ. ზემოთ), გამოიყენება საძოვარზე საქონლის გასარეკად. ეს გზა მდებარეობს მონასტრის პირდაპირ მთის იმ ნაწილზე, რომელიც აღმოსავლეთიდან კრავს პორტას ხევს: ამ და უფრო ქვემო ნაწილს *ქუსლა* ეწოდება. ამ ადგილზე, საპირიპირო დასავლეთი მხრიდან, პორტას ხევში ჩამოდის ზემოდანსახელებული ღარტაფი – „საზველთი“. ამ ღარტაფის, „საზველთას“ თუ „საზველთის“ ზემოთ, კლდეებს იქით, ზემოთ არის **საჩინო**. „საზველთას“ ღარტაფში, იმ ადგილს ზემოთ, სადაც ის უფრო ღრმა ხდება და რომელ ნაწილსაც *წალოქარი* ქვია, პირდაპირ ბილიკთანაა კიდევ გაკეთებული წყარო, პირით აღმოსავლეთისაკენ მიმართული (სურ. 49). საზველთას უფრო ღრმა ნაწილის სამხრეთით, წყაროდან ქვემოთ მთის ფერდობს ეწოდება **გალავანი**. საზველთას ხევის იმავე ნაწილის

ჩრდილოეთით მთის ფერდობს – **სათიბი**, მაგრამ შუალედს სათიბსა და წალოქარს შორის, სადაც ახლა სოფელია, და სადაც ძველად აშკარაა, რომ სამონასტრო ნაგებობები იყო, სახელწოდება არა აქვს. მონასტრიდან გზა გადადის პორტას მდინარიდან მარცხენა ნაპირზე, ე.ი. ქუსლაზე. მდინარეზე ქვის ხიდი იყო, რომლითაც, ახსოვთ, ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ სარგებლობდნენ. ის დაინგრა. ქუსლაზე გზა ამოდის რა მთის დასავლეთ ფერდობზე, 3-4 წუთის სვლის შემდეგ ორად იყოფა: ზედა და ქვედა. ქვედა, არტანუჯის გზა, ახლა მიემართება უბრალო ხის ხიდისაკენ, ე.ი. იმერხევზე<sup>1</sup> გადებულ კოჭისკენ. ახლა ამ გზის ქვემოთ, იმავე ქუსლას განტოტების შემდეგ ქვემოთ, მდინარის ზემოთ ბაღის ადგილს **ორდიგეთული** ეწოდება. ორდიგეთულს ქვემოთ ჩიდილას ბაღის ადგილია, მის იქით მდ. იმერხევისკენ **კოლოდორი**, რასაც მამასახლისი **კოლორზაუს** უწოდებს. *ქვემოთ, პორტას მდინარეზე, როგორც ჩიდილა, კოლოდორს იქით – ქონათი* (ქვე[დ]ნათ>ქონათ). მამასახლისის ახსნით – კოლორზაკის ქვემოთ – **შოროლთი**, შოროლთს ქვემოთ, მარცხნივ – **ფარახი**, სწორედ მარცხნივ, აღმოსავლეთიდან, პორტას მდინარის მდ. იმერხევთან შერთვის ადგილას. შემდეგ **წილიფ-პირი**, ეს უკვე მდ. იმერხევთან არის, პორტას მდინარის დასავლეთით. წილიფ-პირს ზემოთ, პორტას მდინარის გასწვრივ, **სიჯაქსუ** (თბილი წყალი?), მაგრამ აქ მიწის ყოველ ნაჭერს თავისი განსაკუთრებული სახელი აქვს: **კარჩხალოლა**, შემდეგ **სამოჭრილათი**, შემდეგ **ყოლთა-ქევი**, მის ქვემოთ წყარო ოპიზისკენ გზაზე, შემდეგ – **ოპიზა**.

პორტას ნაკადულის მარჯვენა მხრიდან, გალავანს იქით არის **აკლამაზირი** (აკლდამაჲს ძირი?), კოლოდორის პირდაპირ, შემდეგ – **ლომათური**. მამასახლისის სიტყვით, **კოლორზავის** პირდაპირ, ცოტა უფრო მაღლა, ვიდრე **კონათი**, მარ-

<sup>1</sup> ასეთ ხიდს ადგილზე ეწოდება **წანწალა** (tantala), შეად. სომხ. **ბანბაჲ an a** – ფონი.

ჯვენა ნაპირზე რომ არის, ლომათურს იქით, ოპიზისკენ, **ყიათური, მიტოვებული** (ვერანა) **ბაღები**, შემდეგ **დაბანი**, გატყე-  
ვებული, ველური ადგილი, მამასახლისის სიტყვით კი – **და-  
ხატულა**, რომლის ქვემოთ, ზედ მდ. იმერხევზე, **სამაჭრეთი**,  
შემდეგ, დახატულას იქით, ზემოთ, **სარკინეთი**, მის ზემოთ –  
**ქორნი-ბუღა. ფარახში** და **წილიფ-პირში** მიტოვებული ბაღე-  
ბია, მაგრამ აქა-იქ ახლაც არის ცოტა ყურძენი. ზედა გზა  
მიდის ნუკა-საყდრისკენ: იგი აღმართით მიდის პორტას  
მხრიდან, უხვევს ქუსლას იქით და იკარგება მხედველო-  
ბიდან.

მონასტრიდან ოპიზისკენ გზა (1.5 საათი) მიემართება **სა-  
თიბას** ქვემო ნაწილზე, წყაროს მიღმა, რამდენადმე ადის  
მალლა გალავანზე, უხვევს, ეშვება მდინარისაკენ და თან  
იკარგება პორტაში მყოფის თვალთახედვიდან, შემდეგ კი  
მცირე აღმართ-დაღმართებით მიდის ოპიზამდე, რომელიც,  
ადგილობრივთა აზრით, ერთნაირად დაბლაა, პორტას მო-  
ნასტერთან.

გზა ზევით, **შუა პორტაში** და **მეზრე პორტაში** (ან ზედა  
პორტაში) ეკლესიიდან ჩრდილოეთისაკენ ჯერ მიდის სათი-  
ბის აღმოსავლეთ ფერდობით, შემდეგი გზა აღწერილია, ჩვენ  
გუშინ ამ გზით ჩამოვედით.

შატბერდში (ამიერიდან მე ასე ვუწოდებ ქვემო პორტას  
მონასტერს) ასევე არ არის სწორი მოედანი. ყოველი ნაგე-  
ბობისათვის, ბადისთვისაც კი, უნდა გასწორდეს ნიადაგი  
[ქვის] წყობით, გაკეთებული უნდა იყოს ტერასა. მოთხრით  
ნიადაგის გასწორებას ერიდებიან, რადგან, თუ ნიადაგი ქვი-  
ნია, ეს დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული, თუკი  
გრუნტი მიწაა, მაშინ იგი მიდის სახნავში და ბაღში და ცო-  
ლოა. ამგვარად, ყველა კულტურული ნაგებობა შატბერდში,  
ისევე როგორც მეტ-ნაკლებად მთელს კლარჯეთში, განლა-  
გებულია ტერასისებურად, ერთი-მეორეზე, ხანდახან ამფითე-  
ატრევით. თანამედროვე ხის სახლებიც კი ქვედა პორტაში  
აგებულია ტერასებზე (სურ. 50).

ეკლესია მდებარეობს ტერასაზე, რომელიც აგებულია  
სათიბის ქვედა, სამხრეთ-აღმოსავლეთ შვერილზე (სურ. 48  
და 50). აღმოსავლეთი ფასადით იგი ბატონობს პორტას  
წყალზე. მისგან სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს გუმბა-  
თოვანი ნაგებობა; ამ ნაგებობისგან სამხრეთ-აღმოსავლეთით,  
საზველთას ღრმა ნაწილს ზემოთ სატრაპეზო ან „საოსტოგ-  
ნეა“. ამ მხარეზე ააგეს საცხოვრებელი და სათავსოები პორ-  
ტელებმა, როგორც ითქვა, ყურძნის ადების და საერთოდ,  
ვენახში მუშაობის დროისათვის. ნაგებობები ხისაა, მაგრამ  
ქვედა სართულები, აქა-იქ კი ზედა სართულების ნაწილე-  
ბიც, ბუხრები და ხშირად ბელლების საყრდენებიც ქვისაა,  
ძალიან ხშირად მონასტრის ქვისგანაა. მათ შორის გვხვდება  
წარწერებიანი ქვებიც.

სათიბის ჩრდილოეთ ფერდობზე, წყაროსთან მიმავალი  
გზის ზემოთ, არის ნარჩენები რაღაც ვრცელი, ძველი ნაგე-  
ბობისა მსხვილი საპირე ქვებით. გეგმა ოთხკუთხედიანია.

3. წარწერა დანგრეული სახლის ქვედა სართულის  
კარზეა. სახლი ეკლესიის დონეზეა, პირველი მისგან  
დასავლეთითაა, მარცხნივ, წყაროსთან მიმავალ გზაზე, ფერ-  
დობზე. კარი დასავლეთ მხარეზეა. შესასვლელთან, მარ-  
ცხნივ, განის შიგა სისქეში ქვემოდან მეხუთე რიგში ჩადგმუ-  
ლია ქვა განის მთელ სიგანეზე. მაგრამ სიგანეში დევს სი-  
მალლით 13 1/4 გოჯი. ქვის თავდაპირველი სიგანე თუ სიგ-  
რძე უცნობია, რადგან სახეზეა ქვის მარჯვენა მხარე სიფარ-  
თით 4 1/4 გოჯი. ამ ვიწრო ზოლზე შემორჩენილია მხოლოდ  
ექვსი სტრიქონის მარჯვენა დაბოლოებები, თითოეული ორი-  
დან ოთხ ასომდე. წარწერა გაკეთებულია არათანაზომიერი,  
მაგრამ ლამაზი მთავრული ასოებით (საზების დაბოლოებე-  
ბი, ისევე როგორც ქარაგმის ბოლოები ორენოვანია, მაგ: >

- < ), ნ იკითხება:

><  
ს შა  
ნლ





აღმას: მისნი: ამხანაგ-  
ნი: ქამირსა<sup>1</sup>: ყახანსა: მს-  
ახურსა: შეუნდვენ: ღმერთმან: ვინცა: შენ-  
ლობა: ბარქმანონქ<sup>2</sup>.

ბ. დასავლეთით, ყელის წყობის იმავე რიგში (სურ. 52), ერთ ქვაზე, იმავე ხელწერით ხუცური (სიგრძე 9 11/16 გოჯი, სიმაღლე 7 1/4 გოჯი) [წარწერაა]:

ქრისტე: შეიწყალე: მარკოზ:

დედა: მამა:

მისი: შეუნდვენ: ღმერთმან:

7. წყაროს ზემოთ, სახლთან, ჩრდილოეთით [ქვის] მშრალ წყობაში, რომელიც გაკეთებული იყო სახლის აღმო-  
სავლეთით მოედნის გასასწორებლად, აღმოჩნდა ქვა. ქვა  
დევეს ვიწრო მხრით: სიმაღლე – 15 1/2 გოჯი, სისქე 4 გოჯი  
და უფრო ნაკლები. მე ამოვადებინე ქვა წყობიდან. ის აღ-  
მოჩნდა უბრალო ჩარჩოში მოთავსებული ჩაღრმავებებით  
ორივე მხარეზე. ქვის სიგანე 8 7/8 გოჯია. წარწერა  
მთავრული ასოებით, შვიდი სტრიქონი, სისქეზე (მაყურებლი-  
სათვის) მარჯვენა მხრიდან:

*იღვა*

*გარდ[ც]³*

*ერისით*

სახელწოდებით, როგორც მაგალითად, ცნობილი ციხე-სიმაგრე კლდე-  
კარი. წარმოშობით იქაური აბესალამა, resp. აბუსალამა, იწოდებოდა კი-  
დეც კლდედ. როგორც აქ ისე უფრო ქვემოთ, როგორც ჩანს, მცირე  
მცოდნე და საერთოდ ქართულ მეტყველებაში არამყარი ხურო უშეებს  
ლოგიკური დამატების დასმას აორისტთან მიც. ბრუნვაში სახელობი-  
თის ნაცვლად, თუმცა გვერდით სწორად იყენებს წინადადების იმავე  
ნაწილისათვის სახელობითს (კლდელი, მისნი ამხანაგნი).

<sup>1</sup> ეს საკუთარი სახელი, ისევე როგორც მისი შემდგომი, დედანში ქა-  
რაგმის ქვეშ არის და მე არა ვარ დარწმუნებული, რომ სწორად  
გვითხულობ: ქამრა, როგორც ქამირა.

<sup>2</sup> ა'ს ზედმეტობაზე ბ'სა და რ'ს შორის, იხ. ზემოთ. გარდა ამისა, ალაგ-  
ალაგ გამოტოვებულია ქარაგმა

<sup>3</sup> გარდ[აცვალებული?]

*წხს*

*ლოსა*

*თღრა<sup>1</sup>*

*მიჭსე*

პირველი წაკითხული სტრიქონის ზემოთ არის თავისუ-  
ფალი ადგილი, სადაც ჩაეტეოდა მეორე სტრიქონი, მაგრამ  
არც ერთი ასო, კვალიც არ არის. დასაწყისში, როგორც  
ჩანს, აკლია: *[ქ აქ დაქიდვა*.

ეს ერთ-ერთია იმ ორი ქვისაგან, რომლებიც ბატონმა  
ერმაკოვმა აღმოაჩინა კერძო სახლის მიღზე და გადაუღო  
სურათი (სურ. 53). მეორე ქვაზე, რომელიც პორტაში ჩემი  
ყოფნისას არ აღმოჩნდა, იკითხება:

*ღ'ის*

*აბა*

*კელმ*

*სა ე[*

*[ს]ით*

*[დ]აკე*

*ლოც*

ე კ ლ ე ს ი ა .

შიგნით, ეკლესიაში, უპირველესად თვალში გეცემა ქვის  
წყობის განსხვავება: ერთის მხრივ ყელთან მისი აფრებით  
და გუმბათით, მეორეს მხრივ, ტაძრის დარჩენილ ნაწილში.  
ყელი, დასახელებული ნაწილებით, შიგნით მოხდენილად  
მოპირკეთებული სუფთად გათლილი, ერთმანეთთან მჭიდ-  
როდ მორგებული თანაბარი ზომის ქვებით. მოპირკეთება –  
უმაღლეს დონეზე ნატიფი ნამუშევარია: თითქოს დაწყობი-  
ლია არა ცალკეული ქვები, არამედ მთლიან ქვაზეც წყობის  
წაბაძვით გაყვანილია საზები: ეს ის ნამუშევარია, რომელიც  
სომხურ არქიტექტურაში განასხვავებს ანისის გვიანდელ  
(XII-XIII სს) ნაგებობებს. ვიხსენებ ანისის ნაგებობებზე,  
რადგან ყელის ქვების ფერიც კი (მოწითალო) იმეორებს შე-

<sup>1</sup> [ა]თ დრა[კანსა?]

ნობების ცნობილ მკრთალ-წითელ ფერს, რომელიც ასე კარგად არის ცნობილი ნებისმიერისათვის, ვინც ცხოვრებაში თუნდაც ერთხელ არის ნამყოფი ანში. იგივე ქვა და იგივე ნამუშევარი ახასიათებს ოთხ თაღს, რომლებზეც დგას ყელი, იგივე ახალი მასალა და იგივე ახალი ხელოვნება შეიმჩნევა იმ კაპიტელების მოპირკეთებაში, რომლებსაც ეყრდნობა გუმბათის ეს თაღები.

მთელი დარჩენილი ნაწილის ნამუშავეთ ტაძარს გადაყვარათ ძველი კლარჯული ან შავშურ-იმეხეული ნაგებობების ეპოქაში. არა მოსაპირკეთებელი, არამედ საპირე ქვები, არცთუ სუფთად დამუშავებული, არცთუ განსაკუთრებით სწორი ფორმით: არათანაბარზომიერნი, ერთარშინიანზე ნაკლები სიგრძის ქვის გვერდით არის ორარშინიანი. გარდა ამისა, ეს ქვები, მთლიანობაში მსხვილები, სულაც არ არიან ერთმანეთთან მჭიდროდ მორგებული. ცემენტის ფენები განიერ ზოლად გამოდიან შეერთების ხაზებიდან. თვით ქვა მუქი რუხი ან ზოგჯერ ღვინისფერია, ისეთი ხარისხის, რომ ექვემდებარება უზადო, გლუვ გათლას.

შიგნით არქიტექტურული ნამუშევრის სხვადასხვაგვარობა, თუ ვიმსჯელებთ რამდენიმე ნატეხით, თავის დროზე დაფარული იყო ბათქაშით და ოსტატური მოხატულობით. საკურთხეველის ნახევარწრის თაღის ქვედა მხარეზე, ყელთან, შენარჩუნდა ტოლგვერდა ჯვარი, გვერდებზე კი, ზედა ნაწილები, რომელიცაა წმინდანების თუ ანგელოსთა შარავანდებისა.

ამ გამოსახულებების, ჩრდილოეთ მხარეზე იკითხება მთავრული ასო (შავი საღებავით): **Ⲛ**, სამხრეთ ნახევარზე: **ⲚⲚ**.

სხვადასხვაგვარობა გუმბათის ნაწილისა და ტაძრის დამუშავებაში შეესაბამება გვერდის სხვადასხვაგვარობას, ტიპის შერეულობას. და თუ დამუშავებაში შესრულების ერთი სახეობა აშკარად თავისთავს გვიანდელად წარმოგვიდგენს. ჩნდება აზრი, რომ გვერდშიც საქმე გვაქვს პირვანდელ, სუფ-

თა ტიპის, კერძოდ, როგორც ვფიქრობ, ბაზილიკის გართულებასთან.

აღეწურ ნამდვილ მდგომარეობას.

ტაძარი შიგნით ახლა წარმოადგენს ჯვრისა და ბაზილიკის შეერთებას. ტაძარს ოთხი ფრთა აქვს. გვერდითი ფრთები უფრო მოკლეა (სიფართო 2 საუენი და 12 1/4 გოჯი. სიღრმე – 1 საუენი და 5 1/2 გოჯი). საკურთხეველის ნახევარწრე სიღრმით 2 საუენი, 1 არშინი და 6 გოჯი. დასავლეთი ფრთა – სიგრძე 2 საუენი, 2 არშინი და 8 გოჯი, სიფართო – 2 საუენი და 12 1/4 გოჯი. ტაძრის სიგრძე შიგნით 7 საუენი, 2 1/2 არშინი, სიგანე: 4 საუენი, 2 არშინი, 12 1/4 გოჯი. კედლის სისქე (სამხრეთ კართან) 1 არშინი და 6 1/4 გოჯი.

დასავლეთი ფრთის პარალელურად, ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან მოდის გვერდითი ნაგები (სურ. 54). მათი გარე კედლები ერთ სიბრტყეშია გვერდითი ფრთების გარე კედლებთან. ბაზილიკის შემონახული გვერდითი ნაგების ნაწილები უერთდებიან ტაძარს, თითოეული ორი მარტივი კამაროვანი განით (თითოეულის სიფართო 1 საუენი და 2 1/2 გოჯი). კამარები ეყრდნობიან ქვებით ამოყვანილ ოთხკუთხა სვეტებს (სვეტის მხარეები – აღმოსავლეთი და დასავლეთი 1 არშინი და 3 1/2 გოჯი, გვერდითები – 1 არშინი და 5 1/8 გოჯი).

ამ სვეტების თანაბრად, ზემოთ, პირდაპირი კედლების წყობის მესამე რიგიდან კამარაზე გაშვებულია სარტყელი სამხრეთი გამომშვები თალიდან. ასეთი გადასაყვანი სარტყლები, ქვედა სვეტების გარეშე, აქვს ოთხივე თაღს, რომლებზეც ეყრდნობა ყელი (მათ შორის ერთი საკურთხეველის ნახევარწრის პირთან მოდის).

საკურთხეველში გვერდითი ნიშები არ არის. ფანჯრის ქვეშ საპირე ქვები გამოვარდნილია: შესაძლებელია, აქ ჩაღრმავება იყო. საკურთხეველის შემადგენელია ახლა შეინიშნება წყობის ორ რიგში 1 არშინი და 1 გოჯის სიმაღლით. შემადგენლების ქვემოთ ჩანს განის ვიწრო ზოლი, როგორც ჩანს, საკურთხეველის ქვედა სათავსოში შესასვლელისა.

საკუროთხვევლის ნახევარწრეს, ნახევარგუმბათსა და ცენტრალურ გუმბათქვეშა ნაწილს შორის ყველა მხრიდან, ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან, დატოვებულია კამარით შეერთებული შუაკედლისები (სიგანე 1 საუენი და 15 1/2 გოჯი).

ეს შუაკედლისები გადაკეთებულია გვერდითი ნაგების თაღებად, იმ თაღებისა და სვეტების ნაწილისგან, რომლებიც ოდესღაც ახასიათებდა ბაზილიკას<sup>1</sup>.

შუაკედლისები ახლა გამოყოფენ საკუროთხვევლის ნახევარწრისაგან (რომელსაც თავად არიან მიკუთვნებული) გვერდით ეკვდრებს. ჩრდილოეთ შუაკედლისში დატოვებული იყო საკუროთხვევლთან ეკვდერის შემაერთებული პატარა კარი. სამხრეთი ეკვდერი, ისევე როგორც ჩრდილოეთი, ერთი აღმოსავლეთი ფანჯრითა და ერთი დასავლეთი კარით (სიმაღლე – 2 1/2 არშინი, სიგანე – 1 არშინი და 5 3/4 გოჯი), რომელთაგან თითოეული გამოდის შესაბამის გვერდით ფრთაში. კარი შიგნით არის, ეკვდრის მხრიდან, ნახევრადმრგვალი ზედა ნაწილით, მაგრამ გარედან ნახევარწრე ამოვსებულია უზარმაზარი ქვით და გამოვიდა ოთხკუთხა ფორმა. ორივე ეკვდერში აღმოსავლეთი კედლები ბრტყელია. სამხრეთი ეკვდერის სამხრეთ კედელში არის ოთხკუთხა მცირე ნიშა. ფრთების შეერთების ადგილებთან შექმნილია კუთხეები ზემოდან ქვემოთ; ამ კუთხეებზე გაშვებულია ძველი ქვებით აგებული ნახევრადმრგვალი სვეტები, მაგრამ ახლად სუფთად დამუშავებული. საერთოდ გუმბათის ქვეშ ქვების ქვედა ნაწილიც, კუთხეებიც მოწმობენ ახალ ნამუშევარზე<sup>2</sup>.

ყელი, დაფუძნებული თაღებსა და აფრებზე, რვაწახნაგია. ოთხი ფანჯარა, თითოეული სამყაროს მთავარი მხრისკენ, ენაცვლება ოთხ ყრუ შუაკედლისს. ზემოთ გუმბათი, აქამდე შენახული ყოველგვარი ნაკლის გარეშე: ყოველი ქვა

<sup>1</sup> თითოეულმა გვერდითმა ფრთამ დაიკავა ორ-ორი თალი სვეტიურთ, რისი გაგებაც ძნელი არ არის.

<sup>2</sup> მაგრამ არა ახალ მასალაზე. ასევე ბაზილიკის გადარჩენილი სვეტები, როგორც ჩანს, მხოლოდ ხელახლა დამუშავებული ან გათლილია.

ადგილზე. ტაძარში ასევე ოთხი ფანჯარაა, ქვეყნის ოთხ მხარეზე. ერთი თვალის შევლებით, ერთნაირი ზომის, მოგრძონი, ნახევრადმრგვალი ზედა ნაწილით და შიგა მხარეს გაფართოებით. მე მქონდა შესაძლებლობა, მიშენებული სახლის სახურავიდან გარედან გამეზომა დასავლეთი ფანჯარა: სიმაღლე ზედა ნაწილითურთ 2 არშინი და 12 გოჯი, სიგანე – 12 გოჯი.

კარი ორია: ერთი სამხრეთი; სამხრეთი ნავის ცენტრიდან პირველი თალის პირდაპირ, ნახევრადმრგვალი ზედა ნაწილით. მეორე ჩრდილოეთი, სამხრეთის პირდაპირ, შესაბამის ადგილას. ჩრდილოეთი კარის სიმაღლე ნახევარწრით 1 საუენი და 8 გოჯია, სიგანე – 2 არშინი. დაახლოებით, თუ არა ზუსტად, ასეთია სამხრეთი კარის ზომებიც, მაგრამ მისი ქვედა ნაწილი ერთ მესამედზე დაფარულია მინაყარით, გვერდიდან კი, დასავლეთი მხრიდან, მისი განის ქვები გამოშლილია.

სამხრეთი კარი არა პირდაპირ ეზოსკენ, არამედ იმ მინაშენისკენ იყო მიმართული, რომელიც დაინგრა. ახლა შეიძლება მხოლოდ თქმა, რომ მინაშენს ჰქონდა ჭერი კამარად მთელი არსებული სამხრეთი ნავის გასწვრივ, ე.ი. დასავლეთ კედლიდან სამხრეთ ფრთამდე. ჩრდილოეთი კარი ასევე მინაშენში გამოდის: იგი გამოყვანილია შეუწყობლად, დაბალი ჭერის მქონე სამკუთხედად (ფერდობი ჩრდილო-დასავლეთისკენ) და ვრცელი კარით ჩრდილო-აღმოსავლეთით. სამხრეთი კარის ნახევრადმრგვალი ზედა ნაწილი გარედან ამოუორილი იყო თეთრი ოთხკუთხა ქვით. ქვა არ იყო მთელი. შემონახულია პატარა ნატეხი აღმოსავლეთ მხრიდან<sup>1</sup>, მასზე კი წარწერის ნარჩენები მთავრული ასოებით, 5 სტროფად:

სამხრეთი  
კარი  
წარწერა  
აქამდე

<sup>1</sup> ქვის ზომები: ab=15 1/2 გოჯს; bc=5 გოჯს; cd=15 1/8 გოჯს; ad=9 1/2 გოჯს.

## წკ

გარედან ყველაზე საინტერესო საფუძველია. ნიადაგი აქ ფერდობია და, უპირველესად, მსხვილი, ნაკლებდამუშავებული ქვების წყობითაა გასწორებული. შედარებისათვის: ნიადაგის [გასასწორებლად] ეკლესიის ქვეშ, ფორტას მდინარის მხრიდან, ფერდობის ზედა მხარესთან საჭირო გახდა 2 საჟენი, 2 არშინი და 10 1/2 გოჯი სიმაღლის ქვის წყობის 7 რიგი. ქვედა ხაზთან 10 რიგი. სიმაღლე 2 საჟენი, 2 არშინი და 10 1/2 გოჯი. ამავე სიმაღლეში შედის შავი ქვისაგან აგებული ეკლესიის ცოკოლი, დაბალი ქვების ერთი რიგით მის ქვეშ.

ზემოდან და ქვემოდან, ე.ი. ქვებით ამოყვანილი ამ ფუნდამენტის ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან, ასევე ნიადაგის გასასწორებლად 5 საჟენის, 2 არშინისა და 11 გოჯის სიგრძეზე ეკვრიან [ქვის] წყობები.

ამჟამად სამი წყობა, კერძოდ, ეკლესიის ფუნდამენტი, მომიჯნავე ნაგებობის ფუნდამენტთან ერთად, შეადგენს ერთ მოედანს, ერთ ტერასას, მაგრამ, სრულიად ნათელია, რომ გვერდითი ფუნდამენტები გამოყვანილია მოგვიანებით: ეკლესიის ტერასის გვერდითი მხარეების ქვები, ამჟამად დაფარული მიშენებული ტერასებით, რამდენადაც შეიძლება დაინახო, გათლილია, ე.ი. ერთ დროს საპირე ქვები იყო.

ეკლესია გულმოდგინედაა აგებული საკუთარ ხელოვნურ ფუნდამენტზე ისე, რომ მისი კედლების ხაზები ერთ სიბრტყეშია ფუნდამენტის შესაბამისი კედლების ხაზებთან. ერთ დროს ეკლესია, როგორც ჩანს, მარტოდ-მარტო იყო აზიდული; და მასთან მისასვლელი მხოლოდ დასავლეთიდან შეიძლება ყოფილიყო, სადაც ახლა კარის ნაკვალევიც არ არის. გარე წყობა ეკლესიის ძველ ნაწილშიც კი გაკეთებულია შეუდარებლად გულმოდგინედ, ვიდრე – შიდა. ეკლესიის საპირე ქვები, სუფთად გათლილი, ერთმანეთთან მჭიდროდაა მორგებული, ოღონდ ქვა (გამოყენებული შიგნით, საკურთხეველის ნახევარგუმბათში, ძველ სვეტებში და სხვ.) გამოიფიტა, ან ნასვრეტებიანი იყო. მაგრამ ზოგიერთ ადგილას

კი მოსაპირკეთებლად გამოყენებული იყო ახალი ქვა, რომლითაც შიგნით მხოლოდ გუმბათია მოპირკეთებული, კერძოდ:

1. აღმოსავლეთ ფასადში სამკუთხა ზედა ნაწილის მქონე ქვის წყობის ხუთი-ექვსი რიგი;

2. ასევე სამხრეთ ფასადზე და, საერთოდ, სამხრეთ ფრთაში. მაგრამ აქ, როგორც დანარჩენ ფასადებზე, ზედა ნაწილები შემოძარცულია.

3. ყელის ყველა გარე ნაწილი ამ ქვითაა მოპირკეთებული.

მოკაზმულობა გარედან:

ა. თუ ვიმსჯელებთ ნარჩენებით (ცენტრალურ ფანჯარაზე), ან ნაკვალევებით (ჩრდილოეთზე) სამივე ფანჯარაზე იყო ნაღები ჭიაფურის ქვიდან. ასეთივე ქვის [გამოკვეთილი] ჯვარი ეყრდნობოდა ცენტრალური ფანჯრის ნაღს: დარჩა გვერდითი ფრთები და ზედა, რომელიც ეყრდნობოდა წყობის ზემოდან მეექვსე რიგს.

ბ. როგორც ყრუ, ისე ფანჯრებიანი კედლების ყელთან, შეერთების ადგილზე, დგას წყვილი ნახევარსვეტები, უბრალო ნახევრადმრგვალი თაღებით შეერთებული. მაგრამ ყელისთვის, მისი დროის განსაზღვრის თვალსაზრისით, ყველაზე დამახასიათებელია იმ ტიპის კარნიზი, ტეხილი ხაზით ან ამოკვეთილი, ანისშიც<sup>1</sup> რომ ჩნდება, საერთოდ შირაქში<sup>2</sup>, მხოლოდ XII-XIII საუკუნეებში. ამას შეესაბამება გუმბათის ნაკეციებიანი სახურავი, თითქოს ნახევრადლაკაცილი ქოლგთ დაფარული. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ყელი ძალიან მაღალია (სურ.54).

ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთით განლაგებული სამრეკლო მდებარეობს მოედანზე, ეკლესიის ტერასაზე უფრო დაბლა. იგი ორი ნაწილისაგან შედგება: 1. ოთხკუთხა ქვემო ნა-

<sup>1</sup> მაგალითად, წმინდა გრიგორის ეკლესია ნახევარკუნძულზე (კიზ-კალა), ჩემ მიერ გათხრილი 1892 წელს წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია.

<sup>2</sup> მაგალითად, მარმაშენის განახლებული ეკლესია.

წილისაგან, დასავლეთისაკენ კარით (ზემოთ დანაგვიანებულა, ზედა ნაწილი მოხსნილია, სიგანე 1 არშინი და 14 1/4 გოჯი). ქვედა ნაწილი ძველი ნამუშევარია, ან ნებისმიერ შემთხვევაში, უბრალო წყობის; 2. მრგვალყელიანი გუმბათით, სრულიად ისეთივე, შესრულების ტექნიკითაც და მასალითაც, როგორც ეკლესიის გუმბათი, XII-XIII სს ნამუშევარი. ყელში 8 ფანჯარაა. ფანჯრები ნახევრადმრგვალი ზედა ნაწილითაა, მაგრამ შიგა მხრისაკენ გაფართოების გარეშე, ეს საკუთრივ განებია (სიმაღლე ზედა ნაწილით 2 არშინი და 12 1/2 გოჯია, სიგანე – 13 გოჯი). შიგნით წრე (დიამეტრი) 4 არშინი და 15 1/2 გოჯი.

შეუღლი მხარეების, ე.ი. თვით ყელის სიმაღლე 1 საუენი, 2 არშინი და 9 გოჯია. კედლის სისქე – 14 1/2 გოჯი. გუმბათი წყობის ექვსი კონცენტრირებული წრისგან [შედგება], ყოველი მათგანი 8 გოჯამდე სიმაღლისაა. შემდეგ ცენტრში დატოვებულია 1 არშინი დიამეტრის ღრმა წრე. ამ ჩაღრმავებაში დღემდე ამოშვერილია ღერო, რომელზეც ეკიდა ზარი. გარედან ყელი რვაწახნაგოვნად არის გაკეთებული. ფანჯრების ქვეშ გაშვებულია სარტყელი (სიგანე 5 გოჯი), რომლის ქვემოთ 1 არშინი სიმაღლის ქვის წყობის 2 რიგია. მის ქვეშ კიდევ დაბალი წყობაა, შემდეგ კი ქვემო შენობის ზედა მხარე. ქვედა ნაწილის სიმაღლე 1 საუენი და 4 გოჯია, გარდა ფუნდამენტისა (სიმაღლე 2 1/4 არშინი, განსხვავებულია), რომელიც ამასთანავე გამოიყენება არა მარტო მოედნის გასასწორებლად, არამედ კედლადაც. შიგნით სამრეკლოს ქვედა ნაწილი წარმოადგენს თაღოვან ოთახს (თალი აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენაა გადაჭიმული). დასავლეთი კედლის სიგანე 2 საუენი და 5 გოჯია, სამხრეთი კედლის სიგანე – 2 საუენი და 9 გოჯი.

სამრეკლოს აღმოსავლეთ მხრიდან ასევე არის ნაგებობის მცირე ნარჩენები ერთი კამარის კვალითურთ.

ეკლესიის ჩრდილოეთი მხრიდან, ჩრდილო-აღმოსავლეთ ეკვდერს, შესაძლებელია, ერთ ღროს ასევე ეკვროდა მინაშენი, მაგრამ [ახლა] აქ მხოლოდ ქვების გროვაა, თუმცა მცი-

რე. აქვე გვერდზე გდია მასიური ქვა (სიმაღლე 10 1/2 გოჯია, სიგანე – 1 არშინი და 10 გოჯი, სისქე – 14 1/2 გოჯი) ოთხკუთხა ამონადებით (6 გოჯი×5 1/2 გოჯიზე, სიღრმე – 4 1/2 გოჯი), როგორც ჩანს, ჯვრის კვარცხლბეკი. ნებისმიერ შემთხვევაში აქ ქვემოდან ეკლესიის ფუნდამენტის ღრეზე ქვების წყობით ამოყვანილია განსაკუთრებული ტერასა.

ეკლესიის სამხრეთი ფასადის აღმოსავლეთ ნახევარს ასევე ეკვროდა დიდი მინაშენი, სიგანე (ეკლესიიდან სამხრეთით) 4 საუენი, 1 არშინი და 15 გოჯი, სიღრმე (ეკლესიის გასწვრივ) – 2 საუენი, 2 არშინი და 15 გოჯი. კედლების სისქე – 1 არშინი და 5 გოჯია. მაგრამ ის დაინგრა, დატოვა რა დასავლეთი კარის კვალი ზედ ეკლესიის კედელთან 2 არშინი და 3 1/2 გოჯის სიფართის განის სახით; ეს კარი გამოდიოდა იმავე სიფართის დერეფანში დასავლეთისაკენ, მაგრამ აქ ყველაფერი ქვებითაა ჩახერგილი. ამ მინაშენის ქვის წყობა ძველია, ის წააგავს კიდევ ეკლესიის ფუნდამენტის წყობასაც.

ჩამონგრეული მინაშენის ქვემოთ შემორჩენილია ქვედა სართული, ავსებული ამჟამინდელი პორტკელების თივით. მასში შესასვლელი სამხრეთ-დასავლეთიდანაა. მინაშენის მოედნიდან, რომელიც ეკლესიის მოედნის ღრეზეა, შესაძლებელია, იყო ჩასასვლელი კიბით რამდენიმე საფეხურზე (ახლა დანაგვიანებულია). ჯერ აქ ხედებოდნენ სათავსოში, ასევე დანგრეული რომ არის, როგორც მისაღებში, შემდეგ მარცხნივ, შემორჩენილ გრძელ დერეფანში<sup>1</sup> (სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ) 2 არშინი და 1 1/2 გოჯის სიგანის, სათიკენაც გამოდიან ვრცელი, ერთნაირი ზომის თაღოვანი სენაკები (3 სენაკი), თითოეული ერთადერთი კარით დასავლეთისკენ დერეფანში და აღმოსავლეთი ფანჯრით პორტას ხეზე. ოთახები მაღალი არ არის (მე ხელით ვწვდები თაღს ზედა ნაწილამდე), მაგრამ ფანჯრები და კარები ვრცელია.

<sup>1</sup> ზედა მინაშენის მთელ სიგრძეზე (ეკლესიიდან სამხრეთით) გადაჭიმული (იხ. ზემოთ).

კარები ოთხკუთხედიანია (სიგანე 1 1/2 არშინია, სიმაღლე – 2 არშინი და 1 1/2 გოჯი), მხოლოდ შიგნით ნახევრადმრგვალი ზედა ნაწილით. ფანჯრები ასევე ოთხკუთხედიანია. ეს ფანჯრებიანი სენაკები მოთავსებულია ქვის წყობაში, რომელის გამოყვანილია მოედნის გასასწორებლად.

ქვედა მოედანი გრძელდება სამხრეთით 4 საუენზე. მისი დასავლეთი ნაწილი ამჟამად უჭირავს პორტელთა სკებს და ახლა ძნელია გაარკვიო, თუ რა იყო აქ თავდაპირველად.

აღმოსავლეთ ზოლზე ნაწილობრივ გამოდის (1 საუენსა და 5 გოჯზე) ახლახან აღწერილი ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთი მინაშენი მისი ქვედა სართულით. დანარჩენი ნაწილი უჭირავს პატარა, ჩვეულებრივ, შავშეთ-იმერხევის ტიპის ეკლესიას (სიგრძე 1 საუენი, 2 არშინი და 13 გოჯი, სიგანე – 1 საუენი და 1 არშინი, საკურთხეველის ნახევარწრის სიღრმე 2 არშინი და 6 1/2 გოჯი), მაგრამ კარით დასავლეთისაკენ. მასში არის ფანჯარა აღმოსავლეთისაკენ და თითო ნიშა ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან.

ეკლესიის წინ იყო მინაშენი, შესაძლებელია, კარიბჭე, [ახლა] დანგრეული<sup>1</sup>.

საკურთხეველის შემადგენლების ქვემოდან მიდიოდა შესავლელი. ის გათხრილი და დანგრეულია, მაგრამ შემორჩენილია განი კარისა, რომლისკენაც ეს შესასვლელი მიდიოდა, კარს კი შეჰყავს საიდუმლო, ამჟამად გაძარცვულ საგანძურში, კოშკის ზედა სართულზე, რომელიც სამი მხრიდან (წინა მხარე – 1 საუენი, 2 არშინი და 10 გოჯი, გვერდითები – 1 საუენი და 2 1/2 არშინი) გამოსულია სამონასტრო ნაგებობის აღმოსავლეთ ფასადზე, ხელოვნური საძირკვლის გვერდით და იმავდროულად სამხრეთი მინაშენის ქვედა სართულთან.

პატარა ეკლესია ისეა მოთავსებული მეორე ან საშუალო მოედანზე, რომ მას შეიძლება თავისუფლად შემოუარო სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან. აქ, აღმოსავლეთიდან,

<sup>1</sup> ეს მცირე ეკლესია, სახურავში ორი პატარა ნახევრით, საკურთხეველის ნახევარწრით სამხრეთ ნაწილში და სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში, ახლა მიმართულია საპირისპირო მხარეს.

თავისუფალი მოედანი განსაკუთრებით ფართოა: მას ზრდის ხსენებული კოშკის ზედა ნაწილი. მთავარი ეკლესიის მოედანი, პირველი 2 არშინსა და 2 გოჯზე უფრო მაღლაა, ვიდრე მეორე, პატარა ეკლესიითურთ.

**16 აგვისტო, ორშაბათი.** მეორე ტერასის გვერდითი სამხრეთი მხარე, ოდესღაც ერთ სიბრტყეში იყო კოშკის გვერდით სამხრეთ მხარესთან. მაშინ: 1. პატარა ეკლესიას სამხრეთიდან არ ჰქონდა მიწის არც ერთი გოჯიც, რომ [კაცს] შემოეველო მისთვის. იგი სამხრეთი კედლით აგრძელებდა ზემოთ ტერასის სამხრეთ კედელს; 2. კოშკი, უნდა ითქვას, კლდეზე აგებული, იყო კუთხის ნაგებობა: იგი მდებარეობდა სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხესთან, აღმოსავლეთიდან.

მეორე ტერასა გაგრძელებული იყო სამხრეთით, რომ დაეფარა მანძილი მასსა და ქვედა, მესამე ტერასაზე აგებულ ვეებერთელა სატრაპეზოს შორის.

გადავდივართ ამ შენობისაკენ: ის, ერთი დარბაზი ან სატრაპეზო (საოსტიგნე). სიგრძე აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ 8 საუენი და 1 1/2 არშინია, სიგანე – ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ 5 საუენი, 2 არშინი და 5 1/4 გოჯი.

დარბაზის გასწვრივ გაშვებული იყო ორი ნახევრადმრგვალი კამარა. ამის შედეგად აღმოსავლეთი ფასადი გარეთ გამოდის ორი სამკუთხა ზედა ნაწილით. შიგნით, აღმოსავლეთ კედელზე, ორი კამარის მეზობელი დაბოლოებები ერთიანდებოდნენ ფანჯრის ზემოთ. ამ ადგილზე შემორჩენილი ფანჯარა ნათლად აჩვენებს, რომ დარბაზის ორი კამაროვანი განყოფილება არ იყოფოდა კედლით, მაშასადამე, აქ იყო რიგი სვეტებისა გვერდითი თაღებით. როგორც ჩრდილოეთისკენ, ისე სამხრეთისკენ სვეტებიდან კამარებით მიდიოდა სარტყლები, რომლებიც კედლებიდან და კამარებიდან სამი მხრით გამოდიოდნენ. შიგნით, ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლებზე, შემორჩენილია ამ სარტყლების ბოლოები. ამგვარი სარტყლები, თუ არ ჩავთვლით კუთხისას, რომლების მჭიდროდ ეკვრიან აღმოსავლეთ ან დასავლეთ კედელს, სამია. ისინი მოიცავდნენ მხოლოდ სამხრეთი და ჩრდილოეთი

პირდაპირი კედლების ოთხ ზედა რიგს. დარბაზში ახლა იზრდება მსხვილი კაკლის ხეები.

აღმოსავლეთ კედელში, შემოსასვლელი დასავლეთი კარის ახლოს არის კარის განი, მაგრამ იგი, ჯერ კიდევ ძველად, ამოშენებული იყო. ეს კარი შიგნით ნახევრადმრგვალი ზედა ნაწილითურთ ქვით არის ამოშენებული. როგორც ჩანს, ეს თავდაპირველი კარი იყო (სიგანე 1 არშინი და 10 1/4 გოჯი, სიმაღლე დაფარულია მინაყარით). კარის იქით ღია ადგილი იყო. ამ კარიდან შესასვლელის მარჯვნივ კვლავ კარია: მას განსაკუთრებულ სათავსოში მიეყვარათ, მეორე ტერასის ქვედა სართულში. მარცხნივ მიიწევს ოთახი დასავლეთი კარით, ისიც მეორე ტერასის ქვედა სართულზეა.

ამ შენობის აღმოსავლეთი ფასადი მიმართულია ისევ და ისევ პორტის ნაკადულისკენ. აღმოსავლეთ ფასადში, მიუაკუთვნებ რა ფასადს მოედნის გასასწორებლად გაკეთებულ ქვის წყობასაც, ვამჩნევ ორ წაგრძელებულ ფანჯარას პირველი წყობის ქვემოთ მესამე რიგში, მეორე წყობის ექვსი რიგით უფრო მაღლა, ამასთან უფრო ჩრდილოეთით. ზედა ფანჯარა, ნახევრადმრგვალი ზედა ნაწილით, რამდენადმე უფრო დიდია.

შენობის აღმოსავლეთი ფასადი, 9 საუენი, 1 არშინი და 11 გოჯი სიგრძით, ბატონობს წყაროს ნაკადულზე.

სამხრეთი კედლის სისქე 2 არშინი და 2 1/2 გოჯია. სამხრეთ ფასადზე სამი მოგრძო ფანჯარაა, თითოეული ნახევრადმრგვალი ზედა ნაწილით (სიმაღლე გარედან 2 არშინი და 2 გოჯი, სიგანე გარედან – 15 3/4 გოჯი, სიმაღლე შიგნით – 1 საუენი და 9 გოჯი, სიგანე, საფუძველთან, შიგნით – 1 არშინი და 13 3/4 გოჯი); ზევით 1 ფანჯარა, ასევე მოგრძო, მაგრამ უფრო მცირე და სწორი ზედა ნაწილით, 5 რიგით უფრო დაბლა მდებარეობს, ვიდრე სამი ფანჯარიდან საშუალო. სამხრეთი ფასადის პერპენდიკულარულად, აღმოსავლეთ კუთხიდან 3 საუენსა და 14 გოჯზე, შემორჩენილია კედელი ფართო ოთხკუთხა კარით (სიგანე – 2 არშინი და 4 1/2 გოჯი, სიმაღლე დანაგვიანებულია) სწორედ დიდი შენო-

ბის სამხრეთ ფასადთან. კარი შიგნით ნახევრადმრგვალი კამარით იყო, გარედან ერთიანი, მასიური ქვით ამოქოლილი. ამ კედლის ნარჩენში მცირე, ოთხკუთხა ფანჯარა არის. ეს დასავლეთი კედელია (2 საუენი და 2 1/4 არშინი). მინაშენი ეკვროდა სამხრეთი ფასადის მითითებულ აღმოსავლეთ ნაწილს.

დასავლეთი ფასადი გამოდიოდა კიბედ განლაგებულ ტერასებზე, უფრო სწორედ, სამ ტერასაზე. ახლა შენობაზე ყველაფერი ერთ ფერდობად არის გასწორებული (ტერასა წაშლილია – რედ.), მაგრამ მისგან რამდენიმე საუენში შემორჩა უახლოესი ზედა ტერასის წინა, სამხრეთი მხარე 10 საუენისა და 8 1/2 გოჯის მანძილზე. და აქ უფრო მეტადაა შემორჩენილი წყობის ქვების ქვედა რიგები, იმის შედეგად, რომ შემდგომ აქ აშენდა სხვა შენობა, რომელზეც ახლა ვიტყვი.

ქვედა ტერასაზე, დასავლეთი ფასადის სამხრეთ ნაწილთან გამოდიოდა ქვედა სართულის კარი (სიგანე 2 არშინი და 1 გოჯი, სიმაღლე – არ ჩანს). ამ კარის განი სამხრეთი კუთხიდან 2 საუენსა და 5 3/4 გოჯზეა. კარს შეყვარათ დარბაზის ქვეშ მდებარე ვრცელ, გრძელ ოთახში. პორტულეები გვიხსნიან, რომ ეს საჯინიბოა.

შემდეგ, საშუალო, უფრო ვრცელ ტერასაზე გამოდიოდა მეორე, ჩრდილოეთი კარი იმავე ფასადიდან, პირველისაგან 2 საუენისა და 8 გოჯის მანძილზე. ჩრდილოეთი კარის სიგანე 2 არშინი და 10 3/4 გოჯია (მთელი სიმაღლე თითქმის მთლიანად დაფარულია მინაყარით).

მესამე, ზედა ტერასაზე გამოდიოდა მცირე კარი, განლაგებული 1 საუენ, 2 არშინსა და 7 გოჯზე მთავარი კარიდან ჩრდილოეთით. ამ კარს შეყვარათ ზემოსენებულ გრძელ ოთახში მეორე მთავარი ტერასის (სადაც მცირე ეკლესია არის) ქვეშ. მაგრამ სწორედ ტერასის ეს ნაწილია გამოყვანილი, როგორც მითითებულია კოშკის აღწერისას, მოგვიანებით, დარბაზის ან დიდი სატრაპეზოს აგებისდროულად.

კომპიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, პორტის ხევის ზემოთ, ფერდობზე, შემორჩენილია საწნახელი. აქ, უშუალოდ საწნახელის ქვემოთ, მიედინება წყაროს წყალიც. საწნახელი აშენებულია ქვებით ამოყვანილ ტერასაზე. თვით საწნახელი სიგრძით 1 საუენი და 11 1/4 გოჯია, სიგანე – 1 არშინი და 9 3/4 გოჯი. სიღრმე მინაყარით არის დაფარული. გარედან სიმაღლე 1 არშინი და 12 1/4 გოჯია. საწნახელი მოთავსებულია კამაროვან ჩაღრმავებაში. კამაროვანი ჩარდახი ღია მხრით მიმართულია დაახლოებით აღმოსავლეთისაკენ. საწნახელის სამი კედელი, გვერდითები და უკანა, მხოლოდ 2 გოჯით არიან მოშორებული კამაროვანი ჩარდახის ასევე ქვის კედლებისაგან. ამ ჩარდახის სიღრმე 1 საუენი და 6 3/4 გოჯია. კამარის სიმაღლე საწნახელზე 1 არშინი და 13 1/2 გოჯია. კამარის უკანა კედელზე სამ ადგილას იყო ჩაღრმავება, თითოეული ორი-სამი ან სამი-ოთხი კვადრატული გოჯი. მეზობლად მოსახლე სომხები, მაგალითად არტანუჯელები, ამჟამად ერკვევიან მხოლოდ ერთი ჩაღრმავების დანიშნულებაში, რომელიც ჩრდილოეთ კიდეთან მდებარეობს: როდესაც პირველი ღვინო ჩამოედინება (ამისათვის ორი ადამიანი ფეხით ჭყლეტენ მტევნებად ჩაყრილ ყურძენს) და შემდეგ ღვინო უკვე არ ჩადის საწნახელიდან როფში, მტევნებს აგროვებენ ერთ, ჩრდილოეთ კუთხეში, მათზე ფიცრებს დებენ, ფიცრებზე – ხის ტუმბებს, ამ ტუმბებს კი აწვებიან მორით: მორის ერთი მხარე ჩარტობილია იმ ჩრდილოეთ ჩაღრმავებაში; მეორე, გარე ბოლოზე კი ჩამოაცვამენ მძიმე, გაბურღულ ქვას, რომელსაც **საწნახს<sup>1</sup>** უწოდებენ.

შემდეგ ეს „საწნახი“ მოძრაობაში მოყავთ „წნელით“ (შდრ. ქართ. **წნელი**). ბაწრით, რომელიც დამზადებულია მუხის წნელებისგან და მოედინება ყველაზე საუკეთესო, მაგარი ღვინო, რომელსაც „ნაქანჩი“ ეწოდება: თუ მას არ დაა-

<sup>1</sup> ეს სახელწოდება სომეხმა არ იცოდა (სომხებს ასეთი ქვაც არ აქვთ), მე კი მაცნობა პორტელმა თურქმა: თვით ძველი ნამუშევრის ქვა აქვე ეგლო და ვკითხე მისი სახელწოდება მამასახლისს, რომელიც არ ლაპარაკობდა ქართულად, როგორც საერთოდ ყველა პორტელი.

მუშავებ, ძალზე ტკბილია. ქვაბი ადგილზე არ ჩანს, მაგრამ საწნახელის წინა, კედელში სამხრეთ კუთხესთან გამოჭრილია ტოლფერდა სამკუთხედის ფორმის ხვრელი (სიმაღლე 4 გოჯი, ფუძე – 2-3 გოჯი): ხვრელიდან ღარით უშვებდნენ წვენს. ის ღარი ახლაც არის. ზუსტად ასევე წურავენ ყურძნიდან წვენს თურქები (ქართველი მუსულმანები). ასე მაგალითად, ჯმერკსა და გვერდაში, სადაც ბევრია ასეთი ძველი საწნახელები. წვენს ყიდულობენ სომხები ბათმანის მოცულობის დოქებით (6 ოყა=18 ფუნტს) და არტანუჯში აგზავნიან. უმთავრესად აქ მზადდება კიდეც ღვინო.

სატრაპეზოდან გადავივართ დასავლეთით.

ორი ზედა ტერასა სიგრძით (აღმოსავლეთიდან დასავლეთით) იყო მხოლოდ 1 საუენი და 2 1/4 არშინი. მეორე ტერასაზე აქ შენობა იწყებოდა. ის გრძელდებოდა სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთისაკენ სამი ვრცელი სენაკით, სათავსოებით მონახვნებისათვის (შდრ. წყაროსთავს). სატრაპეზოს ორი უახლოესი სენაკი ჩამონგრეულია. პირველში შესახველელი იყო მთავარი (მეორე) ტერასიდან; მათზე მეტის თქმა შეუძლებელია. ალბათ ისინი ფანჯრებით გადიოდნენ წალოქარის ჩრდილოვანი დარტაფისაკენ, სადაც რაკრაკით მოედინებიან წკრიალა წყაროს წყლები, ჯერ კიდევ ძველად ასე გულმოდგინედ აგებული. განაპირა, მესამე უკეთესად შენახულ ოთახში ფანჯარა მდებარეობს დასავლეთ, უფრო ზუსტად, ჩრდილო-დასავლეთ კედელში, სამხრეთში – კი კარი წალოქარზე, ძალიან მაღლა ქვედა ტერასაზე. ცხადია, ძველად კარიდან ჩამოდიოდნენ კბით, რომელმაც დანგრევა მოასწრო. უფრო შესაძლებელია, რომ კიბის ქვები დაიტაცეს.

ბერების სამსენაკიანი სათავსოდან დასავლეთით, მისგან 3 საუენისა და 9 გოჯის დაშორებით, აგებულია სხვა შენობა. ის აგებულია ქვებით, მესამე ქვედა ტერასის დარბაზის, ან სატრაპეზოს ქვედა სართულის წინ მდებარე მოედნის დონეზე. ამ სიღრმეზე ამოყვანილია 7 საუენისა და 2 არშინის სიგრძის სამხრეთი კედელი. შენობის დასავლეთი ფასა-



დი აგრეთვე გამოდიოდა მოედანზე, რომელიც ჩრდილოეთიდან სამხრეთით ტერასებად ჩამოდიოდა. ქვედა ტერასის დონე შეესაბამება დარბაზის წინ მდებარე მეორე ტერასის დონეს. სამხრეთი კუთხიდან 3 საუენისა და 7 1/2 გოჯის მანძილზე დასავლეთ ფასადში არის კარი (სიგანე 1 არშინი და 8 1/2 გოჯი, სიმაღლე იზომება 2 არშინითა და 12 გოჯით, სხვა ნაწილი ნაყართაა დაფარული). კარს იქით, ჩრდილოეთისაკენ ასევე გრძელდება დასავლეთი ფასადი (1 საუენი, 2 არშინი და 3 გოჯი); ეს ნაწილი გამოდის ბოსტნისათვის ახლადაგებულ ტერასაზე (ამჟამად აქ იზრდება გოგრა). იყო თუ არა აქ ძველად ტერასა, ახლა ძნელი სათქმელია. როგორც ჩანს, არა.

დასავლეთი კარიდან შედიოდნენ ოთახში, რომელიც ახლა გავსებულია ნატეხებითა და ქვებით; ეს ოთახი, როგორც ჩანს, გრძელი იყო, შენობის მთელ სიგრძეზე აღმოსავლეთიდან დასავლეთით. გამოსასვლელი კარი კიდევ არის აღმოსავლეთის მხრიდან (სიმაღლე 1 საუენი და 8 არშინი, სიგანე – 2 არშინი და 2 გოჯი). ამ გრძელი დარბაზის ჩრდილოეთი მხრიდან იმავე შენობაში ორი თანაბარი ზომის ვრცელი ოთახია, თითოეულს აქვს თითო კარი დარბაზიდან. ეს ოთახები უერთდება ერთმანეთს. მათგან აღმოსავლეთ ოთახს აქვს ერთი ფანჯარა აღმოსავლეთ კედელში.

გრძელ დარბაზში (სიგანე 2 საუენი და 3 გოჯი, სიგრძე 6 საუენი, 1 არშინი და 10 გოჯი) ფანჯრები გამოდიოდნენ წყაროსნაკადულიან წალოქარის დარტაფზე. ერთი მათგანი სანახევროდ გადარჩა. დარბაზის დანიშნულების გარკვევა – იყო იგი სინოდი, ბიბლიოთეკა თუ რაიმე სხვა, ჯერ ძნელია.

წყარო კამარის ქვეშაა (სიმაღლე 2 არშინი და 2 გოჯი, ძირი – 1 საუენი და 12 1/2 გოჯი), გამოყვანილია პატარა ეკლესიის (სურ. 49) აღმოსავლეთ კედელში (სიგანე 2 საუენი და 2 გოჯი). ეკლესია შავშეთ-იმერხევის ტიპისაა, ოთხკუთხედი, შიგნით საკურთხეველის ნახევარწრივით, ამჟამად ამოშენებული სამხრეთი კარით, ისე რომ შესვლა შეუძლებელია, ორი ფანჯრით აღმოსავლეთით და დასავლეთით, ორი ნიშით

მარცხნივ და მარჯვნივ საკურთხეველის ფანჯრის ქვემოთ. გარედან ეკლესიის სიგრძე 2 საუენი, 2 არშინი და 2 გოჯია. კედლის სისქე – 1 არშინი და 4 1/2 გოჯი. გულმოდგინე ნამუშევარია, მაგრამ ძველია: წყობა საპირე ქვებითაა შესრულებული.

გალაგნის აღმოსავლეთ ბოლოში, კლდეზე, რომელიც ბატონობს პორტის მდინარეზე, აგებულია პატარა ეკლესია (სიგრძე 1 საუენი და 15 1/2 გოჯი, სიგანე – 1 საუენი და 12 გოჯი), ოთხკუთხა, მაგრამ შიგნით საკურთხეველის განყოფილება სამი ნახევარწრივით: ცენტრალურით, სადაც ფანჯარაც არის და უფრო ღრმა მინიატურული გვერდითებიც. კარი ჩრდილოეთიდან, საიდანაცაა მხოლოდ შესაძლებელი ეკლესიის მიღწევა. ამ პატარა ეკლესიის ფუნდამენტი, როგორც სხვა შენობებისა, ამოყვანილია მსხვილი ქვების სამი რივის წყობით. თვითონ კედლები ძალზე სუფთაა და მუშავებული: მოსაპირკეთებელი ქვები. ჩრდილოეთიდან რაღაცაა მიშენებული, თითქოს მინიატურული (ჩრდილო-აღმოსავლეთი) ეკვდერი.

სამხრეთიდან ამ ეკლესიის ქვეშ გადახურული სათავსოა აღმოსავლეთ კედელში ერთი ფანჯრით (სიმაღლე 1 არშინი და 3 1/2 გოჯი, სიგანე – 12 გოჯი). ფანჯრიდან საშინელი სიმყრალეა. ისმის ღამის ჩიტების გუნდის ჭყვილი, რომლებსაც აქ „ღამიას“ უწოდებენ (ე.ი. შესაძლებელია მფრინავი თაგვი, *ღამურა*). მე აქ მათი ნახვა არ შემეძლო. ამ ვრცელ სათავსოში შესასვლელი არ იცინა, ვერც მე მოვნახე იგი. ამ გამოუცნობი შენობის დასავლეთი კედელი გრძელდება ჩრდილოეთისა თუ ჩრდილო-დასავლეთისაკენ. მასში, გათხრების გარეშე ამ გაუგებარ კედელში, გაკეთებულია კარი. ირგვლივ ამჟამად ბაღებია.

მზე აქ მთელ დღეს ათბობს. შატბერდი მიმართულია სამხრეთისაკენ, მზიანი მხრისაკენ.

პორტელებისათვის დიდი სასჯელია დათვები. ისინი ყურძნის დიდი მოყვარულები არიან, მაგრამ უყვართ, რა თქმა უნდა, თაფლიც, რომელიც აქ ასევე ბლომად არის. მუ-

შაობის დროს მოსვენება არ იყო ფუტკრისაგან. ყველა კუთხეში ხის სკეპია.

მუსტაფა მუსამედ-ოღლიმ, რომელთანაც გაგჩერდი, მომიყვა უგრძესი ისტორია იმის შესახებ, თუ როგორ დაიჭირა იგი ორი წლის წინ დათემა, რომელიც მდინარეზე მიდიოდა წყლის დასალევად მას შემდეგ, რაც აქ მცხოვრებთა თაფლი შეჭამა, და მიაყენა რა მას ცხრა ჭრილობა, ნახევრადცოცხალი დატოვა: მუსტაფა ექვსი თვე იწვა. ჩემში შედარებით დიდი ინტერესი გამოიწვია შემდეგმა მოთხრობამ ხემიდზე, უბადრუკმა გადმონაშთმა აქ ოდესღაც აყვავებული ქრისტიანული კულტურისა:

ხემიდი წარმოშობით ხარაულადანაა, არაერთხელაა ნამყოფი პორტაში, არტანუჯში ზაფთიად მსახურობდა და სამსახურის გამო ხშირად **ოლთებში** იყო. ეს იყო თურქეთის დროს. ოლთაში იჯდა (ცხოვრობდა) ერთი ქართველი მოხუცი. ხემიდი ხედავს: მას გაუხსნია რუკა და ტირის. ხემიდმა ჰკითხა: „რატომ ტირიხარ?“ – „როგორ არ ვიტყვით? პორტა! პორტა!“ – „შენ პორტაში წასვლა გინდა? მე პორტას მცხოვრები ვარ, წაგიყვან!“ – „როგორ წამოვალ გზად? მაგის ძალა არ მაქვს!“ – „მე შენ ცხენით წაგიყვან!“ – „მაგრამ იქ გზა არ არის, ამხედრებული ვერ წახვალ“. – „მე წავიღებ შენ ზურგით, როცა საჭირო იქნება!“ – „არ შემიძლია, შვილო, მე მოხუცი ვარ, ძვალი და ტყავი, როგორ გავუდგე ასეთ გზას?“ – „მაშინ რაღას ტირი? ბოლოს და ბოლოს რა გინდა შენ?“ – „როგორ არ ვიტყვით? იქ ღვთისმშობლის ხატია. ვინც მე მომიტანს, იმას იმის (ხატის) წონა ოქროს მივცემ, გარდა ამისა, იქ ყველა საეკლესიო ნივთია: რკინის კარებიდან უნდა ჩახვიდე რკინის კიბით. ღვთისმშობლის ხატი იქ, ეკლესიის შუაგულის წინაა“.

5 საათსა და 5 წუთზე ჩვენ გზას გავუდექით. ერთ-ერთმა ჩიდილელმა თანამგზავრმა, მეზარგულმა ფეილულმა დაგვტოვა. მისი ჩანაცვლება ისურვა პორტის მამასახლისმა, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, იმ იმედით, რომ შეძლებდა ტვირთი თავისი მხრებიდან ცხენზე გადაედო, რაც დროდად-

რო გამოუდიოდა კიდევ. მამასახლისი გვარწმუნებდა, რომ გზა საუკეთესოა, რომ შეიძლება მთელი დრო იმგზავრო, ოღონდ წყაროს უნდა გასცილდე: გზა ახლად გაასწორეს. ჩვენ წყაროს დავემშვიდობეთ; პორტის წყალზე უფრო გემრიელი და ჯანმრთელი წყალი მე არსად დამიღვია, კრისტალივით სუფთა, ძალიან ცივი. ვსვამდი მე 10-15 ჭიქამდე დღეში და თავს საუცოდ ვგრძნობდი. პორტაში ჩამოსვლის დღეს შეუძლოდ ვიყავი (ციებ-ცხელების მდგომარეობაში) და, თუ არ ვცდები, ეს წყალი ძლიერ დამეხმარა.

გზა პორტადან ოპიზამდე ქვეითათვის საუცხოოა. რა თქმა უნდა, საჭიროა ადგილობრივი ხორკლიანი ქალამანი გეცვას. მთლიანობაში გზა სწორია, აღმართ-დაღმართები უმნიშვნელოა, თუ არ ჩაითვლება აღმართი თვით ოპიზაში, მონასტრიდან სოფლამდე, რომელიც მაღლაა გაშენებული.

15 წუთის შემდეგ ჩვენ დავემშვიდობეთ პორტის ხევსაც და გავეჩეთ სიმაღლეზე იმერხევის მარჯვენა ნაპირზე. 5 საათსა და 55 წუთზე ჩვენ **ყოლთი-ხევის** დარტაფის შემოვლით წავედით: 9 წუთი დაგვჭირდა შემოვლისათვის. ქვემოთ მიუთითებდნენ ოპიზასთან სადავო ხიდის ნარჩენებზე, რომლის არსებობას უარყოფდა მამასახლისი. იგი აქვე იყო, მაგრამ ამჯერად ხმას არ იღებდა. 6 საათსა და 10 წუთზე ჩვენ დავიწყეთ დარტაფების, სამის თუ ოთხის, შემოვლა. კითხვაზე, რა ქვია ამ „დერეს“, მე ყოველთვის ვღებულობდი პასუხს: „სუსუს ქოფრი“, ე.ი. უწყლო ხიდი (ისინი ამბობენ სუსუს). მაგრამ აქ მოკლე ხანში ჩვენ უნდა გავნაწილებულიყავით ორ ჯგუფად, სამადაც კი. მე ჩაფარის ერთად განვაგრძე გზა, ზოგიერთ ადგილას ფეხით მოსიარულისთვისაც საშიში. მამასახლისმა და მეზარგულმა ცხენები რომელიღაც უცნობი გზით წაიყვანეს, ოღონდ აეცილებინათ ამ ნაქები გზით გავლა (ამხედრებული მგზავრობას არც ერთი ჩვენგანი არ ფიქრობდა), ერთ-ერთ მეზარგულს კი რიგრიგობით 10 წუთის გზაზე უნდა გადაეტანა 3 საკიდარი (ჩემოდანი, ხურჯინი და ფოტოაპარატი). გზა ცოტა ხნის წინათ კი არ შეუკეთებიათ, არამედ ორი წლის წინ, „კაიმაკამის“, ოლქის უფროსის ჩა-

მოსვლისათვის. ამ უფროსის გარდა, არავინ ჩამოსულა ამ დავიწყებულ მხარეში. შიკრიკებიც არ მოდიან აქ. მუხტარი მარწმუნებდა, რომ მას არც ერთხელ არ მიუღია რაიმე ოფიციალური ქაღალდი. არსებული გზები უბადრუკი ნარჩენებია ძველი ქართველების ნაშენებისა: ისინი ასობით წლის არიან, ხანდახან მთელი ათასწლეულისაც კი! საინტერესოა ის, რომ როდესაც ქართველებს აქ კულტურა შემოჰქონდათ, მხარე განანაგების შემდეგ უფრო გავლენიანი იყო, ვიდრე ამჟამად. ის უკაცრიელი და ხელუხლებელი იყო. იმას, რაც მისგან ძველმა ქართველებმა გააკეთეს თავის დროზე, მოწმობს არა მარტო სამონასტრო და საეკლესიო ნაგებობები, არამედ სამეურნეო და საერთო სასარგებლო შენობებიც, როგორცაა, მაგალითად, ღვინის დასაწური მოწყობილობები.

6 საათსა და 25 წუთზე მე **ქუსლაზე** ვიყავი: ეს არის კლდოვანი ბორცვი ოპიზის ხევის მარცხენა მხარეზე. აქედან შეიძლება ოპიზის ეკლესიის გუმბათის დანახვა. ქვემოთ, იმავე მხარეზე, **შორახია**, მაცნობა მამასახლისმა, მაგრამ ოპიზელები პროტესტს აცხადებენ: ისინი ამბობენ, რომ შორახი ყოლთი-ხევის იქითაა, გზასთან, ქუსლა კი ეწოდება არა მარტო ბორცვს ფერდობზე, არამედ მთელს ფერდობს მდ. იმერხევამდე. ამ ფერდობის ქვედა ნაწილზე მოჩანს ძლიერ დანგრეული ნაგებობის, როგორც ჩანს, ისევ პატარა ეკლესიის თეთრი კედლები.

ქუსლაზე არის შავშეთ-იმერხევის ტიპის კარგად შენახული ეკლესია. თავისებურება – კარი ჩრდილოეთიდან, გამოწვეულია ადგილმდებარეობით. სამხრეთიდან, კედელთან ახლოს, ციცაბო კლდეა. უფრო იქით, ხუთი წუთიც არ გვივლია, რომ გამოჩნდა ოპიზის მონასტერი. აქ, მარჯვნივ, კლდეში, გამოკვეთილია მოგრძო ჯვარი: ის ოვალურ ჩაღრმავებაშია მოთავსებული. 6 საათსა და 45 წუთზე, მდინარეზე გადასვლითანავე ჩვენ მონასტერთან ვიყავით. შემდეგ მოგვიხდა ხეშოთ, სოფელში ასვლა. ჩვენი გზა შატბერდიდან ოპიზამდე 1 საათსა და 45 წუთს გრძელდებოდა. მართლაც,

ის შეიძლება გაიარო განსაკუთრებული ჯაფის გარეშე 1 1/2 საათში.

ქართული ენა აქ დავიწყებულია. ოპიზელთა თურქულ საუბარში გაცივებს წარმოთქმის სისწრაფე. განსაკუთრებით გამაოცა ჩემმა მასპინძელმა კედემ ლომან-ოღლიმ, თუმცა იგი ბერთელად წარმოგვიდგა. იგი ისევე სწრაფად მოძრაობს, როგორც ლაპარაკობს. ისე სწრაფად ლაპარაკობს, რომ ერთი მარცვლის ჩვეულებრივი წარმოთქმის დრო ჰყოფნის სამი და უფრო მეტმარცვლიანი მთელი სიტყვის წარმოსათქმელად. მაგრამ ის, სხვებივით კვეცავს ან საერთოდ ყლაპავს ხმოვნებს. ფუნდარაია („წყაროსკენ“) მის წარმოთქმაში ისმის **ფუნდრაია**. ამავე დროს ერთმარცვლიან სიტყვებს იგი ასამმაგებს – „ჰჰჰჰჰ“ „ჰჰ“-ს მაგიერ.

აქ სიმინდის პური ბატონობს. აქ ჩვენზე კოლოები ბატონობენ.

**17 აგვისტო, სამშაბათი.** ოპიზის ხევს კრავს უფრო მაღალი მთები, ვიდრე ფორთისას. ხევი გრძელდება ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, შემდეგ კი, მანამ, სანამ შემოუვლის ზემოდან გაბატონებულ ეკლესიას და სამონასტრო ნაგებობებს, ის მკვეთრად უხვევს, შემდეგ მიემართება რა დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. შემოხვევისას ოპიზის ხევი იღებს **ადამოლის** (ადამოლ-სუ) წყაროსა თუ ნაკადულის წყლებს, რომელიც ჩამორბის ღარტაფზე დასავლეთიდან აღმოსავლეთით.

მთების ხაზებიც აქ საოცრად სწორია. მონასტრის ზემოთ მდებარე სახლიდან ჩემს წინ არის საოცარი, გეომეტრიული სისწორის ხედი: ახლა, მზის ამოსვლამდე<sup>1</sup>, დაფაზე, რომლითაც შორიდან წარმოდგება **ავაზანეთის** დიდი მთა მდ. იმერხევის იქით, დახატულია ბლავი კუთხე თანაბარი მხარეებით. თანაბარი მხარეების ხაზებად წარმოსდგებიან ორი მთის ფერდობები, რომლებიც ქმნიან ხევის ნაოჭებს, ერთი ჩრდილოეთი, მეორე სამხრეთი მხრიდან. ხევის მიმარ-

<sup>1</sup> ასე იყო გუშინაც, მზის ჩასვლის შემდეგ.

თულება ზემოდან ქვემოთ არის, დასავლეთიდან აღმოსავლეთით. ჩრდილოეთი მთა გაცილებით მაღალია ხევში, ვიდრე სამხრეთი, მაგრამ აქედან მათი ფერდობების სახეები ერთ სიბრტყეში მოჩანან. მონასტერი განლაგებულია ხევის პირველ უბეში, რომელსაც ქმნის მასში [ხევში] ჩრდილოეთი მთის შეჭრა. ხევის ამ ნაწილს ეწოდება კიდევ **ასმანური**. ასმანურის ქვემოთ – **აკუნათი**, აკუნათის ქვემოთ – **თავდიდური**. თავდიდურის გვერდით – ფირინშლუხი. ასმანურის ზემოთ – ხევის ნაწილი **ჯიმიეთური**. ხევი მთავრდება. ზევით **ადამოლია**. ასმანურის ჩრდილო მხარეზე ადგილია **ზინაული**, ზინაულის ზემოთ – აშოლა, უფრო ზემოთ კოპორა, უფრო ზემოთ – **კილტი-თავი**.

ხევის სამხრეთ ნაწილში, ფირინშლუხის ზემოთ – **სასვენნი**. აქ კაპარიის გზაზე, ხევის ზემოთ **ღესაყილი-ი**, სასვენის ზემოთ **სასხეთი**, შემდეგ მთა კუთლიუბიჯა და მწვერვალი **სავესე**. ოპიზა არ ჩანს მდ. იმერხევთან უფრო ახლომდებარე, ვიდრე შატბერდი, როგორც ამას ადგილობრივები ამტკიცებენ. თუმცა ასეა რუკაზეც. ოპიზა ალბათ მდებარეობს უფრო დაბლა, ვიდრე შატბერდის მონასტერი.

ეკლესია (სურ. 55).

ოპიზის ეკლესიის ზომები: ეკლესიის სიმაღლე ყელის ფანჯრების ძირამდე 5 საუენი, 1 არშინი და 4 გოჯია. გარედან: ყელის მრგვალი ნაწილის სიმაღლე მის ქვედა სარტყლის ქვეშ 13 3/4 გოჯია, აფრების გარე შემოსვის, ოთხკუთხედის სიმაღლე, ყელის ხსენებული მრგვალი ნაწილის ქვეშ, 1 არშინია. შიგნით: დასავლეთი ფრთის სიგრძე 7 საუენი და 14 გოჯია, ცენტრალური ნაწილის მხარეები გასწვრივ 3 საუენი, სივანეში – 3 საუენი და 1/3 გოჯი (იგივე დასავლეთი ფრთის სივანე), საკურთხეველის ნახევარწრის სიღრმე 2 საუენი, 2 არშინი და 7 1/4 გოჯია; საკურთხეველის პირის სივანე, სვეტების შვერილებს შორის – 2 საუენი, 1 არშინი და 11 1/2 გოჯი, გვერდითი ფრთების (სამხრეთის) სიღრმე 1 სა-

უენი და 9 3/4 გოჯია, ყოველი მათგანის სივანე – 1 საუენი, 2 არშინი და 11 1/4 გოჯია<sup>1</sup>.

ყელი: მისი წრეხაზი, 11 საუენი, 2 არშინი და 6 1/2 გოჯია, სისქე – 1 არშინი და 1 გოჯი. შუაკედლისები ფანჯრებს ენაცვლებიან; ფანჯრებს არა აქვთ ჩაღრმავება შიგა მხრისკენ. მხოლოდ ფანჯრის რაფაა ქვემოთ დაქანებით. დაქანების სიმაღლე 7 1/2 გოჯია. ზედა ნაწილები ნახევრად მრგვალია.

შიგნით როგორც ყრუ, ისე ფანჯრიანი შუაკედლისები ერთმანეთისაგან დაცილებულია მოხატული, ნახევრადმრგვალი სვეტებით. მათი კაპიტელები შეერთებული არიან ნახევრადმრგვალი თაღებით, რომლებიც თითქოსდა ამოჭრილია ქვემოდან, გუმბათის მოპირკეთებიდან. თუმცა ეს თაღები მხოლოდ ზედა ნაწილებით ეხებიან გუმბათის დასაწყისს. ფანჯრების ირგვლივ ჩარჩოები მარტივადაა მოხატული (თეთრი ლენტი, გაშლილი, ნაკეცებით). ყრუ შუა კედლებზე (ექვსია სულ) ცალკეული ფიგურის გამოსახულებებია. გუმბათში მოხატულობა მთლიანად ჩამოშლილია. მხოლოდ მისი კამარის ქვედა ნაწილებზე შემორჩა ფიგურული გამოსახულობების ქვედა ნახევრები. ყელში –

ა. მარჯვნივ (სამხრეთისაკენ) აღმოსავლეთ ფანჯრიდან პირველი შუაკედლისი: სახე, ხელები (მოჩანს ზურგი მარცხენა ხელთან), ფეხები მოშლილია. მოლურჯო ქიტონზე, ქვემოთ ამოქარგულზე (ყვითელი ყავისფერით), გადაფარებულია ყავისფერი ან მუქი მეწამული ქლამიდა. მარცხენა მხრის ქვემოთ შემორჩენილია ორი სტრიქონის ასოები:

სჟ  
სჟ

ე.ი. [მე]ლხი

[სე]დეკ

მე-2 შუაკედლისი: თავი, ცხვირის ბოლომდე, ირიბად, მარცხნიდან მარჯვნივ გაფუჭებულია, ასევე მარცხენა ხელი. მოლურჯო ქიტონზე გადაფარებულია მუქი მეწამული ქლამიდა, როგორც მეღქისედეკზე. განსხვავება ქლამიდის ნაკე-

<sup>1</sup> შიგნით მთელი ტაძრის სიგრძე 13 საუენი და 5 1/4 გოჯია.

ცებში თითქმის არაა. ჭადარა თმები, ჭადარა წაწვეტებული წვერი. ქიტონს ქვეშ ჩასაცმელის სახელოც მოღურჯოა. სახელო მთავრდება პატარა მოქარგული სამკლავით. ეს მარცხენა ხელია, მასში – ნახევრადგაშლილი გრაგნილი. გაშლილ ნაწილზე, 11 სტრიქონზე ხუცური მთავრული ასოებით იკითხება (ფს. 15,8):

**წონაკ. წ  
ქნ უხლ  
უნლ: მ-ქ  
წუ: ა შა  
ქნს: ულ-მ  
ლქ: შნ?  
წელ: ა შა  
ქნს: წ-ქ ქ-  
წა უუუ-  
ქნა: შუ.  
წექ-ნელუ.**

მე-3 შუაკედლისი: ღია მეწამული ქლამიდა გადაფარებულია მოკლე, მოღურჯო ტუნიკაზე, ნახატით ამოქარგულზე, რომლის ქვემოდან (ტუნიკის) ჩამოშვებულია ქიტონი. შემოკერვა ქვემოდან ფართო ზოლად. მხრებზე, ზურგიდან, შემოდის ასევე შემოკერების ნაწილები. მარჯვენა ხელი და სახე განადგურებულია. შარავანდის ნაწილი მარცხენა ყურთან. მარცხენა ხელში, რომელიც მკერდისაკენ არის მოხრილი, დახვეული გრაგნილია. მოხრილი იდაყვის პირდაპირ, მარცხნივ, ერთი სტრიქონის ნარჩენებია:

**შ ც ,'**

ბ. მარცხნივ (ჩრდილოეთისაკენ) აღმოსავლეთი ფანჯრიდან

1 შუაკედლისი: ზედა ნაწილი წელამდე განადგურებულია. არის მხოლოდ ნარჩენები მეწამული ფერის ქლამიდისა,

<sup>1</sup> შესაძლოა *იოველ*

რომელიც მოღურჯო ქიტონზეა წამოსხმული. ფეხებზე სანდლების თასმები არ არის; საკუთრივ ფეხები ჩასმულია ღია მეწამული ფერის ფეხსაცმელებში. გაშლილი გრაგნილის ნარჩენზე, ექვს სტრიქონზე, დიდი ხუცური ასოებით იკითხება (გამოს. 19,1):

**წ უ  
მს: წწ-ულ-  
ქ ს-ლ  
შა ლქ  
შოქ-ლქ-  
შაშლ**

მე-2 შუაკედლისი: თავის, ხელებისა და წარწერებისაგან არაფერი დარჩენილა. არ არის მარჯვენა ფეხიც. ფეხი ისევე ფეხსაცმელშია და არა სანდალში (თასმები არ არის). მუქ მეწამულ ქიტონზე წამოსხმულია ღია-მეწამული ქლამიდა.

მე-3 შუაკედლისზე ყველაფერი განადგურებულია.

საკურთხეველის ნახევარწრეში დარჩა მხოლოდ ბათქაშის კვალი და ერთ ადგილზე, ამოქოლილ ქვედა ფანჯარაზე, გეომეტრიული მოხატულობის ნარჩენები (ბადე რომბებით).

აღმოსავლეთ მხარეს გამოსაშვები სვეტის, რომელსაც ყელი ეყრდნობა, ჩრდილო ფრთაში წმინდანის მკრთალი ნარჩენები (შარავანდელი, ყური; ფიგურა იყო ქამარშემორტყმული), უფრო ნაკლებია [ნარჩენები] გვერდითა ჩაღრმავებაში.

სამხრეთ ფრთაში შედარებით უკეთაა შემორჩენილი: 1. კამარაზე მხოლოდ შარავანდების ნარჩენები (ზემოთ გვერდით ორი თავი იყო); 2. ფანჯარაში: ა. ზემოთ ანგელოზი (თავი თეთრი შარავანდელით, მუქი ფრთები, უფრო სწორედ მათი ზედა ნაწილები); ბ. განის დასავლეთ მხარეს მცენარეული ორნამენტის კარგი ნარჩენებია (ტოტები მსხვილი გაშლილი ყვავილებით, თითქოს მაგნოლიის: თეთრი ფურცლები, ხუთი ცალი, შუაში ღია წითელი კოკორი); გ. განის აღ-

მოსავლეთ მხარეს მკრთალი ნარჩენები წმინდანის გამოსახულებებისა, წარწერით ფართე ზოლზე, თითქოს გაშლილ გრაგნილზე. წარწერა მთავრული ხუცური ასოებით 10 სტრიქონზე. იგი დაზიანებულია, იკითხება მხოლოდ ცალკეული ასოები და სიტყვები. ტექსტი საღვთო წერილიდანაა.

3. იმავე ფრთაში ქვედა კედელზე: ა. ფანჯრის ზემოთ დაზიანებული სცენა, სრულად წაკითხვა შეუძლებელია ასოებისგან შედგენილი რიგი სტრიქონებისა; ბ. ფანჯრიდან აღმოსავლეთით ექვსი წმინდანი, როგორც ჩანს, მახარებლები, მიმართული აღმოსავლეთისაკენ, იმ ტახტის ნარჩენებისკენ, რომლიდანაც სრულიად გაქრა ფიგურა (ნაწილობრივ ჩამორეცხა, მეტწილად ბათქაში ჩამოცვივდა). ამ სცენის ქვემოთ, ბათქაშზე საუცხოოდაა შემორჩენილი წარწერა რუხ ფონზე შავი ასომთავრული ხუცური ასოებით:

**კჳრთჳ კჳრთჳ**

აშოტ კურაპა-

ლატი,

**ჰჳრთჳ ჰჳრთჳ**

მეორედ მაშე-

ნებელი,

**ჲჳრთჳჲ ჲჳრთჳჲ**

ოპიზისად და წმიდა

ამის

**ს-ჲრთჳჲ<sup>1</sup>**

საყდრისად.

იყო თუ არა შემდეგ გაგრძელება, მაგალითად, თარიღი, ძნელია თქმა. ბათქაში აქერცლილია, არის კიდევ თავისუფალი ადგილი სიტყვის saydr isaY (**საყდრისად**) შემდეგ, მაგრამ ასოს ნაკვადევის გარეშე.

აქ უკვე არ შეიძლება იყოს ეჭვი, რომ ჩვენ საქმე გვაქვს გადაკეთებულ ეკლესიასთან და, საერთოდ, მონასტერთან. ოპიზა არსებობდა კუროპალატ აშოტამდე, კუხამდეც, და ჩვენ ეს ახლა ვიცით „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან“, მაგრამ დიდი შეცდომა იქნებოდა ფიქრი იმაზე, რომ ოპიზის

<sup>1</sup> ჩასმულია ა<sup>1</sup>ში, ასევე სხვა ასოებიც, განსაკუთრებით ა, ჩასმულია მეზობელ ასოებში.

ეკლესია, მისი ამჟამინდელი სახით, არის კუროპალატების ეპოქის ძეგლი. წარწერა გვამცნობს მხოლოდ ოპიზის მეორედ აშენების ფაქტს აშოტის დროს, მაგრამ თვით ის (წარწერა) ეკუთვნის იმ კედლის მოხატვის დროს, რომელზედაც ის დაწერილია. წარწერა კი თანადროულია ყელის წარწერისა, ყელი კი – გუმბათისა, თუმცა უფრო დაბალია, ვიდრე შატბერდისა; თუ იმავე ოსტატის ნახელავი არ არის, ვისიც შატბერდის ყელი და გუმბათი, უეჭველია, იმავე დროისაა, XII–XIII საუკუნეების, ე.ი. მე ვიტყვოდი, თამარის ეპოქისა. მოხატულობა, რა თქმა უნდა, არ შეიძლება იყოს ამ ეპოქაზე ადრინდელი. ეკლესია შიგნით ჯვრისებურია. აღვნიშნავ, რომ კამარები გვერდით ფრთებში გამოყვანილია ზემოთ აგურის თხელი, ბრტყელი ფილებით (აქ მათ ახლა კრამიტს უწოდებენ) და არა გლუვად გათლილი ქვის ფილებისაგან, როგორც არის არა მარტო საკურთხეველის ნახევარგუმბათში და დასავლეთის ფრთის კამარებში, არამედ თვით გუმბათშიც. ბაზილიკის ჯვრისებრ ეკლესიად გადაკეთების საკითხს დიდხანს არ ვიხილავ, თუმცა მე ძალიან ვიხრები ასეთი ვარაუდისაკენ: ტაძარი, აგებული კუროპალატის მიერ, ბაზილიკა იყო. ახალ ტაძარში, უკვე გუმბათიანში, შემორჩა ბაზილიკის განცდა, მაგრამ უფრო სუსტი, ვიდრე შატბერდის ეკლესიაში, ასე 1. გვერდითი ნაგების დასავლეთი ნაწილების მაგიერ დასავლეთი ფრთის კედლებზე გამოყვანილია მხოლოდ ცრუ თაღები; თაღები კედლებზეა გაშვებული, სულ ხუთი; 2. გვერდითი ფრთების დასავლეთ კედლებზე დატოვებულია მაღალი, მაგრამ ცენტრალურ ნაგზე დაბლა, კამაროვანი ჩაღრმავებები, თითო თითო ფრთაში. ეს იმ დროის განცდაა, როცა ჯვრის გვერდითი ფრთების ნაცვლად ტაძრის გასწვრივ გვერდითი ნაგები მიდიოდა; 3. და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, საკურთხეველის ნახევარწრესა და გუმბათქვემო ცენტრალური ნაწილს შორის დატოვებულია საკურთხეველის ნაწილისათვის მიკუთვნებული შუა კედლისები, თითო თითოეული მხრიდან. ეს შეინიშნება შატბერდის ტაძარშიც. მაგრამ ოპიზის ეკლესიის რესტავრატორ-

მა შუაკედლისის ქვის წყობაში შეინარჩუნა ძველი თაღი, რომლითაც აქ გვერდითი ნავი უერთდებოდა ტაძარს; 4. გვერდითი ნაგებობის შესაბამისი ნაწილებიდან გადაკეთებულია ეკვდერებიც. ამასთან ყურადღებას იმსახურებს, რომ გვერდითი ნაგებობის აღმოსავლეთი კედლები, აღწევდნენ ისინი მხოლოდ საკურთხეველის ნახევარწრის დაწყების საზამდე, ცვლილებების გარეშეა დატოვებული. საკურთხეველის ნახევარწრე გარეთ გამოდიოდა გვერდითი ნაგებობის აღმოსავლეთი კედლებიდან. ეს ნათლად ჩანს სამხრეთ-აღმოსავლეთ ეკვდერთან. ჩვენთვის საინტერესო ადგილზე ჩრდილო-აღმოსავლეთი ეკვდერი მინაყართაა დაფარული.

საკურთხეველის ნახევარწრეში თავდაპირველად ოთხი ფანჯარა იყო. სამი ზედა რიგში: ერთი მათგანი, ჩრდილოეთი, ამოქოლილი იყო. ერთი, ქვედა რიგში; ის ასევე ამოქოლილი იყო. ქვედა, ამოქოლილი ფანჯრის გვერდებზე თითო მაღალი, ღრმა ნიშაა, როგორც საკურთხეველის ნახევარწრე ნახევარგუმბათით, მაგრამ ვიწრო. გვერდებზე ასევე არის ოთხკუთხედი მცირე ნიშები. საკურთხეველიდან ჩრდილო-აღმოსავლეთ ეკვდერში მცირე და დიდ ნიშებს შორის არის პატარა გასასვლელი. თითო ნიშა არის გვერდითი ფრთების დასავლეთ კედლებშიც, სამხრეთ ფრთაში იგი კამაროვანია, ჩრდილოეთში – ნახევარგუმბათით. ეს ან წინამძღვრის, ან ეპისკოპოსის სადგომი ადგილია. ჩრდილოეთ ფრთაში ფანჯრები არ არის. ტაძარში სამხრეთი ფანჯარა რამდენიმე იყო, გარდა საკურთხეველის ნახევარწრის ფანჯრისა: 1. ერთი სამხრეთ ფრთაში; 2. ოთხი დასავლეთი ფრთის ზედა ნაწილში, თითოეული განსაკუთრებულ შუაკედლისში, თუ დასავლეთი კუთხიდან ამოვალთ. ეს ოთხი ფანჯარა განცდაა ბაზილიკის ცენტრალური ნავის ფანჯრებისა, რომლებიც გვერდითი (სამხრეთი) ნავის ზემოდან იყურებოდნენ.

ორი კარი, დასავლეთი ფრთის ცენტრიდან მეორე და მესამე სამხრეთ შუაკედლისებში, ასევე, ახალი საქმეა. ბაზილიკაში ერთი დასავლეთი კარი იყო, შენარჩუნებული გადაკეთებულ ეკლესიაშიც (სიმაღლე – არაა გაწმენდილი, სიგა-

ნე – 1 არშინი და 14 1/4 გოჯი), მაგრამ: 1. ის ტაძარში დაფარულია სვეტით, პილასტრით ერთ-ერთის ქვეშ იმ სარტყლებიდან, რომლებიც გადაგდებული იყო დასავლეთი ფრთის კამარაზე; 2. დასავლეთიდან, ამ კარიან კედელზე მიშენებულია ნაგებობა გარე კარების გარეშე ისე, რომ ეკლესიის დასავლეთი კარი რჩებოდა მხოლოდ ამ მინაშენში შესასვლელად. არ ვეხები საკითხს, ხომ არ არის გადაკეთებული უკანასკნელი ნაგებობა ძველი კარიბჭიდან ან ნარტექსიდან. მისგან მეორე კარი, უფრო სამხრეთით, შედის ტაძრის სამხრეთ-დასავლეთ ეკვდერში, რომელიც გადაკეთებულია ბაზილიკის სამხრეთი ნავის ნაწილიდან. არ ვეხები სხვა ეკვდრებს, მაგალითად, სამხრეთ-დასავლეთისას (ის საკურთხეველის ნახევარწრით გამოიყენებოდა ეკლესიად და შიგნით მოხატული იყო. შემონახულია მოხატულობა ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში), ასევე, როგორც ეკლესიის დეტალებს (ნაღები და ორნამენტები ფანჯრებზე, ნაწილობრივ აქედან სოფელში დობეებზე), ფუნდამენტ-ტერასას და ეკლესიიდან სამხრეთ-დასავლეთით მასზე აგებულ თაღოვან შენობას. ამ, დანგრეულ შენობაში, ნახევრადმრგვალი ზედა ნაწილების გვერდით, გვხვდება კამარები, სრულიად ისროვანი თუ არა, აშკარა მიდრეკილებით ისროვნობისაკენ.

ეკლესიიდან დასავლეთით ასევე მაღალი ტერასაა ტაძრის მოედნის დონეზე. მასზე ვრცელი ნაგებობებია. ეკლესიის ეზოში მდგარი დანგრეული თაღოვანი შენობიდან მომხილველი მიდის ამ ნაგებობის სამხრეთი კედლის გასწვრივ, სანამ მარჯვნივ არ გაიხსნება გრძელი, თაღოვანი დერეფანი (სიგანე 1 საუენი და 1/2 გოჯი), სატრაპეზოს ან დარბაზის მთელ სიგრძეზე.

ამ დერეფნის შუა ნაწილიდან, რომლის საპირისპირო ბოლო ახლა ჩახერგილია, კარი<sup>1</sup> (სიგანე 2 არშინი და 6 3/4 გოჯი, სიმაღლე 1 საუენი და 1 გოჯი) დასავლეთისაკენ გადის ვრცელ სამკამაროვან დარბაზში (სიგრძე 9 საუენი და

<sup>1</sup> კარი მდებარეობს ჩრდილოეთით მესამე შუაკედლისში.

10 1/4 გოჯი, სიგანე 6 საუენი და 2 3/8 გოჯი). დარბაზის შიდა ნაწილზე პირველივე შეხედვამ ნათლად გვაჩვენა, თუ რამდენად მართალი ვიყავი მე, როდესაც ვვარაუდობდი, რომ შატბერდში „სატრაპეზო“ იყოფოდა თაღოვან განყოფილებებზე (იხ. ზემოთ). მხოლოდ ერთი, აქ დარბაზი გასწვრივ იყოფა სამ თაღოვან განყოფილებად, კამარებით მთელი სიგრძის გასწვრივ. ცენტრალური კამარა უფრო მაღალია (მე შესწორებას შევიტან და ვიტყვი: დარბაზი სამ ნავად იყოფა, ცენტრალურ მაღალ და უფრო დაბალ გვერდითებად). ეს კამარები შიგნიდან დაყრდნობილია ქვებისაგან<sup>1</sup> აგებული ოთხკუთხა სვეტების (ისინი ექვსია, კედლებთან ამოყვანილი მომრგვალებულის ჩათვლით) ორ რიგზე. სვეტები ერთმანეთთან შეერთებულია თაღებით (ხუთი თაღი). ამ სვეტების სისქე აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ 11 1/2 გოჯია. შემორჩენილია პირველი, აღმოსავლეთი რიგი. მეორე თაღში აღმოსავლეთი გვერდითი ნავის ჩრდილოეთი კედლიდან პირველი სვეტის სამხრეთ მხარეზე პატარა ტოლგვერდა ჯვარია. სამხრეთი კედლიდან მეორე თაღში სვეტებს ზემოთ არის ქვა (სიგრძე 12 გოჯი, სიგანე 11 1/2 გოჯი), რომელზეც მსხვილი მთავრული ხუცური ასოებით გაკეთებულია წარწერა, შიგნით წითლად შეღებილი ასოებით ოთხი სტრიქონი:

ქ  
 უსა  
 უსა  
 რ  
 რულ  
 კ  
 შკ

ქარაგმები არ არის. ეს ნიშნავს:  
 ესე მ[ე აშოტმან] დ წელსა  
 გავა[შენებინე]  
 ან [კეთებინე]

გაგრძელება და დაბოლოება იყო, როგორც ჩანს, სვეტების დანგრეული მეორე რიგის ერთ ან ორ თაღზე. ყოველი რიგის სვეტებს შორის განები 1 საუენი, 1 არშინი და 5 1/2

<sup>1</sup> შესამწნევია კოლონები მთლიანი ქვებისაგანაც.

გოჯია. მესამე კამაროვანი განყოფილების ჩრდილო კედლის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში, ქვემოთ, არის მცირე განი (ხილული სიმაღლე, მგონი, დაუნაგვიანებელი, 12 გოჯია, სიგანე – 1 არშინი და 10 3/4 გოჯი). ეს იყო ადგილი, სადაც დარბაზისათვის მოედინებოდა წყაროს წყალი.

კარები: 1. დასავლეთი, მესამე თაღოვანი განყოფილების მეორე შუაკედლისში (სიგანე 2 არშინი და 2 1/2 გოჯი), მასზე მიყრილია ნაგავი. მას დარბაზის მხრიდან ამთავრებდა უხარმაზარი ქვა – სიმაღლე 12 1/4 გოჯი, სიგრძე – 1 საუენი, 1 არშინი და 8 1/4 გოჯი; 2. აღმოსავლეთი (იხ. ზემოთ) დერეფნიდან.

ფანჯრები: თითო მოგრძო – სამხრეთ კედელში, სწორედ თითოეული გვერდითი ნავის ბოლოში, შიგნით გაფართოებით და მოგრძო ზედა ნაწილით (გარედან სიმაღლე 2 არშინი და 14 1/4 გოჯი, სიგანე – 13 გოჯი), ცენტრალური ნავის იმავე კედელში სამი (ორი პატარა მარტივად გაკეთებული ერთის ზემოთ) და სამი დასავლეთ კედელში, თითოეული განსაკუთრებულ შუაკედლისში, ორი – კარიდან სამხრეთით და ერთი – კარიდან ჩრდილოეთით. დარბაზი განათებული იყო სინათლით, ალბათ, სამერცხლულიდანაც, შეიძლება არა ერთიდან.

სამნავიანი შენობის პირდაპირი კედლების სიმაღლე გვერდებიდან 2 საუენი და 7 გოჯია. ნაგებობა აგებულია ძველებურად, მსხვილი საპირე ქვებით, ადგილ-ადგილ უხარმაზარით. მაგრამ შიგნით კამარები მოპირკეთებულია სუფთად გათლილი ქვებით, ნამუშევრითა და მასალითაც სწორედ ისეთი, რომლითაც არის მოპირკეთებული დასავლეთი ფრთის კამარა და ეკლესიის საკურთხეველის ნახევარწრის ნახევარგუმბათი. დანარჩენი ნაწილი უხეში წყობისაა: ის შებათქაშებული იყო. გვერდითი ნავის სამხრეთ კედელზე დარჩენილია ბათქაშის ნაკვალევი. ის ცოტაა. ბათქაში შეთეთრებულია. მოხატვის ნიშნებს, შეღებვისაც კი, ვერ ვპოულობ, თუ გამოვრიცხავ წითელ საღებავს წარწერის ასოების ჩაღრმავებებში.



გრძელი დერეფნიდან მარჯვნივ კარს შევყავართ ვრცელ, ოთხკუთხა, ზემოთ გუმბათით გამოყვანილ სათავსოში (4 საუენი, 1 არშინი და 1 გოჯი აღმოსავლეთიდან დასავლეთით × 3 საუენსა და 7 1/4 გოჯზე). ამისთვის კუთხეებში მოწყობილია გლუვი აფრები. აქედან ჩრდილოეთის კარს შევყავართ კიდევ ერთ ოთახში, აღმოსავლეთი კი ნაგვით არის საგსე. ნაგებობა სატრაპეზოსდროინდელია. სამნავიანი დარბაზიდან ან სატრაპეზოდან დასავლეთით, უფრო ზუსტად სამხრეთ-დასავლეთით, 45 ნაბიჯში არის ღრმა (ამჟამად, 1 საუენი და 2 1/2 არშინი), ვრცელი, მრგვალი (დიამეტრი 2 საუენი და 3 გოჯი) ჭა, ქვით ამოშენებული. ოპიხელები ახლაც იყენებენ მას. ახლა ჭაში ღარით ჩაედინება წყალი. იგი წყალსატევია: არცთუ ისე უხვად ივსება წყლით, შემდეგ იქედან რწყავენ ბაღებს.

ეკლესიის მოედნის ქვეშ, ტერასის ქვედა, თითქოსდა სარდაფის სართულზე სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ ოპიხის ხეზე გასასვლელით, არის მონასტრის საძვალე. აქედან, კარის გავლით, მომსვლელი ხედება ვიწრო დერეფანში, რომელიც ნაწილობრივ მიდის მარცხნივ და უფრო მეტად მარჯვნივ. ორივე ბოლო ემიჯნება კარებს, რომლებიც საძვალის განყოფილებებისკენ მიდიოდა. პირდაპირ შემოსასვლელი კარის წინ, დერეფანში გამოდის ფანჯარა. მასში მოჩანს შესანიშნავი, სუფთა მოპირკეთება საძვალის ამ მესამე განყოფილებისა, მაგრამ გასასვლელი ნაგვითაა დაფარული, მის შესახებ არავინ არაფერი იცის.

ეკლესიიდან აღმოსავლეთით მდებარე შენობა, რამდენადმე უფრო მცირე, ვიდრე სატრაპეზო (შიგნით ჩრდილოეთიდან სამხრეთით სიგანე 6 საუენი და 4 გოჯია, სიგრძე – 8 საუენი და 1 არშინი), როგორც ნამუშევრის მიხედვით ჩანს, იმავე ხანისაა, ანუ აშოტის ეპოქისა. ის გაყოფილია გასწვრივ აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ ორ განყოფილებად: 1. ჩრდილოეთი განყოფილება შედგება ორი ოთახისაგან, რომელთაგან აღმოსავლეთი მთავრდება მთელი ოთახისათვის ერთი გუმბათით. გუმბათის ცენტრში არის ოთხკუთ-

ხა ფანჯარა. გუმბათის შესაკავებლად ოთხივე კუთხეში აფრებია, ასეთი და ისეთივე ნაოსტატარი, როგორცაა სამნავიანი დარბაზიდან აღმოსავლეთით მდებარე დერეფნის იქითა ოთახი. 2. მეორე განყოფილება ერთი გრძელი გაღერეა: ის ხუთი (sic) ღია თაღით გადის ხეზე (სურ. 55). ყოველი განისიფართე – 2 არშინი და 1/2 გოჯია, სიმაღლე ზედა ნაწილით – 2 არშინი და 7 1/2 გოჯი. მხოლოდ გაღერეის კიდებიდან ყრუ კედლებია.

ტერასაზე, ეკლესიის ზემოთ, ჩრდილო-დასავლეთიდან ასევე არის კაპიტალური ნაგებობის ნარჩენები. სათავსოებია თვით ამ ტერასაშიც.

ჩემი ჩაფარი, ამბარძუმი, 50 წლამდე ასაკისაა. ძალიან დადებითი, საზრიანი, გამჭრიახი მოსამსახურეა. სიძველეებმა, ასე გულდასმით რომ ვათვალიერებდით, მასზეც მოახდინა შთაბეჭდილება. – „მითხარით, გეთაყვა, ძველად იყვნენ ადამიანები უფრო ჭკვიანი თუ ახლა?“ – მოულოდნელად მკითხა ერთხელ ამბარძუმი. მას განსაკუთრებით აოცებდა წინაპრების უნარი ნაგებობისათვის შეერჩიათ საუკეთესო ადგილები არა მარტო მოხერხებულობით, არამედ სილამაზითაც. „აქ რა კარგია!“ – იძახდა ამბარძუმი როგორც კი ვეცნობოდით ახალი მონასტრის მდებარეობას. მას აოცებდა სასარგებლო ნაგებობების, საწნახელების, სარდაფების, ხიდების სიმტკიცე; შენობების, მონაზონთა სათავსოებისა და დარბაზების გრანდიოზულობა. „ნუთუ ამას ქართველები აშენებდნენ?“ – მკითხა ამბარძუმი მერამდენედ უკვე ოპიხაში. – „ღიახ, ქართველები!“ – „შეიძლება კათოლიკე ქართველები?“

სომხებში, უბრალო წოდებაში, რელიგია გაიგივებულია ეროვნებასთან და მე ვშიშობდი, შევძლებდი თუ არა მისთვის ამეხსნა, რომ ქართველი კათოლიკე, თუ ასეთი მართლაც არსებობს, ისეთივე ქართველია, როგორც ქართველი ქალკედონელი.

ამბარძუმ ტოისუხჯიანი არტანუჯელია, კათოლიკე, სომეხი. მისი ბაბუა ახალციხიდანაა. – „არა“, ვუპასუხე ამბარ-

ძუმს: „ისინი მართლმადიდებელი ქართველები, ქალკედონელები იყვნენ, „ჰორომები“ (რომეები)! მაგრამ, მითხარით, რომელი ქართველი კათოლიკეები გყავთ მხედველობაში?“ – ჩემი წინაპრები კათოლიკე ქართველებია! მე ქართული არ ვიცი. მამაჩემმა ქართული იცოდა. ბაბუაჩემმა სომხური არ იცოდა, ქართული კი იცოდა“. ეს შენიშვნა ამბარძუმის შესახებ შემაქვს, როგორც მასალა კათოლიკე ქართველებზე საკამათო საკითხისათვის.

ყურძნის ადგილობრივი ჯიშების სახელწოდებები:

ა. შავი ჯიშები:

1. „სუერეკი“, მთავარი ჯიში, შავი. ეს ყურძენი კარგად ხარობს და მწიფდება მხოლოდ გვერდასა და ჯემერკში. ის მთელი წელი შეიძლება შეინახოს. მისგან ღვინოს არ წურავენ. მარცვლები განსაკუთრებით დიდი არ არის, სფეროსებურია, მაგრამ ბოლოსკენ წაწვეტებული.

2. „ახელეკი“ ღია შავი (?), კარგია საჭმელადაც და საღვინედაც. გვხვდება წყალთეთრაშიც, ბერდშიც (ბერთაშიც), მაგრამ ყველაზე უკეთესად ისევ მაინც ჯემერკსა და გვერდაში. მარცვლები მსხვილია.

3. „შავი ორჯოხული“ (თურქ. „სიად ორჯოხულ“, სომხ. „სევ ორჯოხულ“), არც ისე მსხვილი [მარცვლები], საჭმელად (სუფრისათვის – მ.ფ.).

4. „საფერავი“<sup>1</sup>, საღვინე, როგორც ყველა შავი ჯიში მწიფდება თეთრზე გვიან.

5. „სირკლევი“ საღვინე.

6. „ჯღე“ საღვინე.

7. „ხალთური“ საღვინე.

8. „ატ მემესი“, ასე უწოდებენ სომხებიც, მაგრამ ახალგაზრდა ჩიდილემა, რომელმაც ქართული არ იცოდა,

<sup>1</sup> ადგილზე ქართულ სიტყვას „საფერავი“ უწოდებენ „ჭიაფურსაც“, მცენარეს წითელი კენკრათი, მოგრძო მტევნებს. ართვინში, როგორც მაცნობეს, მის ნაყოფს იყენებენ ღვინის წითლად შესაღებად.

მისი ქართული სახელიც თქვა: „ცხენის ძუძუ“: არის თეთრი და შავი ჯიში. ორივე – საჭმელია.

9. „შავროპი“.

ბ. თეთრი ჯიშები:

1. „თურგანდა“, მსხვილი, ადრე მწიფდება, საჭმელი (სუფრის – მ.ფ.) ჯიშია.

2. „დევრიში(sic)-ალი“, მსხვილი, ოქროსფერი, საუცხოო არომატით, უფრო საჭმელი ჯიშია.

3. „თეთრი ორჯოხული“ (თურქ. „ბაიაზ ორჯოხულ“, სომხ. „ჭერმაკ ორჯოხულ“), საჭმელი.

4. „მელისკუდი“, საჭმელი ჯიში. ყველგან გვხვდება, მაგრამ ოპიზაში არა. ოქროსფერია.

5. „ხევარდული“, საჭმელი, ოქროსფერია.

6. „ბუტკო“. ნამდვილი ღვინო მისგან იწურება, ნაყოფი წვრილია.

7. „გორგოული“, ოქროსფერი, შედარებით პატარა მარცვლები.

8. „წყალთეთული“, როგორც საჭმელი, ისე საღვინე.

9. „ფუნდუხ უზუმი“ (თხილის ყურძენი), წვრილი, მრგვალი მარცვლები, ძალიან ტკბილი; ახლა მწიფდება (ჯემერკში მე იგი 20 აგვისტოს ვჭამე).

კიდევ „შიშველი“ – წითელი ყურძენი, მარცვალი არაა მსხვილი.

„პარმახ ხათუნი“, არის თეთრიცა და შავიც. მარცვალი მსხვილია.

ამ ჯიშებს შორის არის ზამთრისაც. მათ ბელლებში ინახავენ, სექტემბერ-ოქტომბერში მოკრეფის შემდეგ შეიძლება მათი ხუთი-ექვსი თვე შენახვა (ასეთებია: სუერეკი, ახელეკი, შავი ორჯოხული, ატ-მემესი თეთრი, ატ-მემესი შავი, თეთრი ორჯოხული, დევრიშ-ალი, ნაწილობრივ ბუტკოც).

**18 აგვისტო, ოთხშაბათი.** ვავსებ შენობების აღწერას. ოპიზის ტაძრის ყელში მეტი ფანჯარაა (6), ვიდრე შატბერდის. ყელი თორმეტმხრიანია. წყვილი ნახევარსვეტები კედლების შეერთების ადგილებზე. ზოგიერთი მათგანი მორთუ-

ლია ჩუქურთმით, თუმცა მარტივით (დაგრეხა). ეკლესია ორიენტირებულია არა აღმოსავლეთისაკენ, არამედ ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ, თუმცა უფრო მეტად ჩრდილო-ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. ამის შესაბამისად, როცა ვამბობ ტაძრის სამხრეთ, აღმოსავლეთ და სხვა კედლებზე, მხედველობაში მაქვს შესაბამისი გადახრა. ეს იმითაა გამოწვეული, რომ სხვანაირად შეუძლებელი იყო გრძელი ტაძრის მოთავსება ვიწრო ტერასაზე. სამკამარიანი შენობის კედლის სისქე 1 არშინი და 12-13 გოჯია. შუშაბანდიან შენობაში გუმბათოვან დარბაზს აქვს ორი კარი, ერთი აღმოსავლეთი, მეორე – სამხრეთი, რომელიც გადის შუშაბანდში. არის ჩაღრმავება, თითქოს კარი, მაგრამ ამოქოლილი, იმავე შენობის დასავლეთ კედელში, კამაროვანი დარბაზის მხრისაკენ, სამხრეთ კართან ახლოს. გვერდითი ფანჯრები არ არის. გუმბათში არსებული ცენტრალური ოთხკუთხა ფანჯრის სიგრძე (შუშაბანდის გასწვრივ) 4 საყენი და 1/4 არშინია, სიგანე – 2 არშინი და 13 გოჯი. შედარებით წვრილი ზოლით კარი გამოდის შუშაბანდიანი შენობის დასავლეთი, resp. ჩრდილო-დასავლეთი კედლის გასწვრივ. ღობე ძველი წყობის მსხვილი ქვებისგანაა; საკუთრივ ეს არის ზედა მომიჯნავე ტერასის კედელი. თავდაპირველად კარის ამ ზოლიდან გამოდიოდნენ ჭიშკარში შატბერდის გზის შესახვედრად, ოპიზის მდინარიდან რომ ამოდის. ჭიშკარი განლაგებულია ზედა ტერასის ფასადისა და შუშაბანდიანი შენობის დასავლეთ კედელს შუა. ჭიშკრის სიფართოე იყო 2 არშინი და 9 1/4 გოჯი. შემდგომ ჭიშკარი შევიწროებული იყო ახალი წყობით და გადაქცეული კუტიკარად (სიფართოე 1 არშინი და 11 გოჯი).

ორი მეზარგული, ორივე ჩიდილიდან (ჭედილა), მე ფრიალო აღმართით გავაგზავნე ბერთაში. მათ ბარგი წაიღეს. მე ჩაფართან ერთად იქითკენ ვმოძრაობ შემოვლით ზოგან ფეხით, ზოგან ცხენით: კაპარის გავლით. იქამდე ჯერ დაღმართია, შემდეგ აღმართი, მაგრამ კაპარის შემდეგ მშვენიერი გზაა. ამ გადასავლისას, მონასტრის დასაწყისიდან, ჩვენ ნახევარი საათი მოგვიხდა მოძრაობა იმერხევის ნაპირით და

1/4 საათი კაპარის წინ, როდესაც უკვე დავეშვიტ კაპარის ბაღებში. სოფელ ოპიზიდან დილის 7 საათზე დავიძარით.

დავეშვიტ მონასტრის ნანგრევებამდე. 15-20 წუთი კიდევ შევჩერდი იქ, დამატებით ვათვალიერებდი [ოპიზას]. 7 1/2 საათზე გავუდექით გზას. დასაწყისშივე ჩემი ცხენი ჩაფარდა გზიდან და ფერდობზე დაგორდა, მაგრამ შორს არა. მე მოვასწარი ორივე ფეხის გათავისუფლება და მიწაზე დავრჩი, ზედ გზაზე. ცხენმა მხოლოდ კბილი ამოიგდო. უზანგებიდან ფეხების წარმატებით გათავისუფლებაში ქალამნები დამეხმარა. მე ისინი ჩექმებზე მაქვს ჩამოცმული და ფეხები წვერებს იქით არ შედის უზანგებში. ნახევარი საათი მაინც ვიმბზავრე კიდევ (ჩაფარი ერთხელაც არ დამჯდარა თავის ცხენზე), შემდეგ კი მომიხდა ჩამოქვეითება. ადგილ-ადგილ ცხენის გატარება ძნელი იყო მხედრის გარეშეც. მთლიანობაში გზა მაინც კარგია. ერთ შესახვევში<sup>1</sup>, რომლის იქით ოპიზა არ ჩანს, პატრონმა, მუსლიმანმა თვითონ შემომთავაზა დამშვიდობება ეკლესიასთან. მე სიამოვნებით და ამავე დროს სევდით მივაპყარი უკანასკნელი მზერა კუროპალატისა და მისი საქმის ენერგიული გამგრძელებლების მონუმენტურ ნაგებობებს, არა მარტო სიცოცხლეშივე ჩამქრალბებს, არამედ დაუმსახურებლად მივიწყებულებს მეცნიერების მიერ.

ჩვენ ჩავუარეთ ავაზანეთს და გავუსწორდით შაან-ქაიას მთას. უფრო ადრე ქვემოთ შევნიშნე **ფირიშლუხის** სიმინდის სანავი ორი სახლითურთ. პირდაპირ, მთაზე, ღია მდებარე, ასევე ოპიზის სახნავებია, „მეზრე“, მაგრამ ეს არაა ოპის-ჭალა. ოპის-ჭალა ფერდობს იქითაა მიმალული. მალე დაიწყო უფრო ციცაბო დაღმართი იმერხევისკენ. დაღმართის წინ უბადრუკი წყაროა. ადგილს **სასენი** ეწოდება.

8 1/2 საათზე ჩვენ უკვე ქვემოთ მივდიოდით იმერხევის ნაპირთან, დროდადრო გავივლიდით რა ბაღებს. იმ მხარეს

<sup>1</sup> ეს „დესაყელი“, რაც ჩვენმა შემთხვევითმა თანამგზავრმა, მოხუცმა ოპიზელმა წარმოთქვა, **ცისაყელ**, მაგრამ, სამწუხაროდ, ის ენაბლუა და მე ვერ დავვერდნობი მის წარმოთქმას.

არის სიმინდის სახნავებიც. ერთ-ერთზე მე შევნიშნე ოთხ მალალ ფეხზე შემდგარი ხის სასიმინდე ბედელი. გურიაში მას „ნალიას“ უწოდებენ, აქ „ბაგინს“. ჩემი ნახული ეგზემპლარი პატარაა და უფრო მალალ ფეხებზეა, ვიდრე გურული „ნალია“.

9 საათზე მე კაპარიაში ვიყავი. აქ პირველად გავიგონე ტერმინი „ფარეხი“. კაპარიაში სტუმრად მყოფმა წყალთეთრელმა ჩემს შეკითხვაზე, ეს რა „ფარეხია“, რომელზეც ის საუბრობს, მიპასუხა: „ბერთას ზემოთ არის გამოქვაბული. ის დიდია. შედწევა შეუძლებელია. განლაგებულია მალლა, კლდის შუა. იქაა „ფარეხი“. ერთმა ბერთელმა ერთხელ გააკეთა ხის კიბე, ავიდა გამოქვაბულამდე, შეხედა, მაგრამ შესვლა ვერ გაბედა: შეშინდა“.

აქამდე ყველა ჩემი გამოკითხვა „ფარეხზე“, როგორც სიტყვაზე და როგორც ადგილზე, მხოლოდ გაოცებას იწვევდა. თუმცა აქ „ფარეხი იციან მხოლოდ როგორც ადგილის სახელი. იგივე წყალთეთრელმა გვაცნობა: „ჯერ კიდევ ომამდე ბერთაში, ფარეხთან იპოვეს სპილენძის ჭურჭელი წარწერით. მპოვნელმა თან წაიღო იგი, როდესაც საქმეზე წავიდა ბათუმში. წარწერა ქართული აღმოჩნდა. მან მიყიდა ჭურჭელი ვიღაც ქართველს მხოლოდ ხუთ შაურად (ხუთ ყურუშად). საერთოდ ბერთაში არაერთხელ უპოვნიათ განძიც.“

კაპარიელი მამასახლისისაგან, ჩემი პატრონისაგან, გავიგე, რომ წარწერიანი ქვა პორტადან აიღო ბატონმა შუბინსკიმ. ჩემმა პატრონმა თვითონ მიუტანა იგი კაიმაკამს. მას ახსოვს, რომ იმ დღეს, როდესაც შუბინსკი მიემგზავრებოდა, ის ქვა ართვინში მისი სახლის კარებთან ეგდო.

12 საათზე მე და ჩაფარი გავემგზავრეთ კაპარიიდან ბერთაში. აქედან მართლაც შეიძლებოდა გამგზავრება. მხოლოდ საჭირო იყო ცხენების გადაყვანა კარჩხალაზე. ეს მეორე კარჩხალაა, უფრო პატარა, მიედინება სოფელ ბერთაზე, ე.ი. მის სხვადასხვა ადგილებზე უერთდება მდ. იმერხევს კაპარიის დასავლეთით. მასში თევზი, როგორც ჩანს, ბევრია. ჩემი იქ ყოფნისას კაცი გაგზავნეს სასროლი ბადით, რო-

მელსაც აქ თურქები (მუსულმანი ქართველები) და სომხები „თორს“ უწოდებენ. სამ-ოთხ წუთში ის დაბრუნდა ერთი-ორი ათეული, ძალიან გემრიელი წვრილი (2-3 გოჯი) თევზით. ეს მათთან „სახანია“, იგი რამდენადმე ძვლიანია.

ავედით კარჩხალას მარცხენა მხარეზე ახალი გზით და უმაღლე ზურგით შევბრუნდით მდ. იმერხევისკენ. ზემოთ გზა მიდიოდა ხმაურიანი კარჩხალას მარჯვენა ნაპირით. მარცხენა ხელისაკენ დავტოვეთ სოფელი წყალთეთრა. 12 საათსა და 50 წუთზე მივალწიეთ ძველ ქვის ხიდს, ვიწროს, ერთთაღიანს და კვლავ გადავედით მარცხენა ნაპირზე. 1 საათსა და 10 წუთზე ჩვენ ბერთას პირველ მეზრესთან მივალწიეთ, **კულიათ-დერემდე**. თვით ბერთაში ჩვენ ვაგრძელებდით მოგზაურობას მარცხენა ნაპირით. აქედან ცხენები ადამიანებთან ერთად გავგზავნეთ პაპაურში, სოფლის უბანში. ჩემი ბერთელი პატრონის, ადგილობრივი მამასახლისის ძმის სახლში, მე კი ჩაფართან და პატრონთან ერთად ავედი ზევით. 2 საათსა და 10 წუთზე ჩვენ ვიყავით მონასტრის ეკლესიასა და სამონასტრო ნაგებობების ნანგრევებთან ტალტოშის ხევს ზემოთ (სურ. 56).

ბერთის მონასტერი მდებარეობს შემადლებახე ზუსტად ჩრდილო-დასავლეთისაკენ ტალტოშისწყლის კარჩხალასთან შეერთების წერტილიდან. სატრაპეზო (აქ მას „ხანეს“, საყონალოს უწოდებენ) გაგრძელებულია ტალტოშის ხევს ზემოთ, მიემართება რა ჩრდილო-დასავლეთიდან, ანუ, უფრო სწორედ, ჩრდილო ჩრდილო-დასავლეთიდან. მახლობლად ბერთას მთიანი „მეზრებია“: ჩრდილო-დასავლეთით წანდილაური (მის ქვემოთ **საქოწელი**), ჩრდილო-აღმოსავლეთით **დიდ-აგარა**.

გავუსწორდი რა ეკლესიას, ახლა უმინარეთო მეჩეთს<sup>1</sup>, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან, ტალტოშის ხევის მხრიდან, მე უნდა გამეგრძელებინა გზა (ეკლესიისკენ მოკლე, მაგრამ ციცაბო აღმართია), რომ დასავლეთიდან შემომეველო ძველი

<sup>1</sup> მოლა ხეზე ძვრება და იქედან მოუწოდებს მლოცველებს.

ტადრისათვის. მაგრამ გზად მოვხვდი სატრაპეზოსკენ შესახვევზე, რომლის სამხრეთ-აღმოსავლეთი ფასადს (სიმოკლისათვის შეიძლება სამხრეთიც ვუწოდოთ) ეკლესია-მეჩეთთან ერთად შორიდან ვხედავდი. სამწუხაროდ, გარდა ამ ფასადისა და სხვა კედლების მცირე ნარჩენებისა, ხანდახან მხოლოდ ზედ საძირკვლებთან, შენობისაგან არაფერი დარჩენილა. თუმცა მამასახლისის ძმა მარწმუნებდა, არასოდეს ახლებენ ხელს ამ ადგილის არც ერთ ქვას, რადგან ეს „ვოკუფია“ (sic), მაგრამ შიგნით ახლა ჩემთვის გეგმით სრულიად ნათელია სატრაპეზოს ყველა კამარა და სვეტი ისე სუფთად არის აღებული, რომ ეჭვის შეტანაც არ შეიძლება წარსულის ნაშთების ადამიანის ხელით დატაცებაში.

დარბაზი ორიენტირებულია ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. სიგრძეში მისი მიმართულება არის ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ (9 საუენი და 12 5/8 გოჯი), სიგანე ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ (6 საუენი, 1 არშინი და 12 7/8 გოჯი). ეს ვრცელი სათავსო დაყოფილი იყო სამ ერთნაირ გრძელ ნავად – ცენტრალური და გვერდითები. შემონახულია კვალები, სამხრეთი resp. სამხრეთ-აღმოსავლეთი გვერდითი ნავისა, მისი აღმოსავლეთი (ჩრდილო-აღმოსავლეთი) კედელი ზემოთ არსებული მოგრძო, ზემოთ ნახევრადმრგვალი ფანჯრით, შიდა მხრისაკენ რომ ფართოვდება. ამ გვერდის თითოეულ ნავს, როგორც ჩანს, თითო ფანჯარა ჰქონდა. ცენტრალურ ნავთან ეს ფანჯარა, ალბათ, უფრო დიდი, კარის ზემოთ იყო; კარის განის ქვედა ნაწილი შემონახულია (სიგანე 2 1/4 არშინი).

სამხრეთ-აღმოსავლეთი კედელი შემონახულია კამარის დაწყებამდე. თუმცა პირის ქვები, მისგანაც ადგილ-ადგილ ამოღებულია: შიგნით, კედლის გასწვრივ, ქვემოთ შემონახულია ქვის ფენა (სიგანე 11 გოჯი), კარგად დამუშავებული ფილებით. ძნელია გადაჭრით თქმა, არის თუ არა ეს ქვის იატაკის ნარჩენი ან ძველადაც იყო მხოლოდ კედლის გასწვრივ ბილიკის მსგავსი. მაგრამ ქვაფენილი დასავლეთი

(სამხრეთ-დასავლეთი) კედლის გასწვრივ მნიშვნელოვნად უფრო ფართეა (1 არშინი და 8 1/8 გოჯი).

ყველაზე სამხრეთ (სამხრეთ-აღმოსავლეთ) კედელზე შემორჩენილია სვეტების-პილასტრების ექვსი კაპიტელი, რომელნიც სამი მხრით გამოდიან ქვების წყობიდან. ეს პილასტრები აქ ფუძიდან ამოდიან. ექვსი პილასტრიდან ორი კუთხეებზე მოდის, – აღმოსავლეთსა და დასავლეთზე. ეს პილასტრები გამოიყენებოდა საყრდენად გრძელი კამარის გარდიგარდმო გადაგებული სარტყლის თაღებისათვის. მათი შიგა ბოლოები, თავის მხრივ, ეყრდნობოდა ექვს სვეტს, რომლებიც, როგორც ჩანს, გაერთიანებული იყვნენ ნავის გასწვრივ ზედიზედ ხუთი თაღით. როგორც ჩანს, იყო ამგვარი თაღების ორი რიგი. ამ სარტყლებიდან ადგილზე არც ერთი ქვა არ არის დარჩენილი. ჩანს, ქვები იყო მრგვალი, კარგი. შეიძლება მთელი სვეტები ერთიანი ქვისაგან [იყო].

სამხრეთი (სამხრეთ-აღმოსავლეთი) კედლის პილასტრებს შორის ყოველ შუაკედლისში იყო თითო ფანჯარა, რომელიც შიგნით ფართოვდებოდა, ნახევრადმრგვალი ზედა ნაწილით (გარედან სიმაღლე – 2 არშინი და 13 5/8 გოჯი), მაგრამ პირველ შუაკედლისში დასავლეთ (სამხრეთ-დასავლეთ) კედლიდან ორი ფანჯარა ერთი მეორეს ზემოთ (ზედა 1 არშინი და 2 გოჯი × 4 1/2 გოჯზე, ქვემო – ნავითაა დაფარული): იყო პატარები, ჩვეულებრივ მოგრძო ტიპისა, ნახევრადმრგვალი ზედა ნაწილით; [ფანჯარები] არა მარტო ფართოვდებიან შიგა მხარისკენ, არამედ ზედა ნაწილი აფრისებურია, ნაკეცების გარეშე. დასავლეთი (სამხრეთ-დასავლეთი) კედლის პირდაპირი მხრის სიმაღლე 1 საუენი, 1 არშინი და 11 გოჯია.

გარედან პირის ქვები მსხვილია და კარგად დამუშავებული. მათ შორის არის სიგრძით 2 არშინი და 2 1/2 გოჯი, სიმაღლით – 1 1/4 არშინი. ეს სიმაღლე ჩვეულებრივია.

ეკლესია გარედან მოპირკეთებულია სწორი რიგებით. ყოველი რიგი სიმაღლით დაახლოებით 5 3/4 – 6 3/4 გოჯია. აღმოსავლეთი კედლის პირდაპირ ნაწილში წყობის 20 რიგი-

ა. {ქვეები} შესანიშნავად სუფთადაა გათლილი. წყობა მჭიდროა, ძალზე აკურატული. სამწუხაროდ, თვითონ ქვა ფორებიანია, მოთეთრო (ძველი), სწორედ ისეთი, რომლითაც გამოყვანილია კამარები, საკურთხევლის ნახევარწრეების ნახევარგუმბათები და სხვა კლარჯეთის ყველა მონასტერში.

სახურავი ოთხფერდიანია, მაგრამ ფერდები ძალზე დამრეცია. ფასადებზე, პირდაპირი მხარეების ზემოთ, ქვის წყობის მხოლოდ ორი რიგია და მათგან ერთი შესამჩნევად ჩამოჭრილი, განსაკუთრებით გვერდით ფასადებზე.

წარწერა მხოლოდ ერთ ქვაზეა, აღმოსავლეთ კედელში გარედან, უფრო სწორედ, ცენტრალური ფანჯრიდან სამხრეთით, თითქმის გვერდით, ორი ქვის შემდეგ, რომელთაგან ერთი საშუალო სიდიდისაა, მეორე თხელი. წარწერიანი ქვა გრძელია. სიმაღლე ამ ეკლესიის მოპირკეთებისათვის ჩვეულებრივია. წარწერა შესრულებულია პატარა ნუსხური ასოებით, თუმცა ჩაღრმავებები აქაც წითელი საღებავითაა შეღებული, მაგრამ, სამწუხაროდ, თვითონ ასოები ჩამოფხეკილია ყველაზე საინტერესო ადგილას:

saxel iTa RTisaTa ese qvni[i] Ce<sup>1</sup>

d<sup>4</sup>T me esaYs br ZniTa: mv

*სახელითა ღვთისათა ესე ქვანი მე  
დავითმა ესაღს ბრძანებითა მოვიტანე.*

ბერთის ეკლესია წარმოადგენს შესანიშნავ მასალას შატბერდში, ოპიზასა და სხვაგან ძველი ტაძრების გადაკეთების, საერთოდ, გუმბათისა და ყელის საკითხისათვის. ოპიზაში აშოტის ნაგებობებში გუმბათიანი დარბაზების გაცნობის დროიდან, მე დავიწყე ფიქრი იმაზე, რომ გუმბათი შე-

<sup>1</sup> მე ვტოვებ ეკლესიური ტრანსკრიფციით *Ge*, როგორც იმათ მიერაა გასწორებული, ვინც ასოებს ღებავდა, თუმცა გვეჩვენება, წაკითხული უნდა იქნას, როგორც „მე“. თუმცადა შესაძლებელია, რომ „ჩე“ ნარჩენია წაკითხვისა „ჩე[მითა], მაგალითად, *საიკასითა* – კმაყოფით. ცარიელი ადგილები ქვაზეც ამდაგვარია, მაგალითად, *d* და *mi. mv = მოვიტანე*. მაგრამ აქ კ'საგან კაუჭის *i* წაშლის შემდეგ დარჩა *e*, რაც იოლად შეიძლება იქნას წაკითხული ე'დ.

იძლება ყოფილიყო აშოტისდროინდელ ეკლესიებშიც, მაგრამ ყელის გარეშე. ამრიგად, ბაზილიკების ჯვრისებრ ტაძრებად გადაკეთებისას ოსტატებს სიახლე მხოლოდ გუმბათში ყელის აშენებით შეჰქონდათ.

ბერთას ეკლესია, ოთხკუთხა შიგნითაც, როგორც გარეთ (სიგრძე 6 საუენი და 9 1/4 გოჯი, სიგანე – 4 საუენი, 2 არშინი და 11 5/8 გოჯი, სისქე – 1 არშინი და 10 3/8 გოჯი) წარმოადგენს ბაზილიკას სამი ნავით, ცენტრალურითა და გვერდითებით, უფრო დაბლებით და უფრო ვიწროებით (სიგანე 1 საუენი და 7 3/4 გოჯი). ნაგები ერთმანეთისაგან გამოყოფილია სვეტების რიგებით, რომლებიც გაერთიანებულია თაღებით. ყოველ რიგში სამი თაღია: ისინი ეყრდნობიან 5 სვეტს, რომელთაგან ორი უკიდურესი კედელზეა გაშვებული. თუმცა ძველი სვეტებიდან არც ერთი არაა შემორჩენილი. ძველი მცხოვრებლები ყვებიან, რომ ძველი სვეტები თხელი, მაგრამ შესანიშნავად, სუფთად დამუშავებული, მრგვალი იყო<sup>1</sup>, მაგრამ არ ახსოვთ, იყო თუ არა ისინი მთლიანი ქვებისაგან გაკეთებული. ცენტრალური ნავი არც ისე განსაკუთრებით მაღლაა გვერდითებზე. ეს ნაწილობრივ იმიტომაც ხდებოდა, რომ გვერდითა ნაგებს აქვთ არა ერთი, საერთო გასწვრივი კამარა, არამედ სამი განყოფილებიდან თითოეულში თავისი გარდიგარდმო კამარაა და გვერდითი ნაგების ამ კამარების ზედა ნაწილები ერთ ღონეზე არიან ცენტრალური ნავის გასწვრივი კამარის ფუძესთან. ცენტრალური და გვერდითი ნაგების ჭერების ამგვარი შეფარდებისას განათება ცენტრალური ნავის კედლებიდან, გვერდითი ნაგების ზემოდან გამორიცხულია. ამასთანავე დაკავშირებული გუმბათის განათება. ცენტრალური ნავის შუა ნაწილი მთავრდება უყველო გუმბათით. ახლა გუმბათში ორი ფანჯარაა – სამხრეთი და ჩრდილოეთი. ასე იყო ძველადაც? როგორც ბერთელები ირწმუნებიან, თუ თავდაპირველად გუმბათის განა-

<sup>1</sup> რაიმე კუთხეები („ქოშა, მოშა“) არ იყო, მეუბნებოდნენ ბერთელი მოხუცები.

თება ცენტრალური იყო, როგორც ოპიზაში გაღერის მქონე შენობის გუმბათიან დარბაზში? მე ამ უკანასკნელი მოსაზრებისაკენ ვიქნებოდი. გუმბათი, უეჭველია, ნაწილობრივ რესტავრირებულია მეჩეთად გადაკეთებისას, ისევე როგორც სხვა ეკლესიის წვრილმანებში. საკურთხეველის ნახევარწრე არ არის. არ იყო იგი ძველადაც: აღმოსავლეთი კედელი ბრტყელი იყო. მეჩეთის გადაკეთება ამ წვრილმანს არანაირად არ ეხებოდა. შიგნით წყობა უხეშია, გარდა კამარებისა და გუმბათისა. ეკლესია შებათქაშებული და მოხატული იყო: აღმოსავლეთი კედლის შუა ფანჯარაში, როგორც სხვა ადგილებში, შემორჩენილია ბათქაშის ნაწილები ძველი მხატვრობის ნარჩენებით. ეკლესია სწორადაა ორიენტირებული.

აღმოსავლეთ კედელში სამი ფანჯარაა: ცენტრალური დიდი ზემოთ, შუანაგში; ორი, უფრო პატარა, ქვემოთ, გვერდითებში.

მაგრამ ცენტრალური ფანჯრის ქვემოთ ახლად ამოქოლილია ჩაღრმავება ან განის ნახერეტი. აქ, სრულიად შესაძლებელია, იყო შუა ნაგში საკურთხეველის ჩაღრმავება.

ერთი დასავლეთი ფანჯარა ზემოთაა. იქვე, ქვევით, კარი არ შეინიშნება.

ორი ფანჯარაა სამხრეთ კედელში, ერთი სამხრეთი ნავის დასავლეთ კამარაში, მეორე – შუა კამარაში. შუა კამარაში ეს ფანჯარა აღმოსავლეთ კედესთანაა. მას გარედან [აქვს] ზედა ქვა ზედ ამოკვეთილი ნალით. დასავლეთ კედესთან იყო კარი (სამხრეთი), დიდი (სიგანე 1 არშინი და 15 1/4 გოჯი), მაღალი (1 საჟენი და 2 გოჯი, ნახევრადმრგვალი ზედა ნაწილის გარეშე), ამჟამად ამოქოლილი და თითქმის დაფარული მეჩეთის მინბართი: კარის ზედა ნაწილი ნახევარწრედ იყო.

ახლა მეჩეთის შესასვლელი, რა თქმა უნდა, ჩრდილოეთიდანაა.

ეზოში, ეკლესიიდან ჩრდილო-დასავლეთით წყალგაყვანილობის მილია, წვრილი, ისეთი, როგორიც შემხვდა ანჩის გზაზე (იხ. ზემოთ).

მეტნაკლებად დიდი და უფრო მცირე ნაგებობების ნარჩენები არის სატრაპეზოს ჩრდილო-დასავლეთი კედლის მიღმა, ასევე ტაძრის იქით. ახლა ნაგებობები მისი დასავლეთი კედლის იქით იყო.

ეკლესიიდან გზად ჩამოვედით პაპაურის უბანში და გადავედით რა მდ. ტალტოშაზე, გზიდან მარცხნივ, აღმართზე მე გამაოცა უზარმაზარმა კაკლის ხემ. ძირთან მისი გარშემოწერილობა 3 საჟენი და 6 გოჯი იყო.

სოფ. ბერთას უბნები დაწყებული მეჩეთიდან კარჩხალას მარჯვენა მხარეს:

1. **ნუკაური**, სამონასტრო ნაწილი.
  2. **პაპაური**.
  3. **შანარეთური**.
  4. **თავკახე**, ნუკაურას ზემოთ, კარჩხალას მარჯვენა ნაპირზე.
  5. **გულაური**, თავკახეს პირდაპირ მარცხენა მხარეზე.
  6. არა-მეღე (მეჰლე), თავკახესა და პაპაურს შორის.
  7. **სოლომანძე** [კარჩხალას] მარცხენა ნაპირზე, პაპაურის პირდაპირ.
  8. **ჭედლია**, სულ ქვემოთ.
- მეზრეები:
1. ჯორასა.
  2. საყოწელ ან **სახოწელ**<sup>1</sup>. გვერდით: 2ა. ეჯენაური, ჯორასის გვერდით.
  3. ისლამოღლარი
  4. წანდიდაური 4ა. ოქონცო ბერთისაკენ.
  5. დიდ-აგარა.
  6. სილაურთი.
  7. დუგანალა.
  8. ეჯვანთა.
  9. ზაქარეული.
  10. კოკბოური.

<sup>1</sup> წარმოთქვამენ **სახეწელ** საც.

11. დაბლაჯეთი, იმ მთის ამ მხარეს, რომელსაც ლანქელაური ეწოდება (ისინი ამბობენ ლანქელაურ თეფესი), რომლის იქით ზედა პორტა მდებარეობს. გზა აქედან დაბლაჯეთში მიდის, შემდეგ სოფელ (მეზრე) პორტაში, იქედან ქვევით, „ბაღლარში“ ან პორტის მონასტერში.

**პარესი**<sup>1</sup> მდებარეობს **დუგანალის** მეზრეში.

**ბერთას** დაიღების სახელებია:

1. **სამმარე-ხევე**, მთებში.

2. **დაბა-დაილასი**.

3. **კარჩხალი**.

4. **ბირკანლა**: ეს იმ მთაზეა, რომელსაც ზემო პორტადან მანვენებდნენ (იხ. ზემოთ).

ბერთა შესახედავად მდიდარი სოფელია. ჩანს დიდი შრომისმოყვარეობა. ირწყვება ყველაფერი, როგორც ჩემს მიერ ნახულ კლარჯეთის სოფლების უმრავლესობაში. მოცემულ შემთხვევაში მე არ ვეხები ადგილობრივი მორწყვის ისტორიას, რომლის შემუშავება ამ მხარეში, როგორც ჩანს, ქართველებსაც ეკუთვნით, თუ ვიმსჯელებთ განცდებითი ტერმინებით (იხ. ქვემოთ). ქონება ვლინდება თანამედროვე საშინაო კომფორტშიც. აქ და კაპარიაშიც, პირველად მომეცა საშუალება ვმჯდარიყავი მაღალ სკამზე და მეწერა მაგიდაზე. კვერცხის, ქათმის შოვნა შეიძლება. საჭმელად ვარგისი ყველიც არის. ჩემს მასპინძლებს აქვთ ჩაი, შაქარი და სამოვარიც კი. სწრაფად მოლაპარაკე ბერთელები ყველაფერსაც სწრაფად ითვისებენ.

ჩემმა ნაცნობმა ბერთელმა ოპიზაშიც, სადაც ის გადასახლებულია, შეინარჩუნა თავისი პროგრესული თვისებები: მას აღმოაჩნდა ჩაის სერვიზი. ხორბლის პურს ბერთელები უკეთესად აცხობენ, გამოუცხვარს არ გთავაზობენ. თუმცა, უნდა ვაღიარო, რომ მერჩივნა თბილ წყალში დამეღობო ათი

<sup>1</sup> ასე – **პარესი** და არა პარეს ან ფარეს წარმოთქვამენ ბერთაში; თ, ნათ. ბრუნვის მრ. რიცხვის დაბოლოება, რომელიც სხვა გეოგრაფიულ სახელებში წარმოდგება მხოლოდ გავრცობილი ფორმით თა, მაგ. ბერთა, ხანძთა და ა. შ.

დღის გამხმარი არტანუჯული პური და მეღრნა ის, ვიდრე მეჭამა ახალგამომცხვარი კარგი ბერთული „მრგვალი“. ბერთამდე ზეწარი არ მინახავს; უეჭველია, იყო ის კაპარიაშიც, სადაც მე ღამე არ გამითევია (აქ, როგორც ბერთაში, ფანჯრები რამდენადმე უფრო დიდია, ვიდრე ხვრელები და შემიძნელები. ვერანდა ღრმა, გადახურული, გვერდითი მინებით, როგორც ყოველთვის აქვს ბალუსტრადა ღია მხრიდან. ამ ბალუსტრადის ბოძებს ეწოდება კიდევ პარმახლული; ამ ბალუსტრადის გასწვრივ შეიძლება იყოს მაღალი დასაჯდომები (ფეიქე, არტან. ფექია), უფრო ტახტები დასაწოლად მორგებული. სტუმრების მისაღებად მოსახერხებელია ზედა სართული და კიდევ ზემოთ ბეღელი [ოჯახი, შინაურები, განსაკუთრებით, ქალები და ბავშვები, ქვემოთ]. საერთოდ, ბერთაში ლოგინი მოგვცეს სრულიად ახალი, გასაოცარი სისუფთავის. საკმარისია ითქვას, რომ ბერთა პირველი სოფელია, რომელიც უკვე სამი წელია ახალი გზით სარგებლობს: გზა აღწევდა სოფლის დასაწყისამდე, ახლა თვით სოფლებმა გაიყვანეს იგი თითქმის სოფლის მეორე ბოლომდე და გაჰყავთ კიდევ უფრო შორს. ამ ნაწილზე ერთხელ, თუმცა დიდი წვალებით, შევძელით გაგვეყვანა ცხენი უმხედროდაც, მაგრამ გზის გაკეთების მცდელობა არის.

**19 აგვისტო, ხუთშაბათი**. აქ განსაკუთრებით გავრცელებულია ქლიავი **ჭანჭურ-ი**, ანუ როგორც ქართველი მუსლიმანები წარმოთქვამენ **ჭიანჭურ-ი**.

დაავადებას, რომელიც აქაც ემართება ყურძენს ეწოდება „ფას-ი“; ეს მილდიუმია, გურულად „ნაცარი“. აქაურები ამ დაავადებას მიაწერენ ნისლიან დღეებს, ისევე, როგორც გურიაში.

დღის 7 საათზე დავიძარით ბერთას კვარტალ პაპაურადან პარესთაში. გარდა ჩაფარისა, ჩემთან ერთად იყო ბიჭი აპარატით, მამასახლისის ძმა და ხურშუდი, მისივე ნათესავი. ჯერ ცხენები ხელით მიგვეყავდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც მდინარე ტალტოშას იქით გავედით გზაზე, მე და ჩაფარი



ავმხედრდით. ბერთაში მხოლოდ ჯორებია, მაგრამ ახლა ისინიც მოებშია გარეკილი.

ახლად ჩაუვარეთ მეჩეთის, ე.ი. მონასტრის მთას, გავედით ზედ კარჩხალაზე მარჯვენა მხარეს და თითქმის გზის ბოლომდე არ მოვშორებივართ მას.

გამოჩნდა **სავასეს** მთები, **ბირკნალა**. ამ უკანასკნელს წარმოთქვამენ **ბირკინალასაც**. პორტაში ამავე მთას, როგორც ჩანს, უწოდებენ **ბიკნალას**.

როგორც კი დავიწყეთ ზედ კარჩხალაზე გადმოსვლა, ჩვენი გზა დაუსრულებელი არხის გასწვრივ წავიდა. 40 წუთის შემდეგ ჩვენ დავტოვეთ ის, რომ ერთხელ კიდევ, რამდენიმე წუთის შემდეგ, შევხვედროდით, გადავსულიყავით მასზე და დავმშვიდობებოდით მთელი გზის მანძილზე. არხი (har – როგორც მას ამჟამად აქ და მთელ საქართველოში უწოდებენ: არხი arq-i) მიდის ნუკაურის კვარტალში. ის მემკვიდრეობაა ჯერ კიდევ ქართველთა ბატონობისა, ძველი ქართველების აშენებულია და აქამდეც შემონახა ძველი ქართული სახელი: **დიდრო** [დიდრო-მ]. 7 საათსა და 52 წუთზე ჩვენ გავიარეთ მთის ნაკადი, რომელსაც **სილაურთ-წყალი** ეწოდება. 7 საათსა და 55 წუთზე ჩვენ ვიყავით მეზრეში **კობკური**. ჩვენ აქ მივიდოდით თითქმის ზედ ნაპირზე კარჩხალას დონეზე. მიყვება წისქვილების რიგი. ცხენები კობკურში დავტოვეთ და შემდეგ ფეხით წავედით. 8 საათსა და 20 წუთზე ჩვენ დავინახეთ მთა **კაუთალაკი** კარჩხალის ხევის პერსპექტივაში და მოკლე ხანში დავემშვიდობეთ კარჩხალას, რომ ავსულიყავით მდინარე **დუგანალის** მარჯვენა ნაპირზე. შორს, მარცხენა ნაპირზე მე დავინახე **ბაახ-ყაიას** მაღალი, კლდოვანი მწვერვალი.

8 საათსა და 30 წუთზე ჩვენ კარგი ხის ხილით გადავედით მდინარე დუგანალზე, და არა პარეხთზე, რადგან პარეხთი საკუთრივ ის ნაწილია ხევის მარცხენა მხარისა, სადაც არის ეკლესიების ნანგრევები. იმავე ციცაბო მთის გაგრძელებას, სამხრეთ-აღმოსავლეთით კარჩხალას მხარეს,

ციცაბო მხარით, ეწოდება დიუზტაში, პირდაპირი, ე.ი. ციცაბო ქვა (სურ. 57). ამ ციცაბო კლდეში არის კიდევ გამოქვაბული: მასთან ჩვენ ვიყავით 8 საათსა და 50 წუთზე. დასავლეთი, resp. ჩრდილო-დასავლეთი მხრიდან ის იმდენადაა დაცული კლდის შევრლით, რომ როდესაც ჩვენ მივუახლოვდით ხუთიოდ საუენზე ამ მხრიდან ძველი, ნახევრადდანგრეული გზით, გამოქვაბულს უკვე ვეღარ ვხედავდით: მას ჩრდილო-დასავლეთიდან შევრლი ფარავდა. ჩვენ ვერ ვხედავდით მას დამრეცი, მაგრამ ვრცელი მოედნიდანაც, რომელიც კლდიდან დუგანალის ხევის მხარეს გამოდის ასევე მაღალი ფლატეთი, თუმცა ეს კლდე საკმაოდ შორსაა, 10-12 საუენით გამოქვაბულისაგან. გამოქვაბულის პირი არ ჩანს ძალიან ფართო. კლდის ზედა კიდიდან ის უფრო შორსაა, ვიდრე მისი საფუძვლის ნიადაგისგან, მის საფუძველთან, რომ არ ჩაითვალოს უფრო მაღლა აზიდული მთის მწვერვალი: მისგან ქვევით დაახლოებით 12 საუენია. მაგრამ ის ისეთი მიუდგომელი არ არის, როგორც შორიდან ჩანს. ადგილობრივებმა გამოქვაბულამდე მიაღწიეს ორი, სამი საუენი ზემოთ დარჩენილი პირიდან, ან, უფრო სწორედ, სამი ადამიანის სიმაღლეზე. შიგ შესადწევად საჭიროა წინასწარ, ერთი დღით ადრე ადგილზე კიბის დაკვეთა. მე დამპირდნენ ახლავე, დათვალიერებისას მისი გაკეთება, თან წამოიყოლიეს კაცები, ნაჯახი, ბაწრები, მაგრამ ადგილზე უარი თქვეს. თქვეს, რომ საჭირო იყო ერთი დღით ადრე დაემზადებინათ მასალა. ჩემი გამცილებლების სიტყვებით, ბერთაში არავინაა, ვინც გამოქვაბულშია ნამყოფი. მოხუცები ამბობენ: ოდეს-დაც ერთმა ბერთელმა გააკეთა კიბე, შევიდა ქვაბში, მაგრამ შიგ რამე ვერ იპოვა; იქ ეგდო ერთი ძველი ხის აკვანი და მან ის გადააგდო. ხომ არ არის „ხის აკვანი“ გამოქვაბულის მნახველის მოთხრობის ახალი გართულება? ხომ არ ნახა მან იქ საფლავი ჩვეულებრივი აკვნისმაგვარი საფლავის ქვით? დააზუსტოს მომავალმა მოგზაურმა, რომელსაც მეტი დრო ექნება.

ძველად გზა სწორედ გამოქვაბულამდე იყო გამოკვეთილი. მე გავიარე სრულიად ჩამოქცეულ ნაწილამდე, შემდეგ იგი კვლავ გრძელდება. მე უფრო შორსაც შემეძლო გასვლა, თუ გადავძვრებოდი საკმაოდ მოხერხებული შვერილებით დანგრეული ნაწილის თავზე 1 1/2 საუენზე, მაგრამ ამას აზრი არ ჰქონდა, რადგან გამოქვაბულში ასვლის შესაძლებლობა არ იყო. ვიმეორებ, გამოქვაბულში ასვლაზე ახლა ადგილობრივებიც ამბობენ უარს. მე მახლდნენ კლდეზე საუკეთესო მცოცავი ბერთელები, ასე ვთქვათ, კლდეზე მოსიარულენი. ერთი მათგანი პირდაპირ ციცაბოზე, რაიმე გზის გარეშე, ჩავიდა 10 საუენის სიღრმეზე, როცა მე, ვჯდებოდი რა შვერილზე, ჩამონგრეულ გზასთან დღიურის შესავსებად (სურათის გადასაღებად საჭირო იყო ლოდინი, სანამ გამოქვაბულიანი კლდე განათდებოდა), როდესაც ჩამივარდა ლითონის საკეცი საწერ-კალამი და მან 3 1/2 წუთში ამომიტანა ის იმავე ციცაბო გზით, უფრო ზუსტად უგზოდ.

გამოქვაბულის ქვემოდან შესანიშნავი ხედია კარჩხალას ხევზე ზედ ახიზა-ტაშამდე, არტანუჯთან. 9 საათსა და 50 წუთზე ჩვენ დავიძარით უკან, გადმოვჭარით შვერილი კლდის მოედანი, მაგრამ ქვევით კი არ დავეშვით, არამედ ზემოთ ასვლა დავიწყეთ სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით. მეოთხედი საათის შემდეგ დავიწყეთ ბილიკით გვერდის აქცევა მთისა თუ მთის ფერდობისათვის „პარესთა დათალი“ (მეორე ბერთელმა შეასწორა და თქვა „ჯელეფ დათალი“), და ჩვენ წინაშე მოულოდნელი სურათი გადაიშალა (სურ. 58): მარცხენა ხელის მიმართულებით პირდაპირ ჩემს წინ ეკლესიის სიმაღლეზე (მის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხესთან ნაგებობის, რომელიც მრგვალ კოშკად მოჩანს), მარჯვნივ კი ჩანჩქერი, რომელიც წვიმად ეცემა (ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთით), ეკლესიისკენ მიმავალ კლდეში გაჭრილი გზის გვერდით და შემდეგ ჩამოედინება კლდეზე. ყველაფერი ეს მიმართულია სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით, დუგანალის ღრმა ხევისკენ, რომლის მდინარეში ეცემა კიდევ მთის ნაკადი-ჩანჩქერი. ეს ზოლი – ხევის ან

ღია ფართო ღარტაფის ნაწილია, მისი ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი. მისი ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი დაფარულია თვალისგან, მარჯვნივ. მთელი ამ ღარტაფის ხვეულს, მთელ ღარტაფს მარცხენა მხრიდან ეწოდება კიდევ **პარესთა** ან **პარესთი**. ამჟამად ასე უწოდებენ ადგილს. მხოლოდ ერთი დაუინებით წარმოთქვამდა „პარასთ“. ის ცხოვრობს პარესთა-ნ მახლობლად და თავისთავს ჩიჩერონედ ასაღებს. მას მუსეი ხელიმ-ოღლი ჰქვია, **ზაქარეული** დან. და ის, მხოლოდ ის დაუინებით წარმოთქვამს **ზაქერეულს**, ყველა უამრავ მონაგონს, იცის ყველაფერი, არ ეუხერხულება ამტკიცოს თვით აშკარა ტყუილი.

ავდივართ რა ზევით პარესთ-დათალის დასავლეთი ფერდობით, უპირველეს ყოვლისა, ვხვდებით უზარმაზარ ბუნებრივ კლდეს, თითქოს სვეტს, განზრახ დაყენებულს ზედ გზის პირზე. მასში, ადამიანის სიმაღლეზე უფრო მაღლა, არის ნათხარი მოედნითურთ, სადაც ყრია კენჭების გროვა. უძველესი დროიდან დარჩა ჩვეულება: რომ მასთან ჩერდებიან, იღებენ კენჭს, აფურთხებენ მას და აგდებენ ზევით, გამოქვაბულში სიტყვებით: „ჩემი დარდი-ავადმყოფობა მაქ იყოს“ (დერდ-მარაზი ორდა ოლსუნ). ავდივართ კიდევ უფრო მაღლა ჩანჩქერთან ჩავლით (მთელი ეს აღმართი ხუთ წუთს იტერს ეკლესიის, უფრო სწორედ, როგორც ვნახავთ, ორი ეკლესიის, გამოჩენის მომენტიდან). გზა ორ მხარეს იტოტება. მარჯვნივ იგი ჯერ მიდის პატარა ეკლესიისაკენ, შემდეგ გამოქვაბულისაკენ, შემდეგ „საფლაგის სახლისაკენ“ (გორხანა), თავისებურ მავზოლეუმისაკენ. აქედან უახლოესი მთების ზემოთ, განსაკუთრებით მცირე კარჩხალას ხევის თავის ზემოთ, იხსნება დიდი ჰორიზონტი: ჩანს არა მარტო ახიზა-ტაში არტანუჯთან, არამედ ხარასუნის მთაც. „მავზოლეუმი“ მოთავსებულია სხვა ნაგებობების ზემოთ. ის აგებულია ცემენტის ქვებით. შიგა მხარეს საპირე ქვების უფრო უხეში წყობაა, გარედან უფრო სუფთადაა მოპირკეთებული (ისინი უმეტეს შემთხვევაში მოცილებულია). სათავსო საკმაოდ ვრცელია (სიგრძე 2 საუენი და 2 1/2 არშინი, სიგანე – 1 სა-

უენი, 2 არშინი და 10 გოჯი, სიმაღლე – 1 საუენი და 12 გოჯი). ის მიშენებულია კლდეზე, რომელიც გამოიყენება კიდევ მის აღმოსავლეთ კედლად. ფასადით იგი დასავლეთისკენაა. დასავლეთ კედელში სამხრეთ კუთხესთან იყო ვიწრო კარი. მისი განის ნარჩენის სიგანე 11 გოჯია; სახურავი ორფერდიანია, ჩრდილოეთისა და სამხრეთისაკენ. შემოინახა ის მთლიანად. შიგ სრული ქაოსია: როგორც ჩანს, იქ რაღაცას თხრიდნენ, თუმცა გათხრების ახალი კვალი არ არის. ვფიქრობ, ეს ის ადგილია, სადაც შენახული იყო წმ. მიხეილისა და წმ. ბასილის ნეშტები, რომელნიც ნახსენები არიან წმ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში.

ერთი წუთის სავალზე მავზოლეუმის ქვემოთ, ჩრდილო დასავლეთით არის გამოქვაბული. მის ორ, სამხრეთ და დასავლეთ მხარეს, ხელოვნური კედლებია უხეში ქვის წყობით. ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით, ასევე ზემოდან, კლდეა (სიმაღლე 1 საუენი და 10 1/2 გოჯი). გამოქვაბული მიიწევს აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ (3 საუენი, 1 არშინი და 12 გოჯი, სიგანე – 1 საუენი, 2 არშინი და 4 1/2 გოჯი). აღმოსავლეთ კედელში არის კარი (სიგანე 1 არშინი და 9 1/2 გოჯი, სიმაღლე – 2 არშინი და 9 3/4 გოჯი). მეორე კარი (სიმაღლე 2 არშინი და 9 1/4 გოჯი, სიგანე – 1 არშინი და 9 3/8 გოჯი) დასავლეთ კედელში ზედ აღმოსავლეთ კუთხესთანაა.

ერთი ფანჯარა პატარაა, ოთხკუთხა, თითქმის კვადრატული (7 3/4 × 8 1/2 გოჯზე) დასავლეთ კედელშია, კარის ჩრდილოეთით. ორი მოგრძო ფანჯარა – სამხრეთ კედელში. ამავე კედელში 5 ოთხკუთხა მცირე, როგორც ფანჯარა, ნიშაა.

ერთ წუთზე ნაკლების სავალზე, რამდენადმე ქვემოთ, ჩრდილო-დასავლეთისაკენ, მდებარეობს მცირე ეკლესია (სიგრძე 2 საუენი, 2 არშინი და 12 გოჯი, სიგანე – 2 საუენი და 3/4 გოჯი). ის ჩაშენებულია კლდეში აღმოსავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთი მხარეებიდან, გარდა სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხისა, კლდე არსად არ იჭრება ეკლესიაში,

ყველგან კედელია გამოყვანილი. ეკლესია წაგრძელებული ოთხკუთხედიან საკურთხევლის ნახევარწრით. ზედა ნაწილი მოგრძო კამარაა. წყობა, უხეში შიგნით, ასევე უხეშია გარედანაც (უხეშად ნათალი, კირის სქელი ფენები მოსაპირკეთებელი ქვების შუა). მაგრამ შიგნით ტაძარი შებათქაშებული და შედებილი იყო შავად, საკურთხევლის ნახევარწრე – თეთრად. აქ თეთრ ფონზე წითელი სადებავის ნარჩენებია, მაგრამ მოხატვის კვალს მე ვერ ვპოულობ. საკურთხევლის ნახევარწრის სამხრეთ კედელზე გარედან ახლა უჩვენებენ წაგრძელებულ ჩაღრმავებას, სადაც ერთი თვის წინ იპოვეს ფულები თიხის დოქში. გვიჩვენეს ერთი მონეტა: ბერძნული სპილენძის მონეტა – ბიზანტიური – მოცვეთილი ლეგენდით. ამბობენ, რომ იპოვეს სულ სამი ცალი, მაგრამ მოასწრეს გაყიდვა ერთ ბერძენზე, რომელიც ბათუმში გაემგზავრა (ანასტასი ჩახალოვზე, რომელიც ბერთაში სამი თვე დაკავებული იყო მადნის დამუშავებით).

გზაგასაყარიდან მარცხნივ გზა ჯერ მიდის ჩრდილო-დასავლეთისაკენ, შემდეგ – სამხრეთ-დასავლეთისაკენ, კლდის გამონაშეერის ქვემოთ. ძალიან საინტერესოა აქ ჩანჩქერი: ის წვიმის ფარდად ეცემა ისე, რომ გამკლავი არის ერთი მხრით ამ წვიმის ფარდის, მეორე მხრით – კედელ-კლდეს შორის. წვიმის ფარდა 2 საუენის სიგანისაა. ახლა სუსტი ქარი უბერავს და ფარდა ხან ერთ, ხან მეორე მხარეს გადააქვს. ამბობენ, ზამთარში ეს წვიმის ფარდა იყინება და დაკიდებულია, როგორც ყინულის თეთრი ქსოვილი.

ეს გზა ეკლესიებისაკენ მიდის. იგი სულ 2 წუთისაა. აქ ორი ეკლესიაა, ერთი მეორის ზემოთ. უფრო მაღლა მდგარი ეკლესია მეორის მიღმა მოჩანს საკურთხევლის ნახევარწრით, შორიდან მრგვალ კოშკად რომ ჩანს. ზედა ეკლესია (სიგრძე 5 საუენი და 14 გოჯი, სიგანე – 2 საუენი და 11 1/2 გოჯი, კედლების სისქე – 1 არშინი და 5 1/2 გოჯი), მოგრძო ოთხკუთხედი, ყოველგვარი მინაშენების გარეშე, საკურთხევ-

ლის ნახევარწრით, რომელიც გარეთ გამოდის<sup>1</sup>. ორი კარი, დასავლეთი ნახევრადდაშლილი და ჩრდილოეთი (სიგანე 1 არშინი და 7 1/2 გოჯი, სიმაღლე – მიყრილია). ორი ფანჯარა, აღმოსავლეთი და დასავლეთი. ფანჯრები მოგრძო, მრგვალი ზედა ნაწილით. ეკლესიის ზედა ნაწილი, გასწვრივი კამარით, ჩამოშლილით.

მეორე ეკლესია პირველისაგან მოცილებულია 2 არშინსა და 1 გოჯზე, მეტ-ნაკლებად, ერთი სიტყვით, არასწორად: აღმოსავლეთი ბოლოები 11 გოჯზე უახლოვდებიან ერთმანეთს, დასავლეთ ბოლოებს კი სრული თავისუფლება აქვთ. ის ასევე მოგრძო ოთხკუთხედიანია (სიგრძე 5 საჟენი, 1 არშინი და 3 3/4 გოჯია, სიგანე – 3 საჟენი, 2 არშინი და 9 3/4 გოჯი, სისქე – 1 არშინი და 5 5/6 გოჯი), მაგრამ საკურთხევლის ნახევარწრე ნახევარგუმბათით იკავებს ტაძრის არა მთელ სიგანეს, არამედ მხოლოდ შუა ნაწილს (სიგანე 1 საჟენი, 2 არშინი და 7 1/2 გოჯი). გვერდებიდან ეკვდრები იმავე ოთხკუთხედშია მოთავსებული; ისინი დასავლეთი კარებით გამოდიან ტაძარში. ყოველ ეკვდერში თითო ფანჯარაა, მაგრამ მათთან მისასვლელი ისეა დანაგვიანებული, რომ მოვიხდა ცოცვით ჩასვლა სამხრეთ ეკვდერში, ჩრდილოეთი კი მთლიანად დაფარულია: მასში მხოლოდ აღმოსავლეთი ფანჯრიდან შესხედვა შეიძლება.

ამ ეკლესიის ქვების წყობა გაცილებით წესიერია. გარედან საპირე ქვები უფრო მსხვილია, მაგრამ შიგნიდანაც და გარედანაც დაცულია ცნობილი თანაზომიერობა მათ ზომებში. გასწვრივ ეკლესია სამ ნავად იყოფოდა, ცენტრალური მაღალი, გვერდითები – უფრო დაბლები. გვერდითი ნაგები (სიგრძე 3 საჟენი, 1 არშინი და 11 1/2 გოჯი) ერთი-მეორესაგან გამოიყოფოდნენ თაღებით სვეტებზე. თაღი ორი იყო, თუ ვიმსჯელებთ ჩრდილოეთ კედელში არსებული პი-

<sup>1</sup> ჩრდილოეთის მხრიდან გასწვრივ შემდგომ მიშენებულია ორი ეკვდერი. ისინი სახურავებით ზედ კედლების ქვეშ შედიან. უსაფრთხოებისათვის, როგორც ჩანს, კედლების განებიც შევსებულია კედლების წყობით, თუმცა აქ შეიძლება ყოფილიყო რაღაც სათავსოებიც.

ლიასტრის ნარჩენით. პილიასტრიდან, როგორც ჩანს, მიდიოდა განივი თაღი ჩრდილოეთი ნაგვის ორი გასწვრივი თაღის შეერთების ადგილისაკენ. განაპირა პილიასტრებისაგან, რომელნიც დასავლეთ კედლიდან გამოდიოდნენ, კვალები დარჩა. სვეტები კედლებით აწყობილია. კაპიტელები ჩვეულებრივი ბრტყელი ოთხკუთხედედია.

კარი ორია: დასავლეთი (ზედა ნაწილის გარეშე სიმაღლე 2 არშინი და 10 გოჯი, სიგანე – 1 არშინი და 11 გოჯი) და სამხრეთი (სიმაღლე 2 არშინი და 14 გოჯი, სიგანე – 1 არშინი და 11 1/2 გოჯი). ორივე – შიგნით ნახევრადმრგვალი ზედა ნაწილით. ადრე მათკენ გზა მიდიოდა და, როგორც ჩანს, კიბეც. ახლა სამხრეთი კარიდან მოხვედრა შეიძლება მხოლოდ დუგანალას ხევის უფსკრულში, დასავლეთი კარიდან გამოსვლისას კი შეიძლება იოლად ჩაგორდე იქითკენვე. ეკლესიები, როგორც ჩვეულებრივ ხდება, აშენებულია ხელოვნურ ნიადაგზე, ორ ტერასაზე. ქვემო ეკლესიის ირგვლივ, შესაბამის ტერასასთან, დატოვებული იყო ფართე ვერანდა, ახლა ნახევრად დანგრეული. ფანჯრები შეინიშნება: ერთი სამხრეთით და მეორე – აღმოსავლეთით. იყო თუ არა გუმბათოვანი განათება, იყო თუ არა საერთოდ გუმბათი, რა თქმა უნდა, ყელის გარეშე, დამამტკიცებელი მონაცემები არ არის, მაგრამ შესაძლებელია იყო, თუ მხედველობაში მივიღებთ ფანჯრების სიმწირეს, თუ არ იყო გვერდითი სამხრეთი ფანჯრები ცენტრალურ ნავში.

სამი წუთის სავალ გზაზე ეკლესიის გასწვრივ, უფსკრულზე, ეკლესიიდან ჩრდილო-დასავლეთით, მდებარეობს მონასტრის სათავსო, სატრაპეზო ან სინოდი: ის არცთუ ისე დიდი ზომისაა (სიგრძე 4 საჟენი და 8 1/4 გოჯი, სიგანე – 2 საჟენი, 2 არშინი და 1 1/6 გოჯი); შენობა აგებულია მსხვილი ქვებით. შემორჩენილია აღმოსავლეთი კარი (სიმაღლე 2 არშინი და 3 5/6 გოჯი, სიგანე – 1 არშინი და 9 1/6 გოჯი) და ორი ვიწრო, მოგრძო, დიდი გაფართოებით შიგნით ფანჯარა სამხრეთ კედელში, უფსკრულის თავზე.

დასავლეთისაკენ 1 წუთის სავალზე, იმავე დონეზე, პატარა ნაგებობის ნანგრევებია, რომელსაც აქ წისქვილს უწოდებენ. ამჟამად აქ წყლის ნიშანიც არ არის. წყობა უხეშია, მაგრამ საფუძვლიანი. შემორჩენილია მხოლოდ აღმოსავლეთი კედლის ნაწილი.

სახლში მხოლოდ 6 საათისათვის დაებრუნდი. მოვიარე კიდევ ბევრი ახლო-მახლო ადგილი, ყოველგვარი გზების გარეშე, ვეძებდი რა მოსახერხებელ ადგილებს, რომ გადამეღო ჯერ დუზტაში, შემდეგ – ბერთის მონასტერი, ნაწილობრივ კი, ვენდე რა საუბრებს სიძველეების ნარჩენების შესახებ. საუბრებს იმ ადგილებზე, რომლებმაც არ გაამართლეს ნათქვამი, ვტოვებ.

### ნაჩქარევი ჩანაწერები ბერთულ კოსტუმზე ქალის კოსტუმი

„ფეს-ი“ – თავზე ზედ იხურავენ.

„ლენქი“ – (მღრ. *ლანჯი*) – ქალის თავსაბურავის ნაწილი, დაკიდებულია კუთხეზე, ფესზე, გადაგდებულია ზურგზე, დამაგრებულია წინსაფრის ქამრით (ბაღ-ი).

„ბაშორთუქი“ – იხურავენ თავსაფარზე, როცა სახლიდან არცთუ შორს მიდიან, მაგ. წისქვილზე, უახლოეს მეზობელ ქალთან და ა.შ.

„ჩარ“-ი – იხურავენ, როდესაც მიდიან მეჩეთში, სალოცავად (ზიარეთი), საერთოდ იქ, სადაც იკრიბებიან, ან როდესაც შორს მიემგზავრებიან.

„ყასაბა“ – თავსაფარი, **ბაშორთუქის** ზემოდან თავის ირგვლივ შემოსახვევი. ატარებენ, ისევე როგორც სომეხი ქალები, ძაფზე ასხმულ ლითონის მონეტებს, მაგრამ ისინი ბევრი არაა, ოთხი-ხუთი ცალია, არა აქვს განსაკუთრებული სახელი და ეს ქასაბის ძაფია, სომეხებს – „ჭატკნოცი“ (**დაუსქინგ**).

„ქემდეკი“ – პერანგი, ყოველთვის ფერადი.

„ტონ-ი“ – ქალის ქვედა საცვალი, ყოველთვის მკვეთრი ფერის, ჩვეულებრივ წითელი. უწოდებენ **შალვარსაც**, მაგრამ ქალებს ერთი **ტონი** აქვთ, ის ზედაცაა და ქვედაც.

„ჩორაბ-ი“ – წინდები, ადგილობრივი ნაწარმი.

„ენტერი“ – გრძელი ქიტონი.

„ფეშამაღ-ი“ – წინსაფარი.

„ბაღ-ი“ – წინსაფრის ქამრები ან ზორთები. წინსაფრის კალთები **ბაღში** მოექცევა საჭიროების შემთხვევაში (მაგალითად, ცხენზე ჯდომისას).

„ყუშაღ-ი“ – ქამარი წინსაფრის ქვეშ.

„ხერხა“ – იცმევენ ენთერს ზემოთ, როდესაც მიდიან სტუმრად. **ხერხა** ცვლის სომეხების (ართვინელი) კაბას, მაგრამ კაბა გრძელია, დადის კოჭებამდე.

„ფაფუშ-ი“ – ფესსაცმელი.

### მამაკაცის კოსტუმი

„ყაბალახ-ი“

„ქემდეკი“ – თეთრი პერანგი.

„ტონ-ი“ – ქვედა საცვალი, თეთრი.

„შალვარ-ი“ – შარვალი.

„უჩხურ-ი“ (უჩხური) – **ხვანჯარი**.

„ჩორაბ-ი“ – წინდები.

„დემენ-ი“ – ჩუსტები, წულები.

„მესტი“ – **დემენის** ქვეშ, ყელით.

„ყაიშ-ი“ – ქამარი, ტყავის.

„ზუბუნ-ი“ – ქვედა ტანსაცმელი, ყველა ფოლაქზე იბნევა.

„ჩოხა“ – ზემოდან, აგრეთვე მოკლე ქურთუკი, გახსნილი მკერდზე (არტანუჯში მას „სეხმას“ უწოდებენ).

„ქილე“ – ყვითელი სპილენძისაგან, ჩამოკიდებულია ქამარზე (ყაიშზე), იყენებენ თოფის წამლის გასაზომად. ამჟამად ქამარზე პირდაპირ წინ იკიდებენ ასევე დანას („ბიჩახ“) ქარქაშით („ქლიფ“).

„მათარა“ („სუ ყაბი“, „მათარა“ ბევრმა უკვე დაივიწყა) ტყავის ჭიქა, ჰკიდია ქამარზე ქილის წინ.

„ჯუზდან-ი“ – ტყავის საფულე, ჩოხის ქვეშ დაიკიდება მარჯვენა მხარეზე, გასწვრივ: ჩანს მხოლოდ ტყავის ქამარი, მაგრამ არა თვით ტომსიკა, რომელიც დამალულია მარცხენა ხელის ქვეშ ან იღლიაში.

„ააღდან-ი“ – ყვითელი სპილენძისაგან, მასში ინახება ხის ზეთი იარაღისათვის: ზეთში ასველებენ ჩვარს და წმენდენ იარაღს; მას ატარებენ ქამარზე მარცხენა მხარეს, ბარძაყის იქით, ბერთაში კი სულ უკან.

„ჰედაგ-ი“ – ან, ბერთელებმაც კი შეინახეს, **თილამური** (ქართ. **თხილამური**. იხ. ზემოთ), თხილამურები, რომლებიც აქ უფრო მომრგვალებულია. თხილამურებზე [მაგრდება] ბაწარი მარყუჟით ფეხის წვერის გასაყოფად, შემდეგ კი კოჭებთან ირგვლივ იხვევენ ბაწარს.

„ტავარჯუხი“ – ტყავის ტომარა საგზლისათვის.

„პასტ („ჩობან“) ტავარჯუხ-ი“ – მწვემსების ტყავის ტომარა საგზლისათვის.

„სერგ-ი“ – (არტანუჯში „სერგი“) – მარტივი, უბრალო პატარა ხალიჩა.

**20 აგვისტო, პარასკევი.** დღეს დილის 7 საათზე უნდა გაემგზავრებულყავი დაბაში. ცხენს ნალი ჩამოუვარდა. უნალოდ კი ადგილობრივ გზებზე მგზავრობა აშკარად ნიშნავს დააზიანო ცხენი, მაგრამ ნალი რომ დააჭედო, საჭიროა ლურსმნები, თუმცა მთელ მდიდარ ბერთაში, რომელშიც მოლებიც არიან, არ აღმოჩნდა არც ერთი ლურსმანი. გაგზავნეს დუგანალის „მეზრეში“, სადაც ერთ მცხოვრებს, როგორც ვარაუდობდნენ, უნდა ჰქონოდა ერთი ლურსმანი. უკვე 11 საათია, მაგრამ არც ლურსმანი [ჩანს], არც კაცი.

ბერთასა და, განსაკუთრებით, პარესთან დათვალიერებით ამ მხარეში ჩემი აშეამინდელი მოგზაურობის პირდაპირი ამოცანა დავასრულე. მოულოდნელად დამთავრდა ჩემი ფირფიტებიც: ერთი კოლოფი დამსხვრეული აღმოჩნდა. ბარგს, ჯორზე აკიდებულს, პირდაპირ ართვინში ვავზავნი. მე

მანც გადავწყვიტე გზად დამეთვალიერებინა დაბა, ჯმერკი და დოლისყანა.

შუადღე ახლოვდებოდა, მაგრამ ლურსმანზე გაგზავნილი კაცი არაფერს გვამცნობდა. მეტი მოცლა აღარ შეგვეძლო, მით უმეტეს, რომ დაიწყეს გასული გაზაფხულის ერთი შემთხვევის გახსენება, როდესაც ის ერთადერთი ლურსმანი, როგორც ჩანს, უკვე გამოიყენეს საქმეში. მამასახლისმა ცხენის ფეხიდან ამოიღო უკანასკნელი ლურსმანი, რომლითაც ნალი იყო დამაგრებული, რომ ის ნალიც არ დაკარგულიყო. ზუსტად 12 საათზე ჩვენ გავედით პაპაურადან. გამოსამშვიდობებელი მხერა შევაველე მონასტერს, პირდაპირ შორს დიდბეს მწვერვალს და აკ-ფუნდარის წყლებს, ჩანჩქერად რომ მიუყვებიან მის ფერდობს დაბლისკენ.

კარჩხალას ხილამდე ჩვენ ფეხით მივდიოდით. გადავედით ტოლტოშა და გაისმა მუეზინის ძახილი ოდესღაც მონასტრადყოფილი სიმაღლიდან. დღე სადღესასწაულო, პარასკევი იყო. სევდას გვეგვრიდა ოდესღაც ქრისტიანობის ბურჯზე ისლამის მოხეიმე ხმის გაგონება... იმათი მკვიდრი შვილები, ვინც ააგო ქრისტიანობის ეს ძეგლები, მიისწრაფოდნენ ზემოთ ტაძარში, რომ ლოცვით იმ ფორმებში გადმოეცათ თავიანთი განწყობა, რაც უცხო იყო ბერთას მშენებლებისათვის. სევდას გვეგვრიდა შეხედვა, სევდას გვეგვრიდა მოსმენა... ხიდს იქით ჩვენ ავმხედრდით ცხენებზე და დავბრუნდით უკან იმ გზით, უკვე ჩვენს მიერ გავლილით, როდესაც კაპარიდან მოვემგზავრებოდით, მაგრამ კაპარიის მხარეს არ ჩავსულვართ. ვიმგზავრეთ კარჩხალას მარჯვენა ნაპირით და 1 საათსა და 30 წუთზე ჩვენ ვიყავით თვით სოფელ წყალთეთრაში, შემდეგ განვაგრძეთ გზა მადლა ზიგზავით. უღელტეხილიდან ჩვენ უკვე დავინახეთ დაბა მდ. იმერხევზე შემაღლების ფერდობზე, მარჯვნივ, მოშორებით, გვერდას და ჯმერკს შორის, რომლებიც განლაგებული იყვნენ ქვემოთ, ზედ მდინარესთან. ყველა გვირჩევედა არ გვემგზავრა დაბაში. ამბობდნენ, რომ იქ არაფერი იყო, გარდა ქვების გროვისა. მაგრამ მე ვფიქრობდი, რომ დროთა განმავ-

ლობაში ქვების ეს გროვაც არ იქნება და კიდევ ატყდება დავა, იყო თუ არა ამ დაბაში ძველად რაიმე ნაგებობა, ხომ არაა ეს გამონაგონი ქართული „ლეგენდარული წყარობისა?“ 2 საათსა და 5 წუთზე მე ვმგზავრობდი გვერდაზე, რომელიც ჩაფლული იყო ვენახის ბაღებში მცირე ბელლებით გასაყიდი ყურძნის ასაწონად. იქ, ამბობენ, უამრავი ქართული დროის, ძველი საწნახელია, ნაწილობრივ ახლაც ვარგისი, რომელიც დღესაც გამოიყენება.

ბილიკზე, რომლიდანაც ორჯერ კინაღამ გადავარდა ამ გზებს ნაკლებად მიჩვეული ჩემი არტანუჯული ცხენი, მე კმაყოფილებით შევნიშნე ცხენის კვალი. ამბარბუმმა ამიხსნა: თურმე დაბაში არის ერთი ცხენი. ვირები, რა თქმა უნდა, არის; არის, ასევე, ჯორებიც. ვირებს მოგროძო პირის მქონე ბრტყელი კალათებით ტვირთავენ ყურძნით და აგზავნიან არტანუჯში.

2 საათსა და 30 წუთზე მე უკვე შევდიოდი დაბაში. გზიდან მარცხნივ შევნიშნე ძველი ქვის წყობა, მაგრამ ჩავუარე და გავემგზავრე სოფელში, რომ ცხენები დამესვენებინა და რაღაც მომეკითხა. პარასკევი იყო და სოფელში არც ერთი მამაკაცი არ აღმოჩნდა, ქალები კი სტუმრებს არ ღებულობდნენ და არც საუბრობდნენ მათთან. ჩაფარმა ნაწილობრივ იეჭვიანა, რომ ეშინიათ: მე შევნიშნე, რომ ეშინიათ ვაღდებულებისა, უფასო სადილი მიართვან თანამდებობის პირს და წავიდა, მოენახა ვინმე. მე დავბრუნდი ნანგრევებთან, მის სამხრეთ-დასავლეთ კუთხესთან. ძნელი იქნებოდა გაგვესაზღვრა, რისი ნაწილია ის, რომ არა აღმოჩენილი დაბელი, ერთადერთი მამაკაცი მთელს სოფელში, სულაც არაასაკოვანი, რომელმაც გვაცნობა, რომ ადგილს ქვია ქილისაღუხი, ეკლესიის ადგილი, ნანგრევები კი – ეკლესიის ნარჩენებია, მას იგი ახსოვს. მას თუ არა, მამამისს ან ბაბუამისს, რა თქმა უნდა, ემახსოვრებოდა. ორიენტირება (ეკლესიის) ჩრდილოეთისაკენ გადახრითაა. შემოძარცული კედლის ნარჩენის სისქე 1 1/4 არშინია. ადგილი, სადაც ეკლესია მდებარეობს,

გასწორებულია; ტაძარი შეიძლება ვრცელი დატეულიყო, 8-10 საუენის სიგრძისა.

ეკლესიის მოედნიდან აღმოსავლეთისაკენ იშლება პერსპექტივა იმერხევის ხევისკენ. არა მარტო კაპარიამდე, არამედ ოპიზის ხევამდეც, პორტას ხევამდეც თითქოსდა ერთი ხელის გაწვდენაა, და გვერდაც აქვე ფეხვეშაა იმავე აღმოსავლეთის მხრიდან. სამხრეთით ახიზას კლდე (ახიზა-ტაშ) ამაყად და ჟინიანად წამოწეულია მეზობელ მთებზე. ხანდახან ნისლით, თითქოს ჩალმით, იფარება იგი. უფრო ხშირად ის მარტოხელა და სუფთაა. დროგამოშვებით მოფრინდება მასთან თეთრი ღრუბლის ნაჭერი, მოეაღერსება და გაფრინდება იქით, უფრო შორს. დღეს მოწამე ვიყავი იმისა, ერთ-ორ საათში როგორ იცვალა იგი. სადამოსთვის შეიბურა შავი ღრუბლით, ფერდობი სუფთა იყო, მაგრამ ჩრდილში, ქვემოთ ხევში კი, სხვადასხვა რბილი ფერებით ჩამავალი მზის ნისლებიდან გამომწეულ სხივებზე ბზინავდნენ მკაცრი კლდეები. ღამით, როდესაც მე უკვე ვემო ჯმერკში ვიყავი. გაწვიმდა.

3 საათსა და 30 წუთზე ვაგრძელებდით გზას ცხენებზე ამხედრებულები. გავიარეთ წყარო საუცხოო ცივი წყლით, აქვე სოფლის თავში და ჯმერკისკენ გავემართეთ. დაბა მხოლოდ ის არსებობს, რომელიც ჩვენ ახლად დავტოვეთ. ჯმერკთან ახლოს არანაირი დაბა არ არის, ჯმერკსაც დაბა არ ჰქვია, როგორც აღნიშნულია ხუთვერსიან რუკაზე. რაც შეეხება წარმოთქმას – ჯმერკი, როგორც ხუთვერსიან რუკაზეა, ის გვხვდება: მე გავიგონე თვით ჯმერკელისაგან. ერთ-ერთი დაბელისაგან გავიგონე – ჯუმერკი. საკუთრივ წარმოთქვამენ არა „ჯმერკს“, არამედ „ჯუმერკს“. დაბელები ყვებიან, როგორც ძველ გადმოცემას, რომ ჯმერკი არის დაბის, მათი სოფლის მეჭლე. გავედი რა იმერხევის მარჯვენა ნაპირით მარცხენა ნაპირზე მე დავინახე სოფელი იმ შუალედის პირდაპირ, რომელზეც ამაღლებულია დაბა. გვერდასა და ჯმერკს შორის შუალედის პირდაპირ. ეს არის სოფელი კაპარია, უკიდურეს შემთხვევაში, მოსახლეობის მიხედ-

ვით, მისი მთავარი კვარტალი. ოპიზიდან ბერთაში მგზავრობისას ჩვენ გავიარეთ მისი ჩრდილო-აღმოსავლეთი ცალკე კვარტალი. დასავლეთით, მარცხენა ნაპირზე მეორე სოფელია, ახალთი, თავისი კვარტლით გულიკურტი, ჯმერკის პირდაპირ.

აქ გზა სწრაფად გადაირბინა და ბუჩქებში შეირბინა მსხვილმა, მწვანე ხვლიკმა (4-5 გოჯი). კითხვაზე, თუ მას რა ქვია, არტანუჯელმა სომეხმა უპასუხა: „ოვაპუც-ი“, დაბელმა მუსლიმანმაც ასე უწოდა, თან დაუმატა, რომ ის გველივით იკბინებოდა.

ცოტა ხნის შემდეგ ჩვენ უნდა ჩამოვქვეითებულყავით: იწყებოდა დაღმართი ჯმერკისაკენ. ის, ჩვეულებრივ, გრძელდება 15-20 წუთს, როდესაც მიდიან სოფლის ქვედა, ახლა მთავარ ნაწილში, რადგან იქ უკეთესი ბაღებია. ქვემოთ აღნიშნავენ კიდევ ჯმერკს, მაგრამ ძველად მთავარი ნაწილი იყო გრძელი ჯმერკის ხევის საპირისპირო ბოლოში, მთლიანად ბაღებში რომაა ჩაფლული, განსაკუთრებით თავისი მარჯვენა მხარით. აქ, იმერხევის ხეობის ჩრდილო-დასავლეთით, ამდღებზე, იდგა ოდესღაც სახელოვანი მონასტერი. იქით გავემართე; მთიან სოფელში მცირე დაღმასვლის შემდეგ, გავიარე სოფელი და შემდეგ რვაწუთიანი აღმართი. შევდიოდით რა სოფელში, დასაწყისშივე მოვხვდი, ასე დევს გზა, მარცხნივ სახლსა და მარჯვნივ ძველ, ქვის თაღოვან საწნახელს შორის. საწნახელი იმავე ტიპის და დაახლოებით იმავე ზომებისაა, როგორც მე აღვწერე შატბერდში (პორტაში). ოღონდ ჯმერკში თაღის ქვეშ, დასავლეთი კედლის გასწვრივ განლაგებულია არა მარტო საწნახელი, არამედ ქვაბიც, ისეთივე ქვით ნაგები, როგორც საწნახელი, ოღონდ ტოლგვერდია. ჯმერკშიც არ აღმოჩნდა თითქმის არავინ მცხოვრებთაგანი. ვისზეც არ კითხულობდა ჩაფარი ამბარძუმი, რომელიც კარგად იცნობდა სოფელს კერძო საქმეების გამო, ქალები (კუთხიდან ან კედლის უკნიდან) და ბავშვები პასუხობდნენ: „ყალბია გეთდი – წავიდა ციხე-სიმაგრეში“, ე.ი. არტანუჯში. აქედან არტანუჯამდე ფეხით ერთ საათში აღწევენ. ცხენოს-

ნისათვის გზა უფრო გრძელია. ეკლესიის გორაკზე მონასტრისგან დარჩა მხოლოდ უმოწყალოდ შემოძარცვული ეკლესიის კედლები. შემოძარცვულია პერანგის ქვები არა მარტო გარედან, უფრო გულმოდგინედ მოპირკეთებული და უფრო მსხვილები, არამედ შიგნითაც, უფრო პატარები და უფრო უხეშად დამუშავებული და დაწყობილი. თუმცა კედლებიც გადარჩა არა მთელი სიმაღლით, განსაკუთრებით, ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან. ეკლესია გარედან წაგრძელებული ოთხკუთხედიან (შიგნით სიგრძე 5 საუენი და 1/4 არშინია, სიგანე – 2 საუენი, 1 არშინი და 4 1/4 გოჯი). ამ ეკლესიაზე, ამჟამინდელი მდგომარეობისა და არსებული მასალის საფუძველზე, მეტი არაფრის თქმა არ შეიძლება. ბერთას ეკლესიასთან მუეზინის შემოძახილი ახლა არც იმდენად სვედიანი მეჩვენება, როგორც ამჟამინდელი საცოდავი მდგომარეობა დაბისა და ჯმერკის ეკლესიებისა, სამონასტრო ტაძრებისა. აქ, ჯმერკში, შეუძლებელია გაერკვე საკურთხეველის ნაწილის აგებულებაშიც კი, ისეა ყველაფერი განადგურებული, მიუხედავად იმისა, რომ კედლები მთლიანობაში კარგად შემონახა. როგორც ჩანს, საკურთხეველის ნახევარწრე იყო შუაში, გვერდებიდან იყო ეკვდრები, მოთავსებული ოთხკუთხედში, როგორც პარეხთის ქვედა ეკლესიაში. ვრცელი ბაღები, რომელნიც ოდესღაც მონასტერს ეკუთვნოდა, ახლა სოფელ ჯმერკის, რომელშიც სულ 6-7 სახლია, მფლობელობაშია. [მოსახლე] იყო ბევრი, მაგრამ, როგორც ჯმერკელი მეპატრონეები ამბობენ, გადასახლდნენ თურქეთში. ყოველი სახლი წლიურად სუფთად გამოიმუშავებს არანაკლებ 300-400 მანეთისა, თუ დაეჯერება მათ ნათქვამს. ჯმერკის ხევზე აზიდულია მთა. მასზე მდებარეობს „მეზრე“ – დაბის აგარა. უფრო სამხრეთით ბუჩო, მცირე ტყე და საძოვარი ადგილი იმავე მთაზე. ჯმერკის ხევის სხვადასხვა ნაწილს სხვადასხვა სახელი აქვს, კერძოდ, ზემოდან ქვემოთ: სადა-ხევი, დევირმანლუხი (აქ ახლაც წისქვილებია), **ნაბღენევი? ნაფეტვარი**, ჯეუხლუხი, ჯიმერკ-ჭალა; ზედ მდინარესთან, სადაც



მთავარი ვენახებია. მონასტრის ადგილს განსაკუთრებული სახელწოდება არ აქვს, გარდა „ქილისა-ბოინისა“.

5 საათსა და 55 წუთზე დავიწყე დაბლა ჩამოსვლა, რომ ღამე ჯიმერკ-ჭალას ბაღებში ერთ-ერთ სახლში გამეთია. ფენი მკვეთრი დაღმართი გავიარეთ 6 საათსა და 20 წუთისთვის. რამდენადმე მაჩერებდა ცხენი, რომელიც სადავით მომყავდა. დაბლა ჩვენი გზა პირდაპირ ხევის შუაგულში იდო, ქვებზე, მაგრამ მგზავრობა მაინც შეიძლებოდა. მცირე დაღმართი ბოლომდე გრძელდებოდა. 6 საათსა და 40 წუთზე მე ვიყავი იმერხევის თითქმის ნაპირთან, სრულიად ახალგაზრდა, სიმპატიური მასპინძლების, ოსმან ასლან-ოღლისა და მისი ძმების სახლში. უფროსი 22 წლისაა. მათი მამა, როგორც ვარაუდობენ, მოკლულია თავისი ძმის მიგზავნილი მკვლელების მიერ.

ძმა შემდეგ გაიქცა თურქეთში, მკვლელებმა არ აღიარეს [დანაშაული] და გაუშვეს, მაგრამ ხალხი თავის აზრზე რჩება. მართალია თუ არა ეს, მარტო ღმერთმა იცის. მაგრამ კარგადაა ცნობილი, რომ ამ მხარეში არ არის სოფელი, რომელშიც სახლი არ იქნებოდა შეღებილილი ძმათა ხოცვა-ჟლეტით დაღვრილი სისხლით. ყველგან აჩვენებენ ხან „ფეთიმებს“ (ობლებს) მოკლული მამისა, ხან დებს, ხან „მოკლული ბიძის“ ცარიელ სახლს და სხვა და სხვა. უზენაესი ქრისტიანული იდეალების განსახორციელებლად გრიგოლ ხანძთელისა და მისი მოწაფეების მიერ არჩეულმა დაცარიელებულმა ქვეყანამ, რომელიც დასახლდა და აყვავდა მატერიალურად, ყოფითი კეთილდღეობისათვის უარყო არა მარტო თავისი უზენაესი იდეალები, არამედ სისხლხორცეული რწმენა, პირად კეთილდღეობაზე უარისმოქმედი რელიგია გაცვალა რელიგიაზე, რომელშიც დაშვებულია ძალადობის გამართლება და ერთ დროს ყაჩაღთა ბუდედ იქცა.

აჩვენებენ ადგილს, სადაც ორმა, მიიღეს რა 20 ლირა, მოკლა სოფელში და მის არემარეშიც საუკეთესო [ადამიანი] მე მომიხდა ღამის გათევა სწორედ ამ ადგილთან.

**21 აგვისტო, შაბათი.** ჩაფარის ცხენმა მოასწრო მეორე ნაღის ჩამოდრობა და კოჭლობა დაიწყო. არც ჩემი ცხენის ფეხებია წესრიგში. მგზავრობის გაგრძელება ცხენის დაჭედვის გარეშე შეუძლებელია. გუშინ საღამოს შიკრიკი გაგზავნეს დოლის-ხანის (დოლის-ყანის) საგუშმაგოზე მჭედლისათვის, მაგრამ გაგზავნილმა გვალოდინა დილის 9 1/2 საათამდე, აქედან საგუშმაგომდე ფეხით 1/2 საათის სავალია.

ჯიმერკში მე ვნახე: 1. ახლახან დამზადებული აკვანი („ყონდახ-ი“) ყველაზე პრიმიტიული ფორმისა. ის გაკეთებულია ყავრისაგან (სამი, ერთი გახლენილია) არასრული ნახევარწრით ფეხებზე, ასევე ყავრისაგან.

2. საცერი („ხალბურ-ი“, სომხ. „ხახალ-ი“), ქერის ან თესლის მიწისაგან გასუფთავებისა და გაცხრილვისათვის. თვითონ საცერი გაკეთებულია ლენტებად დაჭრილი მუხის ქერქისაგან. რკალი ხისაა, ფიჭვისგან. ამზადებენ ადგილზე, უმთავრესად პორტას მცხოვრებნი, განსაკუთრებით ციგნები („ბოშა“).

ჩვეულებრივ საცერს („ელეკ“, სომხ. „მალ“) ცხენის ძუისაგან ამზადებენ ციგნები.

პურს აქ ამზადებენ „ფილეკზე“ (სომხები მას უწოდებენ „მეც“, როგორც ქართველები). ორი სახეობის პურს აცხობენ: 1. მრგვალი ფუნთუშა (უწოდებენ „სომი“) და 2. უფრო ბრტყელი და დიდი წრით („ფოგაჩე“).

10 საათსა და 20 წუთზე ჯიმერკიდან დოლისყანაში გავემგზავრეთ<sup>1</sup>. გზა საუკეთესოა, მდ. იმერხევის მარჯვენა ნაპირზე, მდინარეზე არცთუ ისე მაღლა. ჩვენ იმავე გზაზე გავედით, რომელიც ბერთიდან მოდის (ართვინამდე). 10 საათსა და 37 წუთზე ჩვენ მივედით (გზიდან 20-30 ნაბიჯზე) ხიდთან, ეს საკუთრივ ქართველთა ბატონობისდროინდელი ძველი ხიდის ნანგრევებია. ხიდი ორთაღიანია, მცირე თალი მარჯვენა ნაპირზე (თუმცა ახლა აქაც გადის წყალი), დიდი, უზარმა-

<sup>1</sup> „დოლის-ხანა“, აი როგორ უწოდებს თავის სოფელს მოსახლეობა, მაგრამ ისინი ამბობენ, რომ „ქართველები მას „დოლი-ყანას“ უწოდებენო. იმაზე, სად გაქრა „ს“ („დოლის“) იხ. ზემოთ.

ზარი – მთელ იმერხევეზე ქვის წყობა, საერთოდ ნამუშევარი, ჩინებულია. ხიდის სიგანე 2 1/2 არშინია, შესაძლებელია, თავდაპირველად ის უფრო ფართე იყო, მაგრამ ახლა გვერდებიდან ჩამოიშალა. ჩავარდა დიდი თაღი. იმ მხარეს, უფრო მაღლა, დაახლოებით 10 საუენ სიგრძეზე მოჩანს კედელი, უფრო სწორედ გზის გასაფართიებლად [ამოყვანილი] ტერასის წყობა. ეს ძველი გზის ნარჩენებია. ხიდის მიმართულება ზუსტად დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენაა. გზა ხიდიდანვე უხვევდა სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ და სამხრეთისკენ მარჯვენა ნაპირით. ამბობენ, რომ გზის ტერასების ნარჩენები უფრო მაღლაც არის: შემდეგ გზა მიდიოდა ანჩისაკენ ან ანტკორისაკენ, ისევე როგორც ზედა ორთალოვან ხიდისკენ მდ. იმერხევეზე გასაგებია, გზა, ისე თუ ასე, უნდა წასულიყო არტანუჯშიც, მაგრამ იგი დიდი ხანია მიგდებული და გაუვალია.

დანგრეული ხიდიდან თურქეთის ბატონობისდროინდელ ახალ, უახლესი შეკეთებით, ხიდანდე, 5 წუთის გზაა. აქ დოლისყანის (დოლისხანის) საგუშაგოა. ხიდიდან ბერთის გზა ერთვის ართვინის ფართო გზას (არდაგანიდან, არტანუჯის გზაზე დატოვებით, ართვინიდან ბათუმამდე). 5 წუთის შემდეგ ჩვენ გავიარეთ „ხანი“ და კიდევ 5 წუთში ვიყავით იმ ადგილს ზემოთ, სადაც ერთმანეთს ერთვიან არტანუჯი და იმერხევი. აქვეა ზემო სოფელ დოლისყანის აღმართი.

დოლისყანაში ეკლესია ისე დაიბურა ირგვლივ გაზრდილი ხეებით, რომ წლის ამ დროში, ფოთლობისას, ძნელია მიხვიდე მასთან სურათის გადასაღებად. მე მივედი ეკლესიასთან (სურ. 59), ახლა მეჩეთთან, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან. და უცბად ჩემი ყურადღება მიიპყრო ყელის შესახედავად სუფთა, სრულიად ახალმა მოპირკეთებამ. სამხრეთ-აღმოსავლეთის ორი ყრუ შუაკედლისიდან ერთში, უფრო სამხრეთში, ჩანს ადამიანის ჰორელიეფური გამოსახულება, პირით აღმოსავლეთისაკენ. მას ხელში უჭირავს გუმბათიანი ეკლესია, შესაძლებელია ეკლესიის მოდელი. ყველაფერი ეს ჰორელიეფურადაა მოცემული. ეკლესია-მოდელის ფუძის ქვემოთ

არის ორსტროფიანი წარწერა მთავრული ასოებით (ჩვეულებრივ ბარელიეფით):

**კ-ე ქ-ლ-ლ**  
**მ-მ-მ ც-ნ-ს ს-შ**

ქრისტე აღიდენ მეფე  
ხოვენი სოჴმბატ

გამოსახულებაცა და წარწერაც მოთავსებულია ერთ ქვაზე წყობის ქვემოდან მეათე რიგში, ზემოდან – მეორეში. ეს გამოსახულება არის დ.ი. ერმაკოვის საერთო სურათზე, მაგრამ ის მინიატურული გამოვიდა და წარწერა მასზე არ ჩანს. რამდენადმე უფრო ნათლად განიჩნევა ფიგურა, განსაკუთრებით კი – წარწერა დ.ი. ერმაკოვის მიერ გადაღებული ყელის შესაბამისი ნაწილის სურათზე (სურ. 60).

სამხრეთ კედელში ფანჯარა დიდი მზრუნველობითაა მოპირკეთებული (სურ. 61). ფანჯრის ზემოთ ნალია ორნამენტით. იმავე ქვიდან, რომლისგანაც ნალია, უფრო სწორედ, თეთრი-ვარდისფერი ელფერით, გაკეთებულია ორი გამოსახულება, აღმოსავლეთით – მთავარანგელოზ გაბრიელისა, დასავლეთით – მთავარანგელოზ მიქაელისა. ზედ ფანჯარასთან, გაბრიელის წინ, მრგვალ მედალიონში ბიუსტია გაწვდილი ხელით (სახე დამახინჯებულია).

მიქაელის თავის გვერდებზე, მარჯვნიდან: **წ-ღ** „წმიდა-“, მარცხნიდან – **მქ-ლ** „მიქაელ“.

გაბრიელის თავის სიმაღლეზე, მარჯვნივ: **ქწ-ღბ-რლ** „წმიდად გაბრიელ“. ორივე წარწერა საშუალო ზომის მთავრული აოებითაა [შესრულებული], როგორც შემდეგი, მედალიონის ქვეშ ორ სტრიქონად და გაბრიელის ფრთის ქვეშ სამ სტრიქონად.

**შქმნს ჭე**      **ღ-კ**  
**თ-ა გბ-რლ**    **ნსღ**  
   **თა**

ნალისა და გამოსახულების ქვები ერთი დროისაა, შეიძლება არცთუ ისე ახლები, როგორც თეთრი ქვები, რომელთაგანაც არის გაკეთებული ორი ორნამენტი ანგელოზებით

ქვემოთ: მიქაელის ქვემოთ – დაზიანებულია, გაბრიელის ქვემოთ – სოლომონის ბეჭედი: წრეში სამკუთხედზე დადებულია სამკუთხედი, ცენტრში ყვავილია. ნალის ქვეშ ნახევარწრედ ახალი მოსაპირკეთებელი ქვების ერთი რიგია, მის ქვეშ – ნახევრადმრგვალი ზედა ნაწილი ფანჯრისა, უჭკველია, ორი თავდაპირველი ძველი ქვისაგან: მათზე მსხვილი მთავრული ასოებით, ორ სტრიქონად, სრულიად ნათლად, უფრო მკაფიოდ, ვიდრე დ.ი. ერმაკოვის სურათზე (სურ.61) იკითხება:

**ქრისტე ადიდე მეფე  
ჩოგენი სოგმბატ მზეგრძელობით**

სამხრეთ კედელზე კი გარედან, სამხრეთი ფრთის სამხრეთ-დასავლეთ ეკვდერთან შეერთების ადგილზე, ქვათა წყობის ქვემოდან მეცხრე რიგში (ნაწილობრივ უჭირავს მე-10 რიგის ქვედა ნაწილიც) ჩადგმულია სუფთად დამუშავებული შედარებით ახალი ქვა მზის საათით (სურ. 62). ახლა, 7 საათი და 20 წუთია. დოლისყანელები ამ საათის მიხედვით რწყავენ თავიანთ ბაღებს.


სამხრეთ-დასავლეთი ეკვდერი ნახევრად დანგრეულია, გარე კედელი თითქმის მთლიანად ჩამოშლილა (ტაძრის სიგრძე შიგნით 4 საუენი და 15 გოჯია, სიგანე – 1 საუენი და 4 გოჯი).

ეკლესიის აღმოსავლეთ კედელში საკურთხევლის ჩადრმაგებაა (სიგანე 1 არშინი და 5 გოჯი, სიღრმე – 11 1/2 გოჯი): ნახევარწრე ნახევარგუმბათით. ქვათა წყობის ქვემოდან მესამე რიგში ერთ ქვაზე, ჩარჩოში არის ანგელოზის გამოსახულება. ამ ჩადრმაგების ზემოთ ნახევარწრედ არის წყობის ერთი რიგი. ამ წყობის ზემოთ ჩადგმულია ქვა წმიდანის გამოსახულებით, ახლა დაზიანებული. მისგან მარჯვნივ, ზემოდან ქვემოთ ბარელიეფით მოცემულია ორნამენტი, ძალიან მსგავსი ასოებისა. მარცხნივ, ზემოდან ქვემოთ, დიდი ხუცური ასოებით შვიდსტრიქონიანი წარწერაა; მეშვიდე სტრიქონს ქვემოთ აქვს გაგრძელება, ოღონდ წმინდანის მეორე მხრიდან.

**წ-ჟ  
სჟ  
ჟს  
ჟ  
ჟ  
ჟ  
ჟ  
წ-  
ქ  
ქ  
წ-ქ**

წმიდაო სტეფანე შეიწყალე  
მოძღვარ[ი] გაბრიელ<sup>1</sup>

საკურთხევლის ჩადრმაგების ნახევარგუმბათისაგან სამხრეთით კედლის მარტივ, უბრალო წყობაში ჩადგმულია სამი სუფთად გათლილი ქვა: ორი ოთხკუთხედი ქვემოთ (ოტნამენტირებული); მათგან შემორჩა ერთი, სამხრეთი. ერთ სამკუთხედად ზემოდან, დაყრდნობილი ორივე ქვედაზე. არცთუ ღრმა ნახევარსფეროში. ამ ქვაზე ქრისტეს გამოსახულებაა (ჩანს ჯვრის ჩამოტეხილი ბოლოები): სახე დაზიანებულია. მარჯვენა ხელი აწეული აქვს კურთხევის ჟესტით, მარცხენაში – სახარება [უჭირავს]. გვერდებიდან ორსტრიქონიანი წარწერაა, რომელიც, როგორც ჩანს, გადადიოდა ორივე ქვედა ქვაზე. მათგან სამხრეთზე შენახულია ორი სტრიქონი, ერთი ორნამენტს (ჯვარი დაწნულ წრეში) ზემოთ, მეორე – ორნამენტს ქვემოთ:



<sup>1</sup> ძველ ქართულში მოძღვარ<sup>1</sup>, როგორც ჩანს, იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც სომხურში վարդապետ. მისი უახლოესი რეალური მნიშვნელობა ჯერ კიდევ დასადგენია: მოგვიანებით ის ნიშნავს სულიერ მამას, მოძღვარს და ა.შ.



**ქ-ე უ-ე**

ეკვდერი შებათქაშებული და მოხატული იყო. ეკვდერიდან კარს ტაძარში შეეყავართ: ახლა ეს არის მეჩეთში შესასვლელი. კარის თავზე ნახევარწრეა კამაროვან ჩარჩოში. და ეს სივრცე მოხატული იყო; ნახევარწრეზე რაღაც სცენის ნარჩენებია, თითქოს სასამართლოსი უფლის ტახტის წინ, მაგრამ საღებავები მოიშალა, თაბაშირი ჩამოცვივდა და კამაროვან ჩარჩოზე აღმოჩნდა ორნამენტი მცენარის გამოსახულებით, რაც გვიანდელი მოხატვის მაჩვენებელია, შეიძლება მთელი ეკვდერისაც. გამოზურცული კამაროვანი ჩარჩოს მოხატულობაზე მიდიოდა წარწერა, მაგრამ თაბაშირი აქაც ჩამოცვივნილა და [ჩანს] ორი-სამი სიტყვის ნაწყვეტები.

მიგნით ეკლესია, როგორც გარედან, ჯვრისებურია (სურ. 63). დასავლეთ ფრთაში, დასავლეთიდან უკვე ძველად იყო შემოღობილი განყოფილება 1 საუენი და 14 გოჯი სიგრძისა, და ამიტომ დასავლეთი ფრთა შემოკლებულია (დასამატებელია კედლის სისქეც, არანაკლებ 1 არშინისა). საინტერესოა, რომ ამ, უჭკველად გვიანდელი გადაკეთებისას, თალი (მიდის განივად) გაკეთებულია თხელი, ბრტყელი აგურებით. ტაძრის სივრცე საკურთხეველის ნახევარწრემდე 5 საუენი, 2 არშინი და 5 1/4 გოჯია, დასავლეთი ფრთის სიგანე – 2 საუენი და 8 გოჯი, ასეთივე სიგანე აქვს საკურთხეველის პირსაც. საკურთხეველის ნახევარწრის სიღრმე 1 საუენი, 1 არშინი და 14 3/4 გოჯია; გვერდითი ფრთის სიგანე – 2 საუენი, 1 არშინი და 8 1/2 გოჯი. გვერდითი ფრთის სიღრმე – 1 საუენი და 9 3/4 გოჯი. ცენტრის მხარეები – 2 საუენი, 2 არშინი და 13 1/2 გოჯია. ტაძრიდან შესასვლელი არის ჩრდილოეთ და სამხრეთ ეკვდრებში. კამარები გაკეთებულია ძველი ქვით, ისევე როგორც საკურთხეველის ნახევარწრის ჩამოცვივნილი ნახევარგუმბათი. მაგრამ დასავლეთი მხრის კამარის დასაწყისთან, ორივე მხრიდან ოთხ რიგად გაშვებუ-

ლია თხელი აგურები. საინტერესოა გლუვი, თითქოს ცემენტის, თეთრი იატაკი.

საკურთხეველის ნახევარწრეში, სამხრეთ ნაწილში შემორჩენილია გამოსახულობები მოხატულობით. დაბლა, ფანჯრის ძირის სიმაღლეზე და უფრო ქვემოთ განლაგებულია წარწერები:

ფანჯრიდან პირველ გამოსახულებასთან წარწერა დახიანებულია:

მეორის **წ-ა| უზრე** წმ. ეზრა  
მესამის **წ-ა| უ-ვლუ ს** წმ. გრიგოლი  
**კრსო** სასწაულ- (საკვირველთა-)  
**კრს-ლ** >მოქმედი

ზემოდ ფანჯრებში:

ჩრდილოეთიდან **წ-ა| კ-ლუ** >წმ. პავლე  
სამხრეთიდან **წ-ა კ-კ** წმ. პეტრე  
ფანჯრიდან რიგით სამხრეთისაკენ:  
**წ-ა უ** წმ. იოანე  
**წ-ა [////]** წმ. [////]

ნახევარგუმბათში ტახტზე იჯდა ქრისტე, საერთოდ ისევე, როგორც ტბეთის ეკლესიის მოხატულობაში: შემონახულია ტახტის ნაწილი და მარცხენა ფეხი კიდევში ამოქარგულ ბალიშზე. მარცხენა მხარეს, ყელზე, დაწყებული აღმოსავლეთი ფანჯრით:

1. პირველი შუაკედლისი. კარგად შემონახული ორი წმინდა ბერი. უფრო სამხრეთით შემოსილი თავით, თეთრი, გრძელი წაწვეტებული წვერი, მაგრამ ორ მხარეზე გაყოფილი; მარცხენა ხელში გრაგნილი, მარჯვენა – კურთხევის ჟესტში უჭირავს მეორე ფიგურისაკენ თავისი შუბლის სიმაღლეზე. ზევით წარწერაა:

**საქსა სა-რლ შულუ** პატრიარქი მელ-

ქი-

**ა ლ-ლჟ** (sic.)

სედგეი

მეორე ფიგურას, ჭადარა წვერით, ჭადარა თმით, რომელიც მხრებზე წვდება, ხელში წიგნი აქვს. მისგან მარჯვნივ ხემოდან ქვემოთ წარწერაა:

**სსრ  
ლჟ  
ჟჟჟლ (sic.)  
ჟჟ  
ჟ-რ**

ამბრაამ პატრიარქი

2. მეორე შუაკედლისი. ორი ფიგურა. მარჯვენა ფიგურას ხელში გაშლილი გრაგნილი უჭირავს. მასზე იკითხება (შდრ. იოილ. 2,23):

**ჟს  
ჟჟჟჟ ჟს  
ჟჟლჟ  
ჟ სჟს  
ააჟჟ<sup>1</sup>  
ჟ-სს. ლ-  
ჟ ჟს -  
ჟრჟლ<sup>ა</sup> -  
ჟლჟს<sup>ა</sup> ჟ  
ჟ-სა ჟ  
ჟ-რჟ: ლ -  
ა**

და ა.შ.

მარცხნივ მეოფე ფიგურას, დამწვარს, ხემოდან აქვს წარწერა:

**სს-ჟლ: აჟჟლ** წინასწარმეტყველი იოილი და ა.შ.  
ყელის ჩრდილოეთ მხარეზე:

<sup>1</sup> (sic.) *სიონისათა* – ს ნაცვლად მოცემულია ნამდვილი წაკითხვა.

1. პირველი შუაკედლისი ჩრდილოეთით აღმოსავლეთ კედლიდან ორი ფიგურა:

ახლოს: **ჟ** პატრიარქი იესედ

**ჟა  
ჟჟჟრ  
ააჟ**

შემდეგ: **სს-ჟლ** წინასწარმეტყველი დავითი

**ლ-ჟ**

2. მეორე შუაკედლისი. ორი ფიგურა:

უფრო ახლოს: **ჟა** ისაია

**ა ჟ**

და ა.შ.

წინასწარმეტყველებს უჭირავთ გრაგნილები, საკითხავეთით მათივე წიგნებიდან<sup>1</sup>.

ყელი გარედან თუმცა სუფთადაა მოპირკეთებული, მაგრამ, როგორც ჩანს, უფრო გვიანდელია. ქვაც არ არის ძველი (შიგნით, ფანჯრების განში დატოვებულია ძველი ქვები). ყოველ შემთხვევაში, ეს არ არის ძველი თეთრი ქვა და არც ის მოწითალო, რომლისგანაც გაკეთებულია შატბერდისა და ოპიზის გუმბათები.

შუადღის 3 საათზე მე შევედი ართვინში, სადაც ვცდილობდი, შემეხედა პერგამენტის ქართულ ხელნაწერზე, რომელიც საკმაოდ ძველად იყო მიჩნეული.

**22 აგვისტო, კვირა. 23 აგვისტო, ორშაბათი.** ეს ოთხთავია სომხურ-გრიგორიანული ღვთისმშობლის ეკლესიისა<sup>2</sup>.

<sup>1</sup> შიგნით, სამხრეთ კართან, ბათქაშზე ბევრი გვიანდელი ქართული და რუსული მინაწერია. გვიანდლებს უნდა ეკუთვნოდეს აქვე არსებული ხუცური ასოებით წარწერა *მოდგარ* მაკარისა..

<sup>2</sup> ეს ქართული ხელნაწერი სახარება სომხებში სასწაულმოქმედად ითვლება. მათი სიტყვებით, ის კურნავს ყველანაირ ავადმყოფობას და, განსაკუთრებით, თვალისას (**ապսպս**). სომეხი მღვდელი კითხულობს ამ ქართული სახარების ცრუ ტექსტს, ასე ვთქვათ „შპარგალით“, კერძოდ, რამდენიმე ადგილას ჩადებული აქვს ქადაღის ფურცლები

ხელნაწერის ზომები: 6 9/16 გოჯი × 5 5/16 გოჯზე. ის ძველ ტყავადაკრულ ხის ყდაშია. ყდის ქვედა მხარეს მხოლოდ მორთულობაა, მარტივი, ხელოსნური ნაკეთობა (შუაში ჯვარი ოთხკუთხედად, მის ფრთებში ოთხი სხვადასხვა ფერის ქვაა ჩარჩოში და ა.შ). წინა მხარეს ისეთივე მოპირკეთების ჩარჩოში სპილენძის ფირფიტაზე გამოჭრილი და მოხატული ჯვარია ჯვარცმით. ქვემოთ ადამის თავია. გვერდებიდან, ფრთებს ზემოთ თითო ანგელოზი. ფრთების ქვეშ, ჯვარცმიდან მარცხნივ, წმიდა ყრმა (მოციქული იოანე) წიგნით მარცხენა ხელში, ზემოდან ბერძნული წარწერა:

**ΗΔΟΥ Η ΜΙΤΙΡ ΚοΥ**

მარჯვნივ ქალის ფიგურაა (ღვთისმშობლის) შარავანდით ზემოდან წარწერით:

**ΗΔΟΥ ο οοCoo**

ყრმის ქვემოთ წარწერაა:

**οΑο**

**ΚΑΛΛ΄HuKonoICMNoo**

დამწერლობა ნუსხურია, ორ სვეტად; სვეტებში სტრიქონთა რაოდენობა სახარების ტექსტში ოცია, მაგრამ გვხვდება ოცდასამიც. შემკულობა: დიდი ასოები ხშირად ოქროთია. კარგად შესრულებული ოთხ გვერდზე ჩანართები თანხმობის ტაბულების ერთად; რვა ნახევარჩანართი, ორ-ორი ყოველი სახარების წინ, ზუსტად კი სათაურისა და ტექსტის დასაწყისში. ოთხი მახარებლის გამოსახულება, ყოველისა მისივე სახარების სათაურის წინ.

სომხური ტექსტით. მღვდელი კითხულობს სომხურ ტექსტს, მისსავე დაწერილს, მორწმუნენი კი შვებას პოულობენ, ფიქრობენ რა, რომ უკითხავენ პერგამენტის ხელნაწერის ჭეშმარიტ ტექსტს. ხელნაწერი სახლში წასაღებად მე არ მანდეს, იმ მიზეზით, რომ ის ეკლესიიდან არ გააქვთ. თუმცა მღვდელთან სახლში ის მიჰქონდათ, სადაც დამრთეს ნება მემუშავა მასზე. ყოველი შესვენების შემდეგ, თავაზიანი მ. ესაიანცი, ტანდოთელი მღვდელი, მაცნობებდა, რომ ჩემი არყოფნისას ხელნაწერი მიჰქონდათ ეკლესიაში ავადმყოფისათვის. როგორც ჩანს, პრაქტიკა მნიშვნელოვანია.

ხელნაწერში 34 რვეულია, ყოველი რვა-რვა ფურცელი. XXXI რვეულს 9 ფურცელი აქვს, VIII რვეულს აკლია 1 ფურცელი. I რვეულს 11 ფურცელი აქვს. ეს იმით აიხსნება, რომ: 1. პირველი ფურცელი I რვეულის არ არის. ის ამოჭრილია. 2. დანარჩენი ფურცლები კი შეადგენენ წინასიტყვაობის განსაკუთრებულ რვეულს. პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, ხელნაწერი XI-XII საუკუნეებისაა.

შეიცავს: 1. ევსევის წინასიტყვაობა (2 ფურცელი):

დასაწყისი:

**ევსები: კარპიან ს**

**სყრელსა: ძ მსა ო ისა**

**მ რ გიკითხავ: ~ ~**

**ამმონიოს ალექსან-**

**დრიელმ ნცა დიდი შრ-**

**ომად და გ ლს მოდგი-**

**ნეზ დ შუვა შემოი-**

**დო. და ოთხთად მთ**

**დაგვწერა ჩ სნ ს ხარე-**

**ძ დ რ ლ მათეს თა-**

**ვსა შეეტყუებთან:**

**სხუათად მთ მახარ-**

**ებელთა საკითხა-**

**ვები ასწორა:**

დასასრული (ეს გვერდი არ არის 2 სვეტად):

**გ მოიძიენ იგნი შა გნ თვსთა მთ თითუე-**

**ულისა ადგილსა სხრ ბთა სწრად თქმ ლი**

**პპოო და ცოცნ ღბითმცა ხარ ო ისა მიერ:**

2. თანხმობის ტაბულები (3-4).

მე-4 ფურცელი სუფთაა. აქ წინასიტყვაობის ან ტაბულის შემდეგ შეიძლება ყოფილიყო ძველი ჩანაწერი, ახლა რომ არ არის.

3. ოთხი სახარება:

VIII რვეულის მე-7 ფურცლის პირის მხარის ველზე შენიშვნაა მათეს სახარების ტექსტზე [24,36] (*წ დღისა მის თ ს... არცა ანგ ლზთა ცისათა. გარნა მამან მხოლომან*):

*არცა ძეგან. ესე სიტყვ სამთა ბერძულთა სახარებათა არა ეწერა, არცა მე დაეწერე:*

4. საძიებელი (უკანასკნელი XXXIV რვეული):

*ზანდუგი სხრ ბისა საძიებ ლის საწელიწდომ:*

იწვება წმინდა კვირიდან:

ჩანაწერები:

1. I რვეულის მე-2 ფურცლის I გვერდზე წვრილად ნაწერი ერთ სტრიქონად:

*ღ ო შეიწყალ (sic) წინამძღუარი მაქსიმე: ყოფილი*

*მათე: მისი ობოლი მახარებ ლ ლოცვას გ ბ ს.*

2. XXXIV რვეულის მე-6 ფურცლის უკანა მხარეს, ქვემოთ, ტექსტის ხელწერით წითელ ხაზად:

*კ ლ (sic) ვლს ისითა: ზნ დკი:*

ყველა მინაწერი ნუსხურითაა, თუ არ არის წინასწარ დათქმული<sup>1</sup>:

1. I რვეულის I ფურცლის უკანა მხარეს:

ა. დაუსრულებელი ჩანართის სახით ზემოდან ქვემოთ:

*ღო: შე: დარაჯა: მაგუფაიკ: იოთამა:*

ბ. თვით ჩანართში თაღის ქვეშ:

*წ ღო შე: ელია ან*

ქვემოთ მიყოლებით:

*ღო: შე: იორამ: ან ოცი: საწრაგ*

*ღო: შე: იასონ: მეუღლე: მისი:*

<sup>1</sup> ტექსტში მინაწერები, რომელნიც ხაზი-ხაზში იბეჭდებიან, და, ჩვეულებრივ, ასო-ასოში, თითქოსდა ხშირად ქარაგმა გამოტოვებულია. იგი ხანდახან იქ არის დასმული, სადაც ზედმეტია, ესენი, ისევე როგორც სხვა ნაკლოვანებები, აშკარა შეუსაბამობები, მაგ. „მა“, ნაცვლად „მე“-ს ან „მესა“-ს; „დასონ“ „იასონის“ ნაცვლად, სული – „სულო“ს ნაცვლად, „მეღლე“ „მეუღლეს“ ნაცვლად, მაულაღე – „მეუღლის“ ნაცვლად, „იოსებს“ „იოსებს“ ნაცვლად, „ბაბუთი“ „შაბუთის“ ნაცვლად და ა.შ. ჩემს მიერ დატოვებულია აღნიშვნის გარეშე.

*ხოუნ: ან*

*ღო: შე: იასონ: მისი: მეუღლე:*

*ფარიყან ღო: შე: პაპუნაისა*

*მისაი: მეუღლე: ანაი:*

*ღო: შე: ენბალა: მეუღლე*

*შამადუხა: მისი: ძა: ნიკიო-*

*ზ: გულფაიკ:*

გ. უფრო წვრილი ხელით და, განსაკუთრებით, ძირითადი ტექსტის მეღნით, ჩანართის ძირში ერთ სტრიქონად წითელ ხაზებში:

*სღ სა გაიანეს შნს ღნ ან: სღ სა თინათინ*

*ყოფილისაჲ შრთას შნ ს ღნ ან: და ძენი მთნი*

*ამოდ ამყოფინ ჟმ თა მრ ვლთო*

ღ. ქვედა მინდორზე:

† \*სულთა შე ღ ონ \*\*ამირანს შე ღ ონ შ\*\*\*სულთა

*შე ღ ონ*

*ადოვლო შე ღ ონ გულჭრნს შე ღ ონ*

† ელისაბედ ყოფილს ბხიას შე ღ ონნ ღზნფრს შე ღ ონ

† გბრეს შ სი მეგღლს მულქ \*\*\*იჯნს შე ღ ონ

*გერსმს იმს მეუღლეს აზიზ მეღიქს შე ღ ონ*

\*წინ უსწრებს **ⴒ** \*\*ღ ონ=ღ ო ან. დაწერილია io᠊n \*\*\*შ ნათლად [ჩანს] სულთას წინ, მაგრამ მასსა და შს შორის ხაზია: **ⴒ**'ს \*\*\*\*გასწორებულია „ღ“ -დან.

ე. სულ ქვეშ:

*ღ ო შე ხარქის და მისი მეუღლე ანახოუნ*

ვ. ერთი და იმავე ხელით (წვრილი ხაზები) ორი პირველი სტრიქონი დ მინაწერისაგან მარჯვნივაა, პირველი სტრიქონის ბოლოს, მესამე-მეოთხე სტრიქონის ქვეშ, დ'ს მეხუთე სტრიქონის ქვეშ, ეზე უფრო მაღლა:

*ღ ო შე დავით და მისი*

*მეუღლე გულბუდას*

ღო შე შამადუხ

ღო შე ვარძილ: ღო შე უთანმაზ: ღო შე იაგან მისი  
მეუღლე ხორამზე:

2. I რვეულის მე-2 ფურცლის I გვერდზე:

ა. გვერდით მინდორზე ქვემოლან ზემოთ:

მზევინს შე ღონ

ქ იორღნეს შე ღონ: შხნს შენ

ქ თმრს შე ღონ

ეფთიმეს შე ღონ

ბ. ქვედა მინდორზე ხუთ სტრიქონად:

ქ დოფლთს შე ღონ

შ მეუღლეს ვრზს შე ღონ

შაჰლმს შე ღონ

ქ მრინეს შე ღონ მისა

მეუღლესა შე ღონ

3. I რვეულის II ფურცლის უკანა მხარეს ორ სვეტად:

ა. ქ გვლფანს შენ \*ღონ

დოღთის შენ ღონ

ღო: შე: ხასულთნ:.

ბ. ქ ასლნს მის მეგღლს

ნღშს შენ ღონ

\* ღს წინ ხელნაწერშია ო.

4. I რვეულის III ფურცლის I გვერდზე:

წ ღო შე შაბუთ ან

5. I რვეულის III ფურცლის უკანა მხარეს, ქვემოთ:

ქ ფირღულის შე ღონ მისა მეუღლეს ჰრიქს

შე ღონ ირინეს შე ღონ საეღუს შე ღონ

ოვანს შე ღონ ქ პეღეს შენ ღონ

მერბ მისი მეგღლეს შინოჰაჰურს\* შენ ღონ: ირინს

ო შენ ღონ ქ იოსებს შს მეგღლს შენ ღონ აშნ

\* Sinipaiour n

6. I რვეულის IV ფურცლის წინა მხარეს, ქვემოთ, უფრო ძველი ხელწერით:

ტატა შვლსა რატის შნს ღნ ან. და მისსა მ  
შვლშვლსა კლმხლსა მერაბ ყოფილსა მეთოდეს  
შნს ღნ ან

იგივე მინაწერი, ოღონდ მისსა'ს შემდეგ მ(ს) გარეშე მეორდება X რვეულის VIII ფურცლის წინა მხარეს, ქვემოთ; XVII რვეულის I ფურცლის წინა მხარეს, ქვემოთ; XXVII რვეულის I ფურცლის წინა მხარეს ქვემოთ.

7. იმავე ფურცლის უკანა გვერდზე, ქვემოთ ორ სვეტად:

1. ქ ხნზდს შენ ღონ

თევდოს შენ ღონ

თუხწმს: შენ ღონ

სიმონს შენ ღონ

მრინეს შენ ღონ

2. ქ მრინეს შე ღონ არღ შერს შე ღონ

ქ აბისონს შენ. მრინეს შენ ღონ

8. I რვეულის V ფურცლის უკანა მხარეს, ქვემოთ:

წ. ღო შე აზიზან და მისა ხოცა[ი]ლან

ქ ღო შეი ანსთას ან დობეი დოღათ ან

ღო შეი როღამ

9. I რვეულის VI ფურცლის წინა მხარეს, ქვემოთ:

ღო შე ეხსაფიეთ: ან დ

ღო: შე: ელისე: მისი: ძა: გრგოლ:

ღო: შე: მზანდარ: მისი მეუღლე

რომაგა

10. I რვეულის VIII ფურცლის უკანა მხარეს, მათეს გამოსახულებების ქვემოთ, ოთხ სტრიქონად, შედარებით ძველი ხელწერით:

† ღო მშაო ძეო და წლო წო და მდლო სან რბისა

და პირო ღისაო: და

წნო მხრ ებლნო: მთე მრ კზ ღკა და იე შე წლო



*სწლოვანისა და სწლგნ-  
თქმულისა უკმოდ ამიერ სოფლით მიფარე-  
ბულისა დუკისძისა ბატონის  
პასრნისი\*: და დაუმევიდრეთ სსფვლი  
ცთა: ან:*

\*შესწორებით „რ“ „ო“-დ, მაგრამ უფრო სწორი წაკითხვა იხილეთ 22ბ, 26ბ, 30, რის საფუძველზეც შეიძლება მხოლოდ დარწმუნდე, რომ „პ“ დასაწყისში იღება „დ“-ს ნაცვლად, ან რაც უფრო სწორია,...

11. I რვეულის მე-9 ფურცლის წინა მხარეს:

ა. გვერდიდან:

*ქღ შე სლე-  
კ ზრევათ  
და მისი მეუ-  
ღლეი და ე-  
ვსდამან*

ბ. ქვემოთ:

*წღ ო შე დედუკა და მისი მეუღლე  
გიორგ ვვანე ან: ღ ო შ ე  
და მისი მეუღლე გოლფასქან*

12. X ფურცლის წინა მხარეს, ქვემოთ:

*ღ ო შ ე მახრობლო მეუღლე  
მისი ანა*

13. V ფურცლის უკანა მხარეს ქვემოთ:

*ღ ო: შე: ამირ მუქ> მე: ანა ან  
ღ ო მე ფირშუმას და თჯლუხან:*

14. VI რვეულის III ფურცლის უკანა მხარეს, ქვემოთ:

*ღ ო: შ ე: ივესეს: და მეოღლესა მისსა ღირ-  
თეშდას: ან: კ რნ:*

15. VI რვეულის V ფურცლის უკანა მხარეს, ქვემოთ:

*ღ ო: შე: იასონ: მეუღლე: გულბუდას:*

*ღ ო: შე: მამისაი\*: მეუღლე: ბანგრ:*

\*შემდეგ გასწორებულია *შემახას*.

16. VI რვეულის VI ფურცლის უკანა მხარეს, ქვემოთ:  
*ღ ო: შ ე: მათ ე: მღდელი: და მეუღლე მისი  
ღ ე ღ: ან: კ რნ:*

17. VI რვეულის VII ფურცლის წინა მხარეს, ქვემოთ:  
*ღ ო: შ ე: ორდან: ან: კ რნ*

18. X რვეულის V ფურცლის უკანა მხარეს, ქვემოთ:  
*ღ ო: შე: ხოვაზ: გუშეღამნ*

19. X რვეულის VI ფურცლის წინა მხარეს, ქვემოთ:  
*ღ ო: შე: ეყვარ: მე: თხტი. რევანა:*

20. X რვეულის VI ფურცლის უკანა მხარეს, ქვემოთ:  
*ღ ო: შ ე: დოღმაზ: მეუღლე: მისი  
ხანკი\*: ღ ო: შე: გარსევან: მეუღლე მისი  
შანოჭურ:*

\* ხანსი?

21. X რვეულის VII ფურცლის წინა მხარეს, ქვემოთ განსაკუთრებული ხელწერის, „ა“-ს დამატებებით, მხედრული ხელით (ეს თავისებურება და ეს ხელწერაც სრულიად მოგვაგონებს ვინმე მარკოზის ჩანაწერს სინას ალაჰში):

*† ღამაერთათო: და: წამიდაო: სატაეფანე: და:  
ოთახანაო: თავანაო: სახარებანაო:*

*მარაკოზა: ღაუაკა: და ივანე: ამიწაყი*

*[///]სა: საუაღ: ღასაუარძისა: ამე*

*ამისაი ამინა: თანა: მეცხაეღარესა*

*საისა ტაიფაისა ტავსაი: ამინ:*

22. X რვეულის VII ფურცლის უკანა მხარეს:

ა. გვერდიდან:

*წღ ო შ ე იოსე-*

*ბს და მისა*

*მე უღ ღესა*

*რუნ დან ან*

*ღ ო შ ე ბაბღ თი*

*აბ რაღსო*

*ოღ ოღს ან:*

ბ. ქვემოთ სამი სტრიქონი:

*† ღ ო ძეო და ნლო წ ო შეთ ნლი დუეისძისა სხ ლო-  
ანისა:*

*და სწორუპოვარისა. პტრონის დასონისი. და დაუმკუ-  
იდროთ ს ფლი ც თა. ან:*

23. XVI რვეულის IV ფურცლის უკანა მხარეს, ქვემოთ:

*ჯ ქ ს: ღ ო: შ ე: იოსდფთ მისი: მეუღლე: იფზოღ ო ან.*

24. XVI რვეულის VII ფურცლის უკანა მხარეს, ქვემოთ:

*ღო: შე: შეთადემ: მეუღლე: ხერხთუნ:*

*ღო: შე: ხოჯ: \* იე: მანიშაკ: :*

*ღ ო: შე: ხოცაიდელ: ბ\*\*ანოჰორ: ან*

\*ჯ=ბ \*\*ხელნაწერში იმნაირი მოხაზულობა აქვს ბ=ბ, რომ ძნელია მისი მიღება S= შ, თუმცა აქ საჭიროა ბგერა შ.

25. XVI რვეულის VIII ფურცლის წინა მხარეს, ქვემოთ:

*ქ ე ღ ო შ ე ირინე და მისი მეუღლე ხიზანი კ ს ან*

*ღო: შე: ა მირ: მეუღლე მისი: ბაჰრისტნ: ამნ*

*ღო: შე: შამანდუხ: და გულქან:*

26. XVI რვეულის VIII ფურცლის უკანა მხარეს:

ა. ზემოთ:

*ჯ: ღ ო შ ე: გულისტნ: და შამამ ან*

ბ. ქვემოთ:

*† ღ ო მმო ძეო და ნლი წ ო და წ ნო მხრ ბლნო შეთ  
ნლი დუეისძისა სახელოვნისა და გმრჯუშბულისა პტრონის  
იასონისი და დაუმკუიდრეთ სნ ფვლი ც თა ან:*

27. XVII რვეულის მეორე ფურცლის წინა მხარეს, ქვე-  
მოთ:

*ქ ე ღ ო: შ ე გულისტან ს და მისი მეუღლესა*

*ასლანბეგ ს ან.*

28. XXVI რვეულის VII ფურცლის უკანა მხარეს, ქვე-  
მოთ:

*ღო: შე: ტუტუხს\* ღო: შე: ბანოჰორ. ან:*

*ღო: შე: სიმონ: ღო: შე: დოვლათ: ან:*

\*გაურკვეველია „ს“.

29. XXVI რვეულის მერვე ფურცლის წინა მხარეს:

ა. ზემოთ ოთხი სტრიქონი სინაის ალაპის მხედრული ან-  
ბნით:

*ქ: სულასა: ქერაბინასა: შეუნადანას: ღამერათამანა:*

*და მისასა: მემეცახედარასა ნისიმე ეო-*

*ფილასა: ნინოსა: შეუნადანა: ღამერა-*

*თამანა:*

ბ. ქვემოთ სამი სტრიქონი:

*სლსა. დემეტრესა და მისნა. მეუღლესა. გულბორსა.*

*შნს. ღ ო ან:*

*ქ ე ღ ო შ ე წყალე აბრამ და მისი მეუღლე გრრაის-  
ლო ან:*

*ან ან. ქ ე ღ ო შ ე ნაღაშს და მისა მეუღლესა გოგიას  
შენდნეს:*

30. XXVI რვეულის მერვე ფურცლის უკანა მხარეს, ქვე-  
მოთ სამ სტრიქონად:

*† ღ ო შ მო ძეო და ნლო წ ო შეთ ნლი დუეისძისა  
სახელოვნისა.*

*და სწ ღ გ ნთქმულისა პატრონის იასონისი წ ო ი ე მა-  
ხარებელი*

*და სახარებო ქესო დაუმკუიდრეთ სნ ფლი ცათა. ან:*

31. XXVII რვეულის პირველი ფურცლის უკანა მხარეს,  
ქვემოთ:

*ღო: შე: აშისუნ: მისა მეუღლესა\**

*ღო: შე: ელიაი შაბანსა: ან*

\*მისა *მეუღლესა* რამდენადმე უფრო ქვემოთ, ვიდრე პირ-  
ველი სტრიქონი. სიტყვის „შაბანსა“ „შ“-ს ზემოთ. ხომ არ  
ეკუთვნის ეს ორი სიტყვა ქვედა სტრიქონს?

32. XXVII რვეულის მეორე ფურცლის წინა მხარეს, ქვე-  
მოთ:

*სულსა სულკურთხეულისა მ[///]*

*მაღრაბესა: გივს შეუნდენეს: ღ ო*

*მემცხედრესა მისა ქრისტინეს შენდნს დნ  
ბესა და ასულსა მათთა ელიას და*

(შემდგომი გვერდით მინდორზე ქვემოდან ზემოთ)  
*რაქელს შეუნდნეს დნ ან ან*

33. XXXI რვეულის IX ფურცლის უკანა მხარეს:

ა. ზემოთ:

*ჯ: დო შე: იესა: და მეოდლეს მსი: მართსი:  
მამს: მის: დვითისა: დედ მისი: სართსი*

ბ. ქვემოთ:

*დო: შე: მნ თე: და მეოდლე შისი*

*დო: შე: იმსე: და მეოდლე მისი*

34. XXXIII რვეულის VII ფურცლის უკანა მხარეს:

ა. პირველი სვეტის ქვეშ:

*ქე: დო: შე: იოსფთა*

*მეოდლე მისი იაზგული*

*დო შე იოსებო და ჰზრევროთა*

ბ. მეორე სვეტის ქვეშ:

*დო შე იასონ: ან*

*დო შე თანდრ: ან*

*ქე შე რუსუდან*

*მელულე: მისი ზოჯაღ: ამნ.*

*ქე შე: აბიათრ\**

*მე უდლე მისი: ია-*

*ზგული ან*

\*ხელნაწერში ბ-ს მოხაზულობა სადავოა, ის უფრო გავს

შს.

(სხვა ხელით)

*დო შე გიორგი და მისი*

*მეუდლე შაბანსულთან:*

*და იესე: შნს დნ ან:*

(გვიანდელი ხელით მინაწერი პირველი სვეტის ქვეშ)

*და ელენე.*

35. XXXIV რვეულის პირველი ფურცლის წინა მხარეს, ქვემოთ:

*დო შე სლი ნონელისა და თა მეცხედრისა მისსა ან:*

*დო შე სლი დევაბიძის გბრლისა და თა მეცხედრისა მისსა ან კნ:*

36. XXXIV რვეულის V ფურცლის უკანა მხარეს, ქვემოთ:

*დო: შე: მარინე: მისა: ბაე-  
ლსა: პატატი: და ხანასულ-  
თან:*

37. XXXIV რვეულის მეექვსე ფურცლის წინა მხარეს, ქვემოთ:

*დო: შე: სოლეიმან: მეუდლე: დედუკა ან:*

*დო შე: უსტა იაზან: მისი: მეუდლე: ანა:*

*დო: შე: მახარებელი: მეუდლე ბანავში:*

*დო: შე: ყარაიგით: მაუდლე ასთნდასი\**

\*ბოლო „ს“ გაურკვეველადაა.

შუალედში I და II სტრიქონებს შორის სხვა ხელით:

*დო შე ანა და მისი მეუდლე სარგის ან*

38. XXXIV რვეულის მეექვსე ფურცლის უკანა მხარეს, გვერდის ნახევრიდან:

ა. *ქე დო შეიწყლე ცდველი ნონელ და მეუდლე მისი:  
დო შე*

*გრიგლ და მეუდლე მისი*

*ქე დო შე იესე და მეუდლე მისი ვართებ ან:*

ბ. უფრო მსხვილი ხელით [დაწერილი] ორი სტრიქონი ამოფხევილია, მაგრამ მაინც შეიძლება ამოიკითხო შემდეგი:

*ქე დო შეწყლე [////] გბ რლ*

*ქე დო შე გბ რლ მწირი მდღელი*

გ. უფრო ქვემოთ წვრილად:

*სლ სდ თამარს შნს დნ შთთა დათა ხორშ ზეს და დე-  
დუნის შნს*

**ღ ნ რომ ნოს შ ნს ღ ნ**

დ. მინაწერების უმრავლესობის ჩვეულებრივი მსხვილი ხელით:

*ქ ე ღ ო შ ე აბრამ და მისი დედმამანი. ან  
ღო: შე: ფირალის: მისი მეუღლადე:  
ღო: შე: ნავშაზარ\*: მისა მეუღლადე:  
ულუპია ან.*

\*ნავშაზარ

ამ მინაწერის გვერდით მოგვიანებით ჩაწერილია სხვა, უფრო წერილი ხელით:

*ნ ღსა ანანისასა და მისთა  
დედა: შ მათა შ დს ღ ნ ა ნ: და კ ნ ნ:*

39. XXXIV რვეულის VII ფურცლის წინა მხარეს:

ა. უფრო გვიანდელი ხელით, ვიდრე ჩვეულებრივი ხელი მინაწერების უმრავლესობისა:

*ქ ე ღ ო შ ე იშხნელი: მთავარ: ევსეოპოზ  
მკრ შნ ღნ: ქრისტეს: მოსლვა: ათას  
ექსას: ორმოცდაათი: წელიწადი:  
ადმის: მოსლვა: შიდი ათას და ასი ორმოც  
და შდმეტი ზედადებ: ოთხსა იყო*

ბ. ქვემოთ სხვა, უფრო გვიანდელი ხელით:

*ჯ ო: ქ ე: ო ლ: შ ე. აბელ: სახრებისა:  
ამის: პატრონი:*

40. XXXIV რვეულის მეშვიდე ფურცლის უკანა მხარეს:

ა. ზემოთ:

*ღო: შე: რეტეტი:*

ბ. გვერდით:

*ღო: შე: მანას*

*მისა: შავილს ი-  
იოსებს ან.*

*მისა: ძა:*

*იშოზ: ამინ*

*მისა: ძ ა: ნარშენ: ან.*

გ. გვერდის შუაში:

*ქ ე ღ ო შ ე მანველ და მისი მეუღლე მარგალიტ ა ნ:*

*ღ ო შ ე ოსტაი\* ნ ღთან და მისი მე ოლე ანდირია ა ნ*

*ქ ე შ ე აბიათარ და მისი მეუღლე იაზგულ ა ნ*

*ბაბუთის შნზ\*\* ღ ნ ან*

*ჯი: ღო: შე: ჩიტას: შა: ესაია: მისი: მეუღლადე:*

*ხასულთან:*

*ქ ე: მეცხოვრის: შეილას:*

*ბაინდურ: მუღლადე: მულქიჯ\*\*\* ან:*

*მისა: შეილსა: მახარებელი:*

*მეუღლადე: ულუპია: ი\*\*\*\*ასონა ან:*

*მისა: ძამასა: ელიასა ან:*

*მისი: მეუღლადე: ხორმაზაი:*

\*„ტ“ წერია უცნაურად, უფრო „შ“-ს ან „ღ“-ს გავს;

\*\*ხელნაწერში [არის] „ზ“ „ს“-ს ნაცვლად; \*\*\*„ჯ“=ქ;

\*\*\*\*.=>(ქ?).

დ. ქვემოთ სხვა ხელით:

*ქ ე ღ ო შ ე: მაქსიმე: და მისი მე ოლე თურ ვად:*

*ჰსტეფ ანა და როდამ შენდნეზ ღ ან*

*ფერინ და გულამირს შნდნეზ: ღ ნ*

*იაზგული იათამზი იორამ:*

*ქ ე ღ ო შ ე თურაბი და მისი მეუღლე ანა ქ ე ღ ო შ ე  
ფვენდარ*

ე. გვერდით (მარჯვნიდან) მინაწერები ღ ს ხელით, მაგრამ უფრო მუქი შავი მელნით ისე, რომ პირველი სტრიქონი უპირისპირდება შუალედს პირველ და მეორე სტრიქონებს შუა, მეორე „ღ“-ს II სტრიქონის პირდაპირ, III-IV სტრიქონების პირდაპირ; IV და V სტრიქონში, როგორც მისი გაგრძელება, დაბოლოება კი უფრო ქვემოთ:

*ხეჩატუ და მისი*

*დედმამანი შნდნეზ:*

*დათ*

*და ა ნ ა ნ*

41. XXXIV რვეულის VIII ფურცლის წინა მხარეს:

ა. ზემოთ:

**ჯ:** ბუთიძესა: მახარებელს

**მეუღლესა:** მისსა: ანას:

ბ. შუაში:

**ქ ე ღ ო შე ხოშიკ და მისი მეუღლე ახზმაიდან:**

**და მისი შვილი ხოჯალა და მისი მეუღლე როსდან:**

**ან გირგი შეღ ნზ ღ ნ:**

**ღ ო შ ე: ელისე: მეუღლე: ამაისუთან:**

**ღ ო შ ე: ავთანდილ: მეუღლე მაზექალ:**

გ. ქვემოთ:

**ჯ ო ღ ო შე ბნობრ და მისი მეღლე ფირლი ან**

**ღ ო შ ე ვართხათუნ და მისი მეუღლე პეტრიკ ან**

**ღ ო შ ე ზოპრაბ\* და მისი მეუღლე**

**მულქიჯან ან**

**ღ ო შ ე ბაჰადურ ან**

\*ხელნაწერში **ღ ო შ ე ზოპრაბ.**

დ. გვერდით, მესამე სტრიქონთან:

**ღ ო შ ე ირინ და**

**მის მუღლე ან**

ართვინში მე უკვე აღარ მქონდა დრო, რომ დაწვრილებით გავცნობოდი ადგილობრივ სიძველეებს. გავარკვიე ცნობები პორტას წარწერის შესახებ და ოპიზის ზარზე, რომლებიც ართვინში ჩამოტანილი იყო ჯერ კიდევ ბ. შუბინსკის დროს. ისინი მოინახა ადგილობრივი პოლიციის დაქინებული [მოთხოვნით], რომლის წარმომადგენლები, ოლქის სტუმართმოყვარე უფროსის, – გ.ი. ლოვენით დაწყებული, ჩემს საქმიანობას დიდი თანაგრძნობით მიუდგნენ, რაც ჩემთვის სასიამოვნო იშვიათობა იყო.

პორტადან წარწერიანი ქვა აქ ჩამოიტანეს 1902 წელს, იმჟამინდელი მხარის უფროსის, ბ. შუბინსკის განკარგულებით. [ქვის] სიმაღლე 15 გოჯია, სიგანე, ზედა, უფრო ფართე ნაწილთან, 4 გოჯი. იგი ახლა გატეხილია გასწვრივ 2 ნაწი-

ლად. ზედა გაცილებით მცირეა. შენახულია მხოლოდ შუა ნაწილი, წარწერა 6 სტრიქონად, საშუალო სიდიდის ხუცური მთავრული ასოებით. ამავე ქვაზე იყო VII და, შესაძლებელია, VIII სტრიქონიც, მაგრამ ის, ან ისინი მოტეხილია. შემონახული ნაწილი ასე იკითხება:

**ღ-შ ქ \*ს** შეიძლება წაკითხულ იქნა, როგორც „ც“, მაგრამ

**ღ ა ს** „ს“-ს მარჯვნივ ენა, როგორც ჩანს, შემთხვევით

**ს შუა ქ** ამონადებია ქვაში.

**ს შ ა ქ** ე, შეიძლება იყოს „გ“, რადგან დედანში I, ამასთან **ქ** უფრო ვიწროა, ვიდრე მოსალოდნელი იქნებოდა

**ს შ** ე'სათვის

**შ-ს** ( ).

Ⓐ პირველი სტრიქონის მიხედვით, წარწერაში საუბარი

Ⓑ იყო დავით კუ[როპალატზე] (სურ. 64.).

უნდოდათ ზარი დაემალათ, მაგრამ შემდეგ ისიც გამოაჩინეს. როგორც წარწერა, ისე ზარი, მე თბილისში წავიდე, სადაც ისინი ინახება: ქვა წარწერით – ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმში, ზარი კი – საქართველოს საეგზარქოსოს საეკლესიო მუზეუმში.

ამბობენ, რომ შუბინსკიმ წაიღო ართვინის ოლქში გათხრებისას აღმოჩენილი მუზარადი და, საერთოდ, ძველი შეიარაღება.

კორზულში, რომელსაც ადგილობრივი სომხები განმარტავენ, როგორც ქართულ „**კარი წვრილი**“, კათოლიკურ ეკლესიაში ნამდვილად არაფერია ძველი, გარდა ორიგინალური საკეტისა. იგი აღმოჩენილია მამაწმინდაში, გასაღების გარეშე, რომელიც შემდგომ მოახერხა და გააკეთა ადგილობრივმა სომეხმა ოსტატმა.

**24 აგვისტო, სამშაბათი.** ართვინიდან ბათუმში გავემგზავრე ჭკოროხით, ნავით, რომელსაც მართავდნენ გამაჰმადიანებული ქართველები, საინტერესო გამოთქმით: „ცუტა, ნაცვლად „ცოტა“სი“. აქ, დიალექტურ საფუძველში ხომ არ უნდა ვეძებოთ წყარო, საიდანაც წარმოიშვა ძველი ქართული ტექსტები სისტემატური „ჟ“ დაწერილობით იქ, სადაც ჩვენ მოველოდით „ლ“-ს, და, ასევე, პირიქით: „ლ“-ს დაწერილობით „ჟ“-ს ნაცვლად?

## შენიშვნები

**არშინი** – ძველი რუსული სიგრძის საზომი ერთეული. 1 არშინი უდრის 1/3 საჟენს, 16 გოჯს, 28 დიუმს, 0, 7112 მეტრს.

**გოჯი** – მანძილი ცერის ბოლო სახსრიდან ფრჩხილის წვერამდე. სიგრძის საზომი საქართველოში – 4,445 სანტიმეტრი. „რუსულ-ქართული ლექსიკონის“ (თბ. 1993) მიხედვით, გოჯი იგივეა, რაც რუსული **ვერშოკი**.


**ოყა** – ძველი წონის ერთეული, უდრის 1,36 კილოგრამს.

**საჟენი** – ძველი რუსული სიგრძის საზომი ერთეული. 1835 წლის ბრძანებულებით საჟენი განისაზღვრა 7 ინგლისური ფუტით, ან 84 დიუმით. ეს უდრიდა 3 არშინს, ან 48 გოჯს (ვერშოკს), **213,36 სანტიმეტრს**.


**ქორონიკონი** – ქართულ საისტორიო ძეგლებში ვხვდებით მხოლოდ მე-13 და მე-14 მოქცევებით დასახელებულ თარიღებს. თუ თარიღი ეკუთვნის მე-13 მოქცევას, იგი უნდა დავუმატოთ 780 წელს (ნ. მართ 781 წელს), ხოლო თუ მე-14 მოქცევას – 1312 წელს. „ის ფაქტი, რომ ჩვენამდე მოღწეულ წერილობით ძეგლებში ამ ერთი თარიღების დასახელება მე-13 მოქცევაზე ადრინდელი არაა, მკვლევრებს უფლებას აძლევს ქორონიკონის მიხედვით წელთათვლის გავრცელება 780 წლის მომდევნო ხანაში ივარაუდონ“ (ვ. გუჩუა, ისტორიული ქრონოლოგია. „მაცნე (ისტორიის სერია), №1, 1971, გვ. 205-206).




სურ. 1. ოქრობაგეთის ჯვრიანი ქვა ქართული წარწერით



სურ. 2. ტბეთის მონასტრის საერთო ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან



სურ. 3.



სურ. 4. ტბეთის მონასტრის ჩრდილო ფრთის  
აღმოსავლეთი კედელი






სურ. 5. ტბეთის მონასტრის საკუროთხევლის ჩარღმავება




სურ. 6. ძველი წყარო სურევანში.  
მარცხნივ დ. ო. ნერსესიანცი



სურ. 7. ტბეთი



სურ. 8.



სურ. 9. სურევანის ეკლესია




სურ. 10. სურევანის ეკლესიის ნანგრევები



სურ. 11. სამწყაროს ეკლესიის ნანგრევები. ხელი ჩრდილო-დასავლეთიდან



სურ. 12. ბარის ციხე. ხელი იმერსევის მარჯვენა ნაპირიდან



სურ. 13. ფხიკურელი ოსტატი დაზგასთან: ძაფის დამზადება



სურ. 14. იმერხეველთა ჯგუფი წყალსიმერში




სურ. 15. იმერხეველი ქართველი მუსულმანები  
სტუმრად ფსიკიურში



სურ. 16. სომეხი ქალი ართვინულ კოსტიუმში,  
ქმართან და შვილთან




სურ. 17. სომეხი ქალი იმერხეულ კოსტიუმში



სურ. 18. იმფხრეულის ციხე




სურ. 19. აშუღი ალი-ჩაუშ მისირ-ოდლი (მოსიძე)  
შთამომავლებთან




სურ. 20. იმერხეული სახლის ზემო სართულის აივანი






სურ. 21. იმერსეული სახლი



სურ. 22. სოფელი ნორგეილი



სურ. 23. არტანუჯის ქვემო ხედი, ოდესღაც ქართველ ბაგრატიონთა დედაქალაქი  
ეკლესიის ნანგრევები, ზემო ქალაქი



სურ. 24. ქართული წარწერის ნაწილი არტანუჯის მეჩეთზე




სურ. 25. არტანუჯის კატქისის ნანგრევები. ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან



სურ. 26. კატქისის ნანგრევები არტანუჯში. ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან



სურ. 27. სომსური წარწერა არტანუჯში



სურ. 28. ენი-რაბათის ეკლესია.  
ხელი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან




სურ. 29. ქვა ქართული წარწერით ტანძლის მკვებზე




სურ. 30. ქვა ქართული წარწერის ფრაგმენტით ტანძლის მკვებზე



სურ. 31. ნორგიელის ქვის ჯვარი




სურ. 32. ხიდი მდ. იმერხეზე, ჭედილასა და  
წყაროსთავს შორის




სურ. 33. წყაროსთავის მონასტრის ეკლესია. ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან



სურ. 34. წყაროსთავის მონასტერი  
კელია, დარბაზზე მიშენებული დასავლეთიდან, დარბაზი (სოსტოგნი) ან ტრაპეზე. ხედი  
დასავლეთიდან



სურ. 35. ნუკას საყდარი




სურ. 36. ხანძოა. მონასტრის ეზოს ნარჩენები, ხევის თავზე







სურ. 37. ხანძთა. კოშკისებური ნაგებობა ღობეში



სურ. 38. ხანძთა. ხედი კარჩხალას მარცხენა ნაპირიდან.  
ბაზილიკა კლდეზე



სურ. 39. მდ. კარჩხალა ხანძის მონასტრის ქვეშ




სურ. 40.



სურ. 41. მიძნაძორი. მონასტრის სატრაპეზოს კვადელი კარჩხაღას გასწვრივ.  
შიგა ხედი




სურ. 42. მიძნაძორი. მონასტრის ეზოს ჭიშკარი



სურ. 43. შატბერდი, ახლა პორტა. მონასტრის ხედი  
საძველთიდან



სურ. 44. შატბერდი, ახლა პორტა. წყარო სამლოცველოს აღმოსავლეთი კედლის ქვეშ



სურ. 45. შატბერდი, ახლა პორტა. თანამედროვე ხის სახლებით



სურ. 46. შატბერდი, ახლა პორტა.  
არქიტექტორის წარწერა სამრეკლოს ყელზე




სურ. 47. შატბერდი, ახლა პორტა.  
წარწერა სამრეკლოს ყელზე



სურ. 48. შატბერდი, ახლა პორტა.  
წარწერა ორ ქვაზე, აღმოჩენილი დ. ერმაკოვის მიერ




სურ. 49. შატბერდი, ახლა პორტა.  
ეკლესიის დასავლეთი ფრთა შიგნიდან




სურ. 50. ოპიზა. მონასტრის ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან



სურ. 51. ბერთა. სატრაპეზო და ეკლესია, ახლა მეჩეთი




სურ. 52. პარესთასთან.  
დიუსტაში განდევილის გამოქვაბულით



სურ. 53. პარესთა. ბილიკი ჩანჩქერის ქვეშ. გზა ეკლესიის ნანგრევებისაკენ





სურ. 54. დოლისყანა. ეკლესიის ხედი  
სამხრეთ-აღმოსავლეთიდან



სურ. 55. დოლისყანა. შუენებლის ფიგურა ეკლესიის მოდელით



სურ. 56. დოლისყანა. ეკლესიის სამხრეთი ფანჯარა



სურ. 57. დოლისყანა.  
მზის საათი ეკლესიის სამხრეთ კედელზე



სურ. 58. დოღისკვანა. კკლესიის საერთო ხედი



სურ. 59. წარწერის ფრაგმენტი შატბერდიდან.  
ახლა პორტა

## შინაარსი

წინასიტყვაობა	5
ნიკო მარი და მისი მოგზაურობა შავშეთსა და კლარჯეთში	7
§1. ნიკო მარის შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობის გეოგრაფია	8
§2. ქართული ენა შავშეთსა და კლარჯეთში	26
§3. გვარსახელები შავშეთსა და კლარჯეთში	37
§4. შავშეთ-კლარჯეთის ტოპონიმია	40
§5. წარწერები	46
§6. შავშეთ-კლარჯეთის ფოლკლორი „დღიურებში“	52
§7 შავშეთ კლარჯეთის მატერიალური კულტურის ძეგლები	54
§8. შავშეთისა და კლარჯეთის ეთნოგრაფიის საკითხები „დღიურებში“	73
8.1. ცეკვა შავშეთსა და კლარჯეთში	74
8.2. დვინის სახლი და ვაზი შავშეთსა და კლარჯეთში	76
8.3. ქორწილი შავშეთსა და კლარჯეთში	81
8.4. „ბრძოლა“ ნადირთან შავშეთსა და კლარჯეთში	87
8.5. მეფუტკრეობა შავშეთ-კლარჯეთში	88
8.6. ხელოსნობა	89
8.7. დაკრძალვა შავშეთსა და კლარჯეთში	92
8.8. შავშეთ-კლარჯეთა რწმენა-წარმოდგენებიდან	95
ტექსტისათვის	99
შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობის დღიურები	100
შენიშვნები	424
ფოტოსურათები	425

გამომცემლობის დირექტორი – **ნანა ხახუტაიშვილი**  
 გამომცემლობის რედაქტორი – **ლალი კონცელიძე**  
 ტექნიკური რედაქტორი – **ედუარდ ანანიძე**

ხელმოწერილია დასაბეჭდად 11.12.2015  
 ქაღალდის ზომა 60X84 1/16  
 ფიზიკური თაბახი 30.2  
 ტირაჟი 70

დაიბეჭდა უნივერსიტეტის სტამბაში  
 ქ. ბათუმი, ნინოშვილის 35